

114  
1955/3

საქართველოს  
საბჭოთავო  
საგარეო  
კავშირების  
მინისტროს  
საბიბლიოთეკო

# გზაგადასასრული

12

საბჭოთავო



1955



სოციალ-დემოკრატიული რევოლუციური-მხატვრული  
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შუამდგომლობის  
წელიწადი 32-ე № 12 დეკემბერი, 1955 წ.

საბარათველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

6902

უ ნ ი ა რ ს ი



გიორგი ლეონიძე — ჭაბუკი სოსო მთაწმინდაზე	3
თინა დონეაშვილი — ალანის პირას, რომანი (გაგრძელება)	4
კალე ბობოხიძე — გორის განთავადი, ლექსი	36
მურმან ლეგანიძე — ოქუმი, ლექსი	37
რევაზ ჯაფარიძე — ჯარისკაცის ჭერივი, რომანი	39
ვახტანგ გორგაძე — სიმღერა ცხრაასხუთელზე, ლექსი	69
მამია ახათიანი — ოქროსა და ვერცხლის მარცელს ამავე, მოთხრობა	70
სოლომონ თავაძე — დაუვიწყარი, რომანი (გაგრძელება)	88
აღვქსანდრე ბლოკი — კულიკოვის ველზე, ლექსი, თარგმანი ა. სულაკაურისა	107
ა. სურკაცი — სიფხვლის სიმღერა, ლექსი, თარგმანი ირაკლი არაბულისა	108

ლიტერატურული ახალგაზრდობა

მუხრან მაჭავარიანი — თქვი, შუადღე, ლექსები	109
ოთარ შალამბერიძე — ლექსი	110
ნოდარ შამანაძე — ის ცოცხალია; მთაწმინდა, ლექსები	110
მორის ფოცხეშვილი — პატარი გოგო დამეყარა, ლექსი	111
ანზორ აბულაშვილი — მოგონება, ლექსი	111
ნაზი კილასონია — ლექსის შესახებ, ლექსი	112
ოთარ ჭილაძე — დღა, ლექსი	112
ვახტანგ ძეგლაძე — შენი სიცილი, ლექსი	112
შოთა ნაშნიანიძე — სოფლისავენ, ლექსი	113
ბიძინა წიკლაური — სამშობლო, ლექსი	113
მარამ გორგაძე — უგერგელო, მოთხრობა	114
ოთარ დემეტრაშვილი — წითელი ვაშლები, მოთხრობა	123

თბ. მე-2 გვ.

### კრიტიკა და კუბლიცისტიკა

გიორგი მარგველაშვილი — საბჭოთა მწერლების დიდი მეგობარი . . . . .	129
ელადიმერ ზამზახიძე — ნიკო ნიკოლაძის ახლად გამოქვეყნებული წერილები . . . . .	141
ანდრო ლომიძე — კოლა ლომთათიძე როგორც მხატვარი და მოაზროვნე . . . . .	152
რუსუდან საყვარელიძე — „კაკესიის ფართული საზოგადოების“ არსებობის შესახებ . . . . .	157
გიორგი ზუნაშვილი — ახალი მოთხრობების კვლადაკვალ . . . . .	162
ოთარ ჯინორია — რეალიზმის ზოგიერთი საკითხის შესახებ . . . . .	171

### წიგნების მიმოხილვა

ვლ. ჯიბუტი — ალ. შენგელიას პოეზია . . . . .	179
შ. ჩინუა — მონოგრაფია გრიშაშვილის შემოქმედებაზე . . . . .	182
ხიმონ წყვარაძე — ა. პაპსკირის ახალი რომანი . . . . .	184
დამიტრა ბენაშვილი — წერილი რედაქციის მიმართ . . . . .	188

ახალი წიგნები

გარეყანის შესაშვ გვერდი

რედაქტორი ს. ჩიქოვანი

სარედაქციო კოლეგია:

დ. ბენაშვილი, ლ. კალანდაძე (პ/მგ. მდივანი), კ. ლორთქიფანიძე, პ. რატია-  
ნი, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 6. ტელეფონი 3-23-42.

ბეღლიწერილია დასაბეჭდად 15/XII-55 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 12. ანაწყობის  
ზომა  $7\frac{1}{2} \times 12\frac{1}{2}$ . ქაღალდის ზომა  $70 \times 108$ . შეკვეთა № 762. ტირაჟი 6000. ფე 08204.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარბიბლიოგრაფიკომისიის ბეჭდვით  
სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.



საქართველოს  
საქართველოს  
საქართველოს  
საქართველოს

გიორგი ლონია



## კაბუკი სოსო მთაწმინდაზე

მზე გაღიზარა  
ნარიყალაზე,  
ყვავილთა შუქით  
მიწა გაბრწყინდა.  
ბედნიერებამ  
თითქოს დაწინდა  
მთელი თბილისი!  
ელაეს მთაწმინდა...  
ჩუმად ტრიალებს  
ალი მგზნებარი  
ჩამავალი მზის  
ოქროს ნაბუქი...  
საყვარელ მთიდან  
ნაოცნებარი,  
თბილისს დაჰყურებს  
სოსო კაბუკი...  
ნეტავ კაბუკი  
ვის ელიმება  
და რა ოცნებით  
გული მთვრალია?  
ჰხედავს მომავალს  
უკვე ზმანებულს,  
სხვა ყოველივე  
მის წინ მკრთალია;  
ჰხედავს მომავალს  
გამზიანებულს,  
მისი სხივები დაუთვალა!  
მას ცეცხლი ჰმოსავს  
დიდ ხუროთმოძღვრის,  
ესე, ვეთ მოსეს  
მიჭელანჯელოს.  
მისი ოცნება  
მთელ ბნელეთს მოსთხრის  
და მისი ცეცხლი  
რამ დაანელოს?

გაჰყურებს სივრცეს  
ვით პრაქსიტელი,  
ხელთ უხილავი  
უჩანს ჩაქუჩი...  
და ზედ ეფრქვევა  
შუქი ყვითელი  
გულის ფსკერიდან  
გამონამუქი.  
ის ანთეოსის  
ფეხით დგას მიწად,  
და იგი ლენინს  
ესაუბრება,  
გულს ადუღებულს  
ოცნებამ მისცა  
მზე იგი მზეთა, —  
თავისუფლება.  
ხვალინდელი დღის  
ცოცხალი გული  
თითქოს შეთრთოლდა  
ამ წამს ნიავეში  
და სოსო  
დიდი აზრით შეკრული  
იდგა  
სინათლის სიმფონიაში.



მთიდან ეშვება  
მზის ნამზირები,  
ლენინთან  
ფიქრით ნამარტოები  
და თან მოსდევენ  
დიდნი გამირები, —  
ხუროთმოძღვარნი  
ყველა დროების.

თინა ღონაშვილი



## აღზნის პირას\*

რომანი

გედეონ შარაშანიძე

საკვირველი იყო, რომ კარგი მეხსიერების მქონე გედეონს ბუნდოვნად ახსოვდა ადრინდელი ბავშვობა. როცა კი ბავშვობას იგონებდა, მაშინვე თვალწინ ეხატებოდა ფოთის ნავსადგური და პატარა ბიჭი გედეშკა, რომელსაც უკან ჩამოეტოვებინა ნაქები მოცურავენი და ზღვაში შორს გასული ტალღებზე ნებივრად გაწოლილი ისვენებდა. თან ცდილობდა მცხუნვარე მზისათვის დაუხამხამებლად გაესწორებინა თვალი.

დაუფიქსარი იყო ერთი ბავშვობაში განცდილი გულისტიკივილიც. მამამისი, ნავსადგურის მტვირთავეი ივანიკა, სხვეშთან ერთად მიყავდათ, უფროსების თქმით, სადღაც დასაქარგავში, სადაც ომი იყო მეფის წყალშემდგარი ტახტის გასამაგრებლადო. ფოთელმა გოგო-ბიჭებმა როგორღაც შეიტყვეს ეშელონის გამგზავრების დრო და საღერის მოედნენ. გედეშკა მამას ეძებდა. მამა ისეთი ახლობელი და საყვარელი იყო, რომ გედეშკა პატარა-პატარა საკერებლებით აპრელებულ მის სამუშაო წინსაფარსაც კი ათას სხვაში გამოარჩევდა. განშორების უკანასკნელ წუთს კი რაღაც საოცარი მოხდა. „ტექლუშკების“ ღია კარს მოძალებულო, ერთნიირ ტანსაცმელში გამოწყობილი კაცები ისე გაედნენ ერთმანეთს, რომ გედეშკას მამა დაეკარგა. ტირილით მისდევდა დაძრულ ეშელონს პატარა ბიჭი, ხელს უწინედა ომში მიმავალ ჯარისკაცებს, რომელთა შორის ვერ იქნა, მამა ვერ გაარჩია...

მამის წასვლის შემდეგ გედეშკას

უკვე გედეონს და „ოჯახის მარჩენალს“ ეძახდნენ. ნავსადგურის მუშები არ ივიწყებდნენ ომში წაყვანილი ამხანაგის ცოლ-შვილს, ეხმარებოდნენ გედეონს სახელდახელო სამუშაოს მიღებაში და ბავშვის მონაგარ თითო-ოროლა გროშს თავისას ამატებდნენ.

წყნარი და ალერსიანი აპოლინა ცრემლმორეული ჩაიკრავდა ხოლმე გულში შინ ხმაურით შემოჭრილ ბიჭს, რომელსაც თავმომწონედ შემოჰქონდა ოჯახში თავისი ნამუშევარი.

აი, ეს ახსოვდა გედეონს თავისი ადრინდელი ბავშვობიდან: ზღვა, დედის ჩუმი ალერსი, ფოთელი მტვირთავეები და ის გულისტიკივილი განშორების წუთს, მამა სხვებში რომ ვერ გაარჩია.

კარგად ახსოვდა გედეონს თავისი თავი იმ დილიდან, როცა მათ ქოხის ამბავი მოვიდა, რომ ივანიკა ვარამაძე სამოქალაქო ომში დაიღუპაო. იმ ადრინდილას გედეშკა პატარა იყო და ვერ გაეგო რა ხდებოდა. შინ გლოვა-ტირილი იყო, გარეთ კი ზეიმი და სიხარული. მაგრამ სულ მალე, იმავე დღის დაღამებამდე, ისე გაიზარდა გედეშკა, რომ შორს გაასწრო თავის ცამეტ წელს.

მერე სულ კარგად ახსოვდა გედეონს ყველაფერი. განსაკუთრებით ის დღე, როცა კომკავშირში მიიღეს. გახარებულ ბრუნდებოდა შინ და გულში ეფიცებოდა მამას, რომ მთელ სიცოცხლეს მოანდომებდა იმ საქმის განმტკიცებას, რომლის გამარჯვებას მან შესწირა თავი.

და ისევე, როგორც ერთმა დღემ ადრინად აქცია ბავშვი ყრმად, ისევე ადრინად გათავდა გედეონის ყრმობა.

\* გაგრძელება. იხ. № 11.

სიხარულით და სიამაყით ავსებდა აზრი, რომ ისიც იყო საერთო დიდი საქმის ერთ-ერთი უშუალო მონაწილე. ამ საერთო საქმისათვის პასუხისმგებლობით ეკიდებოდა გედეონი ყოველგვარ დავალებას და ყოველთვის პირნათლად ასრულებდა მას, ყოველთვის გამარჯვებული რჩებოდა. არასდროს კი აზრადაც არ მოსვლია, რომ ეს გამარჯვება მას ეკუთვნოდა. დარწმუნებული იყო, რომ ყოველთვის იმარჯვებდა მართალი საქმე.

საერთო ბედნიერებისათვის ბრძოლით გატაცებული გედეონი თვითონ ცხოვრობდა როგორც უსახლკარო, სადაც ღამე მოატანდა, იქ გაითენებდა. თუ შორს იყო და აპოლინას ხელი ვერ მიუწვდებოდა მშვიერი იძინებდა. ვიდრე ტანსაცმელი და ფეხსაცმელი მთლად არ შემოაცვდებოდა, ახალზე არ იზრუნებდა. თუ კვირა დღე იმიტომ არსებობდა, რომ კაცს დაესვენა ან სიამოვნება მიეღო, ეს არც ახსოვდა.

ისეთი გატაცებით მუშაობდა გედეონი, რომ მალე საერთო ყურადღება მიიქცია, თვითონ კი ვერ ამჩნევდა, როგორ იზრდებოდა მისი სახელი და ავტორიტეტი.

ვერც იმას ამჩნევდა გედეონი, რომ ქალებს გული უფრიალებდათ მის დანახვაზე. ლამაზი იყო, წარმოსადგეი. უკან გადავარცხნილი შავი, ხშირი თმა განსაკუთრებულ იერს აძლევდა მის განიერ გადატკეცილ შუბლს. შეე წარბწამწამის ხშირი ჩრდილიდან ფერმკრთალ სახეს უნათებდნენ აზრიანი თვალები.

სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე მუშაობდა გედეონი რამდენიმე წელიწადს. მერე თბილისში დაიბარეს და იქ გედეონს მოსკოვში, წითელ პროფესურაში წასვლა შესთავაზეს.

მთლად გამოცვლილი დაბრუნდა გედეონი თბილისიდან. სიხარული ამშვენებდა, მოუთმენლობა ეტყობოდა. ზაფხულის მიწურული იყო და ღელავდა გედეონი. წასვლამდე ცოტა დრო-ლა

დარჩა და რამდენი რამ ჰქონდა წასვლა კეთებული. მოსკოვს მიდიდა.

მისი ღელვა აპოლინასაც გადაედო. უხაროდა შვილს რომ უყურებდა. თან სწუხდა დედის გული, ვაი თუ შესცივდეს, ან გაუქირდეს, ან მისი მოხარული ლობიო და კეცის მკაფი მონატროს?! მეზობლებიც აღარ აცლიდნენ. აპოლინა მომავალი პროფესორის დედა იყო და მოსალოცად ვინ იცის, საღიან არ მოდიოდნენ. ხშირად რომელიმე მანდილოსანი გულში ჩაიკრავდა ხელს და წამოიწყებდა: ვაი, უბედურო ივანია, ვერ მოესწარ ამ ბედნიერ ღელვას!.. და მეტი რა გზა იყო? გაიმართებოდა მოთქმა-ტირილი. წასვლის დღე ახლოვდებოდა, საქმე კი გასაკეთებელი რჩებოდა. დაიბნა აპოლინა.

ბედად, თუ ავბედად, ერთ დღეს გედეონს გზად დოფინე შემოხვდა: ლამაზი გოგო იყო, გედეონზე დიდი თუ არა, პატარა აღარ იქნებოდა. სიხმარით გაფრენილ ბავშვობაში გედეონს და დოფას ხშირად მიუბეჭიათ ერთმანეთი, და სიმართლე უნდა ითქვას, თითქმის ყოველთვის კატასავით მოქნილი, ლონიერი დოფა სჯობნიდა გედეონს. მერე კი, საქმეში გართულ გედეონს, დოფა აღარ გახსენებია.

დოფას ცხოვრებაც თავისებურად წავიდა. ორი კლასი რომ დაამთავრა, მერე დოფა აღარც საქმეს დასდევდა, არც კაპასი გამზრდელი მაგიდის. რისხვას. მთელი დღეებით სადმე მიყუჩებული იაფფასიანი რომანების კითხვით იყო გატაცებული. რომელ წიგნსაც წაიკითხავდა, შიგ ალწერილი ქალის ბედს ინატრებდა, ცდილობდა იმ ქალის მსგავსად თავისთვისაც „გმირი“ მოეძებნა, მაგრამ რაკი დოფა ამგვარ რომანებს სწრაფად კითხულობდა, ამიტომ ცხოვრებაშიც მისი გმირები ხშირად იცვლებოდნენ. მათ სამახსოვროდ დოფას რჩებოდა მხოლოდ ან თურქული ჭრელი ქალაღია, ან „ვიქტორია“ ჩულქები, ან პუდრი „ლორიგანი“. ერთმა ინგლისელმა დურბინდიც კი უსახსოვრა, თუმცა დოფა ამ დურბინდით თავის

გაკაპასებულ მამიდასაც კი ვერ არჩევდა.

რალა თქმა უნდა, დოფას „გმირების“ ცვალებადობა შეუმჩნეველი არ დარჩენილა. საქორწინო ვაეები თოფის გასროლაზე მოერიდნენ ლამაზ დოფინეს. მოიწყინა მხიარულმა, პეპელასავით მოთარფატე ქალიშვილმა. მისი ტოლები ან ოჯახს დასტრიალებდნენ, ან შრომით ამაყოფდნენ, მან კი ვერც ერთი ვერ მოახერხა. მამიდას სიკაპასეს საზღვარი აღარ ჰქონდა.

და უცბად დოფამ თბილისიდან დაბრუნებული გედეონი დაინახა. გაოცდა. აი გმირი! დაფლეთილ წიგნებიდან შეთითხნილი კი არა, ნამდვილი გმირი! მოსკოვი... პროფესორი... დოფა ჩაფიქრდა. მთელი თავისი ყურადღება ვარამაძეების ოჯახზე გადაიტანა. მიხვდა, რომ აპოლინას დახმარება სჭიროდა, მაგრამ როგორ? დიდი ხანია აპოლინა არც დოფას და არც დოფას მამიდას ახლოს არ იკარებდა. რა ექნა დოფას? როგორ შეედგა მეზობლის ოჯახში ფეხი?

შემთხვევით შეიტყო, რომ გედეონს ამხანაგები გამოსათხოვარ ვაშაშას უწყობდნენ. მთელი დამე სარკმლიდან ზეერავდა გზას. დაინახა თუ არა ქუჩის თავში ნელა მომავალი გედეონი, დოფამ პატარა კალათს დასტაცა ხელი და საქმიანი ნაბიჯით გავიდა ეზოდან. ისეთი ჩაფიქრებული და გულჩათხრობილი მიდიოდა, რომ ვერავის ამჩნევდა. რალა თქმა უნდა, გედეონსაც ვერ შეამჩნევდა, გაოცებულ გედეონს თვითონ რომ არ გაეჩერებინა ქალი.

ახლაგაზრდა, გულწმინდა, ქალებთან მიამიტ გედეონს გარიყარაჟე შეხვედრილი ლამაზი დოფინე ზღვიდან ამოსულ ფერიალ მოეჩვენა. ღვინოს შეუჩვეველზე, ცოტა ღვინო მოქმედებდა, ცოტა — ვაშაშაზე მოსმენილი ჭება. საოცნებოდ იყო განწყობილი და უცაბედლად შეხვედრილ ქალთან სიტყვის თქმას ვერც კი ახერხებდა. უკვირდა, რომ დოფა, ის დოფა, რომლისგანაც ოდესღაც სიცოცხლე ჰქონდა გამწარე-

ბული, ახლა ასე კეთილად უმადლიერებდა თბილად უღიმოდა. რალაცას ელაპარაკებოდა, მაგრამ გედეონს ნახევარიც არ გაუფია. მისი მიზნედილი ხმა მუსიკად ეხვეწებოდა. გონს მაშინ მოვიდა, როცა ქალმა მორცხვად დაუკრა თავი, წასვლა დააპირა. მაშინ გაბედა გედეონმა, მოკიდა ხელი და შეხვედრა სთხოვა. დოფამ თავი დაიძვირა, საქმეები მოიმიზუნა, საწყალი, ავადმყოფი მამიდა შეიბრალა და, რაც მთავარი იყო, განა შეიძლება ფოთში ვინმესთან შეხვედრა? საქმარისია ერთხელ დაგინახონ დალაპარაკებული და მაშინვე ეშმაკმა იცის რას არ მოაქორებენ, რა სიგრძის კუდს არ გამოაჯარებენ? დოფა კი ერთი უპატრონო ქალია, ობოლი. საკუთარი შრომით ირჩენს თავს, მოსარჩლე არავინა ჰყავს და იმის უფლებაც კი არა აქვს, რომ შეხვედვს მას, ვინც ბავშვობიდანვე გულში ხატად ჰყავს ჩასვენებული.

სულ გადარია გედეონი ამ ქალის სეკდიანმა და ნაზმა სიტყვებმა. მზად იყო იმ წუთშივე რაინდულად შებმოდა ქვეყანას უპატრონო, ობოლ დოფას დასაცავად. აღუთქვა კიდევაც მფარველობა. დოფამ არ იცოდა რით გადაეხადა მადლობა გედეონისათვის და უეცრად ბრწყინვალე აზრი მოუვიდა თავში. დეიდა აპოლინას სჭირია დახმარება და დოფა ბედნიერი იქნება მცირედი მონაწილეობა მაინც მიიღოს გედეონის სამგზავრო მზადებაში, თუ არავის არაფერი ექნება საწინააღმდეგო. ვახარებულმა გედეონმა სიტყვის დამთავრება აღარ აცალა, ხელჩაკიდებული შეიყვანა შინ. დოფამ ვითომ ვერ შეატყო როგორ შეიკრა შუბლი აპოლინამ მის დანახვაზე. დიასახლისს გულლიად და მორიდებით მიესალმა, დახმარება შესთავაზა და პასუხიც აღარ აცალა, ბზრიალასავით დატრიალდა. იმ წუთიდან ყველაფერი მოგვარდა. მართალია, დოფამ პუითონ ნემსის დაქერაც არ იცოდა, სამაგიეროდ სხვისი გამოყენება იცოდა კარგად. ზოგი წინის საქსოვად დასვა, ზოგს ცხვირისაბოცები დაულაგა ჭდის





გასაკეთებლად, ზოგს სათბილობელე-  
ბის შეკერვა დაევალა. მერე მოხერხე-  
ბულად მამიდაც მოიშველია — საბანი  
დაალანდაგებინა.

დოფა კი ბზრიალასავით ტრიალებდა  
და რატომღაც ისე ხდებოდა, რომ სხვის  
ნამუშევარზე მას უხდიდნენ მადლო-  
ბას. გედეონს დოფას დანახვაზე გული  
რადაც უცხო ღელვით უთრთოდა, უხა-  
როდა, თანაც რცხვენოდა, არ უნდოდა  
სხვას შეემჩნია ეს სისხარული და რო-  
გორც იქნა გატეხა დოფას თვალთმაქ-  
ცური კრძალვა. სადღაც მივარდნილ  
ადგილს დაიწყეს ყოველ ღამეს ერთმა-  
ნეთთან შეხვედრა.

„გედე, გედე, ჩემო კარგო, ჩემო ლა-  
მაზო, ჩემო საყვარელო, გედე...“ უმღე-  
როდა, უალერსებდა, სიყვარულზე ებუ-  
ტუნებოდა დოფა და გამოუცდელ  
ახალგაზრდას მოჩვენებითი ბედნიერე-  
ბით ატყვევებდა.

მაგრამ დადგა განშორების დღე.

ბევრნი აცილებდნენ გედეონს. სად-  
გურზე დოფას მამიდაც კი მოვიდა.  
მოწყენილი დოფა მამიდას გვერდიდან  
არ მოშორებია, შორიდან ეთხოვებოდა  
თავის გედეს. გული კი ძლივს ფარავდა  
ზემის. მაილწია დოფამ თავის ჯერ ყვე-  
ლასათვის საიდუმლო მიზანს.

რამდენიმე ხნის შემდეგ საიდუმლოე-  
ბა საქვეყნო გახდა. დოფას ფეხმძიმედ  
ყოფნა უკვე თვალსაჩინო იყო. მხოლოდ  
უკვირდით მეზობლებს რად დადიოდა  
დოფა ცხვირაბზეკილი, რატომ არა  
რცხვენოდა უქმროდ შვილის გაჩენა?  
უკვირდით, რომ დაწყენარა დოფას  
აუტანელი მამიდა, რომელსაც ასე უყ-  
ვარდა სხვისი გაცილვა?

მამიდამ კი ერთ დღეს გამოიღო შავი  
დღისთვის გადანახული გროშები, ძმის-  
წულს ბოხხაში გამოუკრა მზითვეი და  
გააცილა. სად? ხეირიანად ვერც მიუხე-  
და დოფას ქარამულს, მაგრამ გრძობ-  
და, რომ დოფანემ როგორც იქნა „დაი-  
ქირა თავისი ბედის ვარსკვლავი“.

მოულოდნელად დაატყდა თავზე გე-  
დეონს მოსკოვში ფეხმძიმე ქალი. პირ-  
დაპირ საერთო საცხოვრებელში მიადგა

დოფა და ვიდრე ვარამაძეს მოსკოვში  
ნენ, ყველას გედეონის მეუღლედ გავი-  
ნო თავი. რა უნდა ექნა პატიოსან, კე-  
თილშობილ ახალგაზრდა გედეონს? აზ-  
რადაც არ მოსვლია, რომ შეიძლებოდა  
ამგვარ მდგომარეობაში მყოფი ქალის  
მიტოვება და ისიც უცნობ, ვეებერთუ-  
ლა ქალაქში. ბევრი ხევეწნა კი დასჭირ-  
და გედეონს, რადგან დოფინე თვალ-  
ცრემლიანი არწმუნებდა, რომ იგი არა-  
ფერს მოითხოვს გედეონისგან, მხო-  
ლოდ მისი ნახვის სურვილმა ჩამოიყვან-  
ა მოსკოვს, რომ „ცოდვის შვილს“ თა-  
ვისი შრომით გაზრდის განვლილი ბედ-  
ნიერების სამახოვროდ.

გედეონმა როგორც იქნა დაიყოლია  
დოფა. მოსკოვის კრასნო-პრესნის რაი-  
ონის მამის ბიურომ საიმედოდ შეკრა  
ფოთელი ქალ-ვაჟის გვარები. ამხანაგე-  
ბის დახმარებით გედეონმა ოთახი და-  
იქირავა, დააბინავა მეუღლე და ინსტი-  
ტუტის ანექტებში სათანადო ცვლილე-  
ბებიც შეიტანა.

დოფამაც სასწრაფოდ გადაიყვია თა-  
ვის საბუთებში გვარი და მომავალი  
პროფესორის ცოლობა უკებ შეიწყო.  
მოკლე, ლამაზი ცხვირი უფრო აბზიკა  
და გულმავიწყობა დაინგმა. დააიწყდა  
ფოთი, ნავსადგური... მამიდა, აპოლი-  
ნა... სახატებულდაც კი აღარ მოისურ-  
ვა იქ დაბრუნება, ბავშვს ფოთის ჰაერი  
აწყენსო.

კურსდამთავრებული გედეონი თავი-  
სი გულმავიწყი ცოლით და ბავშვით  
დაბრუნდა საქართველოში იმ დროს,  
როცა კოლექტივიზაციისათვის ბრძო-  
ლამ გამოიწვია კულაკობის მძაფრი წი-  
ნაღმდეგობა. გედეონს თბილისში  
დარჩენა, ბინა და კათედრა შესთავაზეს.  
მაგრამ ზედავდა გედეონი, რომ იმ დროს  
სოფლად მეტი სარგებლობის მოტანა  
შეეძლო, ყველაფერზე უარი თქვა.  
ცოლ-შვილი თბილისში მოაწყო და  
თვითონ რაიონში წავიდა.

გედეონი პირდაპირ ცხოვრების  
მკაცრ გამოცდაზე მოხვდა, მაგრამ მან  
კარგად შეითვისა სტალინის მითითება  
სოფლის ზოგიერთ მესვეურთა წარმა-

ტებისაგან თავბრუდახვევის შესახებ და მოფიქრებით, მოთმინებით, დაუღალავად მოქმედებდა. გამოცდა ღირსეულად ჩააბარა, კიდევ უფრო დიდი პატივისცემა და ავტორიტეტი დაიმსახურა.

კოლექტივიზაციის დასრულების შემდეგ, რამდენიმე წელიწადს მუშაობდა ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოებში და ომის წინა წელს არჩეულ იქნა რევიზიის რაიკომის მდივნად.

ცენტრალური კომიტეტის ბიუროზე ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ამხანაგმა, კორნელი ლოლაძემ ისეთი ბრწყინვალე დახასიათება მისცა, რომ გედეონმა უხერხულობაც კი იგრძნო.

კორნელი ლოლაძის წარმოდგენაში სამოქალაქო ომში დაღუპული ივანიკა ვარამაძე ლეგენდარულ გმირად იქცა. მისი აზრით გედეონი წითელი პროფესურის თვალი იყო, დროზე რომ არ დაბრუნებულიყო საქართველოში, კოლექტივიზაციის საქმე ჩაიშლებოდა.

გედეონის უხერხულობაც შეამჩნია ლოლაძემ და ესეც კი აღნიშნა, როგორც ნამდვილი ბოლშევიკის მისაბამი თვისება.

იმ დამეს ძვირად თუ იქნებოდა გედეონისთან ბედნიერი კაცი. მაშინ გედეონი ოცდაჩვიდმეტი წლისა იყო, შრომისმოყვარე, ხალისიანი და დაუზარელი. თავის ასაკზე გაცილებით ახალგაზრდად გამოიყურებოდა. ლამაზი, წარმოსადგეი, ნაკითხი და განათლებული გედეონი ყოველთვის და ყველაზე კარგ შთაბეჭდილებას ახდენდა, ყველას ყურადღებას იპყრობდა.

გედეონი ამას კარგად გრძნობდა. ეს გრძნობა წრფელად ახარებდა, სურვილს უღვიძებდა — ღირსი ყოფილიყო ამ ყურადღების, გაემართლებინა ეს კარგი შთაბეჭდილება. ეს სურვილი კი აიძულებდა დაკვირვებული და მომთხონი ყოფილიყო თავის მიმართ, ყოფილიყო შინაგანად მუდამ ფხიზელი და მოქმედი.

ბიუროს სხდომის შემდეგ ბედნიერი დაბრუნდა გედეონი შინ. ველარ მოითმინა, ცოლი გააღვიძა და გაუზიარა თავისი

ვისი სიხარული, მაგრამ გარკვეულწილად ენა ჩაუვარდა. დოფა თავის წამრდისა ვით გაკაპასდა.

— შენისთანა სულელებს მოთაფლავენ ტბილი სიტყვით, დიახ! — ყვიროდა ნამძინარევი, თმაგაჩვილი ქალი. — არ გეყო რაიონებში წაწალი? თუ კარგია, თვითონ რატომ არ მიბრძანდებიან? მე თბილისიდან ფეხსაც არ მოვიცელი. როგორ? ბავშვი კულტურულ ცხოვრებას მოვწყვიტო და სადღაც პროვინციაში გადავიქარგო? არა, არა და არა!

სიხარული შავ ღღერ უქცია ქმარს დოფამ. მძინარე გოგონა გააღვიძა და აატრია. მთელი კვირა გრძელდებოდა ეს ჯოჯოხეთი მათ ოჯახში. ვერავითარმა თხოვნამ, დარიგებამ, დაპირებამ, დატუქსვამ ვერ გასჭრა. ააგლო ქვა და შეუშვირა თავი გაავებულმა ქალმა. შებეზრებულმა გედეონმა ხელი ჩაიქნია და ცოლ-შვილთან დამდურებული ისევ მარტო წავიდა რაიონში.

ვარამაძეს ჩასვლას რაიონში ხმამ ჩაასწრო — ახალი მდივანი კი არა, ნამდვილი აღმაშენებელი გვევლინებო. დიდი უმეტესობა იმ აღამიანებისა, რომელთაც ყველაზე ხშირად უხდებათ რაიკომის მდივანთან შეხვედრა, მასთან ერთად მუშაობა, გახარებული იყვნენ და მოუთმენლად ელოდნენ მის ჩამოსვლას. დანარჩენთაგან — ზოგი ცდილობდა ჩამორჩენილი საქმეები მოეწესრიგებინა, რომ არ შერცხვენილიყო ახალ მდივანთან, ზოგი ვარაუდობდა რით ეამებინა მისთვის. ორიოდს ძილიც კი დაეკარგა — პირველი დამპყრული სიტყვა სხვამ არ დამასწროსო. ისეთები იყვნენ, რომლებიც ხელმძღვანელობის გამოცვლით სარგებლობდნენ თავისი საეჭვო საქმეების მისაჩქმალავად.

ხალხი კი ჩვეულებრივი სიბრძნით სჯიდა — ქებას ნახვა სჯობიაო.

ჩამოვიდა გედეონი რევიზიაში, მაგრამ დოფას შემზარავი ყვირილით ჰქონდა გამოჰყვანილი ყურები. საწამლავად ჩაეწყეთა ზოგი რამ მისი. წამოძახილუ-



ბიდან. „არ გეყო რაიონებში წანწალი? რაში გამოგადგა შენი პროფესორობა? რატომ შენ არ შეგიძლია დაჯდეთ დაკრიალეზულ კაბინეტში და სწერო მეცნიერული შრომები?.. ახლა სხვა გაეგზავნათ რაიონში თუ კარგია, სულ შენ რატომ უნდა იარო?“ განუწყვეტლივ ესმოდა გედეონს ეს ხმა და უნებურად თვითონაც აგრძელებდა ამ აზრს: „კორნელი ლოლაძის სიტყვითაც ხომ ისე გამოდის, რომ ჩემი ადგილი ახლა უკვე რესპუბლიკის ხელმძღვანელობაშია და არა პატარა რაიონში“.

დაეშვდა გედეონი — ნამდვილად იყო საჭირო მაინცდამაინც მისი გაგზავნა რაიონში?.. გაურკვეველი, უმისამართო საყვედური ქიასავით ღრღნიდა, ფუთფუთებდა სადღაც გონების სიღრმეში...

მაგრამ ის კი იყო, ჩავიდა გედეონი რაიონში და დიდი სამამულო ომიც დაიწყო. გედეონის გონებაში დაბუდეზულმა ქიამ სადღაც მიუვალ კუნძულში მიიძინა, თითქოს გაქარაო... ახლა პირად კეთილდღეობაზე ფიქრი, თავის თავზე ზრუნვა გედეონს მკრეხელობად მიიჩნდა. როგორ? ვიღაცამ გაბედა საბჭოთა საზღვარზე მტრულად ვადმოსვლა? მტერმა დაადგა ფეხი იმ მიწას, რომლის განთავისუფლებაში მამამისის სისხლიც ერია? მტერი ემუქრება იმ ქვეყანას, რომლის კეთილდღეობას შეაღია გედეონმა თავისი ახალგაზრდული მისწრაფებანი და თუ საჭირო იქნება სიცოცხლესაც შესწირავს?!

მთელი თავისი საქმიანობა ახალ ვითარებას დაუმორჩილა გედეონმა. ძილი და მოსვენება დაივიწყა. თათბირებზე, კრებებზე, მიტინგებზე ისე გამოდიოდა, რომ მსმენელთა გულს გამარჯვების რწმენით ავსებდა. ისეთი ცუცხლოვანი, ვეჟაკური გზნებით მოუწოდებდა ყოველგვარი გასაპირისა და განსაცდელის ასატანად, სამშობლოსათვის თავგანწირვისაკენ, რომ ყოველი მისი გამოსვლის შემდეგ ათეული მოხალისე მოითხოვდა ფრონტზე გაგზავნას. თვითონაც მზად იყო ბრძოლის ველზე წა-

სასვლელად. მზად იყო იარაღის შეტანა, შებოღდა მტერს, გაემარჯვა ან თუ შეეკლა.

ომი მძიმე ვარაშაობდა. ამ მძიმე განსაცდელის წლებში, გედეონ ვარაშაობის ხელით წარმართული, ლელიანის რაიონიც იდგა გამარჯვების მკედელთა პირველ რიგებში. ფრონტზე გასტუმრებულთა მებრძოლ სულს ამაღლებდა შინდარჩენილთა თავგადადებულის, სახელოვანი შრომა. ერთიორად აღიდებდნენ მოსავალს, შეპქონდათ ფული თვითმფრინავების, ტანკების ასაგებად, უზგავნიდნენ ფრონტს პურ-ლეონით, ხილით, სათბილობლებით, სანოვაგით დატვირთულ ეშელონებს.

იყო ერთი ასეთი შემთხვევა. როცა პირველად სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის ნიკო ხელაშვილის ინიციატივით ხალხმა ფული შეიტანა თვითმფრინავის ასაგებად, რაიონულმა გაზეთმა აღწერა ეს ამბავი. სურათიც მოათავსა, მაგრამ რატომღაც თვითმფრინავის ფრთაზე რაიკომის მდივნის, ვარაშაობის სახე აღბეჭდეს. ამის გამო ვარაშაობემ რედაქტორი დატუქსა. ტელეფონისტმა გოგონამ ეს თავის თანამშრომლებს უამბო, მათ თავიანთ ნაცნობ-მეგობრებს, და მალე, თითქმის მთელი რაიონი სიამოვნებით აღნიშნავდა ვარაშაობის თავდაბლობას, მამებლობის დაგმობას.

აღნიშნავდნენ იმასაც, რომ რაიკომის მდივანმა ძილი და მოსვენება დაივიწყა. იცოდნენ, რომ გედეონი თვალს ზეზეურად ატყუებდა ან კაბინეტში დივანზე მიკედებული, პალტოწამოსხმული სთვლივდა, მაგრამ ყოველ წუთს მზად იყო, როგორც კარგად გამოძინებული და დასვენებული შესდგომოდა საქმეს.

ასეთი იყო ყველასათვის ნაცნობი გედეონ ვარაშაობე.

... გარბოდნენ ცრემლით და იმედით, ტანჯვით და წინსვლის სიხარულით აღსავსე დღეები...

ნანატრმა საათმაც მოაწია. საბჭოთა ჯარები ბერლინში იყვნენ.

ვარამაძემ კაბინეტის კედელზე გაკრულ რუკას უკანასკნელი შავი ბიბრალი ახსნა და, საგანგებოდ ამ დღისათვის დამზადებული ალისფერი ალაში დააქედა ბერლინს.

ჭევეყანა უკვე ომისშემდგომ გეგმებზე ზრუნავდა.

ვარამაძე თბილისში გაიწვიეს თათბირზე. თათბირზე წასვლამდე, გედეონი რაიონის დასათვალისწინებლად გაემგზავრა.

— რა ეშველებოდა ლელიანის რაიონს, თქვენ რომ არ ჩამოსულიყავით?! — აღტაცებით წამოიძახა ახალგაზრდა შოფერიმა ჩიორამ, როცა მანქანით ახალ წისქვილებს ჩაუარეს.

— სხვა ჩამოვიდოდა! — გაეცინა გედეონს შოფერის თითქოს გულუბრყვილო წამოძახილზე.

— შეც მაგას ვამბობ. რა გეშველებოდა, სხვა რომ ჩამოსულიყო?! თქვენზე იმხანდენ აღმაშენებელიაო და ნამდვილიც ყოფილა!

გედეონმა ბეჯითად შეათვალერა შოფერი, მაგრამ ჩიორა მართალი კაცივით აღუშფოთველად გაპყურებდა წინმდებარე გზას და კილოც ისეთი ჰქონდა, როგორც ნათქვამის უღაო ჰქმნარიტებაში დარწმუნებულ ადამიანს.

— სხვებიც იზიარებენ მგ აზრს? — მოგვიანებით და არც მთლად ხუმრობით შეეკითხა ვარამაძე.

— ვანა ვერა ხედავთ, თქვენს მეტს აღარავისა სცნობენ?! დიდი და პატარა თქვენ მოგმართავთ. რასაც თქვენ იტყვიან, კანონი ის არის! თვალ-წარბში შემოგყურებენ ყველანი...

მართალი თქვა ჩიორამ. თქვა ის, რაც არა ერთხელ უგრძვნია გედეონს: მხოლოდ კოლმეურნეებისა და მოსახლეობისათვის კი არა, ყველა ორგანიზაციის და თვით რაიკომის წამყვანი მუშაკებისთვისაც კი პირველი მდივანი იქცა ერთადერთ, შეუნიაცვლებელ ხელმძღვანელებად.

ორი დღე იმოგზაურა ვარამაძემ. საკოლმეურნეო მინდვრები, ზვრები, თამბაქოს პლანტაციები შემოიარა, სათბუ-

რები, აბრეშუმის ქუჩის სადღესასწაულო ველების ფერმა დაათვალერა.

შეტად ემაყოფილი ბრუნდებოდა შინ. „არც კი შემომჩნევია, რამდენი რამ გაკეთებულა, — ფიქრობდა გზაში, — კარგად გიმუშავია, ამხანაგო გედეონ, კარგად... ახლა რაიონის კეთილმოწყობაზე უნდა ვიზრუნო...“

გედეონმა გადასინჯა გეგმები, ციფრები, განვლილი მუშაობის ანგარიში შეადგინა, თან ახალი ამოცანები დასახა.

დადგა თბილისში წასვლის დროც.

დაღლილი და გამბდარი, მაგრამ უფრო დავაქაცებული და დამშვენებული მივიდა გედეონი თათბირზე. უხაროდა ამხანაგებთან შეხვედრა. ახარებდა მშვიდობიანი მშენებლობის დიდი გეგმები, ახალი პერსპექტივები. შეკრებილნი მეგობრულ, ხმაურიან კამათში თამამად და პირუთენელად უწუნებდნენ ან უწინებდნენ ერთმანეთს ნამუშევარს, დასახულ გეგმებს. ლაპარაკობდნენ მომავალ შეხვედრაზე, ერთმანეთს სტუმრად ეპატიებოდნენ. ერთი სიტყვით, ეს იყო კარგი ამხანაგების შეხვედრა მძიმე გამოცდის შემდეგ, როცა ყველანი აღელვებით და სიხარულით უზიარებდნენ ერთმანეთს თავის გამოცდილებას, დარდს, ფიქრს, სიხარულს. და საცა უფრო ხმამაღალი, ცხარე იყო კამათი, სადაც უფრო ნათლად იგრძნობოდა ცხოვრების ძალა, გაბედულება — იქ იყო გედეონ ვარამაძე.

მაგრამ როგორ გაუკვირდათ შეკრებილთ თათბირის სადღესასწაულო, საზეიმო ტონი და განწყობილება!

ეწყინა გედეონს, როცა დარწმუნდა, რომ მისი ანგარიში და გეგმები სულაც არ იყო დღის წესრიგში. საქმიანი თათბირის ნაცვლად, სადაც უნდა ელაპარაკათ საქირბოროტო საკითხებზე, ნაკლოვანებაზე, ომით გამოწვეულ ჩამორჩენაზე, ლაპარაკი იყო რაღაც სამაგალითო მიღწევებზე საერთოდ, და რესპუბლიკის სამეურნეო ცხოვრებაში, განსაკუთრებით.



კმაყოფილებით აღსაყვებ კორნელი ლოლაძე ტრიბუნლიდან კეთილად უღიპოდა რაიკომის მდივნებს, აქებდა მათ დაძაბულ მუშაობას, საქმიანობას. მის ნანასავით წყნარ, მონოტონურ ლაპარაკზე გედეონს მოულოდნელად ჩაეძინა...

ამხანაგებმა გააღვიძეს. კორნელი ლოლაძე ვარამაძეზე ლაპარაკობდა. ერთხანს ვერ გაერკვია გედეონი. ბურანში ეგონა თავი. თანდათან მოვიდა გონს. შუბლი შეეკრა.

„რა საოცარი თვისება ჰქონია ამხანაგ კორნელის... — გაიფიქრა უკმაყოფილოდ, — მე რა გავაკეთე განსაკუთრებული? რაც მევალეობდა ვცდილობდი ის შემესრულებინა. განა ყველა კომუნისტი ასე არ იქცევა?“

კორნელი ლოლაძე ლაპარაკობდა ვარამაძის მიერ გეგმების გადაჭარბებით შესრულებაზე. გედეონი დეღავდა, მოუსვენრად ტრიალებდა ადგილზე.

„მე კი არა, ხალხი ასრულებდა იმ გეგმებს. ამხანაგო კორნელი, ალბათ თქვენ არ წაგითხზავთ ჩემი მოხსენებითი ბარათი. მე ვწერდი იმათ შესახებ, ვინც თავისი მხრებით ატარა ეს სიმძიმე და წინ მიუძღოდა დანარჩენებს. რატომ არაფერს არ ლაპარაკობთ ნიკო ხელაშვილზე? მე ხომ ვწერდი იმის შესახებ? თქვენ უნდა იცოდეთ, რომ ხელაშვილი იყო ყველა საგმირო საქმის წამომწყები. რა საოცარია, რომ თქვენ არ ახსენებთ მათ, ხალხს“... — ეკამათებოდა გულში გედეონი ლოლაძეს.

ლოლაძე კი ახლა ფრონტზე თვითმფრინავების, ტანკების და ეშელონის გაგზავნის შესახებ ლაპარაკობდა. ლაპარაკობდა ისე, თითქოს ეს ყველაფერი მხოლოდ გედეონის დამსახურება იყო. თითქოს არ არსებობდა ის ხალხი, რომელიც აგებდა იმ ტანკებს და თვითმფრინავებს, რომელმაც არა ერთი და ორი ცხარე ცრემლი გაატანა სიყვარულით და მშობლიური მზრუნველობით შეკრულ ამანათს, ხალხი, რომელმაც დატვირთა ეშელონი, გაატარა ეს ეშე-

ლონი ომის ქარცეცხლში და შემდეგ ბით მიიყვანა დანიშნულ ადგილს.

„მე ახლავე ავილებ სიტყვას და ვიტყვი ყველაფერს. მე შევიტან შესწორებას. რადგან ამხანაგ ლოლაძეს ჩანს არ წაუტოხავს ჩემი ბარათი, არც ეცოდინება რამდენი ნაკლია ჩემს მუშაობაში. მე ვილაპარაკებ ყველაფერზე და, რაც მთავარია—ხალხზე. მე ვიტყვი ნიკო ხელაშვილზეც, მარიამ ხიმშიაშვილზეც და სხვა მათ მსგავს შესანიშნავ ადამიანებზე. ამხანაგ ლოლაძემ არ იცის ან დაავიწყდა, მე გაეახსენებ, ვიტყვი ყველაფერს, სხვანაირად არ შეიძლება, შეუძლებელია!“

კორნელი ლოლაძის გამოსვლაში კი უხვად ისმოდა ვარამაძის მიმართ: „მებრძოლი ამხანაგი“, „თავდადებული“, „განსაკუთრებული“, „გმირული“, „მისაბაძი“ და სხვა ამისთანები.

გული უწუხდა გედეონს. გრძობდა როგორ აეწვა ყურები.

„ვიტყვი. ახლავე მოვითხოვ სიტყვას და ვიტყვი ყველაფერს, სხვანაირად არ შეიძლება, არა, არა...“ — იმეორებდა გულში გედეონი და რაც უფრო მეტს იმეორებდა, რაც უფრო მეტს არწმუნებდა თავის თავს „სხვანაირად არ შეიძლება“, იმდენად უფრო აკლდებოდა გამბედაობა, იმდენად უფრო დაქვედა თავისი გადაწყვეტილების სისწორეში. ბოლოს, როცა გადაწყვიტა ადგომა და წამოიწია, თითქოს ვიღაცამ ხელი ჰკრა და მიაქვდა ადგილს.

„ზრდილობა დაგავიწყდა? ხელმძღვანელი ლაპარაკობს. ახლა თქმა რას ეშვენიება? რა არის ეს, პროტესტი? ვის ან რის წინააღმდეგ? ნუთუ არ გესმის რა უადგილოა ეგ პროტესტი? დაწყნარდი. მოუსმინე. იქნებ სხვას უფრო შენზე მეტად აქებენ. დიანჯად მოუსმინე და სათქმელი თავის დროზე თქვი წყნარად, მოფიქრებით, დალაგებით. რას ტრიალებ? მთელი დარბაზი შენ მოგჩერებია. იქნებ შენ სცდები და კორნელი ლოლაძე სწორად სჯის? კარგად იფიქრე, აწონ-დაწონე...“

რა ჰქონდა გედონს ასაწონ-დასაწონინ? რატომ არ გაჰყვა სინდისის ხმას? რამ შეაშინა და მიაჰყედა ადგილს? რამ შეტრა და შებორკა?

სადღაც გონების მიუვალ კუნჭულში მიძინებულმა ჰქამ გაიღვიძა და აფუთფუთდა...

„ხომ ხედავ, შენზე მეტად აქ არავის აქებენ. შენ ყველაზე კარგი რაიკომის მდივანი ხარ. შენ ხომ პროფესურის თვალი იყავი? მოსკოვს ხომ იმიტომ გაგვგზავნენ, რომ უკეთესთაგანი იყავი. შენ სული და გული ხარ ლელიანის რაიონის, განა არ იცი?“

„არა, არა, მე უსათუოდ გამოვალ. რალა თქმა უნდა, გამოვალ როცა ამის დრო დადგება... უნდა ვამოხვიდე“. — ეკამათებოდა თავის თავს გაუნძრევლად მუდღომი გედონი, მაგრამ იცოდა, რომ არ გამოვიდოდა, სათქმელი თითქოს გადაავეიწყდა. „მერე. ცალკე მოველაპარაკები“... გადაწყვიტა მან უიმედოდ.

კამათი სულაც არ იყო. როგორც სჩანდა, წინასწარ დავალებული ორიოდ მოხსენება მოისმინეს კიდეც და მერე, სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის წინასწარ გამზადებული ღონისძიებანი წაიკითხეს...

თათბირი დამთავრდა.

კორნელი ლოლაძემ მეგობრული ღიმილით მიიწევა გედონი მაგიდასთან, ხელი მაგრად ჩამოართვა.

ჰირის ოფლი დაასხა გედონს, ლოლაძე კი ეუბნებოდა:

— გამზადარხართ. თავს მოვლა უნდა. შესანიშნავი ქალიშვილი გყოლიათ. თქვენი ოჯახი სწუხს, გედონი მთლად მოწყვეტილია ჩვენგანო... მალე თბილისში გადმოვიყვანთ. მანამდე კი დაისვენეთ, კისლოვოდსკში წადით...

ეს ყველაფერი ხმამალა უთხრა და ვიდრე გედონი პასუხს მოიფიქრებდა, ლოლაძემ ხელი გაუწოდა, დაემშვიდობა.

— მე თქვენი ნახვა მინდოდა... სულ სხვა, მეტად საჭირო საქმე მაქვს... — უთხრა გონს მოსულმა გედონმა.

— კეთილი. მამ ამ დღეებში გამოგაგზავნის... — უთხრა ლოლაძემ, კვლავ მეგობრულად გაუღიმა და წაიდა.

გედონი შემოტრიალდა. მარტო იყო. იგრძნო, რომ ამხანაგები მოერიდნენ, მაგრამ ეს მათი ტაქტით და ზრდილობით კი არ ახსნა, ეგონა ლოლაძის დაპირება, მასთან მეგობრული მუსაფი შეშურდათ. მართლა ვადაღლილობის ბრალი იყო, თუ საძაველ გუნებაზე იყო, თავისი თავი შეეზარა, გარშემოც ყველაფერი უფერული მოეჩვენა.

შორიდან ესმოდა გედონს ამხანაგების გუგუნნი და მოეჩვენა, რომ მასზე ლაპარაკობდნენ, რალაცაზე კიცხავდნენ. გაქრა ის უშუალობა და სითბო, რომელიც თათბირის დაწყებამდე ათამაშებდა მას. ის-ის იყო წასვლა დააპირა რომ სწორედ ამ დროს ლოლაძის თანაშემწე მიუახლოვდა, ხელი მაგრად ჩამოართვა, მიულოცა. ლელიანის რაიონი ისახელებდა ვარამაძეს უმალესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად...

ნელა, ამხანაგებს რომ არ დასწეოდა, ნელა წაიდა გედონი გასასვლელისკენ. შინისკენ გაემართა.

ჩანდა უცდიდა დოფა. გაბრწყინებული კიბეებზე შეეგება. ვილაც ნაცნობებმა ტელეფონით უკვე შეატყობინეს ახალი, სასიხარულო ამბავი და სახტად ღარჩა დაღვრემილი ქმარი რომ დაინახა.

ამოდ შეეცადა გედონი აეხსნა ცოლისათვის, რომ სცდებოდა კორნელი ლოლაძე. ისე ცხარედ უხსნიდა, თითქოს უნდოდა თავისი თავიც დაერწმუნებინა ამაში. დოფინემ კი მცირე ხანს უსმინა და მერე მზრუნველობით დაადო შუბლზე ხელი.

— შენ დაღლილი ხარ, გენცვა, დასვენება გჭირია. რა უცნაური აზრები მოგსვლია თავში? ან როგორ ბედავ კორნელი ლოლაძის სიტყვები ეპეის ქვეშ დააყენო? ჯერ ერთი, ის უფროსია და მეორეც — ის საყოველთაოდ აღიარებული ჰკვიანი კაცია. შენ არ აფასებ შენ თავს, იმას კი სცოდნია შენი ფასი. რას დაგიყენია ის რალაცა გეგ-



მები? იმან შენზე უკეთ არ იცის? ვინც შემოგხედავს — ფიქრებს ამ კაცს ნამდვილად გეგმები არ შეუსრულებია და სამსახურიდან მოუხსნიათო. სად გაგონილა, ვის უნახავს კაცი სწუხდეს — გეგმები შევასრულო? გადაღლილი ხარ, გენცვა, თვარა მაგისთანა სისულელე არ მოგვიდოდა თავში. ანდა იმისი არ იყო! რა მნიშვნელობა აქვს ვისი ინციტრით გაიგზავნა ფრონტზე ეშელონი იყო, თუ ტანკი?! შენ რომ არ ყოფილიყავი რაიკომის მდივანად, რა იცი გაკეთდებოდა ეგ საქმე? ის ვილაცხელაშვილიაო, იმისთანა კოლმეურნეობის თავმჯდომარე ქვეყანაზე ათასია და შენისთანა რაიკომის მდივანი კი, ხომ გაოგონე დღეს? — ერთია, გენცვა! და თუ ღმერთი გწამს, უსაქმური კაცივით სახლადერთო საქმეს ნუ გაიჩენ, ქვეყანას ნუ გააცინებ. იცი რას გეტყვი? ის ტყვილა-უბრალოდ ამგვარ შეფასებას არ მოგცემდა. ნამდვილად დაწინაურებას გიპირებენ. ხომ ვახსოვს, ჩემო გედუ, როგორ მეჩხუბებოდი? ხომ გამოვიდა ჩემებურად? სწორად მოვიქეცი, რომ არ წამოვედი რაიონში. ახლა შენც აქეთ გადმოგიყვანენ და...

ციბრუტივით ტრიალებდა უკვე ჩასუქებული, დამრგვალებული, ნებიერი დოფა. ხან მოსამსახურეს ეკამათებოდა მაგიდის გაწყობაზე, ხან ქმარს ელოლიაევებოდა, ხან ტელეფონთან ვარბოდა, ვახარებული ელაპარაკებოდა ვილაც მეგობრებს.

მოულოდნელი არ იყო გედონისათვის, რომ მოფუსფუსე დოფასაგან ვერ გაიგონა ვერც ერთი საქირო სიტყვა, ვერ იგრძნო ახლობელი ადამიანის სითბო და თანაგრძნობა.

მოულოდნელი არ იყო იმიტომ, რომ გარდა იმ შორეულ, გიჟმაყ ახალგაზრდობაში ფოთის სანაპიროზე შეხვედრის და საბედისწერო გატაცების წუთებისა, ამ ქალთან ვერავითარი სულიერი ერთობა ვერ დაამყარა.

დაბალ რბილ ტახტზე წამოწოლილი გედონი თვალს ადევნებდა ცოლს, ყურს უგდებდა ხან მის ლაპარაკს, ხან

გულის სიღრმიდან დაძრულ ტყვეობაში აქამდე ყოველთვის ახერხებდა ამ გულისტყვილის დამორჩილებას. არ უნდოდა ამ ტყვილის მიზეზის გარკვევა. ამაზე ფიქრს ყოველთვის იცილებდა თავიდან.

აქი ბავშვობიდანვე უყვარდა გედონს გაუგებარის გაგება და ახსნა? აქი არავითარ სიძნელის წინაშე არ დაუხვევია? აქი ყოველთვის ყოფნიდა ვეჟაკობა თავისი შეცდომა დაენახა და გამოესწორებინა? აქ კი, თავის ბიარად ცხოვრებაში ყველაფერი გაუგებარი იყო, და არც უნდოდა გაგება. აქ, საკუთარ ოჯახში, დოფას წინაშე უკან დაიხია. ეშინოდა, არ უნდოდა გამომტყდარიყო, რომ ბიარად ცხოვრებაში სასტიკად შესცდა, დამარცხდა. არ უნდოდა შეცდომის აღიარება, რადგან მისი გამოსწორება შეუძლებლად მიაჩნდა.

ოო, როგორ ეზარებოდა გედონს ამაზე ფიქრი ყოველთვის, და ახლა განსაკუთრებით, მაგრამ სწორედ ახლა ველარ დააღწია თავი ამ ფიქრს. ძილს ნატრობდა. თვალები დახუჭა, მაგრამ იმავ წამს გონების თვალწინ ისეთი საოცარი სიცხადით დაეხატა წარსული, თითქოს გარეშე მაცურებელი ფეხდაფეხ მისდევდა მისი ცხოვრების დინებას.

...მზეხვით დაატყდა მოსკოვში ფეხმძიმე ქალი. იმ დროისათვის გედონს უკვე დანელებული ჰქონდა ის ქაბუტური გატაცება, მაგრამ მოვალეობაც იგრძნო და უსაზღვრო სიბრაულოიც, რადგან სჯეროდა დოფას წრფელი სიყვარული, სწამდა დოფა ისეთი, როგორაც დაეცა ის აჩვენებდა თავს. მაგრამ დააკანონა თუ არა მამანის საერეისტრაციო დავთარმა მათი სიყვარული, იმ დღიდანვე გამოიჩინა დოფამ თავისი ნამდვილი სახე. ახლა, რაკი მიზანს მიაღწია, აღარაფრის არ ეშინოდა დოფას, აღარც თვალთმაცობით იწუხებდა თავს. მოუვრიდებლად გამოამტყდავნა თავისი ჩვევები, მიდრეკილებანი, თავისი „სიყვარულის“ პრაქტიკული მიზანი.

მიუხედავად ამისა, მინც დღეხანს სჯეროდა გედონს, რომ მათი ახალგა-

ზრდობა, ერთმანეთისადმი პატივისცემა, წრფელი მეგობრობა და ჯანსაღი გარემო უშველიდა დოფას. იმედი ჰქონდა გედეონს, რომ დაავიწყებდა ახალგაზრდა ცოლს მის საჩოთირო ჩვევებს, შეეყვარებდა შრომას და სწავლას, გაუღვიძებდა ახალ ინტერესებს ცხოვრებაში. მაგრამ ვადიოდა დრო და გედეონი რწმუნდებოდა, რომ დოფინეს გამოსწორება შეუძლებელი იყო. რწმუნდებოდა, რომ ის რაც მიუღებელი იყო მისთვის და მისი წრის ხალხისათვის, სწორედ ის იტაცებდა დოფას, ის იყო მის ხასიათში, მის სისხლ-ხორცში. გედეონის ყოველგვარი ცდა, მიმართული ამ სათაკილო თვისებების დასაძლევად უშედეგოდ რჩებოდა, უფრო ხშირად კი იწვევდა დოფას მხრივ თავშეუქცევებელ სიკაპასესს, ან აშკარა დაცინვას.

სიკვდილივით განიცადა გედეონმა დოფასთან დამარცხების სირცხვილი. თავმოყვარეობის საკითხი იყო, და არც არაფერს გაუზიარა, დარდი გულში ჩაიკლა. როგორც მოულოდნელად თავდატეხილ ქალს შეუღლეობა გაუწია, ახლაც იმავე მორალით გადაწყვიტა: — დოფა ჩემი მეუღლეა, ჩემი შვილის დედაა. ახლა აღარაფრის შეცვლა აღარ შეიძლება.

და ნამდვილად ოჯახის ერთგული იყო გედეონი. მხოლოდ დოფას წვილკივილს და უმიზეზო ჩხუბს თავს არიდებდა, ცდილობდა რაც შეიძლება მცირე ხანს დარჩენილიყო შინ. პირველ ხანებში დოფას ეგონა, რომ გედეონმა სხვაგან იპოვნა სასურველი ბინა და მოემზადა უჩინარ მოქიშპესთან საბრძოლველად. ფარულად უთვალთვალა ქმარს, მოხერხებულად გამოიძია სად დადიოდა გედეონი, ვისთან ატარებდა დროს, ან რას აკეთებდა. ბოლოს დარწმუნდა, რომ გედეონს არც დრო ჰქონდა ქალებთან სამეგობროდ, აღარც ხალისი. დარწმუნდა დოფა, რომ საქმიანი ურთიერთობის გარეშე გედეონი ქალებთან ზღარბივით ეკლიანი, უფერული და ცივი იყო. ირწმუნა დოფამ, რომ მის ოჯახურ მდგომარეობას არავითარი საფრთ-

ხე არ მოელოდა. ახლა უკვე უშეშრად სტოვებდა ქმარს ხანგრძლივად მარტოდ. ამხანაგებს თამამად და გამომწვევად არწმუნებდა: გედესთვის ჩემს გარდა ქვეყანაზე ქალი არ არსებობს.

ის კი არ იცოდა დოფამ, რომ თუ კი ოდესმე გედეონის ყურადღება შეჩერებულა რომელიმე ღირსეულ, სამეგობრო ქალზე, მყისვე დოფასთან საბედისწერო შეხვედრის მოგონება შავ ფარდასავით დაშვებოდა მის წინ, ჩაუბნელებდა ყოველივე ნათელს და მზიანს.

კარგა მოგვიანებით იგრძნო დოფამ, რომ გადააპარბა, რომ შესძლედა ქმარს. სხვას ეს მაინც დააფიქრებდა, შეეცდებოდა ოდნავ მაინც მოეგო ქმრის გული, მაგრამ დოფა... უმწურო სიკაპასისაგან დოფამ კიდევ უფრო აუწია ხმას, უმატა ფინიანობას. ისე გამაყვარა გედეონი, რომ შინ შესვლა შეაზარა. კაცი მხოლოდ მაშინდა სუნთქავდა თავისუფლად, როცა სადმე შორს იყო საკუთარი ოჯახიდან...

ქმრის „ურჩობის“ მოსატეხათ, დოფამ თავიდანვე ბავშვიც მოიმარჯვა.

ბავშვი?! ვანა შეეძლო გედეონს გარეგნულად გამოეხატა უსაზღვროდ ძლიერი და ნაზი გრძნობა პატარა ლიანასადმი? იმას ეკუთვნოდა მთლიანად გედეონის მშობლიური გრძნობაც, დაუხარჯავი სითბოც და სიყვარულიც. ეგონა, მისგან იგრძნობდა გულისხმიერებას, რაც ასე უსამართლოდ დააკლდა გედეონს ცხოვრებაში.

მაგრამ საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნვით გატაცებული, საოცარი ქალი უმოწყალოდ ჩადგა მამა-შვილს შუა. იმდენჯერ მოიშველია ბავშვი მამის წინააღმდეგ, იმდენჯერ გამოიყვანა პაწაწინა გოგო უდანაშაულო მამის ბრალმდებლად, რომ ეს სიხარულიც გაუწყვარა და წაართვა გედეონს. საყვარელი ბავშვის გახსენებაზე გედეონი უნებურად იგრძნობდა ხოლმე მთელ ტანზე დახვეულ უჩინარ ბორკილს. იშვიათ თავისუფალ წუთებში ბავშვისთვის სააღერსო სიტყვის მოძებნაც კი გაუქირადა.





ბავშვი, ვიდრე პატარა იყო, გერ ერკვეოდა დედ-მამის ურთიერთობაში. მხოლოდ იმას ხედავდა, გამოცდილებით იცოდა, მიეჩნეოდა, რომ მამის შინ არ ყოფნის დროს დედა კარგ ხასიათზე იყო. დედა მღეროდა, ეთამაშებოდა, ლამაზად გამოწყობილი ლიანა სასეირნოდ დაჰყავდა, ანებებდა. მამის შინ მოსვლის წუთიდან კი დედა ჩხუბობდა, ყვიროდა ან ტიროდა, ლიანას უჩუმრად ჩქმეტდა, რომ აეტირებინა. ძვირად სანახავე, შუბლშეკრული მამა არ მოსწონდა ბავშვს და თანდათან მოერიდა, ახლოს არ იყარებდა.

მაგრამ ბავშვი გაიზარდა. მანამდე ტყუილ-მართლის გამრკვევი დედა იყო, ახლა კი წამოიზარდა გოგონა, თანდათან თვითონ გაერკვია გარემოში, დედ-მამის დამოკიდებულებაში და... ასეთი დასკვნა გამოიტანა: თუ უსიტყვოდ სრულდება შენი ყოველგვარი მოთხოვნა — შშობლები კარგები არიან და შენც ალერსიან, მოსიყვარულე შვილად უნდა მოაჩვენო თავი. თუ შენი სურვილის შესრულებას რაიმე ეწინააღმდეგება, მაშინ დედისგან კარგად შესწავლილი ხერხი მისწრებაა, წივილ-კვივლით, ისტერიკით გაიტან შენსას...

განა არ უყვარდა ლიანას მამა? უწინდელი გულამრეზილობა თანდათან დასძლია. ახლა სტუმარივით იშვიათ სანახე ნამის სიხარულით ხვდებოდა. ამაყობდა კიდევაც ახალგაზრდა ლამაზი მამით. ხან დეპრესიას უგზავნიდა, როცა მამა შორს იყო, ხან დაურეკავდა, როგორა ხარო, თუმცა რატომღაც ეგონა, რომ არ შეიძლებოდა მამა ცუდად ყოფილიყო. კახეთში რამდენჯერმე ინახულა კიდევაც. მართალია, ამისთვის არდადეგებს არ იმეტებდა, მამა შემოდგომობით მოენატრებოდა ხოლმე, რთვლობას. სკოლის გაცდენა არ აწუხებდა, ამის მოგვარებას დედა იოლად ახერხებდა. ლიანა ამხანაგებით ჩადიოდა რთვლობას. კახეთის გულუხვობით გულს იყვრებდა, მერე უცებ გადაჰკოცნიდა მამას, მანქანიდან ცხვირსახოცს დაუჭნევდა და გაქრებოდა. საერთოდ კი მამა არსე-

ბობდა განყენებულად. არსებობდა იმისათვის, რომ შვილს არათერე სიყვითლე არ დაჰკლებოდა. იქნებ ლიანამ არც კი იცოდა, რომ მატერიალური უზრუნველყოფის გარდა მამებს სხვა, გაცილებით უფრო დიდი მოვალეობაც აქისრიათ. ყოველ შემთხვევაში ლიანა მეტად კმაყოფილი იყო თავისი ბედით. ცხოვრება მისთვის სასიამოვნო გასართობებისაგან შესდგებოდა. ყოველგვარ მოსალოდნელ უსიამოვნებისაგან მამის ცნობილი სახელი ფარავდა და მზრუნველი დედის კალთა. ამიტომ გაიზარდა უღარდელი, ნებიერი, ეგოისტი.

ამიტომ იყო, რომ აპოლინა და ივანიკას შვილს, გედეონს, არ უყვარდა დოფაზე და ლიანაზე ფიქრი. მაგრამ სიკვდილამდე სიხარულით ატარებდა გედეონი თავის მძიმე ჯვარს, ოღონდ ახლი, თათბირიდან დაბრუნებულს, ახლა მაინც გაეგონა ერთი საჭირო სიტყვა. თუნდაც ჩვეული სიკაპასით დასტეხოდა თავს დოფა, ხელი ეკრა, გაეგდო სახლიდან, ოღონდაც ეთქვა — წადი, ნახე კორნელი ლოლაძე, ელაპარაკე. მოიხსენი ეგ ტვირთი და ხვალ ისევ გელიმებულმა თამამად შეხედე ამხანაგებსო, მაგრამ... სასწაული არ მომხდარა.

— დალილი ხარ, გენცვა, და ამიტომ მოგდის თავში სულელური აზრები. რა უფლება გაქვს ეცვი შეიტარო ხელმძღვანელის სიტყვებში? შენ არ აფასებ შენს თავს, თვარა... — ტიტინებდა ქმრის ბრწყინვალე პერსპექტივებით დამტკბარი ცოლი...

გვიან ღამე შემოესმა კიბეზე მსუბუქი ნაბიჯები. ლიანა მოვიდა. წყალწალბულის იმედმა ელვასავით გაუნათა დაბურული გული გედეონს, ასადგომად წამოიწია, მაგრამ ქალიშვილის ხმამ დაასწრო:

— მამიკო, მამა, მართლა გადმოვიყვანეს თბილისში? რა თანამდებობაზე? — კარიდანვე პირველად ეს იკითხა მან, გზა და გზა დაყარა პალტო, ქუდი, საფულე, ხელთათმანები; ყელსახვევა და ახალგაზრდა დოფასავით ლამაზი, მაკდური, გამოქანა ტახტისაკენ.

გედეონს თავი ისევ ბალიშზე დაუვარდა. თვალის კუთხიდან ჩამოგორგებული მძიმე ცრემლი საფეთქელთან თმას შერჩა ზეთის წვეთივით.

— გძინავს? — მოესმა ლიანას ხმაში წყენა, თითქოს უდაოდ საწყენი იყო, რომ მამა კარებში არ შეეგება შვილს. ის, რომ ძვირად სანახავ მამის ხათრით მისივე შვილი დროზე მოსულიყო სახლში და მამას შეეგებებოდა — ეს აზრი არასდროს არც მოსვლია თავში ლიანას.

— არა მძინავს! — მოულოდნელად წამოდგა გედეონი, ორივე ხელები დაუკირა შვილს და თვლებში ჩახედა. — მე რაიონში ვბრუნდები. ლია, წამოდი ჩემთან...

ქალიშვილმა გაკვირვებით ასწია წვრილი წარბები.

— რაიონში? — იკითხა იმედგაცრუებული, — რა უცნაური ხარ, მე იქ რა მინდა?

— იქ, საქმე ბევრია, ლია, წამოდი, ეს ერთი თხოვნა შემისრულე, წამოდი. არ მოიწყენ. გაგაცნობ შესანიშნავ ხალხს. ბევრს ნახვე სინტერესოს. არ ინანებ, წამოდი, ლია, წამოდი... — როგორც ბავშვი დიდს, ისე ემუდარებოდა გამშრალი ტუჩებით. ლია შეკრთა. რაღაც უჩვეულო ცხელმა ტალღამ აუვსო ცივი გული. რაღაც გაუგებარ ტკივილს მიუხვდა, რაღაც უსაზღვროდ კარგი, ალერსიანი უნლოდა ეთქვა. ეგებ კიდევაც ეთქვა — წამოვალ, მაგრამ...

დღიანეშემოყრილ დოფას დამცინავმა სიცილმა ჩააჭრო მამა-შვილს შორის უცრად ანთებული ნაპერწკალი.

— ნამდვილად გადარეულხარ, ჩემო გედე! შენ თუ არ გხურს შენთვის სიკეთე, იჯექი იმ შენს რაიონში. ამ გაგანია სწავლის დროს, სად ეპატიეები ბავშვს?

გალახულივით დაუშვა გედეონმა ხელები.

— ცოტა... ცოტა ხნით მაინც რა იქნება? ჩემთვის... — ჩაილაპარაკა უმწყეოდ.

— ძლივს მოვაწყვე ბავშვი ინსტიტუტში, შენ ხომ არ შეიწყუხებდი თავს?! რომ ღირდეს, კი ბატონო, გააცდინოს

სწავლა, მარა რის გულისხმობს? უჩემოდ ეგ ბავშვი ვერსად ვერ იგარგებს და მე კი, გენცვა, რაიონში კი არა, ექიმები საეკურნალოდ მოსკოვს მირჩევენ წასვლას. თუ ღმერთი გწამს, ბავშვს ნუ გადაშირევე, მოეშვი!

ლიანამ სახე მოარიდა მამას.

— კიი, მამა, არ დადებებზე ჩამოვალ... ახლა ხელი შემეშლება და შენც გაგაწვავლებ... — წაილულულა მან.

— მომისმინეთ! — დაიყვირა მოულოდნელად გედეონმა და მაგიდას ხელი ისე დაჭკრა, რომ წყლის ჭიქა ლამბაჭზე აწყრაილდა. — არავითარი „დიდი თანამდებობა“ მე არ მინდა, გესმით? მე იქ ყოფნა მირჩევნია. მე სიყვდილამდე იქ დავრჩები და თქვენ კი... — აღარ დაამთავრა, სახლიდან წავიდა, იმავე ღამეს ლელიანში დაბრუნდა.

როგორც უნიათო სტუმრობიდან მიიჩქარის კაცი თავის საკუთარ, მყუდრო სახლში, ისე მიიჩქაროდა გედეონი თბილისიდან ლელიანში. მიდიოდა, მთელი გზა მხოლოდ ლელიანზე ფიქრობდა. უყვირდა, რომ აქამდე არ შეუენიშნავს მთავარი. ახლა პირველად იგრძნო, რომ იმ დიდ რაიონში პირველი იყო, რომ იქ მისი სიტყვა ყველასათვის კანონი იყო.

ლელიანში ჩასვლისთანავე ვარამაძემ რაიონული პარტიული აქტივის კრება მოიწვია.

რადგან თბილისის თათბირიდან საქმიანი და ხელშესახები ვერაფერი გამოიტანა, ამიტომ მისი პატარა მოხსენებაც მხოლოდ ვანვლილი მუშაობის მიმოხილვით და მიღწევების ჩამოთვლით ამოიწურა. ამასთან, აღარც მიღწევები და აღარც თავისი როლი ამ მიღწევების მოპოებაში აღარ მიაჩნდა ვაზვიადებულად.

ლევულებრივ ყოველი მისი მოხსენების გარშემო ცხარე კამათი აღტყდებოდა ხოლმე, ამჯერად კი ეს სიციხარე ცივიმ დუმოილმა შესცვალა. რატომღაც სათქმელი არავის არ აღმოაჩნდა.

ვარამაძემ დარბაზი შეათვალეირა და ნიკო ხელაშვილის ჭკვიან გამოხედვას შეეფეთა. საოცარი უხერხულობა იგრძ-

ნო. იცოდა ხელაშვილის წონა და ფასი. თითქოს რაღაც დანაშაულის გამოსწორება უნდაო, თხოვნით მიმართა:

— ამხანაგო ნიკო, თქვენ მაინც გეტყვით რამე...

— ძნელია რამის თქმა, მაგრამ თქმა მაინც სჯობს უთქმელობას, ამხანაგო გედეონ... — წამოდგა ხელაშვილი, — ძნელია იმიტომ, რომ დაჩვეული არა ვართ თქვენს ასეთ გამოსვლას...

— როგორს? — ნერვულად იკითხა გედეონმა და მთელი თავისი გულისყური დაძაბა, რადგან იცოდა სიტყვაძვირ ხელაშვილის ნათქვამს კარგი გამგონი სჭირდებოდა.

— ძველზე სადაო რა გვაქვს? მიღწევებსაც არავინ გვართმევს. კამათს ახალი სიტყვა და აზრი სჭირია...

— მაშ თქვენ არ მოგწონათ ჩემი მოხსენება? — არც უგრძენია, ისე გამოერთა ვარამაძეს ისეთი უჩვეულო კოლო, რომ დარბაზში საოცარი სიჩუმე ჩამოვარდა.

— არა. — გაუსწორა თვალი ხელაშვილმა მდივანს.

— აი კრიტიკა, — მესმის! — შეეცადა ვარამაძე დაეძლია რაღაც უსიამოვნო გრძნობა, — მაშ გადავდოთ ჩვენი საუბარი შემდეგისათვის. უკეთესი მოხსენება და კრიტიკა მოვისმინოთ... — თქვა და თვალი აარიდა პარტიაში ახლად მიღებულ ახალგაზრდა მასწავლებლის, ბაადურ ბექაურის გაკვირვებულ გამოხედვას. ნაჩქარევად დახურა კრება.

ერთმანეთზე დამდურებულებივით გაიყარნენ ერთმანეთისაღმძი უკმაყოფილო რაიკომის მდივანი და პარტიულ აქტივზე შეკრებილი ხალხი. ნაწყენი გედეონი ყველას მოერიდა, კაბინეტში განმარტოვდა.

შეიძლება ამის გამო ესიამოვნა გედეონს, როცა რაიონულმა გაზეთმა ვრცელ სტატია დაბეჭდა თბილისში ჩატარებული თათბირის შესახებ. რედაქტორს კარგად ახსოვდა ვარამაძისგან მიღებული საყვედური, როცა პირველად მისი ქება დაბეჭდა, მაგრამ ახლა სხვა

მდგომარეობა იყო. ვარამაძე ჭყყოველთაოდ აღიარებული ხალხის წარმომადგენელი იყო — უმიღწესი საბჭოს დეპუტატი. თუ ვარამაძე მაინც გაუწყობებოდა, რედაქტორი თავს იმართლებდა იმით, რომ უხერხულად მიაჩნდა ამხანაგ ლოლაძის სიტყვის უგულვებელყოფა. სტატია აქრელბული იყო ეპიტეტებით: „მებრძოლი“, „თვადადებული“ „სანიმუშო“ და სხვა ამისთანებით. რაიონის მიღწევები ახსნილი იყო მხოლოდ რაიკომის მდივნის კარგი ხელმძღვანელობით. სიტყვაც არ იყო თქმული კოლმეურნეთა თავგანწირულ შრომაზე, კოლმეურნეობის თავმჯდომარეთა ინიციატივაზე, მათ მორაგანიზებელ მნიშვნელობაზე.

რადგან ამ სტატიის გამო უსიამოვნება აღარ შეხვედრია, რედაქტორი გათამამდა. გაზეთის ფურცლებზე გახშირდა ვარამაძის ფრაზების განმეორება, მისი სახის აღბეჭდვა კომპაინთან, ვენახში, მინდვრებში, პლანტაციებზე. ჩანდა, გაზეთი დაწმუნებული იყო, რომ ყველაფერი რაც ლელაიანის რაიონში არსებობდა ან ხარობდა — მხოლოდ გედეონ ვარამაძის წყალობით.

გედეონი განაგრძობდა დაუღალავად და ენერგიულად მუშაობას.

კორნელი ლოლაძეს ალბათ უფრო მნიშვნელოვანმა საქმეებმა დააღიწყეს თვალიდან დაშორებული რაიკომის მდივანი.

ცოლ-შვილი კი ზამთრობით ქალაქს ვერ სცილდებოდა, ზაფხულობით სეზონურ აგარაკებზე სიარულს ვერ ასდიოდა. იმიტომ გაუკვირდა გედეონს, როცა ერთხელ საქმეში გართულს, თავს წამოადგა ქალი. თვალებს არ დაუჯერა. შეკრთა. ეგონა მოსკოვის ამბავი განმეორდაო. მაშინდელივით მოულოდნელად დაატყდა თავს დოფინე. ცოლ-ქმარი მიესალმნენ ერთმანეთს. მერე გედეონმა შვილი მოიკითხა და ლაპარაკი გაწყდა. ამოიწურა. აღარაფერი შირებდა მათ.

გედეონმა თათბირი მთავრების მიღიან ქალს, თამარ

2069



გადააბრა, სთხოვა ბინაზე მიეცილებინა და ყურადღება მიიქცია მისთვის.

— ჩემი გედე რესპუბლიკაში ყველაზე უკეთესი მდივანია, გენცვა!.. — ქაქუნებდა დოფა გზადაგზა. — იცის თუ არა რაიონმა როგორ უნდა იზრუნოს და მოუაროს გედეონს? გედე რომ არა ყოფილიყო, განა ეს რაიონი მოსახსენებელი იქნებოდა? გედეს უნარს უნდა აფასებდნენ და უფროსილებოდნენ. უნდა ამაყობდნენ, რომ ბედმა ხელმძღვანელად გედეონ ვარამაძე არგუნათ!

სახლში შესვლისას კი ენა ჩაუფარდა დოფას. ბინას შეიძლება დაქირავებული ვინმე უვლიდეს, მაგრამ... „არა, გენცვა, დოფა ამისთანებში ვერ მოტყუვდება, გამოცდილია. ამ ბინას ქალის ხელი ეტყობა და უცხო ქალის კი არა, მოსიყვარულე, მზრუნველი ქალის ხელი. ეს ყველაფერს ეტყობა, ყოველ წვრილმანს, ჰა, ჰა, ჰა... მაშასადამე, გედეონი სულაც არ არის მივიწყებული და მართობელა?“

გაჯაერების ნაცვლად დოფა გაამხიარულა ამ აზრმა. ნამდვილად განგება ეხმარებოდა დოფას. აქეთობას თავს იმტრევედა, არ იცოდა რით და როგორ გამოეგლიჯა ურჩი ჭირისაგან ის, რისთვისაც თავი შეიწყუბა და კახეთის „იმ საშინელ“ მატარებელში იკადრა ჩაჯდომა. ახლა კი უეცრად ყველა სიძნელე გაიფანტა. არავითარი ვარიანტების მოგონება აღარ იყო საჭირო. პირდაპირ მოითხოვეს რაც საჭიროა და აბა გაბედოს გედეონმა უარის თქმა! გულმაიეწყვა დოფამ ისტერიკის და წვილ-კივილის ძალა კარგად იცოდა.

გახარებული დატრიალდა, აცქრილდა დოფა, მდივან ქალს დაუყვავა, დააკვირდა, არ მოეწონა - და მით უფრო წრფელად მიუაღერსა. ხელჩანთიდან აბრეშუმის ლამის პერანგი ამოიღო და გაუწოდა საჩუქრად. თამარს თვალები ცრემლებით აევსო, დოფამ ეს თავისებურად ახსნა.

— აიღე გენცვა, ნუ გრცხვენია, განა მე არ ვიცი? თუ კი ცოლი წლითი-წლობამდე შორს არის, ქმარი რაღა თქმა უნ-

და... მე მეშინება არ გეგონოს, ჩემო კარგო, მხოლოდ ერთი რამე — გამაგონებ უფროსილად იყავი, არავითარ შემთხვევაში ბავშვი არ იყოლიო, თორემ საბჭოთა კანონი ხომ იცი? ზაქსის გარეშე გაჩენილი ბავშვი უკანონოა და... გედეს ამის გამო შეიძლება უსიამოვნება შეხედეს. კორნელი ლოლაძე სასტიკათ სჯის ოჯახის მოლაატეს... აბა, რა არის სატირელი? აკი გითხარი, მე მეშინება არა ვარ მეთქი. სხვას უფროსილად, სხვამ არ გაიგოს, მე კი... მე ძალიან გთხოვ, შემდეგშიც ნუ მოაკლებ ყურადღებას, თორემ ვინ იცის კიდევ ვის გადაეკიდება მარტოხელა კაცი. გატყობ შენ პატიოსანი გოგო ხარ და სხვამ კი შეიძლება დამინაგროს გედე...

დოფას ეჯონა, რომ შიშისაგან გაფითრდა და შეტორტმანდა თამარი. თავის თავი გულში შეაქო, რომ ასე მოთოქა ეს „სოფლელი გოგო“, რომელიც ბარბაცით იხვედა კარისკენ და მკედრისფერ სახეს არიდებდა.

მიუხურა კარი თამარს და ახარხარდა დოფა.

— გედე, გედე, გედე დონ-ქუანი! ქვიანად კი მოქცეულა. ეს ვილაცა უსახო გოგო რომ გამო უ სხნია, შიშისაგან კინაღამ გული წაუვიდა. ძლივს მიბაჯბაჯებს საცოდავი... განზრახ აირჩევედა ამისთანას გედე. მართლაც და ძნელია ვინმემ დაიჯეროს, რომ რაიკომის მდივანი ამისთანას გაუყადრებდა თავს...

ლაპარაკობდა დოფინე, თან ძირისძირობამდე ამოწმებდა ყველაფერს, უკვირდა, რომ გედეს დონ-ქუანობის ვერკითხვითი კვლი ვერ აღმოაჩინა.

— ოო, რა მამამიტი ჩანს ის შეატუხა, და რა ეშმაკუნა კი ყოფილა... მე ვუფროსილებდი, მაგრამ ეს თურმე საჭირო არ არის. ჩანს, საკმაოდ წინადაედულია. ხა, ხა, ხა...

დოფამ კარგად გამოიძია, მერე ბუფეტში შენახული ვახშმით ისიამოვნა და თავწაქრული დივანზე მიესვენა, საჭირო პოზა და გამომეტყველება მიიღო.

დადლილი გედეონი ფეხაკრებით შემოვიდა სახლში. ნატრობდა, რომ ცოლს

არ გაღვიძებოდა, ასცდენოდა მასთან ლაპარაკი. მაგრამ როგორ გაუტყვირდა, როცა დოფა ტანთგაუხდელი, ნამტირალევი და სევდიანი დახვდა.

„მორიგ სპექტაკლს გამართავს“... ვერც კი მოასწრო ამის გაფიქრება გედონმა, რომ დოფამ თმებში იტაცა ხელი იყივლა, იწივლა, იტირა.

— ახლა კი მივხვდი შენი ოჯახისადმი გულის გაციების მიზეზს! მე კი ისე გიჯეროდი, ისე მეცოდებოდი. შენ აქ მყუდროდ და ტკბილად შეწყობილხარ შენს მდივან ქალთან. რაღა თქმა უნდა, ახლა რაღად გინდა ხანში შესული ცოლი, როცა ახალგაზრდა გოგო გვერდში გყოლია! — სლუკუნით და გულისყრით ამბობდა დოფა. — მაგრამ იცოდე; მე ვერ ავიტან ლალატს, თავს მოვიკლავ და საბრალო ლიანა უპატრონოდ დარჩება. ოჯახი, რა ოჯახი გაპარტახდება! მე ჩემი თავი კი არ მეტრალემა, ისევე შენზე ვზრუნავ. ვინ გაპატიებს შენ, კომუნისტს, პასუხისმგებელ პირს ოჯახის დარღვევას და გაუბედურებას? რას გეტყვის კორნელი ლოლაქე, საზოგადოება, შენი სინიდიისი?!

ერთი წამით არ გაუჩერებია ენა დოფას. დააყარა და დააყარა გაოგნებულ ქმარს ცისა და ღვთის რისხვა. ოო, როგორ გულსაკლავად ტიროდა გულმაღვიწყვი დოფა თავის უმანკო ახალგაზრდობას, რომელიც კედეს შეაღია, თავის სილამაზეს, რომელიც ოჯახს და ქმარშეილს შესწირა. ისე შევიდა როლში დოფა, რომ ცრემლების, ნამდვილი ცრემლების ზღვა დააყენა.

უსმენდა გედონი ცოლს და უყურებდა. ხედავდა როგორ შიშვლდებოდა მის წინ აქამდე ნაწილობრივად მაინც დაფარული დოფას ნამდვილი სული, საოცარი ძალით და სიცხადით შეიგრძნო ამ ქალის ფლიდი, თითლიბაზური ბუნება, მიხვდა, რომ დოფა რაღაცა მიხნით სწამებდა ცილს, აზრადაც არ მოსვლია მის წინაშე თავი ემართლებინა. ღონემიხდილი, დაღონებული, ტანსაცმელიანად წამოწვია. თითქოს ამას ელოდებოდა დო-

ფაც, წყრომა დაანელა, ხმას დაუწყო ქმარს სწოლოთან მიუჯდა, ხელი მოხვია.

და ეს მინახებული ქალი წვლანდელ გააშრებულ დედაკაცზე უფრო საძულველი იყო. ვერ აიტანა გედონმა წისი სიახლოვე, ოდნავი შეხებით განზე გასწია და წამოდგა.

დოფას პრიმიტიული გონება ვერ მიხვდა ქმრის ნამდვილ განცდას, მხოლოდ იგრძნო, რომ ახლა მისი ნაცადი ფარხმალი ვერ იმოქმედებდა, შეურაცხყოფილი და ამაყი გამოიმეტყველება მიიღო, საქმეზე გადავიდა:

— დიახ, ვხედავ, რომ შენ ჩემს მიმართ გაცივდი. კეთილი. ამას აღარა ეშველება რა. მე მაინც ვზრუნავ შენზე და არ მინდა, რომ შენი ავტორიტეტი დაიჩრდილოს. საჭიროა გარეგნულად მაინც შევინარჩუნოთ პატიოსანი ოჯახის სახელი. ქვეყანას კვლავ უნდა ეგონოს, რომ შენ ისევე ის მოსიყვარულე ქმარი ხარ, მზრუნველი მამა. ამის გამო უნდა შეგაწუხო. არ იფიქრო, მე ჩემთვის მჭირდებოდეს რაიმე. მე აღარაფერი მინტერესებს ამქვეყნად, ბავშვისთვის ვზრუნავ. ლიანას შესანიშნავი საქმრო ჰყავს. კარგი ოჯახიდან არის, მშვენიერი ყმაწვილია, ზრდილი, თავაზიანი, ლამაზი, ქცევანი. ბიძამისი აქ მუშაობს, შენი რაიონის რომელიღაც კოლმეურნეობაში, ბუღალტერი ბაგრატ დემურიშვილი. ჰო, რას ვამბობდი? და! ცხადია, მე ლიას ვერავის ვერ გავატან, ლია ჩემთან დარჩება ჩემი უბედური სიბერის ნუგეშად. სიძე ჩვენთან ვადმოვა. მე ახლა ისეთ მდგომარეობაში მაქვს ნერვები, რომ ბევრი ლაპარაკი არ შემიძლია. თვითონაც კარგად გესმის, ერთი ბავშვი გყავს და ყველაფრით ხელი უნდა შეგუწყუთ. არ უნდა დაიჩაგროს, ხომ იცი რა ხათრიანი და მოკრძალებული ბავშვია. ლიანას ბედნიერებისათვის საჭიროა, რომ სახლკარი ყველაფრით მოწყობილი და გამართული იყოს, სტუმარ-მასპინძლიანი. ამას კი ცოტა ხარჯი როდი სჭირია! ბოლოს და ბოლოს, შენ რაიონის პატონ-პატრონი ხარ და არ გავიჭირდება შეილის ბედნიერების საფა-

სურად მიტროდენ მაინც შეიწუხო თავი...

— რა გსურს ჩემგან? მე რა მევალე-ბა? — შეაწყვეტინა გედეონმა აუტანე-ლი ლაპარაკი.

— ხომ იცი, რომ ამ პერიოდში წამ-სვლელ-მომსვლელი ბევრი გვეყოლება. ხომ არ უნდა შევრცხვეთ? მომზადებაა საჭირო.

გედეონმა გაკვირვებით შეხედა ცოლს.

— მერე და ვინ გიშლის? მოემზადე. შენ იცი, რომ მე ჩემთვის მხოლოდ მი-ნიმუმს ვიტოვებ, დანარჩენი შენს გან-კარგულებაშია... ერთადერთი, რაც მე შემიძლია, უარს ვიტყვი ამ მინიმუმზე-დაც...

ჩქარობდა გედეონი სახლიდან წასე-ლას, რომ აღარ დაენახა ეს ქალი, აღარ გაეგონა მისი ხმა, ყველაფერზე თანახმა იყო, ოღონდ დოფინე მალე წასულიყო აქედან. დოფინე კი სიცილს ძლივს იკა-ვებდა. რას უშველიდა მის გეგმებს გე-დეონის მინიმუმი და მაქსიმუმი? მან ისევ სვედლიანი გამომეტყველება მიიღო.

— კეთილი. მაგ საქმესაც ისევ მე ვი-კისრებ. ვიცი, შენ არა გცალია და მე დროს არ დაგაყარგვინებ. მე ლემური-შეილი დამეხმარება. ის დიდი შეგობა-რია ჩენი ოჯახის და შენი დიდი პატი-ვისმცემელიც. იმას ბევრი სიკეთე გაუ-კეთებია ჩემთვის და არც ახლა დამზარ-დება. შენ მხოლოდ დაურეკე მას და და-ნარჩენზე არ შეგაწუხებ, ყველაფერს მე თვითონ გავაკეთებ, რა ვქნა, დედა ვარ! — მიიფარა დოფინემ კხვირსახო-ცი თვალებზე.

გედეონი დათანხმდა და გავიდა სახ-ლიდან. როგორც ციხე-სიმაგრეში, ისე მიეჩქარებოდა თავის კაბინეტში. მოუ-თმენლად შეაღო კარი და... შეჩერდა.

კართან ზურგშექცევით თამარი იდგა. რაღაც ქალაღლები შერჩენოდა ხელში, ღრმა ფიქრებში წასულს თვალი მიეპყ-რო ფანჯრისათვის, საიდანაც რაიკომის მდივნის საცხოვრებელი ბინის სახურა-ვი მოჩანდა. კარის გაღება არ გაუვია.

გედეონს კვლავ შემოესმა ერთფუნეს მწივანი ხმა: „მე ვხედავს მცხუნქვს, რამის შეეტუბა გოგო შეგყვარება! ტყუი-ლად ნურც შეეცდები გადაფიცვას! ვერ მომბატყვებ, ვერა! აქ დაქირავებული დამლაგებელი კი არა, მე ვხედავ, აქ დიასახლისის, საყვარლის ხელი ტრია-ლებს, არ გაბედო უარის თქმა!“

გედეონს არასდროს არ მოუტყევიო ყურადღება ამ ქალისათვის. სამი თუ ოთხი წლის წინ, კარგად არ ახსოვდა, კომკავშირის რაიკომმა გამოგზავნა ეს გოგონა მდივანად. ახალი მდივანი ქვიკა-ნი, ბეჯითი და აზრობი ჩანდა. ჩინიბუ-ლად ერკვეოდა საქმეში. მეტი არაფერი არ იყოდა გედეონმა მის შესახებ. ისე ცოტას ლაპარაკობდა თამარი, რომ ხმაც კი არ ახსოვდა მისი.

„ჩემს ბინასთან კი რა კავშირია აქვს ამ ქალს?“ — გაიფიქრა გედეონმა და უც-ბად გაახსენდა. თბილისიდან რომ დაბ-რუნდა, მაშინ დაავალა მდივანს, ეშოვნა ერთგული, სისუფთავისმოყვარული, კე-თილი ადამიანი, ბინისა და მის მოსა-ველლად. მერე შენიშნა, რომ მისი ბინა მყუდრო, ფაქიზი და მოვლილი გახდა, რომ ვიღაც უჩინარი თავისიანივით უე-ლიდა და პატრონობდა. ყოველ თვის დასაწყისში, გასამრჯელოს მისაღებად მასთან ერთი მოხუცი ქალი დადიოდა, რომელიც ყოველთვის ჩქარობდა კაბი-ნეტიდან გასვლას.

ისიც გაახსენდა გედეონს, რომ ერთ-ხელ ლაპარაკში თანაშემწემ ძალიან შე-აქო თამარი, თქვა, რომ თამარი შეუნა-ცვლებელი მდივანიც არის და დიასახ-ლისიცო.

...მაშ... თითქოს თვალი აეხილა გე-დეონს, უნდოდა ახლავე ეკითხა თამა-რისათვის შენ ხომ არ უფლი ჩემს ბინა-სო, მაგრამ შეჩერდა. ვანა დასაჯერებ-ლი იყო? თამარი დღე-ღამ რაიკომში იყო, ყოველ წუთს მზად იყო მისი დავა-ლების შესასრულებლად, როდის უნდა მოეხერხებინა აქაც ამდენი მუშაობა და მის ბინაშიც იმდენი სითბოს და მზრუნ-ველობის შეტანა? ან რა ძალა ადგა?

„არა, ალბათ მისი ბებია, ან მეზობელია ის მოხუცი ქალი, რომ დადის ჩემთან. თამარის მადლობელი ვარ, რომ ასეთი ერთგული მომვლელი მიშოვნა... ვისი ქალიშვილია თამარი? რომელი ვარდაიშვილისა? ერთს ვიცნობ, სკოლის დარაჯს, ილო ვარდაიშვილს, მისი ქალიშვილი იქნება, თითქოს გავს კიდევაც...“ — ფიქრობდა გედეონი და თვალი კა სრულიად ანგარიშმიუცემლად ათვალერებდა ფანჯარასთან გაუნძრევლად მდგომ ქალს. აქამდე არ შეუნიშნავს გედეონს, საკმაოდ უწონო ყოფილა. ვიწრო, ირიბი თვალები, სქელი ტუჩები და სადა კაბაში — მკერავი, ხელუხლებელი სხეული. „შავ, შავ, თითქმის მოლურჯო ფერის, ალბათ ვრძელსა და ხშირ თმებს დაუძალავს და უკან გადაუწევიდა თავი.“

„ვინ იცის ვისზე ან რაზე ფიქრობს თამარი?“ — რალაც სრულიად უცხომ და უჩვეულომ შეაკრთო გედეონი. შერცხვა კიდევაც, რომ ქურდულად ათვალერებდა ქალს და კარი განზრახ აახმაურა. თამარი უცხად მოსწყდა ფანჯარას, რაიკომის მდივნის დანახვაზე ისე გაწითლდა, თითქოს ცეცხლი მოეკიდა სახეზე, ყურებზე, ჩასწვდა სადა კაბის საყელოში ჩამალულ კისერს. ხმაამოუღებლივ დაუკრა თავი და სწრაფად გავიდა კაბინეტიდან, ისე სწრაფად, რომ გედეონმა ვერ მოასწრო შეკითხვობა რაიმეს.

გედეონი ფანჯარასთან მივიდა. ხეებს შორის მხოლოდ მისი ბინის სახურავი მოჩანდა წითლად. მერე თვ. ლწინ დაუდგა სიწითლის ალში ვახვეული ქალი და სიხარულისაგან აელვარებული მისი ვიწრო, ირიბი თვალები.

„რამ გააწითლა თამარი? ან რამ აუვლავა თვალები?“ — აღარ დასცალდა ამაზე ფიქრი გედეონს, კაბინეტში ვილაცა შემოვიდა. საქმიანი დღე დაიწყო.

ორიოდ დღის შემდეგ დოფინემ გამარჯვებული მთავარსარდალავით ჩაჯდა სატვირთო მანქანის კაბინაში და გაუდგა თბილისის გზას.

დემურიშვილმა კი თათბირის დაწყე-

ბისას გედეონს მოახსენა, რომ მისი თხოვნა შესრულებულია.

გედეონს თათბირი გაუგრძელდა.

გამარჯვებული დოფა კი ქალაქისაკენ მიჰქროდა, შეკავებული სიცილისაგან იგუდებოდა.

„რას მოვიფიქრებდი, რომ გედე სიყვარულის საქმეებში ასეთი გამოუცდელი ყოფილა? უცხად გამოვტყე. ვერ იმართლა თავი. ყველაფერზე დავიყოლიე. ის გოგო? აბა გაბედოს რამე. ქმარს ვინ წამართმევს? პარტიული ბილეთი ხომ არ მოსძულებია გედეს? ახლა გაეჩუმდი, იმიტომ რომ საჭირო იყო გაჩუმება, თორემ ვაჩვენებდი სეირს იმ ნახშირივთ შავ გოგოს! ის მაჯობებს მე? თუ გედეონი ჰკვიანად მოიქცევა, სულ მალე ქალაქშიც გადმოიყვანენ და იმ გოგოს მოგონებისთვისაც აღარ ეცლება. მაინც არ მეგონა, რომ ასე ადვილად დავითანხმებდი ყველაფერზე გედეს. ს-მაგიეროდ მეც ვავახარებ. ვერც კი იცნობს თავის ბინას, საზღაპროდ ძორთულს დავახვედრებ. რამდენი ხანი დამპირდება? სულ მალე გავეჩარხავ საქმეს. გედეონს დეპეშით გამოვიძახებ თბილისში. ოო, მაშინ კი შედრკება გედეონის გული! ხელებს დაუკოცნის თავის მოხერხებულ ცოლს! განა მართლა აპირებს მისი ცოლის დაბერებას?..“

დოფინემ ხელჩანთა გახსნა, სარკეში ჩაიხედა, თვალების ქვეშ თითები გადაისვა, ტუჩები პომადით შემოიხაზა და კმაყოფილმა ჩასთვლიმა.

მართლაც, დოფას სასწრაფო დეპეშამ იხმო გედეონი თბილისში. „ლიანა უკანასკნელ დღეშია!“ — ეწერა დეპეშაში. ამაზე მკორე ტყუილი ვერ დასძრავსო გედეონს იმ თავის ლელიანიდან — ეს კი სწორად განსაჯა დოფინემ, მაგრამ დანარჩენში სასტიკად შესცდა.

საგანგაშო დეპეშით დაბნეული და შემოფოთებული გედეონი ისე სწრაფად განაღდა თბილისში, რომ დოფას მოლოდინსაც კი გადააჭარბა. აცახცახებული ხელით შეაღო გედეონმა ბინის კარი და კართანვე დარჩა გაშეშებული...

მომაკვდავი ლიანას ნაცვლად გაღიმებული ფოთელი დოფა მოეჩვენა, ისე დამსგავსებოდა ქალიშვილი დედას. ლიანას გვერდით ახალგაზრდა კაცი იდგა.

— გედე, გაიცანი ლიანას საქმრო! — შემოესმა ცოლის მოხეიშე შეძახილი.

უსიტყვოდ შეპყურებდა გედეონი ახალგაზრდა კაცს. თავისი სიჭაბუკის საბედისწერო შეცდომის გახსენებამ წაართვა დალაპარაკების უნარი. მოეჩვენა, რომ ოთახში მყოფნი დასცინოდნენ მის მოტყუებულ გრძნობას. თვალებგაფართოებულმა მიმოიხედა. თითქოს დასცინოდნენ ოთახებში დაკიდული ბროლის ქაღები, ფანჯრებზე ჩამოფარებული აბრეშუმის ფარდები, საკონცერტო როიალის კრიალა ზედაპირი, იატაკზე დაფენილი ძვირფასი ნივთები...

აქამდე სრულიად უანსაღმა გედეონმა გულის არეში ისეთი მწვავე ტყვილი იტყინა, რომ წონასწორობა ძლივს შეინარჩუნა. ალბათ ტყვილი სახეზეც დაეტყო ან ფერი ეცვალა, სამიფენი შემიხებულნი შეცოთებუვხენ, საწოლისკენ წაიყვანეს, რაღაც წაშალი დააღევინეს, მერე ტელეფონს ეტყენ...

გედეონს ტყვილმა უკლო. სული მოითვა. ო, როგორ უნდოდა დასვენება, მაგრამ ჩინური საფარებლით მოკაზმულ საწოლზე წოლა შეეზიზღა. შეეზიზღა უცხო ავეჯით მორთული ბინაც... ბინაში მყოფნიც.

## უსსო ნაიჩიზა

საოცარი იყო, რომ გედეონ ვარამაძე, რომელიც სხვის ცხოვრებას წარმართავდა და თვითონაც თითქოს საერთო ყურადღებას იპყრობდა, ყველას გამორჩა მხედველობიდან.

დიდი ხნის წინათ მის სულში დაბუდებულმა კიამქამელამ დრო იხელთა; თავი იჩინა სწორედ მაშინ, როცა ხანგრძლივი, თავდადებული შრომით გადადილილს და პირადი განცდებით დათენთილ გედეონს ალღომ და სიფხიზ-

არა, არ დაუკოცნა ხელუბრე გედეონმა თავის მოხერხებულ ცოლს, კანკარა შექმალა მისი დანახვა, აღარ შეეძლო აქ გაჩერება და წამოდგა. ნელა წავიდა გასასვლელისკენ. სულ წავიდა. დატოვა ბინა და ოჯახი, რომელიც მის საუბედუროდ გედეონ ვარამაძის სახელს ატარებდა.

სასტუმროში გაითენა.

მეორე დღეს შეიტყო, რომ ლოლაძე მოსკოვს წასულიყო. მისმა თანაშემწემ საიდუმლოდ მიულოცა: ლელიანის რაიკომის მდივანი, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დებუტატი გედეონ ვარამაძე ახლა შრომის გმირობაზე იყო წარდგენილი.

თანაშემწეს გაეცინა. ეგონა, მადლობის თქმა სიხარულმა დაავიწყა ვარამაძეს. გედეონი ჩახლუჩილი ხმით რაღაც ამბობდა, კატეგორიულ ჟარს აცხადებდა თბილისში გადმოსვლაზე.

ჩქარობდა გედეონი რაიონში დაბრუნებას. ლელიანისკენ მიეჩქარებოდა. დაავადებული გულის, დაჭიმული ნერვების დასვენებას ნატრობდა მხოლოდ...

...და კიდევ. ლელიანისკენ ეწეოდა რაღაც უცნობი ძალა. ჯერ თითონაც ვერ გარკვეულიყო, ჯერ არ იცოდა, რომ მის მოუწყობელ პირად ცხოვრებაში უაგვიანებით შემოქრილიყო სიყვარული...

ლემ უმტყუენა. სწორედ მაშინ, როცა გედეონს არ შეეძლო დანახა ეს კიამქამელა, მიეგნო მისი ჩანასახისთვის, ძველი ხალისით და შეურიგებლობით შებრძოლებოდა მას, ამოეცეოდა; სწორედ მაშინ, როცა მას სკირდებოდა ხელმძღვანელის მზრუნველი თვალი, მტყიცე ხელი, მაშინ წყნარი ნანა შემოესმა გამაყუჩებელი, მებრძოლი სულის მიძინებელი, კიამქამელას ნოყიერი საზრდო...



ცხოვრების ძნელი გზა ჰქონდა განვლილი გედეონს. ადამიანი წელში გამართული იდგა იმ უბანზე, რომელიც მას მიანდეს. ადამიანი ემსახურებოდა გარკვეულ, ნათელ მიზანს. ის არც ისე ადვილად გატეხილა წელში, არცთუ ისე ადვილად დაუკარგავს მას ადამიანის დამამშვენებელი თვისებები.

აქი იმიტომ შეაკრთო თავდაპირველად გედეონი მოულოდნელად თავზე დაყრილმა ჯილოვებმა, პატივმა, ქებადიდებამ, მის გარშემო ატეხილმა ხმაურმა და ზეიმმა. შეაკრთო და დააბნია. იმიტომ კი არ შეაკრთო, რომ სიხარულმა თავბრუ დაასხა, არა. მაშინ მას რალაც შინაგანი პროტესტი უშლიდა, უწამლავდა სიხარულს. გრძნობდა, რომ ყველაფერი კარგი, რაც გაკეთდა მხოლოდ მას მიაწერეს, ნამდვილად კი ეს ხალხის კუთვნილება იყო. პატიოსანი ადამიანი ვერ მიითვისებდა იმას, რაც არ ერგებოდა. ხშირად ღამეც კი გაუღვიძებია სინიღისის იღუმალ ხმას:

«... ათასი დაღლილი მარჯვენა ქსოვდა ცრემლიან ღამეებში ფრონტლებისთვის თბილ წინდებს, მადლობა კი შენ მიიღე. ძაძებში ჩაცმულმა, ქვრივმა მარიამ ხიმშიაშვილმა ომში დაღუპული ქმარი შესცვალა გუთანზე, კვალი ბოლომდე გაიტანა, გმირობა კი შენ მიიღე. ყველა ვაეკაცური, პატრიოტული აზრი იქიდან მოდიოდა, ხალხის გულიდან, ხალხის რჩეულად კი შენ დაგასახელებს. რაღა ხდება ასე, და რამ გაგაჩუმა შენ, გედეონ ვარამაძე?..»

მაგრამ არავის არ ესმოდა იღუმალის ხმა, რომელიც ხშირად ძილს უფრთხობდა ვარამაძეს.

კორნელი ლოლაძეს არ ეცალა მისთვის. ის ვერც წარმოიდგენდა, რომ გედეონისათვის საჭირო იყო რაიმე დახმარება. განა ყველაფერი წესრიგზე არ იყო? განა ლელიანის რაიონი არ იყო მთელს რესპუბლიკაში უკეთესთაგანი? განა ვარამაძე მივიწყებულია? არ აფასებენ, ან არ აძლევენ მას ყველაფერში უპირატესობას?

«წარვადგინოთ მორიგე ჯილოვზე.

ავირჩიოთ საპატიო წევრად. ის ლირსოა და იმისა...» — კმაყოფილებით გადასწყვეტდა ხოლმე კორნელი ლოლაძე როცა კი გაახსენდებოდა გედეონ ვარამაძე.

ღიდი სახელმწიფო საკითხებით, სახალხო მეურნეობის საკითხებით გატაცებულ კორნელი ლოლაძეს სად ეცალა ადამიანისათვის?!

ადამიანის არსებაში შეპარული ქიამქამელა კი თავისას აკეთებდა. პატივმოყვარეობამ, რომელიც ყოველთვის წარმოშობს ქედმაღლობას, მალე ჩააჩუმა ის იღუმალის ხმა...

ახლა ვარამაძე დასცინოდა თავისთვის. მართლაც და არა სცოდნია თავის დაფასება! რას წუხდა? რა სტანჯავდა? რა იყო გამოსასწორებელი? მას ნდობას უცხადებენ, აჯილოვებენ, აქებენ. ყველაფერი წესრიგზეა. ის აზრები კი მართლაც გადაღლილობის შედეგია... ცოტა დასვენება საჭირო.

გზაჯვარედინთან მოსული ადამიანი თვალდახუჭული მიჰყვა თვითდინებას. თვითდინებაში კი მალე უცხო ნაპირზე გამოიტანა.

უცხო ნაპირზე მას გულშია მასპინძელივით დახვდა იაკობ ფერაძე.

ვინ იცის, რისთვის ითავა იაკობ ფერაძემ ვარამაძის მასპინძლობა? ვინ იცის, რად დასჭირდა მას ვარამაძის გამძღოლის როლი?

ვინ იცის, რა ჰქონდა გუნებაში ამ კაცს? იქნებ ის მხოლოდ ბოროტი და უღმობელი იყო, როგორც ყოველთვის არის ხოლმე გონებაშეზღუდული, უგუნური კაცი?

ქარო ძლიერო, შენ ხანდახან ლონეს უსწორებ პაწია ფოთოლს, მოსწყვეტ მას მშობლიურ ტოტს და უგზო-უკვლოდ ატრიალებ ქვეყანაზე, თითქოს უმწყო, გაფითრებულ ფოთოლზე გამარჯვება გამატებდეს ძლიერებას.

მთის მდინარენო, თქვენ ხანდახან ამობოქრებულნი, კალაპოტიდან გადმოხეთქილნი შეუბრალებლად წაღეკავთ ხოლმე მშვიდ და უწყინარ ადამიანთა სადგომს, თითქოს თქვენი განუ-

კითხავი მრისხანება აძლიერებდეს თქვენს სილამაზეს.

და თქვენც, ადამიანებო, თქვენ ყოველივეზე უფრო ძლიერნო, თქვენ ხანდახან იცით ხოლმე წაქეუელის გულდაგულ ჩაქოლვა, თითქოს ამაში გამოიხატებოდეს ადამიანის ვაგაკობა...

ნეტავი ამის ნაცვლად...

ნეტავი ამის ნაცვლად, ადამიანებო, დროზე შეგეძლოთ იმის ცნობა, ვინც თქვენს საამებლად თვალდათვალ იცვლის კანსა და ფერს.

მაგრამ ვაი, რომ ასეთმა იცის დროზე დადგომა საქარე მხარეს, ჩრდილის მოქმენაც, ტალღის მიყოლაც. ასეთი მარჯვედ აიკლენს ყოველგვარ ხიფათს და იცხოვრებს არხეინად, ჩუმჩუმად დასციენებს კიდევ ძლიერ ქარსაც, პირმცინარე მზესაც, ბობოქარ ზღვასაც და გულდანდობილ ადამიანებსაც.

აი ასეთი იღბლიანი და მარჯვე იყო ლელიანში მცხოვრები კაცი იაკობ ფერაძე, ლელიანის რაიონის ყოფილი აგრონომი, ამჟამად რაიალმასკომის თავმჯდომარე. ის თავის საკუთარ ხაზს აქსოვდა ცხოვრების მრავალფეროვან ქსოვილში და ჩუმჩუმად იცინოდა, თუმცა მისი სიცილი არავის უნახავს, რადგან სიცილსაც კი მალავდა თავისი გულის ბნელ კენჭულებში.

როგორ გახდა იაკობ ფერაძე ასეთი დიდი და მდიდარი რაიონის მეურვე, ან რა ფერისა იყო ქვეყნის ცხოვრებაში ჩაქსოვილი მისი ხაზი?

აგრონომი იაკობ ფერაძე ოდესღაც მოველინა ლელიანის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნიკო ხელაშვილი სიხარულით შეხვდა ახალგაზრდა სპეციალისტს და გულით მოიწადინა მალე შეეცნო აგრონომის პრაქტიკულ საქმიანობაში აღმოჩენილი ხარვეზები. დაუშოგველად ხარჯავდა ნიკო დროსაც და ენერჯიასაც, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ აგრონომს ჭირივით სძულდა სოფლის მეურნეობა. დარწმუნდა, რომ მის გულს ოდნავადაც არ აღელვებდა არც მწვანედ მოხასხასე ჯეჯი-

ლი, არც ვაზის ტირილი, არც მსოფლიო აყვავებული ხეხილის ნაირფერი საღაფი; გლუხაკის არც შრომა, არც გაჭირვება და არც სიხარული. უყვირდა ნიკოს, სხვა კაცს უნებურად მაინც აიყოლიებდა თავისი საქმის ინტერესით და ეს კი... ღმერთო შეგცოდე, ამ აგრონომმა დოლის პურის თავთუხისაგან გარჩევაც კი ძლივს დაისწავლა!

მერე ხელაშვილი დარწმუნდა, რომ აგრონომი არამარტო პრაქტიკულ, არამედ თეორიულ საკითხებშიც იჩენდა საოცარ უმეცრებას. დაქუცვებულმა თავმჯდომარემ ერთხელ ფერაძესთან პირისპირ დარჩენილმა სთხოვა — დიპლომი მაჩვენეო.

აგრონომმა ეს დიდ შეურაცხყოფად მიიღო, ხელაშვილს უკადრისი აკადრა და აღშფოთებულმა დაუყოვნებლივ დატოვა კოლმეურნეობა, რადგან «ხელაშვილს არ სურს თავის მეურნეობაში სპეციალისტების გაჰკანკანებაო».

ნიკოს არავითარი ყურადღება არ მიუქცევია ამ ცილისწამებისათვის და შეეცადა მალე დაევიწყებინა ახირებულნი აგრონომი.

იაკობ ფერაძემ კი იხმაურა სწორედ იმდენი, რამდენიც საჭიროდ ჩასთვალა თავისი შელახული თავმოყვარეობის აღსადგენად და ჩაჩუმდა. მალე ახალ სამუშაოზეც მოეწყო. ხოლო იმისათვის, რომ ის კვლავ არ დაეჩაგრა რომელიმე კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, ძმაცაცებისა და გულშემატკივარი მეგობრების დახმარებით მოეწყო რაიონის სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელ აპარატში.

ახლა კი ფრთხილობდა ფერაძე, ცდილობდა რაც შეიძლება მეტი უნარის გამოჩენას, მაგრამ მისი უნარი არც ახლა იყო მიმართული მეურნეობის განვითარებისა და აყვავებისაკენ. მას აზრადაც არ მოსვლია რაიმე ახალი სახის სასარგებლო მცენარის გამოყვანა, ან მოსავლის გადიდება, ან რაიმე ახალი ღონისძიების გატარება, არა! ის ახლა ბეჯითად ნიღბავდა თავის უმეცრებას, მოხერხებულად იცილებდა თავიდან ყვე-

ლა სპეციალური საკითხის გადაწყვეტას და უნარიახად ინარჩუნებდა დამოუკიდებელ, ღრმავარდეს გამოიმეტყველებას მასთან საქმეზე მოსულ ხალხთან.

მაგრამ ნურავის ნუ ეგონება იაკობ ფერაძე უსაქმური და ზარმაცი. კაცს რომ არ უყვარდეს სოფლის მეურნეობა ეს სულაც არ ნიშნავს უსაქმურობას და ყალბაბანდობას. ფერაძეს გული ერჩოდა სამოქმედოდ. მას სულ სხვა ხვედრი ენატრებოდა. დარწმუნებული იყო, რომ მასაც შეეძლო ცხოვრების კიბეზე ერთი ნახტომით მაღლა ასულიყო. განა ამას არ აღასტურებდა კოლმეურნეობიდან რაიონულ აპარატში მისი მარჯვე ნახტომი? ის დაუღალავად ფიქრობდა, ცდილობდა შეესწავლა როგორ ხდებოდა ადამიანების წინსვლა, მაგრამ მას მეტად თავისებური წარმოდგენა და ფანტაზია ჰქონდა. სწორსა და ნათელ გზას კი ვერ ხედავდა, ეძებდა ბნელსა და გაუფაღ ბილიკებს. ამიტომ განსაკუთრებით აინტერესებდა ადამიანთა ცხოვრების უხილავი მხარე და კუნძულები.

ეს უდიერი ცნობისმოყვარეობა ერთის მხრით კიდევ უფრო აქნებდა მას სამოქმედოდ და მეორეს მხრით — უმწვავებდა განუკურნელ სენს, რომლითაც ის იყო შეპყრობილი; ფერაძეს წერა უყვარდა. მეცნიერული ტრაქტატების, შრომების, დისერტაციის წერა კი არა; უყვარდა რომანების, პიესების, ლექსებისა და პოემების წერა. წერის სურვილი დროდადრო ციხე-ცხელებასავით, ბნელსავით მოუფლიდა ხოლმე. ასეთი შეტევების დროს იაკობ ფერაძე განმარტოებით ჩაიკეტებოდა. თანამშრომლებს, საქმეზე მოსულ ხალხს და ყველას ეგონა, რომ ფერაძე რაღაც დიდი მნიშვნელობის დოკუმენტს, ან რაიმე ახალი დადგენილების პროექტს ადგენსო. მისი ოთახიდან გამოსული დამწვარი ქაღალდის სუნიც აღასტურებდა ხოლმე, რომ ფერაძე ფრიალ საიდუმლო და საგანგებო საქმით იყო გაართული.

რამდენიმე დღის გამალელებული მუშაობის შემდეგ, ფერაძე ქალაქს მიემ-

გზავრებოდა, თან მიჰქონდა ~~ქალაქის~~ შეკრული ხელნაწერი და ~~ქალაქის~~ მისი ნაწილები, რომ ეს მრავალი დღის ნაწილები მისი ახალი ნაწარმოები იყო?!

ქალაქის ეურნალ-გაზეთებში ფერაძეს დაგულეებული ჰყავდა თითო-ორი-ლა მფარველი და კეთილისმყოფელი. ისინი ყოველთვის გულთბილად უხვდებოდნენ, გულდასმით ეცნობოდნენ მის ახალ ნაწერს და არც პასუხს უგვიანებდნენ, მაგრამ ყოველთვის ერთი და იგივე უცნაური რამ ხდებოდა. მისი კეთილისმდომნი, თავიანთი ხასიათის მიხედვით პირდაპირ, ან ქარაგმებით, ან უხერხულობისაგან გამოწვეული ენის ბორძიკით უხსნიდნენ, რომ მისი ნაწარმოების დაბეჭდვა შეუძლებელია.

უვივრდა ფერაძეს. ის ხომ ისე სწერდა, როგორც უნდა სწერდეს ნამდვილი მწერალი, ცხოვრებიდან აღებულ ამბავზე. სწერდა იმაზე, რაც დაბეჯითებით ჰქონდა შესწავლილი. იმაზე უკეთ ვის ეცოდინებოდა ადამიანთა ცხოვრების ის კუნძულები, რაც ყველასათვის დაფარული იყო?! რეცენზენტები კი ეუბნებოდნენ, რომ მის მიერ აღწერილი ამბავი და ადამიანები მოკლებული არიან სიცოცხლის ყოველგვარ ნიშანწყალს, ვერ აჯერებენ მკითხველს.

ფერაძე არ ეკამათებოდა თავის რეცენზენტებს. პირიქით, მას ებრალებოდა რედაქციის თანამშრომლები, რომლებსაც არ შესწევდათ უნარი სათანადოდ შეეფასებინათ მისი განუმეორებელი ქმნილება. გულში ჰპირდებოდა, რომ შემდეგში მათთვის უფრო გასაგები ენით და მისაწვდომი სიღრმით დასწერდა ახალ ნაწარმოებს.

«ამბობენ, ტალანტი აღიარებას მოითხოვს... — ფიქრობდა მორიგი წარუმატებლობით შეწუხებული ფერაძე, — მაგრამ განა მე პირველი მაგალითი ვარ? ყველაზე ხშირად კეშმარიტი ტალანტის მქონე პიროვნება ისე მიეპარება ხოლმე მიწას, რომ არც იცის, რა სიხარული მოუტანა მან ხალხს. მხოლოდ მადლიერი შთამომავ-

ლობა მიუზღავს მის ნიქს კუთვნილ საფასურს. და ალბათ არც ისე იშვიათია შემთხვევა, როცა სადიდებელი საფლავის ნაცვლად, შეცდომით ვინმე ხეიბარის ძვლებს შეამკობენ ძეგლით. ოო, ეს რაღა თქმა უნდა, ადვილი შესაძლებელია... — წუხდა ფერაძე და რომ შთამომავლობისათვის აეცილებინა ეს შეცდომა, ალბათ იმიტომ ცდილობდა სიცოცხლეშივე მოეპოვებინა აღიარება კაცობრიობის სიმშვიდისათვის თვითონვე, თავისი ხელით ეწადა შეემკო შუბლი დაფნის გვირგვინით, რომ, ღმერთმა ნუ ქნას, შთამომავლობას არ შემოლოდა, არ აერია მისი სახელოვანი გვამი უცნობის ძვლებში. თუმცა გვამის და ძვლების ამბავი არც აგრერიგად აწუხებდა იაკობს, მისი დაუთესავი ყანის უხვი მოსავალი უფრო სახარბიელო იყო.

თბილისელი რეცენზენტებისათვის გამოუცნობი და მიუწვდომელი «ტაილანტი» რამდენიმე დღე ებრძოდა ბოლმას შემთხვევითი თანამოსუფრეების დახმარებით. მერე ღვინისაგან სახეშეშუპებული ბრუნდებოდა ლელიანში.

აბა ვისთვის რა მნიშვნელობა, ან რა შედეგი უნდა ჰქონოდა ფერაძის მუდმივ მარცხს შენაქმედებაში, მით უმეტეს, რომ იგი ყველასგან საიდუმლოდ ინახავდა თავის სენს. მაგრამ, სამწუხაროდ, ამას შედეგიც ჰქონდა და მნიშვნელობაც. სხვისი ცხოვრების ინტიმური მხარეებისადმი გაძლიერებულ ცნობისმოყვარეობას ერთვოდა ხელმოკარული მწერლის უსაზღვრო გაბოროტება, უნდობლობა, ექვიანობა. თავის ავადმყოფურ გრძნობებს ფერაძე ოსტატურად ფარავდა, გულში კი ოცნებას ასაზრდოებდა, რომ ადრე თუ გვიან, სულ ერთია, რა გზით და საშუალებით, მაინც მოიპოებდა ხალხზე ზემოქმედების ძალას.

ასე მადლუმადურად არსებობდა იაკობ ფერაძე ლელიანში გედეონ ვარამაძის ჩამოსვლამდე.

ომიანობის იმ ძნელ წლებს, როცა ფრონტზე მიიკრიფებოდნენ მებრძოლ-

თა ახალ-ახალი რაზმები, ვარამაძე განსაკუთრებით უფრთხილდებოდა სამსახურში შაოზე დარჩენილ თვითმკურნალებს. მას როგორც არ მისცემია შემთხვევა გამოეცადა ფერაძის აგრონომიული ცოდნა, ბევრჯერ კი დარჩენილა კმაყოფილი მის მიერ სუფთად და ლამაზად შედგენილი სავსე სამუშაოთა ცხრილით, გრაფიკებით, ტაბულებით და რუკებით. მას სიამოვნებდა, რომ ეგულებოდა კაცი, რომელიც ყოველ წუთს მზად იყო ბეჯითად და გულმოდგინედ აესრულებინა ყოველი მისი დავლება.

ფერაძეს კარგად ახსოვდა ნიკო ხელაშვილისაგან მიღებული გაკვეთილი და მორიგ ამოცანად დასახული ჰქონდა თავის დაზღვევა ამგვარი უსიამოვნებისაგან. ამიტომ, დარწმუნდა თუ არა რაიკომის მდივნის კეთილ განწყობილებაში, ფერაძემ თხოვნით მიმართა მას.

ვარამაძემ გულდასმით მოუსმინა აგრონომს, თანაუგრძნო, რომ ომმა ხელი შეუშალა მას დიპლომის მიღებაში და ალუთქვა დახმარება, როგორ წარმოიდგენდა, რომ თავის დროზე ინსტიტუტიდან გარიცხულ ფერაძეს დიპლომი სულაც არ ეკუთვნოდა.

რაიკომის მდივანმა თავისი დაპირება პირნათლად შეასრულა და ფერაძე, იგდო თუ არა ხელთ ნანატრი დიპლომი, წელში გაიშარათა, უფრო გათამამდა, უფრო გულდაგულ და ბეჯითად განაგრძო ვარამაძის გულის მოგება.

ვინ იცის, მართალი იყო თუ ტყუილი, მაგრამ ხალხში ხმა დაიარხა, რომ რაიონის უფროსი აგრონომის ადგილი იაკობ ფერაძის ხრიკებისა და ოინების წყალობით განთავისუფლდაო. ნათელი და უტყუარი იყო მხოლოდ ის, რომ ამ ადგილზე ფერაძის დანიშვნას გედეონ ვარამაძის მხრით არავითარი წინააღმდეგობა არ შეხვედრია.

ამრიგად, იაკობ ფერაძე კიდევ უფრო მალა ახტა ცხოვრების კიბეზე. თითქოს უნდა დასჯერებოდა ის თავის მიღწევას და მდგომარეობას, მაგრამ... საკვირველია, როგორ ნიქსა და

უნარს იჩენდა ის ყოველ ახლადაღებულ სიმალლის გასამაგრებლად, რა სწრაფად იცვლიდა ფერს ახალ გარემოსთან შეფარდებით, რამდენი სიახლე შეჰქონდა მომავალი ნახტომის მომზადებაში.

ფერაქემ კარგად იცოდა, რომ ათას ცხრაას ოცდაათი წლიდან მთლიანად კოლექტივიზირებულ ლელიანის რაიონში ცხოვრობდა ქვეყნისთვის თავდადებულმა, ერთგულმა და შრომისმოყვარე ხალხი. წუთითაც არ ივიწყებდა, რომ მათში ბევრი გაკვირვებით, დაცინვით და უკმაყოფილოდ უყურებდა მის წყარჩინებას». იცოდა, რომ ბევრი მას, იაკობ ფერაქეს, თუნდაც უფროს აგრონომად წოდებულს, არაჩად სთვლიდა და ეს კიდევ უფრო აბოროტებდა, სწორედ მათი ამოთვინიერების» ეინს უძლიერებდა. თავის ზრახვებს კიდევ უფრო ბეჯითად ფარავდა ფერაქემ, გარეგნულად კი...

უფროსმა აგრონომმა ახალი კოსტუმი შეიკერა და ახალთახალ კაბინეტში გადაინაცვლა, მაგრამ შიგ კი არ ჩაიკეტა, პირიქით, ფართოდ გაუღო კარი საქმიან და უსაქმურ მიმსვლელს. უფრო და უფრო რბილი, შემპარავად მლიქვნელი, პირფერობით მომზიბლავი ხდებოდა. ზოგთან ძმობიკობდა, ზოგთან უფროსობდა, საქირო მისამართით და რაოდენობით ქათინაურებს არიგებდა, გველენიან კაცებს თავაზიანობით და მორჩილებით უხვევდა თვალს, უფროსებს ფერხთა მტვრად უხდებოდა. როცა საჭირო იყო, რაიონის გულითად მზრუნველის შესაფერისად მკაცრი და მომთხოვნი ხდებოდა. რადგან რაიონში მომუშავე აგრონომები ჩინებულად ასდიონდნენ საქმეს და მაგრე რიგად არ აწუხებდნენ უფროს აგრონომს, არც ეს აბეზრებდა მათ თავს. პირიქით, დამოუკიდებელი, შემოქმედებითი შრომის მორტიფილედ აღიარა თავი და სრულიად არ ერეოდა მათ საქმიანობაში. სამუშაო საათებს ის ისევე ანდომებდა ლამაზი ცხრილების, გრაფიკების და ტაბულების შედგენას, მხოლოდ ერთი განსხვავებით: ვარამაძისადმი თავყანის-

ცემით გამსკვალულს ახლა უფროს ფერაქემამ და თვითნებურად შეჰქონდა მისი გაზრდილი, გაბერილი და დამრგვალებული ციფრები იმ მოსაზრებით, რომ ციფრების ერთადერთი დანიშნულებაა — გაახარონ რაიონის ხელმძღვანელის თვლი და გულით.

იმდენი ნიჭი და უნარი აღმოაჩინდა ფერაქეს, რომ მორიგი სარაიონო არჩევნების შემდეგ ბევრისთვის მოულოდნელად რაიონმასკომის თავმჯდომარის ადგილზე აღმოჩნდა...

ვიდრე გედონ ვარამაძეს გული სუფთა ჰქონდა, ვიდრე ის ხალხთან იყო და მასთან სუნთქავდა, ვიდრე იყო ისეთი, როგორცაჲც მას იცნობდნენ წლების განმავლობაში და როგორიც უყვარდათ, ფერაქემ ჩრდილში რჩებოდა. თავის ცნობისმოყვარეობას ის აშკარად არ ამტკიცებდა, რაიონის ხელმძღვანელს მორიდებით ელაპარაკებოდა, მისი ყოფაცხოვრების, საქმიანობის, ხასიათის ფრთხილ დაზვერვას აწარმოებდა. მოფიქრებულად, აუჩქარებლად იმსახურებდა მის ნდობას და მეგობრობას. ჯერ სხვადასხვა მიზეზს ეძებდა ვარამაძესთან მისასვლელად, მერე მოუხშირა, მიზეზს აღარ დაეძებდა, თანდათან გაუშინაურდა...

ბოლოს ფერაქის საათმაც დაჰკრა! გულლია მასპინძელივით დაუხვდა ის უცხო ნაპირზე გამორიყულ ვარამაძეს. მთელ თავის უნარს ახლა იმას ანდომებდა, რომ ცხოვრება ამ უცხო ნაპირზე გედონის მშვიდად, ადვილად და სასიამოვნოდ მოსჩვენებოდა. ახლა ის მეგობრულად დატუქსავდა ხოლმე ვარამაძეს, როცა ის მოიწყენდა ან ვარდასულ თავის წუხილზე იტყოდა რამეს.

— ძვირფასო ამხანაგო, ინტელიგენტური თვითგვემის რეციდივები გქონიათ! აი, სწორედ ეგ არის ხოლმე ერთერთი ნიშანი იმისა, რომ ადამიანი ჰკარგავს პროლეტარიატისათვის დამახასიათებელ მაღალ შეგნებას! დიახ, დიახ, რას იცინით? მაღლობა ღმერთს, თქვენ ამ რეციდივებისათვის დაგიღწევიათ თავი! რალა თქმა უნდა, ამას ჩემს გარდა

არაეინ გეტყობდათ, მე ჩვენი მეგობრობა და ძმობა მაძლევს ამის უფლებას! თქვენ თითქოს სიკეთე მოგბეზრებიათ, თითქოს უცმაყოფილო ხართ თქვენი ბედნიერი ხვედრის გამო. კარგად კი იცით რომ თქვენისთანა რაიკომის მდივანი მეორე არ გვყავს რესპუბლიკაში. დიახ, სამწუხაროდ, არ გვყავს! თქვენ გინდათ, ვინც კი ამ რაიონში ხელი გაანძრია, ყველა გმირად აღიარონ?! თქვენ გეჩვენებოდათ, რომ ხელაშვილმა რალაც გააკეთა აღსანიშნავი. რა გააკეთა? რით განსხვავდება ის დანარჩენ თავმჯდომარეებისაგან? პირიქით, თქვენ დიდად სწყალობთ მას, თორემ... ხეირიანად რომ გაისინჯოს, იცოცხლებთ, ბევრი რამ აღმოჩნდეს მასთან უწყსარიგო. იცის ხელაშვილმა, რომ მე ვერაფერს გამომაპარებს და იმიტომ მიყურობს მეგლივით, დიახ... მე კარგად ვიცი მისი ასაველ-დასავალი. ინტრიგანი!.. თქვენც, ამხანაგო გედეონ, ფრთხილი უნდა იყოთ მეგობრების ამორჩევაში. აი, ხომ ნახეთ? ვითომ მეგობრად მოპქონდა თავი და სინამდვილეში კი ათას ინტრიგებს გიწყობთ...

რბილ სავარძელში ჩაფლული გედეონ ვარამაძე თვალს ადევნებდა ფერაძეს, უსმენდა მის სიტყვებს და ეჩვეოდა კარჩაკეტილობას.

ვარამაძეს იმდენს ელაპარაკებოდნენ საქმით გადატვირთვანზე და გადაღლაზე, რომ მან თანდათან აიცილა თავიდან ყოველდღიური საქმიანობა, თავის თანაშემწეებს, ზოგჯერ პარტიული მუშაობის მცირე გამოცდილების მქონე პირებსაც კი გადააბარა. პირველ ხანებში შემთხვევით ავიწყდებოდა შეემოწმებინა, როგორ ასრულებდნენ ისინი დავალებას, მერე გადაიფიქრა — აღარ კითხულობდა, როგორ სწყვეტდნენ ისინი საქირბოროტო საკითხებს. დღე თავის კაბინეტში ჩაკეტილი სწერდა ან კთხულობდა, ღამე თათბირებს უნდებოდა.

ერთხელ ვარამაძეს გზაში შემოაღამდა. ღამის გასათევად გზადმდებარე სოფელ ორხევის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ კირილე ნემსიწვერძემ

მიიწვია. მთელი ოჯახი ჯერასავე მოემადრიალდა ძვირფასი სტუმრის დასახვედრად. გედეონმა დაინახა კედელზე გაკრული თავისი სურათი, რომელიც გაზეთიდან ამოუჭრა. რამდენიმე დღის შემდეგ ნემსიწვერძემ რაიკომში მივიდა მასთან საქმეზე. კაბინეტში მყოფმა იაკობ ფერაძემ გაიციინა და ვითომ ხუმრობით უთხრა გედეონს, აჩუქეთ ამხანაგ კირილეს თქვენი სურათი, რომ მისი ბინის კედლები გაზეთებით არ იყოს აკრელებულიო. გედეონს გაახსენდა ნემსიწვერძის მასპინძლობა, ფერაძის ხუმრობაზე გაიციინა და კირილეს მართლაც აჩუქა თავისი ფოტოსურათი წარწერით.

მალე აქა-იქ მამებელთა ოჯახებში ბელადების სურათების გვერდით ვარამაძის გადიდებული სურათი დაკიდეს. ასეთივე სურათი დაინახა ვარამაძემ ლელიანის ბიბლიოთეკაში გამოჩენილ მოღვაწეთა პორტრეტებს შორის. ვარამაძეს ისე ეჩოთირა, რომ გაწითლდა კიდევ, მაგრამ იმ დღის შემდეგ ისე ხშირად ესმოდა ბიბლიოთეკის გამგის ქება, რომ ოქტომბრის დღესასწაულზე საქმის კარგი წარმოებისათვის სიგელით დააჯილდოვა იგი.

თითქოს ვილაციის კარნახით დღითიდღე ზვიადებოდა ვარამაძის დამსახურება. ხობა-დიდება მისის წვიმასავით ესხმოდა თავზე.

საკმარისი იყო ვარამაძეს შებლი შეეკრა, დაეპირებინა გასწყრომოდა ზომილაკარგულ მამებელს და იაკობ ფერაძე აღერსიანი დატუქსვით ეტყოდა:

— კარგი ერთი, აბა რას ჯავრობთ? თქვენი თავმდაბლობა ყველამ იცის, მაგრამ ნუ გაიფიქრებთ, რომ ხალხს სწყურია თქვენი ხმის გაგონება, თქვენი აზრის გაგება, თქვენი სურათის დაინახვა. ხალხს უნდა თავისი ხელმძღვანელისადმი ყურადღების, სიყვარულის გამოხატვა! ეს შათი მოთხოვნებიანია. ეს შათი უფლებაა და თქვენ არ შეგიძლიათ წაართვათ მათ ეს უფლება!..

ამ «უფლებით» მოხერხებულად სარგებლობდნენ ისინი, ვისაც უნდოდა

მაამებლობით მოეგო რაიკომის მდივნის გული. დღეს-ხვალ, დღეს-ხვალ და, ვარამაძის გარშემო გაშენდა თაფლის გალავანი, რომელსაც საბჯენად სწორედ ეს მაამებელი, მლიქვნელები, ორპირები და კარიერისტები შეუდგნენ. ისინი ყოველ ღონისძიებას ხმარობდნენ, რომ გალავანს შიგნით მომწყვდეულ ვარამაძის თვალსა და გულისყურს ვერ მოხვედროდა გალავანს გარეთ დარჩენილი ხალხის ხმა. და ცხოვრობდა ვარამაძე ამ უცხო ნაპირზე აშენებულ «ციხე-სიმაგრეში», ღმერთმა უწყის, საიდან აღმოჩენილი მისთვის უჩვეულო ახალი თვისებებით.

უწინ, ვიდრე გული სუფთა ჰქონდა, როცა კემპარიტ საქმიანობას ალექსა დღე-ღამეებს, ძალღონეს, მთელ თავის უნარსა და ნიჭს, მაშინ აზრადაც არ მოსვლიდა, რომ საჭიროა ამის აღნიშვნა, რომ საჭიროა ამისათვის მადლობა უთხრან, აქონ და აღიდონ. ახლა კი უნდოდა, რომ მისი საქმიანობა ყველასათვის თვალსაჩინო ყოფილიყო. აღარ ეჩიოთ რებოდა, როცა გარეგანი ელვარება არცთუ ისე დიდი მნიშვნელობის საქმეს აღამაზებდა.

ახლა ყოველგვარი თათბირის, შეკრების ან რაიონში მოგზაურობის საზეიმო მხარე იქცეოდა მის ყურადღებას. ახლა ყოველგვარი საქმის მნიშვნელობას გარეგანი ეფექტით განსაზღვრავდა.

უწინ ცდილობდა, რომ ღირსი ყოფილიყო იმ ყურადღებისა, რომელსაც მას აქცევდნენ, გაემართლებინა კარგი შთაბეჭდილება. ახლა კი, როცა დაკარგა ის კარგი თვისებები, ყურადღებას და მოწონებას მოითხოვდა, როგორც კუთვნილს. ახლა უნდოდა, რომ ხშირად აღნიშნულიყო რაიონის წარმატება, რაიკომის მდივნის კარგი ხელმძღვანელობა. შიში შეიპყრობდა, თუ ამაზე ხშირად არ ილაპარაკებდნენ, ქვეყანას დაეიწყებოდა მისი არსებობა და მოღვაწეობა.

თვითკმაყოფილება და ნებიერება გარეგნობაზეც დაეტყო ვარამაძეს. თვითკმაყოფილება იგრძნობოდა მის ლაპა-

რაკში, სიარულში, მიხერა-მოხერაში, სიტყვა-პასუხში. თვითკმაყოფილება უფრო ძვალსა და რბილში. მან ვერც კი შენიშნა, როგორ ამოიშალა მისი ლექსიკონიდან სიტყვები: «ხალხი», «ჩვენ» და გახშირდა: «ჩემი რაიონი», «მე». რაიონის ჩამორჩენაზე ლაპარაკი ჯერ აღრე იყო, მაგრამ ვარამაძე ადგილზე ინაცვლებდა ფეხს, თუმცა თვითონაც, გარეშე ხალხსაც და შორსმყოფ კორნელი ლოლაძესაც ეგონა, რომ ის კვლავ მიჰქროდა წინ, კვლავ იდგა მოწინავეთა რიგებში...

მაგრამ ლელიანელები? ისინი ხომ ახლოს იყვნენ თავის მდივანთან?

ვარამაძის შინაგანი წონასწორობის დარღვევა თავდაპირველად არ იყო თვალსაჩინო. გუდონი ჯერ კიდევ დიდხანს ის კარგი ხელმძღვანელი იყო, რომელსაც ხალხი იცნობდა და პატივსაცემდა. მისი დიდრონი თაფლისფერი თვალების მოუსვენარი ელვარება ისევ ძველებურ დაუნელებელ წვას ჰგავდა, ბრძანებლური იერი ხმაში — მართალ საქმეში დარწმუნებას. კაბინეტში უმზეოდ გადაფითრებული მისი სახე, სასიამოვნო სიცილი, მოსწრებული სიტყვა, კვიანური საუბარი ძველებურად ხიბლავდა ადამიანს.

ხალხს აქვს ერთი კეთილშობილი თვისება, რომელიც ხანდახან ძვირად უჯდება. თუ ერთი დაუჯერა ადამიანს, დარწმუნდა მის სიკეთეში, იწამა მისი, დიდხანს იცის ამ გრძნობების შენახვა და გაფრთხილება. მერე ამ ადამიანის ცვლილება თვალდაოვალად რომ დიანახოს, მაინც მისდამი ძველი გრძნობებით იკვებება, მისგან აუტანელს აიტანს, მოთმინებას საზღვარს აღარ დაუდებს.

პირველ ხანებში, როცა გუდონის უახლოეს თანამშრომლებმა, მისმა წრეგულ მოსიყვარულე და პატივისმცემელმა ადამიანებმა დაინახეს მისი ახალი, არასასურველი თვისებები გულახდილად და თამამად მიუთითეს ამაზე. აღმოჩნდა, რომ ქედმაღალი მდივანი უკვე ველარ იტანდა კრიტიკულ სიტ-

ყვას, სულ უფრო და უფრო ზრდუდავდა სხვის უფლებებს.

შეცუხებული ამხანაგები მოერიდნენ, უსიტყვოდ დაიწყეს მისი ბრძანებების შესრულება. საქმისთვის უფრო გულშემატკივართ ადვილად არ დაუხევიათ, მაგრამ მათ ვარამაძე თანდათან აშორებდა საქმეს, თანდათან უკარგავდა მნიშვნელობას მათ ხმას და სიტყვას. ვინც ამათში კიდევ უფრო ურჩი იყო, ისინი, ვითომდა ვარამაძესგან დამოუკიდებლად, სადღაც სხვაგან გადაჰყავდათ სამუშაოდ, აქრობდნენ ლელიანის რაიონიდან...

ხანდახან რაღაც ხმა არღვევდა ყოველგვარ ჯებირს და გედეონამდე მოსული ჩასძახებდა, რომ ეს ყველაფერი არ არის სწორი, არ შეიძლება ასე გაგრძელდეს, რომ კუბოს ფიცარს ამტვრევენ ფოთელი მტვირთავი ივანიას ძელები...

და შეშინდა გედეონი. თბილისში, იმ სამახსოვრო თათბირის დამთავრებისას ამხანაგების მიმართ აკვიტებული ეპკი გაუზვიადდა. ყველგან უჩუმარი წინააღმდეგობა ეჩვენებოდა. ეჩვენებოდა, რომ ისინი დადარაჯებული არიან, რომ მარჯვე ღროს უცდიან, რომ ვიღაც მოშურნეებს არ ახარებდა მისი რაიონის გამარჯვება. ეგონა, რომ ვილაცები ძირს უთხრიან მის კეთილდღეობას, სახელსა და მდგომარეობას.

ვარამაძის უხილავი «მტრებისაგან» დასაცავად იაკობ ფერაძე ჯერ ნელ-ნელა გაშინაურდა პარტიული ორგანიზაციის საქმიანობაში, მერე თანდათან გაიღმა ფეხი. საკვირველი იყო, რომ უნდობლობით შეპყრობილი ვარამაძე, რომელსაც თითქმის ყოველი ადამიანი ეჩვენებოდა აშკარა ან ფარულ ძირგამომთხრელათ, ვერ გრძნობდა, როგორ მოიკალათა ფერაძემ მის კაბინეტში, რა უდიერად შეაფიწროვა საკუთარ სავარძელში და ფაქტიურად აღარც სჯერდებოდა რაიონში. მეორე ხელისუფალის როლს.

ისისათვის, რომ გაედრმავებინა ვარამაძის დაბნეულობა, ფერაძე ხშირად

უმტიციებდა მას, რომ ადგილობრივი ბიუროკრატები არიან, ყოველთვის ცდილობენ დალუბონ რჩეულნი, რომელთა რიცხვს ის თავისთავსაც მიაკუთვნებდა. გაბიროკრატულ და კაცთმოძულე ფერაძის ეპკი არც მთლად უნიადავო იყო. მართალია, ის თავის საყვარელ საქმიანობას დიდ საიდუმლოდ ინახავდა, მაგრამ მისი საიდუმლოება სადღაც დასცდა ლელიანში ჩამოსულ ერთ ენამახვილ ჟურნალისტს. ჩურჩულით თქმულს კი თვისება აქვს ასეთი, გახმაურდება ხოლმე. მას შემდეგ ფერაძე დაინახავდა თუ არა ორ ადამიანს ერთად, დარწმუნებული იყო, რომ ისინი უსათუოდ მის შესახებ ლაპარაკობდნენ. ორივეს ცალცალკე დიობარებდა, დაუწყებდა გამოკითხვას. თუ პასუხი ვერ დააჯერებდა, ან არ მოეწონებოდა, ამ ადამიანს აითვალწუნებდა. ზოგიერთი სუსტი ნების კაცი ცდილობდა გამოესყიდა თავისი «დანაშაული», ჯერ შემთხვევით ყურმოკრულ ამბავს მოუტანდა, მერე ფერაძის მიერ წაქეზებული, განზრახ გამოიწვევდა ხოლმე ამხანაგს ლაპარაკში და გარბოდა ფერაძესთან «მოხსენებით».

ამგვარად ინერგებოდა ზოგიერთ უბადრუკ და მერყევე ადამიანებში ადამიანისათვის ყველაზე ღამყანინებელი და საშარცხვინო თვისება.

ასეთი დაკნინების ნიმუში იყო ერთი იმათგანი მისი შოფერი ჩიორა, რომელსაც ვარამაძე ენდობოდა.

განებიერებულმა, იოლი ცხოვრებით თავწასულმა, ცუდლუტმა ჩიორამ კარგად იცოდა თავისი «ხაზენის» და იაკობ ფერაძის ხასიათი. ასი თვალი და ყური ჰქონდა გამოსხმული. ყველაფერი იცოდა და თუ არ იცოდა, თვითონ მოჩმხავდა, ტყუილ-მართალს ჩაუკაკლავდა ფერაძეს იმიტომ, რომ ასიამოვნებდა, «ხაზენის» კი იმიტომ, რომ გაემარებინა თავისი ერთხელ აღებული გეზი: სხვა მტრად მოაჩვენე, შენ გიმოყვრებსო.

ჩიორას არ უყვარდა, როცა ვარამაძე ცუდ გუნებაზე იყო. ერთ-ორ მოსწრე-



ბელ სიტყვას ეტყოდა, მოხერხებულად გაამხიარულებდა, გუნებას გამოუსწორებდა. აყრილ გზას, საარველამორეულ ნათესებს, დანგრეულ სახლებს შორი ვზით მოუვლიდა, მანქანას იქით გაატარებდა, სადაც გარეგნულად ყველაფერი წესრიგზე იყო, იქ გააჩერებდა, სადაც პურ-მარტილიანი მამებელი ეგულებოდა. შემთხვევას არ გაუშვებდა, ვინც თვალში არ მოსდიოდა მათ საწინააღმდეგოდ განეწყო რაიკომის მდივანი.

ჩიორას ყოყონობა და თავწასულობა სიცოცხლეს უმწარებდა ყველას, განსაკუთრებით საქმიან და პატიოსან შოფრებს. როგორც ხარკის ამკრეფი, ისე ჩამოუვლიდა ხოლმე რაიონის მანქანებს. ბევრმა ინსპექტორთან უჩივლა. ინსპექტორმაც ბევრჯერ დაიბარა, მამაშვილურად დატუქსა, უპირო ჩიორას პირობა ჩამოართვა, რომ შემდეგში წესი, კანონი და ამხანაგობა არ დაერღვია. მეტს რას გააწყობდა უფრო ინსპექტორი რაიკომის მდივნის მოფერაობა?!

მეტნაკლებად ფერაობის და ჩიორას მსგავსი ადამიანები ეტმასნებოდნენ ვარამაძეს. ხმაშეწყობილი მამებლობით ნაცარს აყრიდნენ გედეონის გულში ოდესღაც მოელვარე ნაპერწყლებს...

ერთი მხრით, ამ ადამიანთა უზნეობის შედეგად და, მეორე მხრით, პირში მოურიდებლად სიმართლის თქმის გამო ათვალისწუნა ვარამაძემ ის ხალხი, რომელიც შეურიგებელი იყო ყოველგვარი სიმახინჯისადმი, რომელიც საქმის და რაიკომის მდივნის ნამდვილი გულშემატიკვარი და კეთილისმდომი იყო. ის უზნეო ადამიანები განსაკუთრებით ცდილობდნენ გაეფუჭებინათ ვარამაძის დამოკიდებულება მუხიანელ ნიკო ხელაშვილისადმი. ცდილობდნენ და მიაღწიეს კიდევ იმას, რომ ვარამაძემ შეიჯავრა ნიკო ხელაშვილი, ის ნიკო, რომელთანაც მას ოდესღაც აკავშირებდა დიდი და წმინდა მეგობრობა.

ახსოვდა გედეონს, რომ სწორედ ამ მუხასავით ბრვე ვაეკაცის მარჯვენაზე დაყრდნობით ასრულებდა ომიანობის

წლებში თავის ძნელსა და მძიმე მუშაობას. ახსოვდა, რომ სწორედ ამ კვირიანი და შორსმკვრეტელი კაცის რჩევა შევლოდა ხალხის გულთან ახლოს მისასვლელ გზების პოვნაში. ახსოვდა, ყველაფერი ახსოვდა, მაგრამ...

ხანდახან ზღება ხოლმე, რომ ვის წინაშეც გრძნობს კაცი თავს დამნაშავედ, ვისი დანახვაც აგონებს რაღაც ძვირფას დანაყარგს, ის შეეჯავრება ხოლმე.

ასე დეემართა ვარამაძეს. ის საოცარი უხერხულობა, რომელიც მან განიცადა თბილისში თათბირზე, თავისი სულმოკლეობა, პროტესტი, რომელიც გამოუთქმელი დარჩა, ის პირველი წყენა რაიონის პარტაქტივზე, ყველაფერი ეს უახლდებოდა ხელაშვილის ყოველ დანახვას, და ეს ისეთი აუტანელი იყო, თანდათან თვითმამყოფილების და ქედმაღლობის ზრდასთან ერთად, ისე დამამცირებლად მიჩნდა, რომ თავისთვისაც შეუმჩნეველად შესძულდა ნიკო. ხელაშვილისადმი ამ მიჩქმალული სიძულვილით მივიდა ვარამაძე იმ ახალ, უცხო ნაპირთან.

ბევრჯერ შეეცადა ნიკო გამოენახა ვარამაძესთან გონივრული ლაპარაკის საშუალება, მაგრამ მდივანმა არ გაიყარა. საქმეზე ხელაშვილს ვლაპარაკებოდა მხოლოდ მესამე პირის საშუალებით, ხვდებოდა მას მხოლოდ ხალხის თანდასწრებით, სპობდა მასთან პირისპირ შეხვედრის ყოველგვარ შესაძლებლობას. მაგრამ ასეთი შეხვედრა მაინც მოხდა.

ვარამაძემ განიზრახა ლელიანში დიდი სტადიონის აშენება და კოლმეურნეობის თავმჯდომარეებს უბრძანა ხალხი გამოეგზავნათ მშენებლობაზე სამუშაოდ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობას მოსთხოვა ოცი კაცი. აი ამის გამო ჩამოვიდა ხელაშვილი ლელიანში და მოულოდნელად პირისპირ შეხვდა ვარამაძეს მის კაბინეტში.

— თქვენ მოითხოვეთ ოცი კაცი. მე მოვედი მოგახსენოთ, რომ თავისუფალი მუშახელი არა მყავს, — დინჯად უთხრა მდივანს ხელაშვილმა.

— როგორ? რატომ? — დაიბნა მისი მოულოდნელი დანახვისაგან ვარაძე და კუშტად შეიკრა შუბლი, მოსულს დაჯდომაც არ შესთავაზა.

— არა მყავს თავისუფალი ხალხი. თქვენ ხომ იცით, რომ ბევრი მთათუ-შეთშია წასული გზის მშენებლობაზე. დღე-ღამეზე რთველი დაიწყება, ისიც არ ვიცი, როგორ ავევალთ, — ისევე ღინჯად აუხსნა ნიკომ.

— გამოდის, რომ ყველა საქმე საქმეა და სტადიონის მშენებლობას კი არა აქვს მნიშვნელობა?! — თითქოს რაღაც სასი-კვდილო დანაშაულში ამხილავ, ხმა-დაბლა თქვა ვარაძემ.

— არა. ყველა კეთილი საქმე მისა-სალმებელია, მაგრამ მე არა მყავს თავი-სუფალი ხალხი და მაგის გარდაც... რა დროს სტადიონია, როცა ბელლები და საწყობები თავზე გვენგრევა?..

— ბეულები და საწყობები არაფერ შუაშია! სჯობს პირდაპირ განაცხადოთ, რომ თქვენი კოლმეურნეები უარს ამ-ბობენ დახმარებაზე.

— პირდაპირ გეუბნებით — მე არა გეზავნი მათ. ბეგარამ დიდი ხანია ქირი მოსკამა.

ვარაძემ ვერ აიტანა ხელაშვილის ქვიანი, გამომცდელი გამოხედვა და თვალი აარიდა.

— კეთილი! — შეაწყვეტინა ლაპარა-კი, — მე ისედაც ვიცი, რომ თქვენ წი-ნაალმდევობას უწევთ ყოველ ჩემს ღო-ნისძიებას...

— არა მგონია კარგად იცოდეთ! — შეაწყვეტინა მას ახლა ნიკომ, — აბა საიდან გეცოდინებათ, როცა ჩემგან არ გაგივათ? აი, დავსხდეთ, ამხანაგო გე-დღონ, მომენტრა თქვენთან ლაპარაკი, წინათ რომ გჩვეოდათ, ისეთი ლაპარა-კი...

თითქოს თვით სინიღისი შემოსუ-ლიყო ვარაძის კაბინეტში ამ კაცის სახით. ეს სინიღისი სთხოვდა მას თბი-ლი ხმით, უბრძანებდა მკაცრი გამოხედ-ვით, უხმობდა ძველი გზისკენ. კინალამ დასძლია ხელაშვილმა ის კიამქამელა. აფორიაქებულმა სულმა გასწია ნიკოს-

კენ. ისევ მოუნდა გედღონს თავისი ვე-ლი გადაეშალა მისთვის, ეგონა ყველა-ფერი, განწმენდილიყო მის წინაშე და დაებრუნებინა დაკარგული მეგობრობა, მაგრამ...

«ხელაშვილი ვერ გაიგებს ჩემს წუ-ხილს. ყველაფერს სულელურ ბოდვად მიიჩნევს. მე გულაჩუყებულ ბიჭად ჩამ-თვლის და თვითონ კი იღვრება აქ, როგორც შრომის გმირი, როგორც დე-პუტატი, როგორც ხალხის ნამდვილი მსახური. მე უფრო უბერხულ წამდგო-ბარეობაში აღმოვჩნდები. არა, არ მინდა! მე არაფერი მაქვს გამოსასწორებე-ლის!...»

წამით აელვარებული ნაპერწკალი ჩაქრა, დაიფერფლა...

— მე სალაპარაკოდ არა მცალია, ნა-ხვამდის! — ცივად შეაწყვეტინა ნიკოს სიტყვა.

ხელაშვილმა ნელა დასტოვა კაბინე-ტი.

მას შემდეგ კიდევ უფრო შეიჯავრა ვარაძემ ეს ალალ-მართალი აღმიაჩნი. კიდევ უფრო გაღრმავდა მათი უთანხ-მოება. ვისთვისაც ხელსაყრელი იყო, ის შეუნელებლად აწვეავდა ამ უთანხ-მოებას. იმ ზომამდე მივიდა ვარაძემ, ხელაშვილთან გარეგნულად მისაღებ ურთიერთობასაც კი უგულუბეღყოფდა.

ითმენდა ხელაშვილი. არასდროს წერილმანად არ გამოპასუხებია მდივანს, არასდროს არ დაუკარგავს ადამიანის მაღალი ღირსება. მაგრამ როცა საქმე საქმეს ეხებოდა, კოლექტივის, რაიონის, ქვეყნის კეთილდღეობის, პარტიული ორგანიზაციის სახელს, მამინ მოუთმე-ნელი და შეურიგებელი იყო ნიკო. ასეთ შემთხვევაში არ ერიდებოდა პირად უსიამოვნებას, პირდაპირ და პირუთვნე-ლად ლაპარაკობდა კრებაზე, თათბირზე, ყველგან, სადაც კი ვარაძემ უსმენდა მას. არაერთხელ გამხდარა იძულებული განცხადებით მიემართა თბილისისათვის, მაგრამ ყოველთვის უშედეგოდ. განცხა-დებას ისევ ვარაძემ უბრუნებდნენ განსახილველად.

და მიანიც ამწარებდა ვარაძემ ხელა-

შვილის ქვეყანი თვალების საყვედურიანი გამოხედვა, მისი გაჩუმებაც კი. იცოდა ვარამაძემ, რომ ხელაშვილი მარტო არ იყო. ის, რასაც ხელაშვილი გაბედულად ედავებოდა, მთელი რაიონის დაე იყო მასთან. ხელაშვილის მიერ მისი რომელიმე საქციელის დაგმობა ხალხის ხმა იყო. ხელაშვილის გაჩუმებაც კი ხალხის უხმო განაჩენს გავდა, განაჩენს, რომელიც არღვევდა მის მოჩვენებით მოსვენებას. ამიტომ არაფერი სხვა ისე ძლიერ არ ეწადა ვარამაძეს, როგორც ხელაშვილის მოცილებმა ლელიანის რაიონიდან.

თითქოს ამის სამაგიეროდ, ვარამაძემ მეტისმეტად დაიახლოვა ნიკოს გაზრდილი — ზაქრო სიყმაშვილი.

როდესაც განკურნებულმა ზაქრომ პირველად შეალო რაიკომის კარი და მდიენის კაბინეტში შევიდა, გედეონ ვარამაძე შეხედა მას იმ განსაკუთრებული სითბოთი, რომლითაც ის უხედებოდა ყოველ ფრონტელს. მდივანს და ფრონტელ ახალგაზრდას ერთნაირად ესაიშოვნათ ერთმანეთის ნახვა და გაცნობა. დიდხანს გაგრძელდა მათი პირველი საუბარი. პირველ წუთს ნაგრძნობი სიამოვნება ორივესათვის სიხარულად იქცა. ზაქრო ცოცხალი და მდიდარი ფერებით უხატავდა მდივანს განვლილი ომის ქარიშხლიან დღეებს, განცილდ ხიფათს, მებრძოლი ჯარისკაცის დარღსა და სიხარულს. გედეონი სულგანაბული უსმენდა, ფეხდაფეხ მისდევდა მის მოგონებებს. ორივეს ერთნაირი ძალით ეუფლებოდა დაუფიქვარე წლების ერთხელ უკვე განცილდი სუნთქვა. მერე მდივანი უამბობდა ზაქროს რაიონის ამბებს და ზაქროს ნათლად უდგებოდა თვალწინ მშობლიური ლელიანის მკაცრი ყოველდღიურობა. თითქოს დიდი ხნის უნახავი მეგობრები შეხედნენ. ხან ოხუნჯობდნენ, ხან თითქოს სიტყვაპასუხში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, ხან ხმამაღლა ხარხარებდნენ ანცი ბიკებივით და ორივეს სურვილი იყო, რომ ამის შემდეგ აღარ გაყრილიყვნენ.

ზაქრო მოხიბლული გამოვიდა ვარა-

მაძის კაბინეტიდან. რაღა თქვას, უნდა ვერ დაიჯერებდა ყურმოკრულ ამბავს ვარამაძის ხასიათის ცვლილების შესახებ.

ვარამაძესაც წრფელად მოეწონა სიკვდილს გადაჩენილი ვაქცაი. ანიკასაც იცნობდა ვარამაძე და აფასებდა თვალაქვრილ, საქმიან ახალგაზრდა ქალს. ზაქროს და ანიკას შეხვედრის, მათი სიყვარულის რომანტიკა გაურკვეველ სევდას ჰგვრიდა, თანაგრძნობას იწვევდა მასში. გადაწყვიტა, ყოველნაირად დახმარებოდა ზაქროს და ეხმარებოდა კიდევაც. მოაწყო ლელიანის რაიონული კომიტეტის ინსტრუქტორად და სიამოვნებით აღევნებდა თვალს ძალამოკარბებულ ახალგაზრდას, რომელიც ხარბად ეკიდებოდა ყველაფერ ახალს.

გაეხარდა ვარამაძეს, როცა შემთხვევა მიეცა ზაქრო დაეწინაურებინა და სიხარულით წამოაყენა მისი კანდადატურა შინდის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ. კიდევ უფრო გაეხარდა, როცა საარჩევნო კრებაზე ხალხისგან მოისმინა ზაქროზე ბევრი კარგი და სასახელო.

დახმარებას და მხარდაჭერას ვარამაძისგან ზაქრო იღებდა როგორც კეთების, უბრალოდ და სიამოვნებით. მართალია, უყანასკნელ ხანებში მას უფრო და უფრო ხშირად ესმოდა რომ ვარამაძემ თავის გარეშე მოემოიკრიბა მლიქვნელები, მაამებლნი და ორბირებიო, მაგრამ არ იჯერებდა, ჯავრობდა, ჳორად სთვლიდა. არა სჯეროდა იმიტომ, რომ ვარამაძე მას ეხმარებოდა და მხარს უჭერდა ყოველგვარი ანგარების გარეშე, როგორც უფროსი ამხანაგი, მზრუნველი მეგობარი და ხელმძღვანელი. არ იჯერებდა, რადგან მისგან ვარამაძეს არც პირფერობა უნდოდა, არც მაამებლობა და არც მადლობა. ვარამაძეს წრფელად უყვარდა ზაქრო, ცდილობდა შერჩენოდა ეს კარგი განწყობილება და ვერ ატყობდა, რომ უზომოდ ანებიერებდა. რაკი რაიკომის მდივანს უყვარდა ზაქრო და ანებიერებდა მას, ამიტომ მაამებლობაც ერთხმად აქებდნენ ზაქროს და მის მუ-

საქართველო

შობას, ამიტომ ხდებოდა, რომ ზაქროზე საჩივრით მოსულებს არათუ არ უსმენდნენ, არამედ მათვე ამტყუნებდნენ, „ცილისმწამებლად“ და „ინტრიგანებლად“ ნათლავდნენ, ზაქროს კი უფრო მეტად აქებდნენ და ელაქუცებოდნენ. თითქოს გაუგებარი იყო, როგორ შეეძლო ვარამაძეს ზაქროს მიმართ ზუსტად გაემორებინა ის შეცდომა, რომელიც თავის დროზე მის მიმართ დაუშვა კორნელი ლოლაძემ.

ვერა ხედავდა ვარამაძე, ვერა გრძნობდა ამას იმიტომ, რომ მან უკვე დაკარგა მდგომარეობის, დამოკიდებულების, ხასიათების სწორად შეფასების უნარი. მას ზაქრო ძველებურად უყვარდა, ვერაერთად ცვლილებას და ზიანს თავის დამოკიდებულებაში ზაქროსადმი ვერა გრძნობდა.

ბუნებით გულმართალსა და პატიოსან ზაქროს სიტყვის გაგონებაც კი არ უნდოდა ვარამაძის რაიმე უსამართლო მოქმედების შესახებ. მით უმეტეს, არ გაიგონებდა და არც დაიჯერებდა ვარამაძის მიერ ნიკო ხელაშვილის უსამართლო დევნას.

საიდან უნდა სცოდნოდა ზაქროს, რომ ვარამაძე სწორედ ამ მიზნით ცდილობდა ხელაშვილის მოწყობას თბილისში, სამწლიან პარტიულ კურსებზე? რას წარმოიდგენდა ზაქრო, რომ თვითონაც სხვისი ანგარიშსწორების ერთ-ერთ საშუალებად იყო გადაქცეული?

ვარამაძე აყოვნებდა გაერთიანებას, რადგან იცოდა, რომ გამსხვილებული კოლმეურნეობის თავმჯდომარედ ხალხი ნიკო ხელაშვილს აირჩევდა, მას კი მოთმინება აღარ ჰყოფნიდა, ისე ეჩქარებოდა ხელაშვილის თავიდან მოცილება. სამაგიეროდ, ვარამაძეს კვლავ ზაქროს დაწინაურება ეწადა. დარწმუნებული იყო, რომ თუ ხელაშვილს მოიშორებდა, ხალხი მხარს დაუჭერდა მის მიერ წამოყენებულ ზაქროს კანდიდატურას.

ამ გაერთიანებას ხელს უშლიდა იაკობ ფერაძეც. ფერაძემაც იცოდა, რომ ხალხი თავმჯდომარედ ხელაშვილს აირჩევდა, იმ ნიკო ხელაშვილს, რომელიც

მას, ბოროტებით აღსავსეს მტრის ძიებით შეპყრობილს, ვარამაძეზე მეტად უწუხებდა გულს.

როგორადაც კი შეეძლო, ხელს უშლიდა ამ საქმეს იორამ ბაბუციძეც. მას კოლმეურნეობის კეთილდღეობა აინუნშიც არ მოსდიოდა. ბოროტსა და ღვარძლიანს არ უნდოდა შინდევლების გახარება და ზაქროს წადილის შესრულება.

მაგრამ ამ გაერთიანების მეტი დაყოვნებაც აღარ შეიძლებოდა. თბილისში არც იცოდნენ, რომ მას შემდეგ, რაც მთელს რესპუბლიკაში დიდი ხანია დამთავრდა კოლმეურნეობების გამსხვილება, ლელაინის რაიონში კიდევ არსებობდა ორი პატარა და ლარიბი მეურნეობა. და აი, როგორც იქნა ხელაშვილი გაემგზავრა თბილისს. ვარამაძემ მამინვე საერთო კრება დანიშნა. იაკობ ფერაძე გულდაგულ უჭერდა მხარს ვარამაძის მიერ დასახულ კანდიდატურას. ამით ის რაიკომის მდივანსაც აამებდა დიდად და საკუთარ გულსაც იამებდა. ჯერ-ერთი, ზაქროს არჩევა გამსხვილებული კოლმეურნეობის თავმჯდომარედ მას ხელაშვილის დიდ დამცირებად მიანინდა, მეორეც, დარწმუნებული იყო, რომ ზაქრო მალე ჩაეტელოდა დიდ მეურნეობაში და წამწარდებოდა როგორც ვარამაძის კარგი განწყობილება, ისე მისი, ფერაძის უგულვებელყოფაც.

რა იცოდა ზაქრომ, რა კარგ გუნებაზე დააყენა ხელაშვილის თბილისში წასვლამ გედეონ ვარამაძე და იაკობ ფერაძე?

არც ის იცოდა ზაქრომ, რომ ლელაინის რაიონი, რაიკომი, რაიკომის მდივანობა და ამასთან დაკავშირებული საქმიანობა, ყველაფერი ეს გედეონისათვის ცხოვრების ერთი მხარე იყო, აუცილებელი, ყოველდღიური, უფერული და ყველასათვის ცნობილი...

და სულ სხვა იყო მისი ცხოვრების მეორე, ყველასათვის საიდუმლო, უსაზღვრო სიხარულით და ნეტარებით აღსავსე მხარე. აქ მხოლოდ თამარი არსებობდა. უყვარდა გედეონს უსიტყვო, მორჩილი თამარი, და, რაც უფრო მორ-



ჩილად ანდობდა მას თამარი თავის ხელშეუხებელ გულს, მით უფრო უძლიერდებოდა გედონის თამარისადმი რიდი, პატივისცემა და სიყვარული, — სიყვარული, რომელიც აცოცხლებდა მის გულში ფითელ ფაქიზ და მგზნებარე ჰაბუქს.

თამარის ვიწრო, ირიბად გაჭრილ თვალებში და წარბ-წამწამში იღუმალემა სუფევდა. ფოთელი ჰაბუქი სიცოცხლეს არ დაზოგავდა, რომ ის იღუმალი სევდა დაეფრთხო. გრძელ მოლურჯო თმებს ჩამოუშლიდა ხოლმე, რომ მის სიმძიმისაგან უკან გადაწეულ თავს დაესვენა, სუნთქვას იკავებდა, რომ მის სახეზე ღიმილი არ გაეკრთო, უხმოდ ეუბნებოდა რალაც ნაზ, უჩვეულო, ალერსიან სიტყვებს...

„თამარ, თამარ, მე დოფინემ დამანახა შენი თავი და ამისათვის ვლოცავ იმ საძულველ ქალს... თამარ, მე ისევე გავხდები ჩვიდმეტი წლის მოხალისე ბიჭი და ახლად, შენთან ერთად დავადგები ცხოვრების გზას. გინდა, ქვეყანას ვეტყვი, რომ შენა ხარ ჩემი პირველი და უკანასკნელი სიყვარული? თამარ, იცოდე, რომ ვერ ვიტყვი შენზე უარს. მზად ვარ ყოველგვარ მსხვერპლზე, და რაც დიდი იქნება მსხვერპლი, მით ძვირფასი იქნები შენ ჩემთვის. შენ კი ერთადერთს გთხოვ: მითხარი, რომ არაფერს არ ნანობ, მითხარი, რომ ბედნიერი ხარ, გაიღიმე ისე, შენ რომ ილიმები ხოლმე, თითქოს პატარა იას ნაში დაეპყრაო... გინდა, მითხარი, რომ მე ცუდი მდივანი ვარ, რომ მე ღირსი ვარ საყვედურის, წყრომის, სასტიკი სასჯელის... მე ავიტან ყოველგვარ სასჯელს, ოღონდ ნუ დამტოვებ გაჭირვებაში, შენ იყავი ჩემთან და მე მზად ვარ შენთვის გავწირო სიცოცხლე“...

საიდან ესმოდა თამარს ეს უხმოდ ნათქვამი სიტყვები? ესმოდა კი, და დახუჭული თვალების კუთხეებიდან სიხარულის ცრემლი წვეთავდა ბალიშზე. თითქოს გედონის სიტყვების გაგრძელება იყო მისი უხმოდვე ნათქვამი სიტყვები...

(გაგრძელება იქნება)

„მე ჯერ კიდევ მერიდებოდა... და არ ვიცი, სხვანაირად როგორ მოგმართო. გედონ!.. თითქოს სახელი კი არა, ზარი გუგუნებს ჩემს გულში. მაგ სახელშია ჩემი სული და ჩემი სიცოცხლე... იმ წუთიდან, რა წუთსაც დაგინახე, ავად გავხდი. არა, ავად კი არა, იმ წუთიდან ისეთი ბედნიერი ვარ, როგორც არასდროს არ ყოფილა ადამიანი ქვეყნად. წინათ მიხაროდა, შენ რომ ვერ მამჩნევდი. შორიდან ვუყურებდი ამ სახლს და მარჯალიტის ტაძარი მეგონა. როცა ფეხი შემოვდგი ამ სახლში, მინდოდა, რომ შიგ სიმყუდროვე და სიფაქიზე დაბინავებულიყო. მეშინოდა როცა დამელაპარაკებოდი, და ან შემომხედავდი — ვიტყვებდი, მეშინოდა, მრცხვენოდა. შორიდანვე მესმოდა შენი ფეხის ხმა, როგორც საკუთარი გულისცემა. შენი ხმა ყურს ხედებოდა, როგორც სიხარულის მაუწყებელი ნალარა. მე მიყვარს ის ნივთებიც კი, რომლებსაც შენი ხელი ეხება. შენ ბევრი გემღურის. მე ვიცი, რომ შენ იმათთან აღარ ხარ ისეთი, როგორიც უნდა იყო. ნუ გამიწყრები. შენ იმათთან არა ხარ მართალი. მე კი მიყვარხარ ისეთი, როგორიცა ხარ. უარესიც რომ იყო, ხალხი რომ მთლად შემოგეცალოს, მე ასევე მეყვარები. იმიტომ, რომ ამაზე მეტად, ან სხვანაირად არ შეიძლება... ერთხელ შენ მითხარი, მამაშენმა სალაშზე ნაძალადევად მიპასუხაო. ნუ გაუწყრები მამაშემს. ის მოხლეია, ერთი შვილი ჰყავს და რა ვიცი, რა აშინებს? მე ვეტყვოდი, დავაწყნარებდი, ვუამბობდი, რა ბედნიერია მისი შვილი, მაგრამ როგორ? რა სიტყვებით? სიტყვა დაკარგავს ძალას და მე ვერ ავუხსნი ჩემს მოხუც მამას, რომ მზემ ოქროს კიბე ჩამოუშვა ჩემამდის და მე შენთან ერთად ავიღე ამ კიბეზე სულ ზევით, ზევით, მაღლა მზესთან...“

და, ვინ იცის, რალად იყო თამარის ირიბ თვალ-წამწამებში მიძინებულ სიკვდილს...

კალე ბოზონიძე



## გორის განთიადი

დევალეთის მთების მწვერვალებს  
მზის შუქი თავზე ადგება  
და ცისკარივით ელვარებს  
დროშების ამონათება.

წინ შექირხლული ბაღია,  
თოვლია უსპეტაკესი;  
გორში პატარა სახლია —  
ჩვენი სითბო და ალერსი;  
აქ იზრდებოდა ყმაწვილი —  
ბელადი უსაყვარლესი.

დღეს მისი აზრის ნათელი  
სსოფლიოს თავზე ადგია  
და სიბრძნე, როგორც სანთელი,  
ხალხთა გულებში ანთია.

ლენინის დიდი მოწაფე —  
მტარვალთ რისხვა და მზარავი —  
კვლავ ბევრჯერ ნათელს მოგვაფენს,  
გაივლის წელი მრავალი,  
ის მარად ჩვენთან იქნება,  
როგორც მზე ამომავალი...

დიდების გამომსახველი —  
გულში ბრწყინავს და ელვარებს;  
ლენინ — სტალინის სახელი  
შუქად ადგია მწვერვალებს...

მარიამ ლაბანიძე



ოქუმი

I.

რა თქმა უნდა, რომ არა აქვთ  
ოქუმელებს კრემლი!  
მაგრამ გრდემლი კი ჰქონიათ,  
დიდი თითბრის გრდემლი...  
დაე გრდემლმა კურანტების  
ნაცვლად იმსახუროს:

უთენია  
თითბრის გრდემლზე  
შემოჰკრავენ  
უროს...

ხალხი ყანას მიამაჟებს,  
უროს აღარ სცემენ  
და დათვები — შინაური —  
ეზოებში თვლებენ.

გაგვალვიძა დილით გრდემლმა,  
— ეს რა გრუხუნია?

თავს გვადგას და ილიმება  
თვითონ ჯგუბურია;  
ილიმება და ქართულში  
ალაგ მეგრულს ურევს:  
სასტუმროში ყველაფერი  
ხომ მოართვეს სტუმრებს?!

ხომ არ სჯობდა,  
რომ ახლავე  
წაგვეხემსა  
ცოტა?

და შემოსულს უჩურჩულა:  
— ხომ არ დაიწვოდა?  
გამოვედით სასტუმროდან,  
მივალთ, მივალთ გზაში.  
არვინ შეგვხვდა და გავედით  
ასე სოფლის თავში.  
წინ მიგვიძღვის ჯგუბურია,  
ემასლაათობთ ლაღად.  
შევეკითხეთ:  
— თქვენც გმირი ხართ,  
მაგრამ სხვებს სად ენახავთ?

— ეს ელექტროწისქვილია!  
— ეს — ახალი სკოლა!  
— ეს კი... ძაან ბოდისი და...  
სოფლის აბანოა...

სტადიონზე წვრილფეხობა  
შესეოდა ყორეს;  
თავმჯდომარე რომ შენიშნეს,  
თავი მოიწონეს —  
დაფაცურდნენ, შეუტყეს,  
ანგარიში გახსნეს...  
გადმოგვხედა ჯგუბურია  
და ღიმილი წამსვე  
კახამბალის  
კუმპალივით  
გადაუგდო  
ბავშვებს...

ამ მხარეზე თამბაქოა,  
ამ მხარეზე — ყანა.  
ყანებს იქით აფხაზეთის  
ლურჯი მთები დგანან.  
ხალხი ველად გახიზნულა,  
შესეგია ტყე-ველს.  
ეზო-ეზო შინაური  
დათუნები თვლებენ.  
დახვევია იზაბელა  
ბებერ თხემლებს შავად...  
მივალთ, მივალთ,  
და საცაა  
ყანებშიაც  
გავალთ.

2.

მივდიოდით  
და სიმღერით  
წამოგვიხტა მოხასხასე ყანა.  
მყინვარები  
შაქრისფერი  
ჩაის იქით მუქ-ლურჯ მთებში დგანან.

გზად ქაბუკი  
ბრიგადირი  
ყანის პირას გარინდული ვნახეთ:  
ცაცხვის ჩრდილში  
იდგა გმირი,  
დასცქეროდა სტახანოვერ ნაკვეთს.  
ბრიგადირი  
აკვირდება:  
ჩალის ქუდმა ჩაივავა ჩაი...  
სადაც არი  
აგრილდება  
და ჩეროში გოგრა იტყვის შაირს.

ფურჯიხვივით  
მარტო დახვალ,  
დაბალახობს ათი მკვირცხლი თითი...  
ოქუმიდან  
შორს ვერ წახვალ,  
სახელიც რომ გაგივარდეს დიდი!

გაილიმა  
ჯგუბურიამ:  
— გაუმარჯოს კაცის გულში ქარბუქს!  
გავილიმეთ  
და ღიმილით  
ჩავუარეთ გარინდებულ ქაბუქს.  
მზემ უღვაშში  
ჩაიციწა,  
ბრიგადირი გამოფხიზლდა წამით;  
გამოფხიზლდა,  
დაირცხვინა  
და ბალივით დაგვედევნა ჩავლილთ...

მივალთ, მივალთ  
და სიმღერით  
გვეგებება მოხასხასე ყანა...  
მყინვარები  
შაქრისფერი  
ჩაის იქით მუქ-ლურჯ მთებში ღვანან.

### ხუთი წლის უმჯობეს

ჩემი სალამი  
ლურჯ-წითელ ფანქრებს  
ყურსა და ყვრიმალ-  
შუა გაჩრილებს!  
სახლებს და ღურგლებს,  
ღურგლებს და სახლებს,  
მარად შენებას  
და სიყმაწვილეს!

შრიალებს ბურბუშელა,  
სრიალებს შალაშინი,  
მზე ჩამავალი  
მთებს ეფინება...  
ომი არ აშინებს —

ოდა-სახლს აშენებს,  
ვიღაც ქორწილს და  
რთველს ეპირება.

ყანებშიც ისევ  
შრომის გუგუნია,  
კრეფენ ჩაის და  
ლობავენ ღობებს.  
ოქუმის ბაღში კი  
სძინავს ჯგუბურიას  
და მხოლოდ ძეგლი —  
ბრინჯაოს გლეხი —  
გაპყურებს სოფელს.



ჩვენს ჯაშაიძე



## ჯარისკაცის ქვრივი

რომანი

ქარი პირველი

### I

სპირიდონს თავში ჩაქრულივით გამოეღვიძა. რა იყო, რა ხმაური და ღრინანცელი იყო ეს? ბალიშზე დაბჯენილი მარჯვენა მხარი ოდნავ წინ წამოაქურა და ახლა გულადმა გაიშობა ლოგინზე.

სადღაც გაბმით ყიოდნენ მამლები.

სპირიდონმა თვლები გაახილა და ქერს მიაშტერდა.

ნეტავი რა დრო იყო, ნუთუ მას მართლა ეძინა? მერე ასე როგორ წაართვა ძილმა თავი, რომ გათენებაც კი გამოეპარა?

პალატი ისევ სიბნელეს მოეცვა. ფანჯარაში მორცხვად იჭერიტებოდა მოახლოებული გარიყრაეის შემპარავი ნათელი.

მამლებმა კიდევ იყვილეს. ჯერ პაპუნა ყანჩაველის ეზოში გაისმა ეს გაგრძელებული, ზრინწიანი ყვილი, შემდეგ სპირიდონის ბებერმა მამალმაც აუბა მას მხარი.

როცა ეს ღამეული გნისი მიწყდა და ისევ სიჩუმემ დაისადგურა, სპირიდონმა ჩამქრალი ღუმელისაკენ გაიწვდინა ხელი, რათა ის სკამი მოეფოთარებინა, რომელზედაც მისი ხვანჯრიანი გალიფე; დაბამბული ქათიბი და პაკიქები იყო გადაკიდებული.

სანამ სიბნელეში სკამს მიაგნებდა, ხელისგული რალაც გრილსა და მომრგვალებულს წაართყა. მიხვდა, რომ თუნგულა წააქცია და უმალვე მეორე ხელიც მიაშველა, მაგრამ თუნგულა ტახტქემზე შეგორდა და სპირიდონმა გაიგონა,

როგორი ხალისიანი რუქრუქით იღვრებოდა იქიდან წყალი.

— სპიდონა, შენ ხარ? — გაისმა ნამძინარევი ქალის ხმა, მაგრამ ლოგინზე წამოძვდარმა სპირიდონმა, შიშველი ფეხები ტახტიდან გადმოყარა და იმწამსვე იგრძნო სოხანეზე დაღვრილი წყლის სიგრილე. ტანზე უჩვეულო აჩქარებით იცვამდა და თვალმოუშორებლად მისჩერებოდა პალატის ყველაზე ბნელ კუთხეში მოთავსებულ განიერ საწოლს, რომელზედაც ხათუნას ეძინა პატარა პავლესთან და შალიკოსთან ერთად.

სპირიდონს არ ესიამოვნა, რომ უნებურ ხმაურზე დედაბერს გამოეღვიძა, მაგრამ ახლა ერთბაშად მოუნდა ყველაზე წამოეყარა, ყველა დაესაქმა, რაღა დროს ეს ნებიერი ძილი იყო?! მაგრამ სიჩუმემ, რომელიც ოთახში სუფევედა, მაინც თავისი გაიტანა: სპირიდონს საკუთარი ხმაც კი ეუცხოვებოდა.

— სპიდონა, დგები? — ხელახლა წაიჩურჩულა კუთხეში ცოლმა.

— რა გინდა, ადამიანო, რას შემომიჩნდი! — უცებ გული მოუვიდა სპირიდონს და მისი ხმა გაზზარული ზარის ქორაალივით გაისმა მიწყნარებულ პალატში.

— ნელა ქენი, მერე, შე კაცო, რას დაბრაზუნობ!

— არავინ არ გკითხავს შენ, დებრაზუნობ თუ რალაცა!

თავისმა უკმეხმა პასუხმა კიდევ უფრო გააღიზიანა სპირიდონი. ასანთი გაკკრა. ნაშუალამეეს შემოხსნილი ლეკვერთხები მოშორებით ეწყო სამფეხა სკამზე. ის წინდებისამარა წამოდგა და

ქუსლებით მივიდა იქამდე. ლეკვერთხებს რომ იკრავდა, შენიშნა, რომ მუდამ ბაბუს ფეხით მწოლარე ზურიასაც გაპლვიძებოდა, — ყური მოჰკრა თვისი ტახტის ნაცნობ კრიალს.

სხვა დროს მოხუცი მოერიდებოდა შინაურებს, საქმეზე მიმავალი ფეხაკრებით გაილაღებოდა პალატიდან, მაგრამ ახლა წუხდა, რომ უფრო მეტი ხმაური არ შეეშლო, სკამებს ხომ ვანზრახ არ გადაბრუნებდა! დეე, გაღვიძებოდათ ამითაც, დეე, ამითაც გასტეხოდათ ძილი ისე, როგორც სპირიდონს გაუტყდა!

მოხუცს მოეჩვენა, რომ უკვე ეღვიძა ყველას, მაგრამ განგებისად გატრუნულნი თავს იმძინარებდნენ. კარს მიეახლა და სინათლე აანთო. ახლა მოუნდა ხელახლა ჩაეჭრო სინათლე, რადგან უკან მობრუნებული ალბათ ხუთ წყვილ გაკვირვებულ თვალს წააწყდებოდა, მაგრამ ამის მაგივრად კარს მოსცილდა და თავჩალუნული ისევ ლუმელისაკენ წავიდა კოქლობით დაბამბული ქათიბის ასაღებად.

ზურიას გვერდი ეცვალა, თავი ისევ ძილისათვის მიეცა, კედლისკენ გადაბრუნებულიყო და გაბუძგული ჭოჩორა თავი ღრმად ჩაერგო ბალიშში.

სპირიდონის გულში წუთით სიბრაღულმა გაიღვიძა. მან კარგად იცოდა, რომ თხუთმეტი წლის, მოსწრებული შვილიშვილიც დიდხანს ბორგავდა წუხელ ლოგინში, სპირიდონს ნაიარევი ფეხიც კი ატკინა. რა ტკილად ეძინა ახლა ბიჭს, მართლა ცოდვა იყო მისი გაღვიძება.

გარეთ რომ გამოვიდა, მხოლოდ მაშინ მიხვდა, რომ ადგომა ძალზე ადრე მოსკლოდა. წალკოტის სერის თხემზე ცისკრის ვარსკვლავი ამოსულიყო და მოკრიალებულ ლაქვარდს იისფერ ბურუსში გაეხვია თოვლით გადათეთრებული არემარე.

სოფელში კიდევ ყოიღნენ მამლები.

„მადლობა ღმერთს, გამოიამინდა, — ფიქრობდა სპირიდონი, — ვახშობამ-

დე იმდენი ბარდნა, ხელახლა გასათოვლად გამიხადა ბილიკები“

მან კართან მიყუდებულ ნიჩაბს ხელი წამოავლო და დერეფნის ნაპირს მიამურა.

დაბალი, ფიცრული კარი ძლივს გააღო, რადგან აქედან გასასვლელი გზა იმ ღამეს ჩამონაყარ თოვლს დაუქმებინა.

მაგრამ ნიჩაბი რად უნდოდა? საქონლის დაურვება ჯერ ადრე იყო, წინა დღეს დაპობილი შეშა კი ბლომად ეყარა დერეფანში. კარი მაინც გაიარა და ნიჩაბი ღონიერად ამოჰკრა თოვლს, მაგრამ იგი ისე მსუბუქად მოჰყვა ხელში, რომ ისევ ფეხდაფეხ გასვლა ამჯობინა: ფუმფულა თოვლი ნიჩაბს მოედებოდა და სულ გახეთქდა გულზე.

წყობინად დალაგებულ შეშის ხორამდე რომ მიალწია, დაიხარა და რალაცას დაუწყო ძებნა თოვლში. მალე წლობით აქ ნაგდები კუნძები ამოჰყარა და ხენეშით შეაგორა დერეფანში.

— გაიღვიძონ, დეე, გაიღვიძონ! — გაიძახოდა გულში სპირიდონი და გამეტებით იქნევდა ალესილ ცულს, არც სოხანეს ზოგავდა, არც ძალ-ღონეს...

კარგად გათენებული არც კი იყო, ბოსელს რომ მიადგა. ცხენს თოკი დაუგრძელა, საქონელს ჩალა დაუყარა. მერე აზრად მოუვიდა, ახალი კანდრები უნდა გავაკეთოთ, ძველები ნამეტნავად გამხმარი ეჩვენა. ბოსელში ნაშუადღევამდე იტრიალა, ცეცხლი დაანთო და ყვარჯნის სიმსხო შეინდის ჯოხები გვერდით მოილაგა. ზოგი ჯოხი კორძინი აღმოჩნდა, ზოგი კიდევ, კარგად ვერ გაახურა თუ რალაცა, მოღრეკა და ზედ აპეურის ჩამოცმა ვერ მოუხერხა. სათითაოდ შემოემტვრა ხელში, ტყეჩადაც აღარ გამოადგებოდა.

ბოსლიდან გამოვიდა თუ არა, ბედლის კარის კრიალმა მიიჭვია მისი ყურადღება. ეკა იყო. კალთებამოკეცილი წვრილფეხს აბურებდა.

„მთლად გამოყრუვდა ეს დედაკაცი, ამის მეტი საქმე აღარა აქვს?“ — გაუელვა სპირიდონს. ეზოს თვალი მოავლო. თოვლი და თოვლი! ძე-ხორციელს არ

ახსოვს ამისთანა ზამთარი. გუშინ კაც-ლის ტოტი ჩამოტეხა, ახლა ეს ლელე-ბიცი არ დაამტვრიოს.

რის ვაივაგლახით გადაუხვია ბილიკი-დან და ერთჯერ თუ ორჯერ შემოჰკრა წალდი ლელვის ტოტებს.

— რას შერები, სპიდონა, კრი თუ? — მოესმა ზემოდან.

ჭრისო? ოო, გამოყრუებული დედა-კაცი! რა ჰქნას, ეს რა შხოლა ტოტი მოუჭრია!

„ჰმ, მოგიკვდეს გამოშპარავი!“ — ამომარცვლა ბოღმაზე მოსულმა სპირი-დონმა.

უკანასკნელი სიტყვა დამთარებუ-ლიც არ ჰქონდა, რომ თვალი ქიშკრის-კენ გაეშტა.

პატარა შლიკოს შუათანა ძმა პავლე აეყოლებინა და თავქუდმოგლეჯილი მირბოდა ბილიკზე.

გზაზე გადახურული საბარგო მანქა-ნა იდგა.

სპირიდონს წუთით დაავიწყდა და-ლეწილი საკანდრეებიც, მოჭრილი ტო-ტიც და სიტყვებს ეძებდა თავზე ხელ-ალებული ბიჭების დასაბრუნებლად, მაგრამ ესენი ქიშკარში გაცვივდნენ და მანქანის ირგვლივ მოფუსფუსე ხალხს მიაშურეს.

მანქანიდან რალაც მძიმე ბარგი გად-მოჰქონდათ, გზის პირას თოვლზე აწყობდნენ.

სპირიდონმა თვალი შეასწრო უც-ნაურ მრგვალ სარკეებს და ვერც კი მოისახრა, რის მომასწავებელი უნდა ყოფილიყო ეს ყველაფერი, რომ გზაზე თავშეყრილ ხალხს ოთხი ჩოხა-ახალუ-ნიანი კაცი გამოეყო. ესენი ჯერ რალა-ცას უძახდნენ თავიანთ მხლებლებს, მე-რე ერთბაშად შემოტრიალდნენ, ერთმა-ნეთს ხელი გადაჰხვიეს და ისე ტკბილად შემოსძახეს სიმღერა, რომ მის გავო-ნებას აღარაფერი სჯობდა.

სპირიდონს ეგონა მომეჩვენათო. წალ-დი პირით ჩაარკო თოვლში, სველი ხელები სახეზე მოისვა, მაგრამ ამაოდ.

— მანქანაც ნამდვილი იყო და ქიშკრი-საკენ წამოსული ჩოხიანებიც.

ტკბილი სიმღერა უფროს გააჩვევით და გარკვევით ისმოდა.

ახლა ის იფიქრა სპირიდონმა, სიზ-მარში თუ ვარო, რადგან კარგად არ-ჩევდა, რომ ჩოხიანები განთქმულ სავა-ლობელს, ჭონას მღეროდნენ.

ჭონა, ჭონა, ააა...

ახლა ქიშკართან მოისმოდა ეს დიდი ხნის მივიწყებული, ნაცნობი ხმა.

თუ წელან გააკვირვა, ახლა გააჯავრა სიმღერამ სპირიდონი.

— რამდენი უსაქმური დაიარება კი-დეუ ქვეყანაზე, როდის გაწყდება მაგა-თი სინსილა! — ბუზღუნებდა იგი, — რა გეკონება მოწიფულ ვეკაცს მეო-რედმოსვლაში! ჩაუცვამთ და გამოსუ-ლან, უღვაშგაპარსულები! ახლა მე მკი-თხონ, სიმღერის გუნებაზე ვარ, თუ არა! — ექნაღამ ხმამაღლა დაიყვირა ეს სპირიდონმა და გაუეღვა ერთი თავი-სებურად დაეტატანებინა შვილიშვი-ლებისათვის, მაგრამ ამ დროს მეკო-ნებმა ისე ტკბილად გამოიყვანეს

სახლი აშენდა, აშენდაა...

რომ სპირიდონს ენა მუცელში ჩაუ-ვარდა.

აშენდა! მართლაც რომ რამე შეძლე-ბოდა ამ ლოცვას, განა მთელ სიცოც-ხლეს არ დათმობდა სპირიდონ ყანჩავე-ლი!? აშენდა! აშენდა კი არა, მაშინ და-იქცა მისი სახლიც და კარიც, როცა ბოგანო მინდელის შვილმა პირველად შემოალაჯა კალოსუბანში. ვინ თქვა, ბედი არ უნდა ყველაფერსო! რალა სპი-რიდონის ეზოში ჩამოვარდა აბა ეს მეხი, გათხოვების მოსურენ ყმაწვილი ჭალე-ბის მეტი რა იყო კალოსუბანში! აშენ-და! ისე აშენდა სპირიდონის ოჯახის ორგული, ძვირის მთქმელი და დამა-წყევარი! რომელი შვიდი ვეკაცის მამა სპირიდონი იყო, რა გაანდა ხათუნას მეტი! ახლა ეს არის საქმე? რალა ააშე-ნებს სპირიდონის დაქცეულ ოჯახს, რო-ცა ყველა მას გადაუდგა, როცა მისი სი-ტყვა სათრეველად გაიხდა შინაურმაყ და გარეულმაყ! ვინ აშენებულა ასე, რომ სპირიდონი აშენდეს!

„ეები!“ — ამოიოხრა მან და აღმართს აულდა.

მეჭონეები მაინც არ ცხრებოდნენ, თავდაუზოგავად აწყვილებდნენ ბანსა და მოძახილს:

ჭონა, ჭონა, ააა...

ააა იი იოო...

შალიკოს და პავლეს დრო მოეხლე-ბინათ. მოხერხებულად ამოვარებოდნენ ჭიშკარს, ვითამ აქეთ მომავალი ბაბუაც ვერ დაგვინახავსო, მაგრამ ამ უკანასკნელს ახლა მათთვის აღარ ეცა-ლა. მას უცნაურ სიამოვნებას ჰგვირდა ეს აღამისდროინდელი სიმღერა. რამდენი ხანი იყო, ტკბილი ჭონა არ გავგონა, რამდენ წყალს ჩაველო მას აქეთ. ეჰ, დედაო, შობის კვირა რომ დადგებოდა...

— გამარჯობა თქვენნი! — ხრინწიანად ამოილაპარაკა ჭიშკართან სპირიდონმა და ჩაახველა. ახლა-ღა მიხვდა: ამდენი ხნის ნაგუბარი ხმა უქმად ნაგდებ სახნისივით ჩაეანგებოდა.

ეკამ კვერცხები გამოიტანა კალთით, თან არყიანი სურა და გოდორა მსხალი მოაყოლა.

— გაგიმარჯოს, ბიძია! — მიაგებეს ბერიკაცს მეჭონეებმა.

სპირიდონს უნდოდა რაღაც ეკითხა, მაგრამ ენა ველარ მოაბრუნა. ბოლოს, არც იქით, არც აქეთ, უაზროდ იკითხა:

— დადიხართ, აბა?

— დავდივართ, ბიძია. შემოერთება ხომ არ გინდა?

უხემსურმა სპირიდონმა ხელის კანკალით შეავსო თითის სიგრძე ყანწი, ჯერ თავად გადაჰკრა, მერე იმას მიაწოდებდა, რომელიც უფროსად შეიცნო, თანაც იმით იმედმოცემული, რომ ენა ამოიდგა, გულმხურვალედ ილოცებოდა, ღმერთმა ჭონებაც ზღვად მიქციოს და არც თქვენისთანა კეთილი სტუმარი მომკლებოდესო; გულში კი იმას ფიქრობდა აღრენილი, ნეტავი ან ერთი რა ოხრად მიინდა, ან მეორეო.

სპირიდონმა კიდევ გამოსცალა სასმი-სი, მაგრამ მეჭონეებმა იუარეს. ისინი მაღიანად შეექცეოდნენ ეკას მორთ-

მეულ დამეჭნარ ყურძენს, მსხალსა და ხმელ ხილს.

— ამ მანქანას მოყევით თქვენ? — ცნობისმოყვარეობამ სძლია ისევ სპირიდონი.

— ამას მოყევით, დიახ, — ერთმა-ნეთს დაასწრეს თავაზიანმა მეჭონეებმა.

— ილბალი უნდა მაგასაც!

— დიახ...

— შემოყოლებაზე გზა გასულია?

— გავიდა კი, აგურის ქარხანასთან გაგაწვავლა ცოტა. ჩვენზე წინ ტრაქტორმა ამოიარა.

როდის მოხდა ეს? რატომ სპირიდონმა ვერ გაიგონა ტრაქტორის ხმა? ალბათ იმ დროს ბოსელში იყო.

— ესენი რაზე ელიან ამ ჩიხა-მახას, ველარ ზიდა? — ახლა თოვლზე დაწყობილ ნიეთებს მიაპყრო თვალი სპირიდონმა.

— არა, იღებენ.

— რომ იღებენ, მეც ვხედავ.

— სურათს იღებენ, ბატონო, სურათი უნდა გადაიღონ.

— სურათი?

ეკა ხელახლა გამოშლაპუნდა თოვლში, კიდევ რაღაც გამოიტანა.

— არ ამდგარა? — მიუბრუნდა მას სპირიდონი.

ეკას გაოგნებული სახე ჰქონდა. ქმარს მორჩილად შეაქებდა, მერე მიხვდა, ვისაც კითხულობდნენ, რაღაც წაიჩიფჩიფა, მაგრამ ხმა არავის გაუგონია.

ამან აადულა ისედაც მარცხენა ფეხზე ამდგარი სპირიდონი, მაგრამ უცხო ხალხისა მოერიდა, ეს-ღა მიუგლო ეკას:

— თუ სულ ჩაგიწვდა ხმა, თქვი. მე კაცი ვარ თუ ძალი, რომ გეკითხები!

— უქეიფოდ არის, სპიდონა, და რა გქნა. სულ ხომ არ მოვკლავთ იმ უბედურს...

— უქეიფოდ? ჰოო, — ბოლმით გაიმეორა სპირიდონმა.

ეკა ცრემლებს იწმენდა თავსაფრის ყურით. ცდილობდა ქმარისთვის მოერიდებინა ღამისტეხთა და მოხუცებულობით შემუტებული სახე.

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

სპირიდონმა ამოიხრა. არაყი და-  
ისხა და შეილიშვილები აღდგარქლა.

ბიჭები დარცხვნილი იდგნენ კიშ-  
კართან. გულაჩვილებულ ბებიას და-  
ნახვავე ისინიც იღუშებოდნენ.

— ნუ ტირი! — შეუტია ცოლს სპი-  
რიდონმა, — ტირილის თავი არ მაქვს  
ახლა მე! წადი, წაიყვანე ესენიც! გეს-  
მით თუ არა?! დაღუეთ, ბიძია, კიდევ  
მოვიტან. არ გეყურე ბა, ჩალო?

სიტყვა არც კი დაჯ მთავრებინა, იქაუ-  
რობას მრგვალი სარკეების იისფერი სი-  
ნათლე მოეფინა.

დახურული საბარგო მანქანა გუგუ-  
ნით მუშაობდა, მაგრამ ისევ :მ ადგი-  
ლას იდგა.

კაბინასთან გაჩერებულმა უპალტოო  
კაცმა რალაც ნიშანი აისცა ჩოხიანებს  
და ტაში შემოჰკრა.

მეკონებმა მადლობის გადახდაც  
ველარ მოასწრეს, საჩქაროდ მოსცილ-  
დნენ კიშკარს.

ირგლოვ ყველაფერი ამოძრავდა,  
თითქოს სახნისი ჰიანქველის ბუდეც წა-  
მოედრო.

სპირიდონს თვალი მოსჭრა სინათ-  
ლემ. ზურგი უჩვენა, მაგრამ როცა ასეც  
შეაწუხა ათასფერად აციმციმებულმა  
თოვლნა, ფეხი აითრია და დერეფნისკენ  
წავიდა, სადაც სანახაობით გაკვირვებუ-  
ლი ბებია და შეილიშვილები იდგნენ.

ის არ მობრუნებულა. არც აინტერე-  
სებდა, რა ხდებოდა იქ, მის ზურგს  
უკან. გრძნობდა, რომ უზმოზე გადაკ-  
რული არაყი თანდათან ეკიდებოდა.  
ტანი უჩვეულოდ გაუთბა და, ასე გა-  
სინჯეთ, ძილმაც კი იჩინა თავი. შინ  
რომ მარტო ყოფილიყო, უსათუოდ მო-  
ატყუებდა თვალს ეოთი ათიოდე წუ-  
თით მაინც. რა ხანია აღამიანური ძილი  
არ ღირსებია ეპ, ნეტავი იმას, ვისაც  
ჯავრი არაფრისა აქვს. მერე ვინ არის  
ამისთანა, იქნება კი ვინმე?

ეს სასახლე ვინ ააგო,  
ვინ დახურა მუხის გული,  
ჯერ მისი ღედა ვაცხონე,  
მერე მისი მამის სული...

ალთასი, ბალთასი,  
ხელი ჩაქარ კალთასი,  
ერთი კვერცი მოგვტანს,  
ღმერთი მოგცემს ხარაქსა... —

გაისმა კიშკართან.

„მაიმუნობენ! — გაუელვა სპირი-  
დონს, — ყველა მაიმუნობს, მეც და  
სხვაც. მაიმუნობის მეტი რა ყრია  
ცხოვრებაში, რა აზრი აქვს აბა! სად  
უნდა იყოს ნეტავ პატროსანი კაცის აღ-  
გილი“...

და, თითქოს ამ ადგილს რეებსო, მთე-  
ლი ძალ-ღონით მოსწია ბეღლის კარს.

კარი ისე ადვილად გაიღო, რომ სპი-  
რიდონმა თავი ძლივს შეიმავრა. ვერ  
მოეგონებინა აქ რისთვის მოვიდა, მაგ-  
რამ მოიხარა და ბელღში მაინც შეა-  
ბიჯა. კომშისა და კვახინელას შეზავე-  
ბულმა სუნმა გული აუძგერა. კარის  
ვარდისფერი ლანდი ბეღლის უკანა კე-  
დელს მისდგომოდა და ზედ დაკიდებუ-  
ლი ყურძნის ჯაგნები გაენათებინა. ჯაგ-  
ნის სულ ბოლო მტევანი ხორბლით  
სავეს თვალს ებჯინებოდა.

სპირიდონი თვალს მიუახლოვდა,  
ხორბალში ხელი აურია. ესიამოვნა.  
ერუანტელმა დაუარა ტანში.

ახლა ხორბლის მსუყე სუნი ავსებდა  
ბელღს.

„ეგ არის ყველაფერი!“ — თქვა წე-  
ლანდელი ფიჭობის პასუხად და შინ-  
დის სიმსხო ხორბლის მარცვალი თვალ-  
ში ჩააბრუნა.

## II

უკანასკნელმა ხუთიოდე წელიწადმა  
უმოწყალოდ მოსტეხა სპირიდონ ყან-  
ჩაველი, ჯერ კიდევ შეუღრეკელი, ქარ-  
მაგი კაცი. თმა ისე გაუთეთრდა, უკან  
მოხედვაც ვერ მოასწრო. ერთიმეორეს  
მისღვედნენ წლები და სპირიდონის  
ოდესლაც გაუტეხელი ჯანიც თან მი-  
ჰქონდათ.

ძირმწარედ გაიარა სპირიდონის წილ-  
მა ცხოვრებამ, რომელიც ექვსიოდე  
ათეულ წელიწადს ძლივს ითვლიდა.

ცხრაას თექვსმეტში გერმანიის

ფრონტიდან დაბრუნებულს ათასი უსიამოვნება დაატყდა თავს.

ძმას ცოლი მოეყვანა და მთელ მამისეულ ქონებას დაპატრონებოდა.

არჯალი რძალი შუბლშეკრული შეხედა მავლს, რომლის დაბრუნების იმედი სოფელში აღარავის ჰქონდა, რადგან რუსეთიდან იმნაირი არეული ამბები მოდიოდა, კაცი ვერ უნდა გადაჩენილიყო ამ ცეცხლისა და ტყვიის კორიანტელში.

ძმამაც უგულოდ მიიღო მკვდრეთით აღმდგარი სახლიკაცი. პირს არიდებდა, გაურბოდა მასთან ლაპარაკს. თვალი ეკირა სპირიდონის ნატყვიარ ფეხზე, რომელზედაც ჯერ კიდევ არ შემოეხსნათ სადღაც ჟიტომირის თუ ორშის ლაზარეთში შემოქერილი არტამანი.

ექვი არ იყო, სპირიდონს მეურნეობის თავი აღარ ჰქონდა. სარჩენად უნდა დასწოლოდა ძმასა და რძალს.

რძის ბევრი რამ შეეცვალა ოჯახში: ნახირი შეთხელებულიყო, ძველი, პაპის დატოვებული საბჭელი აღარსად ჩანდა; ოდის მერე სართულს ცალ გვერდზე გადაეწია და ბოსლის მხრიდან მუხის გაუთლელი მარგილებით გაეშარებინათ.

ორი დღის ხვეწნა-მუდარის შემდეგ სპირიდონმა მეზობლებისაგან გაიგო შეილის მოლოდინში დამაბუნებელი დედ-მამის ასავალ-დასავალი.

სოფლიდან ხუთიოდე კილომეტრის მოშორებით, ტყეში, ყანჩაველებს ორი ხელისდადება ახო ჰქონდათ გატეხილი. იქვე, ზამთარ-ზაფხულ ანკარა მთავე წყლის ბინულთან, ძმას საბჭელი გადაეტანა, ასე თუ ისე მოეწყო საცხოვრებლად და ცოლის დაეინებული მოთხოვნით შიგ მოხუცი შშობლები ჩაესახლებინა. მეუღლისაგან ნამალევიად ძმა თვეში ორჯერ ეწვეოდა ხოლმე „ყანჩაველების ახოს“, როგორც სოფელში ეძახდნენ და ქურდულად გადანახული ფქვილი, ლობიო და ცოტაოდენი ძროხეული აქონდა მოხუცებისათვის...

ამის გაგონებაზე სპირიდონი ერთბაშად აღივსო გულისწყრომით, ყავარ-

ჯენზე მიიმედ დაყრდნობილად განზრახვით დაბრუნდა, რომ უმადური ძმა და რძალი სულ ლუქმა-ლუქმა აეჩეხა და მერე თვითონაც ზედ წამოჰგებოდა ომიდან ჩამოყოლილ ლეკურს, ოჯახი მაინც შერცხენილი და განადგურებული იყო, მაგრამ პაპისეულ ეზოში შემოსულს ისევე კეთილგონიერებამ სძლია, ვითომც არაფერი შეეტყოს, ხმის ამოუღებლად უკანვე გაბრუნდა, მეზობლისაგან მარხილი ითხოვა, რადგან ზამთარი იყო, და ლოდინში დაღუული დედის სანახავად გასწია.

გაყრას დიდი აურზაური მოჰყვა. რძალმა სოფლის თავკაცები გადაიბირა, ქონების მესამედი, დედ-მამის წილიც დანაკეთრა და ტყეში გახიზნული უმწეო მოხუცების მოვლაც თავს იღო.

ერთი ნაჭერი ვენახი, ბოსელი, ფიცრული სასიმიდე, ალაყაფის ჭიშკარი, ორიოდე ქვევრი, ცალუღელა ხარი და ნიკორა დეკეული შეხვედა სპირიდონს გაყოფის შემდეგ.

ისე გამოდიოდა, რომ ეს საქმე უსისხლოდ არ უნდა გათავებულებოდა, მაგრამ ნაძალადევი მშვიდობა ჩამოაგდო მოხუცმა მამამ, რომელმაც ისევე მოძალადე რძლისა და ძმის მხარე დაქირა. ქვეყანას არწმუნებდა, ყანჩაველების უკაცურ ახოში ჩვენის ნებით გადასახლდით, რადგან უკეთესი სამოსახლო დაოჯახებულ შვილს ვარგუნეთო.

იმ დღეს დასწყევლა სპირიდონმა შინაურიც და გარეულიც, იმ დღეს დაპკარგა ადამიანის რწმენა და ღმერთს სასოებით შესთხოვა, სამაგიერო მიეზლო მისი დამჩაგვრელებისათვის.

ვინ არ მიხვდებოდა ამას: შშობლებს მისი გამოკეთების იმედი აღარ ჰქონდათ. ყუმბარის ნამსხვრევით მიყენებული საზარელი ჭრილობა ჯერ კიდევ პირღია იყო. ვინ იცის, რა უნდა მოჰყოლოდა ამას! იქნებ დოსტაქრებს ფეხიცი მოეჭრათ სპირიდონისათვის. მერე უფეხო კაცი რის მაქნისია, როცა საღსალამათ ვაყვაცებსაც ვერ გაუტანიათ თავი. ვინ გაბრწყინებოდა და ქალს გაიმეტებდა უსასოო ხეიბარისათვის.

მარტოდ დარჩენილს ისიც ეყოფოდა, რაც არგუნეს, მუშაობა იმას არ შეეძლო და არაფერი. ამის შემდეგ განაღობდა უფროსი ვაჟისა და რძლის ხელახალი გახლებლა? და გულის წინააღმდეგ ამხედრებულმა საღმა გონებამ თავისი გაიტანა: ღეთისა და კაცისათვის გამოუსადეგარი ხეიბარი შარავნაზე აღმოჩნდა.

ამან გაამამაცა სპირიდონი, ამან უფრო მოაწყურა სიცოცხლე.

„დრო გავა და იქნებ ჩემი კვერიც გამოცხვეს, — ფიქრობდა იგი, — ისე რამ უნდა წამახდინოს, რომ ჩემს დამღუპველს სამაგიერო ვერ გადაუხადო?“

და მაშინვე საქმეს შეუდგა: ვენახი სანახევროდ გასცა, ცალი ხარისა და ნიკორა დეკულის სატუსურით თბილისი მოიარა, საუკეთესო დოსტაქრები ინახულა და, თუმცა ერთმანეთს დაცილებული და უადგილო ადგილას შეხორცებული წვივის ძელები ვერ გაისწორა, ფეხის მოჭრას მაინც გადაუტრია.

იმ ხანებში წიფლისწყაროელი ლაშხის კაცები ჩამოვიდნენ. ხალხს ქირაობდნენ ტყეში სამუშაოდ.

სპირიდონსაც სხვა არა უნდოდა რა, თუმცა ფეხის ტკივილი ისევე აწუხებდა. პირობა შეჰკრა დამქირავებელთან და იმერეთის ერთ ვეებერთელა სოფელში, საკაურაში გაჰყვა, სადაც ამბერკი ლაშხის მამულეები ჰქონდა და თვითონაც იქვე სახლობდა. იქაურობის შემხედვარე რას ნახავდა კაცის თვალი უკეთესს! ცხოვრება დულდა და გადმოდიოდა. ამბერკი ლაშხიც მასავით ცისა და დღადმიწის ამხარა მიგდებული კაცი იყო ერთ დროს, მერე სოფლის კანცელარიაში შეჰყო თავი და ბოლოს ამოდენა დოვლათის პატრონიც გახდა.

სპირიდონი წლებზე ფეხს იდგამდა, ტყეში ძვრებოდა, მამასისხლად ნაშოვნ კაპიკს კაპიკზე ადებდა და დლითი დღე ემზადებოდა მიტოვებულ ციკქნა მიწაზე დასაბრუნებლად.

კალოსუბანში ჩამოსულს მშობლების უკანასკნელი ლოცვა-კურთხევა, უპატრონობით განაჩაგებული ვენახი და

სახურავხალეწილი ქობ-ბოსელე დაუხედა და. მისი მენახევერე ძმას მოელოდებოდა და მშობლების სიკვდილის შემდეგ მიტოვებულ „ყანჩაველების ახოში“ ამუშავებდა.

სიცოცხლეს მოწყურებული სპირიდონი მაინც არ შემდრკალა. ბოლმა გულზე დაიხვია, ბოსელს სახურავი შეუყვითა და ჰაიპარაზე დაქორწინებული შიგ შევიდა. იმ დღიდან მოკიდებული ეკა და სპირიდონი წელში მოღუნულნი აედევნენ ამ ცხოვრებას.

დრომ და დაულალავემა შრომამ დოვლათიც მოიტანა და სიხარულიც, მაგრამ, როგორც ყოველივე ამ ქვეყანაზე, ესეც ხანმოკლე აღმოჩნდა.

მეათე კლასში გადასულმა მათმა ერთადერთმა გოგომ, ხათუნამ, ერთ მშვენიერად ღღეს სკოლა მიატოვა და მშობლების დაუკითხავად საკაურელ შალიკო მინდელს გაჰყვა ცოლად.

ქონებით მოღონიერებულ სპირიდონს ამოდ ჩაუარა ფიქრმა და ოცნებამ, მივიხედ-მოვიხედავ, რომელიმე წელმაგარ ოჯახს დავემოყვრდებო. როგორც ერთ დროს მამა და ძმა, ისე დასწყევლა მამისერთა ხათუნა და მთელი რისხვა ეკას დაატეხა თავზე, შენ ყველაფერი იცოდი და მე არ მიმხელდიო.

სრულ თექვსმეტ თვეს ხმას არ სცემდნენ ერთმანეთს მამა და ქალიშვილი. სპირიდონს იმ თექვსმეტ თვეში გამოერია ქალარა, წვერიც მამინ მოუშვა: ერთადერთი შვილი მომიკვდა და იმას ვგლოვობო.

ბოგანო მინდელი თვალით არ დანახებოდა. ადრევე ამოძულებულ საკაურას სიტყვაშიაც ვერ გაუტარებდი, შერიგებზე ლაპარაკი კი სრულიად შედმეტი იყო.

მხოლოდ პირველი ბიჟის, ნანატრი ზურიას დაბადებამ აუხილა თვალი გაჯიუტებულ მოხუცს. შვილიშვილის გაჩენის ამბავმა აღარ მოასვენა, მოუნდა ერთხელ მაინც ენახა თავისი სისხლი და ხორცი.

თვითონვე დაუწყო ხათუნას გამართლება: ბედი ყოფილა და ბედს აბა სად

გაქცევიო; გუგულებივით ცხოვრობენ, ბევრი აქვთ თუ ცოტა, სხვას არავის აწუხებენო; ვინ იცის, პატარა რომ დაცალდეთ, იქნებ საქმეს ეწიონო.

განა ცოტა იყო ამის მაგალითი? თვითონ რა გააჩნდა, ეკა რომ მოიყვანა! ყავრით გადახურული ალაყაფის კიშკარი და ცარიელი სასიმინდე! სამ წელიწადს ბოსელში ცხოვრობდნენ, საქონელთან. მერე თანდათანობით გაჩნდა ყველაფერი. ვინ იცის, ისინიც ასე...

ხელახლა ატეხილმა ომმა ცოლ-შვილის პატრონი მინდელი ოჯახს მოაცილა.

ამან ერთბაშად გამოაფხიზლა სპირიდონი. ხათუნას წვრილშვილი ეხვია. ვინ იცოდა, უკირდა თუ უღბინდა! ძალღონე მოიკრიბა, თავის სიცოცხლეში ეს შესამედ ეწვია წყალწასალებ საყურას და, მიუხედავად ხათუნას და წამოჩიტილი ზურაის მუდარისა, მთელი ოჯახი დედულეთში ჩამორეკა.

ომის მეოთხე წელს მოვიდა მინდელის დაღუპვის ამბავი.

მოჰკლეს!

თითქოს თვალში ცხელი შანთი ჩასცესო, ისე შეარყია ამის გაგონებამ სპირიდონი და მაშინ პირველად იგრძნო, რომ გულის რომელიღაც, აქამდე მიყრუებულ კუნძულში ჰყვარებოდა მამის. უბეში გაზრდილი ხათუნას მომტაცებელი. დროს მოიხელებდა და ჩუმად ტიროდა, მაგრამ სხვების თვალში მაინც არ ტყდებოდა, პირიქით: თავი ისე ეკირა, თითქოს ადრინდულად ემდურებოდა სიძეს, სიკვდილსაც კი დანაშაულად უთვლიდა.

ხათუნა გაშრა. არც შავი ჩაუცვამს, არც თმა გაუშლია. მხოლოდ ერთი თვის თავზე დაეტყო გამოცოცხლება. სარეცხი გამოიწყო.

— ქალო, ეკა! — ძლივს გაბედა სპირიდონმა ხმის ამოღება, — ბოვშისკენ ყური იქონიე, თავს არაფერი აუტეხოს. ეკა მისასა აკეთებდა, რომ ტუჩებს იკვინტდა და ცრემლებს ყლაპავდა.

სპირიდონი გამთენიისას მიდიოდა სამუშაოდ, შინ გვიან ღამით ბრუნდებ-

ოდა. ეზოსთან მოახლოებულს გულუჯანკალებდა და ეჩვენებოდა, რომ აგურის ქარხანასთან ამოვლისას ეკას კვილი გაიგონა.

შემოვიდოდა შინ. თოხს მიაყუდებდა.

ბავშვები წყნარად ისხდნენ ბუხართან, რომელიც ზამთარ-ზაფხულ ერთო. ზურია ხმამალა სწავლობდა გაკვეთილს. ხათუნა საქმეს უჯდა. ან კერავდა, ან უთოს ახერებდა.

— რას შერები, შვილო, — ზრინწიანი ხმით ჩაჰკითხავდა დალილ-დაქანცული სპირიდონი, — მაგ საყერავს მშისთ მოვითავებდი.

— რომ ველარ მოვითავე, მამა? — ისე უბრალოდ, ობილად უპასუხებდა ხათუნა, თითქოს ამის მეტი საზრუნავი სხვა არა აქვს რაო.

— თუ ვერ მოითავე, ხვალაც ამ წლის არის. თვალებს რაზე ივსებ.

— ხვალ და ზევ არ გამოილევა, მამა, გენაცვალე. აქნება წვიმიანი ამინდებიც დაიჭიროს.

სპირიდონს გასცრა. თითქოს შიგსულში ჩასძახა ვილაყამ, რომ ქალიშვილს რალაც განეზრახა.

იმ საღამოს ხმა აღარ ამოუღია. ნაშუალამევს ზურაიას ფეხები ჩაიხუტა და როდის-როდის ჩასთვლიდა.

ხოლო ერთ დღეს, როცა ჩვეულებისამებრ თოხი დერეფნის ბოძზე მიაყუდა და შინ შევიდა, ღვედებით შეკრულ წყვილ ჩემოდანს მოჰკრა თვალი და იქვე გახევედა, სადაც იღვა.

პალატში არავინ ჩანდა. ყველანი ზემოთ ასულიყვნენ.

ჩემოდნები ხათუნასი იყო, ღვედები ახალთახალი.

როცა კარი გაიღო და ეკა შემოვიდა, სპირიდონი ხმის ამოუღებლივ დააშტერდა მას, მაგრამ ეს დაშტერება ყოველგვარ შეკითხვაზე უფრო მეტყველი იყო.

— ბარგი შეკრა. ემზადება... — ძლივს ამოიყვანა გულხელდაჭობილი მამა, ქმრის თვალებს ვერ გაუძლო, თავი დაბლა დახარა და თითქოს ყველაფერში თვითონ ყოფილიყოს დამნაშავე,



დაუმტა: — ჩემი ბრალია, სპიდონა...  
გლახა ფეხი მქონია...

და ყრუდ აქვითინდა.

— რას ამბობ, ქალო, რა ფეხი, გამაგებინე, რა ამბავია ჩემს თავს! — დასკუქა სპირიდონმა, რომელიც ერთიორად მოშალა ცოლის მონურმა მორჩილებამ.

— მე მომკალი, ოღონდ იმას ნურათყერს ერჩი. წავიდეს, სადაც უნდა. სადაც მისთვის უკეთესი იქნება, იქ წავიდეს.

სპირიდონმა ღრმად ამოიოხრა და მოწყვეტით დაეშვა სკამზე. თუმცა ადრე სიტყვა არავის დაუძრავს, ის მიმხედარი იყო ამას და დაბმული ძაღლივით მოელოდა შავი ღლის გათენებას. აი, გაუთენდა კიდევ. საკუთარი თავმოყვარეობის შელახვის და არაადამიანური მოთმინების ფასად ოჯახში დაბრუნებული ქალიშვილის ხელახალი გადაკარგვა მისთვის გაცილებით უფრო სამძიმო იყო, ვიდრე განშორების პირველი მეხი.

ცოტა ხნის შემდეგ ხათუნაც ჩამოვიდა ზედა სართულიდან. როცა მამა ჩვეულებისამებრ არ შეეგება, ხათუნა მიხვდა, რომ ახლა მან უკვე იცოდა ყველაფერი და იმ იმედით, რომ მოხუცი შერიგებულ იყო შვილთან და შვილიშვილებთან განშორებას, მუხლებზე დაემხო მის წინაშე და ამ ხნის განმავლობაში პირველად აქვითინებულმა ტელები მოპხვია მამის ღონიერ მხრებს. ხათუნა ტიროდა და მუხლმოდრეკილი პატიებას სთხოვდა მამას. ხათუნამ იცის, განა არ იცის, რამდენი სიმწარე მიუყენებია მოხუცებისათვის. რაც მოხდა, მოხდა. ისიც აღამაინი იყო, უყვარდა და რა ექნა. კიდევაც რომ გაემხილა, სულ ერთია, მამას ვერ დაიყოლიებდა. ამა სხვაფეროვ რა ჰქონდა დასამალავი, სახლიდან გასაქცივი! ყველაფერი აპატია მამამ, ყველაფერი აპატია და ეს ერთხელაც აპატიოს. თვითონაც დედაა, იცის, რასაც ნიშნავს შვილის გულიდან მოგლეჯა, მაგრამ ხათუნას ახლა არ შეუძლია სხვანაირად.

— მამა, საყვარელო მამა!

განა თვითონ მოუწონებდა, რომ მისეული შვილი სხვანაირად მოქცეულდებოდა? ერთხელ ვათ ცოცხალი იყოს, დედამიწას თელავდეს და ის პაწაწინა ქოხი, სადაც ორიოდე ტკბილი დღე გაუტარებია შალიკოსთან ერთად, ნამოსახლად დადაიქცეს? არა, არა! კარგად რომ დაუფიქრდეს, არც მამა მოუწონებს ამას. ქვეყანა პირში ჩააფურთხებს, ქმრის მოლატრეც გამოვა და ცხოვრებაც უფრო გამწარდება მისთვის.

— მაპატიე, მამა. შენი მუხლების ჭირიმე, ნუ დამიწყევლი გზას და კვალს. შენებურად ამოგვიდექი მხარში...

— ეჰ, რას იზამ, შვილო! — ოხვრას ამოაყოლა სპირიდონმა და ქალიშვილის ხელები მოიცილა, — ჩემი დაქცევა მოგიწადინებია და იყოს ისე, რაეარც შენ გინდა. დემრთმა ხომ უწყის, გლახა არაფერი მიმიძღვის არც შვილთან და არც სხვასთან... მე ვიცი, რაზეც მემართება ეს, მაგრამ რა გაუწყობა. ოო, თქვე სულძაღლებო! — ხელები აღაპყრო და პალატის გამჭვარტულ ჭერს შეხედა სპირიდონმა, — მეყო! მეყო! საფლავიდანაც აღარ მასვენებთ? რა დავაშავე ამის ფასი! თქვენ თვითონ გადამაგდეთ გზაშარაზე, თქვენ თვითონ მიეკრძეთ ჩემს დამლუპველ ძმას, სპირიდონი მაინც ველარ მოითქვამს სულსო და ახლა პასუხს ჩემგან ითხოვთ? წადით და იმას მოთხოვეთ პასუხი, თქვე სულძაღლებო, მე რას მემართლებით!

დიღხანს ერკინებოდა სპირიდონი არარსებულს, დიღხანს აბრალებდა თავს და სამართლიანობის აღდგენას მოითხოვდა, მაგრამ როცა ამისაგან ღეთის გრობის მეტი არა გამოვიდა რა, თელი პალატი კოჭლობით გაიარა და ზღრუბლს იქით უქულოთ გადასულმა სიბნელეს მისცა თავი.

სპირიდონის მოსვენებაც აქ გათავდა, თუმცა ამ მოსვენებას ადრეც ვინ გაიმეტებდა მისთვის! ქალიშვილს დაემდურა, მაგრამ იმედი ჯერ კიდევ არ გადაეწყვიტა. კარის მეზობელი პაპუნა დაპირდა შუაკაცობას, რადგან სათქმელი ბევრი იყო, ის კი შინაურებში ხმას

ადარავის სცემდა, ბაბუას სიხარული ზურიაც კი მოიძღვრა. ადრე ხათუნას ვადაპყრავდა ხოლმე, ზურია უნდა ვიშვილოო. იმის წამოზრდის იმედი აცოცხლებდა, ყველაფერი მისთვის უნდოდა, ყველაფერს მისთვის შეჰხაროდა. ერთხანს ისიც კი მოუვიდა აზრად, ბავშვისათვის გვარი შეეცვალა, კალოსუბნის საბჭომი ჩაეწერა და ძმისა და რძლის გულზე გასახეთქად თავის მემკვიდრედ გაეტარებინა. ამას რომ ფიქრობდა, მთელი ის ერთი თვე ისე იყო ბალღივით აფოფინებული, მიწაზე ფეხი აღარ ედგა. ხანდახან პაპუნასთან წამოცდებოდა ხოლმე კვებნა: ოჯახს ისე გაემართავ, ჩემს ზურიას, ენაცვალოს ბაბუა, ჩხირის შემომატებაც აღარ დასჭირდესო. ახლა კი ყველაფერი უკუღმა დატრიალდა. პაპუნამ მხოლოდ იმას მიაღწია, რომ ქალი დაიყოლია, ორიოდეთ თით გადაადებინა გამგზავრება. ორ თვეში პურს გაჭირდნენ, სიმინდი შემოვიდოდა და ჭირნახულის აღებას დაიწყებდნენ. ხათუნა ამ გაგანია ალოზე ვერ მიატოვებდა მოხუცებს. სადაც ორი, იქ თუ როგორმე ორი თვეც წაემატებოდა, ჩამოთოვდა კიდევ. მერე, ზამთარში რომელი უგუნური დაადგებოდა გზას სამი უმწიფარი ბავშვით.

სპირიდონი ერიდებოდა აყალმაცალს, მაგრამ თავს მაინც ვერ იკავებდა. ერთხელ თუ ორჯერ წაეკიდა ხათუნას. გულზე ცეცხლმოკიდებულმა მამისეული ოჯახის ორგულობა შესწამა.

ეს პირველი დიდი ჩხუბი იქნებ ხათუნას წასვლით დამთავრებულიყო, გაჭირვების ტალღეებსად გაჩენილ პაპუნას რომ არ ეშველა.

გაიღია სანატრელი შემოდგომა. ნოემბრის ცხრამეტს ნაადრევი თოვლი დასდო. ერთი ღამის განმავლობაში ორ არშინნახევიარი მოთოვა.

სპირიდონს, როგორც იქნა, ჩაუდგა გული საგულეში. მის ზიზანს აბა სად წაესვლებოდა ამგვარ ჩამოქცეულ ამინდში! მაგრამ ესეც არ გაგრძელებულა დიდხანს. ვილაცამ ამბავი ჩამოიტანა წითლისწყაროდან, საკაურაში ახალ

დიდ ვენახს აშენებენ და ზურიაც კი ნაგლეჯ-ნაგლეჯად არ გაიტანტანტანტან დაერთ მოსახლეს აყრას და ადგილის მონაცვლებას უპირებენო.

ამნაირი ამბები სხვა სოფლებშიაც ხდებოდა და დაუჯერებელი არაფერი იყო. ხათუნამ მაინც გამოიკითხა. ხელში ჯოხი დაიბიჯა და ზესტაფონის სარკინიგზო სადგურს მიამურა. საკაურელს ვერავის წააწყდა, მაგრამ წითლისწყაროელი კი ენახა, მიწგანში მომუშავე აკრონომი.

ადგილმოსანაცვლებელი მეკომურების რიცხვი გაზვიადებული ყოფილიყო, მაგრამ ვენახს ნამდვილად აშენებდნენ.

ხათუნა გულგახეთქილი დაბუნდა შინ. მაშინვე ბარგის ჩაწყობა დაიწყო.

— მოიცადე, დედა შემოგველოს, — შევედრა ეკა, — წერილი გავგზავნოთ. იქნება შენს კარმიდამოს სულაც არ ეებდა...

— არა, არა, დედა, მეტის მოთმენა აღარ შემიძლია.

— შენს ღმერთს რაღას ეუბნები, ადამიანო! — დაიქუხა ბოსლიდან მოგვიანებით შემობრუნებულმა სპირიდონმა.

— ჩემი ღმერთი უბედური შალიკოს სახელი და შვილებია, — ცოტა არ იყოს უქმებად უპასუხა ხათუნამ.

— აბა, მე რაღა! შენი ქმარი და შვილები ყოფილან ყველაფერი.

— ყველას თავისი ადგილი აქვს, მამა. მე იმისთანას არაფერს ჩავდივარ, რომ ვინმესთვის გასაკვირი იყოს. სიმართლე თუ გინდა გითხრა, მე რომ კარგი ქალი ვყოფილიყავი, თავიდანვე არ უნდა მომეცვალა ფეხი, მაგრამ რა მექნა, სამველი აღარ მომეცი. გამიშვი ახლა ჩემს გზაზე. რაც შეწყობა გავუწიე, არც მე ჩავიყრი წყალში, არც ესენი და არც ის, თუ ელირსა კიდევ თავის სახლში ფეხის შემოდგმა. წუხელ იმისთანა სიზმარი ენახე, კინალამ ტვინი შემერყა. ვითამ ჩამოსულიყო, კარს მიდგომოდა და აკაკუნებდა. არ ვიცი, მე საიდან ვუყურებდი, ის კი მახსოვს. ჩვენ იქ არ ვიყავით. მინდოდა ხმა მიმეწვდინა, მაგრამ ვერ მოვახერხე. დაფეთებულს გამომეღვიძა.

ვერაფრით ველარ გამოვიტანე აზრი, სიზმარი იყო თუ ცხადი.

— ნუ, დედუკებო, ნუ იზამ, შენ შემოგველოს დედაშენი, — მოეხვია ევა ხათუნას და მისი გააურებელი შუბლი გულზე მიიხუტა.

— მოცილდი! — საზარელი ხმით დაიღრიალა სპირიდონმა.

ყველა უნებურად შეხტა ერთ ადგილზე, იმდენად მოულოდნელი იყო ეს ხმა სიჩუმეში.

— მაგას თუ მკვდარი ქმარი მამას უტრეჩენია, ცოცხალი რომ შერჩენოდა, ალბათ ჩემ ხორცს შევამდა, — იღრიალა ისევ სპირიდონმა, მუხლებზე მთელი ძაღლისნაირი დაირტყა ბრტყელი ხელები, უჩვეულო სიციქვითი ზეზე წამოვიდა და ოდნავ წაიბარბაცა.

— მაგერ რატომ ამბობ, მამა, — წამოიწია ხათუნამ და მზხუცს ხელი წააშველა, — მე რომელი კაციქამია მნახე, რომ შენი ხორცი შევექამო. ერთჯერ გათავებულს ათჯერ ხომ არ წამოვიწყებ. ქალმა ოცდაათს გადავაცილე, სამი შვილის დედა ვარ. ცხოვრებამ მეც სიძეწარე მაწენევირა და ახლაც აღარა მაქვს უფლება, ჩემი ოჯახის საქმე ჩემი კუთხით გადავწყვიტო?! —

— გადაწყვიტოს! თავისი ოჯახის საქმე!

— დაოკდი, სპიდონა, ახლა, მოიცა, გვაცალე ერთ წამს, შემოვეუვლით საქმეს...

— გაჩუმდი შენ, გაჩუმდი, თუარა გაგათავე ეს-ეს არის!

— მამა, ჩემო მამა, შენი მუხლების ქირიმე, — მოეხვია ხათუნა და გზა გადაულობა, — არა გრცხვენია? ბავშვები გინდა გადამირიო? შეხედე, არც ერთს აღარ ადევს ადამიანის ფერი. იქნება მე ახლაც დანაშაულს ჩავდივარ შენს წინაშე, იქნება მერე მივხედე, რომ შენ მართალი იყავი, მაგრამ დამიჯერე, მამა, აქავე რომ დამკლა, წვეთი სისხლი არ გადმომივა, იცოდე. რა ვქნა, გული აღარ მაყენებს. გამოიშვი ჩემს გზაზე, შევეყარო ჩემს სნებას, რაც მომივა, მომივა, შენ ხომ არ დაგაბრალებ.

თითქოს ენა ჩაეარდნიაო, სპირიდონის ისე იღგა ჩემ და ცდილობდა, აცხივებდა ხეებული სახის ნაკეთები, რომელიც ქალარა წვერს დაეფარა სინათლისთვის მოერიდებინა. შვილის თბილი მკლავები სწვავდა, გულზე რაღაც აწვებოდა და ხროტინით სუნთქავდა, თითქოს ელადაცას ყელში ბაწარი წაუჭერია და ახრჩობსო.

### III

სპირიდონი დიდხანს დაბორიალებდა ბეღელში. მერე ლელვის ძირას მიტოვებული წალდი გაახსენდა და გარეთ გამოვიდა.

დერეფანში შემობრუნებულმა გზა შეათვალიერა. აღარავინ ჩანდა. მანქანა უკან გაბრუნებულიყო. კარმიდამო რაღაც საოცარ სიჩუმეს მოეცა.

— ვთქვით და, მაინც გაიტანოს ხათუნამ თავისი, არ დაგუნებდეს, მამინა?! — სულ ეს ერთი და იგივე აზრი უტრიალებდა თავში სპირიდონს და საკუთარ გულს ასკვებობდა, რომ გამოსავალი გზა არსაით იყო. ამ ღალოცილმა თოვლმა კიდევ კარგა ხანს შეაყოვნა ატროვებული ქალი. ყოველამე სამჯერ დგებოდა გამოსახედად, დარია, თუ ისევ ბარდნისო. კიდევ კარგი, სადგური ხუთიოდე კილომეტრის მოშორებითაა. ზურგით ბარჯის ჩატანა შეუძლებელია. მას უცებ წელანდელი უცნაური მანქანა გაახსენდა და გულმა აჩქარებით დაუწყო ძგერა. რა გადაშენება მოთარევედა იმ ტრაქტორისაც, სპირიდონის ქიშკრის მეტი ველარაფერი ნახეს ვაღასალები?! ამ ფიქრებით მან დაფერდებული ეზო ჩაიარა და ტოტჩამოჭრილ ლელვს მიადგა, რომლის ძირშიაც წალდი ჰქონდა დატოვებული.

— დასალიერი მონაცრისფერი ღრუბლებს დაეფარა. ცოტ-ცოტაობით კიდევ ამატებდა თოვლს.

— აბა, შენ იცი, ღმერთო. შენი სახელის ქირიმე! — ჩაუთქვა სპირიდონმა ასე, თითქოს კევრს ან ფიწალს თხოვს პაპუნა ყანჩაველსო, და ცას ახედა, —

თოვე და თოვე. სულ ჩაახვევე ეს გზე-  
ბი, რომ ვერც ხარი გაინძრეს და ვერც  
კაცი. ერთხელ სპირიდონისკენაც გად-  
მოიხედე, თუ სადმე ხარ, შე პირშავო,  
ერთხელ აქეთაც გადმოიხედე წყალო-  
ბის თვლით...

გზაზე ვილაც ჩაბალახიანმა ამოიარა.  
დასაპალნებულ ჯორს მოსდევდა.

სპირიდონს უნდოდა ხმა მიეწვდინა,  
წისკვილი ამბავი გამოეკითხა, მაგრამ  
გადაიფიქრა. ჯერ კიდევ გუშინ სალა-  
მოს ამბობდნენ, საწისკვილო წყალი  
ისევე გაყინულიაო. ნასუქი ღორები სა-  
ცოდავად დარტყუნებდნენ საღორეში.  
არც ღერძილი იმათ ბარობაზე, არც  
ქატო...

— ეს ვინ ამოსადგები მოეხეტება კი-  
დექ! — თავისთვის ამოილაპარაკა სპი-  
რიდონმა და წალდიანი მკლავი მოიჩრ-  
დილა, თუმცა მზის სხივი არსაიდან  
ატანდა ღრუბლებში, — უსაქმურები  
მაწანწალები!

ხუთი თუ ექვსი ყმაწვილი კაცი, რომ-  
ლებსაც სპირიდონმა მაწანწალები უწო-  
და, სამანქანო გზით მოდიოდნენ, ბეო-  
ლის ფშანების ამოყოლებაზე. ერთმანე-  
თისათვის ხელი გადაეხვიათ და იჭაუ-  
რობა თან მოჰქონდათ სიმღერითა და  
კრიამულით.

— გახეთქილან და ქვეყანა თავისი  
ჰგონიათ ახლა. ეი! — გასძახა სპირი-  
დონმა და წალდი ისე ღონიერად გაი-  
ჩარა ქამარში, რომ კინალამ გაუწყდა ეს  
უკანასკნელო, — რალა ჩემს კარებზე  
დაგილიათ ხახა, თქვე ოხრისშვილებო!  
მე აღარ მეკითხები, მემღერება თუ  
არა?

თითქოს ამას უპასუხაო, წკრილა მო-  
ძახილმა ჰაერი გაჰკვეთა და მთელ უბანს  
მოეფინა:

რო დადგება გიორგობისთვე  
მაჭანკალი ამორღდება...

— არ გეყურებათ, ბიჭო, თქვენ? —  
დაიყვირა მოთმინებიდან გამოსულმა  
სპირიდონმა.

ჯიბს კარებზე მოაყოლებს,  
თვითონ ქობში შეგოვდება...

— მე თქვენ მიგაყუდებთ, თქვე ძალ-  
ლის ნაშიერებო...

ზემოთ პალატის კარი გაიღო და დე-  
რფანში ეკა გადმოდგა.

— რა იყო, სპიდონა, ვის უძახი?

— გადაშენებამ დაგაძახათ შენც და  
ესენიც! აბა, მანდ დამიდევით და რა  
ვაქცაებოც ხართ, ახლავე მოგახსენებთ!  
ამ სიტყვებზე სპირიდონმა წალდი  
მოიმარჯვა და წამოქცეულ ხესავით  
მოიხრღვა ადგილიდან. აბუჩად აიგდეს  
მისი ჭალარა. ამხე უფრო შეიძლება  
ხანში შესული კაცის გაბიაბრუება?

— სპირიდონს, სპირიდონს — ძლივს  
მიატანა ეკამ ხმა.

ის კი მიბროდა უგზო-უკვლოდ,  
თოვლს ძლივს მიარღვევდა.

თან გრძელ ამბავს წამოიწყებს  
ქვეხნითა და ქიჩინითა,  
წითელ ღვინოს დაჯოვლებს  
მისაბუღი ჰინჯილითა...

მიმღეროდნენ ისევე.

სპირიდონმა წალდი ხელიდან გააგდო  
და ამღერეული თვალები მოავლო იჭა-  
ურობას.

— ჰაი, უპირულებო! უსირცხვილოე-  
ბო! — მუქარით გააყოლა მომღერლებს,  
რადგან მეტი აღარ შეეძლო და კიბოსა-  
ვით გაწითლებული მუშტი ჰაერში შეა-  
თამაშა.

გამზიარულებული მომღერლები არ-  
ხეინად შესდგომოდნენ აღმართს. მისი  
წყევლა-კრულვა არავის გაუგონია.

დაინახა თუ არა კიშკარს იქით გადა-  
სული ქპარი, ეკა დერეფანს აქეთ გად-  
მოვიდა, მაგრამ გამოვიდბას აზრი  
აღარ ჰქონდა.

სპირიდონს ჭალარა თავი ჩაექინდრა  
და ყვირილით გულმოგვრებულნი უკან  
ბრუნდებოდა.

ეკას ბევრი სიმწარე გამოეცადა  
ცხოვრებაში ქმრის ფიცხი ხასიათის გა-  
მო, მაგრამ ეს ბოლო ხანები ყოველ-  
გვარ ზომას გადასული იყო. სპირიდონი  
ერთნაირად ძალთაპირობდა შინაც და  
გარეთაც. სულ მუდამ შემართული ჩახ-  
მახივით იყო, სიტყვას არავის შეაწეე-  
და. სიძის დაკარგვამ ერთიანად მოუ-  
თავა ხელი. ჯაგრმოჭარბებული ხანდა-

ხან წამოისროდა: მტერმა გაიხარა, მტერი ტაშს უკრავს ჩემს გაპირებებზეო; ის კი არავინ იცოდა, ვინ ჯანდაბა და ჯალხანა იყო ეს მტერი. ეკას მეტისმეტი ცხელი დღე ადგა. ყველაფერი მის ზურგზე გადადიოდა, რადგან ცოლზე უფრო დაბალი ღობე და ხელის შესაწმენდი სპირიდონს არ ჰყავდა.

„რალა სიცოცხლე ჩემი სიცოცხლე, — ფიქრობდა ახლა გულხელდაკრეფილი ეკა, — თუ სადმე ნათესავი და მეზობელი იყო, მომამღღრა. ეს ერთი გოგო დარჩა და იმასაც წინ გაიძლოლებს, ნურც მოსწრებია იმ დღეს! გინდა თუ არა, ქვეყნიერებაზე უარი თქვი და ჩემს ქოხ-ბოსელს შემოველე თავზეო. ნახლა ამისთანა ამბავი? ეს არის ადამიანობა, ეს არის კაცური საქციელი? მამა ვარო, მაგას ეთქმის? ღმერთო, ვის რად უნდა ამისთანა სულთამხუთავი! ამან უნდა შემირცხვინოს შეურცხვენელი ოჯახი, ამან უნდა ამომიღოს მიწაში წვითა და დაგვიტ ვაზრდილი შვილი და შვილიშვილი?!“

ამის გაფიქრება და ეკას მუხლებზე დამსობა ერთი იყო. მოხუცი ქალი გულმხურვალედ ევედრებოდა გორიჯვრის წმინდა გიორგის, ქვრივ-ობლას მოსარჩლეს — ღვთისმშობელ დედას თვალცრემლიანი შესთხოვდა ადრე და მალე მიეღო ცოდვილი მოხუცებულის სული, მისი ბოღმით გატენილი სხეულით აღარ დაემძიმებინა დედამიწა...

ვინ იცის, რამდენხანს იქნებოდა იგი თოვლში ჩაჩოქილი, რომ პალატის კარა ხელახლა არ გაღებულყო და ხათუნას არ მოერბინა ხვეწნით და მუღარით.

ეკა ველარაფერს ამჩნევდა, ალტყინებით განაგრძობდა ჩურჩულს:

— წმინდაო გიორგი... დაატეხე შენი რისხვა... შენი მახვილით... დაატეხე...

— დედა, შენი ქირიმი! დედა, შენ შემოგველა! — ჩასძახოდა ხათუნა და ცდილობდა ფეხზე წამოყენებინა ღონემიზდილი ქალი.

ეკას ხმა წართმეოდა, სულს ძლივს ითქვამდა, სახეს იხოკდა და მოთქვამდა ნაწყვეტ-ნაწყვეტად:

— ბიჭებს მიხედ, დედუკებო, ბიჭებს! მიხედ, ძუძუკებო, ბავშვები გადაგვერევიან.

— ნუ გეშინია, დედა. აღქვი, შენი ქირიმი. ნუ გეშინია! მამა! მიშველე, კაცო, ადამიანი არა ხარ?

სპირიდონი წუთით შეჩერდა კიშკართან, დედა-შვილს თვალი შეავლო, მიხედა, რა ამბავიც იყო. მიტრიალდა, აუჩქარებლად ჩამოაცვა მარგილს იელის გვერგვი და კოკლობით ისევ ლელისკენ წავიდა.

ეკამ წამოიჩოქა, შვილს ხელი მოკხვია წელზე და კენესით წამოდგა. ხელი-ხელგადაკლობილი შევიდნენ პალატში. გარეთ ნამბული თოვლის დგაფუნი ისმოდა. სპირიდონი ლელვზე ასულიყო და ტოტებს ეჯავჯვურებოდა.

ეკა ტახტზე ჩამოჯდა. პალატს თვალი მოავლო.

— ბიჭები სად არიან, შვილო? ხათუნას ახალა გაახსენდა პატარები. შუა ოთახის კარს მიაშურა. როცა იქ არავინ დაუხვდა, გამობრუნდა და დერეფნიდან შემოიყვანა სიცივისაგან მობუზული პავლე და შალიკო.

— დაყინეთ, დააცივეთ, თქვე ურჯულეობო, უსისხლეობო! — ყვიროდა ქვემოდან ლელვის ტოტზე შემდგარი ბაბუა სპირიდონი.

შეცივებული ბავშვები ეკას შემოეხვივნენ.

— ჩემი თიკნები, ჩემი პაწია თიკნები, — ქვითინით ამბობდა ეკა.

ხათუნა გაუნძრევლად იჯდა. სოხანეს ჩაშტერებოდა.

გარეთ ხელახლა მოისმა თოვლის დგრალი. ეტყობოდა, მოუსვენარი მოხუცი მსხალზედაც აბობღებულყო.

— რას აპირებ, შვილო, რა გვეშველება, — ძლივს ამოიღდა ენა ეკამ.

ხათუნა ხელს იჭერდა მაჯაზე. ცდილობდა, ხმა არ ამოეღო.

— სიკვდილი ჯობია ამას, დედაშვილობას. კაციშვილს აღარ გავხარ, დედა შემოგვევლოს...

ხათუნა ტუჩებს იკვნიტდა. ძლივს იკაებდა ყელზე მომდგარ ქვითინს.

— რა ექნა ახლა, — შოთქვამდა ეკა და ჰერში თვალბაპრობილი ცვილისფერ ხელებს ასავსავებდა, — რა წყალს მივცე თავი, ან იქ რა ეუთხრა ხალხს და ან აქ. რაი, შვილო, შალაყო, რა გატირებს ღედა, დაწყნარდი, ღედა, დაიმშვიდე ძარღვები. უსამველო ხომ არ არის ეს ოხერი. დალამდა, ხათუნა? დალამებულა. ზვალ ავღებები დილას, ადრე, უთენია. პო...

პაქვამ თავი წამოსწია და იკითხა.

— ბაბუას დაიჭერენ? — და როცა პასუხი ვერ მიიღო, წამოიწია. ეხვეოდა ბებიას, ემუდარებოდა, თუ ბაბუას დაიჭერენ, უთხარი, ჩვენც წაგვიყვანონო.

ამ დროს შემოალო კარი სპირიდონმა. ხმა არავისთვის გაუცია. კოკლობით მივიდა შუა ოთახის კართან. იატაკზე წყლის ფართო ლაქები დატოვა.

ჭალები ხმაგაკმენდილი ისხდნენ. არ იცოდნენ, რას მოიმოქმედებდა ახლა მოხუცი.

ბავშვები თვალს ადევნებდნენ მას.

ბაბუა მალალი და ძვალმაგარი იყო. მთელ კედელს ფარავდა. ახლა ბიჭებს არ სჯეროდათ, რომ ეინმე გაუბედავდა მას დაჭერას და წაყვანას თავისი ძველი სახლიდან.

სპირიდონი ოხერით დაიხარა, სველი ჩაფი ტუჩზე მოიყუდა და ხარბად დალია წყალი. მერე ჩაფი თავის ადგილზე დადგა და კარი გამოაღო.

შუა ოთახში ნათურა გადამწვარი იყო. სპირიდონი ხელების ფათურით გავიდა და იქ დიღხანს დახრივინებდა.

მალე ისევ გამოჩნდა. ხელში ნავთის ფანარი ეჭირა. ყურადღება არავისთვის მიუქცევია, ისე მივიდა ფანჯარასთან.

როცა ფანარს უკიდებდა, ბავშვებმა ხელების კანკალზე შენიშნეს, რომ ბაბუას რაღაც ემართებოდა და ისიც შეეცოდათ.

ჭალები მისხდნენ: მოხუცი ბოსელში მდიდოდა საქონლის დასახედავად. თუ ბოსელში არა, მაშინ ხორბალს მოამზადებდა საწისქვილოდ. მერი სად იყო წისქვილი! რიონზე ხომ არ წავიდოდა.

ახლა ამ ყიამეთში! მაგრამ კოტხვა ვერაჲ ვინ გაუბედა.

სპირიდონი განზრახ აწვალებდა ფანარს, გამჭვარტლული შუშა ძლივს დაუშვა.

ეკას გულმა აღარ მოუთმინა. წამოდა.

ტახტის კრიკინზე სპირიდონმა მოიხედა. მუგუზლებივით ანთებული თვალები მოავლო ყველას და ამომარცვლა:

— დაეტე მანდ! გამოყრუებულო!

ეს რომ თქვა, ფანარი გაიქნია ჰაერში და მოპრიალებულ იატაკზე ერთი სველი ლაქა კიდევ დატოვა.

შემკრთალი პატარები ბებიას მიეკვრნენ.

სპირიდონმა გეზი იცვალა. გინებით გავიდა დერეფანში. პატარები ფანჯრიდან გაპყურებდნენ მას. დაინახეს, როგორ გაიარა დერეფანი მოხუცმა, როგორ აუტურდა ფეხი მოყინულ ბოლიკზე. უცაბედად ჩაყვნილმა თოვლმა სანათური ჩაუქრო. ოხერით წამოდა და ქიშკრისაკენ გაუდგა გზას.

— ღედა, ბაბუა დაეცა! — წამოიძახა შალვამ.

ამან გამოარცვია სახტად დარჩენილი ჭალები. ესენიც მივიდნენ ფანჯარასთან, მაგრამ სპირიდონი უკვე ქიშკარში გადიოდა.

გზის იქით, ბამბუკის მესერს გადაღმა, დათოვლილ ვაშლებში მოჩანდა პაპუნა ყანჩაველის ჩაბნელებული ოდა.

ქიშკრის გაღებისას ძალმა შეპყვება, მაგრამ იცნო სპირიდონი და აღერსიანი წმობურთით ფეხქვეშ გაუგორდა.

სპირიდონმა მძიმედ აიარა ქვის მკვიდრი კიბე, რომელსაც როგორც ქვის კიბეების ნიმუშს, „პაპუნას კიბეს“ ეძახდნენ და ავიანზე ავიდა.

წინა ოთახში რაღაცამ ბრავანი მოილო. ამას სკამების ზრიგანი მოჰყვა.

სპირიდონს დაძახებაც არ დასჭირვებია. საცელების ამარა პაპუნამ გაალო კარი. სიბნელეში ძლივს გაარჩია მოსული. თავიდან ფეხებამდე აათვალიერა ჩათვალიერა.

— სპიღონა ხარ? — ჰკითხა მერე მთქნარებით.

— მე ვარ, პაპუნა. გლახა დროს გადმოვედი, არა?

— რა უკირს! — ერთხელ კიდევ დაამთქნარა პერანგა კაცმა, — სწორედ ახლა დაეწეკით, წლისოდენი ღამე შოდის. მოგვეწყინა. შემოდი, რას გაჩერებულხარ. სინათლეს ავანთებ.

— არა, პაპუნა. სინათლეს ნუ აანთებ. ნურც დედაბერს გააღვიძებ. თუ არ დაიზარებ, ჩაიცი და გამომყევი ერთი...

— რა დაგემართათ, ბიჭო, უბედურება ხომ არაფერი დაატრიალეთ?

— ამაზე მეტი უბედურება იქნება? — მიუღო სპირიდონმა.

სიცივისაგან მოკაცველი პაპუნა შიშველი ფეხების ბრავუნით გატრიალდა. საწოლთან ჩურჩული ატყდა.

„რა უთხრა პაპუნამ“ ცოლს, რა უნდაო? — გაუღვლა სპირიდონს, მაგრამ რომ არაფერი გავგონა, კარს მოცილდა და კიბისკენ წავიდა.

პაპუნაზე ჩაცმული პაპუნა კიბის მოსახვევში წამოეწია.

— რა იყო, რა შემოგერიათ?

— ეჰ, ჩემო პაპუნა... კითხვა უნდა კიდევ მაგას?

— რა იყო? — მოხრილი ხელი თვალებთან მიიტანა პაპუნამ.

— რა იყო და ის იყო... უიღბლო კაცი გამოვდექი ცხოვრებაში, პაპუნა. რა შეეცოდე ამისთანა, არ ვიცი. დედამა მყავდა და, ერთ მტკაველ მიწად გამყიდა, ძმა იყო და, ჩემი წილი სიცოცხლის მეტი არაფერი შემარჩინა. რძალი იყო და...

— კარგი, კარგი, დაანებე ახლა თავი მაგ ძველ ამბავს.

— შინ თანებე თუ გინდა. ის განებებს, გეშვება?

— აბა დავდგეთ ყველა და ვის რა გადაგვხდინია, იმაზე ვიჯავროთ და ვითავებმოთ.

— ვინ ყველა, კაცო, ჩემისთანა უყისმათო აღამიანი კიდევ მოიძებნება ქვეყანაზე?

— ჰო, კარგი. არ მოიძებნება, არანაირად არე გინდა.

— ჩემს მონდომებაზეა?

— თქვი ახლა, რაზე გამომიყვანე, თუ არადა, პალატში შევიდით, ბუხარი გავაჩალოთ. თქვი!

— რაა თქმა უნდა მაგას, პაპუნა. შენს მეტი გზა რომ მქონდეს, აქ არ მოვიდოდი.

— რა შორებელი მე ვარ მერე, შე კაცო...

— შენი იმედი მაქვს, პაპუნა... — უაღვილო ცრემლი მოადგა სპირიდონს თვალებზე, — ვიცი, შენ არ მილაღატებ, ჩემი ავი არ გავგებარდებ. რა ვქნა, ბიჭო, მირჩიე. გოგო ზესტაფონში იყო იმდღეს. იქიდან იმნაირ გუნებაზე დაბრუნდა, ცოცხალი არ დავხვედროდი, ათასწილ მერჩია. ამინდი გამოვა თუ არა, უნდა წავიდეთ. გეყურება? რა ვქნა ახლა მე?

ეტყობოდა, პაპუნასათვის ახალი არ იყო ეს ამბავი, მაგრამ სპირიდონის ნათქვამმა მაინც ჩააფიქრა.

— რაღა დასამალია, ავი კაცი მეთქმის, მაგრამ ბოროტი გული არა მაქვს, პაპუნა. — აღაპარაკდა ისევე თვალეზე კურცხალმომდგარი სპირიდონი, — ჩემმა შავმა დღემ მომიყვანა ამ ზომამდე. სამოცი წელიწადია მოვდივარ და მოვჯღაღი ქვეყანას. ეჰ... ჩემმა გამოყრუებულმა ხატზე გადამცა დღეს. ჭიშკართან ვიდექი. ხმა არ ამომიღია. რა ვიცი, იქნება ღირსიც კი ვიყო. ნეტავი კი შეისმენდეს პირშავი ღმერთი, თუ კი სადმე აგღია, მე მისი...

— მოიცა, მოიცა, ყურს არავინ გვივლებდეს, სირცხვილია!

— სირცხვილია! იაგის მეტი აღარაფერი მაწუხებს ახლა მე! ჯერ იყო და იმ ოხერ სიკვდილს ძლივს გამოვგლოჯე თავი. ნეტავი რას ვირჯებოდი. ჩემი ოჯახის აშენება ჩამონგრეული ბოსლიდან დავიწყე. რაც მე იქიდან ნახვი გადამიყრია, ჩემს სულწაწყმენდალ ძმას ნუ მოაკლოს საფლავში. ბიჭი მე არ მაღირსა სულძაღვმა ღმერთმა, რომ დამშვიდებულად შემეგულებინა ორი აღ-

ლი მიწა, იმას ხომ ვერ აცდები. გულს ვიშოშპრინებდი. გოგო ხომ მყავს, ისიც ხომ შეილია-თქო, და ახლა ხედავ, რანაირად წამივიდა საქმე? რა უნდა ჩემს შვილს სხვაჯან, რა? რა დამრჩენია მინდევლებში? ღვინო მაკლია მე თუ ჰაიდი?! სული რომ ამომხდებდა, ვის დავუტოვო აქაურობა, ვისი იმედით ჩავიდე საფლავში? გამოიღე ხმა, რას ჩაიკრიტიტებ მაგ მიწას!

— თქმა აღვილია, ჩემო სპირიდონ, სათქმელი თუ გაქვს რამე კაცს. რა უნდა გითხრა ახლა, რა ვიცი. თუ გეტყვი, იმისთანა უნდა ვთქვა, რომ რამეში წაგადგეს...

— მერე? — იმედის სხივმა გაიბრწყინა სპირიდონის ჯაგარა სახეზე.

— ჰოდა, რომ წაგადგეს, რა უნდა გითხრა იმისთანა. ჩვენ ერთმანეთის არაფერი გავკვივრდებ. ლხანიც ბევრი გვინახავს ერთად და ჰირიც. რა ვქნა, ბიჭო... გული აღარ მეუბნებდა მაგ საქმეში ჩარევას. იქნება ისიც ზედმეტი იყო, რაც ვქენი.

— შენც მაგას ამბობ ახლა? — ერთბაშად გაუწყდა მოთმინების ძაფი სპირიდონს, — შენც დანას ლესავდი ჩემს დასაკლავად?

— აგრე ნუკი შეატრიალებ ახლა. რა დანა, რის დანა! ტყუილი გითხრა აბა? მწ, — თავი ჯადააქნია პაპუნამ, — რაზე შერება ამას ის შერცხვენილი!

— ვინ იცის! ჩემი სიკვდილი უნდა და იმისთვის შერება.

— გაჩუმიდი ერთი, თუ კაცი ხარ, ნუ მიედებ-მოედები ხოლმე რალაცას გუშინდელი ღლაპივით. მტრის და ავისას, შენ რომ რამე მოგსვლოდა, ეკა აქედან უნდა აყრილიყო და თავშესაფარი საყოლში ეძია? არც შენზე ამოდიოდა მზე შენს სიმამრს, ასე მახსოვს რალაცა, არც შენ იყავი ჭონებით ჩაქცეული...

— ჩემს ჭონებას არავინ გვითხავს შენ, პაპუნა!

— შენ სახლში ბრძანე, აქ არავინ გახლავს შენი საბრძანებელი!

— ბრძანება რა შეაშია, პაპუნა, ორ

სიტყვას მამადლი? — მოღუბან-სპირიდონი.

— მე არც სიტყვას გამადლი და არც თავს, მაგრამ რაცა მართალი არა ხარ, არა ხარ მართალი! შენ ვერ დამიმტკიცებ ახლა მე კამეჩი აქლემიო. აღეჭი და, თუ მამად ვარგობარ, ხელი მოუწყვე. იმან უკეთ იცის თავისი საქმე, შენზე და ჩემზე უკეთ.

— რა აქვთ მერე, ბიჭო, რა აბაღათ იმ დასაქცევ სოფელში.

— რა აქვთ? ყველაფერი აქვთ. იმეშავეებს და...

— მე რა ვქნა, ბიჭო, მერე, მეც გადავსახლდე, მიეყიდ-მოეყიდო აქაურობა?

— სად უნდა გადასახლდე, რა უნდა მიყიდ-მოყიდო, რას ამბობ! ჭალი შენს მეტს არავის გაუთხოვებია, რომ თან არ გაყოლია? თუ შენ ხარ პირველი?

— ორი ბებერი ვგდევართ, ბიჭო, პაპუნა, დავჯდეთ და ვუყუროთ ასე ერთმანეთს?

— რავე, აქობამდე იჯექით და ერთმანეთს უყურობდით თუ? მაღექ-მოღექით, გაინმერთ, ზიკი თქვენ და... თუ გაუჭირდა, ღმერთმა ნურაფერი გაუჭირვოს, იმასაც წაახმარეთ ცოტა. ზედმეტი ლუკმა კაცს არ დაახრჩობსო, ხომ გაგიგონია. ცოდვა არის გოგო, წვრილ-შეილია.

— ოჰ, პაპუნა! — გული აუღულდა ამის გაგონებაზე სპირიდონს, — რა ადვილად ლაპარაკობ, ბიჭო! არ გესმის, არა, ვერ ხედები, რასაც ამბობ. ჩემი სახელი რომ უნდა მოისპოს ამ არე-შარეზე, ის არაფერია?

— ღმერთო შეგცოდე, რა მოსპობს შენს სახელს, კაცო?

— აბა, ვინ შეინახავს, ადამიანო! ზურია მინდოდა დამეტოვებინა. თავათ არ შევება ბიჭი. ექვიანობს რალაცას, დედა-მისს დასდექს კულში.

— გაზარდოს გამჩენმა! — თავი ჩაიჭინა პაპუნამ, — რა ქნას აბა, საწყალ დედამისს გვერდში არ უნდა ამოუდგეს? ცოდვა არის ბიჭი, სპიდონა. თუ ღმერთი გწამს, ის მაინც შეიპარაღე, სხვა თუ



არავინ გეცოდება. დიდა, ბიჭო, იმას ახლა ველარაფერს გამოაპარებ. ვერც ხათუნას გაემტყუნებ მე, სპიღონა, თუ გინდა მართალი გითხრა. ჩვენი ღრო სხვა ღრო იყო. ათასში ერთი თუ ვინმე დაიწერდა ჯვარს სხვების ჩაურევლად... ჩაუყვირდი ამას, სპიღონა. გოგოს და ბიჭს ერთმანეთი უყვარდათ. სირცხვილი კი არ არის ეს. ათი წელიწადიც ვერ მოათიეს ერთხელა, გაჩნდა ტყვია და... რა გაემტყუნება ახლა ხათუნას, რა!

— არ ჩამოვა ის, პაპუნა, მოკლეს! — ისე სასოწარკვეთით შეჰყვირა სპირილონმა, თითქოს ეს ამბავი ახლა პირველად გაუგონიაო.

— ვიცი. დავაცალოთ ახლა ქალს. მოიხზოს თავისი გულისჯავრი, წავიდეს, მოესიყვარულოს იქაურობას...

— არა, პაპუნა, არა! — შეჰყვირა ისევ სპირილონმა, — სასიყვარულოდ არ მცალია ახლა მე, არ მაქვს მე მაგის თავი!

— შენ არ გაქვს, მაგრამ სხვას აქვს, შენს შვილს აქვს, რა გინდა აბა?

— რა მინდა? რა მინდა და...

— ყველამ შენს ჭკუაზე იაროს, როგორც შენ იცი, ისე მოიქცეს ყველა?

— აბა როგორ, მე მრულედ გზაზე გავატარებ ჩემს შვილს?

— ვიცი მე, რა გზაზედაც ამბობ. ერთხელ გითხარი და მეორედაც გეუბნები: არ გამოვა ეგ საქმე და მოეშვი.

— რატომ, რაზე ასობ კბილს!

— კბილს კი არ ვასობ, მართალს გეუბნები. ქალს რომ უნდოდეს, სხვა არის.

— იმის ჭკუაზე ვიარო მე?

— შენ ნუ ივლი. ის ქალი თვითონ დადის თავის ჭკუაზე. შენ ვინ გეუბნება, იარეო. შენ შენი ჭკუა გაქვს, იმას თავისი. პორფილე ხომ იყო ერთხელ, ხომ მოვიდა თქვენსას. რა უპასუხა გოგომ, ისიც ხომ იცი?

— ეს შევლის მერე ჩემი ოჯახის საქმეს?

— წასული ამბავია, სპიღონა, აღარ ღირს ახლა მაგის გახსენება, მარჯვენს გეფიცები. ერთხელ უარი ვუთხარიოთ და ჩამოსცილდა. დაანებე ახლა თავი, ის

თავისთვის, შენ შენთვის. გინდა უარყო სად გაალიზიანო? მაინც დაუქადინი, მაშამისი არ ადგეს თავზე, მე ვიცი, მაგას რაც ეკუთვნისო. კარგი ახლა. სათქმელად კი არ გეუბნები. ჰო, ჰო! ასეც რომ არ იყოს, არც სხვანაირად არის შესაფერისი...

— აბა, კიდევ აქვს გულში?

— აქვს და აგრე! სულ ერთია, ბოლოს მაინც ჩემი იქნებაო.

— მერე მოციქულს რატომ აღარ აგზავნის?

— რამდენჯერ უნდა გამოგზავნოს!

— აბა ვუცადო ასე?

— შენ რაზე უნდა უცადო, შენ რა შუაში ხარ?

— სხვა ვერაფერი გადამარჩენს მე. პაპუნა, პირდაპირ გეუბნები აგერ. თუ გინდა კოჭლი იყოს ჩემი სიძე, თუ გინდა ბრუცანი, კაცი ერქვას, ეგ არის. თავს მოვიკლავ და გოგოს არ გავუშვებ აქედან. მოიყვანოს ვინც უნდა და იყოს აქ. მე ჩემს ოჯახს ვერ გავაფერალებ, ვერა. მტერს ვერ ვათქმევინებ. ეს ადგილი სპიღონა ყაშიაველის ნამოსახლიაო.

— კი მაგრამ, საკაურელებმა რატომ უნდა თქვან, შალიკო მინდელის ნამოსახლი არის ესაო. შენზე ნაკლები ბიჭი იყო თუ?

— შალიკო მინდელი არ ვიცი მე. მეორედ არ მიხსენო მისი სახელი! გესმის თუ არა? მე ჩემი გულის ჭია მაქვს. ყველამ თავისას მოუაროს!

— თავისას რანაირად მოუაროს მკვლარმა კაცმა!

— თუ არ მოუვლის, ჭირი მომქმამოს და სატკივარი!

— რას ამბობ, რას?!

— შენ თუ ჩემი მეზობლობა გწამდა, სულაც არ ახსენებდი მაგას.

— აბა წყალი ჩაიგეგობო პირში? სად მიდიხარ, კაცო? სპირილონ!

— რა გინდა, რას მომდეგე?!

— სად მიდიხარ! რომ გეუბნები, არ გესმის? სად მიდიხარ!

— უნამუსო! გამიშვი, რას მებლანდები ფეხებში, შენ დამაკავებ?

— მობრუნდი, მიტყვამს შენთვის. იცოდე, ვერსად ვერ გაგიშვებ.

— თუ არა რას იზამ?!

— რასაც ვიზამ... მობრუნდი, მობრუნდი. ამ ხნის კაცი ასე რავე უნდა ამჩატდე, სირცხვილი არ არის? მოიცა! მარტო შენი კი არ უნდა იძახო კაცმა. ხანდახან სხვისიც უნდა შეისმინო. შენ თუ ახლა მაგ გულთ სახლში მიხვედი, იცოდე, უფრო გააფუქებ საქმეს. მაკალე ერთ წამს, ჩაბალახს გამოვიტან.

#### IV

პატარებმა მალე დაიძინეს, დედა და შვილი კი ხმაგაკმენდილი ისხდნენ ჩამქრალ ღუმელთან. ორივე ერთსა და იმავე დროს გამოიყვანა ფიქრებიდან დერეფანში ატეხილმა ბრაზა-ბრუსმა.

მოსული ზურია აღმოჩნდა. სკოლიდან მოგვიანებით დაბრუნებული, უსაღლოდ შემოვიდა პალატში, წიგნებით ჰატენილი ჩანთა მავიდაზე დააგდო და ღუმელს მიაშურა.

— რა არის, დედა, ეს, რაზე გამოაქრეთ ცეცხლი! — წამოიძახა მან, როგორც კი ბაბუას გამონაცვალი ჭურჭი გაიხადა და დაწითლებული ხელები ღუმელს შეახო.

ხელუხლებელი ვანშაში ისევ ღუმელზე იყო შემოდგმული.

ეკამ მაშინვე კარდალს მიაშურა.

ხათუნა უსიტყვოდ გავიდა გარეთ შესის შემოსატანად.

როცა არავინ უბასუხა და ძმებიც ლოვინში დაინახა, ზურიამ მიიხედ-მოიხედა. ბაბუა არსად იყო.

— სად არის? — ხრინწიანი ხმით ჰკითხა მან მოხუცს.

— ვინა, შვილო? — უცებ ვერ გამოერკვა ეკა. — რა ვიცი, დედა, ჩვენ, გადავადოდა სალაცა.

მოღლილი პატარები უდარდელად ფშვინავდნენ ლოვინში. საბანი წელამდე გადაეხადათ. ძილში ერთმანეთს ჩახუტებოდნენ.

ზურია ამით დააცქერდა. ბებიას სიტყვაძვირობამ ყველაფერი ცხადად აგრძნობინა. მუდამ გაქცევა იცოდა ხოლმე

ბაბუამ დიდი ჩხუბის შემდეგ ნეტავი დღეს ვის ეჩხუბა, დედასთან მუხრანში...

— ოხ! — ამოიოხრა მან, ოღონდ ეს ისე ხმამალა მოუვიდა, რომ პაველ შემეშინა ლოვინში და მეორე გვერდზე გადაბრუნდა.

— თბილია, შვილო, ზურია. ხის ჯამზე გადმოვიღებ. თუ საინზე გადმოვიღო? გავაცხელო? ცხელი გიყვარს შენ. ზურია უგუნებოდ იჯდა ღუმელთან, თავის აჩქარებულ გულის ძგერას უამენდა.

— ჰა, გავაცხელო, ბიჭო? — არ ეშვებოდა ეკა, — ტირი, ბებია, თუ? ხათუნა, ხათუნა, ქალო!

— რა გინდა, ნუ უძახი! — უხეშად მოიცილა მოხუცის სუსტი ხელები ზურიაზე.

— შენ კი მოგიკვდეს ბებიაშენი, ბიჭო. შენ დაგიმიწდეს ბებიაშენი, ჩემო ვაჟაკო. მოდი, შვილო. შენ მაინც რაღას იკლავ თავს. შექამე ორი ზემსი. გუნებაზე მოგიყვანს. არა გრცხვენია, ბიჭო?

— არ მინდა, ბებია, საკმელი. თავი დამანებე. ჰამეთ თქვენ.

— მე რა ცეცხლი უნდა შევქამო, შვილო, შენ თუ შშიერი მეგულები.

ხათუნა შემოვიდა. ახლად დაპობილი ხმელი შეშა შემოიტანა.

— თოვს. ამაღამ კიდევ დაამატებს, — თქვა თითქოს თავისთვის.

ცოტა ხანსაც არ გაუელია, ჰიშვრის ჯახუნე გაიგონეს.

— მოვიდა! — შვებით ამოისუნთქა ეკამ, — ბეჩა! სტუმარი მოყავს, მგონია, მაგ შეჩვენებულს.

ზურიამ შენიშნა, როგორ შეუფაკლდა დაწვები დედას. გულმა უგრძნო, რომ რაღაც ცუდი უნდა მომზდარიყო.

ყველას სუნთქვა შეეკრა. პალატაში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

კარი ნელა გაიღო და პირველი სპირიდონი შემოვიდა. კოკლობით გაიარა ორიოდ ნაბიჯი და ჩამქრალი ფანარი ფანჯრის რაფაზე შემოსდგა.

მცირე შეყვანების შემდეგ გამოჩნდა თავშიშველი პაპუნა. ყველა ისე იყო

გაოგნებული, მის სალამზე პასუხი არავის გაუტვია. ბოლოს ეკამ მოისაზრა მეზობლასათვის სკამი შეეთავაზებინა.

— არა, ეკა, დასაჯდომად როდი მცალია, — იუარა პაპუნამ, — ეს არის ლოგინიდან აედექი, — რატომღაც ასე დამათვარა მან და თვალი სპირიდონისავენ გააპარა.

ახლა ქმარს დააქტერდა ეკა. სპირიდონი კვლავ ფანჯარასთან იდგა და ეტყობოდა, რომ რაღაც მძიმე საფიქრალისთვის მიეცა თავი. ბოლოს მან იგრძნო, რომ ყველა მას უქტეროდა. თავი ოდნავ მოაბრუნა და სულ პირველი თვალეზად ქცეული ზურია დაინახა. სპირიდონს რაღაც ჩაწყდა სულის სიღრმეში. სისხლი აღმღვრია საყვარელი შეილიშვილის უმადურობამ და რაღაც დაიყვირა, თუმცა თვითონაც არ ესმოდა კარგად, რა უნდოდა.

— ხომ ხედავ, ფანარი სად დგას?! — ბობოქრობდა იგი, — მანდ არის მაგის ადგილი? რას მიყურებ? ადექი!

ზურია წამოდგა, მაგრამ მოხუცის ჩალიღავებულ თვალებისათვის თვალი მაინც არ მოუშორებია.

— გაიტანე და კანჯოზე ჩამოკიდე, კოდთან! — ახლა უკვე შესაბრალოსად ყვიროდა სპირიდონი, რომელიც მიხვდა, რომ ყოველივე ეს ზურიას თავიდან მოსაშორებლად გააკეთა. მისი აქ ყოფნა ხელს შეუშლიდა საქმიან ლაპარაკს, რომელიც ან დღეს უნდა მომხდარიყო ან არასოდეს.

ერთადერთმა ეკამ შენიშნა ბზარი ქმრის ხმაში და თუმცა ამ ორიოდ საათის წინ ისე სასიკეთოდ ევედრებოდა წმინდა გიორგის მის ალგვას პირისაგან მიწისა, ახლა სისუსტემ სძლია და უზომოდ შეებრალა თავის ჯავრს აყოლილი სპირიდონი.

საოცარი ის იყო, რომ ზურია ფეხს არ იცვლიდა ადგილიდან.

ხათუნა თავდახრილი მისჯდომოდა მძინარე ბავშვებს. ცილილობდა, სანამ შესაძლებელი იყო, ყურადღება არ მიექცია იმისათვის, რაც პალატში ხდებოდა.

— კანონია თუ არა ჩემი სიტყვების სახლში?! — ხელახლა გაისმა სპირიდონის გაბზარული ხმა, — გესმის თუ არა შენ, ბიჭო, რას გელაპარაკები?

— ბიუთან რა გინდა, სპირიდონო, ჯერ ვახშამიც არ უქამია, — გამოექომაგა ზურიას ეკა.

— ვახშამი არ ვიცი მე!

შალვამ წამოიკნაველა ძილში. ხათუნა საბანს მიწვდა.

— ნუ გეშინია, სიხარულო, აქა ვარ. გააგონე, შვილო, ზურია.

ზურია კიდეც ყოყმანობდა, თითქოს გააფთრებული მოხუცის მზერამ დააბაო. მერე თვითონაც მიხვდა, ფანარს რისთვისაც ატანდნენ, კედლიდან თავისი ქურქი ჩამოგლიჯა და ჩაუტყველად გავარდა დერეფანში.

— ასეე, — ამოიხზრა სპირიდონმა და მალულად თვალი გადადევნა ეკას, რომელიც სველი ბოხოხით ხელში ზურიას გამოუღდა, — სამოცდაშვიდი წლის კაცი მოვიყარე და ჩემთვის უხეირო სიტყვა არავის უკადრებია. ახლა გავხდი ქვეყნის მასხარა?

ამაზე ხმა არაფერ გასცა. საკმარისი იყო ნუგეში ეკა ვისმე, ეკადა იმის დამტკიცება, არავისაც არ გაუხდინარ მასხარადო, რომ სპირიდონი მოთმინებიდან გამოსულიყო, მაგრამ საამისოდ თავი არაფერ გამოიღო.

— ახლა ყველა გამკვლეღმა უნდა იცინოს ჩემზე? — დამათვარა მან თავისი უმისამართო კითხვა.

პალატში ისევ სიჩუმე სუფევდა.

— თუ რა ექნა, მოველა ვინმე? რას გაჩუმებულხართ? დაიხოცეთ?

— რა იყო, მამა, ბავშვს გაელეიქება, — ვედრების კილოზე წაილაპარაკა ხათუნამ.

— გაელეიქება? — ახლა კი გაბედა სპირიდონმა პირდაპირ შეეხედა ქალიშვილისათვის, — შენ ის გაწუხებს, რომ გაელეიქება... მე? მე რატომ არ მეკითხები, რა მაწუხებს. ვინა ვარ მე შენი? — სპირიდონმა ვერ გაბედა თვითონვე ეთქვა მამა ვარო, — ვინა ვარ, ვინ? ა? მე გაგზარდე, მე გაგაჩინე, სული მე ჩავი-

დგი... — აქ ხმა აუკანკალდა სპირიდონს და ცოტაც გაწყდა, ქვითინი არ ამოცხდა გულიდან.

— რას მერჩი, მამა, რა დამიშავებია?

— რა? ბევრი, ბევრი დაგიშავებია, შვილო, ბევრი, — ძლივს მოიკრიბა ძალი სპირიდონმა, — ბევრი დაგიშავებია, მაგრამ რაღა დროსა ახლა.

— აბა რაღა გინდა. თუ დამიშავებია, ახლა აღარაფერი ეშველება. მაკალე ან სიკვდილი, ან სიცოცხლე. რა გინდა, მამა, რას შემომიჩნდი, რატომ გინდა, გზიდან გადამაგდო და ჩემი შვილების საცოდობაში ჩადგე.

— ნუ! ნუ ამბობ, მაგრე, ნუ! — შეპყვირა თოქოს მწვევე ტკივილისაგან გამწარებულმა სპირიდონმა, — ნუ ამბობ! ნუ ტირი კიდევ, ნუ! ბევრი აღარ დამრჩენია. ორი პარასკევი კიდევ და ჩავვდები... მოისვენებთ... გამჩენმა ღმერთმა იცის, ცხოვრება უქმად არ გამიტარებია. ჩემი ღღენი და წუთისოფელი შრომაში დავლიე. ხარი ვიყავი, ხარი. დრო იყო, მეც მიჭირდა. ქვეყანა იწვოდა ჩემი საცოდობით. პაპიჩემის სახელს მაინც ვერ ვუღალატე, მისი ევრა ვერ გამოვაქვრე. ყანჩაველები ვართ ჩვენ. პაპუნა. ახლა სახლიც მაქვს და კარიც, კურიც და მარანიც. სამი წლის სარჩო მიყრია ბელელში. ბოსელი სავსეა საქონლით და საღორე — ღორით. ვიღასთვის მინდა ახლა მე ეს, თუ ყველაფერს ნაეთი გადაყასხა და ცეცხლი წაუეკიდო! რა ექნა, ასე უხეიროდ გაიაროს ძირი ნაწვევანადგამა?

ხათუნა ჩუმთ ტიროდა, პაპუნას კი თვლები მიელულა და თავს აქნევდა. კარ გაიღო. პალატში ეკა შემოვიდა.

— ეს კიდევ... ეს... ჩემი ყელის გამოშკრელი მე ძალთაპირს მეძახის, — ხმა აიმაღლა მის დანახვაზე სპირიდონმა, — შენ კი... შენ... ზოდა, არავინ არ იცის, რანაირად მტკივა გული მე... მეც გული მაქვს. იცი შენ, პაპუნა? არ იცი. ვინ მიქნა მერე ეს? ვინ გამაუბებელი? შენ! შენმა მოუსაზრებელმა ნაბიჯმა. პო. იმან მიქნა, რომ არც სიძე გამომადგა...

იმ დროს მიღალატა, როცა დანა და ყელი ერთად მქონდა...

ეკა წელზე ეხვეოდა ქალიშვილს, თი-თქოს, გაკავებას უპირებსო:

— ნუ, შვილო, ნუ გასცემ ხმას, ილაპარაკოს.

— ვილაპარაკო? — შეპყვირა სპირიდონმა, — ძალი ყვეს და ქარავენი მიღის? ვისთვის ვილაპარაკო?!

— ნუ ყვირი, მამა, — თავი წამოსწია და საკინძე შეისვენა ხათუნამ, — რაღა გინდა სიძესთან... აღარ არის.

— აღარ არის! ეგ როდი შველის საქმეს. ეგ როდი შველის ჩემი ოჯახის საქმეს. აღარ არის!

— რა ექნა, მამა...

— რა ექნა?!

— რა ექნა აბა, ეღალატა, სხვის მხარეზე გადასულიყო?

— მე მეკოთხები იმას, რა უნდა ექნა? — აიბნა სპირიდონი, — ცოლშვილი ჰყავდა იმას. მე იმას ჩემი საკუთარი ქალიშვილი ჩავაბარე. ეს ვიცი მე. მე რა ექნა ახლა?!

— ვაიი, ისე სიმათლით იარე შენ ქვეყანაზე! — ველარ მოითმინა ეკამ.

— ჩაიწყვიტე ხმა! გამოყრუებულნი! — შეპყვირა სპირიდონმა და ჯავრის ამოსაყრელად ცოლს მივარდა.

ანაზღვეულად გამოფხიზლებულმა პაპუნამ გადაუღობა გზა, მხრებში დაეცა:

— ფუ, შეგირცხვა ვაქაცობა, თუ ამაზე მეტი ხათრი და მორიდება არ ვაქვს.

— უნდა მოვკლა ეგ გამოთაყვანებული, ეგ დამბლადაცემული. მოვკლავ და მოვისვენებ, — სულს ძლივს ითქვამდა პირგამხებული სპირიდონი, — ეგ მასწავლის მე ცხოვრების საქმეს? ეგ... ეგ... დამანებე, პაპუნა, თავი, გამიშვი ხელი!

— ფუი!

— მაგ წუპაკს ნუ უგდებ ყურს შენი! — ახლა ხათუნას მიუბრუნდა სპირიდონი, — მე დამიგდე ყური, თუ გინდა ცხოვრებაში წალმა იარო.

პაპუნამ მეტი ველარ მოითმინა. საკამი განზე გადადგა და კოტიტა ხელებით დონიჯი შემოიყარა:

— რა გენა, სპირიდონო, წავიდე თუ? გამაგდე ბარემ სახლიდან.

— ღმერთო დაგვიფარე! — პირუჯვარი გადაისახა ეკამ, — ნუ მიგვატოვებ, პაპუნა. გვიქენი იმდენი სიკეთე. ნუ მიგვატოვებ ამის ხელში, თუარა დაგვხოცავს ყველას ამაღამ.

— ნუ მიგვატოვებთ? — გააგრძელა პაპუნამ, თანაც მელოტ თავზე ხორკლიანი ხელი გადაისხვა, — უნდა გათავდეს თუ არა ეს საქმე ერთხელ და სამუდამოდ? არ უნდა გათავდეს, ეკა? გადი, გადი, სპირიდონო, მე მოველაპარაკები ამ ხალხს, გადი, თუ ღმერთი გწამს...

სპირიდონს ემჩნეოდა, რომ ძალისძილად იკავებდა თავს. ის იმ ბრალდებულს ჰგავდა, რომელსაც სურვილი სწავავს მთელი ღვარძლი მიახლოს პირში სასამართლოს, მაგრამ ითმენს, რადგან შეწყალების იმედი ჯერ კიდევ არ დაუკარგავს და ეშინია ორიოდ ზედმეტი სიტყვით სულ არ დაღუპოს საქმე. მან ცოტა ხანს კიდევ იყოყმანა, და მორჩილებოდა თუ არა პაპუნას ნათქვამს, მერე მიტრიალდა, კოქლობით გაიარა ორიოდ ნაბიჯი და ზურგშექცევით გაჩერდა ფანჯარასთან, თითქოს ეს ადგილი ყოველის მხრიდან შემოზღუდული ყოფილიყო.

მას მართლაც არ ესმოდა ახლა, როგორი ხმის კანკალით განაგრძობდა პაპუნა თავისი მძიმე მოვალეობის შესრულებას; პაპუნა კი ამბობდა, რომ ის, პაპუნა, მეტიჩარა კაცი არ არის; სხვისი ოჯახის საქმეში არასოდეს არ ჩარეულა...

— მე ჩემი ვერ მომიგვარებია. საქმე ასე არის ახლა... ჩავარც მე ვიცი... რა ვიცი, იქნება სულაც არ არის ასე... ხათუნას უნდა წასვლა. გზა გავა და... უნდა წასვლა. ასეა ეს. მერე... მერე კი არა, სწორია ეს... ქალი უნდა წავიდეს თავის სახლში. ხომ მართალია, ეკა, უნდა წავიდეს...

პაპუნა ღელავდა და მალიმალ ისე-

დებოდა სპირიდონისაკენ, რომლის უწყონა საშინლად უშლიდა სიმართლის თქმას. პაპუნას უნდოდა გულისწყრომა გამოეხატა სპირიდონის მიმართ, მაგრამ ვერ ახერხებდა ამას, რადგან თვითონ ის, სპირიდონი, ოთახში იყო. უნდოდა შეეწყვიტა დაწყებული სიტყვა, მაგრამ ველარც ამას ახერხებდა. ამიტომ ძნელი იყო მისი ნათქვამიდან რაიმე აზრი გამოგეტანათ. პაპუნა აბნეულ-დაბნეულად ლაპარაკობდა იმაზე, რომ თვითონ გამოუცდელი კაცი როდღა, ქალი არ არის, მაგრამ გრძნობს ხათუნას მდგომარეობას. არ იცის, რა უყოს სპირიდონს. სპირიდონიც მართალია ნაწილობრივ... ვინ იცის, იქნებ ყველა ცდება და მარტო სპირიდონი არის მართალი...

მერე ფრთხილად ჩამოავდო სიტყვა იმაზე, რომ ეს ოჯახიც ოჯახია, პატრონი და ყურისმგდებელი ამასაც უნდა იქნებ სპირიდონი ამაშიაც...

ხათუნამ არაფერი თქვა. გულკეთილ პაპუნას ენიშნა ეს და კიდევ უფრო აებნა სათქმელი.

— არ ვიცი... აყალმაყალი საქმეს ვერ უშვლიყო.

— წასულიყო, ბეჩა, პაპუნა, წასულიყო, — ამის მეტი სათქმელი ველარაფერი მონახა ეკამ.

— წასულიყო? წინ ვინ დაუდგება, ეკა, თუ მაგას წასვლა უნდა. ისე ნუ კი იფიქრებ, შვილო... ნათლული ხარ ჩემი, მაგრამ საკუთარ შვილებში არ მერჩევი. რად მინდა ახლა ამაზე ფიცი და მტკიცი. რაეარც გულმა გითხრას, ისე მოიქეცი, ოღონდ საქმე კარგად აწონდაწონე. სულსწოფობას ვისთვის მოუტანია ხეირი, რომ შენ მოგიტანოს...

— რა სულსწრაფობა არის, ბიძია, — მოულოდნელად წამისწია თავი აქამდე სოხანეს ჩამტერებულმა ხათუნამ, — მოითვალე, რამდენი დღე და საათი გავიდა მას აქეთ... აქამდე ხომ არაფერი მოიტქვამს, ხომ ვიყავი...

მერე სახე ნიდაყვებში ჩარგო და ისევ ატირდა.

— იმედი მქონდა... არ მჯეროდა...

— იკმარე, შვილო. რა ვუყოთ. ალბათ ასე ეწერა და ასე მოხდა. ბედს ნუ შეუშინდები. წამოზრდილი ბიჭები გყავს. ზურია აგერ მწვდება ბეჭებამდე. ერთი ორი წელიწადი კიდევ და... ცხოვრებას აწივ მოესწრები.

— ნეტამც არ მოვსწრებოდი, ბიძია. ნეტამც არ მოვსწრებოდი. მე რაღა ვარ ახლა. მე რაღა ვარ, ჩემი შალიკოს დამკარგავი...

პაპუნა აღვა, წელში გაიმართა და თვალებით სპირიდონი მოძებნა ოთახში.

სპირიდონი ისევ ფანჯარასთან იდგა. ყველასათვის ზურგი შეექცია და მტკივანი ფეხის წვერზე დაყრდნობილი ისევ არწიოდა, თითქოს ძილი მოსძალებია და სადაცაა მოკვეთილივით დაეცემო.

პაპუნა ხმის ამოუღებლად დაუდგა მას წინ და როცა სპირიდონმა არაფერი უთხრა, თვითონვე დაიწყო:

— რას ფიქრობ, სპირიდონო, რა ექნათ?

სპირიდონმა კიდევ არ გასცა პასუხი. პირი გვერდზე მიიქცია და კარისკენ გადააღაჯა.

— სად მიხვალ, კაცო, ლაპარაკი არ იცი?

— კაცი არ ვარ მე. მე კაცობა ამხადეს, — ხანჯალივით გაიძრო ეს სიტყვები სპირიდონმა, მერე თითი ხათუნასკენ გაიწვდინა და შეძრული ხმით დაუმატა: — წავიდეს! მე არ ვიჭერ.

მაგრამ ნათქვამის აზრმა, რომელსაც ახლა-ღა მიხვდა, თავზარი დასცა, შეაჩერა, კარის გაღების ნება არ მისცა. ის კიდევ იმედოვნებდა, რომ ჯერ ყველაფერი არ იყო დაღუპული, ენამ კი მისდა დაუკითხავად განაგრძო თავისი:

— არ ვიჭერ... ოღონდ ჩემს სახელს ნულარ ახსენებს. მომიყვდა მე შვილი.

— ნუ გაღირიე, სპიდონა. ნუ გაღირიე ახლა! — შეაშველა პაპუნამ.

— ადვილი სათქმელია... არ ვიჭერ მე. გზა დიდია. ნულარ ახსენებს ჩემს სახელს, ნულარ!

თითქოს ამას ელოდნენო, ხათუნამ

და ეკამ ერთსა და იმავე დროს შიშობდა რეს აცრემლებულ მოხუცს.

ხელახლა ატეხილ ხმამალალ ლაპარაკზე კარი გაიღო და გაბუტული ზურია შემოვიდა. წუთით უმთავრო ლამის სიბნელემ შემოიხედა პალატში.

იმ გარემოებამ, რომ ყველა მის დამშვიდებას ედილობდა, უფრო გამაწარა სპირიდონი. ორივე ხელით გაიბრძოლა, რათა შინაურები მიეთანტ-მოეთანტა და თავზარდამცემი ხმით დაიღრიალა:

— გაეთრიეთ! მომშორდით! მომშორ-დით! წადით ყველა! არაუინ არ მჭირდებით!

ამის თქმაც იყო და გაქნეული იდაყვი ისე მაგრად მოხვდა მკერდში ეკას, საბრალომ ფერი დაკარგა და წაბარბაცდა.

პატარები ატირდნენ. პერანგის ამარა მიცვივდნენ ბებუას. წარბებგადასკენილი ზურიაც გულზე აეფარა მას.

— მხეცო! — აღმოხდა ხათუნას, — ანას რაღას ერჩი! დეღამ რა დაგიშავა?

სპირიდონმა ერთი მოქნევით შემოიწვიტა ყველა სუსტი ძაფი, რითაც აქამდე დაბმული იყო და შემხარავი ხმით აყვირდა. უშუკერი სიტყვებით აგინებდა მკედარსა და ცოცხალს, შინაურსა და გარეულს. წყველა-კრულუას უგზავნიდა „იმ გლახის შვილს“ — შალიკო მინდელს, მოღალატედ ნათლავდა ყველას და ათას გაუგებარ რასმე რომავდა.

ახლო მეზობლები, ვისაც კი ეს ხმა გაეგონა, უშიშრად შემოცვენილიყვნენ დერეფანში, რადგან ყანაველებს ძალი არ ჰყავდათ, მაგრამ იმით შეფიქრიანებულები, ვაი თუ ჩვენმა დანახვამ ბერიკაცი უფრო გაახელოსო, პალატში შემოსვლას ვერ ბედავდნენ და სულგანაბული უგდებდნენ ყურს საშინელ ლანძღვა-გინებას.

## V.

იმ ღამეს სინათლე არ ჩამჭრაღა ყანაველების პალატში.

ცხილ გულზე ყველაფერი გადმოატრიალა ხათუნამ. თავის ბარგი-ბარხანას აგროვებდა. გადმოარიალა ზანდუკები,

გამოყარა ჩემოდნები ტახტების ქვემო-  
დან; მაგრამ ყველაფერზე ადრე ზემოთ  
ავიდა და ზალამი სინაოლე აანთო.

ქრელქრულა ხალიჩით დამშვენე-  
ბულ კედელზე ეკიდა მისი გადიდე-  
ბული სურათი. სამუშაოდან ახლად  
დაბრუნებულ შალვა მინდელს მკერდი  
გაელვდა და ღიმილით გაპყურებდა  
ოთახის სიღრმეს.

ხათუნას გაახსენდა: ფოტოგრაფის  
უკან უშარვლო პავლე იდგა, პერანგი  
აეწია და მამას ჭიპს აჩვენებდა. ამით  
გამოწვეული მშობლიური ღიმილი შე-  
ენახა უსულო ქალაღს. ო, რომ ცოდ-  
ნოდა ახლა, რა დღეში იყო მისი ხათუ-  
ნა, როგორ უყვარდა ზურციას მამა, რო-  
გორ წამოიზარდნენ უმცროსი ბიჭები.  
ხათუნა ფეხაკრფით მიუახლოვდა.  
ტახტზე დაიჩოქა და ხელის კანკალით  
ჩამოიღო მომღიმიარე სურათი.

ერთადერთი ეკა და ზურცია თანა-  
უგრძნობდნენ იმ ღამეს ხათუნას მწუ-  
ხარებას. სპირიდონი ადრევე გავდა  
სახლიდან. ყველამ იცოდა, რომ ის ბო-  
სელში, საქონელთან ათევდა ღამეს.

ეკა მიმხვდარი იყო, რომ მისი მუდა-  
რა ამო იქნებოდა; მისი ღედობრივი  
ცრემლები ვერ გატეხდნენ ხათუნას  
ყანჩაველურ სიჯიუტეს. ეს იყო ერთად-  
ერთი რამ, რითაც არაჩვეულებრივად  
ჭკვანდნენ ერომანეთს მამა და შვილი.  
ნათქვამ სიტყვას, წამომცდარიც რომ  
ყოფილიყო, არცერთა არ გადაუხვევდა.  
გულის მოსვლის დროს ორივე ჰკარგავ-  
და ყოველგვარ ზომას და აბა, ვის უნდა  
სცოდნოდა ეს ყველაფერი, თუ არა  
ეკას.

თუ ხათუნა მართლაც არ შეცვლიდა  
დაუყოვნებლივი გამგზავრების გან-  
ზარახვას, ის კი ამას არ შეცვლიდა,  
სპირიდონი არასოდეს არ აპატიებდა  
ქალიშვილს მშობლის წინ გამოხტომას.  
მერე იქნებ თვითონაც ენანა, მაგრამ  
ყველაფერს გულში ჩაახვევდა და საფ-  
ლავის პირას მიიტანდა. ერთადერთმა  
ეკამ იცოდა ეს, მაგრამ რა, რა შემსუ-  
ბუქებას პოულობდა ამით? ორ ცეცხლს  
შუა იყო. შვილი დაეთმო თუ საბრალო

მოხუცებული? იმის შიშიც კარგაა, რომ  
ღილით მკვდარი არ ენახათ სპირიდონს  
სპირიდონი. მაშინ ოჯახურ უბედურე-  
ბასთან ერთად სოფლის რისხვაც მას  
დაატყდებოდა თავზე. ქმრისთვის მიე-  
ხედა, — აშინებდა უარესის მოლოდი-  
ნი. მამა რაღა ექნა ეკას? რომელ კოცონ-  
ზე დამწვარიყო? უანგარიშოდ დაბო-  
რიალებდა პალატში. აღარც ნუგეში შე-  
ეძლო და არც ხათუნას მოხმარება, რად-  
გან ყველაზე უფრო თვითონ იყო სანუ-  
გეშო და მოსახმარებელი.

სამაგიეროდ, ზურცია გაეკაეებინა გა-  
ქირვებას. რალაცას გრძნობდა მისი  
უტყუარი ალლო. ბიჭი ნამხვდარი იყო,  
რომ ის, რაც მოხდა, ცოტად თუ ბევრად  
შეეხებოდა მის სახელს, თვითონ მამას,  
ზურციას სიმართლეს უმაღავდნენ. ამას  
გრძნობდა, მაგრამ არასგზით არ უნდო-  
და სხვებისაგან გაეგო ეს სიმართლე.  
ბაბუა სპირიდონივით საქმეში ჰკლავდა  
ახლა ის თავის ნალველს და ცდილობ-  
და, რაც შეიძლებოდა გულღებრყვილოდ  
მოსჩვენებოდა დედას. სათითაოდ ჩა-  
მოზიდა საბნები და ბალიშისპირები,  
თოკები და ღვედები; ყოველი ახალი  
ნივთის ჩამოტანაზე კი აქამდე განუც-  
დელი მოწიწებით ეკითხებოდა ხათუ-  
ნას:

— ეს ჩენია, დედა?

ხათუნა თვითონ სინჯავდა ყველა-  
ფერს, რათა შინაური ნივთებიდან არა-  
ფერი გაეყოლებინა და როგორც კი ჩა-  
მოტანილს თავისად შეიკნობდა, მშვი-  
დად მიუგებდა შვილს:

— ჩენია, დედა, დაწყე.

ხათუნას ნაძალადევი სიმშვიდე. ზუ-  
რიას აგრძნობინებდა, რომ დედა დღეს  
გაცილებით უცრო დამშვიდებული იყო,  
ეადრე გულში და ეს ახრი კიდევ უფ-  
რო აახლოვებდა მშობელთან. ამ წუთს  
მას აღარ ახსოვდა ის სანეტარო სიტყ-  
ბო, რომელიც ოდესღაც განცადა ბა-  
ბუას სახლში, რადგან მისი ფიქრი და  
ოცნება სულ სხვაგან ტრიალებდა, იქ,  
შორეულ საკაურაში, სადაც მამა დაი-  
ბადა და სადაც თვითონაც ბევრი ერბი-  
ნა ბაღლობაში. ზურციას კარგად ახსოვ-

და გამომგზავრების დღეც, მეზობლების ხორხოციც დერეფანში, დედის ავადმყოფობაც. შალვა სულ პატარა იყო მაშინ. ის თკითონ თავმჯდომარემ გადამოყვანა სადგურამდე, რადგან წვიმას გათენებისას გადაელო და დიდი ტალახის გამო ურემი ვერ შეაბეს.

ზურია ვერავითარ სიძნელეს ვერ ხედავდა იმ გზაზე, რომელსაც ის იყო, უნდა დასდგომოდნენ. აქედან წავეიდოდნენ და ყველაფერი რიგზე იქნებოდა. ეს სიმზნევეს მატებდა და თანდათან იფიწყებდა იმ საშინელებას, რომლის დამსწრე და მონაწილეც ეს იყო გახდა.

მომხდარი ამბების შემდეგ თვით ქეთილი ბებიაც კი სხვად იქცა ზურიასათვის. თუკი, ჯერ კიდევ გუშინ აუწყრელ ტკივილს განაცდევინებდა ეკასთან განშორება, ახლა სრულებით არ ფიქრობდა ამაზე და არც უნდოდა ეფიქრა. მას გულს ურევდა მოხუცის მომთმენიანობა, მისი მონური მორჩილება და ამას სიმბდალეს მიაწერდა. ზურიას უნდოდა ბებიაც დედასავით შეუბოვარი ყოფილიყო; მთელი არსებით სჯეროდა, რომ მაშინ უფრო გაუადვილებოდა მოხუცს ცხოვრება.

ასე ფუსფუსსა და სამზადისში ინათლა კიდევ...

ეკამ დილაამდე მოითმინა. შეილი მის თვალწინ იყო, მაგრამ მოხუცებულის ჯავრი აწუხებდა.

მამლებმა იყიველეს თუ არა, ჯოხი დაიბიჯა და გარეთ გამოვიდა. მუხლების კანკალით ჩააღწია ბოსლამდე, მაგრამ კარის ერთბაშად გაღება ვერ გაბედა.

ბოსლის თავზე სათივე ჰქონდა გაპართული სპირიდონს. საკვების უმეტესი ნაწილი წყობისად ელაგა აქ. სათივეზე კიბე იყო მიდგმული. თბილ ამინდში ბავშვებს უყვარდათ ზედ არბენა, თივაში ერთმანეთს ემალებოდნენ.

შესასვლელი თითქმის მოტიტვლებული იყო, რადგან ყოველ დილით საკვები აქედან გამოჰქონდათ. აქა-იქ ქერის შიშველი ფიცრები მოჩანდა.

ეკა გაქირვებით აბობლდა კიბეზე და მკვევით ჩაიქვირიტა. პატივისმცემი სისხელის სუნმა ამოაღწია კვემოდან.

ბოსელში ბნელოდა. ალბათ, პატივის გადასაყრელი ვიწრო სააკმელიც ჩამანული იყო.

„ნუთუ დავიღუბე!“ — გაუელვა ეკას. იქვე, ახლოს, სასოფლო გზის გადაღმა ბოლი ამოდოდა პაპუნა ყანჩაველის ბუხრიდან. ეკას უნდოდა დაეძახნა, მაგრამ ხმა აღარ ეყო. სათივეში მიიხედ-მოიხედა და უკანვე ჩამოსვლა დაიწყო.

ბოსლის კარის გაღებისას მთელი ღამის სითბო და ორთქლი გამოიქრა. დილის სინათლემ გაანათა ბაგაზე მიბმული საქონელი.

ბოსელი რომ არ გაეცევიბინა, ეკა შიგ შევიდა და კარი მოხურა. მცირე ხანს აქ იდგა, სანამ თვალს შეაჩვენდა სიბნელეს. ძროხები წუხანდელ ჩალას ახრამუნებდნენ, შუა ბომზე მიბმულ ცხენი კი მოუხვეწრად ცმუკავდა ერთ ადგილზე.

— სპირიდონო! — დაიძახა ეკამ, რომელიც დარწმუნებული იყო, რომ პასუხს ვერ მიიღებდა.

ცხენმა დაიფრუტუნა სიბნელეში, კაცის სიმაღლე ფიცრული კედლის გაღალმა კი ხბოები წამოიშალნენ.

ავი წინაგრძნობით მუხლმოკვეთილმა ეკამ ქმრის სახელის განმეორება ველარ გაბუდა. რომ არაფერს დასჯახებოდა, ხელები წინ გაიწვდინა და ბაგისკენ წავიდა. ძროხებმა ზარმაცად მოინაცვლეს ბოჯინჯგალა ფეხები, გზა მისცეს. არა, აქ რა იყო საქმენი, ბაგაში ხომ არ ჩაწვებოდა! გამობრუნდა. ახლა სახბორის კარი გამოაღო. დადარაჯებული ხბოები ეცენო ხელებში, ბაგისკენ მიიწვედნენ.

— თფრჩა! — შეუტია ეკამ და კარი გაქირვებით მოხურა.

კუთხეში თივა ეყარა. როცა ეკა კუთხეს მიუახლოვდა, ბნელში რალაცას წამოედო და კინალამ დაეცა.

თივაზე სპირიდონი იწვა.

— სპიდონა...



ეკა დაიხარა. ამ დროს სპირიდონმა წამოიწია.

— რა გინდა, რას დაბორილობა?!

— სპიდონა! — ერთხელ კიდევ წამოცდა გახარებულ ეკას, — სადა ხარ, კაცო, გათენდა.

— გათენდეს მერე, მე რა მესაქმება!

— ადექი, შე უღმერთო. ვიღუბებით, აგრე უნდა?!

— ჯო მოხდა?! — მღელვარება ვეღარ დამალა სპირიდონმა.

— რალა უნდა მოხდეს, კაცო, საიკითხავია?

— აღარ იტყვი?! — მხართეძოზე წამოიწია სპირიდონმა.

— მიდის, ადამიანო, მიდის...

— ვინ მიდის, რას ამბობ?

— მიდის, შე უღმერთო, მიყავს ბავშვებიც, — ცრემლებს ვეღარ იკავებდა ჯავრით გულშემოყრილი ეკა.

სპირიდონი ისევ დაეშვა თივაზე. ნიჩაბივით ბრტყელი ხელები თავქველმ ამოიღო. მთელი ღამის უძილარს ახლა არაფერი აღარ უკვირდა. რადგან იმას, რასაც ახლა ეუბნებოდნენ, უკვე შეგუებული იყო. ის მაინც ცდილობდა გარეგნული სიმშვიდის შენარჩუნებას, ცდილობდა ისე გამოეყვანა, რომ ქალიშვილის გამგზავრებას ახლა არავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა მისთვის.

— მარტო უნდა დავრჩეთ, საცოდავად, — წუწუნებდა ეკა, — ვინდა უნდა იყოს ჩვენი მომხედავი, ხმის გამცემი...

— ნუ დამტირი თავზე! — შეჰყვირა სპირიდონმა.

— თოვლია დიდი... უგზობა, დიდი ზამთარი, — განაგრძობდა ხმამალა ფიქრს ეკა. ის ახლა აღარც კი ერიდებოდა ქმრის გაფიცებას, რადგან გადაეწყვიტა, რადაც უნდა დასჯდომოდა, მოეღობ გაეკრებულე მამის გული.

— შიგაც ჩამხრავალა! — შეჰყვირა პასუხად სპირიდონმა.

— ღმერთო, კეთილად გაიგონე! სპირიდონ...

— რა გინდა?!

— საკურაში უარესი ამბავი იქნება. ასე უპატრონოდ გზას დაადგეს...

„მომიგზავნა, ნამდვილად მომიგზავნა“, — ფიქრობდა სპირიდონი, თუმცა ძალიან კარგად იცოდა, რომ მისი შვილი არ იზამდა ამას. სხვა დროს ასე არ ფიქრებდა, მაგრამ ახლა ძალზე ესაქიროებოდა ეს.

— ვინ გამოგზავნა შენ აქ? — ისევ წამოიწია მან, — გამოგზავნა? თქვი!.. ასე უთხარი, გვიან არის თქო. შენ თუ მამა მიგაჩნდა, თავზე ლაღს არ დაასხამდი თქო.

ეკა დაიბნა. პასუხიც ვეღარ მოახერხა.

— რისთვის მინდა შვილი მე, თუ იცი, არა, რისთვის მინდა? — განაგრძობდა სპირიდონი, — იმისთვის მინდა, რომ მასიამოვნოს, იმისთვის, რომ ჩემს გემოზე იაროს, იმისთვის, რომ... როგორც მე მინდა, ისე რომ მოიქცეს, ამყვეს და დამყვეს. გესმის თუ არა შენ? ჰოდა, ასე მოახსენე იმას. ურჩი მე სხვისი მეჯავრება, ჩემსას, ღმერთმა იცის, სახლში არ გაეაჩრებ. მე ვიცოდე და ჩემმა ნამუსმა. რავა ეგ მინდელის გამოშქრალ კერიას დაუბრუნდეს, იქ...

— სპირიდონ! — წამოიძახა ელდანაკრავმა ქალმა.

— გაჩუმდი! ურიგო სიტყვას ვეუბნებოდი მე შეგას? წავიდეს ახლა და უკეთესი მამა ეძიოს. დალლარა ეგნატე სივსივამე უპატრონებს უკეთესად, ანდა კალისტრატე მასწავლებელი. წავიდეს! ისინი მოუწყობენ ხელს. მომცილდეს! დღესავე წავიდეს, ახლავე წავიდეს, ამ საათში...

— სპირიდონ!

— გაჩუმდი! არ იცი შენ, — თავისდაუნებურად ხმას დაუწია სპირიდონმა, — ქვრივი ქალი, ისიც ღამაში! ვინ დააყენებს, თუ გინდა თავათ არ ინდომოს. რაღელი გგონივარ? ვერ ვხვდები მე? სულ მოაწონა შენი ქალი პორდილე ჩინჩალაძეს, ყანჩაველის ქონებას დაეხარბა თუ ნათესაობას? არავინ მოგატყუოს. ქონებით ხუთ ჩემისთანას იყიდის ის. შეხედა ქალს — მოეწონა. შეუშვი მაგ ბამბით გამოტენილ ყურებში. ფეხებზე კიოი იმას, სამი შვილი ყავს

თუ ოთხი. შენ გგონია სიყვარული კლავს და თუ შენი ქალი არა, ცხოვრებას ველარ მოახერხებს? ააა! შეხედა— მოეწონა! ეს არის მთავარი. მართლა გასათხოვარი მყავდეს, თავს გავუხეიქავდი მე იმას. ახლა რა ეუთხრა, რა მეტქმის!

— სული მოიბრუნე, ადამიანო, რა დაგემართა...

— არაფერი. მახველებს... ეგერ ცხენი, ეგერ ორთვალა... სადგურამდე მიიხივებია... კხ... კხ... წადი! ნულარ ახსენებს ჩემს სახელს. გაიგე? წადი!

— სპირიდონ, კაცო...

— წადი! შენ გეუბნებიან.

სხვა რაღა გზა ჰქონდა ეკას, გამობრუნდა. ხელების ფათურით მილასლასდა კარამდე.

— შენ! — მოაძახა სპირიდონმა, — ეს დაიმახსოვრეთ კიდევ: დილა გათენდებო, სალაკა წავალო... ვითაჲ მიჩივით, არა? არაფერ კაცს ქვეყანაზე საქმე არა აქვს ჩემს საქმესთან. ყველამ თავის თავს მიხედოს. ეს ჩემი მონაგარის ანგარიშია. ბიჭო! წადით, მომცილდით, დამეკარგეთ ჩემი სახლიდან...

სპირიდონი კიდევ დიდხანს იყვირებდა, მაგრამ ეკამ კარი გამოაღო და გარეთ გამოვიდა. მობრუნებაც ვერ მოასწრო, რომ ზურია მოადგა ბოსელს საბელით ხელში.

— რა გინდა, შვილო? — ჰკითხა ეკამ.

— ვამიშვი, ჩვენი თხა უნდა გამოვიყვანო.

— ვაი ჩემს მოსწრებას, შვილო, მიდინარ, ეგ არის?

— მიედივართ, ჰო. — თქვა ეს ზურია და ბოსლის კარს მიაწვა.

რქაბატულა კუთხეში ება, სახბორესთან. მის გამოყვანისას ზურია დაინახა, რომ სახბორეში ბაბუას ეძინა. მგონი გაიგო მისი შესვლა, ძილში შეიშუმუნა და ამოიოხრა.

ძროხები ზმუოდნენ ბოსელში. წუხანდელი მოოწველაები რმესაც შეეწუხებინა და უქმელობასაც.

თივაში ჩამხოილმა სპირიდონმა თვა-

ლები გაახილა. უერ კიდევ ისმულა პარაკი კიშკრის მზრიდან.

ცხენისთვის თივა დაეყარა ვილაცას, მაგრამ პირუტყვი მოკლედ იყო მიბმული ბოძზე და თივას ვერ სწვდებოდა.

სპირიდონი წამოდგა. მძიმე ნაბიჯით გაიარა სახბორე, ცხენს აღვირი დაუგრძელა და ფეხებქვეშ ჩაყრილი თივა ერთ ადგილას მოუგროვა.

ახლა ძროხებს მოუბრუნდა. ამათ ჩალის ლეროებიც კი დაეხრათ. ბაგა ცარიელი იყო.

სახბორე ამოძრავდა. იქნებ მოეჩვენათ ბოჩოლებს, ეკა შემოვიდა მოსაწყევლადო.

სპირიდონი გამობრუნდა. გარდიგარდმო გადებული კიბე მოძებნა და კუთხეს მიადგა. იმედი ჰქონდა, რომ ჰერის ფიცრებს როგორმე გასწევდა და ორიოდე კონა ჩალას ჩამოწიქსიდა ძროხებისათვის. ბევრი ეწვალა, ნუნები დაისისხლიანა მუხის სქელ ფიცრებზე. ძვრაც ვერ უყო. ფიცრები დაკედებული არ იყო ქილიშებზე, მაგრამ ზემოდან დიდი სიმძიმე აწვა. უკანვე ჩამოვიდა. კიბე წელანდელ ადგილზე მოათავსა. ხბოები მაინც არ ისვენებდნენ, ფიცრულ კედელს აწყდებოდნენ წამდაუწუმ. სპირიდონს შეებარალა ესენი. რაც იქნება, იქნებო, გაიფიქრა, ფიცრული კარი გამოაღო და ხბოები დედებზე მიუშვა.

ბინდი ეპარებოდა მიდამოს, სპირიდონი რომ ბოსლიდან გამოვიდა. ცას მოეწმინდა, მაგრამ სახლის სახურავიდან მაინც წვეთავდა წყალი. მშვენიერი ამინდი იყო. თოვლს საგრძნობლად დაეწია, დანესტანებულყო.

სპირიდონს უერ საქონლის დაპურება უნდოდა, მაგრამ გულმა არ მოუთმინა. ქურღივით აუყვა ბილიცს საკუთარ ეზოში.

კიშკართან თოვლი გაჯევილი იყო. ჩანდა, აქ ბევრ ხალხს მოეყარა თივი. აქა-იქ პაპიროსის ნამწვავები გაებნით. გაყვითლებულ ნამწვავებს თოვლი შემოედნოთ და შავი ბოლოებით ჩაყუდებულიყვენენ პაწაწინა ღრუბლებში.

კაციშვილი არ ჩანდა ირგვლივ. ჩამი-

ჩემი არ ისმოდა. გაჯეგვილი თოვლის კიდებზე სპირიდონმა ორი პაწაწინა კვალი დაინახა. დაიხარა და ხელით მოსინჯა. შალვას კელი იყო. ირგვლივ ოდნავ შესამჩნევი, ჩაღრმავებული წერტილები შემოჰყვებოდა. ეს ის მრგვალთაფიანი ჰიკარტულები იყო, რომლებიც თავის ძველ ჩექმებს დააძრო სპირიდონმა და შალვას ფეხსაცმელს შემოაყოლა საძირზე, ფეხი იოლად არ აუცურდებო.

აღმა და ოდისკენ ჰქნა პირო. ქათმებიც კი გაკრეფილიყვნენ დერეფნიდან, აღარც ბატებსაც ყიყინი ისმოდა. პალატის კარი ღია დაუხვდა. უნდოდა ეკასთვის დაეძახნა, მაგრამ საკუთარი ხმაც კი ეუცხოვებოდა.

პალატში ღუმელი ჩაქრალიყო. ციოდა. მუშაობაზე პურის ფქვილი ეყარა აქა-იქ. ზედ ქათმებს გადაეცლოთ და სოხანზე მიმოებნიათ. გაბზარულ თეფშზე ზაქაპურის ნაჭერი იდო, ისიც ქათმების ამოკენილი.

სპირიდონმა ველარ გაუძლო ამს. გარეთ გამოსვლა დააპირა, მაგრამ სწორედ ამ დროს დაინახა ტახტის კუთხეში დაგდებული პაწია ჭრელი წინდა. წინდა ისე იყო გატყეცილი და ტახტზე დაკრული, თითქოს ერთი წუთის წინ ზედ ცხელი უთოთი გადაეცლოთ. დაიხარა და აიღო. მაშინვე იცნო შალვას წინდა, ბებია ამ რომ სახალწლოდ მოუქსოვა...

VI

მესამე სადგურში მატარებელი დიდხანს გაჩერდა. ჯერ ამბობდნენ, ორთქლმავალმა წყალი უნდა აიღოსო. ათიოდე წუთმა ამის ლოდინში გასტანა. მერე ვილაკამ გამოაცხა ამბავი, შემხვედრი მატარებელი მოდისო. ამ შემხვედრამაც ჩაიარა. სადგურში არ გაჩერებულა; სამგზავრო მატარებელი კი ლიანდაგზე დაყინულივით იდგა სადგურის წინ. მგზავრები ბუზღუნებდნენ, ჯერ განრიგიდან. ამოგადებენ, მერე კი ყველას უნდა დაუთმო გზა, რადგანაც განრიგიდან ამოვარდნილი ხარო.

ხათუნა ფანჯარასთან მიკუნწროს და რადგან იმავე სკამლოგინზე პატრონის შალიკოს ეძინათ. მათ ფეხებთან ზურია იჯდა ჩემოდანზე. მისთვისაც ძილს წაერთმია თავი. მოპირდაპირე სკამლოგინზე პირგაუპარსავე მსუქანი კაცი დახევებულიყო. ქვედა წელი წინ წამოეგდო, მხრებით საზურგულს მიყრდნობოდა, თავი გვერდზე გადაეკიდა და ნახევრად პირდაღებულს ეძინა.

ვაგონში ცხლოდა. თამბაქოსა და ოფლის სუნი იდგა. გაუპარსავე კაცი ხანდახან შერშემუნებოდა ხოლმე, პირს მოკვამედა, სახეზე კოტიტა ხელს მოისვამდა, მაგრამ მალე ისევ მოსხლტებოდა და გაბმულ ხერინვას ამოუშვებდა.

მეზობელ კუპეში ფურთს თამაშობდნენ. დროდადრო გაისმოდა ძილმორეული ყმაწვილების ხარხარი, რასაც ქალის ნაპალაღევი კისკინიც გამოერეოდა ხოლმე. ეს ქალი ფანჯარასთან იჯდა, ხათუნას პირდაპირ. თავიდან ფეხებამდე მიმიე თალხებში იყო გახვეული. ნამეტვე თავაზიანობაზე ემჩნეოდა, რომ შეღერებული ყმაწვილკაცები მატარებელში გაეცნო. თალხი საოცრად უხდებოდა მის თეთრ-ყირმიზა სახეს. ეტყობოდა, ყველაზე უკეთ თვითონ გრძნობდა ამას და შესაძლებელი რომ ყოფილიყო, არას გზით არ გასცვლიდა სხვა ფერის ტანსაცმელში.

„ნეტავი ვინ მოუყვდა?“ — ფიქრობდა ხათუნა და ხანგამოშვებით მალულად დააქტრდებოდა ხოლმე ადამიანს, რომელ საც თითქოს თავი მოჰქონდა მწუხარებით.

ფურთის მოთამაშე ყმაწვილები თავისუფლად ეკიდებოდნენ, თუმცა ხშირად გაისმოდა სიტყვა „ქალბატონო“. შავოსანი მანდილოსანი იფერებდა ამას, მაგრამ როგორც კი მისი თვალები ხათუნას თვალებს შეხვდებოდნენ, თითქოს მის ფიქრებს მიმხვდარა და თავისი ნაღველიც ახლა გახსენებიაო, ში უბუქად ამოიხრებდა. ამ დროს კიდევ უფრო სასტუკარი იყო.

ხათუნა გრძნობდა, რომ უცნობი ქალი თავს იმართლებდა მას წინაშე და ამ

წუთიდან შეიძლება იგი, იქნებ იმიტომაც შეიძლება, რომ თაღზიან ქალს თავდავიწყების უნარი გააჩნდა, რასაც ხათუნა მოკლებული იყო.

გაუპასუხა კაცი შფოთავდა, წამოდგომას აპირებდა. თვალები არ გაუხელია, ისე დაეყრდნო სკამლოგინს მარჯვენა იდაყვით და ხრინწიანი ხმით იკითხა:

— რომელი სადგურია?

— სადგური? — გაიმეორა ხათუნამ.

მან არ იცოდა, სად იდგნენ და იმიტომ მეტი არაფერი უთქვამს.

— ალბათ, ჩიხში ვართ. შორაპნიდან მატარებელი უნდა დაგვეწიოს.

ხათუნას მოეჩვენა, რომ მსუქანი კაცი ზოდალად, რადგან სიფხიზლეს არაფრით ამკლავებდა.

ფანჯრის მიღმა მაღალ ანძაზე შემოდგმული ბრდღვილა პროექტორი ენთო და იქით, სადაც მდინარის იქით ანათებდა თეთრი ქვით ამოყვანილ ბურჯებს. ყრულ მოისმოდა ხრეშის სამტურევი მანქანის გრიალი.

სუსტად განათებული სადგურის წინ თავშალიანმა დედაბერმა გაიარა. შემთხვევით დაგვიანებულ მატარებლისთვის მოესწრო და გახარებული ვილაცას აჩქარიდა, ბარგი წინა ვაგონში შეეტანათ.

„ბედი ჰქონიათ“, — გაიფიქრა ხათუნამ.

ბაქანზე კიდევ გაიარა ხალხმა. ალბათ, მორიგესთან მიდიოდნენ ამზის გასაგებად. ნეტავი რომელი საათი იყო ახლა?

თვლიდან აღარ შორდებოდა ძაძებში გახვეული მხიარული ქალის სახე, თუმცა ცდილობდა, ერთხელაც აღარ გაეხედა იმ მხარეს. ჩაესმოდა მისი ნაძალადევი, რაღაც არაბუნებრივი სიცილი, რაც ფეხრით ისევ უკან აბრუნებდა და აიძულებდა გაეხსენებინა ის, რაც მოხდა. უმცროსებს თვალი მოავლო და ჩამოვარდნილი პალტოს კალთა გაუსწორა პავლეს...

ესენი კიდევ თამაშობენ. ღმერთო, რა უბრალოდ იცინის! „უნდა ვუთხრა ამ

კაცს მუხლები გაწიოს. გასტისა საცდელად ბიჭი“...

ხათუნამ ხელი მოჰხვია ზურიას და შეეცადა მისი ჩემოდანი ფანჯრისკენ წამოეწია.

მსუქან კაცს კისერი მოეღრია. კიდევ უფრო ჩამოცურდა სკამლოგინზე.

— რა იყო, დედა, მივედი? — თავის წამოწევისუმაღლე იკითხა ზურიამ და შეეცადა დედისათვის ეჩვენებინა, რომ სრულებითაც არ ეძინა.

— არა, იჯექი, იჯექი, ჯერ შორია, — არ დააყოვნა ხათუნამ და მტრულად გადახედა ფურთის მოთამაშე ხალხს.

ზურიამ რაღაც წაბუტბუტა. თმაგაჩეხილი თავი კალთაში ჩაუღო დედას.

ხათუნას ყურადღება ბაქანზე ატეხილმა ფუსფუსმა მიიპყრო.

სამორიგეოს დერეფნიდან რკინიგზელები გამოვიდნენ. უპალტო მგზავრები ვაგონებისკენ მიიჩქაროდნენ და რაღაცას უყვიროდნენ ერთიმეორეს.

მაღე ლიანდაგის ძიძგინი გაისმა, თითქოს მიწა იძრაო.

— რა არის? — თავაულებლად იკითხა ზურიამ.

— არაფერი, მგონი მატარებელი შემოვიდა.

ამ სიტყვებზე კიდევ უფრო მკახედ გაისმა ლითონის ქაბუახი და ფანჯრის გაღაღამი მოახლოებული პროექტორის შუქმა გაანათა მთელი ბაქანი. ვაგონში სინათლემ იკლო. ბაქანსა და ფანჯარას შორის წითელ ვაგონებიანი საბარგო მატარებელი ჩამოდგა.

საბარგო მაღე გაისტუმრეს და ის იყო, შეგვიანებულმა ორთქლმაღალმაც ვაპიკელა გზას, რომ ვაგონში მაღალ-მაღალი, გამზდარი კაცი შემოვიდა. ამ კაცს სახე შალის ჩაბალახით აეხვია, საიდანაც მხოლოდ ყიყვიანი მაღალი ყელი, სიფრიფანა ცხვირი და ხმელი ნიკაპი მოუჩანდა. შემოვიდა თუ არა, ვაგონში მიიხედ-მოიხედა, თხის მატყლის აჩხაბაჩხად ნაქსოვი ხელთათმანები გაიძრო, მერე შეიკივებული ხელები მოიფშვინტა და გულმოადგინედ განაგრძო ვაგო-

ნის თვალთვლება. ალბათ, თავისუფალ ადგილს ეძებდა.

მეფურთეებმა თამაში შეწყვიტეს და სინანულის გამომხატველი ლიმილით შეხედეს ახალ მგზავრს, ძალიან სამწუხაროა, მაგრამ აქ ეერსად მოთავსდები, ხომ ხედავ, ჩვენც რა ვიწროდ ვსხედვართო.

თავის მხრივ მგზავრ-კაც გაიღიმა, შავიან მანდილოსანს გადაჰხედა და ბორძიკ-ბორძიკით განაგრძო გზა ვაგონის სიღრმისაკენ.

„პეპაჩა! პეტრე მიროტაძე! — გაუელვა ხათუნას, — აქ რა უნდა, ამ სადგურში რატომ ამოვიდა?“

როცა ადგილი ვერსად ნახა, მგზავრმა უკანასკნელ კუპესაც მოაღწია, ერთი წუთით შეჩერდა მძინარე მსუქან კაცთან, ჩაბალახი მოიხსნა და ფრთხილად უბძძა:

— ეე, მეზობელო, მიიწი, დამაჩინე. კაცმა ხველებით გამოიღვიძა, კედლისკენ ჩაიწია და გაოფლილი სახე მოსულს მიაპყრო. რომელი სადგურიარ, იქითხა ხველებ-ხველებით.

— რკვიდან ვავედით, — მიუგო მგზავრმა და დახვეული ჩაბალახი მუხლებზე დაიდო, რათა უფრო მოხერხებულად დამჯდარიყო.

— სად იყო, დიდხანს რომ ვიდევით? — რა ვიცი მე, სად იდევით თქვენ დიდხანს. მე ახლა ამოვედი, — უკმაყოფილოდ მიუგო ახალმა მგზავრმა.

— რა გული მოგდის მერე, შე კაცო.  
— გული კი არ მომდის, გუებნები.  
— თოვს გარეთ?  
— თოვს.

— ფუ, დასწყევლა ჩემმა გამჩენმა! სირუმე ჩამოვარდა.

თავჩაქინდრული ყმაწვილები, რომლებიც წელან ისე გატაცებით თამაშობდნენ, თვლემდნენ. იქნებ თავსაც იძინარებდნენ, ვინ იყო განმკითხავი! შავიანი მანდილოსანი სახურგულს მიყრდნობოდა და ასე გასწორებულს ეძინა. იგი ძილშიაც მშვენიერი იყო.

ახალი მგზავრი უკმაყოფილოდ დააქერდა სკამლოგინებში ჩამჯდარ ზუ-

რიას, მერე მძინარე პატარებს გადახედდა და ხათუნაზე შეაჩერა მზერა.

მამაკაცების სკამლოგინის ზემოთ, თაროზე ჩემოდნები და რაღაც სხვა ბარგი ეწყო. ამათი ჩრდილი პირდაპირ ხათუნას მისდგომოდა და ამიტომ მისი სახე ძნელი გასარჩევი იყო. კიდევ კარგი, რომ პეპიჩა ვერ ხედავდა ახლა მას. საბედნიეროდ არც მგზავრს გამოუჩენია ზედმეტი ცნობისმოყვარეობა, თხელი პალტოს საყულო აიწია და საძილედ მოწყობას აპირებდა, რომ ისევ გაისმა მსუქანი კაცის ხიხინა ხმა:

— კაი მოსავალი იქნება წრეულს, პა?  
— იქნება აბა! — ისე გაკვირვებით გამოეხმინა მიროტაძე, თითქოს ეს ამბავი მისთვის დიდი ხნის ნაცნობი ყოფილიყო.

— მალე გავა ეს ზამთარიც.  
— გავა, აბა!  
— რა სულ აპას იძახი, შე კაცო? — გულკეთილად გაიღიმა კოტიტა მგზავრმა.

— აბა, რა ვიძახო!  
მსუქანმა კაცმა ხითხითი დაიწყო და კინალამ ბავშვები გამოაღვიძა.

ხათუნა თვალმოუშორებლივ უყურებდა მას, მაგრამ ახლა უფრო ცდილობდა შეუმჩნეველი დარჩენილიყო.

პეტრე, პეტრე! ვინც ასე თუ ისე ახლოს იცნობდა პეპიჩას, ძნელად თუ შეიკავებდა ლიმილს მისი სახელის გაგონებაზე. ამ სახელთან ბევრი რამ იყო დაკავშირებული. ზოგი მართლაც გადახდენოდა თავს პეტრეს, მაგრამ ორ იმდენს საკაუტრელები უგონებდნენ. ყველამ იცოდა, რომ სიკრუე და ტყუილი ფართიფრთი მისი ავადმყოფობა იყო და ამისთვის აღარავინ ემდუროდა. ხათუნას გაგონილი ჰქონდა, რომ ერთ დროს თავს ახალთაობის კაცადაც თვლიდა პეპიჩა. ოცდაათიან წლებში, მღვდლები რომ გაკრიკეს, სასოფლო ეკლესიის სამრეკლოზე აბობლდა, მარჯვენდ გადახადა სამრეკლოს თუნუქის სახურავი, მერე თითბერის ჯვარს მოსდო ჯაჭვი და ყვევარი ხარის დახმარებით მიწაზე ჩამოავდო. ეს არავის დაუვალე-

ბია. საბჭოთა ხელისუფლების ერთგულებისათვის თვითონ იყისრა. გაოცებულმა ბერიკაცებმა გონს მოსვლაც ვერ მოასწრეს, რომ ერთ მშვენიერ ღამეს პეპინამ ის ჯვარი მოიპარა, ქლიბით დაანაწევრა და ასე ოსტატურად აქლიბულ-ჩაქლიბული ორ ბათმან სიმინდად მიჰყიდა ზაზუა მექვაბეს. ეს მალე გაუგეს პეპინას. თვითონ მექვაბემ გასცა და ამის შემდეგ ის აღარავის მიუჩნევია ახალთაობის კაცად, თუმცა თვითონ თავს იღებდა და ახალ საბაბს დაეძებდა გმირობის გამოსაჩენად.

თუ არტელში საქმე იყო გასაკეთებელი, პეპინას ადვილად ვერ მიიკარებდა კაცი. მსუბუქ და საცალფეხო სამუშაოს ეტანებოდა. ერთ დროს მეველედაც იყო რთველობაზე, მეწისქვილეობდა კიდევ. ოთხი შვილის მამა მაინც არ იყო-სო, ამბობდნენ სოფელში. ამოდენა ჯალაბს რჩება არ უნდოდა? ზოგი იმასაც ამბობდა, ხანი გავა, ჭკუაში ჩავარდებო, მაგრამ რალა დროს ჭკუაში ჩავარდნა იყო, მისი უფროსი ვაჟიშვილი უშანგა ხარებს ეკიდა.

რაკი თვითონ გაიღვიძა, მსუქანი კაცი აღარც სხვას აძლევდა მოსვენებას. იმდენი ქნა, რომ საძილედ მომარჯვებული პეპინაც გამოაფხიზლა და საუბარი გაუბა. ჯერ იმაზე ილაპარაკეს, გასულ წელს გვალვამ ბალახი გაახმო და დაშვებული საქონელი საცოდავად ბლაოდა მინდორშიო; მერე იმას გადაწვდხენ, რა საჭიროა ყველგან ფერმის მოშენება, არის თუ არა ამის შესაძლებლობა, რა მოაქვს ზარალის მტერი.

ეს ყველაფერი მსუქანმა კაცმა თქვა.

პეტრე ჯერ თანახმა იყო, აპა, აპა, გაიძახოდა, მერე მიხვდა, რაზეც ლაპარაკობდნენ და ყველაფერზე ერთბაშად თქვა უარი, არ გეთანხმებიო.

პეპინას გაფიცებამ სულ მთლიანად გამოაფხიზლა მსუქანი კაცი, მაგრამ ნათქვამის უკან წაღება ველარ მოახერხა, ადგა და უფრო დაბეჯითებით დაიწყო თავისი მოსაზრების მტკიცება.

ხათუნა დაილაღა გაუძნრეველად ჯდომით. თან მატარებელი ანჯღრევდა, ზურიაც მთელი სიმძიმით ჩასწოლოდა კალთაში, მაგრამ იმის შიშით, ბავშვი არ გავალვიძოო, შეტოკებასაც ვერ ბედავდა. კანტიკუნტად უგდებდა ყურს თანამგზავრების მასლაათს, თან ფანჯარაში იყურებოდა, რადგან მისი ვარაუდით გათენება მოახლოებული იყო.

თვალწინ გადაჯვარედინებულმა ხარიხებმა გაიეღვეს. მატარებელი ხიღზე გადიოდა. მერე ხიდიც გათავდა და ახლა სემაფორის მწვანე სინათლემ გაიციმციომა ფანჯარაში.

წედანდელ ყმაწვილებიდან ერთი წამომდგარიყო. შავიან მანდილოსანს აღვიძებდა. ძლივს ჩააგდო გულისხმაში.

ქალმა ერთბაშად წამოიწია. დამტრთხალი თვალები მოავლო იქაურობას, თათქოს უნდოდა ეკითხა, სად ვარო. ყმაწვილმა თავგადაკერილი ხელ-კალათი ჩამოიღო თარბდან და როცა ქალი გამოერყვა, პალტოს ჩაცმაში მოეხმარა. შავიანი აქ ჩაღიოდა. ამან რატომღაც შვება მოჰგვარა ხათუნას. თვალები მილულა.

(გაგრძელება იქნება)

## პახანა გოგაენაი



### სიმღერა ცხრაასხუთელები

„მე მოვედები ცოცხალი, სავსე სიყვარულით და ბრძოლის  
წყურვლით“

კატორდაში გარდაცვლილი უცნობი ქართველის დღიურიდან.

წარსულ დღეთა ფურცლებს ვშლიდი,  
ეცემოდა ცრემლი სტრიქონს,  
გულში ბოლმამ ამოხეთქა,  
შენი ოხვრა მესმის თითქოს.

მეჩვენება ტრამალები,  
მიწა, ხმლებით გადახნული,  
ქარბუქს მოაქვს კატოროიდან  
ბორკილების ჩხარაჩხური.

ამ მზეს ახსოვს, სახლიცაო,  
მლაშე ტბებთან შეხლა-ბრძოლა.  
ზღვად ქცეულ ტბებს ორთქლი ასდით  
თუ წარსულის ცეცხლი ბოლავს?

შენ არ იყავ, ქარხანასთან  
მანთაშევი გააშავე,  
დროშა უბით ამოიღე  
და მზესავით გადაშალე?

თვალწინ მიდგას ნათის კრაქი,  
რომ ჩაგიქრეს ვერაგებმა,  
დასერილი შენი მკერდი  
ახლაც ძილში მელანდება.

ახლა შენი ნაფიქრალი  
რა ლამაზი ქედებია;  
ეს ვარდები იქნებ, ძმაო,  
შენი სისხლის წვეთებია!

შენს დღიურებს სიხარულით  
თაობები გადაშლიან,  
შენი სხივი სადა ვძებნო,  
ის ხომ ყველა ვარსკვლავშია.

მე ციმბირში ვიყავ, მაგრამ  
ბორკილებით ვიყავ განა!  
შენ სიბნელემ წაგიყვანა,  
მე მზის სხივმა წამიყვანა.

შენს სამარეს ვერ წაეწყდი,  
ვერა ენახე დათალხული,  
ალბათ, ძმაო, შენ თუ იყავ,  
იქ რომ შემხვდა გაზაფხული!

ყვავილების შექმნე ვიდექ,  
განა მკლავდა შენებრ წყლული,  
წამოველ და ციმბირიდან  
თან წამომყვა სიყვარული.

განა მარტო მტკვარი გიმღერს,  
შორს ამურის ზეირთიაც მღერის,  
მზის დროშები შრიალებენ  
ძმაო, შენი სისხლისფერი.

მე არ ვიცი, შენ რა გერქვა,  
ტარიელი?  
აეთანდილი?  
ვიცი, მხოლოდ, მტრის გულ-მკერდზე  
ცეცხლი იყავ ავარდნილი.

ვერ წაშალეს შენი კვალი,  
დრომ წაიღო ხალხის კენესა,  
შენმა ძვლებმა ამოხეთქა,  
როგორც მოჭრილ მუხის ფესვმა.

ცხრაასხუთში ჩაფერფლილო,  
გადმოხედე შენს მთა-სერებს,  
წამოდექი, ამ ბალებში  
ერთხელ მაინც დაისვენე.

მაია ასათიანი



## ოქროსა და ვერცხლის გარეშდის აგება

მაღალი და ცივი მწვერვალებია დიდ კავკასიონზე. მის მუდმივ ყინულოვან ფერდობებზე მრავალი მდინარე იბადება. ისინი კამკამით ეშვებიან დაბლა, გზადაგზა ერთმანეთს უერთდებიან, ჯანსა და ღონეს იმატებენ და კლდის ნაპირებს ისე ასკდებიან, ცას და მიწას გრიალი გააქვს. ასეთი მდინარეები ყველაზე მრავლად კავკასიონის სამხრეთ კალთებზე მოშხიან.

თითქმის ყველა მდინარე სუფთაა და კრიალა, მღვრიეა მხოლოდ ორი მდინარე: ცხენისწყალი და რიონი.

საქართველოს ეს მეორე დიდი მდინარე ღრუბლისფრად მოღვლავს, ზათქით და ხმაურით ასკდება პიტალო კლდეებს და კოლხეთის დაბლობში ეშვება. მისი ტალღები მძლავრია და დაუდგარი, მისი ჩქერები ბობოქარია და საშიში.

რაქა-ლენჩომელი მეტივეები მუდამ გულმედგარად ებრძოდნენ მის ტალღებს. ვა. მას, ვისაც თვალი სუსტი ეჭნება. რცხალისაგან დაწული და დაგრეხილი ღვლეკები, რომლებითაც ტივებია შეკრული, კლდეებზე შენარცხების გამო სკდება, ტივები იშლება და რიონს მორები შავი ზღვისაკენ მიაქვს. მხოლოდ გეგუთის და ვარციხის მინდვრებთან დინჯდება რიონი. ამ მიდამოებიდან ტანგაშლილი მდინარე მდორედ მიიზლანხება. აქ აღარ ეშინიათ მეტივეებს. ზოგი მათგანი მხარეთმოზეც წამოწევა, დანაყრდება და წაიძინებს კიდევ. გეგუთის და ვარციხის ქალებიდან ფოთამდე ცალი ორთაყვირითაც შეიძლება ტივის დაკურება. აქ, ორივე ნაპირზე, წინათ გაუვალი ტყეები იყო. გაღმაც და გამოღმაც შრიალებდნენ დიდი ტყეები. ვარციხის, გეგუთისა და საყულის მიდამოებში რკინასავით მა-

გარი ძელქვა, ტოტეგაშლილი რცხილა და ტანმაღალი მუხები სკარბობდა, ორპირის, დაფნარისა და ქვალონის მიდამოებში თხმელისა და ვერცხვის აშოლტილი ტევრები შრიალებდნენ. უხსოვარი დროიდან თუთის ტკბილნაყოფიანი ხეხილიც მრავლად იყო ამ უსიერ ტყეებში. წყნარ ღამეებში მდინარის ზედაპირი ჩუმად ლივლივებდა. ქალები და ტყეები მღვმარედ და პირქუშად გამოიყურებოდნენ. ხანდახან ქაველები დაეყრებოდა რიონის ზედაპირს... ეს თევზები და უჩინარი წყაროები სუნთქავდნენ მდინარის ფსკერზე.

კარგია მაშინ რიონის ყურება. გეგონებათ, თითქოს მის ფსკერზე უხილავი მოხუცები სხედან, ჩიბუხს აბოლებენ და კვამლის თეთრ რგოლებს რიონის ზედაპირს საკმელავით უქმევენო. ხანდახან ჩქაფანი მოისმის, ეს ლოქოს ან ზუთხის მოქნეული ბოლო არხვეს მის დამდორებულ ზედაპირს. ასეთ ღამეში მის მძინარე ქალებს ნავების ნიჩბის ხმა და მეთევზეთა შეძახილი თუ შეაღვიძებდა. აღიდების შემდეგ დარჩენილი ნოყობებში კობრი იცოდა, აღამქამობიდან გაუჩხეხელი ტევრების ნაპირებზე მრავლად იყო შველი და ირემი, გარეული ფრინველები გუნდ-გუნდად დაფრინავდნენ.

ბევრი რამ მოჰყავდათ ამ მიდამოებში, მაგრამ პურის მოსავალი ცოტა იყო. ხალხი ფეტვით და ღომით იკვებებოდა.

შემოდგომის ნათესებს, პურის აუჯიღებულ ყანებს, აღიდებული რიონი გაზაფხულობით წალეკავდა ხოლმე. გლეხკაცი ჩააგდებდა ხნულში ხორბლის მარცვალს, აპრილის თვეში კი, ნიაღვარივით მოვარდნილი აბობქრებული მდინარე წალეკავდა. ხან ადამიანის სიმალლე შლამს გადაათარებდა



და ხან ქვა-ლორლით ააგებდა ყანებს. წვალობდა გლეხაკი, არ იცოდა, რა მოემოქმედა. ვანა შეიძლებოდა უპუროდ ცხოვრება!

თონეში გამომცხვარი თბილი პურის სუნის სანატრელი ხდებოდა რიონის ქალების ბინადარი ქართველი კაცისთვის. რიონის მარჯვენა ნაპირზე, სადაც ფართო და მშვენიერი ქალებია გადაშლილი, ორი-სამი საუკუნის წინათ ერთი ოჯახი ცხოვრობდა.

ქმარს ბეგთა ერქვა, ცოლს — ვარსკვლავისა. ბეგთა მეთევზე იყო, მისი ცოლი კი ბალ-ბოსტანს უვლიდა.

ვარსკვლავისა ენით გამოუთქმელი სილამაზისა ყოფილა.

ლორთქო ქადარივით ამოლტილი ტანი ჰქონდა. მისი მრგვალი და პატარა მხრები ერთობ შენოდა მის მკერავსა და მოქნილ სხეულს. თმები ოქროს ფერი და ხშირი ჰქონდა, თვალები ისეთივე ლურჯი, იმ შორეული ზღვის ფერისა, რომლის ნაპირებიდანაც მოიყვანა ბეგთა ვარსკვლავისა. სარკარ ამბავს ჩურჩულებდნენ რიონქალები ვარსკვლავისაზე. თვალთ არავის ენახა, მაგრამ ნამდვილად სჯეროდათ რომ მას ერთი ძუძუსთავი ოქროსი ჰქონდა, მეორე — ვერცხლისა. არავინ იცოდა, სად შეეყარა ბეგთა ასეთ ქალს? ან კი საიდან გაიგებდნენ?! მეთევზე კაცი იყო ბეგთა და, როგორც ამბობდნენ, მისი ნავის ძირი ქვეყნის ყველა ზღვაზე იყო ნაბორიალევი. ნავის ძირზე ძველი მეთევზეები შორეული ზღვების კენჭებს პოულობდნენ.

ჭაბუკობიდანვე წლობით იკარგებოდა ხოლმე რიონქალელი მეთევზე.

სოფელში ხმა იყო დარჩეული, რომ მას, ყველგან, შავი ზღვის გაღმა, დიდი ზღვების ქალაქ-ბოლახებში მრავალი მეგობარი და მასპინძელი ჰყავდა.

იმასაც ამბობდნენ, ხონთქარისა და მეფეების ზღვათუზუცესნი მისი შეფიცული მეგობრები არიანო... ასე იყო თუ ისე, ბეგთა სწორუპოვარი იყო და ქალაც ასეთივე მოიყვანა.

სხვანაირი ვარსკვლავები იცის რიონ-

ქალების ზაფერლოვანმა ცის გუმბათში. ამ მობრძლეული მნათობთაგან ზოგი დიდია და ზოგი პატარა. ზოგ მათგანს შვიდი მოლაპლაპე სხივი აქვს გაწვდილი სივრცეში, ზოგს თერთმეტი. ბევრი მათგანი ყოველამ ერთი და იგივე ადგილიდან გიქქვრის, ზოგი ხან მოჩანს და ხან არა. ღამით, როცა ქალები კალოების გამაყრუებელი ხმებით ივსება, გეჩვენებათ, ვარსკვლავებიც კრიალებენი. ბეგთა სწორედ ამ ვარსკვლავთა ცილით ივლევდა გზას უცხო ქვეყნებში.

სოფელს ყოველთვის დიდი აზრი და ფიქრი აქვს. ამბობდნენ, მის მეუღლეს ვარსკვლავისა სწორედ ამიტომ შეარქვესო.

თუ კ'ცი უფრო ბეჯითად ყურს მიუგდებდა რიონის ქალების მცხოვრებლებს, იმასაც გაიგონებდა, თითქოს ვარსკვლავისა ციური ქვეყნებიდან მოეყვანოს მის ქმარს.

„ჩვეულებრივ ქალს რა უგავს?!“ — ჩურჩულებდნენ სოფელში, — „იგი იმ ვარსკვლავის ქალიშვილი ყოფილა, რომელსაც ერთი სხივი ოქროსი აქვს, მეორე — ვერცხლისა, ჰოდა, ძუძუს კვირტებიც ოქროსი და ვერცხლისა გამოჰყოლია“.

სოფელმა კარგი ქალის სიყვარული იცის და ამიტომ სოფლის ვაჟაკებს დღისა და ღამის ფიქრად გადაექცათ ვარსკვლავისას მშვენიერება. ცისფერთვალეზას და შავწამწამებიანს ყელზე გიშრის კრიალოსანი ეყეთა, კაბის საყელო ოდნავ ამოკრილი ჰქონდა, მისი ყელ-კისერი კი ანთებული კელეპტარივით ახნევდა სითბოსა და ელვარებას. შენიშნა ზღვაგაღმელმა ქალმა ახალგაზრდების მისდამი ტრფიალი, მარამ აინუნში არ ჩაადგო, წარბიც არ შეიხარა. თავდაპირველი იყო; სააუგოდ არავის გაუღიმებდა. მისი თვალის შუქი ქმრის იქით ჩრდილით იყო დაბურული. ბეგთას იქით ღამე ეგულებოდა, თუმცაღა ვაგლახად ვინ შეუბედავდა ბეგთას მეუღლეს ცული თვალთ შეხედვას?

ასე გადიოდა დრო. ცხოვრობდა ცოლ-ქმარი პატიოსანი შრომით. ხეაღინდელი დღის ქირსა და სიხარულს თამამად ხედებოდნენ.

ერთ დღეს ვარსკვლავისამ იგრძნო ის, რასაც ყოველი დედა ბავშვის პირველი გარბევის დროს გრძნობს. ცას სინათლე მოემატა, მის ტანს კი სიმზურვალე. სახეალანძელი მოეხვია იგი ქმარს და ეს სანატრელი ამბავი აცნობა.

ცხრა თვის შემდეგ ტყუილი ქალ-ვაჟი დაებადათ.

ორი აკვანი დაიდგა სახლში. ერთი ვერცხლის ფერი იყო, მეორე — ოქროსი. ვარსკვლავისაც პატარა სამფეხა სკამს ჩაიდგამდა შუაში და ერთს ერთ ძეძუს აწოვებდა, მეორეს—მეორე ძეძუს, ერთი ხელით ერთ აკვანს არწევდა, მეორეთი მეორეს. მეზობლებმა ახლა საკუთარი თვალით დაინახეს გაგონილი. ზღვაგადაღმელ ქალს ძეძუსთავები მართლაც ოქროსფერი და ვერცხლისფერი ჰქონდა.

ქალებიდან ისმოდა ბუღბუღების სტვენა და კაკების კაკანი. ზოხბები ეზოში დაფრინავდნენ, მერცხლები აივნის თავზე ბუღობდნენ. ეზოს გადაღმა, უტუბ ქალებში, ირმები და შველები ფრუტუნებდნენ.

იზრდებოდნენ ბავშვები რიონის ტალღების დუღუნში, ტყერების შრიბალში და ფრინველთა ქლურტულში.



ერთ ღამეს რიონის ქალებში ქარიშხალი დატრიალდა: ღომისა და ფეტვის ნათესები ისე დააწვინა, ასაღებად აღარ ვარგოდა. რიონის ნაპირებზე მიბმული ნავები დაწყვეტა. ზოგი სად მიაგდო და ზოგი სად, ზოგიც შავი ზღვისაკენ გაიტაცა. დილით, გასაეთებული მეთევზეები მდორე ადგილებში გაფაციცებით ეძებდნენ ღამით დანაკარგს.

ბეგთას კი მთელი ღამე ყურეც არ გაუბერტყია. თავთხელ ფშანებში შეფარებული მისი ნავები კაუკა ბოძებზე იყო მიბმული. იცოდა განთქმულმა მე-

თევზემ, როგორ მოეცლო თაყვისი ნავებისათვის.

— აბა, ჩემო თვალო, — ეტყოდა იგი მეუღლეს, — მკლავის სისხო ყაჩი დაგჩიხე, რომ არ გაწყდეს, თორემ წყალს მინდობილი კაცი თავის სიცოცხლესაც წყალს გაატანს!

ვარსკვლავისაც დაუზარებლად გრეხდა ყაჭის თეთრ შულოებს და ქმარს სურვილს უსრულებდა. ბეგთა თვითონ სინჯავდა და ამოწმებდა აბრეშუმის ბაწრებს, ორფად ამარყუებდა და ნავის ცხვირზე გამოუსკვნიდა ხოლმე.

— შენი კირიძე, ვარსკვლავისა, რიონი ამირანის წყაროფესვიდან ამოჩხრიალებს თურმე, თვითონაც ამირანის ძალისაა, მასთან ხუმრობა არ გამოდგება!

ვარსკვლავისას ქმრის ხუმრობაზე ვარდი ეყრებოდა სახეზე. იცოდა ცოლმა, მუდამ ჩუმი კაცი მასთან იჩემებდა ენაწყლიანობას. იმ დილით გაეთენებას ერთი ძილისპირი უკლდა, როცა ბეგთამ ნავები ახსნა და პალიასტომისაკენ ჩაიქროლა.

წუხანდელი ღრუბლები აღარსად ჩანდა. სუფთა, ლურჯი ცა ვარსკვლავებით იყო მოჭედლი. დილას ნიავი ქროდა და მდინარეებში ნავის ძირის ქვემოთ ვარსკვლავები ისე კანკალებდნენ, თითქოს ცას ვიდაცის უხილავი ხელი არხვესო. მეორე ნავეზე ბეგთას თავისი ბიჭი ეჯდა.

შვილის თან წაყვანა დასჩემდა ბეგთას, გვერდიდან არ იშორებდა.

ჩვიდმეტი წლის შალვა მამას ეჯობებოდა ნაოსნობაში. ახლაც იჯდა ნავის ბოლოზე და ნიჩბებს გამოცდილი ვაკეცივით უსვამდა.

— მამო, შეხედე რამხელა ფრინველი ზის იმ ტირიფზე!

— ტირიფი კი არა, თხმელაა, შეილო, ხომ ხედავ, ფართო ფოთოლი აჭვს. — ეშმაკურად იღიმებოდა ბეგთა.

— არა, ტირიფია, მამა, ახლავე დაგიმტკიცებ. — სანამ ბეგთა რამეს შოიფიქრებდა, შალვა ნავს ისარივით მიაგ-

დებდა ნაპირზე, ხელის აქნევით ფრინველს ააფრენდა, ნაეში მდგომი ჩამოტეხდა ტოტს, მამის ნავს ისევე წაშოეწეოდა და მოტანილს გაუწევიდა.

— აი, შეხედე, მამიკო, ხომ ტირიფია, ხომ კარგი თვალი მქონია?!

მამა ეშმაკობას არ დაიმჩნევდა და თავისთვის ჩაიბუხუნებდა:

— კარგი, შვილო, კარგი, ღმერთმა თვალთა სინათლე ასეცად გაგიმახვილოს.

ასე თამაშ-თამაშით მისრიალებდნენ ნაევი დანიშნულ ადგილამდე. ნაპირებზე, გაღმა-გამოღმა, ისევე ღამე იყო, მხოლოდ რიონის ზედაპირი ლაპლაპებდა. ეს ალბათ ცისგან დღისით მიღებულ სინათლეს რიონის გასარკული ზედაპირი უკან უბრუნებდა ქვეყანას. რამდენად უფრო ნათლებოდა ცის გუმბათი, იმდენად ვერცხლის ფერს იღებდა მდინარე. მალე ფშანებიდან ფრინველთა ხმებმა იმატა. ტევრებში ცხოველთა ფრუტუნე მოისმა და ცოტა ხნის შემდეგ კავკასიონიდან მზის სხივებმაც გადმოიხედეს. ამ დროს რიონი ვარციხიდან შავ ზღვამდე ვერცხლის წყლის მდინარეს ჰგავდა. ასეთ დროს ყოველთვის ვერცხლისფერი ნისლი რომ ეხვია თავზე. მდინარეში წინა ღამით ჩაყრილ ანკესებს დღამდე ამოუარა ბეგთამ. ზოგი ცარიელი დახვდა, ზოგს კიდევ ლლაპურტები ამოხსნა, მაგრამ ერთმა ანკესმა ისე ძლიერ დაქაჩა, მკლავებმა მტკრევა დაუწყა.

— აბა, შალვა, — დაუყვირა ბეგთამ შვილს, — მომეშველე!

შალვამ ნავი იმ წამსვე წისქვილის ქვაკავით ადგილზე შემოაბრონა და მამისაკენ გასრიალდა. მამა ბაწარს ეწეოდა. შეხედა ბიჭმა, ბეგთას შობლის ძარღვები წურბელებივით დაბერვოდა, გაშავებოდა. მან თავისა ნავი სწრაფად გამოაბა მამის ნავს და თვითონაც მასთან გადაჯდა. ახლა ორივე ჩააფრინდა ბაწარს.

— დიდი ლოქოა, ბინადარი ლოქო. — ჩაუჩურჩულა მამამ შვილს.

— იქნებ სხვა რამე მთედღუნდას კესს! — არ დაიჯერა შვილმა.

— არა, ასე ძლიერად მხოლოდ ლოქომ იცის ქიდილი, ნელ-ნელა უნდა გავატყუოთ ნაპირისაკენ...

ბიჭს მამისგანვე გაგონილი ჰქონდა, რომ ბინადარი ლოქო ძალიან იშვიათად მოეკიდება ანკესს და, ამიტომ, ეტყოზოდა, მაინც არ დაიჯერა მამის ნათქვამი.

— აკი ამბობენ, ადგილის ლოქო ანკესს არ ეკიდებაო.

— ათასში ერთხელ ტყუევდება, ეს მაშინ, როცა ძალზე მშვიდია და ანკესის თევზი ახლო დაუწყებს ფართხალს.

შვილმა ნელინელ გააცურა ნავი ნაპირისაკენ. ბეგთა ხან მიუშვებდა ანკესს და ხან მოკლედ აიკათავდა ხელში ბაწარს. როგორც იქნა, წყლის კიდეს მიაღწიეს.

ბაწარი ნელ-ნელა დაამოკვს. თევზი ახლა უფრო თვინიერად მოჰყვებოდა ბაწარს. ცოტახნის შემდეგ წყლის ზედაპირზე თევზის ვეებერთელა თავი გამოჩნდა.

— აბა, სწრაფად, წალდი მომაწოდე! — დაუყვირა მამამ შვილს. თვითონ იქვე მდგომ ტირიფს შემოახვია ბაწარი და მისი ბოლო შალვას მიაწოდა.

თანდათან წყალში წელამდე შეტოპა ბეგთამ. თევზის ვეება შავი თავი ნავის გადაბრუნებულ ძირს მოჰგავდა, ისევე წყლის ზედაპირზე ქანაობდა. მიხვდა ბეგთა, მთელი ღამე ებრძოლა თევზს და ახლა ძალზე გასაჯავებელი იყო. იგი მიეპარა მას და მთელი ძალით დაჰკრა თავში გაღმასებული წალდი. მეტს ველარაფერს შეხედა შვილმა. მოულოდნელად წყლის უზარმაზარი ტალღა სვეტივით ავარდა ცაში. შალვამ ხელებში კარგად იგრძნო, თევზმა ისე გაიწვია, ტირიფმა თრთოლა დაიწყო. ცოტა ხნის შემდეგ ისევე დაწყნარდა რიონის ზედაპირი. შალვამ დაინახა, მამამისი ტალღას შორს გადაეგდო და ახლა ცურვით მოიწევა ნაპირისაკენ. მდინარე წითლად იყო შეფერილი. მიხვდა ბიჭი, ეს თევზის სისხლმა შეღება

იგი. მალე ორივემ ნახევრად მკვდარი ლოქო წყლის ნაპირას გამოათრის.

შეიდი წყრთა გადაზომა ბეგთამ თევზის თავიდან ბოლომდე.

— ორ კოდ ღომს ვიყიდი ამის საფასურით და დედა-შვილს ძვირფას საკაბეებსაც ჩამოვუტანო! — სიამაყით თქვა წყლის ტალღებით გაღუმპულმა ბეგთამ. დილით ისევ ბადეები ისროლეს წყალში და თევზით სავეე ორი ნაივი შავი ზღვისაკენ გააქროლეს.

უზარმაზარმა ლოქომ ნავსადგურში ყველა გააკვირვა. მოდიოდა ხალხი მის სანახავად. ბეგთამ ახალგაზრდების დახმარებით, თევზი, მალა, ვერხვის მსხვილ ტოტზე ბაწრით გადმოჰკიდა, ათასი ჯურის ადამიანები მოაწყდა მეთევზეს. ევაქრებოდნენ, ვერ რიგდებოდნენ, ქოთქოთებდნენ.

ნავსადგურში შორეული თეთრი გემი იდგა. კარგად ჩაცმული ახალგაზრდა გოგონა ვისკისით გადმოვიდა გემიდან და ხალხისაკენ გაეშურა. მისმა უღარდელმა სიცილმა ყველას ყურადღება მიიპყრო. მამა-შვილს ეწყინა, ხალხის ყურადღებამ ამ გოგონასკენ რომ გადაინაცვლა. თვითონაც ქალისკენ შებრუნდნენ.

ორივე გაშეშდა. გოგონა შუაზე გადახსნილი ფოთოლივით ვარსკვლავისას ჰგავდა. არა, მარტო ვარსკვლავისას კი არა, ცაბუისაც ჰგავდა, შალვას ტყუპს, ბეგთას ქალიშვილს.

როცა გოგონამ ოღალე ჩაივლურტულა, მამა-შვილს ტანში ერუანტელმა დაუარა. ხმაუც დედისა და დისა ჰქონდა.

შალვამ უნებლიედ თვალეზე მოისვა ხელი. ბიქს ჯერ ეგონა მომელანდო. როცა თვალი გაახილა, გოგონა უკვე ვერხვის წინ იდგა და თევზს ათვალეირებდა. სქელი თაფლისფერი თმა ზეკებზე ეყარა, წარბ-წამწამიდან დიდჩონი ლურჯი თვალეები უკამკამებდნენ.

— ჰაუ, — გაიკვირვა გოგონამ და ლოქოს ბოლოზე ხელი ჩამოუსვა. შლამივით სქელმა ქონმა ლამაზი თითები გაუტლინა. უცხო ქალიშვილს ეს არ ესამოვნა. სხარტად შემობრუნდა, ცვრიან ბალახს ხელი გაუსვა, მაგრამ

ქონი მაინც ვერ მოიშორა. მამინ შალვამ თავისი ახალუხის კალთა გაუწურდა.

— შეიმშრალე, — წყნარად უთხრა მან. — სველი ბალახი თევზის ქონს ვერ მოგაცილებს. — უცხო გოგონამ პირდაპირ შეხედა ვაჟს.

— ეს თქვენ დაიკირეთ?! — ღიმილით ჰკითხა და ახალუხზე თითების წმენდა დაიწყო.

— მე და მამამ ერთად მოვიწადინეთ, — ამაყად მიუღო ბიქმა, — ბევრი გვეომა, მაგრამ მაინც ამოვათრეთ.

საღლაც შორს, პორიზონტზე, ნაეები გამოჩნდა. მეთევზეების ძახილი ნაპარამდე აღწევდა. გოგონას ეგონა ისინი შალვას ამხანაგები იყვნენ.

— იმათაც ასეთი თევზები მოჰყავთ? — კვლავ ღიმილით იკითხა ქალიშვილმა.

შალვამ პორიზონტისაკენ გაიხედა, კარგა ხანს უტყვირა და ისევ ქალიშვილს მიუბრუნდა.

— ვინ იცის, მაგრამ ასეთ ლოქოს ისინი ვერ დაიჭერენ. ეს მდინარის თევზია, სულ სხვა გემო აქვს, შეუღარებლად გემრიელია.

— მდინარის თევზი?! — უფრო გაიოცა გოგონამ, — არა, ეს ტყუილია, მდინარეში ასეთი თევზი სად იცხოვრებს.

შალვას სიწითლემ გადაკრა სახეზე.

— ტყუილი რა საკადრისია, ჩვენთან ტყუილს ქალებიც არ ამბობენ. — გოგონას თვალეები აუბრიალდა. ეტყობოდა, ეწყინა ვაჟის ნათქვამი.

— ჩვენთან კი პირიქით, ვაეებიც არ ამბობენ ტყუილს. — წამოსკრა გოგონამ უცებ. ბეგთა ხმას არ იღებდა. იგი გულდასმით უსმენდა ქალ-ვაჟის საუბარს.

უკანასკნელმა პაექრობამ სიცილი მოჰგვარა.

— აი, უკვე ჩხუბიც დაიწყეთ. მე მეგონა ერთმანეთს მოეფერებოდით, დამეგობრდებოდით, თბილ სიტყვას ეტყოდით.

უცხო ქალიშვილი მკვირცხლად შემობრუნდა მისკენ და დააქვირდა მას.

— თქვენ მამა ხართ? ეს თევზი მართლა მდინარისაა?!

— სწორედ ისევე, როგორც ეს ბიჭი ჩემი შვილია!

გოგონა გაჩუმდა, ტუჩები მოკემა, დაიჯერა ნათქვამი, მერმე შალვასკენ შებრუნდა და თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა:

— არ მეგონა ასეთი დიდი თევზი მდინარეში თუ დაეტეოდა. მართალი ყოფილხართ!

გემზე ზარი ჩამოკრეს. უცხო ქალი-შვილი შეკრთა.

— მე უნდა წავიდე, მშვიდობით. — მან თავისი პატარა ხელი კრძალებით გაუწოდა შალვას.

— მიდინართ?! — შეეკითხა ბეგთა.

— მამობილს ვაცილებ. უცხო ქვეყნებში მიღის სავაჭროდ.

— სადაური ხარ, შვილო?

— არ ვიცი. აი, ამ კაცმა გამხარდა.

გემზე წვერულვაშიანი კაცა გადმოდგა. — მისი მდიდრული ტანსაცმელი მზის სხივებისგან ბზინავდა და ბრჭყვიალებდა.

— მზია, სად დამეკარგე, ვოგო? — მოისმა მისი ხმა. გაიგონა თუ არა მზიამ ეს ხმა, სირბილით გაეჭიანა გემისაკენ.

ბეგთა და შალვა ნაპირიდან შესცქეროდნენ, თუ როგორ ეამბოჯა მზია მამობილს, რომელსაც რალაც ჩასჩურჩულა ყურში.

მამობილი შემოტრიალდა და დაეინებით დააცქერდა მეთევზეებს, მერე ხილზე შედგა და მათკენ წამოვიდა.

— გამარჯობათ! — დინჯად მიესალმა იგი ბეგთას და შალვას. ორივემ პატივისცემით დახარა თავი.

— კარგი ნადავლით ჩამოსულხართ. — დაუკვირდა მოსული თევზს, — რიონის ბინადარია?

— დიახ, ქვალონს ზემოთ მოვიხილეთ, ბატონო ჩემო. — დინჯათვე უპასუხა ბეგთამ.

— რას აფსებთ?

— როგორც ინებებთ! — მამის მაგივრად მიუგო შვილმა.

ბეგთამ შეიღს არაფერი <sup>სეთხრა</sup> <sup>შალვა</sup> ქარი ღიმილით დააცქერდა მალვას.

— რა გქვია, ვაჟაკო, ვაჭრობის ენა გცოდნია!

— ვაჭარი პირველად თქვენ გნახათ, ბატონო, — გაიცინა ბეგთამ.

— შალვა, ბატონო ჩემო! — მიუგო მან.

მამობილის უკან მდგარი მზია კვლავ გაოცებით უყურებდა შალვას.

— რა ლამაზი ყმაწვილი ხარ, — ამბობდნენ მისი თვალები, — შენაირი მე არავინ მინახავს. თევზიც იმიტომ ვიყიდე, შენი ნანადირევი რომ არის!..

— ჯაბანი ბიჭი არა ვარ, მაგრამ შენ ეკეთესი ხარ, — მეტყველებდა შალვას სახე.

— ჰა, აილე, — გაუწოდა ვაჭარმა ბეგთას შავი პატარა ქისა, — შიგ საქმეო ვერცხლია. მომეწონეთ. როცა დაებრუნდები, გინახულვებთ. თევზი კი აი იმ სახლში მიიტანეთ. — თქვა და ზღვის პირას მდგარ დიდ ოდაზე მიუთითა. — მზია გაგიძღვებათ. აბა, შენ იცი, როგორ გაუმასპინძლებდი სტუმრებს, — მიუბრუნდა იგი შვილობილს.

გემზე ისევ დარეკეს. ვაჭარმა მამა-შვილს ხელი ჩამოართვა და კიბეზე ავიდა.

— წავიდეთ, — მიუბრუნდა გემის წასვლის შემდეგ მზია შალვას, — ურემი მოვიყვანეთ.

ორივენი სახლისაკენ წავიდნენ. ბეგთამ სიყვარულით გააყოლა თვალი მიმავალ ქალ-ვაჟს.

„ვარსკვლავისამ და ცაბუმ რომ ამ გოგოს შეხედონ, თავიანთი თავი სარკის წინ ეგონებათ. ალბათ ვარსკვლავისას ქვეყნიდან არის! ვინ იცის! — თვითონვე უპასუხა ბეგთამ თავის ნაფიქრალს, — შეიძლება ისეც ზღვის იმ ნაპირიდან არის მოყვანილი, საიდანაც მე ვარსკვლავისა გამოვიტაცე!“



არა ერთხელ მისულან ამას შემდეგ ნავსადგურში თევზით სავსე ნაევბით მამა და შვილი. მზია ყოველთვის დანიშნულ ადგილზე ხედებოდა მათ.

— დედა და ცაბუ ხომ კარგად არიან? — შეხვედრისთანავე ეკითხებოდა მზია ჯერ კიდევ უნახავ სადედამთილოზე და მულზე.

— კარგად არიან, მოგიკითხეს, მოსაკითხიე გამოგიგზავნეს!

სულთაღ გაბეუელი ტიბილისკერი და ჩუჩხელები გადასცეს მზიას და თან დაატანეს:

— მამობილისა რა ისმის?

— ვერაფერი გავიგე, რალაც უბედურება უნდა იყოს ჩემს თავზე, — მწუხარედ უპასუხა მზიამ.

მართლაც, ერთხელ მზია მათ შაგებში ჩაცმული დახვდა, მამობილის გემი ბობოქარ ზღვას ჩაენთქა პატრონთან ერთად.

დარჩა მზია მარტოდმარტო.

ბეგთამ გადაწყვიტა, სასძლო სახლში წაეყვანა.

— გატყობთ, ერთმანეთი გიყვართ. — ეუბნებოდა ბეგთა დამორცხვებულ ქალკაცს.

— ისეთ ქორწილს გადაგიხდით, რომ...



ცაბუს სილამაზეზე ლექსებს თხზავდნენ გამოღმა საყუელიელი და ბაშელი ახალგაზრდები, წყალგაღმა ვარციხელი და საჩინოელი ვაჟკაცები. „დღის სილამაზეს მამის ეშხი და მარილი დაემატაო“, — ამბობდნენ სოფელში რიონ-ქალელები. თვითონ ცაბუ ჯერ კიდევ გულგრილად უყურებდა ახლად წვერულვაშაშლილ ყმაწვილებს. იმ დღეს ცაბუ ღომს ცეხავდა ეზოს ბოლოში, წყლის საცეხველზე დროგამოშვებით მოისმოდა ქვის როტზე მიძიმედ დაცემული, დაკუნძული ხის ბაგბიუგი. კიშკართან ცხენოსანი გაჩერდა. სტუმარს თეთრი დარაიას ჩაბალახი ისე მოეხვია, თითქოს ვინმეს სახეს უმაღავდა.

— წყალი დამალევიწე, ჩემო დავია, — მოესმა ხმა.

ცაბუმ კიდან წყალი ამოიღო და ნისკარტა დოჭით მიართვა უცხო სტუმარს. თეთრჩაბალახიანი ჩამოქვეითებას არც აპირებდა. დოჭს ხელი მოჰკიდა და,

პირთან რომ უნდა მიეტანა, თითქოს ქარი გადგომოდეს, ისე გაუშვეს მკლავი.

— ვისი ხარ ასეთი ლამაზი? — უნებლიეთ აღმოხდა სტუმარს.

ცაბუს ლოყები მწიფე ბროწეულის ფერი გაუხდა.

— თუ ლამაზი ვარ, ჩემთვის ვარ, შენ რას გიშაგებ. — წამოიძახა ქალიშვილმა.

— ვაი ჩემს თავს, კი არ მიშაგებ, ავალი ამიხილე ქალო!

ცაბუს წყენა დაეტყო.

— ტყვიან კაცს ენამ წინ არ უნდა გაუსწროს!

— შენს შემხედავს ენა კი არა სულიც ამოძვრება, გენაცვალე!

ბეგთა და ვარსკვლავისა ბოსტანში მწვანოლს მარგლიდნენ, ლაპარაკი რომ შემოესმათ, ალაგზე გადმოაბიჯეს და წინ ეზოში გამოვიდნენ.

სტუმარმა შეხედა თუ არა, ბეგთას ფერი ეცეალა. სახეზე ჩაბალახი ჩამოეშალა.

— აჰუ, — აღმოხდა გულიდან ცხენოსანს, — ახლა მივხვდი, ვის ეზოში ჩაფლულა ჩემი ბედი! ცაბუ ყოფილარა. ცაბუ!

ქალიშვილმა ბრიალა თვალები შეანათა სახეშიშველ ვაჟკაცს და მოულოდნელად გაუჩხდა, გაირინდა. ან როგორ არ გაუჩხდებოდა! მის წინ ულამაზესი ვაჟკაცი იდგა. წაბლისფერი ულყაშები ტუჩკბილებამდე ჩამოშლოდა. ავარებულ ლოყებზე და შუბლზე თფლი ევარავდა.

— ავად ყოფილა, საწყალი, — გაიფიქრა ცაბუმ და შეეცოდა ვაჟკაცი.

— მობრძანდით, დასცენეთ, — ჩაიჩორჩილა ახლა ქალიშვილმა.

ვაჟი მიხვდა ქალის მოთვინიერების მიზეზს.

— ავად ვარ, ცაბუ, სამი დღეა, სიბრძნის კბილმა ამომჭრა და გამათავა კაცი, დალაქთან მივდიოდი ამოსალეზად.

— სიცხე თუ გაქვს, დალაქი კბილს არ ამოგთხრის. — ახლა გულშემატკივრად უთხრა ცაბუმ.

ბეგთა ცოლთან ერთად მიუახლოვდა სტუმარს. არც ვარსკვლავისა ენახა ალბათ ახალგაზრდას. იგი გააოცა ბეგთას მეუღლის სილამაზემ და დედაშვილის საოცარმა მსგავსებამ.

— თქვენი სიცოცხლე, ბატონო ბეგთა.

— ეზოში შემოსული სტუმარი ცხენიდან როდი ამბობს, ყმაწვილო, გამარჯობას, — გაიღიმა ბეგთამ. — ძირს უნდა ჩამოხვიდე, პური უნდა გატეხო, მოიხრდილო, ღვინო უნდა დალიო.

ვაჟმა დაიქვეითა. იგი თავდახრით მიესალმა მეთევზეს და მის მეუღლეს. მერე თვალი გამართა და თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა: — ქალბატონო ვარსკვლავისა, გამეგონა, ღვთისმშობელს მხოლოდ ერთადერთი ვაჟი ჰყოლია, თუ ქალიშვილაც ჰყავდა, ეს კი აღარ ვიცოდი.

ბალახებში ციკრებმა დაიქაჩხახეს და ღობეზე გადაფრინდნენ, შორიდან რიონის დუღუნე ისმოდა.

ბეგთა შეუძღვა სახლში ახალგაზრდა სტუმარს.

— შენი სახელი გამეგონა, — ეუბნებოდა იგი კიბეზე ყმაწვილკაცს, ისე კი არ გიცნობდი.



იქ, სადაც მდინარე სულორი რიონს ჩაერთვის, გრძელი და ვიწრო ქალებია გაშლილი. იქ ღობის ყანები შრიალეზდნენ ორ წყალშუა. დილიდან დაღამებამდე გლეხების შეძახილები მოისმოდა ნიადაგ.

სოსო ნაფეტვარიძის ოჯახი სწორედ ამ ქალის ნაპირზე იდგა. ახალგაზრდა გლეხი მთელ საჩინოში განთქმული მეურნე იყო. მისი ღობის ყანები სხვის ყანებზე უფრო მძიმე თავთავს ისხამდა. მისი წაბლისფერი ხარები, ორ-ორ-წყრთიანი კერახებივით მალა აწეული რქებით, სოფლის სიამაყე იყო. მისი ბედაური, მარულების პირველი ფალავანი, ახალგაზრდა ყმაწვილების ნატვრად იყო გადაქცეული. როცა იგი დატვირთულ ჩელტიან ურემს კოფოზე დაუჯ-

დებოდა და „პი-მოოს“ დასაშვებდას რებს, სოფლის ულამაზესი მხოლოდ ერთ რამეს ნატვრადნენ, — ნეტაე სოსოს ცოლობის ღირსი გაგვხდაო. ბეგთასავით ახალი გლეხი იყო სოსო. მშობლები ადრე დაეხოცა და ობოლმა ბიჭმა თავისი შრომით გაიკათა ცხოვრების გზა. კონტად ამოჭობილი მისი ქალამანი თეთრი თასით, თეთრ ღაზის წინდებზე ამოსხმული, მწანველს თვალს გაუჩერებდა.

ხენის დროსაც სხვა ეშხი ჰქონდა და მკის დროსაც.

ოცდარი წლის ახალგაზრდას მეზობელი გლეხები რჩევა-დარიგებისათვის მიმართავდნენ, კავ-ურემსაც თვითონ თლიდა და ღობე-ქიშკარსაც თავისი ხელით აკეთებდა. შქერის წნელისაგან მისი ნაქსოვი ღობე სხვა ღობე-ყორესაგან განსხვავდებოდა. მუდამ სუფთა ახალუხზე ხეთლარიანი ხანჯალი შავი ქარქაშით ღამაზად ეკიდა. ქიდაობის დროს მისი გარეკაური მუხას მოტეხდა, ამიტომ ეამაყებოდათ სოფლის ახალგაზრდებს მასთან მეგობრობა. არა ერთი ქალიშვილი ოხრავდა ჩუქად მის შეხედვაზე. მართალია, სოსო ნაფეტვარიძე თავადაც ბევრს უღიმოდა, მაგრამ მისი გული ჯერ მართალი და ნამდვილი გრძნობით არ შერხებულობდა. და აი, მოვიდა მოსასვლელი. რაც მან ცაბუს თვალი დააღვა, ძილი წაერთვა, მოსვენება დაჰკარგა. დილით ეზოში გამოვიდოდა და ცაბუ ელანდებოდა. ეგონა ღობის წინ ჩარგულ ალვისხეებს კიდევ ერთი მომატებოდა. ეს ალვის ხე ცაბუ ეგონა. ყვავილებს დახედავდა და ცაბუს ყელ-კისერი ეჩვენებოდა... ცას შეხედავდა და ეგონა — ისე ცაბუს ლურჯ კამკამა ავალებს უყურებდა. ერთი რამ არ შესცვლია სოსოს: საქმეს უფრო დაუდო გული. დღენიადაგ შეუსვენებლოც შრომობდა და თავის გულში ყველაფერს ცაბუს სახელს არქმევდა. ერთ დღეს ვერ მოითმინა და ბედაურით ისევ ბეგთას ქიშკარს მიაღვა.

ამჟამად ალაყადი თვითონ ძეგლმა მეთევზემ გაულო. ქალის მამა გრძნობდა, როგორ დაეჯაბნა ქალიშვილის თვალ-

წარბს სოსო და გულში უხაროდა კიდევ. ბეგთას ეგონა, ნაფეტვარიძე მოკრძალებით შეაკაცებს მოუგზავნიდა, მაგრამ ამჯერად მოტყუვდა გამოცდილი მეთევზე.

ჯერ კიდევ ხის ქვეშ გრძელ სკამზე არ ჩამოვჯდარიყვნენ, სოსომ სასიამაოროს რომ თვალი თვალში გაუყარა.

— ბეგთა ბატონო, ბევრის მნახველი კაცი ბრძანდები და ნუ დამძრახავ, სათქმელი უნდა გითხრა.

ძველმა მეთევზემ გამოცდილი თვალებით ახედა ახალგაზრდას, ოდნავ ჩაფიქრდა და წყნარად უთხრა:

— სათქმელს დრო უნდა, ჩემო შვილო. დროს კიდევ არ ეჩქარება, სიღინჯე უყვარს.

ნაფეტვარიძე ოდნავ შეცბა, შეჩერდა, მაგრამ ეტყობოდა, გადასაწყვეტი გადაწყვიტა და ისევ თვალგამართულადვე უთხრა:

— პირდაპირ გეტყვი, ბეგთა, ჩემი სიცოცხლის ავ-კარგი შენს ხელთაა.

— როგორ, ბიჭო?

— მე შენი მოყვრობა მინდა და, ვისაც ქალი გულით უნდა, მამაც ახლობელ კაცად უნდა მიიჩნიოს. არ მინდა შენი გარდაუვალი ვენა.

ბეგთამ თუმცა იცოდა, რას ეტყოდა სოსო, მაგრამ მაინც ვაჩუქდა. ცოლის და ქალიშვილის ვარემე პასუხის მიცემა ძნელზე ძნელად მოეჩვენა მეზადურა.

— იცი რა გითხრა! ცოლშვილს უნდა მოველაპარაკო! ქალს თუ არ უნდობარ, ჩემო შვილო, სიცოცხლე სულ ჩრდილში მოგაქცევა. ცაბუ უპკუო გოგო არ არის, უნდა შეეკეთოსო.

ნაფეტვარიძე მოიღუშა, ზეწამოიჭრა გათარ-გამოთარა და ბეგთას წინ დაუდგა.

— კარგი, ასე იყოს. თუ მას არ ვუნდებარ, ისე ცხოვრება რაღად მიღირს, მხოლოდ ახლავე დაუძახე, ჩემი თანდასწრებით შეეკითხე.

ბეგთა მიუხვდა, სასიძო არ ენდობოდა. ისიც არ გამოეპარა, ძალას რამ გრძნობდა ყმაწვილი, და ეშმაკურად გაიღიმა. მერე წამოდგა, მეუღლეს გასძახა:

— ვარსკვლავისა, პა, ვარსკვლავისა ცაბუს დაუძახე და ერთი წუთით ორივენი ძირს ჩამოდიო!

ნიგვზის ხის ჩრდილში ფერდაკარგული სოსო რომ დაინახა, ცაბუს გულმა რჩხი უყო. „კიდევ ავად თუ არისო“, გაიფიქრა ქალიშვილმა.

— აბა, გვერდზე მომიჯექი, ჩემო შვილო — გამოელაპარაკა მამა და დაატანა. — შენ კი პირდაპირ დამიჯექ. ვარსკვლავისა. დიდი საქმე უნდა გადაწყვიტოთ.

ცაბუ უცებ მიხვდა სოსოს მოსვლის მიზეზს. იგი ჯერ შეჩერდა, მერე სწრაფად მოტრიალდა და სირბილით გაიქცა სახლისაკენ.

— სად გაიქციე, გოგო, უშენოდ ეს საქმე არ გადაწყდება! — მიძახა მამამ.

— დედა გეტყვის, დედა, — გადმოსძახა აივნიდან ცაბუმ და კარებში გაუჩინარდა.

— შენ რა იცი, ქალო! — შეეკითხა მეუღლეს ბეგთა. ვარსკვლავისამ მხრები აიჩენა. ეტყობოდა, იგი ვერაფერს მიმხვდარიყო.

— მამ კარგი, თქვენ აქ ილაპარაკეთ, შენ უთხარი, შვილო, რაზედაც მოსულხარ, — მიუბრუნდა იგი სოსოს, — მე კი იმ გოგოს დავეთათბირები.

ბეგთამ გასწია აივნისაკენ.

რიონის გაშლილ ქალებზე ღამის ფრინველები ყიოდნენ, როცა სოსო ნაფეტვარიძემ ბეგთას ჭიშკრიდან თავისი ცხენი გამოაგელვა.

ცაზე უთვალავი ვარსკვლავები კაშკაშებდნენ. სოსოს ახლა ეგონა ციდან მომავალი სხივები-მის გულში ჩაბუღებულ ნათელს ვერ დაჯაბნიდა. ხუმრობა ხომ არ იყო: თავისი ყურით გაიგონა ცაბუს სატყუები: „თუ ვინმე ქმრად მაწერია, სოსოს ვარდა ღმერთმა სხვა ნურავინ მაფიქრებინოს!“

ორი ქორწილი ერთად გადაიხადა ბეგთას ოჯახმა. სამი დღე-ღამე რიონის ქალების მცხოვრებლები ერთმანეთს



ეჯიბრებოდნენ ღვინის სმაში და ცეკვა-  
თამაშში. კაცკასიონის ორ კალთასშუა  
გუგუნნი გაქონდა ტკბილსა და საამო  
სიმღერებს. ეზოში დანაკვერცხლებულ  
ცეცხლზე გოჭები და ბატყენები იწვებო-  
და. კეცებში სკდებოდა მწიფე ვარიე-  
ბის შებრაწული კანი. ყველითა და  
კვერცხით გატენილი ცხელ-ცხელი ხა-  
ქაპურებით ივსებოდა სუფრა.

მეოთხე დღეს ღვინი მეზობლებში გა-  
დავიდა. ალიონზე გადასული მაყრები  
დასდევდნენ ქათმებს, იჭერდნენ, თავს  
აგდებინებდნენ და ხონჩებს აკეთებინე-  
ბდნენ მოფუსფუსე ქალიშვილებს.

მეხუთე დღეს მიწყნარდა ყოველივე.  
ბეგთას ოჯახს ორი ახალგაზრდა შეემა-  
ტა. ცხოვრებაც თავისი გზით წავიდა.

ვარსკვლავისას ეგონა, ბედნიერება  
მხოლოდ ახლა შემოსულიყო მის ოჯახ-  
ში. ორნაცოი წლის ქალი კიდევ უფრო  
დამწვენდა და გალამაზდა. რძალი ქა-  
ლიშვილმა ვერ გაერჩია და სიძე თავის  
ვაჟს ეცილებოდა დედაშვილურ სიყვარ-  
ულს. ეზო-გარემო უფრო გასუფთავ-  
და და გალამაზდა. ბოსტან-ვენახი უფ-  
რო უხვი მოსავლიანი გახდა. ყაქ-აბრე-  
შემმა იმრავლა; ხეხილსაც მსხმოია-  
რობა მოემატა. „თქვენ გენაცვალეთ,  
დილით ადრე არ აღგეთ, კარგად გამო-  
შუშდითო“. ისინი კი სიცილ-ტყრცი-  
ლით დაუძვრებოდნენ საბნებიდან და  
ორი წუთის შემდეგ იწველებოდა ჯერ  
კიდევ საბალახოთ გაუდენელი ძროხა  
და თხები.

რძალ-მული ისე ჰკავდა ვარსკვლა-  
ვისას, მისი შვილები გეგონებოდათ. სა-  
მივე ერთფერი მტრედებივით დაგოგავ-  
დნენ ეზო-გარემოში. მზია და ცაბუ ყო-  
ველთვის ჭიშკართან ეგებებოდნენ სა-  
მუშაოდან მოსულ მამაკაცებს.

სანამ ისინი ეზოში ხელ-პირს იბანდ-  
ნენ, ვარსკვლავისა ვახშამს აწყობდა პა-  
ტარა სუფრაზე.

პირველად ცხელ ღვინში ბეგთა ჩაფ-  
ლავდა ერთ კბილ ყველს, დოქიდან ღვი-  
ნოს დაისხამდა და დაილოცებოდა. მე-  
რამე ყველანი შეუდგებოდნენ ვახშმო-  
ბას.

• • •  
ცუდი დღე ადგა მაშინ საქართველოს.  
დაუძლურებულ ქვეყანას ყოველმხრივ  
მტერი ესხმოდა. მოულოდნელად შემო-  
ესივოდნენ ჩვენს ქალებსა და გორაკებს!  
ქალაქ-სოფლებს ააწიოკებდნენ, დაარ-  
ბევდნენ, ოთხფებს წალაღავდნენ,  
ხალხს ამოხოცავდნენ, შერჩეულ ქალ-  
ვაჟს ტყვედ გარეკავდნენ, კოღში ლო-  
მის კაკალს ამოხვეტავდნენ, ხალმებში  
წათხეს ამოაშრობდნენ, ჭურ-მარანში  
მთხრელსაც არ ტოვებდნენ. ქვეყანა გა-  
ძარცვული და დამწეული იყო. ცოტა  
ხნით დასვენებული და სულმოთქმული  
მამული ისევ გაპარტახებული და გავე-  
რანებული რჩებოდა. მართალია, ცაზე  
ვარსკვლავები ისევ კიაფობდნენ, რიო-  
ნიც ისევე წყნარად დუდუნებდა, მაგ-  
რამ უკაცრიელი სოფლები თვალს არ  
ენახებებოდა. ხეხილი რა არის, მასაც კი  
ჩებდნენ და იავარყოფდნენ. ხალხი  
შიმშილობდა, სათესლე მარცვალსაც არ  
იშოვებოდა.

• • •  
ერთ უბედურ დღეს ბეგთა მარტო  
წავიდა სათევზაოდ. ღვინის ყანას თავ-  
თავები დამძიმებოდა, კაკალი ცვიოდა  
და ოჯახი სამკელად გაგზავნა.

შვიდი დღე-ღამე ითევზავა, შვიდი  
საცხე ნავი ჩაიტანა ნავსადგურში და  
მყიდველიც მალე იშოვნა. საყიდელი  
იყიდა — საახალზე და საკაბეები, სა-  
პონი და ფერუმარულე. კი წამოიღო ქა-  
ლებისათვის. ჯერ ისევ დღე იყო, როცა  
მისი ნავი რიონქალის ნაპირებს მოა-  
დგა.

გაუქვირდა მეთევზეს, რომ ახლომან-  
ლო არავინ შეხვდა. არც ცოლი შემოე-  
გება და არც შვილები. ნავი ნელა მიაბა-  
და სანაოს დაუქვირდა. ბორანის ქონი  
ციცხლისაგან დაფშუტულიყო, ნავები  
წყალს წაელი. ბეგთას ტანში გასცრა.  
სოფლის გზაზე ავიდა. არც ურმები  
ჩანდა, არც საქონელის ბლავილი ისმო-  
და. ქალებისაკენ მიიხედა და სულ მოი-

გარკინული

შლა კაცი: ყანები გადამწვარი დახვდა. აქა-იქ ისევ ბოლავდა დანაცრებულ თივის ზეიხები. სოფლის მისასვლელთან ეწირო გზა მიჰყვებოდა აღმართს. ამ ადგილს რიონკალელები ხორხს ეძახდნენ. სანამ ამ გზას აივლიდა, მუხლი ეკვეთებოდა ბეგთას. ტრიალზე გავიდა და სოფელს გახედა. ყველაფერი გატიალებული ჩანდა. ადგილ-ადგილ ცამდე კვამლის სვეტები აღმართულიყვნენ. სახლები იწვებოდა, ვენახები და ბაღები აჩეხილი ჩანდა. ოთხფეხის ჩამიჩუმე არ ისმოდა. კიშკარი შეალო. გაოცდა: აადა თავის ადგილზე აღარ იდგა. ხელა და ბელერი გადაყირავებული დახვდა. არც ვარსკვლავისა ჩანდა და არც ზევები.

— ვარსკვლავისა! — ამოიგმინა ბეგთამ და რატომღაც თავის ხმას თვითონვე დააყურადა.

პასუხი არავინ გასცა.

დაცარიელებული და მოოხრებული ეზო ვერანად გამოიყურებოდა. გარშემო მიმოიხედა. ჩამიჩუმე არ ისმოდა. ხანგამომშვებით ეზოში ჩუმე შრიალით მხოლოდ ნიავი გადაირბენდა. ვაშლისა და ატმის ხეები ნახანძრალ თეთრ ფერფლს დაეფარა. ახლა ამ ნელთბილ ფერფლს ნიავი აცლიდა და ყვაცილთა მტკვრივით აბრუნებდა სოფლი.

„სულ დავლუბლვარ კაცი, — გაიფიქრა ბეგთამ და ლობისკენ მიიწია. მეთევზემ სოსოს ხელით ახლად გაყვებულ ლობის ძირას რალაცას თვალი მოჰკრა. ახლოს მივიდა, ბალანგატრუსული ძალი ვერ კიდევ სუნთქავდა, ვილაცას წაბლის სარი ჩაეჩარა ხახაში და შიგ ჩაეტოვებინა. შიგნეული ჩაგვემილი ჰქონდა. აკანკალებული ხელი წაელო სარს და მთელი ძალით გამოჭაჩა. უცებ ძალი ცოცხალივით წამოდგა, სარს წამოჰყვდა, პატრონისაკენ წამოვიდა. ბეგთამ კიდევ უფრო მაგრად მოუჭირა თითები სარს და მისკენ მოსწია. სარი ძალის ხახიდან როგორც დგუში ტუმბოდან, ისე ამოვარდა. გაისმა რალაცანის ხმა... ძალმა მიწაზე ზღარათანი მოადინა. მისი სხეული ახლა სასიკვ-

დილოდ აძიგმიგდა. მეთევზეს თვალებში ელვამ გაჰკრა. იგი მიივდა, რამდენი ეტანჯა ძალი. უცებ სარი ზევით ასწია; ოთხთა, მერვე თვალეტი დახუჭა და სულთმობრძავ ცქ იველს მთელი ძალით დასთხოშა თავში. ძალი იმ წუთშივე მოკვდა. ბეგთამ სარი ზიზლით მიავლო ლობის ძირში და სახლისაკენ წავიდა. სახლის დაფერფლილი საძირკველი აღარ ბოლავდა. ზემოდან მხოლოდ დამსხვრეული ჩაშავებული კრამიტები ეყარა, ყველაფერი მიწასთან იყო გასწორებული. ქვის კიბედა დარჩენილიყო დაუნგრეველი.

„ბუხარი მანც რამ დაარღვია, ის ხომ ყოველთვის ხელუხლებელი რჩება ამ დროს! უნებლიეთ გაიკვირვა მან და კიბეს გადახედა. ხანძრის დროს ჩამონგრეული სახლის სახურავი კიბის საფეხურებს დასცემოდა და ზედ დამწვარიყო. სიციხისაგან გამავებული ქვები დამსკდარიყო. „ამ საფეხურებით შევიდოდი ჩემს ოჯახში, ჩემს ბედნიერ ოჯახში, ახლა კი ყველაფერი გაათავდა“, სასოწარკვეთით ჩაიჩურჩულა მან და ქვაზე ჩამოჯდა.

ნიავს ვერ კიდევ ფერფლი ვერ გადახვეტა. ბეგთა არეული დააკვირდა სიოშეოხებულ ნაცეცხლარს. კრამიტბუშა საძირკვლები გარდიგარდმოდ ელაგა.

უცებ ბეგთას თვალი გაუშტერდა. კიბის უკან დამწვარი საძირკვლები ზემოთ ორი კაცის ფერფლი შეამჩნია. თავისქალის ძელები თეთრად ჩანდა.

„ჩემი შალვასა და სოსოს ფერფლია!“ გაუელვა ანაზღეულად. მუხლის კანკალით წამოდგა... ელდნაცემი ჩააშტერდა ორ ცხედარს.

„ახალუხების ამარა ყოფილან“...

აი ფოთლები, აბრეშუმის ახალუხებზე მიხატული ფოთლები ახლა გაახსენდა ბეგთას: სიძემ და ცოლისძმამ ერთ დღეს იყიდეს ფოთლოვანი აბრეშუმის საახალუხეები და ერთ თერძს შეაკვრინეს ქუთაისში. აგერ ქამრების დანახშირებული კვალი. იგი ნაცრისფერ ქობასავით შემოჰყოლოდათ წელ-

ზე. ახლა ისიც მოაგონდა ბეგთას. ამ ახალუბებს მხოლოდ უქმე დღეებზე იცვამდნენ ბიჭები.

„კვირა-დღე ყოფილა“, — ისევ გაუელვა ფიქრმა. დღეს უბედურების შესამე დღეა, დაასკვნა. ცოტა ხნის შემდეგ ქამრის ბალთებიც შენიშნა. ისინი ფერ-შეცვლილი, მაგრამ თავთავის ადგილას ელაგნენ. ლითონის სიმძიმის გამო ფერფლი ჩაზნექილი მოჩანდა. თითქოს ახლა შეიგრძნო, უცებ ბეგთას გარშემო ყველაფერი დატრიალდა.

„ვი ჩემს მოსწრებას!“ — დაიბლაგულა მან.

იგი ნელა დაიხარა და ფერფლს ხელი შეახო.

როცა წამოდგა, თითები შავი ფიფქით ჰქონდა გაშავებული.

ეზოსკენ ნაბიჯი რომ გადადგა, ცრემლები მაშინ წასკდა ბეგთას. მწუხარება უჩვევ კაცს სახე ხელეში ჩაებლუჯა და ისე ტიროდა, თითქოს ვინმესი რცხენოდა. გარშემო კი სიჩუმე იყო, ისევ არავინ ჩანდა.

საღლაც მამალმა დაიყვილა. ბეგთას შემოძრწუნებლად გააფრეოლა ტანში, როგორც მისი უბედურების პირველად შეგრძნობის დროს. შეეშინდა კიდევ, მამლის ყვილიმა სიცოცხლის არსებობა გაახსენა. თვალცრემლიანმა იქით მიიხედა.

მამალი ეზოს ბოლოზე იდგა და მას პირდაპირ უტკეროდა.

მიხვდა ბეგთა, რომ ამ შუადღისას ადამიანის დანახვამ დააყვილა მამალი.

„ეპ, ალბათ ბევრი იყვილა მამალმა, მაგრამ ადამიანის გარეშე გათენება ვერ იგრძნო. მე რომ შემხვდა, ახლა იფიქრა, ნამდვილად გათენდაო და იმიტომ დაიყვილა საწყალმა“.

• •

ორი დღის შემდეგ ვარსკვლავისა, ცაბუ და მზია ერთად მოლასლასდნენ სახლში.

ჩამოხეულნი და დაკაწრულნი, სისხლგამშრალნი და გაყვითლებულნი, სულ უცხო ადამიანებს ჰგავდნენ. არავინ

იცოდა, ამ ოთხ-ხუთ დღეში რა გადახდა მათ. ბეგთა სიცხისაგან გათარანებული კიბის ქვაზე დახვდათ მიწოლილი.

ბეგთამ უაზრო თვალები მიაშტერა მოსულთ. ტურები გააცმაცუნა, რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ კისერი მოიწყვიტა და ისევ ბურანს მიეცა.

ცაბუ სიტყვის უთქმელად მიუწვა მამას გვერდით. არც ის ამბობდა არაფერს. ბაგე გაფიცებოდა, თმები აბურცოდა, საკინძე ჩამოგლეჯოდა. შიშველი სხეულიდან ადგილ-ადგილ სისხლის შემხმარი წვეთები მოუჩანდა.

ვაბეცებულ მზია კი ხელმობხვევით მოჰყავდა ვარსკვლავისას.

„გამიშვით, შალვა იწვის, ჩემს შალვას თავი გაუტეხეს“, ჩურჩულებდა თვალების ბრიალით მზია და საღლაც უაზროდ იწევდა. სახეგამშრალი ვარსკვლავისა მკლავში ჩაფრენოდა და ძლივს აკავებდა ქვაზე გადასულ რძალს.

• •

ლოგინიდან პირველად მაინც ბეგთა წამოდგა. ცოლისთვის არაფერი არ უკითხავს, არც ვარსკვლავისა მოჰყოლია თავის უბედურების ამბავს. ბეგთა აღარ ჰგავდა წინანდელ ბეგთას, მოხრილი ბეჭები უძიგძიგებდა, თმა ერთბაშად გაუთეთრდა, თვალეში კირწლი ჩაუდგა. ყოველი ათი ნაბიჯის შემდეგ გული უჩერდებოდა. ჯოხზე დაბჯენილმა ერთ დღეს სანაოამდე ძლივს მიიღწია. ნაგები აღარ დახვდა. ერთი ნიჩაბი იბოენა ნაპირზე მიგდებული. შეატყო, მისი მოსმა გაუჭირდებოდა. დიდხანს უყურა ძველმა მეთევზემ მდინარეს, დიდხანს, და მერმე ისევ უკან გამობრუნდა.

— რაღა ვქნათ, თვალო? — შეეკითხა იგი ვარსკვლავისას. — საკმელი ხომ უნდა ამ ქალებს, რა ვაკამოთ?! — ვარსკვლავისა მიხვდა, ბეგთა თევზობაზე უარს ამბობდა. იგი წყნარად მიაიერდა ქმარს, თითქოს პირველად უყურებდეს, ისე დააკვირდა და მერმე მაინც გულის-გასამაგრებელი სიტყვა უთხრა:

— ღომს დაეთესათ, კაღს მოვიყ-

ვანთ, მინდერის მხალს ზომ ვიშოვით, შე კაცო!

— სათესლეც რომ არ დაუტოვებიათ, სად გავაჩინოთ მიწაში ჩასაგდები მარცვალი?!

მეთევზის ცოლი მიხვდა, ქმარი მართალს ამბობდა. მან თვალები უიმედოდ მიაპყრო ეზო-გარემოს.

— რაღაცა გაჩნდება, კაცო, იკითხოს დალუპულმა ჩემმა შვილებმა, თორემ ჩვენ რა გვიჭირს. ცოცხლად დარჩენილი ადამიანი საშველს ყოველთვის მონახავს.

საშველი კი არსად ჩანდა.

ვარსკვლავისა გარეული მხალით კვებავდა ავადმყოფებს. ხან კაკალს ჩამობერტყავდა ხანძრისაგან გადარჩენილ ხეებზე და ხან პანტა ვაშლს მოიტანდა კალთით. პური და ღომი არსად იშოვებოდა. ერთ დღეს ბეგთამ საღაჯ მიწა-ვაშლს მიაგნო და ერთი ჩოხის კალთა მიიტანა სახლში.

ვარსკვლავისას თავისი სამშობლო გაახსენდა. მოაგონდა ქალიშვილობა, მისი ქვეყანა, სადაც მიწა-ვაშლის მსგავს ნაყოფს ხარშავდნენ. მისი გემო ახლაც პირიდან არ შორდებოდა ზღვაგაღმელ ქალს.

მთელი ღამე არ დაეძინა. გათენების ეამს წასთელიმა. საოცარი სიზმარი ნახა. თავის ქვეყანაში იყო. დატარებულ იყნენ ტყერვიით შრიალეზდა. თითო ლეროზე ბეგთას მკლავის სისხო სა-შოთხის ტარო აწვდილიყო. ფოჩების ნაცვლად უღვაშები გადმოჰკიდებოდათ სწორედ ისევე დაგრებილი, როგორც ეს ბეგთას ჰქონდა ახალგაზრდობაში. მხოლოდ ფერი აღარ ჰქონდა შავი, ხან მისი თმებივით ოქროსფრად ეღვარებდნენ, ხან ბეგთასავე შეთეთრებული, გამოხუნებული უღვაშის ღერების ფერს დაიკრავდნენ.

ყანის კენწეროებიდან ყვავილთა მტერის ნაცვლად ვარსკვლავებივით ჩინჩხლები სცივოდა და ზევით ცისკენ მისრიალებდნენ. უამრავ ვარსკვლავთა სრბოლაში შალვასა და სოსოს სახეები გამოჩნდნენ. ამ ციურ სხივისან ციალში

ისინი ფოთლოვანი აბრეშუმის ახალს ხეებში ისე დაცურავდნენ, თითქოს ფრთები ესხათ. ხელში ტაროები შიმველი სატყვერებივით ეჭირათ. ყანის კენწეროებიდან ამოცენილ მნათ ჩინჩხლებს ხვეტდნენ და აიძულებდნენ მათ ტაროებში ჩამძვრალიყვნენ.

— მალე დამწიფდება, დედი, ყანები, — ღიმილით ამბობდა შალვა.

— სულ მალე, — იმეორებდა სოსო ცოლის ძმის ნათქვამს, — სულ მალე. ცაბუს აღარ მოშვიდება მაშინ. ბეგთასაც ჯანი ჩაუდგება ტანში.

— შიმშილით ვიხოცებით, — უნებლიეთ აღმოხდა წუხილი ვარსკვლავისას.

— ნუ შიმობ, დედი. ეს ყანები ჩვენია, ხომ ხედავ, რამდენ სხივისან ვარსკვლავებს ვიჭერთ და ტაროებში ვაბუდებთ, თითო ვარსკვლავი თითო მარცვალია. სულ მალე დამწიფდებიან ისინი, თქვენც დაპურდებით და ხარ-კამეჩიც დასუქდება. მზია არ მომიშოთ, ჩემი მზია, — ეუბნებოდა შალვა ვარსკვლავისას.

— რამ გადაგრია, შვილო, — ეწყინა ვარსკვლავისას. — ფეხშიძიმე ქალს როგორ მოვაშიგებ, ოღონდ რაიმე გვეშველოს, ოღონდ ყანები დამწიფდეს.

აკანკალებულ დედას გულმეწუხებელი გამოეღვიძა: „სახლში ღამე, უსახო ღამე იდგა. გარეთ რიონი ისეკ ნელა დუღუნებდა.“

მეორე ღოგინზე მზია ბორგავდა.

„ვაიძე, მშობიარობამ თუ მოაღწიაო“, გაიფიქრა მან და რძალს თავსასთუმალთან მიუჯდა.

ღილით მზიამ ბორგვას უმატა. ტკივილებს ხმა ააყოლა, ჯერ ისეკ უაზროდ მოჰყვა ბოდვას, მერმე კვილის აღმალა და მზის ამოსვლასთან ერთად ბეგთას ოჯახს შეილიშვილი შეეძინა.

პატარა ბიჭის ხმამ ბეგთაც ფეხზე წამოაყენა.

ცაბუ ცრემლმორეული დასტირიალებდა რძალს თავზე. მისი გავარჯერებული მკლავები ხელში ეკავა. დაბურღულ თმებს თავსაფრით უკრავდა. გა-



ტანჯული მზიას კივილი ეზო-გარემოს ედებოდა. მშობიარობის შემდეგ გასავათებული ქალი დაწყნარდა. ძილი მოეკიდა. ეს პირველი შემთხვევა იყო იმ უბედური დღის შემდეგ. ძილის დროს სახე დაუამდა. ლოყები აუვარდისფერდა.

ბევთამ გაოცებით შეხედა ცოლსა და ქალიშვილს.

„იქნებ გვეშველოსო“, თავისთვის ჩაილაპარაკა მეთევზემ. მთელი დღე იბინა მზიამ და საღამოს, როცა გამოიღვიძა, ძუძუებზე მოისვა ხელი, რძით სავსე მკერდი ხელში დაუშვინდა.

ვარსკვლავისამ ბავშვი მიუწვინა რძალს.

ჩვილმა სიხარბით გაიწია დედის მკერდისაკენ.

მზიამ უნებლიეთ წაივლო მკერდზე ხელი და ბავშვს ძუძუსკვრიტი პირთან მიუტანა.

მოხდა ის, რასაც არავინ ელოდა.

ბავშვი და დედა გაინახენ. ცოტა ხნის შემდეგ ჩვილმა ძუძუ გადაინაცვლა, ხოლო კიდევ პატარა ხნის შემდეგ მზიას ცრემლები წასკდა.

ეს იყო პირველი ცრემლი ოთხი თვის უახრო ბოდვის შემდეგ. მამამთილმა თავლებში ჩახედა რძალს და მიხედა, რომ მშობიარობამ განაწამებ მზიას აზრი და გონება დაუბრუნა.



გაზაფხული მოახლოვდა. გამთბარი, გალულუნებული მიწა თესლმარცვალს ითხოვდა.

აჩეხილი ტევრები ჯერ კიდევ ძალას სუსტად იკრებდნენ, მერმე ერთბაშად სივლით მიაფრქვიეს მწვანე რტოები ლურჯი ცის გუმბათს. ამღვრეული რიონი კალაპოტში არ ეტეოდა, ნაპირებს ასკდებოდა და შლამით ფარავდა საყანე მიწებს.

ბევთა ჩალამებული თვლებით გასცქეროდა გარემოს. ხანდახან ეჩვენებოდა კობრების და ლლავების ბოლოების ტყლაშენი. არც ნავი ჰქონდა ძველ მე-

თევზეს და არც ბადის გადნაროლა შექძლო. რა უნდა ექნა?!

მიწის მოხენა უნდოდა. თესლმარცვალი კი არსად იყო. იჯდა ჯიხით ხელში და დილიდან საღამომდე გასცქეროდა აფორიაქებულ რიონის ტალღებს.

მერცხლები უკვე მოფრინდნენ, ფეხმაღალი ყანჩები ტბორებში კისერგაწედილები იდგნენ. ერთ დღეს ერთი მათგანი სულ ახლო დაუჯდა მოხელს.

იმ ადგილას შეგუბებული წყალი იყო. მოფრენილი ყანჩა წყალში ისე ჩადგა და გაინახა, მოხელს ყურადღებაც არ მიაქცია.

„იციც, ვნება არ შემიძლია და არაფრად მაგდებსო“, — გულისტკივილით ჩაილაპარაკა ბევთამ. თვალეზგაბეცებული ყანჩა ერთ ადგილას მისჩერებოდა. უცებ ნისკარტი დაჰკრა და ბევთამ თავისი თვლით დაინახა მოზრდილი თევზის ბოლო და ფარფლი. ერთ წუთს გაიელვა ჰაერში თევზმა და ყანჩამ არც კი მოიხედა მისკენ, ისე გადასანსლა ნანადირევი. „ლორმუტეკლა“ — ჩაილაპარაკა ძველმა მეთევზემ.

შუადღემდე უცქირა ბევთამ ყანჩას. დაითვალა კიდევ: თხუთმეტჯერ დაჰკრა ნისკარტი წყალს ფრინველმა და თხუთმეტჯერ შეუტდომლად ამოიყვანა თევზი.

ველარ მოითმინა ბევთამ, ზეზე წამოდგა და ბუზლუნით სახლისაკენ წამოვიდა.

„ეს გამოყეყენებულიც მე მჯობნის! ღმერთიც ხელს უწყობს და ჩემი უძლურებაც. ისე ოჩაფეხსავით მიღლა ფეხებზე დგას, ბუმბულსაც არ ისევლებს, ჰმ, იჭერს და იჭერს თევზებს. შენ კი, განთქმული მეზადურო, დაჯექი და უყურე. ვაი, ჩემს თავს, რაღად ვცხოვრობ ამ ქვეყანაზე?!

ეზოში ვარსკვლავისა ატირებულ ბავშვს აჩუმებდა.

— რა დაემართა, ქალო, მუცელი ხომ არ სტკივა?!

— დედამისი ცაბუსთან ერთად ტყეში წავიდა. შეხედე, ბევთა, აღმასივით კბილებმა ამოსჭრა ბიჭს. ბებიამ ბავშვს

ტუჩ-ბაგე გამოუჩინა. ბაბუამ შვილი-შვილს დახედა. ორი თეთრი კბილი ორი მარგალიტის კაკალივით ამობურცულიყო ჩველ ნუნებზე.

— შია ალბათ და იმიტომ ყვირის, ქალო, ეს ბავშვი.

ვარსკვლავისამ არაფერი არ უთხრა ქმარს. საკინძე გაიხსნა და გამშრალი ძუძუ მოსატყუებლად მიაწოდა ბავშვს. პატარა ქოშინით მოეჭიდა ბებიას მკერდს და ეინით დაუწყო ქაჩვა.

ეტყობოდა, რძე რომ ვერ დაიგულა, გაბრაზდა და კბილები ისე მოუჭირა, ვარსკვლავისას სისხლი წასკდა ძუძუს-კვირტიდან.

— ოპ, შე ეშმაკის დროში დაბადებულაო, — აღმოხდა საყვედური ვარსკვლავისას.

ბავშვი სულ გადაიჩია. ახლა მეორეს წაუპოტინა, მეორე ძუძუსაც ის დღე დააყენა, რაც პირველს.

— თხა მაინც დაეტოვებინათ იმ ქვეყნის დამკვევლებს, — წაიდუღუნა ბეგთამ და ბავშვის ხმას რომ დამალვოდა, ლაფაროს ამოეფარა, დანახშირებულ საძირკვლის თავზე ჩამოჯდა.

სანამ მზია მოვიდოდა, ბავშვს ტირილი არ შეუწყვეტია. მინდვრის მხალი ქვაბში ჩაყარეს თუ არა, რძალი დედამთილს მიუარდა, ბავშვი გამოართვა და ბიჭუნა სლოკინით მოეჭიდა დედის მკერდს.

ერთ კვირას არ დაუყუჩდა ვარსკვლავისას მკერდის ტკივილი. ძუძუ-მკერდი დაუჩირქდა და გაუმინჯუნდა.

ჩიონის ტალღები ნელინელ დაწყნარდა, მდინარემ დაიწვია, თავის კალაპოტში ჩაღვა. სქლად მოშლამულ ნაპირებზე ჯერ მოსილულ თხმელის ძირებიდან ამოიწვრა მწვანე ფოთლები, მერმე გაფიცებული მიწიდან ათასი ბარდი და ბალახი წამოვიდა. ცის გუმბათი გალურჯდა, ამაღლდა და ზევით აიწვია. ღრუბლები აღარ დაქროდნენ მდინარის ზემოთ, საყანე მიწები ისე გალულუნდა, ფრჩხილიც რომ გადაგეგდო, ისიც კი დაღებოდა და სანაყოფო გზას იზოგინიდა. ბეგთა ნაღველით სავეს თვალ-

ბით უმზერდა მინდვრებს. მიწა-მოხენამა და თესლს ითხოვდა.

ერთ დღილას ვარსკვლავისა ძველ ნასახლარებში გადავიდა. სად იყო სად არა, დანგრეულ-დამწვარი წისქვილები თუ ბელლები გადაჩრქვა და ერთ ბათმან ლომის კაკალს მიაგნო. ბეგთას გულში იმედი და სინათლე ჩაუღდა.

მეორე დღით ყველანი მინდვრად გავიდნენ. იმ დღეს, ამდენი შიმშილის შემდეგ, ვარსკვლავისამ ხუთი პეშვი კაკალი ჩაყარა ქვაბში და სქელი ლომი მოადღულა. ბეგთა ლასლასით მიჰყებოდა ხნულს. ვარსკვლავისა წინ უძლოდა ხარებს, ცაბუ კი პეშვით თესდა ლომის კაკალს. მზია ალაყურტისათვის ნიგვზის ზეთს ხდიდა და თან ჩეროში ჩვილ ბიჭს ეფერებოდა. შუადღემდე მეოთხედი ქცევა ძლოვს მოხნეს. მზე ფიცხად აცხუნებდა ზემოდან. ვარსკვლავისას დაიარავებული ძუძუსკვირტები დაუხმა და დაუქერქეშდა. პერანგი მკერდზე ეწებებოდა, ტკივილები სულს უხუთავდა. ქმარ-შვილი რომ არ შეეწუხებინა, მოთმინებით იტანდა ყველაფერს.

— ცუდი ფერი გადევს, თვალო?! — შენიშნა ბეგთამ მეუღლეს. ვარსკვლავისამ ხმა არ გასცა, მინდორს გახედა და თავის მხრით შეეკითხა:

— ნახევარ ქცევას რომ ეყოფოდეს ეს თესლი, ჩვენს ბედს ძალლი არ დაჰყევს.

სიტყვა არ ქონდა დასრულებული, რომ მათ ზემოთ წეროების მთელმა წყებამ გადაიქროლა. ისინი ლალან-ლალანით მიფრინავდნენ აღმოსავლეთისაკენ. მოულოდნელად ტვერებიდან არწივი აფრინდა. იგი საოცარი სისწრაფით ავარდა ცის გუმბათში, ერთხელ ირავ გააკეთა და, როგორც ისარი, ისე წავიდა ბაწრად გაბმული წეროებისაკენ. უდარდელად მოგზაურმა ფრინველებმა მაშინ გაიგეს მტრის სივერაგე, როცა ერთ მათგანს ბრკყალები გაუყარა ონავარმა. მოისმა სამინელი წივილი. წეროები ერთბაშად შემობრუნდნენ და თავზე დაესხნენ მტერს. არწივი ნაღველით იქვე ახლო ბეჩქნარში დაეშვა. წე-

როები გააფთრებით დაედევნენ თავ-  
დამსხმელს.

ცაბუს თვალები აუელვარდა, ეტყო-  
ბოდა, რაღაც მოისაზრა, მამას ხელიდან  
გამოსტაცა ბზის ხელსაბიჯი ჯოხი და  
იქითკენ გაიქცა. ფრინველების ყვილ-  
ზე მათ საომარ ადგილს მალე მიაგნო  
ცაბუმ. არწივის ნადავლი ისევ კლანჭებ-  
ში ჰყავდა მომწყვდეული, ფრთები გაე-  
ფაფრა და თვალების ბრიალით იგე-  
რიებდა წეროებს.

ვაი მას, ვისაც მისი რკინის ჩანგა-  
ლივით მოკაუჭებული ბასრი ნისკარ-  
ტი ჩაესობოდა სხეულში. გარემო  
ბურტყელის კორიანტელი იდგა.

ცაბუ ჯოხმომარჯვებული დაესხა  
არწივს თავზე. არწივი არ შეშინდა. სის-  
ხლიანი თვლებით იგი ნადავლის მიტო-  
ვებას არ ფიქრობდა. იგი ფრთებგაშლი-  
ლი და ნისკარტმომარჯვებული ელვა-  
რე თვალებით უყურებდა ცაბუს.

— მე მშია, თითქოს ამბობდა იგი,  
ამასთანავე, ონვარი ვარ, დაუნდობელი  
და სისხლის მოყვარე!..

— მეც მშვიერი ვარ, — უპასუხებდა  
ცაბუს თვალები. შიშშილი კი ამ ქვეყა-  
ნაზე ყველაზე მეტად სისხლმოყვარეა.  
ყველაზე მეტად გამებედავი და დაუნ-  
დობელი. მხოლოდ შიშშილია მკვლე-  
ლობათა საწყისი. თუ ნადავლს არ და-  
მანებებ ჯოხით გაგივსუტ თავს!

არწივი შეაშინა გააფთრებული ადა-  
მიანის თვლების ბრიალმა. იგი ზღაზე-  
ნით აფრინდა ცაში და ტვერებისაკენ  
გადაიქროლა. წეროებმა იგრძნეს არ-  
წივზე უფრო საშიში მტერი. ისინი მწყ-  
ხარე ყვილით და ფრთების ფაქუნით  
გაშორდნენ იმ ადგილს. მიწაზე მხო-  
ლოდ არწივის მსხვერპლი დარჩა.  
ბურტყელისაგან გაკლილი და დასისხ-  
ლიანებული მკედარი ეგდო ბუჩქის ძი-  
რას.

ბეგთა ძალიან გააბარა ცაბუს ნანა-  
დირევმა, მას გუშინდელი ყანჩა გაახ-  
სენდა ტბორებში თევზებს რომ დაუნ-  
დობლად, მსუნჯად ყლაპავდა.

— ახლავე გაფატრეთ და ჯოხზე წა-  
შოაგეთ, — ბრძანა მან და საშამფურე

ჯოხს დაუწყო გათლა. ქალბნმა წერო  
გაასუფთავეს და ნაწილ-ნაწილ აქნეს.  
როცა გაფატრეს, კუჭიდან ფრინველს  
ხუთიოდე უცხო მარცვალი გადმოუც-  
ვიდა. მარცვლები ჩვილი ბიჭის ფრჩხი-  
ლების ტოლები ჩანდნენ, ზოგი თეთრი  
იყო, ზოგი ყვითელი. ვარსკვლავისა გა-  
ოცებით დააჩერდა უჩვეულო მარც-  
ვებს. ზღვაგაღმელ ქალს საშობლო  
და სიზმარი ერთად მოაგონდა. იგი დაი-  
ხარა, მარცვლები ამოკრიფა და ხელის  
გულზე დაიწყო.

— სწორედ ის მარცვლებია, — ჩურ-  
ჩულით თქვა მან და ქმარ-შვილს გადა-  
ხედა.

ბეგთამაც იცნო კაცლები. ეს თეთრი  
და ყვითელი მარცვლები, ახლა ვარსკვ-  
ლავისას ხელის გულზე რომ ბრჭყვია-  
ლებდნენ, არაერთხელ უნახავს თავისი  
მეუღლის ქვეყანაში. ძველ მეთევზეს  
თვალწინ დაუდგა ტვერივით ჩაღრუბ-  
ლული და ფართოდ გაშლილი შრიალა  
ყანები. მოაგონდა მისი დაფქვილისაგან  
გაკეთებული ღომი და ნამცხვარი. ახა-  
ლი თბილი მკადის სუნმა თითქოს  
ცხვირში შეუღლიტინა ბეგთას. მოხუცმა  
მეტი ძალ-ღონე იგრძნო ტანში. იგი მე-  
უღლის ხელისგულისაკენ დაიხარა.

— აი, რა უნდა წამოგველო, თვალო,  
რიონულაში, — მტკიცე საყვედური  
თქვა მან და თანვე დაუმატა: — ხალხი  
სულს მოითქვამდა, სოფელს გაეამდიდ-  
რებდით, ქვეყანას დოვლათს შეეძენ-  
დით. როგორი მოსავალი იცის მერე?!  
ბელლებს ავაესებდით, ხარ-კამეჩს და-  
ვასუქებდით.

ცაბუმ და მზიამ დახედეს მარც-  
ვებს.

— დედიკოს ძუძუსკვირტების ფერის  
არისო, — გაიღიმა ცაბუმ და ვარსკვლავ-  
ისას შეანათა თვალები.

დედას თვალბში სინათლე აერია.  
სახეზე ალმური მოეკიდა. იგი იქვე  
ხნულში ჩაჯდა და გულისსაკინძე გადა-  
იღელა. საშობლოსა და ძუძუსკვირტე-  
ბის გახსენებამ, ეტყობოდა მკერდი უფ-  
რო აუწვა და ატყინა.

სიცხე თანდათან მატულობდა. ტყის

ჩრდილებქვეშ შეფარებული ფრინველები ჩაჩუმებული იყვნენ. მხოლოდ რიონის დუღუნი არღვევდა აღმურმოდებული ქალების მღუმარებას. ცაბუმ დახედა დედის მკერდს და შეკვივლა. ვარსკვლავისას ბავშვის კბილდანადგამი ძუძუსკვირტები ჩამოსცვენოდა. დედის უბეში ისინი წეროს მოტანილ მარცვლებივით ეყარნენ. თვითეულ მათგანს ჩეილი ბიქის თეთრი ქათქათა კბილის ნაკვალევი ისე აჩნდა, თითქოს შიგ ჩარჩენოდეს იგი.

— არაფერია, შვილო, — წყნარად თქვა დედამ. — ქალთა შორის ამქვეყნად, მგონი, ყველაზე კარგი მზითვი მე მომყოლია.

იგი კაბის შრიალით ადგა, ხელისგულზე დაპნეული და უბიდან ამოკრეფილი მარცვლები სათითაოდ გააკაკალა.

— რას აპირებ, დედიკო?! — გაიოცა ცაბუმ.

— ქვეყნის სიკეთეს, შვილო. ეს თესლმარცვალი მიწას უნდა მივაბარო, იქნებ ჩემი მკერდის მწუხარებამ და პატიოსნებამ, ჩვენი შთამომავლობის უტოდველობამ თუ სინათლემ გაამრავლოს იგი რიონქალის ნოყიერ მიწებზე.

ბეგთა გოხდაბიჯებული უყურებდა მუღლესს.

ვარსკვლავისამ ცალ-ცალკე ჩაფლა გამოხივრებულ თბილ ხნულში მარცვლები. როცა წამოდგა, ქმარს პირდაპირ შეხედა და თქვა:

— არ შეიძლება, ბეგთა, ამ მარცვალმა არ გაიხაროს!

— ჩვენმა დიდმა სიყვარულმა ძალა და ღონე უნდა მისცეს ამ თესლს. ღომის მარცვალი ჩიია და პატარა, ეს კი ხეაერიელია და ძლიერი. იგი ჩვენს ხალხს დოვლათს შემატებს, ძვალსა და რბილს გაუმარებს, ოთხეფეს გაამრავლებს და დაასუქებს.

დასავლეთიდან ზღეაურმა დაბერა. ტყეები შეშრიალდნენ. რიონის ტალღებმა ნაპირებზე შეაფრქვიეს ქარვისფერი შხეფები და მდინარის სიღრმიდან ისევ მოისმა ტყლაშუნი ლოქოების და

ზუთხების ბოლოებისა. ტყეში რომებმა და შეველებმა დაიფრუტუნეს, ეზოებში ათასფერმა ფრინველებმა იწყეს ფართატი.

ბეგთა ვარსკვლავისას მიუახლოვდა, ათრთოლებული ხელები მოხვია და ისე ჩაიხუტა, როგორც ახალგაზრდობის ეამს, დიდ ზღვებგადაღმა, მისი ცხოვრების პირველი გაზაფხულის დილას.

•  
•

ღრომ თავისი გაიტანა. ხანძარგადავლილ ადგილებში ახალმა ყლორტებმა ამოწვერა, ტყეებმა ისევ დაიწყეს შრიალი. ნასახლარებზე ახალი ოდენი გაიმართა, ტყეში შევლ-ირემი გამარავლდა, ეზოებში ხარ-კამეჩის ფრუტუნი გახშირდა.

მოხუცი ცოლ-ქმარი სასოებით შეხაროდა შვილიშვილის ზრდას.

სიმინდის ყანამ თანდათან დაიპყრო სათესი მიწები, წელში მოხრილი ბეგთა ღიმილით გაპყურებდა ცისკენ აზიდულ ვაჟაკის მკლავის ოდენა ტარობებს. პატარა ბიჭი ბაბუას ყოველთვის თან დასდევდა. ხელიხელჩაკიდებულნი მიჰყვებოდნენ ისინი მდინარის პირს.

— აი, შეხედე, ბაბუ, როგორ მარგალიტისფერ ქაველებს იყრის რიონის ზედაპირი. მის ფსკერზე ისევ სუნთქავენ მოჩუხჩუხე წყაროები, ისევ სულს ითქვამენ ბინადარი ლოქოები. — პატარა ბიჭი სახეგანათებული უსმენდა ბაბუას.

მერე მოხუცი ყანის პირას ფიჩხის ცეცხლს დაანთებდა, სიმინდის ტაროს მოსტეხდა, გადაფრჩხილავდა და, სანამ შესაწავად ნაკვერცხლებს მიუფიცებდა, შვილიშვილს ეტყოდა:

— აი, დაიხსომე, იგი ბებიაშენის რძეა, შვილო, ტკბილიც არის და ნოყიერიც.

ჰყლინტი ტაროდან მართლაც რძისფერი შხეფები ვარსკვლავებივით ამოცივოდა და ბაბუას თითებს და ბიქის სახეს თეთრად დასცვარავდა. როცა ტარო კარგად შეიბრაწებოდა ბეგთა ისევ



დააქერდა მარცვალს ბებერა ფრჩხილს და დააბოლოვებდა:

— ეს კიდეც შენი კბილია, როცა ჩვილი იყავი, ბებოს ძუძუზე უკბინე, არ დაიფიწყო, ბაბუა, ამ მარცვალმა ჩვენ სიმდიდრე და დოვლათი შეგვჭინა. სიმინდის შემწვარი მარცვილიდან მართლაც ბავშვის კბილის ტოლი თეთრი სათესლე ამოვარდებოდა. — ბიჭს ნამდვილად სჯეროდა ბაბუას სიტყვები.

— ეს რა არის, ბაბუა? — ეკითხებოდა თავის მხრით ბიჭი და სიმინდის ფორებს უჩვენებდა ბეგთას.

მოხუცი მეთევზე მაშინ ბლუჯად ამოგლეჯდა სიმინდის ფორს შენამულ ფაფუკ გრძელ-გრძელ ღერებს, გადაგრებდა, შვილიშვილს ულვაშივით მიაწებებდა და ღიმილათ ეტყოდა:

— ეს კი ჩემი ულვაშია, ბიჭო. შენც მალე მოესწრები, შვილო, ვინძლო არ შეარცხვინო!

• • •

ეს ამბავი მე რიონისა და გუბისწყლის ნაპირებზე გავიგონე.

— იმერელი კაცი დედის ძუძუს რომ ტუნს მოაშორებდა, მერმე სიმინდი იყო მისი საზრდო, — მოთხრეს კოლმეურნე გლეხებმა.

შემშარიტად ეს ასეა. ახლა კი, ვისაც ქვილინტი სიმინდის რძით საცხე ტაროზე კბილი დაუდგამს და დაჰკვირვებია, შეამჩნევდა, თათქოს ბუნებას მის თვითელ მარცვალში მართლაც ჩვილი ბავშვის თეთრი კბილივით ნაწილი ჩაუტანებია. შეიძლება ვარსკვლავისას ძუძუკვირტების თეთრი და ყვითელი ფერიც იმიტომ აქვს მის შებაეებულ მარცვლებს, რომ ისიც დედის მკერდით თბილი რძით არის ყოველთვის საცხე.

ისიც შეიძლება ვიფიქროთ, რომ სიმინდის მწიფე ტაროებზე გადმოშვებული ფორები ბეგთას ულვაშის ეშხს აგონებდეს ამ ამბის შემქმნელს.

ყველაზე მართალი კი მაინც ერთია: ბეგთას და ვარსკვლავისას შთამომავალი — კოლმეურნე გლეხები, სასოებით თესავენ და ზრდიან მის ხვავიან და ბუნებით მდიდარ ყანებს.

დაე, მათი გამარჯვებისა იყოს!



დაუშვიწყარი \*

რომანი

V

ზიუზრი გზავნიერება

უკვე შეღამდა, ვაჟა რომ ზარანდიას ეზოს ჰიშკარს მიუახლოვდა.

ოღასავით მალაღზე წამოდგმულ ფართო სახლს გარს საგანგებოდ მოვლილი პატარა ბაღი ეკრა. აივნის წინ ფართო ტალავარი იყო, ახალშეფოთლილი ვაზით დაქსელილი; ვარდის ბუჩქის ნაყარი, გასაფურჩქნად შეკოკრილი, აივანს შეხვეოდა.

ამ ეზოში ვაჟას ყველაფერი არაჩვეულებრივად მოსწონდა, მისთვის ყველაფერს რაღაც თავისებური მშვენება ჰქონდა. რამდენჯერ, მცირე ხნის მეტადინეობის შემდეგ, გამოსულან აქ ვაჟა და იაშზე, მღუპარედ შეჩერებულან, უსიტყვოდ უგრძნობინებიათ ურთიერთისათვის თავიანთი გულისნადები.

ახლაც სიამით მოავლო ვაჟამ ეზოს თვალი, უმაღვე დამშვიდდა, რადგან იქ არაფერი არ შეცვლილიყო, ყველაფერი ჩვეულებრივი გულგაშლილობით ეგებებოდა.

ერთხელ უცნაურმა ოცნებამ აიყოლია ვაჟა, წარმოიდგინა, თითქოს სამამულო ომიდან ბრუნდება, მწუხარე ასმათს სასიხარულო ამბავი უნდა მოუტანოს, თითქოს...

და ანაზღად შეერთა ოცნებით გატაცებული, მამიდა ასმათს სახე აარიდა. გულთმისანივით მიუხვდა ასმათი, მიეფერა:

— რამ შეგაკრთო, შეილო! ჩემმა მწუხარებამ გუნება არ გაგიფუქოს, შემოგველა...

აი, საცაა შეაღებს ვაჟა ჰიშკარს და ნეტავი მართლა შეეძლოს რითიმე ანუგეშოს ეს კეთილი ადამიანი, რომ იაშზეს

ირგვლივ არავის სამწუხარო არა გააჩნდეს რა.

ამ ბოლო დროს სავსებით დარწმუნდა ვაჟა, რომ ასმათს მისი მისვლა სიამოვნებას ჰგვრიდა, დედასავით მიეგებებოდა; თუ შემთხვევით იაშზე შინ არ იყო, მის მოსვლამდის თავისი ვაჟების ამბავს მოუყვებოდა; ცრემლი რომ მოერეოდა, თავს შემოუძახებდა, სტუმარი არ მოვაწყინოო, საუბარს შეცვლიდა, იაშზეს ბავშვობას მოიგონებდა.

იაშზეს მამა — ვალიკო ზარანდიას იშვიათად ხვდებოდა ვაჟას შინ. პირველად მგონი არ სიამოვნებდა ვაჟას მისვლა. ცოტა არ იყო, თავიომწონე კაცი იყო და ქარხნის მუშას სიძედ არ შეიფერებდა. ძალიან ბეჯითი იყო, თუ თავის პატარა ბაღში სამუშაო არა ჰქონდა, წიგნებს კითხულობდა. გარეგნულად არ იმჩნევდა, ისე კი მთელი მისი სიცოცხლის დედაარსი იაშზე იყო. უკვე სამი წელიწადი გავიდა, რაც შეუღლე გარდაეცვალა, თვითონ ხანდაზმულობა არ ემჩნეოდა, კარმაგი იყო, მაგრამ მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ იაშზეს დედინაცვალს არ მოჰგვრიდა. თავისი ერთადერთი ქალიშვილის გათხოვება სწავლის დამთავრებამდე სასურველად არ მიაჩნდა. მომავალი სასიძო კი უთუოდ დიდად განათლებული და მასახელო ვაჟაკი უნდა ყოფილიყო. ვაჟას თუმცა გარეგნულად დასაწუნებული არაფერი ჰქონდა, მაგრამ იაშზეს შესაფერი იგი ვერასოდეს ვერ იქნებოდა. იაშზეს კბილაა, ოცდობრივი წლის კაცია და სწავლას ახლა აპირებს! არა, არა, ვალიკო ზარანდიას ქალი-

\* გაგრძელება იხ. „მნათობი“ № 11.

შეიღოს — იამზეს ასეთი ჩამორჩენილი ვაჟი არ შეეფერება.

ეს შეხედულება ვაჟას წინაშე ვალიკოს არ გამოუმყდვენებია, მაგრამ ვაჟასათვის მამის გულის საიდუმლო დაფარული არ იყო. ეს მას მაინცდამაინც არც აწუხებდა, რადგან არაერთი გარკვეული მიზანი დასახული არა ჰქონდა; მისთვის ისიც საკმაო იყო, რომ თითქმის ყოველ საღამოს ნახულობდა, იმ პაერში ტრიალებდა, სადაც იამზეს სიტურთუ მისის ვარდივით აკმევდა სურნელებს.

შეაღო თუ არა ჭიშკარი, სიცილი მოესმა. დააყურა. არა, ეს იამზეს სიცილს არა ჰგავს, სტუმარია. ერთი კი არა, რამდენიმეა. უმაღვე სამოსზე დაიხედა. ხალათი სუფთაა, შარვალს კი რამდენიმე ლაქა აჩნია.

ეწყინა. შინ რატომ არ შეიარა, კოსტუმში რატომ არ ჩაიცვა. ასე როგორ გამოჩნდეს უცხო ხალხში. სჯობს გაბრუნდეს, მაგრამ მისელა-მოსელაში დიდი დრო გაეა. ისე სწყურია იამზეს ნახვა, მისი ხმის გაგონება, რომ დაყოვნება არ ძალუძს.

გულმა ხომ არ უაზრა იამზეს? ივანეზე გაღაღგა და ჭიშკართან მღგარ, საგონებელში ჩაეარდნილ ვაჟას მოჰკრა თვალი.

— აჰ, ვაჟა! მობრძანდი, რას გაჩერებულხარ!

ვაჟას სამოსი არ მოჰგონებია; კბეზე ფრთაშესხმულივით აიბრინა.

იამზემ თავის მეგობარს ჰარბი აღტაცება შენიშნა, თვითონაც გული შეუქანდა, მაგრამ სასტუმრო ოთახიდან ამხანაგების ხმა მოესმა, გამოერყვა, დადინჯდა.

თავაც ერთმა აზრმა გაუელვა: იქნებ ეს გარეგნული მოწონება ჯერ კიდევ არ არის ნამდვილი სიყვარული. უნდა დააკვირდეს. მამამ ხომ გადაჰკრა ამას წინათ სიტყვა: წუთიერ გრძნობას არ აჰყვეო, დიდ მომავალს დიდი აწონ-დაწონა უნდაო. ბრმა აღტაცებამ შეიძლება ადამიანი უფსკრულში გადაჩეხოსო.

თვალის დაბამხაემაზე შემოხდნა მგერამ საოცარია, ვაჟას არსებობა იამზეს სახეზე უცნობი ჩრდილი. ასეთი რამ ჯერ არ შეუნიშნავს ვაჟას, ეს რალაც ახალია, ცივი, მიუჯარებელი.

თავი დახარა, თვალში ისევ ლაქებიანი შარვალი მოხვდა, დაიბნა.

— მობრძანდი, ვაჟა, ჩემი ამხანაგები გაიცანი.— დარბაისელი მასპინძლის ტონით მიმართა იამზემ.

— არა, უხერხულია, — ჩაილაპარაკა ვაჟამ, მაგრამ სწორედ იმჟამს ასმათმა გამოიხედა თავისი ოთახიდან, ვაჟას მიმართა:

— ნენა-შვილო! ჩემი ვაჟა მოსულა! — თქვა ალერსით, ხელი წელზე მოხვია და სასტუმრო ოთახისაკენ წაიყვანა.

იამზეს ამხანაგებს საქართველოს რუკა გაეშალათ და მომავალი ექსკურსიის გეგმას ადგენდნენ.

პირველად თავი ნანი ონიანმა ასწია. ეს იყო ბიოლოგიის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი, ხმელხმელი, ტანაშოლტილი ქალიშვილი. მეტყველი, ღია თავლისფერი თვალები სანდომიან იერს აძლევდა მის მოგრძო სახეს, მაგრამ თუ გული მოუვიდოდა, დაკრილი ორბივით მკაცრად შემოგაცქერდებოდათ.

— აჰ, ეს ის იქნება, იამზეს მეგობარი! ხომ მართალია! — წამოიძახა ნანიმ და მეგობრული სითამამით მიეგება ვაჟას, გრძელი მკლავი გაუწოდა, ხელი გაეკაცურად ჩამოართვა.

— დიას, მომავალი სტუდენტი, ვაჟა მშვიდობაძე გაზღავთ! — ყველას გასაგონად თქვა იამზემ. მერე სათითაოდ გააცნო ვაჟას თავისი ამხანაგები.

ვაჟა თუმცა თავს ძალიან უხერხულად გრძნობდა, მაგრამ იამზეს ამხანაგები ყურადღებით შეათვლიერა.

ნანიმ პირველი შეხედვისთანავე მოინადირა ვაჟას გული, მიიზიდა იგი, თუმცა მეტად თავისებური შესახელობა ჰქონდა ნანის, გეგონებოდათ, ამაყი შველი ან ჯეირანი ლაღად გამოსულაო მინდორზე, მაგრამ საკმარისი იყო ავი თვალი შეესწრო ვინმეს, რომ იგი

მყისვე მოწყდომოდა ადგილს, უღრან ტყეს, ან ტიალ ველს მიჰფარებოდა.

ლევან ჯანელიძეს რომ ხელი ჩამოართვა, ვაჟას მასში განსაკუთრებული არა აღმოუჩენია რა; შუა ტანის ჩასკვნილი ქაბუცი იყო. მის მრგვალ, ფერხორციან სახეს, თუ დააკვირდებოდით, რალაც სინაზე დაჰკარავდა, გულკეთილობისა თუ ხასიათის სისუსტის გამოჩნატვლი. იმწამს კი ვაჟას ეს არ შეუძინებია, თავის გუნებაში აღნიშნა მხოლოდ ლევანის ცისფერი, მადლიანი თვალები.

ხოლო როცა ავთანდილ ზეკარელს გაეცნო, ტანში მყისვე ციგმა ნაკადმა დაუარა, შუბლი შეიკრა და განზე გადაგა. მერე უპირველესად თვალი მანინც მისკენ გააპარა, ახელ-დახელა.

ავთანდილი მალა-მალალი კაცი იყო, მხრებში ოდნავ მოხრილი. ეტყობოდა, მკერდი სუსტად ჰქონდა განვითარებული. სამაგიეროდ მის მოგრო სახეში ქარბად იგრძნობოდა კადხიერება, სითამამე და გულჩაზეულობაც. შუბლს იშვიათად გაშლიდა, გრძელი წარბები ხშირად ეკუმუნებოდა; მის ღიმილსაც სითბო აკლდა, ტყვიისფერ თვალებში კი მტაცებლური ნაპერწკალი უელვარებოდა. იშვიათად, როცა მოინდომებდა, მიმზიდველობას შეიფერებდა.

ცნობილი პროფესორის ზაზა ზეკარელის უმცროსი ვაჟი იყო ავთანდილი. ბავშვობიდანვე თავნებად იზრდებოდა. საშუალო სასწავლებელი რომ დაამთავრა, მეტად ცუდ წრეში მოხვდა.

ვაჟამ ავთანდილ ზეკარელის არც ავი იცოდა და არც კარგი, მაგრამ პირველი შეხვედვისთანავე არ მოეწონა იგი. ეს, ალბათ, იმიტომ, რომ ავთანდილმა ცივად დახედა მადლიდან, ხელიც ცივად ჩამოართვა, თვალი კი არ გაუსწორა, ვაჟას ლაქებიან შარვალს დააკვირდა და თხელ ტუჩებში დამცინავი ღიმილი დაეკლავა.

უხერხული ღუმილი ჩამოვარდა.

იამზეს მასპინძლის მოვალეობა დაავიწყდა. თითონ თითქოს არავითარი

მონაწილეობა არ მიუღია, მსგ. დაგზავნი გულში კითხვა: „ნეტავი რომელს უფრო ვუყვარვარ, ვაჟას, თუ ავთანდილს?“ მთელი არსებით ვაჟას მხარეზე იყო, მაგრამ ამწამს იმდენად გაიტაცა ცნობის-მოყვარეობამ, რომ ავთანდილ ზეკარელს სულ სხვა თვალთ შეხედა, რალაც მეტად საინტერესო რამ არის ამ ზვიად ქაბუცში; იქნებ არც ისე ცივია, როგორც გარეგნულად მოჩანს. არა, ვაჟას როგორ შეედრება, მაგრამ მაინც...“

ნანი ონიანს საოცრად მახვილი თვალები ჰქონდა, მან მყისვე დაინახა ის ცივი კედელი, რომელიც ავთანდილსა და ვაჟას შორის აღიმართა. იამზესაც ქალური თამამის მაგვარი რამ შეამჩნია და ეშმაკურად გაელიშა. მერე შევლივით შეტოკდა, მიმოიხედა, ვაჟასთან გაჩნდა, მხარზე ხელი შეახო და გულთბილად უთხრა:

— სწორედ ისეთი ყოფილხარტ, როგორც წარმოუგენილი მყავდით. იამზემ ბევრი მიაპბო თქვენზე. როგორ მიდის საქმე? მეცადინეობაში ხელი ხომ არ გეშლებათ?

ვაჟამ მადლიერი თვალთ შეხედა ნანის და ღიმილით უთხრა:

— ჯერ ქარხნისათვის თავი არ დამინებებია, საკმაო დრო არა მრჩება, მაგრამ იმედი მაქვს, რომ არ ჩავიკრები.

— კარგია, კარგი! თქვენ თავიდანვე ფრიადოსნობას აპირებთ. ხომ იცით ახალი წესი, თუ ერთი სამიანი გამოგერი, სტიპენდიას უნდა გამოეთხოვო.

— სტიპენდია ჩემთვის არაფერს ნიშნავს! — მედიდურად ჩაილაპარაკა ავთანდილმა.

— შენისთანა შეძლებულისათვის იქნება არაფერია, ჩვენთვის კი... — შეესიტყვა ნანი, — მამაჩემი გამოცდილი ინფინერია, ხელფასიც არა აქვს მცირე, მაგრამ ოჯახში ზუთნი ვართ და სტიპენდიას რომ მივიტან, საკუთარ თვალში ფასი მემატება.

— ეგეც რომ არ იყოს, — დემოწმა ლევან ჯანელიძე, — სამიანზე სწავლა რა ვაჟაკობაა, სირცხვილით თვალს ხად უნდა გაახილო!

ავთანდილს სახე აელეწა: მიუხედავად იმისა, რომ ცნობილი პროფესორის უმცროსი ვაჟი იყო და ბევრი დამხმარე ჰყავდა, ნიშნებში საშინაო მუდამ ერია. უნიჭო არ იყო, მაგრამ მუშაობას გულს არ უღებდა. წიგნის კითხვა ეზარებოდა. მხატვრული ლიტერატურაც კი არ იზიდავდა. თუ სტუდენტებში რომელიმე წიგნზე საუბარი მოდად აქცეოდა, მაშინ აიღებდა ხელში, დასაწყისსა და დასასრულს თვალს გადაავლებდა და თავი უკვე სხვებზე უფრო მცოდნედ მოჰქონდა. საუბარში გაბედულად ჩაერეოდა, ურთოკრული ცნობებით ფონს იოლად გადიოდა. დიდად კადნიერი იყო და ლაპარაკიც დამაჯერებელი იყო.

— თვალი სად უნდა გაახილოსო! — ეუშტად შეეკამათა ლევანს. — რამდენი გამოჩენილი მეცნიერი პირველად სულ საშინაო სწავლობდა, ზოგი მათემატიკაში, ზოგი სხვა რომელიმე საგანში, მაგრამ შემდეგ რა სიმაღლეზე ავიდა. ვიცნობ მე, თქვენც კარგად იცით, ზოგი თუთიყუში რომ საგანს დაიზებირებს და გამოცდებზე სხაპასტუბით პასუხობს. საგანს კი სულ არ იცნობს.

— კაცი მართლა გამოთავყვანებული უნდა იყოს, რომ ჩვენს დარგს სწავლობდეს და ბიოლოგიამ მთელი არსებით არ გაიტაცოს. ეს მეცნიერება ხომ ძირფესვიანად გვასწავლის ყველაფერს, რაც არსებობს, რაც ცოცხლობს!

— მართალი ხარ, ლევან! — აღერსიანი ხმით უთხრა ნანამ, უთხრა და ისეთი თვალებით შეხედა ლევანს, რომ საოცრად დამშვენდა ეს ტანწერა ქალიშვილი.

ლევანს სახე გაუღაღაღდა, ნანის დაყვავება გულის სიღრმეში სათუთად გადამალა და კრძალვით თავი დახარა.

— მართლაც და, — განაგრძო მცირე პაუზის შემდეგ ნანამ, — რა შეიძლება იყოს იმაზე უფრო საინტერესო, როცა ერკვევი სიცოცხლის დედაარსში. აქ არის ზოოლოგია, ბოტანიკა და კიდევ, იცით, ყველაზე მეტად მე რა მიინტერებს? სიცოცხლის წარმოშობა! აი,

ამაში რომ გაერკვევი, მაშინ მართლაც ბევრ რამეს დაინახავ... სიკოცხლის

ეტყობოდა, ნანის კიდევ უნდოდა განეგრძო, მაგრამ ავთანდილმა შეაწყვეტინა.

— მაგაზე უფრო ბურუსიანი არაფერი არ არის. სიცოცხლის გაგება თუ გინდა, მიიხედ-მოიხედე და ყველაფერს დაინახავ. მოყვებიან ფილოსოფოსობას! მაგალითად, ძველისძველი ფილოსოფოსი არისტოტელი ამბობს: სიცოცხლე არის კვება, ზრდა და დაბერებაო. აბა, მოთხარით, რა სიბრძნეა ეს? რა საჭიროა იმის მტკიცება, რომ ორჯერ ორი ოთხია...

— კარგი, კარგი! — წამოიძახა ნანამ, — ნუ იცი ხოლმე შენ ყველაფრის გაიოლება და გადამლაშება! ჯერ ერთი, არისტოტელი აგრე აბუჩად ასაგდები არ არის, ის ლაპარაკობს იმ შინაგან მიზანზე, რომელიც სიცოცხლეს თავის თავში აქვს; მეორე, არისტოტელის შემდეგ მეცნიერება საიდან სად ავიდა! დედამიწაზე სიცოცხლის წარმოშობის პრობლემა ძირითადად ახლა უკვე გარკვეულია.

— ეს კიდევ თავისას არ იშლის! — გაჯავრდა ავთანდილ ზეკარელი, — რა ყრია ამნაირად გაგებულ სიცოცხლეში! აბა, ერთი წარმოიდგინეთ: უზარმაზარი ზღვა... აქა-იქ ხველეთი ჩნდება. აგერ ნაპირზე ამოდის რაღაც ხელიკის მაგვარი ცხოველი, ძლივს დაფოტხავს საძაგელი. მიხობავს ეს ხელიკი თუ მუზმუზელა, მიხობავს. გადიან საუკუნეები და ჩნდებიან მაიმუნები... არა, არა, თქვენ გყავდეთ საკუთრად ის მუზმუზელა და მაიმუნი, მე კი მომეკით ნება ჩემი თავი აღამიანად წარმოვიდგინო!

ვაჟა თავს განეკრძობებულად გრძნობდა, სულ არ უნდოდა ჩარეოდა კამათში, მაგრამ ავთანდილის შეუქალმა მედიდურობამ აიძულა ეთქვა ორი სიტყვა.

— მერე ვინ გიშლით, თავი აღამიანად წარმოვიდგინოთ? — ცოტა არ იყოს ხმააწეულად შეეკითხა ავთანდილს. — განა მეცნიერები, ფილოსოფოსები იმას ქა-

დაგებენ, რომ ადამიანი არ უნდა ამაღლდესო? ერთი მეცნიერი ამბობს: ყველაზე დიდი საქმე, რომელიც შეიძლება გააკეთოს ცალკეულმა ადამიანმა, ეს არის ის, რომ მან ჩააკლას თავის თავში რომელიმე ველური ინსტინქტი. ამით ის გააქეთებს საკაცობრიო საქმეს, რადგან ეს ველური ინსტინქტი ჩამოშალვას აღარ გადაეცემა. (ეს მამასთან საუბრიდან დაიმახსოვრა ვაჟამ). მე იქნება დაწყობილი ვერ ვლაპარაკობ, მაგრამ იმედოვნა, რომ მიხვდებით, რისი თქმაც მინდა. აი, მაგალითად, სპენსერი. სპენსერის მიმდევართა შეცდომა იმაშია, რომ მათ შერჩევისა და შეგუების კანონიდან გამოიტანეს დასკვნა, თითქოს ყველაფერს ქმნიან გმირები, მასები კი არაფერს არ წარმოადგენენ...

ნანი დ ლევანი განცვიფრებით შეამტერუნენ ვაჟას, ქარხნის მუშამ ამდენი ცოდნის შექმნა როდის მოასწროო, ხოლო ავთანდილს მისთვის ჩვეული დამცინავი ღიმილი მოერია, გუნებაში გადაწყვიტა, ესეც ჩემსავით ყურმოკრული ცნობებით იოლად გადისო.

სწორედ ამ დამცინავ ღიმილს შეასწრო თვალა იამზემ, გულმა არ მოუთმინა და თავიებური სიღინჯით წამოიწყო:

— არა, არა, ავთანდილ! მაგრე ირონიულად ნუ უყურებ... (უნდოდა ეთქვა ვაჟასო, მაგრამ მოასწრო და შეასწორა) ამ საკითხს. განა ბიოლოგიურმა მეცნიერებამ ადამიანი უნდა შეგვაძლოს მისი ველური წარმოშობის გამო? განა ექიმი იმიტომ სწავლობს ადამიანის ანატომიას, რომ მის თვალში სიცოცხლემ დაკარგოს თავისი მზიური მშვენიერება?

ავთანდილი სკამზე გასწორდა, წინწამობრილი ნიკაბი ხელისგულზე დაადრნო და იამზეს მიაცქერდა. ამ ბოლოდროს ზნორად მოსდიოდა ასე. რამდენადაც ამიზეზებული არ უნდა ყოფილიყო, ყველაფერი ავოწყდებოდა, მშვიდდებოდა, იამზეს სიტურფე აჯადოებდა. ბევრი უნახავს მასზე ულამაზესი, მაგრამ იამზე სულ სხვა იყო; მასში სწორედ ის მაღლი ელვარებდა, რომელიც

საესებით იმორჩილებდა ამ მშვენიერებას. ასეთ წუთებში აღარ უმჩნევია ის ცივი, მიუკარებელი იერი, რომლითაც მას თავიც კი მიჰქონდა. ტყვიისფერი თვალეში მტაცებლური ნაპერწკალი აღარ უკრთოდა, უბოროტოდ გამოიყურებოდა.

ვაჟამ იამზეს მხოლოდ პირველი სიტყვები გაიგონა, მერე საესებით შეიპყრო სიცოცხლის იმ მზიურმა მშვენიერებამ, რაზედაც იამზე ლაპარაკობდა; ასე ეგონა, იამზე კი არა, თითოთნ მეტყველებდა, სწორედ ისე უმზერდა მსოფლიოს, ისე განიცდიდა ყოვლისშემცველ სიცოცხლეს, როგორც იამზე. ამას კიდევ ისიც დაერთო, თითქოს იამზეში უფრო მაღალი, უფრო დიდი რამ აღმოაჩინა.

აქვეა იამზე, სულ ახლოს, წიგნებით საესე კარადსთან დგას; თეთრი, ნატიფი ხელი მაგიდაზე აქვს დაყრდნობილი; აუჩქარებლად ლაპარაკობს. მაღალ შუბლზე არტუ მთლად შავი თმის სულ პატარა კულუღი ერხევა; ლაყვარლვანი თვალეში ისე უბრწყინავს, თითქოს ნაწვიმარ დილით ნაძვის წიწზე დაკიდებულ ცვარში მზის სხივი კიაფობსო. აი, გულიანად გაიღიმა და მოგრძო სახის მოთეთრო ლოყა სულ მცირედ შეეკუჭა, რალაც თავისებური ეშხი მიემატა.

ანაზლად მეტად მწვავე რამ იგრძნო ვაჟამ, ავთანდილის სახე მოხვდა თვალში, სრულიად შეცვლილი, შთაგონებლი. იამზეს შეხედა, მერე კვლავ ავთანდილზე გადაიტანა მზერა; ეს უცნაური გრძნობა ახლა ტალად იქცა, მთელ სხეულში დაუარა, თვალეში გაუფართოვდა. ისე შეშფოთდა, თითქოს უფსკრულს წააწყდა და ცალი ფეხი უკვე დაუცდა, საშველი არაა. რას მოეჭდოს, ვის სთხოვოს შველა? ხმის დამტრა არ შეიძლება, არც ამ მძაფრი ტკივილის გამხელა. ეს რა საშინელი რამ გაიგო: ავთანდილს უყვარს იამზე! მერე როგორ უყვარს, როგორ შეცვლია სახე, როგორ გარდაქმნილამ რა გულუბრყვილო ყოფილა ვაჟა, ვერც კი წარმოედგინა, თუ

სხვაც შეიყვარებდა ასე თავდავიწყებით იამზეს, ვაჟს იანზეს, ბავშვობიდანვე თანშეზრდილს. რა ჰქნას ახლა, რა ცეცხლში ჩავარდეს?

უშწოდ მიმოიხედა.

სწორედ ამ დროს იამზემ სიტყვა დაამთავრა, ავთანდილს მიატკერდა, მისდამი წრფელი სიბრაღული აღეძრა, მოწყალედ გაუღიმა.

თვალთ დაუბნელდა ვაჟას. მიწამ თითქოს პირი დაალო. წამომართა, მხარით კედელს მიეყრდნო.

პირველად ნანი ონიანმა შენიშნა, ვაჟას რომ სახეზე მიწის ფერი დაედო. გულმტკივნეულად ჰკითხა:

— რა მოგივლიდათ, ამხანაგო ვაჟა, თავს ცუდად ხომ არა გრძნობთ?

ახლა იამზემაც მიაშურა, ლევან ჯანელიძემ მხარში ამოუღდა, ხელი მკლავში გამოსდო.

— უნდა წავიდე, თავს რაღაც ცუდათ ვგრძნობ, — ჩავარდნილი ხმით ჩაილაპარაკა ვაჟამ და კარისაკენ გაიწია.

მხოლოდ ავთანდილს არ მიუღია მონაწილეობა, სხვანი ყველანი ღრმა თანაგრძნობით შეეპატივნენ; ასითიცი იქვე გაჩნდა, ბევრი ეხვეწა ვაჟას, აქ მოისვენე-

ნო, მაგრამ ვაჟამ იუარა. მთავარი მთავრით მიამბიჯებდა, არც გაუგია თუ როგორ მიაცილეს ჰომეროსმდე ასმითა და იამზემ.

მალღობზე, ყორესთან ჩაჯდა ვაჟა, ზურგით ქვას მიეყრდნო.

გადაჰყურებდა გაჩირალდებულ თბილისს, მაგრამ თითქოს არათერს არა ხედავდა, მისი გონების მიღმა ბობოქრობდა სიცოცხლით სავსე ქალაქი. ეს უბანიც, სიყრმიდანვე ნაცნობი მუშათა უბანიც უცხო იყო მისთვის, არათერს აღარ შერჩენოდა ჩვეული მიმზიდველობა.

აი, თურმე რა მიამიტი ყოფილა ვაჟა! ეგონა იამზემ მარტოოდენ მისი ქვეყნიერება იყო, სხვა იქ ვერ დაისადგურებდა. რა დაუშლის? განა ავთანდილ ზეკარელი უფრო ახლოს არაა იამზესთან? ერთად სწავლობენ... ვინ იცის იქნება...

ფიქრი ვერ დაამთავრა ზარდაცემულმა. ჯერ ავთანდილის სიყვარულით შთაგონებული სახე წარმოიდგინა, მერე მისი პირვანდელი ზეიადი გამომეტყველება დაიჭირა და შუბლი შეიკრა, მრისხანებამ აიტანა; სწრაფად წამოღდა, წინ მოზრდილი ქვა ეგდო, მთელის ძალით წაჰყრა ფეხი; ტკივილი არ უგრძნებია, მძიმედ დაჰყვა დაღმართს.

## VI

### ოჯახის სიხარული

დიმიტრი ქარხნიდან რომ გავიდა, ელექტრონათურები კარგა ხანია ანთებული იყო; გზის პირად ნორჩფოთლებიანი ხეები მკრთალ შუქზე ბზინავდნენ.

ისე გაშმაგებული იყო, ირგვლივ არათერს არ ამჩნევდა. არც ის დაუნახავს, გზად მიმავალმა მუშამ რომ საღამო მისცა, მერე შედგა და თვალი გააყოლა გარეცხულმა.

მიღიოდა დიმიტრი და ჯერ კიდევ თვალწინ ედგა ბრავსორეული ბადურიშვილის ანთებული სახე.

გაესწორდებოდა, დაემუქრა! რა აქვს დიმიტრის გასასწორებელი, ვისი რა

მართებს? რაო, რა თქვა? შენი წარსული მიმოიხსრიეო! როგორ გაბედა? ახლა რომ ვინმემ უთხრას დიმიტრის, ცხოვრება ახლებურად დაიწყეო, არა, არ უარყოფს მის მიერ გამოვლილ გზას.

«ჰ, შენ არ იცი, ბიჭო, — გაესაუბრა გუნებაში ვილაცას, — რა იყო იგი, რა გატაცება, რა სიწმინდე, რა თავგანწირვა!.. საოცარია რევოლუციისათვის თავდადებულთა ბედნი! ზოგჯერ ის იჩინებს, ვისაც არათერი არ დაუთესავს; არც დაუთესავდა, მასზე დამოკიდებული რომ ყოფილიყო! ვინ იცის, რა კაცი იქნებოდა მაშინ ბადურიშვილი. განა ცოტანც

იყვენ ასეთი კარიერისტები, რეაქციის დროს მეფის მოხელეებს რომ ხელს უწყობდნენ?! ახლა გამოსულა და მე მპირდება ანგარიშის გასწორებას! კარგი, გავსწორდეთ! ჯერ ისე არ მოვტეხილვარ, რომ ბოროტების წინაშე ქედი მოვიხარო!”

ერთ წაძს, ალბათ, თავის გასამხნეველად, წარსულში გადაიხედა დიმიტრიმ.

ეს მეტეხის ციხეში მოხდა. საკანში გარედან შემოპარებულ გაზენტს კითხულობდნენ. პატიმრების ერთი ნაწილი სასეირნოდ იყო გამოყვანილი. ყრულ ისმოდა ბორკილების გაბმული ჩხარა-ჩხური. გაზეთის კითხვით იმდენად გატაცებული იყვენ, რომ ვერ შეამჩნიეს, თუ როგორ მიეპარა ციხის უფროსი. ყველა განხრიკეს. კარცერში ჩასვეს. მყარალი დილეგი საშინლად ეიწრო იყო, შიგ ორი ნაბიჯის გადადგმა არ შეიძლებოდა. სულ პატარა სარკმლიდან შემოსული ჰაერი არა ყოფნიდა დიმიტრის, რამდენჯერმე ბრუ კინალამ დაესხა. თავი მაინც მაგრად ეჭირა, რადგან მის რწმენას ვერაფერი ვერ გასტეხდა.

გადასასვლელთან შეჩერდა დიმიტრი, ტრამვაის თვალი გააყოლა, მერე ფიქრს თავი მოუყარა და დაასკვნა: „ასეა, ქვეყნისათვის თავდადებულთა ნაჰირნახულევი ნოყიერ ნიადაგს ჰგავს: ათასგვარი ყვავილი ამოვა ზედ; ამათგან უმრავლესობა დიდად სასარგებლოა; ზოგი ფუტკარს თაფლისათვის მასალას აძლევს, ზოგი საამო სურნელებას აერცელებს, ზოგი კი მყარალია და უმაქნისი, როგორც გულგამოფიტული უქნარა, როგორც... ჰო, ჰო, როგორც ეს ჩვენნი მედიდური ბადურიშვილი!“

აღმართს რომ აპყვა, მაშინ ოდნავ მოეშვა დიმიტრი, თავის საქციელს ჩაუკვირდა: იქნებ ბადურიშვილთან თავი გამომწვევად მეჭირა? იქნებ შენ თვითონ შეგვიპყრო ამპარტუნობამ, წარსულში იხედები და საოლღოსოს ვერ ამჩნევ? სხვის თვალში ბეწურს დანახვას რომ აპირებ, შენ ის მითხარი, ერკვევი

თუ არა, ირგვლივ რა ხდება ცხოვრებაში საით მიიპართება...

სჩვეოდა ხოლმე დიმიტრის: ვინმეს რომ არასაკადრის საქციელში დაიჭერდა და გაცხარდებოდა, დაურიდებლად იტყოდა, რასაც იმწამს ფიქრობდა, მაგრამ შემდეგ თავის გულში ჩაიხედავდა და ეძებდა, ცუდი ხომ არაფერი ჩაედინეო. ერთია ბევრი რამ ეპატიებინა მოწინააღმდეგისათვის, რადგან გამოცდილებამ დაარწმუნა, რომ ავი სიტყვის თქმა, ან უკეთური ნაბიჯის გადადგმა გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე სათნოება და კეთილმოქმედება. ავი პირველყოფილი ველურობიდანვე მოსდევს აღამიანს, ზოგს ბავშვობის ეანსაც ძვალრბილში აქვს გამჯღავრი; საქმე ის არის, რომ შენი პატიოსნება სხვებისათვის მისაბაძი იყოს. თუმცა... — აქ წარბი შეიკრა დიმიტრიმ, — ბადურიშვილისთან მედიდურებში სწორედ ეს კეთილსახიერება და პატიოსნება იწვევს ზიზღს. ამიტომაც საჭირო ბრძოლა მათ წინააღმდეგ ისეთი ცეცხლი უნდა გაჩაღდეს, რომ სულ გაიწმინდოს ჰაერი, წინ მიმავალს გზაზე არ გადაეღობოს ჩვენდა სამარცხვინოდ ჯერ კიდევ შემორჩენილი სიმამხინჯე... მაგრამ ერთი კია, საქირა ბრძოლა ფართოდ გაიშალოს, უცარი აფეთქება და დონკიხოტური გამოხტომა არ კმარა; ისეთი განწყობილება უნდა შეიქმნას ჩვენი ნოქმედ მასებში, მთელ საზოგადოებაში, რომ მეტიჩარამ და კარიერისტმა, ხარბმა და გაუმაძღარმა სირცხვილით გარტთ თავი ვერ გამოყოს. ეს დიდი საქმეა...

ტანში ამჩატდა დიმიტრი, ნაბიჯს აუჩქარა, სამოქმედო ასპარეზს იმედინად გახედა.

ნათურით განათებულ ჰიშკართან თებრონეს მოჰკრა თვალი. „საწყალი, დავიგვიანე და მელოდება“. — გაფიქრა დიმიტრიმ და თავი მოიზიარულა, რომ ამით ენიშნებინა თებრონესათვის, ცუდი არაფერი შემხვედრია, ხომ ხედავ, რა კარგად ვარო.

— სად ხარ, კაცო? გული გამიწყალდა შენს მოლოდინში! — საყვედურით



მიმართა თებრონემ, თან გუნებაში ეცი-  
ნებოდა, მედიკო რომ შინ ჰყავდა დამა-  
ლული.

— ჯერ მე მოვამზადებო დიმიტ-  
რის, — უთხრა მედიკოს, — ამ ბოლოს  
გულის ფრიალი დასჩემდა და მო-  
ულოდნელმა სიხარულმა ცუდად არ  
იმოჭმედოსო.

დიმიტრიმ დიმილით ახედ-დახედა  
თავის მეუღლეს, მერე სახეზე მია-  
ჭქერდა.

— შენ რაღაცა კარგი ამბავი იცი,  
თვალები გიციანს.

— ჰო, თქვა ახლა... ჯერ შენ გამა-  
გებინე, რატომ დაიგვიანე, ცუდად ხომ  
არაფერი?

— ცუდი? ისეთი არაფერი... მხო-  
ლოდ...

— თქვი, ჰო, სახეზე გატყობ, რომ  
რაღაცას მიმალავ.

— შენ რა უნდა დაგიმალო, თებროს!  
განა ცოტა გასაქირი გამოგვივლია? ეს  
რაა, ამას ადვილად მოვეჩვენებ.

— მაინც რას?

— გეტყვი. ჩვენი დირექტორი მე-  
მუქრება, ანგარიშს გაგისწორებო...  
ჰმ, — მწარედ ვაეღვიმა დიმიტრის, მა-  
ინც მტკიცედ ჩაილაპარაკა, — ჯავრი  
ნუ გაქვს, საკადრის პასუხს მიიღებ...  
მართლა, რატომ არ მეუბნები, რა იცი  
ახალი? მედიკოს წერილი ხომ არ მო-  
სულა?

— მედიკო?... მოდი აგერ, ჩამოგეჭი.  
გეტყობა, დაქანცული ხარ.

ხელი მოხვია თებრონემ, თუთის ძი-  
რას, მერხთან მიიყვანა, გვერდით მი-  
უჯდა, სახლისკენ თვალი გააპარა.

მედიკო ფარდასთან იდგა, გულის  
ფანქვალით ელოდა, დედა როდის მა-  
ნიშნებდა. პირველად რომ შეხედა მა-  
მას ელნათურის შოკზე, ვერავითარ  
ცვლილება ვერ შეამჩნია, ისევ ის არის,  
მხნე, სიცოცხლით სავსე. მაგრამ აგერ,  
მერხზე რომ დაჯდა და ქუდი მოიხადა,  
მაშინ ამოკითხა მამის სახეში, თუ რა  
მძ-მე ტვირთი უკარგებია მას ამ ოთხი  
წლის განმავლობაში. სულერთიანად  
გაქაღარავებულა... რა თავკერძები

ვართ შვილები! შევიკრებით ჩხელზე  
ჩვენს საკუთარ ქვეყანაში და უკან  
ალარ ვიხედებით, დრო არა გვრჩება.  
ეჰ, მაგიკო, ვიცი შენი ხასიათი. რომ  
იცოდე, რა ცეცხლი ტრიალებს ჩემს  
გულში. სიცოცხლეზე უმეირფასესი  
ადამიანი დავტოვე საპუნ-გორაზე და-  
მარხული...

მხედველობა დაენისლა მედიკოს,  
თვალზე ცრემლი მოადგა, ტუჩები შე-  
უთრთოლდა. მაგრამ წამსვე მხნეობა  
მოიშველია, მამას მიაშტერდა, მოუ-  
მენლობამ აიტანა, ისე მოსწყურდა მას-  
იან მიფართქალება და ალერსი, თით-  
ქოს არავითარ ქარცეცხლში არ გამო-  
ველოს, პატარა გოგონა იქოს და მამას  
კუკუმალულობას ეთამაშებოდეს.

თებრონემ რომ ფანჯრისკენ გაიხე-  
და, მედიკო შეტოკდა, ის-იყო, გარეთ  
უნდა გაქრილიყო, რომ თებრონე კვლავ  
დიმიტრის მიუბრუნდა და რაღაცა  
უთხრა.

— მაინც რა მინდაო? — შეეკითხა  
თებრონე, — რა დანაშაული მივიძღვი-  
სო?

— დანაშაულს კი გამოძებნის... და-  
ვანებოთ ახლა ამას თავი!.. შენ მედი-  
კო ახსენე.

— ჰო, მართლა, დიმიტრი! — ალერ-  
სით დაიწყო თებრონემ, მხარზე ხელი  
დააყრდნო, თვალებში შეაშტერდა, —  
რას იზმა ახლა, მედიკო რომ მოვიდეს?  
დიმიტრიმ თვალები დააცეკა.

— არა, თუ გიყვარდე, მითხარი, იც-  
რამე ახალი?

— დამშვიდდი, შემოგველე. წერი-  
ლი ხომ მივიღეთ, მალე მოვალო.

— წერილი კი, მაგრამ...

თებრონემ მედიკოს ხელი დაუქნია,  
მერე ქმარს მიუბრუნდა და იმ დამამ-  
შვიდებელი ხმით უთხრა, რომელსაც  
უკვე შეაბერდა დიმიტრი:

— ჰოდა, გაიხარე. ჰორიმი! მშვიდო-  
ბით დავიბრუნდა ჩვენი გოგო, ჩვენი  
გამხარებელი...

კარი გაიღო. მედიკო გამოჩნდა.

დიმიტრის სარკის ათრის. შიშოს მი-  
ეგებოს, მოეხვიოს, მაგრამ მხოლოდ

ხელების გაშლა შესძლო. ჰგონია, როდი ზის, წინ მიჰქრის, ნანატრ განთიადს ეგებება, სწორედ ისე...

ჰო, ეს დიდი ხნის წინათ იყო. ციმბირიდან გამოქცეულებმა საღამო ეამს სოფელს გვერდი აუარეს და ბილიკს მიჰყვნენ. ტოტებგადაქობილ ფიქვნარში შევიდნენ. დაღამდა. ადამიანის ნაკვალევი აღარ ჩანს. ტყეს კი დასასრული არა აქვს. დუმლიია. უღრანი ტყე თითქოს რალაციის მოლოდინშია გარინდული, არც ერთი წიწვი არ ირხევა. მიდიან. არც ტყეს უჩანს დასასრული და არც ამ საშინელ დუმილს. მოწყურდათ. შემოდგომაა, სექტემბერი, მაგრამ თუ სადმე რამე ტბორი იდგა, ან ნაკადი იყო, ყველა გაყინულია. ბოლოს ფიჩხი შეაგროვეს და ცეცხლი დაანთეს. ასწლოვანი ხეები თავისი ხშირი და გრძელი შტოებით სავსებით ჰფარავენ ცასა და ვარსკვლავებს... ქვეყნიერება თითქოს ახლა იბადებოდა, ისე ჩაეფინა უსიერ ტყეში დილის სინათლე. გზის ძებნას შეუდგნენ. ლამდებოდა, როცა ტყის კიდეს მიაღწიეს. იქვე იყო გზა და სოფელი. ცხენოსანი კაცი შემოხვდათ. გაენდგნენ. გლეხმა გამოქცეულები თავის ოჯახში წაიყვანა. ვახშაში მასპინძლის ცოლ-შვილთან ერთად. ტკბილი ძილი თბილ სახლში, დათვის სქელბეწვიან ტყავზე. ირიგრაყა. მასპინძელმა ეტლს სამი ცხენი გაუბა. ის იყო, მზე ამოდიოდა, როცა ეტლი დაიძრა. აღტაცებულმა დიმიტრიმ ხელები გაშალა, თითქოს გზაგახსნილი ქვეყნიერება ვულში უნდა ჩაიკრასო.

სწორედ ასე მოეხვია ახლა მედიკოს, დააეწედა, თუ, რამე ჯავრი ჩარჩენია გულში.

თანაც კიდევ ერთ ბუნდოვან გრძნობაში ვერ გარკვეულა: პატარობისას მედიკოს ბუნჩულა გოგონა იყო, სრულიად არა ჰგავდა უფროს რას — ეკატერინეს, ცქქსა და თავმომწონეს. მთუჯდებოდა მედიკოს გვერდით თავის დედოფალას და ებუტბუტებოდა რაღაცას, თითქოს პაწია სულიერ არსებას

საუცხოო აზვავს უყვებოდა. მხრობილისა ჰგავდა, გასაუბრებისას თავს ჩალუნჯდა, დაირცხვენდა, მაშასკი მერცხალივით მიაშურებდა, მოეხვეოდა, მიფერების ნიშნად ლოყაზე ხელს შეახებდა.

ჰოდა, რომელ მედიკოს ეალერსება ახლა დიმიტრი, იმ ბუნჩულა გოგონას, თუ სავსებით დასრულებულ ქალს, ომის ქარცეცხლში გამოვლილს, ისეთი საშინელების მნახველს, როგორიც თვით დიმიტრისათვისაც უცნობია.

გვერდით რომ მოისვა და ახედდა-ხედა, მხოლოდ მაშინ ეუცხოვა დიმიტრის თავისი ასული. ახლა მედიკოს თუმცა მხედრულად არ იყო გამოწყობილა, თეთრი აბრეშუმის სამოსი ეცვა, ხშირი თმის კულულები ლამაზად ეფინა მაღალ ყელს, მაგრამ ეს გაცრეცილი ლაწვიბი, გლოვით დამწუხრებული გამომეტყველება და სიყვილის შეფეთებული თვალები... ო, ეს სულ სხვაა, უცნაურად დიდი!

— ვინ იცის, საიდან სად ააღწიე, შეილო, საიდან სად! — ჩაილაპარაკა დიმიტრიმ და წამოიმართა, მედიკოს ხელი მოხვია, — წამო, შინ შევიდეთ, იმ მეტი სინათლეა.

— თქვენს შემყურეს სულ დამავიწყდა, სტუმარი მოვა! — წარმოსთქვა თებრონემ და სამზარეულოს მიაშურა.

სასტუმრო ოთახში, უწინარეს ყოვლისა, თვალში მოგზავდებოდათ ბელადების პორტრეტები, ომში დაღუპული ვაჟის — აკაკის გაღადებული სურათი და უამრავი წიგნები კარადაში, კედელზე მიკრულ თაროზე და სამუშაო მაგიდაზედაც. შუაზე ფართო სასადილო მაგიდა იდგა, გასაშლელი. შემდეგ დივანი, სავარძლები და სკამები. ერთ კუთხეში კედლის სარკე ეკიდა. მახლობლად, მომცრო მაგიდაზე, წაბლისფერი რადიომიმღები მოეთავსებინათ.

კარგა ხანია ამ მგლოვიარე ოჯახში სამზარეულო ნადიმი აღარ გამართულა. თავისუფალ დროს ვაჟა და დიმიტრი აუ ჩაუჯდებოდნენ წიგნს, თორემ ისე

აქ მუდამ სიწყნარე იყო. მარტოდ დარჩენილი თებრონე შეავლებდა ხოლმე თავს შინმოუსვლელი ვაჟის სურათს და გულმდუღარედ ჩაილაპარაკებდა:

— ვაი შენს დედას, შეილო! ველარ ველირსე, დედა, შენს მოსვლას, ველარ ველირსე...

ოთახში რომ შევიდნენ, კვლავ შეათვალიერა დიმიტრიმ მედიკო, მოეხვია, შუბლზე აკოცა, თმაზე შეაბო ხელი, თითქოს კულულებს უსწორებდეს. მერე, რომ დამშვიდებულიყო, ოთახში გაიარა-გამოიარა, მხოლოდ ერთხელ გააპარა თვალი ომში დაღუპული ვაჟის პორტრეტისაკენ, მის მიერ გამოვლილ გზას ითვალისწინებდა და ამ ფიქრში ისე გაკვრიტ შეიჭრა აკაცის აჩრდილი, თითქოს მზეს ღრუბელმა გადააუარაო.

შუბლი გაშალა დიმიტრიმ, მედიკოს მხარზე ხელი დააყრდნო:

— დაჯექი, შეილო, მოისვენე.— გვერდით მიუჯდა, განაგრძო:— შენ ამ ოთხ წელიწადში იმდენი რამ გადაგხდა, რომ ყველაფრის მოყოლა შეუძლებელია, მე მხოლოდ ერთს გკითხავ: ხომ შეგეძლო ადრე წამოსვლა? რატომ დაიგვიანე?

მედიკომ თავი დასწია, ერთხანს იყუჩა, მერე მამას თვალი გაუსწორა და...

— მოიცა,— შეაჩერა დიმიტრიმ,— შენ მხოლოდ ერთხელ მოიწერე, ჩემს ცხოვრებაში დიდი რამ მოხდა, ჩამოვალ და გაიამბობთო. წერილში გვეკითხებოდით, რა არის ეგ დიდი რამ-მეთქი, შენ კი სდუმდი. ახლა მაინც მითხარი, შეილო, ნუ დამიმაღავ.

— დასამალავი რაღა მაქვს, მამა, ყველაფერს გეტყვი. ომი რომ დამთავრდა, მაშინ შემედლო წამოსვლა. ჩვენი ნაწილი უკვე იქ არ იყო. მაგრამ... ჰო, მამა, მისი საფლავი ვერ დავტოვე, ჩემი ბიძინას საფლავი... შენ არ იფიქრო, მამა, ომის დროს ასალგაზრდები ერთმანეთს შეხვდნენ და ადვილად შეერთდნენო. არა, ჩვენს შორის არაფერი ასეთი არა ყოფილა, იყო მხოლოდ დიდა, ძალიან დიდი სიყვარული და გამარჯვების რწმენა. მაგრამ ბიძინას

ორმოცდაოთხი წლის მაისში, სსკვანსტროპოლის ალების დროს უმტყუნა შედმა... მე ახლა ის აღარა ვარ, მამა, რაც ამ ორი წლის წინათ ვიყავი, ახლა ხომ ხედავ, რა ადვილად გიყვები ამ ამბავს, მაგრამ... დავენებოთ ამას თავი! თუ შეეძელი, მზად ვარ რამეში გამოგადგეთ...

დუმბილი ჩამოვარდა.

დიმიტრი მედიკოს შეჭყურებდა და ეგონა, თვალს ვერ ვაწვდენო. „ხედავ, სად ასულა ჩემი ვაჟო,— ფიქრობდა ის,— ჰგონია, უკვე ავალწიე სიცოცხლის მწვერვალზე და ახლა თავსვე ვეშვებიო...“

სიტყვა ვერ იბოვა, ადგა, ფანჯარას მიადგა, მერე მედიკოსკენ მიბრუნდა, ხელი ნიკაპზე შეახო, თავი აუწია; უნდოდა ღიმილით გაემხნეებინა, მაგრამ ვერ შესძლო, მხოლოდ ეს უთხრა:

— რა დროს ეგაა, შეილო! შენ ჯერ ოცდაოთხი წლის ქალი ხარ. შენი ცხოვრება წინ არის. რატომ გგონია, თავსვე ვეშვებიო? არა, ეგ შენ არ შეგფერის! ადამიანი მარტო თავისი თავის წინაშე კი არ არის ვალდებული, უფრო მეტად საქვეყნო მოვალეობა აწევს.

— განა მე ქვეყნისათვის თავი დავიშურე?

— აი, აი, სწორედ ეგ არის! შენ ხომ ჩემი საამაყო შეილი ხარ?! აგერ შეხედე ჩვენს ბიქს...— ხმაში თრთოლვა შეეპარა დიმიტრის, ნერწყვი გადაყლაპა და განაგრძო:— შინ არ დაბრუნებულა, არც ის ვიცით, სადაა დამარხული. მერე? ვითომ მისგან აღარაფერი დარჩენილა? არა, შეილო, ქვეყანაზე უკვალოდ ასეთი რამ არ ჰქრება, არ იყარგება საშობლოსათვის თავდადებულთა ღვაწლი...

ოდნავ გაელიმა მედიკოს, თვალში სხივი ჩაუდგა. უსმენდა დიმიტრის და ატყობდა ბავშვობიდანვე ნაცნობი ხმის იმედიანი ელერა.

დიმიტრის არ გამოეპარა, მედიკოს რომ სახეზე ფერი მოუვიდა, დაავიწყდა, რაც უნდა ეთქვა, გვერდით მიუჯდა, ხელი მოხვია:

— არ იფიქრო, შვილო, რომ მე არ ვიცოდე, თუ რა ცეცხლი ტრიალებს შენს გულში, რა დიდი განსაცდელი გამოგვივლია. ვიცი, ჩემო მამაკო ქალო, ვიცი! მაგრამ ისიც ვიცი, თუ რა შეუძლია ადამიანს, თუ არ განმარტოვდება, თუ თავის თავს ხალხსა და ქვეყანას დაუკავშირებს. მეცნიერები ატომის საიდუმლოებას ჩაწვდნენ, ყოვლისშემძლე ძალა აღმოაჩინეს. ვინ იცის, რამდენ ასეთ ატომს იტევს ადამიანის გული, იგი მთელ ქვეყანას აიწონის, სანამ სასიცოცხლოდ ძვრს...

თებრონე სუფრის გაშლას შეუდგა. ყურს უგდებდა მამა-შვილის საუბარს და გულში ელიშებოდა, თანაც ხელმარჯვედ საქმიანობდა. ცხელ-ცხელი ხაჭაპური შემოიტანა. პატარა კასრიდან ბოთლებში ღვინო გადმოასხა. მხოლოდ ერთხელ ჩაილაპარაკა ხმამაღლა:

— ვაჟა არა ჩანს! წინათ არ იცოდა ასე დავვიანება!

— იმხანაგთანაა, მეცადინობს.— გასძახა დიმიტრიმ და მედიკოსთან საუბარი განაგრძო.

აივანზე ვილაც ამოვიდა, კარი გაუფრთხილებლად შეაღო.

— აა, მობრძანდი, ჩემო ივლიანე, მობრძანდი! რა კარგ დროს მოდი, ბიჭო, რომ იცოდე, რა კარგ დროს! ნომარი ქალიშვილი ჩამომვიდა.

ივლიანე ჩუბინიძე სამოცდაორი წლის ჰარმაგი მოხუცი იყო, მალალი, კეთნარა. ერთხელ წვერი მოუშვა და ძველი ტაძრის კედელზე გამოხატულ წმინდა მამას დაემსგავსა. ორმოცდაათი წლისა იყო, ოჯახს რომ მოეკიდა. მანამდის ვერ მოიცილა. მეფის მთავრობის დროს თუ საპატრიარქოში არ იჯდა, არალეგალურად მუშაობდა. მეტეხის ციხიდან დიმიტრისთან ერთად განთავისუფლდა. მერე დღეშეთის აჯანყების ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო. ფასანაურში დაიჭრა, დაპატიმრეს, მაგრამ მალე მთიელებმა გაიტაცეს და უპატრონეს. კოჭლობა ახლაც ემჩნევა. საბჭოთა ხელისუფლება რომ დამყარდა,

მას შემდეგ ბევრი აღვიდა <sup>გამოიწვია</sup> ჯანმრთელობა. თავისებურად გაგებულ უსამართლობას ყველგან აჩნევდა და ვერ ეგუებოდა. ხშირად უხერხულ მდგომარეობაში იმიტომ ვარდებოდა, რომ სიქაბუჯეში ნაოცნებარსა და სინამდვილეს შორის არსებულ ზღვარს ვერ ურიგდებოდა. ბოლოს ოჯახს დაუდო გული, მშვენიერი ქალ-ვაჟი ჰყავს.

ივლიანე მამასავით მოეხვია მედიკოსს, ახედ-დახედა, თავისი წრფელი ხმით ჩაილაპარაკა:

— აი, ეს მესმის! ქალი ვარო, ამან უნდა თქვას! შორიდან მესმოდა, ბიძია, შენი ამბავი და, სიმართლე უნდა ვთქვა, შენით მულამ ვამაყობდი. ბეცნიერი კაცი ხარ, ჩემო დიმიტრი,— მიუბრუნდა თავის ძველ მეგობარს ივლიანე,— სასახელო შვილები დაზარდე...

აკაკის სურათს ახედა, ერთ წამს სიტყვა შეუფერხდა, მერე იმავე წრფელი ხმით განაგრძო:— არც ეს ჩათვალო დაკარგულად. გაიხსენე, რამდენი ახალგაზრდა ამხანაგი დაგვეღუპა ჩვენ. გახსოვს ჩვენი ფრიდოზ გარდაბაძე, ციმიბირში რომ დამარხეთ? მერე? ისინი რომ საფუძვლად არ დადებოდნენ, განა ეს ახალი ცხოვრება იქნებოდა? ასეა, ჩემო დიმიტრი, ასე!

სუფრას გადახედა. თებრონეს გაუღიმა.

— რა გეშველებოდა, ბიჭო, შენ, თებრონე რომ არ გყოლოდა!— ხუმრობის კილოზე უთხრა დიმიტრის და დაუპატიებლად დაჯდა, ჰიჭა ღვინით შეავსო.

მალე რამდენიმე მეზობელი შემოემატათ, მედიკოს მშვიდობით დაბრუნება მიულოცეს.

თამაღობა ივლიანემ იკისრა. ჰიჭას არა სცლიდა, ლაპარაკის ეშხი კი შეენოდა.

— აბა, ერთი გახედე, თუ ძმა ხარ, ჩვენ მიერ გამოვლილ გზას!— დასძინა დიმიტრის სადღეგრძელოს,— საიდან სად ამოვედით! არა, სიმართლე უნდა ვთქვა, პირდაპირ საოცრებაა, აქამდე რომ მოვალწიეთ! ჰეი, ბიჭო, სად არიან

ჩვენი ბიჭები! კატორღაში, ციმბირში ჩარჩნენ. ვინც გადარჩა, იმათგანაც ცოტას ვხვდები. შენ ხარ აგერ და...

— ბაღურიშვილს რომ ჰკითხო, ჩემს წარსულში რაღაც საეჭვოსაც კი ხედავს.— ჩაილაპარაკა დიმიტრიმ.

— მოიცა, ეგ რომელი ბაღურიშვილია?— შეეკითხა ივლიანე.— ის ხომ არაა, ომის დროს მომარაგების საქმეს რომ განაგებდა?

— ჰო, ის არის.

— ჰმ, საოცარია სწორედ! რას არ მოეწრება კაცი. მე მაგის მამის ამბავი ვიცი. ნამდვილი მტერი იყო ჩვენი, მოსისხლე მტერი!

— შერე რა, მამის ცოდვებზე შვილი პასუხს ხომ არ აგებს.

— კარგი ერთა, თუ მმა ხარ, ნუ გჩვევია შენ ეგ მეტისმეტი სათნოება. ჯერ არ დამდგარა ისეთი დრო, რომ თხა და მგელი ერთად ძოვდეს. ბრძოლა ჯერ კიდევ გრძელდება. თუ მტრის ჩამომავალი ნიღაბშია გახვეული და მვენებლობს, ის უარესი მტერია. ჰო, შენ რა თქვი? ბაღურიშვილი შენს წარსულში რაღაც საეჭვოს ეძებს?

— ჰო, იყო რაღაც ამგვარი.

— მაშ კარგი!— ჩაილაპარაკა ივლიანემ, — ჩემზე იყოს, გამოვარკვევ!.. ახლა კი...

კარი გაიღო. დარცხვენით შეიხედა ოთახში ვაჟამ. იმდენად დაღვრემილი იყო, რომ ეტყობოდა, სტუმრების დანახვა არ ესია მოვანა.

— ვაჟე!— წამოიძახა მედიკოსმა, აშურა, მოეხვია.

— აა, ჩვენს ვაჟაკს, ჩვენს იმედს, სიცოცხლე და ბედნიერება!— წამოიწყო ივლიანემ და კიჭა შეავსო.

ბოლოს, როცა სტუმრები წავიდნენ, ოჯახის წევრები თავიანთ საწოლებში მოთავსდნენ, სინათლე ჩააქრეს და ბინაში სიჩუმე ჩამოვარდა, ვიდრე ჩაეძინებოდათ, თვითეულ მათგანს გაინებაში იმ დღის ანარეკლი აესახა.

დიმიტრის ტკილად ეწვეთებოდა გულზე მედიკოს მოსვლით გამოწვეული ღრმა სიხარული, მაგრამ ჩაძინების წინ მაინც შეაკრთო ბაღურიშვილთან შეხვედრის სიმწვავემ.

მედიკოს თავს ისე გრძნობდა, თითქოს დიდი ხნის უგზოუკვლოდ ხეტიალის შემდეგ უღრან ტყეს თავი დააღწია, გზაჯვარედინს მიაღწა და არ იცის, რომელ გზას უნდა გააყვეს.

ვაჟას ძილი არ ეკარებოდა, ბორბავდა, ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს მზეს კუპრივით შავი ღრუბლები გადაეფარა, ირგვლივ ყველაფერი წყვედადმა მოიკცა და ამ საშინელ სიბნელეში მხოლოდ ავთანდილ ზეკარელის ტყვიასავით ცივი თვალები ელვარებს.

თებრონემ ყველას საგონებელს თავი მოუყარა, ყველას გულმხურვალედ მიეფერა, ვაჟას დაღვრემილი სახე კი ვერ მოიშორა, მტკივნეულად გაიფიქრა: „იმ ბიჭს რაღაცა აწუხებს. ძალიან აწუხებს... ნეტავი რა?..“

## VII

## ამახილაველი

კოტე ბაღურიშვილს შინ მოსამსახურე ჭალის მეტი არავინ დახვედრია. ცოლი და ბავშვები ოპერის თეატრში იყვნენ.

თავის კაბინეტში გაიარ-გამოიარა კოტემ. ჯერ კიდევ ვერ დამშვიდებულ იყო.

„ჭარხანას დროზე გაეცალეო“, ასე გამოდიოდა, ასე უთხრა იმ თავხედმა

მშვიდობაძემ. როგორ გაბედა მე იმას ვუჩვენებ, ვინცა ვარ! ვერ ხედავ, თავი როგორ მოაქვს? რა გაეგება? უკულტუროა, ჩერჩეტი! მაგას ჰგონია, ადამიანის ცხოვრება მხოლოდ სახარატო ჩარხების ირგვლივ ტრიალებს, მეტს არაფერს შეიცავს... არა, კაცმა რომ თქვას, არ იყო ჩემი საქმე ჭარხანა. აქ ყველა თვალში გიყურებს. დღეღამამ

რომ ქარხანაში იტრიალო, თავს მაინც ვერ გაართმევ. ჯობდა, ჩემს ძველ აღგიაზე დავრჩენილიყავი, მაგრამ რომ აღარ მოხერხდა! პირდაპირ მაგრძნობინეს, დროა, მოშორდი მაჭაურობას, თორემ საქმე ცუდად მიდისო. ძალიან კი შევეტოპე. რა უნდა მექნა? ამ ახალ ბინას მოწყობა არ უნდოდა? ამდენი ავეჯი, ლოლას ოქროსულობა...

სარკესთან შეჩერდა, თმა გაისწორა, თავისი გამომეტყველება არ მოეწონა, ცოლის სიტყვები მოაგონდა: „ქარხანაში მუშაობა რომ დაიწყე, მერე ვეღარ კოხტაობო“.

ერთხელ იყო ლოლა ქარხანაში, საამქროში შეიხედა, მუშებს თვალი მოაველო და, შინ რომ დაბრუნდა, უმაღლეს სამოსი გამოიცვალა, იჭაური ჭუჭყი არ გამომყოლოდესო.

ჯერ კიდევ რევოლუციამდე გაკორტებული თავადიშვილის — ნიკო გაბიდაიას ერთადერთი ასული იყო ლოლა. ფუფუნება უპირველეს მოთხოვნილებად ჰქონდა გადაქცეული. თავსაც ისე იჭერდა, ისეთი აზიზი არსების იერს იმშვენებდა, რომ იფიქრებდით, ამ ქალის ცხოვრება სხვანაირად შეუძლებელიაო.

კოტეს მამა — თეიმურაზ ბადურის შვილი მოკეიფე კაცი იყო, ბნელი წარსულის მქონე, და შეილისათვის თითქმის არაფერი დაუტოვებია, უმაღლესი სასწავლებელი კი დაამთავრებინა.

ასე რომ, მთელი ეს სიმდიდრე, რაც ამ ექვს ოთახში გააჩნია კოტეს, ეს ძვირფასი ავეჯი, მისი შექმნილია. ეს კიდევ არაფერი, მთავარი ლოლას უსაზღვრო მოთხოვნილების დაკმაყოფილება არის. თუ კვირაში ერთი ნაღიში მაინც არ გაიმართა, ისე ლოლას ცხოვრება ვერ წარმოუდგენია. კოტე დიდად აფასებდა თავისი მეუღლის იმ ნიჭსა და მომზიბლველობას, რასაც ის ამ ნაღიმების დროს ამჟღავნებდა. ვინ უნდა ყოფილიყო ისეთი მალალი თანამდებობის კაცი, რომ ლოლას საიდანძმე არ შემოეველო და მასთან საქირო საქმე ვერ მოეგვარებინა. ლოლა ახალ-

გაცნობილ მოსაუბრეს, თითქმის მიტოვებულ მოიტანაო, ისე ბუნებრივად გააგებინებდა — ამა და ამ პასუხისმგებელი პიროვნების ახლო ნათესავი და განუყრელი მეგობარი ვარო.

განსაკუთრებით სამამულო ომის წლებში გახშირდა კოტეს ოჯახში მდიდრული წვეულებანი. პირველი შეხედვისთანავე თვალში მოგხვდებოდათ: იმ დროს, როცა ჩვენი მშრომელი ადამიანები, მუშები და ინტელიგენტები, ბევრ რამეს იკლებდნენ და ეს გარეგნულადაც ემჩნეოდათ, ამ ნაღიმების მონაწილეთა უმრავლესობა დღითი-დღე სუქდებოდა, ზოგს მეტიც მოსდიოდა, კანში ველარ ეტეოდა.

აი, სარკესთან დგას ახლა კოტე და... მგონია, ქონი მეტისმეტად მოეკიდა. ლოყები წამოუსივდა; ისედაც ძალიან დამძიმდა, ძველებური მოქნილობა აღარ გააჩნია, ძველ იღლება. ახლა რომ რამე შეემთხვეს... ღმერთმა ნუ ქნას! ლოლას და ბავშვებს რა ეშველებათ?... არა, შენ რა გეშველება, შენ!..

შეძრწუნდა, ტანში შიშის ქარმა დაუარა. მიმოიხედა, ხაფანგში ხომ არა ვარო გაბმული. ჰაბუკობიდანვე დიდად მოხერხებული კაცი იყო. მარჯვე, მაგრამ რაღაც შინაგანი შიში მაინც გაჰკრავდა ხოლმე ბრკყალს. ასეთ წუთებში მამის სახე წარმოუდგებოდა, პოლიციის აგენტის სახე; უმაღლეს თვალს დაახამზამებდა, მოიშორებდა, საქმეში გაერთობოდა.

სარკეს გამოურდა კოტე, გაჩირაღდებულ ოთახში თვალი მიმოატარა; არაფერმა არ მიიზიდა; გაიფიქრა, მოდი თეატრში წავალ, მეორე მოქმედებას მივეუსწრებ, გულს გადავაცოლებო, მაგრამ წამსვე ხელი მრისხანედ აიჭნია, — არა, იმ თავხედ მშვიდობქმეს დროზე უნდა მოუხერხოს რამე, ეგ ისეთი უემური კაცი ჩანს, რომ ინტრიგას თავს არ დაანებებს (კოტე მის საწინააღმდეგო მოქმედებას, როგორც არ უნდა ყოფილიყო იგი, ინტრიგას უწოდებდა).

მაგიდას მიაშურა, ტელეფონის მილი აიღო.

— ლუკა, შინა ხარ?.. გეთყვავ, შე-  
მოიარე ჩემთან. სასწრაფო საქმე  
მაქვს.

თხუთმეტი წუთიც არ გასულა, რომ  
ლუკა ბერთუქაშვილმა მოკრძალებით  
შედგა ფეხი ბადურიშვილის კაბინეტში.

— მობრძანდით, ჩემო ლუკა, მობრ-  
ძანდით! — მიეგება კოტე, ხელი ჩამო-  
ართვა, სავარძელი გამოსწია. — სხვა,  
ოჯახში როგორ გაკითხვით? — მზრუნ-  
ველობით შეეკითხა ბერთუქაშვილს, —  
ახლა როგორ არის თქვენი მუშაობა,  
ხომ მოიკეთა?

— გმადლობთ, კოტე თეიმურაზო-  
ვიჩ! ცოტათი კი მომჯობინდა, მაგრამ  
ძალიან სუსტადაა. ბედია, ბატონო,  
ყველაფერი. ბავშვი რომ მოგვეყვდა ამ  
ათი წლის წინათ, შემდეგ ვეღარ გამო-  
ბრუნდა. ერთი გოგო დაგვჩნა და იმას  
დაკანკალეხს, ეშინია, არ გამოცივდესო,  
სულ შეფუთვნილი ჰყავს.

— წინათ არ ავადმყოფობდა თქვენი  
მუშაობა?

— არა, ბატონო, თავი არ ატკიუ-  
ბია. აგერ მეც. გარეგნობით ვერ დავი-  
ტრიაბებ, ბუნებამ ასე ტანმორჩილი  
გამაჩინა, მაგრამ ავადმყოფობა რაა, არ  
ვიცი. ვარ და ვარ ასე, როგორც მხე-  
დავთ.

კოტემ ბერთუქაშვილს ახედა და  
გაოცდა, მის მოუსვენარ თვალებს რომ  
დააკვირდა; თითქოს ბელურა დაფრე-  
ნილა ქუჩაში და შიშით აჭეთ-იჭით იხე-  
დებო, ისე აცეცებს თვალებს. ეტყო-  
ბა, რაღაც დიდი შიში უკამიყო, გა-  
იფიქრა კოტემ, მაგრამ ეს ფიქრი არ  
შეიმჩნია, დარბაისლური ღიმილი მოი-  
შველია.

— თქვენ მართლაც კავივით ხართ, —  
დაემოწმა კოტე, — ეს მიბრძანეთ, წი-  
ნათ სად მსახურობდით?

— ნულარ მკითხავთ, ბატონო! სად  
არ მიმუშავებია, მაგრამ...

— მაგრამ რა?

— თქვენ რა უნდა დაგიმალეთ, ჩემი  
კეთილისმყოფელი ბრძანდებით, დიდ  
ვაი-უბედურებაში ვარ გამოვლილი.

— ეგ ჩვეულებრივი მოვლენაა, ჩვენს

მლეკარე ხანაში მშვიდობიანად უცხოვრობია.

— მართალს ბრძანებთ, კოტე თეი-  
მურაზოვიჩ, მაგრამ...

კვლავ შეჩერდა ლუკა, თვალები და-  
აცეცა.

— სთქვით, რისი გერიდებათ, ჩვენ  
ხომ შინაურები ვართ.

— დიახ, იმას მოგახსენებდით. აგერ  
მაღე რომოცდაათი წელი შემისრულ-  
დება, მაგრამ ძველი ცოდვა ახლაც არ  
მასვენებს. ჩემდა საუბედუროდ, ახალ-  
გაზრდობის დროს ნაციონალ-დემოკრა-  
ტიების წრეში ვტრიალებდი. ათას ცხრა-  
ას ოცდაათი წლის შემდეგ იმათკენ  
არც კი გამიხედავს, ის უღლეური პარ-  
ტიაც ხომ მარტას თოვლივით გაჰქრა.  
მაგრამ ერთხელ რომ გამოიჯდა ტანში  
შიში. მეც ვეღარ მოვერიე. ხომ ხე-  
დავთ, რა თავდადებულად ვმუშაობ,  
თუ ვინმე არის უპარტიო ბოლშევიკი,  
მეცა ვარ, მაგრამ ვინაა დაზღვეული.  
გამოვა ვინმე ინტრიგანი და მოგდებს  
შარს.

— ამას კი მართალს ამბობთ, გეთ-  
ყვავ, მართალს... ეს მითხარით, დიმიტრი  
მშვიდობაძეს დიდი ხანია იცნობთ?

— კარგა ხანია. მაგისტანა მოუსვენ-  
ნარი კაცი იშვიათია.

— არა, მე სხვა რამ მაინტერესებს.  
მაგის ძველ წარსულს თუ იცნობთ?

— რა მოგახსენოთ, კოტე თეიმურა-  
ზოვიჩ, მაგის სიტყვიდან ისე ჩანს,  
რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყა-  
რებამდე მუდამ ციმბირში და ციხეში  
იყო... ჰო, იმ საქმის გამო თქვენს და-  
ვალებას ბეჯითად ვასრულებ.

— მერე რა ირკვევა?

— ისეთი არაფერი.

— მაინც?

— მაგ საქმეში მშვიდობაძესთან ერ-  
თად ილია საბურძიძე ურევია. შეიძლე-  
ბა ილია უფრო აქტიური იყოს. ამ სა-  
ლამოს მოგკარი ყური...

— ჰო, რაო, რას ამბობდნენ?

— ბევრი ვერაფერი გამოვიტანე,  
ისე კი შევამჩნიე, რაღაცას თქვენს სა-  
წინააღმდეგოს უნდა აპირებდნენ.

— ხომ გითხარით, მე არ შევცდებო. მშვიდობაძე ამ საღამოს მყავდა გამოძახებული და, იცი, რა წამოროშა?.. მაგრამ ეს საჭირო არაა. შენ როგორმე ერთი რამ უნდა გამოვიღო.

— რა, ბატონო?

— ყური მოვყარი, მშვიდობაძე ნამენშევიყარი უნდა იყოს, პარტიულ საბუთებში კი აღნიშნული არა აქვს, დაუშვალავს.

— რას ბრძანებთ! — ლუკამ შიშინაგან თავზე ხელი შემოიჭდო, თვალეზი დააცეცა.

— რა, არ მოელოდით? ეგ ისეთი ქვეშევნეა, რომ მაგისგან არაფერი არ უნდა გაგიკვირდეთ. ამას გარდა, კიდევ არის უფრო სერიოზული საქმე...

— ჰო, მასეთი რამ უთუოდ ემჩნევა. თქვენ, კოტე თეიმურაზოვიჩ, ძალიან შორსმხედველი ყოფილხართ.

— ჯერ ცოტა კიდევ მაცადეთ. მალე გამოვიჭერ მაგას ხელში...

ლუკას რალაც მოეჩვენა, შიშმა უნებლიეთ ააყენა, ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს გაქცევით თავს უნდა უშველოსო.

— რა მოგივიდათ, დაბრძანდით! — დაამშვიდა კოტემ.

ბერთუკაშვილმა შუბლზე ხელი მოისვა. დაჯდა. თვალეზს კვლავ უმწეოდ აცეცებდა.

— ჰო, იმას გეუბნებოდით: როგორმე მშვიდობაძის ძველი ნაცნობები გამოიხატონ, გაიგონ, ბაქოში დაპატიმრებამდე რას აკეთებდა, რა წრეში იყო. მე კი ამ საქმეში გამოძიებულს აქედანვე ჩაერეე. იმ დიდ საქმეზე საჭირო ცნობებს მივაწვდი...

— რომელ გამოძიებულს? — იკითხა დაფეთებულმა ბერთუკაშვილმა.

— ეს მე ვიცი. მანამდე კი ვნახოთ, ჯერ გადაწყვეტილი არაა ბაქოს, შეიძლება ამ დღეებში გამოვსცე ბრძანება მშვიდობაძის სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ. რაც შეეხება ილა საბურჩიძეს, იმას ჯერ ვაცალოთ. უბერხულია, რაც არ უნდა იყოს, ნოვატორია, ჩქაროსნული კრის ოსტატი. ისე

კი თვალი გეკვიროს. ჩვენ ნებისმიერ შემთხვევაში, რომ ხელმძღვანელობას ხალხის თვალში სახელი გაუტეხოს.

— დიახ, დიახ, კოტე თეიმურაზოვიჩ, სწორი ბრძანებაა... — დაუკრა კვერი ბერთუკაშვილმა და დასძინა: — მე კი ვეცდები თქვენი დავალება პირნათლად შევასრულო. თქვენი სიტყვა ჩემთვის კანონია.

— ეგრე, გეთყვია, ეგრე! — თქვა კოტემ და სააოს შეხედა, — საცაა ჩემი ოჯახობაც მოვა და ვივახშმოთ.

— დიდათ გმადლობთ, კოტე თეიმურაზოვიჩ, გმადლობთ! უნდა წაიხედო, ავადმყოფი მყავს შინ დატოვებულ. იმედია არ დამძრახავთ. — მოკრძალებით მიმართა ბაღურაშვილს, ადგა, სავი დახარა, კიდევ უფრო დაპატარავდა.

კარებამდის მიაცილა კოტემ ბერთუკაშვილი, მობრუნდა და სასტუმრო დარბაზში შეჩერდა, მეტად არასასიამოვნო რამ მოაგონდა, ის ფიქრი აღებრა, რომელსაც მუდამ თავიდან იშორებდა. თავის შესაქცევად ბერთუკაშვილს გააყოლა გონების თვალი და დაცივით ჩაილაპარაკა: — შიშით გაფუქვებულ კაცია, რაშიაც გინდა, იმაში მოიხმარ... საძაგელი რამაა ეს შიში...

უკვე ტანში ყრუანტელმა დაუარა, თითქოს ვიღაც უხილავეს მოსისხლემ მიზანში ამოიღო და საცაა თოფი გავარდებო.

მიმოიხედა. სული მოითქვა. მერე თავის თავს შეეკითხა: „შენ რა, შენ არ გეშინია?..“

საუარძელში ჩაჯდა, ხელეზი თავზე შემოიჭდო:

ბევრჯერ მოჰგონებია ეს ამბავი, მაგრამ ასე იშვიათად შემსუკუალულა. მამამ თბილისიდან ფასანაურში წაიყვანა, გაგასერიანებო. მამის თქვესმეტი წელი უსრულდებოდა, გიმნაზიაში სწავლობდა. ზაფხული იყო, ეტლი სწრაფად მიჰქროდა, საამო ნიავი უბერავდა. ფასანაურში ფარდიან აივანზე ისადიდეს. შემდეგ მამა სამსახურის საქმეს შეუდგა. დიღეგიდან აჯანყების მოწაწილე პატიმარი მოუყვანეს, მალა კაცი იყო.



შუახნის, საოცრად გამხდარი. ფეხს ძლივს ადგამდა, დაჭრილი იყო, მაგრამ რა მტკიცედ, რა ამაყად ეჭირა თავი! ისე გამოიყურებოდა, თითქოს თვითონ კი არა, გამომძიებელი იჯდა საბრალმდებლო სკამზე...

თვალი დახეუკა კოტემ, შიში მაინც ვერ დასძლია, ცახცახმა აიტანა, როცა გაიფიქრა: ხომ შეიძლება, ის კაცი ცოცხალი იყოს, მოვიდეს და მითხრას: „შენც ხომ მამაშენთან იჯექი იქ, როცა მე მაწამებდნენ, სეირს უყურებდი...“

— არა, მე რა შუაში ვარ, შემთხვევით მოვხვდი!

— კარგი, ვთქვათ, შემთხვევით მოხვდი, — ეუბნება თითქოს ეს ულმობელი მამხილებელი, — მაგრამ დი. მ. ტრი მშვიდობაძის წარსულს რომ ჩხრეკ, შენ არაფერი დაგიმალავს პარტიისათვის?

— მომშორდი! — ჯავრობს ბაღურშივილი. — მე რა შუაში ვარ, მამის ცოდვისათვის მე ხომ არ უნდა ვაგო პასუხი?

— მამის ცოდვები! — დაცინვით იმეორებს მამხილებელი, — განა შენ კი არა ხარ ცოდვილი? ვის ატყუებ? განა შენ არ ამბობ ხოლმე, მამაჩემი ერთი მოქეიფე კაცი იყო, ლიბერალი, რევოლუციონერებს ყოველმხრივ ხელს უწყობდაო?

— მე რასაც ვამბობ, ეს მე კარგად ვიცი! — წამოიძახა კოტემ და გამოერყვა, ადგა, დარბაზში გაიარა-გამოიარა. — საძაგელი! როგორ გამიბედა, შენი ადგილი აქ არ არისო! კარგი, ვნახოთ, ვინ უფრო ადრე წავა ქარხნიდან! ხვალვე დავეწერ ბრძანებას და მორჩა! აქაო და რევოლუციონერები ვიყავითო! თავი წმინდანებად მოაქვთ! ეგენი არიან, ადამიანს რომ სიცოცხლეს უწამლავენ. მაგას მალე მივაბრძანებ, თუ კაცი ვყოფილვარ. ვნახოთ, ვის უფრო მეტად იცნობენ...

ამოსასვლელთან მანქანა შეჩერდა.

— ჩვენები არიან, — თქვა კოტემ და გამოცოცხლდა.

მართლაც ლოლა და ბავშვები იყვნენ თეატრიდან მანქანით მოსრიადღენ. ლოლა უმანქანოდ ფეხს არ გადადგამდა. ბავშვებსაც სკოლაში მანქანით ატარებდა.

კოტე ცოლს კართან მიეგება. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ტყვეობიდან განთავისუფლდაო.

— ნეტავი იცოდე, როგორ მომანატრე ამ საღამოს თავი! — ჩაილაპარაკა კოტემ და ცოლს რომ ხელი შეახო, დამშვიდდა, გამხიარულდა.

ლოლამ ქმარი შეათვალა, ღიმილი ბაიისფრად შეღებულ ტუჩებზე შეაშრა, კოტეს გამომეტყველება არ მოეწონა, ეუცხოვა; უნდოდა მაშინვე ეთქვა ეს, მაგრამ საიმერისოდ გადასდო. თავის ოთახში შესრილდა, ტანადი, მანეროვანი.

წამსვე მოსამსახურე გაჩნდა ლოლასთან და სამოსის გამოცვლაში მიეშველა.

ქალიშვილები კი — თამარი და ლილი — მამას შემოეხვივნენ. უფროსი თორმეტი წლისა იყო, უმცროსი კი — ათისა.

— იცი, მამიკო, რა შესანიშნავი ბალეტია იყო! — მიახარა ლილი, — როგორ ცეკვავდნენ, როგორ! პეპელასავით დაფრინავდნენ!

— შენ, თამარიკო, შენ რა მოგეწონა? — ჰკითხა კოტემ უფროსს, შვეთვალწარბას, რომელიც მამას უფრო ჰგავდა.

— მე, მამიკო, სიმღერა და მუსიკა მომეწონა. — დინჯად უბასუხა თამარიკო.

ლოლამ ქათვითა კომბინიზონზე იისფერ ფოთლებიანი ხალათი გადაიცვა. მოსამსახურეს დაავალა, სუფრა გააწყვეო; მერე დიდ საარკში ჩაიხედა, კეკლუცად შეიჩხა და თავისებური ნარჩარი რომინით მივიდა კოტესთან, გულიანად გაუღიმა.

კოტე ცოლს შეაშტერდა, მისმა ღიმილმა სულ გადაავიწყა, რაც იმ საღამოს უსიამოვნება შეემთხვა, საკუთარ თვალში ამაღლდა, სიამაყე დაუბრუნდა.

— რა თქვი, კოტე, შენ? თავი მომანატრეო?

— ეგ რა საკითხავია, განა მუდამ სანატრელი არა ხარ?

ლოლამ ჯერ ბავშვებს მიმართა:

— წადით, ხელი დაიბანეთ, უნდა ვივახშმეთ.

შემდეგ ქმარს ნაზად შეახო თავზე ხელი, ლოყა საოცნელად მიუახლოვა, თანაც ალერსიანი ხმით ჩაილაპარაკა:

— შენ რალაც გაწუხებს, კოტე! პირველი შეხედვისთანავე შეგატყვე, მითხარი, ნუ დამიმაღავ!

— კარგი, ჩემო, ნულარ მკითხავ! მერე მოგიყვები. ახლა შენს გვერდით ისევ ისა ვარ, რაც ვიყავი. ან კი ვინ რას დაგვაკლებს? ხომ, ჩემო?

ეს რომ ჰკითხა, ისეთ გუნებაზე დადგა, ეგონა, ლოლას დასტური ნატერის-თვლივით ყოვლისშემძლე იქნებოდა.

ლოლამ არ უპასუხა, მხოლოდ თავისი ფართო თვალებით მიუალერსა, მშვიდად უთხრა:

— შენ მართლა გაწუხებს რალაც... კარგი, მერე იყოს... ისე კი, რამდენჯერ გითხარი და ახლაც გიმეორებ: არ არის შენი შესაფერი ის ქარხანა. ჭირივით მძულს. ასე მგონია, რაც ოდესმე უსიამოვნება შემხვედრია, ყველაფრის სათავე იქ არის.

— განა მე კი ვარ კმაყოფილი? გავიტანჯე ამ სამ თვეში. დამიჩემეს, ინკინერი ხარო, შეეჩვევიო. პირველად მეც ვიფიქრე, საქმეს ჩემს ნებაზე წავიყვან-მეთქი, მაგრამ არა, არაა ეგ ჩემი შესაფერი. საინკინერო რომ დაეამთავრე, მერე სულ სხვა დარგში ვარ, ხან სამმართველო, ხან მომარაგება... ეჰ, ხომ იცი, ჯერჯერობით არ იყო სხვა გამოსავალი.

— მოიცა, გამოსავალს მე უკვე ვხედავ. მოველაპარაკები ჩვენს მეგობარს. ისეთ საქმეს უნდა ჩაუდგე სათავეში, რომ ათასი თვალი არ შემოგყურებდეს, გასაქანი გქონდეს.

— რა ჰქვიათ ხარ, ჩემო, რა ჰქვიათ — შეეხმატბილა კოტე, — განა არ ვიცი: ჩვენ თუ ძლიერი მფარველი არ გვეყოლა, ისე ვერ გავიხარებთ.

— ჯავრი ნუ გაქვს, მფარველი ჩვენ მუდამ გვეყოლება.

ურყუვი რწმენით თქვა ეს ლოლამ. ქმარს ხელი გამოსდო, სასადილო ოთახისაკენ გაიყოლია.

სუფრას შემოუსხდნენ. მოსამსახურე თავზე ადგათ. ლოლა თვალით ანიშნებდა, თუ რამე საჭირო იყო.

კოტეს მადიანად ქამა სჩვეოდა, ღვიზისაყ ხშირად აყოლებდა.

ბავშვები დედას ბაძავდნენ, ჩიტვივით აზიზად იყენებოდნენ.

ლოლა ნებივრად მიირთმევდა, გეგონებოდათ, დიდად საპატიო მოვალეობას ასრულებსო. იმდენ რამეს შეეხებოდა, ორ-სამ ადამიანს გააძლებდა, თვითონ კი სულ მცირედით კმაყოფილდებოდა.

ოცდარვა წლისა იყო, კოტემ რომ შეირთო. მას შემდეგ თოთხმეტი წელი გავიდა. ლოლა კი ახლაც ისეთივე ტანადია, ისეთივე მოქნილი და წერწეტა, როგორც ქალიშვილობაში იყო. მისი მეგობარი ქალები თითქმის ყველანი დასრულდნენ, ზოგი სამკურნალოდაც დადის, რომ ქონი დაიკლოს.

— მართლა, კოტე! — მოაგონდა ეახშმის დამთავრებისას ლოლას, — წელს აგარაკის საქმე როგორა გვაქვს?

— მშვენვირად, ჩემო, მშვენვირად!

## VIII

### ღეზი

მედიკოს გვიან გაეღვიძა. დიმიტრი და ვეა ქარხანაში წასულიყვნენ. დედას უკვე მოესწრო ოთახების დალაგება. ახლა ეზოს ჰგვიდა.

ხელ-პირი რომ დაიბანა და აივანზე გავიდა, მაშინ ჩაწვდა მედიკოს საფეხებით, თუ რა დიდი ცვლილება მოხდა მის ცხოვრებაში. მართალია, სევასტოპო-

ლიდან გამოყოლილი ნაღველი კვლავ უღვივის გულში, მაგრამ ამ დილით, ამ თანშეზრდილ გარემოში სულ სხვა ფიქრი, სხვა მისწრაფება ეუფლება; მეტად ძლიერი ნაკადი სჩქეფს მის არსებაში, გამოსავალს ეძებს.

იყო აღმოდებული ზეცა, კეამლდაფენილი მიწა, ქვემეხების ქუხილი, დაქრილები, სიკვდილთან ბრძოლა; ქარიშხლიანი ღამეები ქერჩში, წყლიანი მიწურები; შეუპოვარი იერიში სევასტოპოლის მისადგომებთან; გამარჯვების ურყევი რწმენა და წმინდა სიყვარული; მერე ბიძინას სამარე საპუნ-გორაზე, უსასოოდ მწუხარე დღეები და შეუსვენებელი მუშაობა ჰოსპიტალში...

ჰო, ეს იყო... ახლა კი... როგორ თქვა მამამ? ადამიანს ყველაფერი შეუძლია, თუ თავის თავს ხალხსა და ქვეყანას დაუჯავშნობსო. მედიკომაც უნდა შეაღოს... რაც შეეხება მის პირად ცხოვრებას... ეჰ, ამაზე ფიქრი აღარ ღირს, იყო და გაიარა...

შეერთა მედიკო, შემფოთდა. როგორ თუ გაიარა? განა ბიძინა მუდამ არ იცოცხლებს მის გულში?..

აივანზე გავიდა, მოგონებამ გაიტაცა. კუთხეში სვეტს მიაწვა.

ეს ჩორგუნის მახლობლად იყო, მთის ძირას. საეღვე ჰოსპიტალში მოაკითხა ბიძინამ. ფერღობზე გადადგნენ. სევს გაღმა, სევასტოპოლისაკენ წყლისფერი ნისლი იდგა, შორიდან ზარბაზნების გრუხუნი ისმოდა. ბიძინა შეუღამაზებლად უყვებოდა, თუ როგორ წაიყვანა რამდენიმე დღის წინათ თავისი რაზმი იერიშზე, როგორ შეიჭრნენ მტრის სანგრებში.

მედიკო ყურს უდებდა, მაგრამ ნაამბობის შინაარსში ვერ ერკვეოდა, ხშირად ახედავდა სახეზე ბიძინას და მისი ხმა და ნათელა გამომეტყველება ბიბლავდა. იმასაც გრძნობდა, რომ ამ ამბავს ბიძინა თავისი შინაგანი ცეცხლის დასაფარავად უყვებოდა. აღთქმა ჰქონდა დადებული, ომის დამთავრებამ-

დე თავი წმინდად შეენახათ, მერე ექვრივით წილათ.

უცებ ბიძინამ თხრობა შეწყვიტა, მედიკოს შეამტერდა. მერე მხარზე ხელი მოხვია, მიიხუტა.

— თუ მეტყვი, მედიკო, რას გიყვებოდი ახლა?

— რას?... ბრძოლის ამბავს, იერიშის დაწყებას...

— არა, ეს საერთაა... სად, როგორ?

— იცი, ბიძინა, ჩემთვის ისიც საკმაოა, შენი ხმა რომ მესმის, შენ რომ გიმზერ ჯანმრთელს, სიცოცხლათ საუსეს...

— შე კი, იცი, რას ვნატობ ახლა? — ჩაილაპარაკა ბიძინამ: — ნეტავი ასე ერთად გვატარა წინ, სულ წინ...

— შე კი ძალიან მძიმე ტვირთიც რომ მქონდეს აკიდებული, მაინც მოაყვები. სულ ვივლი შენთან, ვივლი.

— ვითუ დავეცე სადმე, მედიკო! — წამოცდა ბიძინას.

— არა, ეგ როგორ იქნება? შენ რა მოგერევა, ჩემო ძვირფასო!..

— ვინ იცის, კაცნი ვართ... ბრმა ტყვია...

— კარგი, შემოგველე, არ გამაგონო! — წამოიძახა მედიკომ და ბიძინას თავდავიწყებით მოეხვია, პირველად და უკანასკნელად დაუკოცნა სხივიანი თვალები.

თებრონემ ეზო დაჰგავა, აივანზე ავიდა, კუთხეში სვეტზე მიყრდნობილ მედიკოს მიაქეჭრდა, ლოყაზე დაგორებული ცრემლი შენიშნა.

— მოგიკვდეს, შვილო, დედა! როგორ დარდობ, როგორ დარდობ!

მედიკომ ცრემლი მოიწმინდა, დედას მორცხვად შეხედა. მკრთომარედ გაუღიმა.

— მაპატიე, დედიკო, აღარ ვიზამ. რამე საქმეს მოვიკიდებ ხელს.

— ასე, შენი სულის ჰირიმე, ჩემო ძლიერო გოგო, ასე! — მოეხვია თებრონე, — წამო ახლა, ისაუბრე. მე ზანარში წავალ, სანოვავეს მოვიტან... არ ვიცი, შენ დააკვირდი თუ არა, — უნებლიეთ

გაუმკლავან თავისი დარდი თებრონემ,—  
იმ ბიჭს, ვაჟას, რაღაცა ძალიან აწუხებს.  
ამ დილას გავიხზე და ვკითხე. პირი ამბ-  
რიდა, არაფერი არ მითხრა. ნეტავი ვი-  
ცოდე, რა მოუვიდა? ნეტა გენახა, ამ  
ბოლოს, ჭარხნიდან წასვლა რომ გადა-  
წყვიტა და მეცადინეობა დაიწყო, რა  
გახარებული იყო, გულში ჩიტი უფრო-  
ნავდა...

ნასაუზმევს თებრონემ სამზარეულო-  
დან თავისი შოზრდილი ჩანთა გამოიტა-  
ნა და ბაზარში წავიდა.

მედიკომ კარადა გამოაღო, წიგნები  
შეათვალიერა. ზოგი იცნო, ესენი ახალ-  
გაზრდობაში წამიკითხავსო, თქვა თა-  
ვისთვის,— ჯერ ოცდაოთხი წლის ქალი  
იყო და თავისთავს ხანდაზმულად  
სთვლიდა.

თითქოს სასურველ ნაცნობს შეხვედ-  
როდეს, ისე ესიამოვნა, მის მიერ ჰოს-  
პიტლებში წაკითხული ახალი წიგნები  
რომ ნახა. უკანასკნელი წლის განმავ-  
ლობაში რამდენჯერ უღვრია ცრემლი  
იმ წიგნების წაკითხვისას, რომლებშიაც  
სამამულო ომში დაღუპულ მებრძოლთა  
ცხოვრება იყო აღწერილი. მწოხარებას  
უმსუბუქებდა მედიკოს ეს ცრემლები,  
რადგან ისეთი გრძნობა იპყრობდა, თით-  
ქოს საღაჯ, თავდადებული გმირის სი-  
ცოცხლის მიღმა იბადებოდა ახალი სი-  
ცოცხლე, თავგანწირული ბრძოლით  
განწმენდილი, არსებულზე უფრო მშვე-  
ნიერი.

ზოგს ჰგონია,— ფიქრობდა მედიკო,—  
თითქოს ომისა თუ სხვა საზოგადოებრი-  
ვი ძვრების ქარტეხილში მოქცეული

ადამიანის სულიერი განწყობილება  
ვიწროა, შემოზღუდულია მიმდინარე  
დღეების ანარეკლით. პირიქით, ცხოვ-  
რების უძლიერეს დღეებში მოქცეული  
ადამიანის განცდა გაცილებით უფრო  
ღრმაა. ეს გამოცდილებით იცის მედი-  
კომ.

განა ბიძინა არ იყო მთელი იმ კეთილ-  
შობილების სრული განსახიერება, რაც  
ქართველ ხალხს თავისი არსებობის მან-  
ძილზე შეუქმნია?

— მე ასე მგონია, მედიკო, — უთხრა  
ერთხელ ბიძინამ, — ჩვენი სიყვარული  
რომ დაიბადა, მერე ერთიორად გავი-  
ზარდე. ზოგი ისეთი რამ შევიმატე, რა-  
ზედაც წარმოდგენაც არა მქონია. აი.  
გიშერ ახლა შენ და მხოლოდ ის კი არა  
ხარ, რასაც შენში სხვები ხედავენ. იმათ  
ჰგონიათ, შენ ერთი უბრალო ქალიშვი-  
ლი ხარ, მოხვედი ომში და მიჰყვები ტალ-  
ლებს. არა, მედიკო, შენ ჩემთვის იცი რა  
ხარ? თქმა მიჭირს... ეჰ... განა ენა უძ-  
ლური არაა დაუსრულებელი სიცოცხ-  
ლის გამოსახატავად?.. აი, იმ სიცოცხ-  
ლის, რომელიც, ვთქვათ, ჩვენს შემდეგ  
იქნება?..

ნუთუ დრო არაა, რომ ამ ცრემლებს  
მედიკომ თავი დააღწიოს?! მაგრამ რა  
ჰქნას, როცა ამ ბოლოს, თვალი რომ  
ცრემლით აევსება, თანდათან უფრო მეტ  
შეებას გრძნობს, თითქოს მალლობიდან  
მალლობზე ადის; ახალი ქვეყნის ხილ-  
ვას ელის.

თვალებზე ხელი მოისვა მედიკომ,  
ახალი წიგნი გაშალა და კითხვას შე-  
ულდა.

(დაგრძელება იქნება)

პაპასანრა ბლოკი



## კუდიკოვის ვედზე

ნაპირებს რეცხავს ნაღვლიანი მდინარე ფართო,  
მიემართება ნელი დინებით,  
და მოყვითალო კბოლის ზემოთ — მინდორზე — მარტო  
ჩანს მოწყენილი თივის ზვიინები.

რუსეთო ჩემო! ცოლო ჩემო! გრძელი გზა, ვიცი,  
ტყვილამდეა ნათელი ჩვენთვის!  
ჩვენმა გზამ თათრის უძველესი სურვილის ისრით  
გაგვიბო შკერდი.

ჩვენი გზა სტებებს მიიკაფავს სევდით ყოველთვის,  
რუსეთო, ის ღრმა სევდა შენია!  
და მე წყვდიადის — ღამისაა თუ უცხოეთის —  
არ შეშინია.

დე იყოს ღამე. მაინც მივალთ. გავაჩირაღდნებთ  
სტებების სივრცეს კოცონთა ალით.  
სტებების კვამლში უწმინდესი დროშა ინათებს  
და ხანის ხმალი.

და ბრძოლა მარად! ჩვენ სიმშვიდე სიზმრად გვეგულის,  
სისხლში და მტვერში ბრძოლაა მარად...  
სტების ფაშატი მიჰქრის, მიჰქრის გაგიყებულ  
და თელავს ბალახს...

გზას არ აქვს ბოლო! იელვებენ ზრამთა უბენი...  
შეჩერდი ჩქარა!  
შეშინებულნი გამოიბიან ცაზე ღრუბლები,  
და ცის დასავალს სისხლი სდის ღვარად!

იტორე, გულო! სისხლის ფერი მოჩანს დასავლით!  
გულს ფიჭვი მიღლის...  
არ არის ქვეყნად მოსვენება! სტების ფაშატი  
უსაზღვროდ მიჰქრის!

თარგმანი პ. სულბაკაშვილისა

ა. სარაძე



## სიფხიზდის სიღმერა

რამდენ მშვიდობის არ ვართ მომსწრენი,  
თუმც არ გვრგებია ის საუკუნოდ.  
ვართ ჭაბუკნი თუ ჭაღაროსნები, —  
მშვიდობის ჰანგი დავაგუგუნოთ.

თუ ავარდება კვამლი და ბოლი,  
რომ გადარუჯოს მზე და ყანები,  
ჩვენ გავიმარჯვებთ ბოლოს და ბოლოს.  
რადგან მშვიდობას ვეთაყვანებით.

და თუ ოდესმე, კარგა ხნის შემდეგ  
გამოგვალეძებს ბრძოლის განგაში,  
გამოალეძებს ჩვენს მამებს, დედებს,  
გამოალეძებს შვილებს აკვანში;

თუ გადიწვება ტრამალი ვრცელი,  
ომის ყიყინა ველებს დაფარავს;  
თუ დაიღვრება დედების ცრემლი,  
ქვრივი ქალების ცრემლი ანკარა;

თუკი სიკვდილის მსახვრალი ხელით  
წყუელ იარაღს ჩვენკენ მომართავს, —

ახალგაზრდებთან მხარდამხარ მღერით  
წავალთ, მოვსრისოთ გუნდი ყორანთა.

და თუკი ტყვია დავგვემს, გაგვემირავს,  
თუ ჩავვიქრება თვალეზში ცეცხლი,  
შვილი დადგება მამის მაგივრად,  
მახვილს აიღებს და ძმა ძმას შეცვლის.

ღიახ, დროთა სვლას მიეყვებით ასე,  
დავბადებულვართ განა ლაჩრებად?  
ჩვენ ისტორიის ცეცხლოვან გზაზე  
ბრძოლაც ვისწავლეთ და გამარჯვებაც.

მტერს დავატყდებით რისხვად და  
ზარად,

უფრო ძლიერნი რომ შევიქმნებით.  
არა, არ არის ისეთი ძალა,  
რომ დაამარცხოოს ბოლშევიკები.

შევესისხლხორცეთ მშვიდობას მარად,  
არ გვაფიწყდება დღენიც ხანძართა;  
მაინც მშვიდობას ვუღდავართ ფარად,  
მშვიდობის გარდა სხვა გზა არ გვწამდა.

თარგმანი ირაპალი არაბულიძისა



## მუხრან გაჭაპარიანი



### თ ძ ვ ი

გაივლის დრო და...

— გახსოვს?! —

გეტყვი დღევანდელ დღეზე.

შენ შემომხედავ —

«გვესება თვალები ცრემლით...»

— აი,

— ხომ ხედავ,

— სასურველის მიღწევა შევეძელ!

— აი,

— ხომ ხედავ,

— გავემართლე იმედი შენი.

გაივლის დრო და...

— გახსოვს?! —

გეტყვი დღევანდელ დღეზე.

შენ შემომხედავ —

«გვესება თვალები ცრემლით...»

— აი,

— ხომ ხედავ,

— რაც მინდოდა ვერაფრით შევეძელ!

— აი,

— ხომ ხედავ,

— გავემტყუნე იმედი შენი.

გაივლის დრო და...

უნდა ითქვას ორიდან ერთი.

გაივლის დრო და...

გამოჩნდება ახალი ვინმე.

გაივლის დრო და...

— თქვი!

— რომელს გეტყვი:

— მეორეს?! —

— პირველს?! —

### შ შ ა დ ლ ე

მზე არი თვალწინ,

მზეა უკან,

მზეა მხარდამსარ,

არი შუადღე.

ორღობეში არ ისმის ჩქამი.

გაიფრთხილებს ხოლმე ჩირგვში

ჩიტი ხანდახან

და მყუდროება შუადღისა ირღვევა

ამით.

გახედავ ფერდობს,

გახედავ ტყეს,

გახედავ დაბლობს;

გარინდებულა ყველაფერი.

არ იძვრის ქარი.

ცისა და მიწის მყუდროება უსიტყვოდ  
ამბობს:

— აღამიანო!

ველით!

გიცდით!

გისმენო!

ვეითხარი!

## მთარ პალაგვიჩიძე

გათენდა დილა; გამოველ გარეთ,  
ცვარში ბზინავდა თოთო ბალახი;  
ცისკიდეს, როგორც სამშობლოს კარებს,  
შემოქარგვოდა ოქროს ვარაყი.

მინდა ვუმღერო ამ მთების სუნთქვას,  
თვალებს დადინდეს სიამის ცრემლი;  
სიმღერას მხოლოდ სათავე უნდა,  
თორემ დასასრულს უპოვის ვერვინ.

## ნორა შამანაძე

### ის ცოცხალია

ყველას სჯობნიდა ზვრებში, ყანებში,  
მასზე ამბობდნენ: მჯობნის მჯობნია,  
გიორგი ერქვა, მაგრამ ალერსით  
სოფლად უწოდეს „ჩვენი გოგია“.  
...ცაზე როდესაც დაიძრა ნისლი,  
დიდმა ბრძოლის ხმამ უხმო შორიდან,  
სიცოცხლის მცველად წავიდა ისიც,  
სიცოცხლე იხსნა... ველარ მოვიდა.  
ველარ მოვიდა გაშლილი მხრებით,  
შორს დაეხუჭა თვალი გოლიათს,  
მაგრამ სოფელში ალერსით, ქებით,  
კვლავ ხშირად ისმის — ჩვენი გოგია!  
ვლები რომ უმზერს ვენახებს საეცეს,  
ამბობს ხელახლა ათასჯერ ნათქვამს:  
— ვენახის მოვლა შვილივით ასე  
ჩვენმა გოგიამ იცოდა მართლა. —  
ვადახედავენ ბრიგადირს გამრჯეს,

რომ აქვს ყანები ნაფოფინები:  
— ჩვენს გოგიას ჰგავს ძალ-ლონით,  
გარჯით, —  
გაიღიმებენ კმაყოფილები.  
მოხუცი ბავშვებს შეაველებს თვალებს  
და სიბერეზე ის შეწყვეტს ოხვრას:  
— ჩვენი გოგიას შვილები მალე  
მხრებით ასწევენ უმამო ოჯახს.  
სოფელში რამე თუ ცუდი მოხდა,  
უცებ სეტყვა და ღვაწი მოვიდა,  
— საქმე როგორ აქვს გიორგის  
ოჯახს? —  
წამსვე რეკავენ რაიკომიდან.  
დრო მიიჩქარის გრიგალის ფრთებით,  
წლები მიდიან, წლები მოდიან,  
პირიდან პირზე გადადის ქებით:  
ჩვენი გოგია!

## მთაწმინდა

რა გზა ჰქონია, რა შეღმართია,  
სულაც არა აქვს სიდიდე მთისა,  
შხელდაც და უშბაც მას შენატრიან,  
მის უკვდავ სახელს, სიმაღლეს მისას.  
რა შეღმართი და რა გზა უფლიათ  
მისი კალთების მუღმივ ბინადრებს,

წლები უძილოდ განვლეს სრულიად  
და ასე მშვიდად მიტომ სძინავთ დღეს.  
რამდენ ქარიშხალს, აედარს და ყინვას  
შეხვდნენ მკერდით და სიტყვის მარაგით,  
რომ ხალხის გულში ეპოვნათ ბინა  
და მთაწმინდაზე ძვალშესალაგი.



მოჩის უოხნივილი

კატარა გოგო დამეკარგა

იგბში რომ ჩამდგარიყო,  
 დაფარავდნენ იანიც,  
 ცისფერთვალა ია იყო,  
 წითელპერანგინი.  
 ერთი ციდა ია იყო  
 ამ ცოტა ხნის წინახანს;  
 ან ავლილი, ან ჩავლილი  
 ზომ არავის გინახავთ?

ჩიტო, ჩიტო, მაპოვინე,  
 მე შენ დედას გაპოვინებ!

რა უნდოდა — ხელთა ჰქონდა  
 საქანელაც, ციგაცა...  
 ერთი ჯოხის ცხენი მყავდა,  
 მან ზომ არ ვაიტაცა?

ჩიტო, ჩიტო, მაპოვინე,  
 მე შენ ბუღეს გაპოვინებ!

„პატარა გოგო დამეკარგა  
 წითელპერანგინი...“  
 მივდივარ და მივდილინებ,  
 ჭალა ავახშიინებ.

— ბიკო, ზომ არ გამიგიედი? —  
 ფეხად მომდევს ბებია.  
 ცალი ქოშით მობაკუნობს,  
 ცალი... დავიწყებია.

ბები, ბები, ტუბილო ბები,  
 არ დამიფრთხო ჩიტუნები.

განა მართლა გოგოს ვეძებ,  
 არა, ჩემო ბებია.  
 ჩემი ყრმობის სალაღობო  
 ლექსი მომგონებია.

გახსოვს, ერთ დროს, ბევრჯერ ჩემთვის  
 ეს სტრიქონი პაწია,  
 შენი კრიალოსანივით  
 მშუვიდად დაგიმარცელია?

მაგრამ... აღბათ არაფერი  
 აღარ ახსოვს ბებიას,  
 ცალი ქოშით მობაკუნობს,  
 ცალი... დავიწყებია.

ანზორ აბაიშვილი

მოგონება

რამ დამავიწყოს ის ზეცა,  
 გულზე სიამის მომფენი, —  
 სოფელი მთების ძირასა,  
 ის ერთი კარგი სოფელი;  
 სახლ-კარი ჩემი პაპისა,  
 წყალში გასული ბორანი,  
 ალაზნის ლურჯი ნაპირი,  
 სულ ტუბილად მოსაგონარი...  
 მახსოვს ყანები... რამდენჯერ  
 ნამგლებით გადავიქვითი,  
 ბიჭები დარჩეულები,  
 სულ შავგვრემანი ბიჭები.

რამ დამავიწყოს ის სევდა,  
 იმ ერთი გოგოს სახელი,  
 გზიდან წასული ორლობე,  
 რა კარგი გადასახვევი...  
 მერე ცხოვრების დიდ გზასა  
 არ შევეშინდით არავინ.  
 შორს დარჩა ჩვენი სოფელი,  
 პაპის ქვევრი და მარანი,  
 ალაზნის ლურჯი ნაპირი.  
 წყალში გასული ბორანი,  
 დღეები სიჭაბუკისა,  
 სულ ტუბილად მოსაგონარი.

## ნაზი კილასონი

### ლექსის შესახებ

ის როგორ იყო? ღამეს იღბლიანს,  
შორს ვარსკვლავების აკანკალებით  
ლექსმა ქარივით შემომინგრია  
სახლის კი არა, გულის კარები.

როცა ბავშვობის ქარიან თვეში  
ტოლებთან მსურდა რბენა, ანცობა,  
გზაზე მტერივით დამდევდა ლექსი  
და არ ესმოდა ჩემი ბავშვობა.

მე, ფეხშიშველას, წვიმა მიყვარდა,  
ბუნების ფერიც სულში მინთია,

ლექსმა მაჩვენა ფერი სიტყვათა  
და შემაძრწუნა, როგორც მინდია.

მერე მონობის დამლო ბორკილი  
და სიმღერები მომცა ზუნდებად,  
დღეს თავხედურად ლექსთან მორკინალს  
თუ ფეხი სადმე დამიცურდება.

ლექსი შემინდობს. თვით მოიგონებს  
მისთვის სიცოცხლე მსურდა გამეყო  
და მამატიებს უძლურ სტრიქონებს,  
გულმა რომ თქვა და სიტყვა არ ეყო.

## ოთარ ჭილაძე

### დ ე დ ა

შენს სახეზე ნაოქები ვნახე,  
როგორც თოვლზე ბელურების კვალი...  
გარეთ ისევ იმ ალუბლებს არხევს  
მდინარიდან წანომღვარი ქარი.  
ალუბლებთან, სადაც წინათ ტოლებს  
ბევრზე ბევრი მოგწევიათ წვიმა,

დღეს მე ვამტვრევ მზეში გამთბარ  
რტოებს —  
შენთვის უცნობ გოგონასთვის მიმაქვს.  
სხვა სიმღერებს მოუხიბლავს ბავშვი,  
შეუმჩნევლად წამოზრდია ფრთები...  
იგრძენი და იქნებ სწორედ მაშინ  
ალუბლებმა გაგითოვლეს თმები.

## ვახვანგ ძნელიძე

### შენი სიცილი

შენ იცინი, ვარდებს გაყრის ეს სალამო,  
გაზაფხული არის შენი განცდა წმინდა,  
შენ იცინი და არ იცი, რომ შენს გამო  
მე ღიმილიც დამავიწყდა.

შენ გეძახი უნაზესი ლექსის ხმებით,  
შენ დაგეძებ, იმედების თვალისჩინო,  
ორნი ერთად, ჩვენ, სიყვარულს  
ვესიზმრებით.  
ზომეც ნება, მეც შენსავით გავიცინო!

**შოთა ნიჟინიძე**  
**სოფლისკენ**

ბავშვობიდან მარად სათაყვანები  
გაიშალა იმერეთის ყანები.

გული მღერის და ბორბლებიც მღერიან,  
აბა დელი, აბა დელი, დელია.

ჩემს მშობლიურ სოფელს  
ვუახლოვდები,  
აგერ ნისლი, წისკვილი და ოდები.

ჰა, სიმინდიც ღობეს მისდევს აღმაცერს,  
ლამენათევ მაყარვივით ბარბაცებს...

ბოგირები... ბოგირები... შდინარე,  
ბრაგაბრუვით ხიდზე გადავიგრიალეთ...

ჩვენი ტყე და ჩვენი მინდორ-ველია,  
აბა დელი, აბა დელი, დელია.

აგერ მიდის წითელკაბა გოგონა,  
მიფრიალებს, თითქოს ჭიაკოკონა.

თოხის წვერზე გამოუკრავს საგზალი,  
უკან თეთრი თხა მიჰყვება ბანცალით.

ლამის ჩავხტე, მკლავზე გადავიწვინო,  
ცოცხალი ხარ?! შემოგველე, ციციწო!

მო, მიაშბე, სად იყავი აქამდე,  
შენი გულის საიდუმლო გამანდე.

სად იყავი, თუ ცოცხალი იყავი,  
უშენობით გული რად გაიყავი.

წამო სახლში... წამო, ბავშვო კეთილო,  
ნეტა რად არ გეცოდება დედილო...

ისევ შეგხვდით... გული ისევ მიღელავს,  
ჩემი ყრმობის დაკარგულ სიმღერავ.

**გიქინა ნიკაუჯი**  
**სამშობლო**

შემგებებიან მუხები,  
გადაეხვევიეარ წიფელას,  
მზისხელა გული მქონია,  
ოცნება ორი იმხელა.  
დილით ბალახის ღეროდან  
ამიკრეფია ნამცვრევი,  
დამიკოცნია ყანების  
ალუბლისსიმსხო მარცვლები.  
მე მომიხიბლავს გულითა  
ცელქი ნიავი თავნება,

შემფეთებია გზაზედა  
გოგონა მაცელისთვალეზა.  
გადამიყრია თავზედა  
ძველთა ციხეთა ნაცარი,  
მკერდში ჩამიკრავს ლოდები,  
სამშობლოს-ეშხით დამწვარი.  
მომიხსრეკია კლდეებში  
მამა-პაპათა სამალი...  
სამშობლოს სიყვარულისთვის  
არ დამიღვია სამანი.

## მაიამ მოგამე



## უ შ ე რ გ ი ლ


 გ რ ო ე ნ ე ს ლ ი  
 დ ე მ ო კ რ ა ტ ი კ ო პ ი ა რ ი

რას ვიფიქრებდი, თუ ის სოფელი, საითყენაც ამ რამდენიმე თვის წინათ მსჯავრდებულავით გამოვემგზავრე, ასეთი ძვირფასი გახდებოდა ჩემთვის.

მე ქალაქში დაბადებული და აღზრდილი კაცი გახლავართ და ჩემი მომავალი ჩემს ფიქრში იმთავითვე დედაქალაქის მრავალფეროვან და ბოხოქარ ცხოვრებასთან მქონდა დაკავშირებული.

პო-ო-და... დავამთავრე უნივერსიტეტი და იმავე წელს ასპირანტურაში დავიჭირე გამოცდა. ერთი დღილი იყო და სხვა მიიღეს, ორი წლის წინათ კურსდამთავრებული ვილაც „სტილნი ბიჭი“ ჯუმბერ ბოკუჩავა, სამუალო ნიქის პატრონი და მოზარმაყო, მაგრამ ვილაცის რაღაც (ასე მიცვენს ჩემმა გულშემატკივრებმა). ერთი-ორი კვირა გულაღრენილი დავდიოდი, მერე სამინისტროში მივედი და სამსახური ვითხოვე. თბილისში არ იყო ადგილი. რამდენიმე სოფელი შემომთავაზეს და მათ შორის ისიც, სადაც მამიდაჩემი იყო გათხოვილი. სახლში რომ ესა ვთქვი, გაუხარდათ, თბილი ბინა და ცხელი კერძი მაინც გექნებოდა.

ასე და ამრიგად გამოვეშურე ამ სოფლისაკენ და გავხდი... სოფლის მასწავლებელი.

ბავშვობიდანვე ბეჯითი და, თუ რაიმეს ხელს მოეკიდებდი, იმ საქმის ერთგული ვიყავი. ახლაც, რაკი მასწავლებლობა მერგო ხვედრად, მასწავლებელი უნდა ვყოფილიყავი კარგი და ამიტომ გულისყურითა და მუყაითად მოვეკიდე ჩემს საქმეს, თუმცა, მართალი ვითხრათ, როგორც ჰაბუკობის უმრავლესობას, არასოდეს არ მიზიდავდა ეს პროფესია. პირველ დღეებში მეტად ველავდი, მაგრამ საქმე თავიდანვე კარგად წავიდა. „არც ერთი ზედმეტი, გაუმზნავი სიტყვა: „მამასადამე“, „დაიხ“, „ესე იგი“ ან რაიმე ამდაგვარი, არც ერთი

ზედმეტი მოძრაობა; სიღინჯე, შინაგანი ძალა და სამართლიანი მომთხოვნელობა“, — ვემეორებდი ჩემს თავს ყოველ გაკვეთილზე შესვლის წინ. მხოლოდ მეთერთმეტე კლასში დავუშვი ლაღსუსი პირველ გაკვეთილზევე — მოსწავლეთა ასაკმა თუ დამაბნია. დასწრებას რომ ეამოწმებდი, ერთ-ერთ მოსწავლეს, არ ვიცი, არ გაუცია პასუხი თუ ვერ გავიგონე. ისეე გავიმეორე მისი გვარი, რასაც მოჰყვა ბოხი, მეტად ხმამაღალი „ვარ“.

— რატომ ყვირით? ჩვეულებრივ ნათქვამსაც გავიგონებ. — და იქვე გავიფიქრე: „რა კარგია, რომ არ წამომცდა: ყურს კი არ მაკლია-მეთქი“.

— ერთხელ წყნარად ვთქვი, მასწავრ გავიგონეთ და ეხლა უკვე ხმამალა ვითხარით! — ხელები გაშალა მან და ღიმილით გადახედა ამხანაგებს, — შემხედეთ ერთი, რა თამაში, მოურიდებელი და კადნიერი ბიჭი ვარო. სიბრაზე ყელში მომაწვა.

— ყვირილი მეც შემიძლია, თუ... — ენაზე ვიკბინე.

— მართლა, მასწ?

— აბა, მასწ! — მომესმა აქეთ-იქიდან.

თავს ძალა დავატანე. სახეზე რაც შეიძლება მეტი ძალა და ნებისყოფა გამოვიხატე და გულითადი და მშვიდი ხმითა ვთქვი:

— თქვენს მეგობრად მიგულეთ გართობაშიც, სპორტშიც, თუგინდ ყვირილშიც. მაგრამ გაკვეთილზე ყველაფერი ისე უნდა იყოს, როგორც გაკვეთილს შეჰფერის, გაკვეთილზე თქვენ მოსწავლეებო ხართ, მე კი მასწავლებელი... — და სიის კითხვა განვაგრძე აულელებლად.

ეს იყო და ეს. მეტს ვერაფერს ვუსაყვედურებ ჩემს თავს. მოსწავლეებს მართლაც დაუმეგობრდი და მათი პატივისცემისა და რილის მოპოვებაც შეე-

ძელი. კლასებში მოსწრებაც კარგი მქონდა და დისციპლინაც. ვცადე, რამდენიმე სწავლაზე გულაცრუებული მოსწავლე გამოემსწორებინა, და, სასურველი შედეგები რომ შევნიშნე, სიხარულით ცას ვეწიე.

ასე იყო: დავდიოდი სკოლაში, თავისუფალ დროს სამკითხველოში ან კინოში, ზოგჯერ ჩვენი მასწავლებლების ან მათი ოჯახის წევრების დაბადების დღეზე ან რაიმე სხვა მიზეზით გამართულ წვეულებებზე, თემცა დროს დიდად ვერსად ვერ ვატარებდი — ღვინის მსმელი და მოქეიფე კაცი მე არა ვარ და არშიყობა მე არ მეხერხება. ჩვენ გასათხოვარ მასწავლებლებს კი თურმე მოვწონდი, არ ვიცი მართლა თუ გათხოვება უნდოდათ მხოლოდ. ჩემი გულგრილობა მათ აბრაზებდა. გუდუროს, მუდოსა და ათას ამდაგვარ სახელებს მიწოდებდნენ თურმე. მე კი ერთი მქონდა აზრად: მალე დამთავრებულიყო სასწავლო წელი და თბილისს დაებრუნებოდი. არც ეს სოფელი იყო ურიგო, ჩემს საქმესაც შევეჩვიე და შემოიყარა კიდევ, მაგრამ მაინც ერთი სული მქონდა აქედან წასვლამდე. ასპირანტურაში შესვლის ფიქრი არ მომიშლია და თავისუფალ დროს ვმეცადინებოდი. თანაც პაინეს ორიოდე ლექსი ვთარგმნი.

რეველის სამ გვერდზე ჩაწიკვიკებული თარგმანი და წერილი თბილისში გავუგზავნე ერთ ჩემ მეგობარს, რომელიც გამომცემლობაში მუშაობდა. იქნებ სადმე დაბეჭდინო-მეთქი, ვთხოვდი.

ფოსტიდან სამკითხველოში შევიარე. მაგიდას მიუჯექი და გაზეთის უკანასკნელი ნომერი გავშალე, ჩემს გარდა სამკითხველოში კიდევ იყო ერთი-ორი ადამიანი. კიდევ მოვიდა ვილაც, სკამი გაახმაურა, დაჯდა და ეურნალ-გაზეთებს აუყენა შარბურბი. ცოტა ხნის შემდეგ შეგუბებული სიცილი მომესმა და თავი ავწიე — ჩემ პირდაპირ ვილაც ქალოშვილი „ნიანგს“ ჩაპყურებდა. ამწყიალებული თვალეები შემო-მამუქა, შერცხვა და უმალ დახარა. ზედიზედ გადაფურცლა. ძლივს იქერ-

და ბაგის კუთხეებში ღიმილს ვხედავდი. ბურად მეც შემიტოკა ტუჩებზე ღიმილი. მა. წარბები შევეყარე და ისევ გაზეთს ჩავუკრიკობდი, მაგრამ ცარიელა ასობესლა გვეთხოვობდი. ქალოშვილმა „ნიანგი“ ვერღზე მისდო. ერთ ხანს უძრავად იჯდა. მისკენ ირიბად გაეაპარე მზერა. ჩემ გაზეთს დასცქეროდა. ერთი წუთი კიდევ ვიბორიალე გაზეთში უაზროდ და მერე, კი არ მიმიწოდებია, დავეკეცე და მისკენ გაეაჩოჩე, ვითომ, აჰა, მე გავათავე და ახლა წაიკითხოს, ვისაც უნდაო. რატომღაც ვერიდებით ვაეები ქალოშვილის მიმართ ყურადღებისა და თავაზის აშკარად გამომჟღავნებას. იმან გაზეთი ააფრიალა, მე კი „ნიანგი“ გადავეფურცლე. წასასვლელად რომ აღდა, თავს ვეღარ ვძლივ და თვალს შევავლე. სწორედ ის ეშხი და მართილი ჰქონდა, მე რომ ქალში მიზიდავს, ბაგის ჭიშები მალა აეწია ღიმილს, ზაფლისფერი თვალეები შეაკვებული ხალისით უკრთოდა და გეკითხებოდა თითქოს: მე ყველაფერი მომწონს და მახარებს და ხომ არავის წყინს ესო? გაბარდინის მაკინტოშქვეშ თეთრ ხალატს მოვკარი თვალი და დავასკენი, რომ ექიმი იყო.

მთელი დღე იმ ქალზე ვფიქრობდი. ნასადილევის ვითომ ხუმრობით მამიდაჩემს ვუთხარი ნაშალადევი სთამამისაგან გაბრეხებული ხმით: მასწავლებლებში არშიყობა მომეწყინა, ახლა ექიმებზე მინდა გადავიდე, არავინაა მათში ხერიანი-მეთქი?

მამიდაჩემი, კოლმეურნეობის თავმჯდომარის ცოლი, მზიარული, შოქშოქა ქალი, ყველას იცნობდა: მკვიდრსაც და ჩამოსულეებსაც, ფრჩხილი რომ წამოსტყენოდა, ექიმებში გარბოდა და წამლებით იწყობებოდა. ის ექიმი ქალიც, რასაკვირველია, ეცოდინება-მეთქი, ვიფიქრე.

— ამას დამიხედეთ ერთი, რა შოარშიყე გამამიჩნდა! — ამრეხით გამომხედა მამიდაჩემმა. — ექიმები სუ დათხოვილები არიან.

— მერე რა, ეგ არა სჯობია? — უტი-

ფარ-ბრიყველი ცივი ღიმილით წამოვირობროხე, ეხტიბარი არ გავიტეხე ვითომ.

— ი-ი, შენ კი გაჭრი და! — ტუჩი აიბზუა მამიდაჩემმა.

თითქოს ვიპოვე ის, რასაც მთელი სიცოცხლე ვეძებდი, და იქვე დავეკარგე.

\*  
\*  
\*

მაისის დღე იყო, და მაისის დღე, როგორც არ უნდა იყოს, დარიანი თუ ავდრიანი, მაინც თავისებურად მშვენიერია. მაგრამ ის დილა მზიანი და გამჭვირვალე გათენდა.

სკოლიდან დაბრუნებული ღია ფანჯარასთან მიდგმულ მაგიდას ის-ის იყო მიეუჯექი და გასასწორებელი რვეულების დასტიდან ერთი-ორის გასინჯვა მოვასწარი, რომ ძახილი მომესმა: დეიდა გულოო. კისერა წავეგრძელე და ასევე გავშეშდი: ქიშკართან ის იდგა, ხალხნო, ისა!.. ბიბლიოთეკაში რომ ვნახე... ექიმი... მამიდაჩემს ეძახდა.

სანამ ყელიდან ხმას ამოვიტანდი და ენას მოვაბრუნებდი, მამიდაჩემმაც გამოალო მეორე ოთახის კარი, ამას ვისა ეხედავო, შესძახა და ეზოში ჩაფრინდა. სტუმარს ორთავე ხელი მკლავში ჩაავლო და აივანზე ამოიყვანა. თან ეუბნებოდა: როგორ გაბედე და ფეხი მოვიცდა ჩვენსაო. ოთახში შეიყვანა, საცა ძველებურ მსხვილფეხა მაგიდაზე საყვარეი გაშალა წელან, მე რვეულების დასტა ძველ ალაგას მიეწიე. მაგიდიდან კი არ ავმდგარვარ. ვიჯექი უძრავად, ხან ღია ფანჯარაში, ხან კი გამოღებულნი ფანჯრის მინაში. ვუცქეროდი მეზობლის სახლს, ხეებს, მთასა და მეტად კრიალა ცას, ღრუბლის სპეტაკი ქულა რომ გადააჰქნტავდა ზოგჯერ ალაგა-ალაგ, და კისერწაგრძელებული მეზობელი ოთახიდან კანტი-კუნტად გამოსულ სიტყვებს ვიკერდი. მამიდაჩემის ახალ საკაბზე ლაპარაკობდნენ, ფასონს არჩევდნენ, მგონი. მამიდაჩემმა რამდენჯერმე გაიმეორა: არც ძიე ბებრული და არც ძიე ჯეელურიო.

ბიძაჩემი რომ მოვიდა, ეცოტეხნის შემდეგ მეც დამიძახეს. ბიბლიოთეკა

— ეს ჩვენი აგრონომი გახლავს! — გამაცნო სტუმარი ბიძაჩემმა.

სახეზე წამოვენთე.

„აგრონომი?! მაშ ეს ექიმი არ არის?! მაშ ეს ის აგრონომია, ბიძაჩემი რომ ასენებს ხოლმე? ამ ორი თვის წინათ ერთი კვირა სულ წუწუნებდა, რად მინდოდა პირზე რძეშეუშრობელ ბაღს რომ მიგზავნიდნენ, რა უნდა გამიკეთოს იმან, ან რა უნდა მოეთხოვო პეპელასავით ნაზ ქალსაო, დოცენტის შვილია, ნათერები და ნალოლიავებიო. შემდეგ ჯერ ეკვნარე, მერე კი თავგამოდებულ ქებაზე გადავიდა. რას ვიფიქრებდი, ეს აზიზი ქალი ამდენს მოინდომებდა და ამდენს შეიძლებდაო. ავდარს ის არ ერიდება და მზესაო, აქ რო გგონია, აგერა იქ, ხუთი კილომეტრის იქით გაჩნდება, ქარივით დაქრის ამ მინდვრებში ეს აზიზი და განებვიერებული ქალიო.“

თუმცა ბიძაჩემი პეპელასავით ნაზს უწოდებდა, მაგრამ მე ის აგრონომი რატომღაც გამხდარ, მაგრამ ძვალმსხვილ, დილაჯება, ზედმეტად თამამ და თავდაჯერებულ ქალიშვილად მყავდა წარმოდგენილი, რომელსაც ერთი წელი მსხვერპლად გაუღია და სოფელში წამოსულა სამუშაოდ, რათა მერე ინსტიტუტში აქ მიღებული ცოდნით ქვეყანა განაცვიფროს! მაშ ეს არის ის აგრონომი?!..“

— აი სუ რო წუწუნებ, რომ გეთაკილება აქ ყოფნა. ეს ნორჩი ქალი დოცენტის შვილია, მაგრამ სოფელში წამოვიდა, განა ქალაქში კი ვერ იშოვიდა სამსახურს, ან იმ შენ ასპირანტურაში ვერ მოეწყობოდა?

შემრცხვა, დავიბენი.

— აბა, სადა ვწუწუნებ... სადა ვთაკილობ... — წავიბურტყუნე მოგვიანოდ.

და მერე სუფრაზე სულ იმას ვფიქრობდი, როგორ გადამერწმუნებინა აგრონომი, რომ არცა ვწუწუნებ და არცა ვთაკილობ აქ ყოფნას. არ მინდოდა იმ ადამიანის ბეჩავ და დამცირებულ

მდგომარეობაში წარმოვედგინე, რომელსაც თავისი საქმე ესირცხვება.

საუბარი უმთავრესად ნათესებისა და საერთოდ კოლმეურნეობის ირგვლივ ტრიალებდა. ერთ-ერთ ნაკვეთზე თურმე პური არ ამოიდიოდა. დღესაც იმ ნაკვეთზე გაუვლია აგრონომს; ისეთსავე დღეში რომ უნახავს, შეწუხებულია და ბიძაჩემის ნახვა მოუწადინებია. კანტორაში უთქვამთ, მგონი შინ წავიდაო, და ამ ბედნიერმა შემთხვევამ ჩვენს კარზედაც მოაგლო.

— რა ვქნათ, ძია მიტრო? რატომ არ უნდა ამოდიოდეს? — სწუხდა აგრონომი.

— ამოვა, მა სად პაპაჩემთან წავა! — სცადა მისი დამშვიდება ძია მიტრომ მაგრამ თავად კი მოიწყინა და დაღონდა (ასე იცოდა ხოლმე, როცა მეტად ეწყინებოდა რაიმე).

— შევატყობინოთ რაიონში? მთავარ აგრონომს მაინც?

— დავიცადოთ ერთი-ორი დღე, თუ ალაგ-ალაგ მაინც ამოიწვერა... — ურჩია ბიძაჩემმა.

აგრონომმა ტუჩები აიბურცა, ნიკაბი დაიხრიტა და გაიჟმდა. ზოგჯერ შემომამოფიქნებდა ხოლმე ცნობისმოყვარე თვალებს. მერე მკითხა, სადა ვსწავლობდა და როდის დავამთავრე. საერთო ნაცნობები აღმოვეჩინა და მათზე ვილაპარაკეთ.

სადილს ვამთავრებდით, რომ ცამ ყრუდ დაიგრგვინა. ყველამ გარეთ გავიხედეთ, ცა ჩვენ თავზე კრიალა იყო, ოღონდ მესობელი სახლის სახურავს წამოდგომოდა ფაფუკი თეთრ-მონაცრისფრო ღრუბელი.

— მგონი, წვიმას აპირებს! — შეწუხდა აგრონომი.

— რამ შეგაშინა, ქალო, კერძევა ხარ, მინდორში ხომ არა! — ვითომ შინაურულად შეუწყრა მაშიდაჩემი.

— აედრისა არ არი, კიდევ რომ გავწიმიდეს, მალე გადაიღებს! — დაამშვიდა ბიძაჩემმა.

მაგრამ სადილი დავამთავრეთ თუ არა, აგრონომმა დიდზე დიდი ბოლიში მოიხადა და წასასვლელად ადგა.

— „კარგი, რაკი აგრე გეწინა...“ — უთხრა მაშიდაჩემმა. — მაგრამ არ დაგვივიწყო კი, გამოიარე ხოლმე. ეს ყმაწვილიც რომ გამოგვიცოცხლე! — ადგილი, ბიჭო, გააცილე ქალიშვილი, რა უგერგილო რამა ხარ.

ეკალივით მომხვდა მაშიდაჩემის „ქოთინაური“. რალაც წავიდუღუნე და წამოვედექი.

მაგრამ აგრონომი უარზე დადგა, რად მინდა გაცილება ამ დღისით-შისითო, და აღარც მე მივეძალე.

ამის შემდეგ შინ ვეღარ ვიმაგრებდი თავს, გული ერთთავად გარე-გარე მიმიწვედა მასთან შეხვედრის მოლოდინში. ერთი-ორჯერ ენახე კიდევ, სულ ვილაც ახლდა და სულ სადღაც გარბოდა.

ერთხელ კინოში შევხვდი. მე გვიან შევედი და, ლენტი რომ გაწყდა და განათდა, მაშინ დავინახე. გატრუნული იჯდა და, როგორც ჩანს, მარტოკა იყო. ხალხის ნაკადს გვერდიგვერდ გამოყვევით და მერე აღარ მოეშორდი — მევე გამივივრდა ჩემი სითამამე.

შინ მივაცილებდი... ნაწვიმარი იყო. მთავარ ღრუბლებში თითქოს დამალობანას თამაშობდა.

— რა კარგი ჰაერია!... — მყერდი ასწია მან. — აქ ტალახი აფუქებს ცოტა ვუნებას. თბილისში კი რა კარგია ახალ ნაწვიმარზე. ჰაერი სუფთაა, სველ ასფალტზე სინათლეები ირეკლება, სიცოცხლე ჩქედს და დულს. მენატრება თბილისი. — თვალები გაუშტერდა და თითქოს ნალველი შეეტყო.

„ენატრება თბილისი...“ მეც მენატრებოდა... ამ ორლობების მოსაწყენი სიმყუდროვე და სიწყნარე გულს მიღონებდა, მიმძიმებდა... ახლა კი... ახლა... ახლა ამ სიჩუმესაც, დროდადრო ძალის ყეფა, გზისპირა ბოსლებში საქონლის ამოფშვენა, ხეზე შებუდებული ქათმის შეფრთხილება და ჯერ ფხიზლადმყოფი რომელიმე ბინადრის ფეხის ხმა ან ლაპარაკი რომ არღვევს ხოლმე, სველი მიწისა და ბალახის, ნეხვისა და ნოტიო თივის ამ სუნსაც თავისებური დამატარებელი სურნელება, სილამაზე



და სიღრმე აქვს — სიცოცხლის მიღწერა, შმაგ წყურვილს აღმიძრავს. სასოებას ვგრძნობ ამ ღობის ყოველი სარის მიმართ, ღობის ძირას გართხმულ შამბინას და ბარდების მიმართ... მენატრება თბილისი?... თითქოს შორეულ ბურუსში შთაინთქა ის. ახლა არ ვინატრებდი არსად ყოფნას, ამ ორღობის გარდა... ეს კი... ამას კი ენატრება თბილისი. ვინმე თუ ენატრება... ალბათ... ასპირანტი ან კანდიდატი... მოდაშია ახლა... ამეკვიტა ეს ფიჭვი და გული დამეჭკუქა. მოვიწყინე. ჩემი თავი ბეჩავი და საცოდავი მეჩვენა... სოფლის მასწავლებელი...

სინდისი შექნენის ამ საპატივცემულო პროფესიის მიმართ ასეთი კადნიერებისათვის. მე ყოველთვის მოწიფებას ვგრძნობდი მასწავლებლების მიმართ, მაგრამ რა ვქნა, ახალგაზრდა გასათხოვარი ქალიშვილი ხომ ასე არ მსჯელობს. უცებ გუნება ამემღვრა და ცოტა ღვარძლიანადაც წამოვიწყე:

— სოფელში ტალახია, სხვაგან რაიმე სხვა უსიამოვნებაა, მაგრამ როცა შენს საქმეს პატივსაცემად და გიყვარს, როცა მისი რწმენა გაქვს, ასეთ უხერხულობებს აღარ აქცევ ყურადღებას. ტალახი და სოფლის მოწყენილობა რას მიქვია, აღამიანს დედაქალაქში და კომფორტულ ბინაში ცხოვრება ხომ არ ანიჭებს ღირსებას. ღირსეული ადამიანი ყველგან სათანადო სიმაღლეზე დგას. მე მტკიცებდა ჩემს დარგში მეცნიერული მუშაობა, მაგრამ, რაკი ასპირანტურაში ვერ მოვხვდი, ჩემთვის სულ ერთი იყო, ქალაქში ვიმუშაებდი თუ სოფელად... — აქ უცებ შევჩერდი, მგონი, საკუთარი ღირსეულობის მტკიცება გამომძლიოდა. აგრონომი ჩემი ტირადის დროს ღიმილით თავს მიქნევდა, ვინ გეკამათება მერეო. მაგრამ მე მაინც კმაყოფილი ვიყავი, მაჰიდაჩემის ნათქვამის გაბათილებისა და ჩემი საქმის დაფასებისა და სიყვარულის გამომქალაქების შემთხვევა რომ მომეცა.

— ვერ მოეწყვეთ ასპირანტურაში, არა? — თანაგრძნობით მკითხა მან.

მე თავი გავაქნიე.

ერთ ხანს მდუმარედ მივედით...

— ძმას ველოდები თბილისიდან, —

თქვა მან ბოლოს, — სამხატვრო აკადემიას ამთავრებს და სადიპლომოდ შრომა უნდა გააკეთოს აქა. გაგაცნობთ. სიხარული ყელში მომებჯინა.

აგრონომი ერთბაშად შედგა.

— აქა ვცხოვრობ, — ხელი მოჰკიდა კიწკარს.

მე სახლს გავხედე, ვიციოდა რომ აქა ცხოვრობდა, გამოვტყულები, ერთხელ შორიდან ავედევნე და დაეინახე, რომ აქ შევიდა. ეს ყველაზე ლამაზი სახლი იყო სოფელში: აგურის, ცისფერ შუშბანდიანი. ერთი-ორჯერ ნაბიჯშეცვლილს გამოვივლია კიდევ სარგადაყლაპულივით მის წინ. ჩვენც შევჩერდით და განათებული შუშბანდის გამოღებულ ფანჯარას ახოვანი ლანდიც მოსწყდა.

„ძმა ჩამოსვლია“, გავიფიქრე და ქალს გაკვირვებით შევხედე. ის შურგით იდგა სახლისკენ. მის სახეზე ხეთა შტოებიდან გამომკრთალი მთვარე ჩრდილსინათლეებად როკავდა. „არ დაუნახია, ალბათ“, გავიფიქრე, მაგრამ მეც აღარაფერი მითქვამს, მაშინვე გამოვეშვიდობე.

ერთხელ კანტორაში ვნახე. მალახიში მარელისის სკამები მოვიდა, მათ შექნაზე ოჯახში დიდი ხანია იყო ლაპარაკი და განსაზღვრული თანხაც ჰქონდათ გადანახული, მაგრამ მაჰიდაჩემმა, თუმცა კარგად იცოდა, რომ ბიძაჩემი არც დამწუნებელი იყო რისამე არასოდეს და არც საყვედურის მთქმელი, რატომღაც, მაინც ვერ გადაწყვიტა ყიდვა და მის მოსაძებნად და მოსაყვანად გამგზავნა. მე პირველად კოლმეურნობის კანტორას მივაშურე ფარული იმედით, რომ აგრონომს შეიძლებოდა შევხვედროდი იქა.

სუნთქვაშეკრულმა ავთათვე კანტორის მოაჯირმორყეული კიბე, შუშბანდში შევდექი და მივაყურე. ერთი ოთახიდან საანგარიშოს ჩხაკაჩხუკი გამოლიოდა, მეორიდან კი მამაკაცების ბუბუნა ხმები. ერთ-ერთი ბიძაჩემის ხმად შევიცანი, მაგრამ მე იმ ოთახში შევიხედე, სადაც საანგარიშოს აჩხაკუნებდნენ, რათა ჯერ





იქურობა მომეთვალეობინა. რა თქმა უნდა, წითელ და, რა თქმა უნდა, მელნით დალაქებულ მადღადაფარებულ მაგიდას ერთადერთი ადამიანი უჯდა — კოლმეურნეობის ბუხალტერი. მან თავაუღებლად ამოხედა სათვალედან და მკითხა:

— ძია მიტრო გინდა, მირიან? აი მანდ არის. — თავი მეორე ოთახისაკენ გაიქნია.

— დიას! — თავი დაუქნეო მადლობისა თუ დასტურის ნიშნად და იმ ოთახისაკენ წავედი. კარი შევალე და ერთბაშად შევედქი, ოთახში სამნი იყვნენ: ბიძაჩემი, აგრონომი და ნუშკა ძალოს რეზია — ასე ეძახდნენ ტრაქტორისტ რეზოს, რადგანაც სოფელში სამი რეზო-რეზია იყო, სამთავე ტოლები და მეგობრები.

ვერ გვარკვევ, მიპასუხეს თუ არა სალაშზე — შემომხედეს კი დაბნეულად აღელვებულმა და წამოგზნებულებმა — და ისევ თავად მოვებზე სკამი.

— მე დავთესე-მეთქი, ის ნაკვეთი, ძია მიტრო, მე, მე, მე! — გაცხარებით ირწმუნებოდა რეზია. ტრიკოტაჟის ლურჯი სპორტული შარვლის ჯიბეებში ხელებჩაწყობილი ღია ფანჯრის რაფას იყო მიყრდნობილი ზურგით.

— დამაცა... დამაცა... ვიცი, შენ უნდა დაგეთესა, მაგრამ, ინსტიტუტში რომ რალაც საქმე გამოგინდა და თბილისში წახვედი, ორი დღით ტრაქტორზე შოთა არ დავსვით?

— მართალია, შოთა დასვით, — მოუთმენლად გააწყვეტინა რეზიამ. — მაგრამ საქმეებს შევრჩი და დილის მატარებელზე დამაგვიანდა. მეორე მატარებლამდე ისევ დავჯექი ტრაქტორზე და ხუთი საათი ვიმუშავე — სწორედ ეგ ნაკვეთი დავთესე მაშინ! არავისათვის მითქვამს, ან რა საჭირო იყო. ისე თუ ახსოვს ვინმეს თორემ...

— დამაცა, დამაცა... შენ თუ ფიქრობ, შეილოსა, რაიონის პირველი ტრაქტორისტი ვარო, ეგრე იოლად ვერ გამოიმეტებენო, და ამიტომ სხვისა ბრალს იღებ და სხვის დანაშაულსა ჰფარავ, სცდები.

ამით იმაზე მეტ დანაშაულსა კიდევ უნდა სჩადიხარ. თუ ამხანაგი ხარ, ისა სჯობია, ლენინის სმას გადააჩვიო. რამდენჯერ მითქვამს შენთვის.

მე საქმის კურსში ვიყავი. ბიძაჩემი საერთოდ ჩუმი და უტყუვი კაცი იყო, მაგრამ კოლმეურნეობის საქმეებზე გაუთავებლად შეეძლო ლაპარაკი, განსაკუთრებით ჩემთან და მამიდაჩემთან. იმ ნაკვეთზე, რომლის შესახებაც აგრონომი მაშინ ჩვენთან სწუხდა, ნათესი არ აღმოცენდა. იყო ერთი კვლევა-ძიება. რაიონის მთავარი აგრონომი ხომ ჩამოდიოდა და ჩამოდიოდა თითქმის ყოველდღე, რაიკომიდანაც იყვნენ, მაგრამ ვერ გზიგეს მიზეზი და ამ დღეებში თბილისიდან ელოდნენ კომისიას. წუხელ ბიძაჩემი მთელი ღამე ბორგავდა და ზენე-შოდა, ამ დღით კი მე და მამიდაჩემს გვიოთხრა უძილობისაგან ხრინწვარეული ზმით:

— მართალია, ის ბიჭი ლენინს მუსუსნია, ლენინო თუ ნახა, სანამ შიგ არ ჩაიხრჩვება, არ მოეშვება, მაგრამა, როცა ფხიზელია, კარგად მუშაობს და არც ისეა ურიგო ბიჭი, არა მგონია, რამე ცუდი გაებედოს და ეკადროს.

— ვინ ბიჭი, ვიზე ლაპარაკობ, კაცო? — შეუტია მიკიბულ-მოკიბულობის მოძულე მამიდაჩემმა.

— ვინა და შოთაი! კოკელანთ შოთაი.

— მერე რა შოთაი! რა უნდა ეკადრა შოთასა?

— რა ვიცი!.. ი პური რო არ ამოდის... იქნებ თესლი არ მოახმარა-მეთქი თავის დანიშნულებას მთლიანად... — გაუბედავად გამოთქვა თავისი ეჭვი ბიძაჩემმა. — აქა-იქ კია ამოსული ბლუჯა-ბლუჯა თხუთმეტ-ოც მეტრზე, მაგრამა...

— რას ამბობ, კაცო... ხომ არ გაგიფიდი?.. ამას წინათ რომ შოთას ეუბნებოდი, შენ მოგხვდება ახლოა, რეზიამ არა თქვა, ჩემი დათესილია ის მინდორიო?

— რეზიამ კი თქვა, მაგრამა... სხვის დანაშაულს იბრალებს...

მამიდაჩემს წუთით ფიქრმა თვალი გაუშტერა. მერე ქოთანს ხელი წამოავ-

ლო და კოპებშეკრული ლოდნოშოზე გამომბული ძროხისაკენ გაემართა.

ამაზე კამათობდნენ ახლა ბიძაჩემი და რეზია.

— რალას აღარ დამბარალებენ ახლა! — რეზიამ შუბლი ფანჯრის ჩარჩოს მიაბჯინა, მიახალა თითქმის. იმდენი გულწრფელი სასოწარკვეთილება იყო მის ნოძარაობაში, რომ შეეკრთი, ცრემლები არ გადმოსცვივდეს აქა ამ მხრებ-აღლა და კალმახივით მოქნილ, მთლიანად ძარღვებისა და კუნთებისაგან ჩამოსხმულ ვაეკაცს-მეთქი.

რეზია სოფლის თვალი იყო. მისი სახე იმ ბედნიერი ტიპისა იყო, რომელიც შეხედვისთანავე იგებს ადამიანის გულს და გარწმუნებს იმ კაცის სისპეტაკესა და კეთილშობილებაში. მწველი თვალეზით, წიგნებში რომ წამოკითხავს და გამიგონია, ამის მეტად არ მენახა: კუბრით შავსა და უძირის თაკარა ასლიოდა თითქოს. რაიონში პირველ ტრაქტორისტად ითვლებოდა და თან თბილისში სწავლობდა (ბიძაჩემისაგან ვიცი) მეჭანისაყის ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე.

ძია მიტროს სისხლის წვრილ-წვრილი ძარღვებით დაქსელილი ლოყები გაუფერმკრთალდა, მაგიდას დააბჯინა ქუთუთობებჩამოფაფხული ქროლა თვალები.

რეზიამ ფანჯრის რაფას შუბლი მოაშორა და დახშული ხმით დაიწყო:

— წუხელ ძილი გამიძყდა და დღეს, არც კი იყო ჯერ ნანათლი, რომ წამოვხტი და იმ ბედშავ მინდორში წავედი, რა სკირს იმ ჩემი ცოდვით საესეს-მეთქი. დავიწყე შიგ ჩხრეკა და თავს ესეტე... რუსიკოც, — გაუქირდა თითქოს ამ სახელის წარმოთქმა, — წამომადგა. ეკვით კი მიმოიხედა აქეთ-იქით. განა ვერ მივხვდი, რა იფიქრა?!

— რა? — წამოიძახა გოვგნებით აგრონომმა. მაგიდას უჯდა. ამ ხნის განმავლობაში ხან ბიძაჩემს მიაპყრობდა ხოლმე შემკრთალ თვალებს და ხან რეზიას. მე, რომ შემოვედი, მხოლოდ მა-

შინ მტყორცნა ფიქრმა მჩანჭმულმა შურა.

— რა!.. — თითქოს გამოაჯვარაო რეზიამ და ამოანთხია, ეტყობა, დლიდანვე დაგუბებული. — იფიქრე, რეზიას ხორბლით საესე ტობარაკი ეწებოდა წამოღებული და ხელითა თესავდა — მოგვიანოდ მიინც ამოვიდესო. — ბაგის კუთხე მწარე ღიმილმა მოუბრია.

— არა გრცხვენია, რეზო? — წამოიქრა აგრონომი. — სანამ არ მოგიახლოვდი, ვერც კი გიცანი და უცებ თითქოს დავიბენი. არ მოგელოდი იქ ისე უთენია და, მართალია, თითქოს არც მესიამოვნა შენი იქ ნახვა, მაგრამ მე თვითონაც არ ვიცი, რა გავიფიქრე... შეიძლება გამკრა კიდეც რაიმე ეჭვმა, არ ვიცი... უცებ მივხვდი, რისთვისაც იყავი მისული... — სახე აელეწა, თვალეზში ცრემლები მოაწვა, ნიკაპი აუთრთოლდა. — ყოველ შემთხვევაში, ბოლიშს ვიხდი... — და გარეთ გავარდა.

შეკავებული ბოლშით შეევანათე თვალები რეზიას. თავისდაუნებურად წინ წამოხრილს რალაც გაურკვეველი: დანაშაულის, სინანულისა თუ მორჩილების ღიმილი გადაჰკვროდა, თვალეზში ნისლი ჩასწოლოდა თითქოს.

— რა ვქნა, რა გიყოთ! — წაიდუღუნა თავჩაქინდრულმა ძია მიტრომ არ ვიცი, ვისა მისამართით. — არ იქნება, თუ ის მიზეზი არ გავიგეთ.

— არ იქნება!.. — ბურანში მყოფივით გაიმეორა რეზიამ და კარებისაკენ გაემართა ნელი ნაბიჯით. ბეჭებით თითქოს ჰძიმე ტვირთს მიეზიდებოდა.

მე და ბიძაჩემი ერთ ხანს ჩუმად ვისხედით. მერე მე მამიდანემის დანაბარები გადავეცი. ბიძაჩემს რა ემარელისისკამებოდა, მაგრამ მორჩილად გამომყვა სახლისაკენ.

მასწავლებელთა თათბირზე ვიყავი რაიონის ცენტრში. თათბირის შემდეგ თბილისელი ნაცნობი შემხვდა, რომელსაც ამ ქალაქში დაეწყო მუშაობა რაიონული გაზეთის რედაქტორად, და

ამხანაგებს ჩამომაცილა. დიდკაცური და ძმობიური ფამილარობით მკლავში ხელი გამოიყარა და იქვე, რედაქციის გვერდით, სასაუბრეში შემეფყვანა. იქიდან კი ღვინისაგან შეხურებული და შექარხნებული პირდაპირ ავტობუსის გაჩერებაზე წავედი. ნახევარი საათის ლოდინის შემდეგ მოვიდა მტკრით შეგანგლული წითელი ავტობუსი.

— გაბრუნდება? — მისცივიდნენ კაბინიდან გამოსულ ფეხებგალუნულ, ლურჯკომბინეზონიან მძღოლს მგზავრები.

არა ერთხელ ყოფილა შემთხვევა, რომ უკვე ადგილებზე მოთავსებული ხალხი ავტობუსიდან გადმოუბრძანებიათ.

მძღოლმა ერთი უცხოვ, ზანტად გახედა ხალხს და, თითქოს მათი ენა არ ესმისო, პასუხი არ გაუცია, განზე გადააპურჭყა და განიერი, მსხვილი მხრების ტლანჭი რხევით ლუდის ჯიხურისაკენ გაემართა.

მძღოლს მობღვერილად გავაყოფეთ თვალი, ერთმა-ორმა შეუტურთხა კიდეც და მერე ავტობუსში დაეიწყეთ ასვლა-ზამბარებზე. მიიმედ დავეშვი. ქილის ქული მოვიხადე და თეთრი პიჯაკი შევიხსენი. ავტობუსის შეხუთული ჰაერი ბენზინის სუნით იყო გაღლენთილი. თავი თითქმის გავყავი ფანჯარაში და იმწამსვე აგრონომს შევასწარ თვალი. ჩანთით ხელში გამალებით მოაბიჯებდა ავტობუსისაკენ. დამინახა და შემომღიმა. მიხვდებით, რომ თავშიაც დამკრავდა და გულიც გამალებით ამიძგერდებოდა, მაგრამ, სანამ ის ავტობუსში ამოვიდოდა, მე თითქმის გამიარა ყველაფერმა, წამოვიწიე, რომ ადგილი დამეთმო, მაგრამ ჩემ გვერდით ვილაცამ მომასწრო და დასვა. აგრონომი მიიმედ სუნთქავდა. აღეწილ სახეზე ცხვირსახოცს იქნევდა.

— ალბათ თქვენც თათბირზე იყავით, არა? თქვენი მასწავლებლები შემხვდნენ წელან, — მითხრა.

— დიახ! — უსიამოდ ამოვლექე. რაღა დავმალო, მეთავილა, სწორედ მეთა-

კილა „ჩვენი“ მასწავლებლებისა და მასწავლებელთა რაიონული თათბირის ფონზე რომ მიხილა.

— ეს ჩვენი აღმრიცხველია. — თავი ასწია მან, ადგილი რომ დაუთმო, იმ კაცისაკენ!

— „მე კი ვიცნობ, ჩემი ძმის მასწავლებელია!“ — გაიღიმა იმ კაცმა. წიგნში რომ მზეს ხატავენ, იმასა ჰგავდა სახით.

— რომელია თქვენი ძმა? — შევეკითხე ზრდილობისათვის.

— ზურა ქვლივიძე.

— აა! პო-ო!.. — ის ყმაწვილი არც სწავლით გამოირჩეოდა და არც მაინც დამაინც წესიერი ყოფაქცევით... — თქვენ სად ბრძანდებოდით? — ვკითხე აგრონომს.

— რაიონის მთავარი აგრონომი გავაცილე თბილისში. იცით. გუმინ კომისია იყო თბილისიდან.

— დიახ!

— მიზეზი მაინც გაურკვეველი დარჩა. თავი დაუქმნე, ვიცი და მეტად სამწუხაროა-მეთქი.

— დღეს მთავარი აგრონომი ჩამოვიდა და მე, იმან და რეზომ ყოველი შემთხვევისათვის გავიარეთ მაინც იმ ნაკვეთზე, ისევ დავიწყეთ ჩიჩნა ნიადაგში და ასე, თხუთმეტი-ოცი წუთის შემდეგ რეზომ იპოვა მავნებელი მწერი. ბზულას ეძახიან. სხვათა შორის ეს მავნებელი იშვიათად გვხვდება, სწრაფად მრავლდება. დიწყებს თუ არა აღმოცენებას ნათესი, მცენარის ფოთოლს მიწის ხერგლში ითრევს და ფლეთს. ძალიან დიდი ზარალი მოაქვს, მეტად საზიზღარი მავნებელია! — ჯავრიანად დაუმატა. — რაიონის მთავარი აგრონომი თბილისში წავიდა, ის მწერი წაიღო ლაბორატორიაში. ჩვენც აქ ზომებს მივიღებთ. — ჩაფიქრდა, თვალები ფანჯარას მიაპყრო.

— რომ არ გვეპოვა, მთელ მინდვრებს მოვლდებოდა, მეზობელი კოლმეურნეობების ნაკვეთებზეც გადავიდოდა. — შიშით დაუმატა მან.

— რა თქმა უნდა! — დავუდასტურე მე.

დაედუმდით. ავტობუსი გვაქანავებდა. დროდადრო ავრონომის მხარი ჩემს ბეჭს ეხებოდა.

უკვე ვუახლოვდებოდით სოფელს, რომ უცებ ავრონომი ფანჯრისაკენ გაიწვია ერთბაშად.

— აი, ის ნაკვეთია, გაიხედეთ!

ავტობუსმა ვრცელ, ქაჩალ მინდორს ჩაუქროლა.

— რამდენი მიწა გაფუჭებულა! — გულწრფელად დამენანა.

ავტობუსიდან რომ გადმოვედით, ხელჩანთა გამოვართვი. გზა ვენახებსა და პურის, სიმინდისა და ქარხლის მინდვრებს შორის მიდიოდა.

ჩემს მტკივნეულ საკითხზე ჩამოვაგდე საუბარი.

— თქვენ აქ რჩებით მომავალ წელსაც თუ თბილისში ბრუნდებით?

მან რაღაც იღუმალად გაიღიმა და მითხრა:

— აქ ვაპირებ დარჩენას, თქვენა?

ასე უცბად, ერთის ხელის დაკვრით ვერ გავიშევე მთელი ჩემი ცხოვრების გეგმა ჩასაშლელად და ყოყმანით მივეუბნე:

— ა-არ ვიცო...

„მაშ არ მიდის აქედან?! არ ენატრება ის ვიღაც ასპირანტია თუ... ვინც არ უნდა იყოს?“ და მისი გადაწყვეტილება საღდაც, გონებისა თუ გულის კუნძულში, ჩემს სასარგებლოდ ავსენი და სიხარულმა გული ამიშჩატა. ის თითქოს ჩემს ფიქრს გაეპასუხაო:

— მენატრება თბილისი, მაგრამ ისე შევიჩვიე აქაურობას, მიწის ყოველ მტკაველს, რომ ასე მგონია, ჩემი ხელი რომ მოაკლდეს, ყველაფერი დაიღუპება. რა სისულელეა არა? — და ჩაიცივნა.

— არა, რატომ... — თავად არ ვიცო, რას მივაკუთვნე ეს „არა რატომ“ — ყველაფერი დაიღუპებაო, იმას თუ „რა სისულელეა“. — ძმა ჩამოგივიდათ?

— არა, არ ჩამოვიდა. ფშავში წასულა.

— ჰო-ო?!..

„მაშ ის ლანდი შეშაბანდში... იმ დამეს. ის ხომ არ იყო?... ასპი... კაცო, იქნებ სახლის პატრონი იყო, ხომ იქნება იმ ოჯახში კაცი!..“ მაგრამ მაინც ჩამომგარდა მხარი.

ამ ფიქრებით აფორიაქებული უხმოდ მივეყვებოდი გვერდით.

უცებ მან ხელი ჩანთაზე მომიკიდა...

— კანტორაში უნდა შევიარო, საქმე მაქვს! — ჩანთა გამომართვა, თავი მეგობრული ღიმილით დამიქნია და კოლმეურნეობის კანტორის კისკარში შეფრთხილდა.

სახლში მამიდაჩემსა ვკითხე, ვისთანა დგას თქვენი ავრონომი-მეთქი.

— ნუშკა ძალოსთანა, არ იცოდი? — ვერ მიგვხვდი, საყვედური იყო მამიდაჩემის კილოში თუ ეჭვი.

„მაშ ის სახლი ნუშკა ძალოსია? აფსუსს, მცოდნოდა!.. ბრიყვი!.. ვითომ რა, კიდეც რომ გცოდნოდა!.. ახლა ხომ გაიგე, ხომ იცი, აპა!.. რამდენი ხანია აღარ მოსულა ჩვენთან ნუშკა ძალო. აღოს თავია, მინდვრებშია ხალხი, ზამთარში კი ხშირად დადიოდა. დიდ ქსოვასა და რთვაში იყენენ ისა და მამიდაჩემი. ნუშკა ძალო ტრაქტორისტ რეზიას დედაა. მომცრო ჩანის პირმრგვალი, ნიკაპ და ლოყებჩანგრეტილი თვალმცინარი შუაზნის ქალია. შეხედვისთანავე რატომღაც უსათუოდ წარმოიდგენთ მის სახეს ახალგაზრდობისას.“

სულ იმასა სწუხს, რატომ სამიოდე შევილი არა ჰყავს მის შეილს. გოგოები ლამის სახლში შემომივარდნენ, ის კი ჯერ სულ არა ფიქრობს ოჯახზე და მამავალზეო, აკითხეთ ერთი რას ელოდება, ურჩიეთ რამეო, გვემუდარებოდა. მისი შეილი კი, ძეა მიტროსთან მოვარდნილს რომ შეუბღვერდა მამიდაჩემი და მკვახედ ეტყოდა, რას აპირებ, ამ ჩემი ფილასოფი ძმისწულისა არ იყოს, აღარ გინდა ის ბებერი ქალი სიცოცხლეში მოასწრო რამესო, ერთს გაიღიმებდა, მომხზო, ქათქათა კბილებს გააეღვებდა მზემოკიდებულ, ქარდაკრულ სახეზე. ალბათ ის იყო ატუხული ფან-

ჯარაში იმ ღამეს, ნუშკა ძალოს რეზია, გულზე მომეშვა.

გამოცდები ისე დამთავრდა, რომ აგრონომისთვის თვალი არსად მომიკრავს. თბილისში წასვლა საერთოდ კი არა, რამდენიმე დღითაც კი გადაეთქვი, მაგრამ დედაჩემი დაჟინებით მთხოვდა წერილებში, ჩამოდიო. ვერ გამიგია, ასეთი რა გაკავებს მანდ, რომ ორი კვირაა სწავლა დამთავრდა და შენ მანდაურობას ვერ სცილდებიო. მე ცოტა არ იყოს შემრცხვა და მომერიდა (რა უბედურებაა ამხელა კაცის მორცხეობა), ეჭვი არაფერზე აიღონ-მეთქი (თუნდაც აელთ, მერე რა), და, რაკი დედაჩემი ასე დაჟინებით მიხმობდა, თბილისში წავედი. ორი კვირის შემდეგ კი მე და ჩემი მშობლები სოფლისაკენ გამოვემგზავრეთ.



რომ ჩამოვედით, იმავე საღამოს ყველანი აივანზე ვისხედით. მამიდაჩემი ჩვენს ჩამოტანილ ვეება საზამთროს სკრიდა. მთელი საღამო ატაცებულად ვხუმრობდი, ისევე აქ ყოფნით თუ ვიყავი ეგრერიგად გაბალისებული.

ერთი დღითაც რომ აღრე ჩამოსულიყავი, ჭორწილს მოუსწრებდი! — მითხრა ძია მიტრომ.

მღელვარებამ ამიტანა რატომღაც, უცებ ავდექი და ოთახში შევედი. განა

ცოტა ნაცნობი გასათხოვარი ქალიშვილი და დასანიშნი ბიჭია სოფელში?

— ვინ, გათხოვდა, ვინ ითხოვა? — ოთახიდან ვიკითხე ბზარნარევი ხმით.

— აი ჩვენი აგრონომი გათხოვდა ნუშკა ძალოს ბიჭზედა.

თითქოს ცა ჩამომექცა. ერთი კუნთიც არ შემეკრათონია, ყინვა ვიგრძენი მხოლოდ მთელ სხეულში.

— აქ ჯერ ბალი არ მოლუულა, იქიდან კი ამოდენა საზამთრო ჩამოაგორეთ! — ბუზლუნა ხმითა თქვა აქამდე გასუსულმა მამიდაჩემმა. — ახლანდელ ახალგაზრდებს ვერ გაუგებ. დოცენტის ქალი, განათლებული და ტრაქტორისტის კი მისდევს. — ეტყობოდა, რალაც სწყინდა.

ბოლმამ, აღშფოთებამ (ვის მიმართ?) უძლურმა სასოწარკვეთილებამ სული შემიხუთა. გონება და გრძნობა მეკარგებოდა. გარეთ გავიქერ, ელექტრონით გაშუქებულ მაგიდისკენ, რომელსაც ჩვენები უსხდნენ, არ მიმიხედია, კიბეზე დავეშვი.

ლადოსთან მივდივარ, ახლაც მოვალ! — ეს ავიძახე ჩახლეჩილი ხმით.

ორღობეში აღმა მიმავალმა აივანს გავხედე და დავინახე, როგორ მოიბრუნა ჩემკენ პირი მამიდაჩემმა და იდგა ეგრე უძრავად, ცალი ხელი საზამთროზე ედო, მეორე კი, დანამომარჯვებული, მალლა აეწია.

## მთავარი რეპერაჟი



### წითელი ვაშლი

სიმათლე რომ ითქვას, პელო ბაბო უქმყოფილო როდი იყო თავისი მეზობლების ყველანი კარგები იყვნენ: გულისაშვილებიცა და ბარბაქაძეებიც; ღვთის წინაშე, ვერც ჭაჯაიების ოჯახზე იტყოდა აუგს. კარის მეზობელ ძალუა ნატოსთან კი ცოტა უმძრახად ვახლდათ. სულ უბრალო რამეზე შელაპარაკდნენ:

გინდა თუ არა, შენი მდგმური თვალში არ მომდის, რალაც უნდელი და გაუთლელი ახმახია — აიჩემა ძალუა ნატომ. ისიცა თქვა: იმდენი ხალხი მიუდის და მოუდის — მოსვენება დამეკარგაო.

რა თქმა უნდა, პელო ბაბოს ბევრი ლაპარაკის თავი არა აქვს კრიჭაში რომ ჩაუდგეს ძალუა ნატოს, ვერც პირზე



კლიტეს დაადებს ვინმეს, მაგრამ იმას კი იტყვის, რომ ამდროული დედაკაცი კამეჩის რქაში არაა გაზრდილი და კარგისა და ავის გარჩევას როგორმე შესძლებს. მისი მდგმური არც უნდოლია და არც ბედასლი! ნურც იმას დაივიწყებენ, — პელო ბაბო არასოდეს არ შეცდება ადამიანის ცნობაში!

დილით, პურსა და ნავთს რომ მოურბენინებ, ანდა ნუერიანი კუნძების დაპობით წელს რომ მოიწყვეტ — მარტო ამით ვერ მოხიბლავ პელო ბაბოს გულს; ვერც იმით, მაინც და მაინც მაშინ რომ გამოგინდებდა ბაზარში საქმე — როცა კერძის შესაკმაზად მწვანილი მოაკლდება მოხუცს.

არა, პელო ბაბოს თავის მდგმური უფრო იმიტომ მოსწონს, რომ იგი სერიოზული, მორიდებული და საქმიანი ახალგაზრდაა.

თავისუფალ დროს გიგო მზად არის საქმიანი გამომეტყველებით ისაუბროს პელო ბაბოსთან იმის შესახებ — თუ როგორ უნდა მომზადდეს ნივთის წვეწმში ჩაწყობილი ბადრიჯანი, ანდა ანწლის არაყი. მზად არის მოთმინებით მოისმინოს მთელი იმ მომბებზრებელი პროცედურის აღწერა — რაც აუცილებელია ვანილით შეზავებული შაქარლამისა თუ ნუშისგულიანი რულეტის გამოსაცხოზად.

ხშირად პოლიტიკაზედაც გაისაუბრებენ ხოლმე, მერე კი გიგო კვლავ თავის ოთახში შერგავს თავს და ერთავად ისევ წიგნებს ჩაპკირკიტებს.

ძალუა ნატოს თქმისა არ იყოს, ბოლო ხანებში ამხანაგებმა მართლაც მოუხირეს გიგოსთან სიარულს. პატარა ოთახი, რომელიც ოდესღაც საკუქნაოს წარმოადგენდა და რომელშიაც ახლა გიგო ცხოვრობს, ახალგაზრდებით გაივსება ხოლმე. ჯერ წყნარად დაიწყებენ, — ჩუმად! — აფრთხილებენ ერთმანეთს; მერე შეყვებიან, გაცხარდებიან და ხმაჩახლეჩილები გაჰყვირიან ვიღაც თუ რაღაც რახმეტოვისა და გობსეკის ამბავს. ერთმანეთს ლაპარაკს აღარ აცლიან და გაუთავებლად კამათობენ ისეთ

რამეზე, — რაც, ბევრი ეცადან, მაგრამ მაინც ვერ გაიგო პელო ბაბომ.

დილით, როცა გიგო თეფშის ნატებზე დახვევებულ პაპიროსის ნაწიწებს გადაყრის — აივანზე მოფუსფუსე პელო ბაბოს შეეხმიანება: წუხელის ცოტა გავცხარდი და აღბათ მოსვენება დაგიფრთხეთო.

ბოდიშები რაში სკირდება პელო ბაბოს, ისევ ისა სჯობს ძალუა ნატოს მოუბოდიშონ. ჯეელები არიან, ღმერთმა ჯანი და ბარაქა მისცეთ, შეკრებასა და ლაპარაკს აბა როგორ დაუშლის. თვალი დაუდგეს ზოგიერთ ბაიყუმ ადამიანს, თორემ გულლია კაცს ყოველთვის მოუვა მოკეთეცა და ამხანაგიც.

ზოგ-ზოგი კი გამოდგება და გაიძახის, ამდენმა წამსვლელ-მომსვლელმა თავი შემაწყინო... თუ ასე წავა, განა პელო ბაბოს კი არ მოსდინა ნაცნობ-ნათესაეები? იქნება გაბედოს ვინმემ და წამოსძახოს! მაგრამ, არა, გენაცვა, პელო ბაბოს ამას ვერ შეკადრებენ. ის საწყალი ბიჭი კი ზოგ-ზოგის არაფრისმაქნია შვილივით ლირფი და თითლიბაზი რომ არაა — უნდათ დაიბრიყვონ და ენაჭბით შექაზონ. მაგრამ იცოდნენ, ხუთი წელი შვილივითა ყავს გამოზრდილი და მის თავს არავის დააჩაგვრინებს.

ცისმარე შაბათს, სამხრობის შემდეგ, პელო ბაბოსთან მართლაც იკრიბებიან სტუმრები. მოდიან გათეთრებული, ხელჯოხზე დაყრდნობილი მანდილოსნები: ანა პეტროვნა და სოფია იაგოროვნა, მსუქან-მსუქანი ძალუა თებრო და მისი მძახალი ელენე.

დასხდებიან, იმასლათებენ, ქვეყნის ავსა და კარგს იტყვიან — მერე კი პელო ბაბო მორიდებით ჩაურთავს: — ქაჯან, ხომ არ გავშალოთო?

— გავშალოთო. — კვერს დაუკრავენ მოხუცები და რვეულებში თავჩარგულ გიგოს კარგად ესმის, ლოტოს თამაშს როგორ გააჩაღებენ თხელი ფანერიო ატიზრული კედლის გადღმა.

ლოტოს შემდეგ, როგორც წესი, პელო ბაბო ჩაის გამართავს ხოლმე. ფუს-ფუსით გამლის სუფრას და სტუმრებს

მიიპატივებს. მერე დაიწყება დაუსრულებელი დავა იმის გამო, რომ ანა პეტროვნას არ სურს ჩაის დაშაქრა და „კრიპუსტი“ დაღვევას ამჯობინებს. პელო ბაბო კი დატინებით მოითხოვს, გინდა თუ არა დაშაქრო! ჩვეულებისამებრ, ეს დავა იმით მთავრდება, რომ ანა პეტროვნა ბოლოს და ბოლოს ბუზღუნით ჩაყრის ჩაიში შაქარს. ხვრებით სვამს დამტკბარ ჩაის და თან წინასწარ მომარაგებულ შაქრის პატარა კვინტიებს ატანს.

შემდეგ სტუმრები ნამცხვარს შეუქმებენ მოხუცს და გიგომ იცის, რომ ახლა მესაედ მოუხდება იმის მოსმენა, თუ როგორ უნდა მომზადდეს ვაშლით შეზავებული შაქარლამა თუ ნუშისგულიანი რულეტი. ასევე კარგად იცის, რომ სოფია იაგოროვნას მუქი ჩაი უყვარს, მსუქან-მსუქან ძალუა თებროს — ბაცი; რომ ძალუა თებროს მძახალი ელენე ერთ ჭიქა ჩაიზე მეტს არასოდეს არა სვამს.

შეექცევიან მოხუცები ჩაის და თან ტკბილად ჭეჭუკუებენ. ხოლო მაშინ, როცა პელო ბაბო ხმას დაუწევს და ჩურჩულით ალაპარაკდება, გიგო გუმანთა ხედება, რომ საუბარი ამჯერად უკვე მას შეეხება, რომ პელო ბაბო მანზე ძვირს არა ლაპარაკობს.

ანდა რატომ უნდა ილაპარაკოს? პელო ბაბო ცოტა მკაცრი შვარამ სამართლიანი ადამიანია. პოლა, სამართლიანობა კი ნებას არ მისცემს რაიმე ცუდი თქვას გიგოზე. აგერ მეხუთე წელია ერთადა ცხოვრობენ და იოტისოდენა წყენაც კი არ ახსოვს მდგმურისაგან.

დღესაც თვალწინ უდგას შალალ-შალალი, ძალღონით სავსე ყმაწვილი, სატინის ხალათითა და ხის ჩემოდანით ხელში რომ მოადგა კარზე. როგორ ბავშვებით წამოწითლდა ამხელა ვაჟაკი როცა წერილი გადასცა მოხუცს. გიგო თავიდანვე მოეწონა პელო ბაბოს, თორემ ვინ იცის, — ობლობაში რომ კოფილა გაზრდილი, შეიძლება არც ამისათვის მიეგდო ყური და არც შორეული მოკეთის წერილი ჩაეგდო აინუნში.

— კარგი ბიჭია, ერთი თვით შეი-

კედლე როგორმე, მისაღებ გაგოყდებს ჩააბარებს და წავა, — ასე უწვდამოწმებს კეთე.

თვე თვეს გაჰყვა და მალე, ისე შეეწყვნენ ერთმანეთს, რომ დაცილება აღარც კი უფიქრიათ...

რალაც თავისებური ბიჭი იყო პელო ბაბოს მდგმური. — აი ისეთი, დიდხანს რომ ვერ გაუგებ ვისთანა გაქვს საქმე. არც გარე-გარე სიარული უყვარდა, არც გოგო-ბიჭებთან ულაზათო კრეკა და ღლაბუცი.

კუშტი და თავდაპირილი იყო, ძნელად ამყოლი, საკმაოდ ენაძვირიც.

— ჯერ ხამად არის, — ქილიკობდა ძალუა ნატო — ცოტა აღროვეთ, გეთაყვა, ქალაქის წყალს დაღვეს, გამოიქვება და მაშინა ენახოთ.

გიგო ისეთივე დინჯი და თავდაპირილი დარჩა, როგორც იყო, თუმცაღა, ქალაქის წყალიც დალია, გამოცდებიც წარმატებით ჩააბარა და მეზობლების სიყვარულიცა და პატივისცემაც დაიმსახურა.

პირველ ხანებში აგრე რიგად როდი ეტანებოდნენ ამხანაგები. თანასოფლელი ვინმე თუ მოაკითხავდა მხოლოდ და ლობიოსა და ფქვილთან ერთად აღმზრდელი შამიდის წერილსაც მოუტანდა.

ერთ ქალაქელ ყმაწვილს კი მალევე შეუამხანაგდა. ძალიან უყვორდა პელო ბაბოს — რა საერთო იპოვეს მათ, არც ხასიათით ჩამოგავდნენ, არც ტანადობით, არც ერთადა სწავლობდნენ. ისიც შეიტყუა: გელა გიგოზე სამი წლით უფროსიცა ყოფილა.

დღე არ გამოხდებოდა — ერთი საათით მაინც არ მოერბინა და რალაცხე არ შეკამათებოდა გიგოს. სულ დაობდნენ, სულ კამათობდნენ, და მაინც ვერა სცილდებოდნენ ერთმანეთს.

ბეჭებგანიერ, მუხასავით ჩადგმულ გიგოსთან სწორედ რომ სასაცილო სანახავი იყო კამათში გართული, თმაჩამოშლილი, დაბალ-დაბალი, მუდამ დაუდევარი და ცეცხლივით ანთებული გელა. გიგო კი გოლიათი ადამიანის გულკეთილობით იღიმებოდა, დინჯად იშორებდა ცხვირთან მოტანილ გელას მუშ-

ტებს, ნება-ნება ამოღებდა პაპიროსს და წყნარად ამბობდა სათქმელს.

უკვირდა პელო ბაბოს. გიგო, — მომავალი აგროსოში წიგნებზე კამათში ტოლს რომ არ უღებდა გელას — მომავალ ლიტერატორს. ისიც უკვირდა, ამდენი ცოდნა საიდან დააგროვა სოფლიდან გუშინ ჩამოსულმა ბიჭმა.

დღითი-დღე იზრდებოდა და ვაჟკაცდებოდა გიგო. ჯერ იყო და მღვმურის ხელში რაღაც ლექსიკონები შენიშნა პელო ბაბომ, მერე პატარ-პატარა რუსულ წიგნებსაც შეასწრო თვალი. სულ მალე, გიგოს მაგიდაზე საიდანღაც მაგარ ყდამი ჩასმული სქელი წიგნებიც გაჩნდა. ერთ დღეს კი პირდაპირ გაოგნდა მოხუცი, როცა ასანთის ღერით ჩანიშნული წიგნი დიდხანს აცოდვითა ხელში და საბოლოოდ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ეს მომცრო წიგნი მისთვის უცხო ენაზე იყო დაწერილი.

— შეილო, მართოდ მართო ამ სხვათა ენას როგორა სწავლობ? — დაინტერესებით შეეკითხა.

როცა შეიტყო, ინსტიტუტში კაბინეტები არსებობს საცა მოწადინებულ სტუდენტებს ეხმარებიან და რჩევა-დარიგებებს აძლევენ, — სიამოვნებით გაიღიმა და მერე კი გიგოს მოძველებულ ფეხსაცმელს დააქკერდა რატომღაც...

ნეტა რომ შეაყვარა ეს ბიჭი ასე, მისი ყოველი მიღწევა ასე რატომ ახარებს. ღმერთმა ერთადერთი შეილი არ შეარჩინა და მისი სიყვარული ამ ობოლ ბიჭზე გადაიტანა. ჯიგარი დაყარაო რომ იტყვიან სწორედ ისაა. ამიტომაცაა გული რომ ეთუთქება მოხუცს, სწორედ გული ეთუთქება, როცა გაახსენდება, რომ გიგომ უნდა მიატოვოს იგი. აი დაამთავრებს წელს და წავა, გაფრინდება. აკი თვითონვე თქვა: თუ ყამირ მიწებზე არ გამაგზავნეს, სოფელში წავალ, მაშინაჩემსაც მივხედავ და კოლეგტივსაც შევეშველებიო. ისიც უთხრა, როცა ქალაქში ჩამოვალ ყოველთვის მოგიჩინებ, ზაფხულობით კი ჩემთან წაგიყვანო.

ნუთუ მართლა არ დაივიწყებენ პელო ბაბოს? ნუთუ მართლა გაიხსენებენ

ხოლმე? სხვა არა იყო, პატარა სიყვარულში მაინცა აქვს დათესილი კვლევის ყვედრები და იტყვის, მაგრამ ამაგი აქვს ამ დალოცვილის შეილზე, ამაგი. ის მაინც გაახსენდება, ძალისძალად წინდებსა და ხალათს რომ ამოურეცხავს ხოლმე. ალბათ არც ის დაივიწყდება — შარშან კომშის მურაბა რომ ვეღარ მოხარშა მოხუცმა. სასწავლებლიდან დახმარება მისცეს ბიჭს, პალტოს ყიდვა უნდოდა — მაგრამ ფული დააკლდა. სხვა რა უნდა ექნა პელო ბაბოს, ადგა და ნაალის პირიდან მურაბისათვის შექმნილი ფული გამოაცოცა; ის კი არ უთქვამს, რისთვისა ჰქონდა გადანახული. მხოლოდ მერე, კარგა ხნის მერე სიტყვამ მოიტანა და ანახლად დასცდა ეს საიდუმლო.

არა, ნამდვილად არა, გიგო ისეთი ჩახედული და დამნახავი ჯეელია რომ პელო ბაბოს ამაგს არა და არ დაივიწყებს...

ზამთრის გამოცდების მოახლოვება პელო ბაბომაც იგრძნო. გიგო, როგორც მოხუცი იტყოდა, „წურბელასავით მიჯადა წიგნებს“. უცნაური მეცადინეობა კი იცოდა — ტახტზე გაიშობტებოდა, თავვეშ პელო ბაბოსეულ მუთქას ამოიჩრიდა და მორჩა — აღარც უკმა აგონდებოდა, აღარც სმა და არც ყველაზე საოცარი — აღარც გვერდის შენაცვლება.

ამხანაგები კვლავაც აკითხავდნენ. მაგრამ საკმაოდ კი არა, ზოგი კონსპექტსა თხოვდა, ზოგი რალა-რალა-ცეებს ეკითხებოდა, ზოგი კი ერთად მეცადინეობას სთავაზობდა.

ერთ დღეს ისეთი რამ მოხდა, რაც ხუთი წლის განმავლობაში არ მომხდარა. ის-ის იყო პელო ბაბომ ჩაი მოათავა და კარში გავიდა, რომ კიბე ვიღაც ბიჭურად თმაგაყრეკილმა ქალიშვილმა ამოიჩრიხა. არაერთარი ყურადღებდა არ მიაქცია მეზობლების დაკინებულ მზერას, ბეჭების კეკლუცი რხევითა და ქუსლების პაკუნით გაიარა ძალუა ნატოს ოთახი, მერე პელო ბაბოს ოთახი და გიგოს კარებში შეჩერდა.

შეტუხუხებულ პელო ბაბოს ჯერ ძალუა ნატოს ჩახუხუხუნება შემოესმა:



ველა აკლდაო, მერე გამოღებულ კარებთან აქურწული მდგმურის აწითლებულ სახეს მოკრა თვალი. არც ის გამოჩენინია, სტუმარმა რატომღაც თვალი რომ ვერ შეუმარტა გიგოს. მაგრამ სულ რაღაც წამების ამბავი გახლდათ ეს დამორცხვება. ქალიშვილი გიგოს მკლავს დაეყრდნო, დაისარა, სწრაფად წაიძრო ბოტები და ვიღრე ოთახში შევიდოდა წერიალა ხმით კისკისითა თქვა:

— აი, ხომ პირდაპირ მოგადექი, გელამ მითხრა მესამე კარებში შედიო...

პელო ბაბომ თავის შესაქცევად ხან ცოცხს წამოავლო ხელი, ხან ფეხებში კრუტუნით გაბლანდულ ხატურას დაუტატანა. საკუთარ თავსაც შეუწყრა, ამდროული დედაკაცი თავქარიანი გოგოსავით ხომ არ უნდა ავეუწდრუქდეთ, მაგრამ ვერ იქნა, მაინც ვერ მოისვენა. ცდუნებამა სძლია, სული წაიწყმინდა, რატომღაც სათვალე გაიკეთა და კედელს აეკრა.

მეცადინეობდნენ. ქალიშვილი ხმადაბლა კითხულობდა. დრო და დრო შეჩერდებოდა, რაღაცას ჩაეკითხებოდა გიგოს. ერთი-ორჯერ შესვენებაც მოაწყვეს. ისეთ რამეზე ჩამოვადეს საუბარი კინალამ გულ. შეუღონდა პელო ბაბოს. ხან დატოტვილ ხორბალზე ლაპარაკობდნენ, ხანაც შოშინას ბლარტებზე. ერთი სიტყვაც არ დასცდენიათ იმისი მსგავსი, გულს რომ გაუხარებდა მოხუცს.

წასვლისას მადლობა გადაუხადა გიგოს, შენი კონსპექტები რომ არა, პირდაპირ აღარ ვიცოდი სად მემაცადინაო.

მეორე დღესაც მოვიდა ქალიშვილი, მესამე დღესაც, მერე კი აღარ მოსულა. აღარ მოსულა, მაგრამ თავისი მოსვლის კვალ კი დასტოვა.

აბა პელო ბაბოს თვალსა და გულს რა გამოეპარება: გიგო ჩვეულებისამებრ დინჯი და თავდაკერილია, თავისუფალ დროს პელო ბაბოსთანაც საუბრობს და მეზობლებთანაც, კინოშიაც დადის და ძველებურად მეცადინეობს კიდევ, მაგრამ როდის იყო ერთი კოლოფი პაპიროსი რომ არ ყოფნიდა წინათ? ან არადა სასიყვარულო ლექსებს როდისა წერდა? არც შუალამისას ოთახ-

ში წინ და უკან სიარული ჰყვარებია როდისმე.

პელო ბაბომ როგორც იყო ცალკე მოიხელთა გელა და დედაშვილობა დააფიცა, რაც იცი ამ გოგო-ბიჭზე ყველაფერი მითხარი, ნურაფერს დამიმალავო. ბევრი ვერაფერი უთხრა გელამ. რაც უთხრა, ნეტა ისიც კი არ ეთქვა.

გელას აღრევე სცნობია მედიკო. გიგოს ყველაფერი გაუნდვია მისთვის და უთქვამს, ეგ ქალიშვილი სიცოცხლეს მირჩენვინაო.

— მაგრამ უბედურება ის არის, პელო ბაბო, — ჩურჩულითა ყვებოდა გელა, — რომ გიგოს ვილაკამ მიუტანა ამბავი: როცა მედიკომ პირველად დაგინახა, ასე თქვა, ამ ბიჭისაგან კარგი ყასაბი გამოვაო. ამიტომაცაა, ხუთი წელია ერთადა სწავლობენ და კრინტიც კი ვერ დაუძრავს გიგოს.

ახლა კი კარგად მიხვდა მოხუცი რომ მედიკოს მოსვლამ, მასთან სიახლოვემ უცბად ანთო წლების მანძილზე ნაღვივები ნაღვერდალი. მიხვდა და გული დასწყდა, შავი ფიჭრები შემოაწვა დარდად. ლამის არის ზეზურად ჩამოუდნეს ბიჭი. რა ქნას პელო ბაბომ, რა იღონოს, რა წყალში ჩაეარდეს. გიგოსთან ვერაფერს იტყვის, ვერ ანუგეშებს, იცის მისი ხასიათი, — დაიმორცხვებს, პატარა ბავშვივით აილუწება, და ახლა იმაზე დაიწყებს დარდს — ქვეყანას შეუტყვია ჩემი ამბავიო.

იქნებ ისა სჯობს, წაიყვანოს გელა და მედიკო მოინახულოს. მოინახულოს და უთხრას იმ უგულოს, რომ ეს კულტი და ჩემი ბიჭი ბაჯაღლო გულის პატრონია, უღვევი სითბო და ენერჯია აქვს, დიდი და ლამაზი სიყვარული შეუძლიან...

ზამთრის გამოცდები კვლავ ხუთებზე ჩააბნა გიგომ. ამდენი ხნის კარგამოკეტილი ხარბად მიეძალა სულთა პაერს. ორი დღე ამხანაგებთან ერთად ფუნქცილიორზე დადიოდა თხილამურებით გასასეირნებლად. მერე კი პელო ბაბოს განუცხადა, ამ დღეებში სოფელში მივდივარ, მამიდაჩემი უნდა მოვინახულოო.

თავისი ხელით ჩაულაგა მოხუცმა გე-

გოს რაც კი რამ წასაღები ჰქონდა: გელტი და პიტნის კომფეტი, შაბიამანი და მსხვილ-მსხვილი ლურსმანი. სტიპენდია აეღო ბიქს და აღმზრდელისათვის ერთი თალხი ჭიშმირის თავსახურიც ეყიდა.

სიხარულით აღარ იყო პელო ბაბო — წავა, მშობელ კუთხეში მიიხედავს, მოიხედავს — დარღს გადაიყრისო — სულ ამას ფიქრობდა მოხუცი.

იმ დღეს გაოფლიანებული დაბრუნდა გიგო, რაღაც შეუძლოთა გრძნობდა თავს. გელაც მოჰყვა თან. თბილად ჩააწვინეს, ხილბანდით წაუკრეს თავი, ფეხებზე სათბუნებლები დაადეს. პელო ბაბომ მოცვის ჩაი აადღა და აბულეებისა. არაფერმა უშველა, მაინც ციებია-ნივითა ცახცახებდა. საღამოს სიცხემ აუწია. ანთების დასაწყისიაო, ასე თქვა ექიმმა.

გელა ენაგადმოგდებული დაბრუნდა მთელი დღე: ხან ექიმი გამოიძახა, ხან მაწწნისათვის ჩაიბრინა ბაზარში, ხან კი პელო ბაბოს დავალებით ვაზეთში გამოხვეული აგური მოათრია საიდანღაც.

აქოშინებული და შემოფოთებული მოირბენდა, ათასგვარი ფხენილებითა და აბებით გამოტრენილ ჯიბეებს გაიცლიდა — ახლა რაზე წავიდეთ? — კითხვის ნიშნით შეაქებრდებოდა პელო ბაბოს და დასაქმებისთანავე ფეთიანით გავარდებოდა გარეთ.

ექიმის გამოწერილი, რაღაც ახალი წამლის საშოვნელად მთელი ქვეყანა შეაწრიალა და ბოლოს იმედგაცრუებულმა მახლობელ აფთიაქში მიაგნო...

მართალია, გიგო და გელა სრულებითაც არ ჩამოჰგავდნენ ერთმანეთს, მაგრამ ახლა უკვე აღარ უკვირდა მოხუცს, თუ რა საერთო გამოიწახეს მათ.

ღამის ათი საათი სრულდებოდა, როცა დასიციხელი გიგო ჭირვეული ბავშვივით აუხიბრდა გელას, გინდა თუ არა სადგურში ვაღიო...

დილით გიგო და გელა მოედანთან მედოკოს შეეყარნენ — ქალაქის სადგურში ბილეთი აეღო — არდადეგებზე მშობ-

ლებთან მიდიოდა გურიაში, ალუთქვეს რომ სადგურზე გავიდოდნენ, თან გააცილებდნენ და თანაც იმ წიგნს მიუტანდნენ, რომელიც ასე გულითა თხოვა მედიკომ გიგოს.

— რახან ასეა, უნდა წახვიდე, შეილო, ცოდოა მომლოდინე, ჯეელები ხართ, პირს ნუ შეირცხვენთ, — დაყუევებით უთხრა პელო ბაბომ.

ემნელებოდა წასვლა, მაგრამ რაღას იზამდა. მალე მოვალე — დაიბარა — ზანტად ამოიხარა ილიაში ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელი“ და წავიდა.

კვლავ ბორგავდა ავადმყოფი. წამდაუწყემ ინაცვლებდა გვერდს. სასთუმალთან ეჯდა პელო ბაბო, ძმრის კომპრესებს ადებდა შუბლზე. ნემსის გაკეთებამდე ჯერ კიდევ ღრო იყო დარჩენილი — მაინც ნერვიულობდა მოხუცი — ექთანს კილავდა გულში: ცოტა ადრე რომ მოვიდეს, ვითომ რა დაუშავდებო.


ხმაურმა გამოარკვეია. აივანზე გავიდა, გადაიხედა. ეზოსთან ტაქსი შეჩერდა. მანქანიდან მკვირცხლად გადმოსხა მედიკო და კიბე ამოიბრინა. კარებთან შედგა, თითქოს ყელში მოწოლილი მელეკარება უნდა დაიცხროსო, კარებთან იდგა დამორცხვებულ, ათროთოლებული, სათუთი ქალიშვილი და არა ის ახტაჯანა გოგო, — თორიოდე კვირის წინ პირველად რომ ნახა პელო ბაბომ. როგორც იყო გაბედა და შევიდა.

და რაა დასამალი, პელო ბაბომ მეორეჯერ წაიწყმიდა სული.

ერთხანს ვერაფერი გაიგონა მოხუცმა, მერე ძლივს გაარჩია ჩურჩულით ნათქვამი სიტყვები: მედიკო!..

— ზო, მე — კრძალვით გაეპასუხა ქალიშვილი — მე... მე როცა გავიგე... მართლა, იცი რა მოგიტანე? წითელი ვაშლები. მე და გელამ გიყიდეთ, აბა ნახე...

და ბედნიერმა პელო ბაბომ დაკორძილი თითით მოიწმინდა ცრემლი. მიხვდა მოხუცი, რომ გიგოს ბევრი წითელი ვაშლები ჰქონდა ნანახი, მაგრამ ასეთ ღამეზე, ასეთ გემრიელ, ასეთ ტკბილ წითელ ვაშლებს კი პირველად ხედავდა.



გიორგი მარგველაშვილი



## საბჭოთა მწერლების დიდი მემობარი

(ი. ბ. სტალინის დაბადებიდან 76 წლისთავის გამო)

1934 წლის 17 აგვისტოს საბჭოთა ლიტერატურის ფუძემდებელმა მაქსიმ გორკიმ თავის შესაჯავალ სიტყვაში, რომლითაც მან გახსნა საბჭოთა მწერლების პირველი საკავშირო ყრილობა, სიამაყისა და მადლიერების გრძნობით აღნიშნა: „ჩვენ გამოვდივართ ქვეყანაში, რომელიც განათებულია ვლადიმერ ლენინის გენიით, ქვეყანაში, სადაც დაუღალავად და სასწაულებრივ მოქმედებს იოსებ სტალინის რკინისებური ნებისყოფა. აი, რა უნდა გვახსოვდეს ჩვენ მტკიცედ ჩვენს მუშაობაში და ყველა ჩვენს გამოსვლაში მსოფლიოს წინაშე“.

განვლო ამის შემდეგ ორ ათეულზე მეტმა წელმა და პირველი სიტყვები, რომლებიც გაისმა საბჭოთა მწერალთა მეორე საკავშირო ყრილობის ტრიბუნიდან, იყვნენ სიტყვები, გამომხატველნი „ულრმესი პატივისცემისა ი. ბ. სტალინის სსოვნისადმი, რომლის რჩევებმა და რევოლუციურმა გამოცდილებამ ეგზომ დიდი როლი ითამაშეს საბჭოთა ლიტერატურის განვითარებისა და პოლიტიკური გამდიდრების საქმეში“ (უხუცესი საბჭოთა მწერლის — ოლგა ფორმის შესავალი სიტყვიდან).

მართლაც და ფსადაუდებელია ი. ბ. სტალინის ღვაწლი საბჭოთა ლიტერატურის განვითარებისა და ფორმირების საქმეში. უკვდავი ლენინის საქმის დიდმა განმგრძობმა, ამ დარგშიაც განავითარა და გაამდიდრა, ცხოვრების ახალი ეტაპის შესაბამისად, მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება. ლიტერატურის

პარტიულობის ლენინური პრინციპი, ასახვის ლენინური თეორია (მის მიმართებაში ხელოვნებასთან), რომლებიც მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის ქვაკუთხედს შეადგენენ, მოითხოვდნენ, რათქმა უნდა, შემდგომ კონკრეტოზაციასა და განვითარებას ახალ ისტორიულ პირობებში — სოციალიზმის მშენებლობისა და საბოლოო გამარჯვების, სოციალისტური კულტურის აყვავების პირობებში. აუცილებელი შეიქმნა ჩვენი ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესების განზოგადება და ახალი ნათელი პერსპექტივების დასახვა საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომი ზრდის უზრუნველსაყოფად. ასე რომ, საბჭოთა ლიტერატურის მეთოდის შესანიშნავი განსაზღვრა, როგორც სოციალისტური რეალიზმის მეთოდისა, ნაკარნახევი იყო თვით ცხოვრების მიერ. შემთხვევითი არ იყო, რომ ეს განსაზღვრა შემუშავებულ იქნა უშუალოდ პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის ისტორიული დადგენილების შემდეგ და წინ უძღოდა საბჭოთა მწერლების პირველ საკავშირო ყრილობას. ამ გენიალურმა განსაზღვრამ გზა გაუშუქა მთელს საბჭოთა ხელოვნებას, მთელს მსოფლიო პროგრესულ კულტურას, დაუსახა მათ განვითარებისა და ზრდის ნათელი პერსპექტივები. არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა მწერლების, როგორც „აღამიანთა სულის ინჟინრები“ დახასიათებასაც.

გამოვიდა რა პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებით საბჭოთა მწერლების პირველ საკავშირო ყრილობაზე, ამხ. ა. ა. ჟდანოვმა შემდეგნაირად განმარტა ამ ორი განსაზღვრის მნიშვნელობა და ურთიერთ კავშირი: „ამხანაგმა სტალინმა უწოდა ჩვენს მწერლებს ადამიანთა სულის ინჟინრები. რას ნიშნავს ეს? რა ვალდებულებებს გაკისრებთ თქვენ ეს წოდება?“

ეს ნიშნავს, უპირველეს ყოვლისა, ცხოვრების ცოდნას, რათა შესძლო მისი სიმართლით ასახვა მხატვრულ ნაწარმოებებში, არა სქოლასტიკური, მკვდარი ასახვა, როგორც უბრალო „ობიექტური რეალობისა“, არამედ ასახვა სინაპოფილისა მის რევოლუციურ განვითარებაში.

ამასთან მხატვრული განსახიერების სიმართლედ და ისტორიული კონკრეტულობა უნდა შეთავსებულ იქნას მშრომელთა იდეური გარდაქმნისა და სოციალისტური სულსიკვებებით აღზრდის ამოცანასთან. მხატვრული ლიტერატურისა და ლიტერატურული კრიტიკის ასეთი მეთოდი არის სწორედ ის, რასაც ჩვენ ვუწოდებთ სოციალისტური რეალიზმის მეთოდს“.

როდესაც ჩვენ საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში ი. ბ. სტალინის როლზე ვლაპარაკობთ, რა თქმა უნდა, არ შეიძლება შემოვიფარგლოთ მხოლოდ მისი გამოთქმებით საკუთრივ ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე. ი. ბ. სტალინის მთელი რევოლუციური გამოცდილება, მთელი მისი მოღვაწეობა, ყველა მისი ნაშრომი და გამოსვლა პოლიტიკის, ეკონომიკის, ფილოსოფიის, კულტურის საკითხებზე — წარმოადგენს საბჭოთა ლიტერატურის იდეური გამდიდრების დაუშრეტელ წყაროს.

ნაციონალური საკითხის ლენინურ-სტალინური დამუშავება, მოძღვრება შინაარსით სოციალისტურ და ფორმით ნაციონალურ კულტურაზე, მოძღვრება საბჭოთა საზოგადოების მამოძრავებელ ძალებზე, საბჭოთა სახელმწიფოს გან-

ვითარების ფაზებზე, სსრკ-ს კავშირში სოციალიზმის ეკონომიკური პარამეტრების ლენინურ-სტალინური ანალიზი — ეს ის მტკიცე თეორიული საფუძველია, რომელზე დაყრდნობითაც ჩვენი მრავალეროვანი საშობლოს ხალხები ანვითარებენ თავიანთ კულტურას, ქმნიან თავიანთ ლიტერატურასა და ხელოვნებას.

რამდენი მაგალითის მითითება შეიძლება, როდესაც სტალინის სიტყვამ ათეცე გაუადვილა საბჭოთა მწერლებს ცხოვრების ცოდნის გაღრმავება ამა თუ იმ დარგში, ამა თუ იმ პრინციპული საკითხის სწორი და სწრაფი გადაჭრა. რევოლუციის შემდეგ, განსაკუთრებით კოლექტივიზაციის პერიოდში ჩვენს სოფელში მიმდინარე სოციალური პროცესების ღრმა სტალინურმა ანალიზმა ცხოვრების შესწავლისა და მართლად წარმოსახვის საუკეთესო იარაღი მისცა ჩვენს მწერლებს. შოლოხოვის „გატეხილი ყამირი“, პანფეროვის „ბრუსკები“, ქიაჩელის „გვადი ბიგვა“, კ. ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარი“, ნ. ზარიანის „პაკეანი“ — ყველა ამ ნაწარმოების იდეური პრობლემატიკა, მათში დახატული ტიპიური სახეები ვერ იქნებოდა ისეთი ღრმა და დამაჯრებელი, რომ ამ ნაწარმოებების ავტორთა თვალთახედვა არ ყოფილიყო გაწაფული კომუნისტური პარტიისა და მისი ხელმძღვანელების სიბრძნის სკოლაში.

ანდა განა შეიძლება დავივიწყოთ, რომ გვირობის ახალ საბჭოთა კონცეფციას საფუძვლად დაედო ხელოვნებაში სტალინის მიერ აფორისტული ლაქონიზმითა და ფილოსოფიური სიღრმით ფორმულირებული გაგება შრომისა, როგორც ღირსების, სახელის, გვირობის საქმისა? გამოდიოდა რა ისტორიის მარქსისტულ-ლენინური გაგებიდან, სტალინმა მიუთითა საბჭოთა მწერლებს, რომლებიც მიუღეს ძალღონეს მბავდენენ, რათა სწორად მიეგნოთ ახალი ცხოვრების უმშარბიტი გვირებისათვის, თუ სად უნდა ეძებნათ მათ ეს გვირები: „მუშები და გლეხები, რომლებიც

უხმავროდ და უაურზაუროდ აშენებენ ქარხნებსა და ფაბრიკებს, შახტებსა და რკინიგზებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, ქმნიან ცხოვრების ყველა სიკეთეს, აკუმევენ და აცუმევენ მთელ მსოფლიოს, — აი ვინ არიან ახალი ცხოვრების ნამდვილი გამრეები და ნამდვილი შემოქმედნი“.

საბჭოთა მწერლები ყოველთვის ხედავდნენ და ხედავენ სტალინის სიტყვებში პარტიის — ჩვენი საზოგადოების ხელმძღვანელი, წარმმართველი და შთამავანებელი ძალის — სიბრძნეს. ისინი ყოველთვის ხედავდნენ და გრძნობდნენ ი. სტალინში — მეგობარს, მრჩეველს, მასწავლებელს. მშვენიერად გადმოსცა ბელადთან სულიერი სიახლოვის ეს გრძნობა პოეტმა ალექსანდრე ტვარდოვსკიმ:

Таких, как я, на свете большинство,  
Что не встречались с ним в кремлевском  
зале,

В глаза вблизи не видела его  
И голоса в натуре не слышала.

Но всем, наверно, также, как и мне,  
Он близок равной близостью душевной,  
Как будто он с тобой наедине  
Беседует о жизни ежедневно,  
О будущем, о мире и войне...

კომუნისტური პარტიის სიბრძნის გამომხატველი — ი. ბ. სტალინი კეთილისმყოფელ გავლენას ახდენდა არა მარტო საბჭოთა ლიტერატურის განვითარების საერთო პროცესზე, არამედ უშუალოდ ცალკეულ მხატვართა შემოქმედებაზედაც. ცნობილია, თუ რა მტკიცე მეგობრული კავშირი აერთიანებდა ი. ბ. სტალინს მ. გორკისთან. სტალინი დიდი პროლეტარული მწერლის შემოქმედებას კემშობითად ლენინისებური ყურადღებით და გულისხმიერებით აღევნებდა თვალყურს, დახმარებას უწევდა გორკის შეცდომების დაძლევაში, მიღწევების დაშვებებისა და განმტკიცებაში. მ. გორკი ხედავდა სტალინში ლენინის ერთგულ მოწაფესა და მისი საქმის დიდ გამგრძელებელს. „გორკიმ იცოდა ადა-

მიანის შეყვარება და უყვარდა იგი ერთგული და ნაზი სიყვარულით; — მოგვითხრობს ლ. ნიკოლინი, რომელიც დაესწრო ი. ბ. სტალინის ერთ-ერთ შეხვედრას მწერლებთან. — შეიძლება ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ითქვას: სწორედ ასეთი ღრმა და ნაზი სიყვარულით უყვარდა გორკის იოსებ ბესარიონის ძე. მღელვარებით წარბო-სთქვამდა იგი ამ სახელს, მღელვარებით და რწმენით ლაპარაკობდა იმის შესახებ, რა გააკეთა სტალინმა ქვეყნისათვის. ამალელებული სიყვარულისა და მეგობრობის ეს გრძნობები განსაკუთრებით გამოჰქლავდნენ ამ საგულისხმო საღამოს, სტალინის თანდასწრებით. სტალინი ბევრს ლაპარაკობდა ლიტერატურის ამოცანებზე და, უსმენდა რა მას, გორკი გვიყურებდა ჩვენ გახარებული, შუქმფინარე მზერით, თითქოს გვეპატიებოდა — ჩემთან ერთად გაიხარეთ ამ სამართლიანი და ღრმად ამაღლებელი სიტყვებითო. უნდა გენახათ, რა პატივისცემით, სინაზითა და სითბოთი უმზერდა სტალინიც გორკის — პირველს საბჭოთა ლიტერატურის ადამიანთა შორის“.

ი. ბ. სტალინისა და მისი თანამებრძოლების თეორიული შრომები, მათი მრავალრიცხოვანი გამოსვლები ქვეყნის შინაური თუ საერთაშორისო პოლიტიკის საკითხებზე დაეხმარენ საზღვარგარეთიდან დაბრუნებულ გორკის სწრაფად გარკვეულიყო რთულ ვითარებაში, ურთულეს და უმნიშვნელოვანეს საკითხებში. ისე, როგორც თავის დროზე ვლადიმერ ილიას ძე ლენინთან მეგობრობამ და მიწერ-მოწერამ, ახლაც ლენინის მოწაფის — სტალინის მეგობრულმა რჩევებმა და წერილებმა ნათლად გაუშუქეს გორკის ბევრი იმ ამოცანათგანი, რომლებიც მის და საერთოდ ყველა საბჭოთა მწერლის წინაშე იდგნენ.

1930 წელს, როდესაც ჩვენი ქვეყნის შემდგომი წინსვლისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაჩაღებას, როდესაც

პარტია თანმიმდევრულად იბრძოდა ამ ბრძნული ლოზუნგის ცხოვრებაში გატარებისათვის, და როდესაც ჩვენი ქვეყნის მიღწევებით აღფრთოვანებულმა და მათი პროპაგანდის სურვილით გატაცებულმა გორკიმ უცებ ვერ გაიგო და ბოლომდე ვერ ჩაწვდა თვითკრიტიკის მნიშვნელობას, ი. ბ. სტალინმა შემდეგი მეგობრული სიტყვებით მიმართა მას:

„ძვირფასო ალექსი მაქსიმეს-ძე!

დიდ ბოდიშს ვიხდი და გთხოვთ ნუ გამლანძღავთ დაგვიანებული (მეტად დაგვიანებული) პასუხისათვის. საშინლად ვარ დატვირთული. გარდა ამისა ცოტა ავადაც ვიყავი. ეს რა თქმა უნდა, ვერ გამამართლებს. მაგრამ ზოგიერთ რამეს ახსნის... უთვითკრიტიკოდ არ შეგვიძლია. არას გზით არ შეგვიძლია, ალექსი მაქსიმეს-ძე. უიშისოდ გარღვევია უძრაობა, აპარატის გახრწნა, ბიუროკრატიზმის ზრდა, მუშათა კლასის შემოჭმელებითი თაოსნობის ჩაშლა. რა თქმა უნდა, თვითკრიტიკა მასალას აძლევს მტრებს. ამაში თქვენ საყვებით მართალი ხართ. მაგრამ იგივე იძლევა მასალას (და ბიძგს) ჩვენი წინსვლისათვის, მშრომელთა აღმშენებლობითი ენერჯის გაჩაღებისათვის, შეგვიბრების განვითარებისათვის, დამკერელი ბრადედებისათვის და სხვ. უარყოფით მხარეს ანაზღაურებს და ჭარბად ანაზღაურებს დადებითი მხარე“.

ამვე წერილში ი. სტალინი შეეხო ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის საკითხებს და ომისაღმდეგ ბურჟუაზიულ-პაციფისტურ დამოკიდებულებასთან ბრძოლის აუცილებლობის პრობლემას.

1932 წლის სექტემბერში, როდესაც ჩვენი ქვეყანა ზეიმობდა გორკის ლიტერატურული მოღვაწეობის 40 წლის იუბილეს, ი. ბ. სტალინმა თავის მისალმებაში გენიალური მხატვრისადმი გამოსხატა მთელი საბჭოთა ხალხის სანუტყარი გრძნობები:

„ძვირფასო ალექსი მაქსიმეს-ძე!

სულთა და გულით მოგესალმებით

და მაგრად გართმევთ ხელს. ვისურვებთ მრავალი წლის სიცოცხლეს და მუშაობას ყველა მშრომელის სასიხარულოდ, მუშათა კლასის მტრების თავზარდასაცემად“.

კ. ე. ვოროშილოვმა ასეთი ახსნა მისცა ლენინის, სტალინისა და მთელი კომუნისტური პარტიის სიყვარულსა და პატივისცემას გორკისადმი:

„ყველა თქვენი ნაწარმოებები, — სწერდა კ. ე. ვოროშილოვი მ. გორკის, — აღვიძებდნენ და აღვიძებენ უფართოეს მასებში სოციალური სიმართლის წყურვილს, მისწრაფებას უკეთესი ცხოვრებისაკენ, ძალმომერობასთან აქტიურ ბრძოლისაკენ, მატერიალური და სულიერი ექსპლოატაციისაგან რევოლუციური განთავისუფლები-საკენ. და უპირველეს ყოვლისა ამით აიხსნება, ჩვენი დიდი მასწავლებლის ლენინის, სტალინის და მთელი ჩვენი პარტიის ღრმა პატივისცემა თქვენადმი“.

კომუნისტური პარტიის სიბრძნემ, ამ სიბრძნის გამომხატველმა სტალინურმა ლოზუნგებმა უდიდესი გავლენა იქონიეს საბჭოთა პოეზიაში სოციალისტური რეალიზმის დამამკვიდრებლის — ვლადიმერ მაიაკოვსკის შემოქმედებაზედაც. მაიაკოვსკი ღრმად აღფასებდა პარტიის ზრუნვას საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაზე. მას კარგად ესმოდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს პარტიის ხელმძღვანელობას საბჭოთა პოეზიისათვის, ახალი ტიპის პოეზიისათვის — სოციალიზმის მშენებლობის თანასწორუფლებიანი და აქტიური მონაწილისათვის. სწორედ ეს გრძნობა და ეს გაგებაა გადმოცემული მაიაკოვსკის კლასიკურ სტრიქონებში:

Я хочу,  
чтоб к штыку  
приравняли перо.  
С чугуном чтоб  
и с выделкой стали  
о работе стихов  
от Политбюро  
чтобы делал  
доклады Сталин.

საყოველთაოდ ცნობილია მიაკოვსკის სტალინისეული შეფასება, როგორც „საბჭოთა ეპოქის საუკეთესო, უნიკიერესი პოეტისა“. ამ შეფასებას აქვს დიდი ისტორიულ-ლიტერატურული და მეთოდოლოგიური მნიშვნელობა. ის არა მარტო განსაზღვრავს მიაკოვსკის ადგილს საბჭოთა ლიტერატურის ისტორიაში და მისი პოეზიის ეპოქალურ მასშტაბს, არამედ ნათლად მიგვითითებს იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს საბჭოთა პოეტი, თუ მას სურს გახდეს ხალხის სულისკვეთების კეშმარიტი გამომხატველი და კომუნისმის მშენებლობისათვის ბრძოლის აქტიური მონაწილე.

გორკისა და მიაკოვსკის, ალექსეი ტოლსტოის და შოლოხოვის, დემიან ბედნის და ბეზიმენსკის — მრავალზე მრავალ საბჭოთა მწერალსა და ხელოვნების მუშაკს გაუწია დახმარება ი. ბ. სტალინმა თავისი რჩევებითა და შენიშვნებით, დაეხმარა მათ იდეურ-მხატვრულ ზრდაში. ნ. ტოლსტოი აღნიშნავდა, რომ პეტრე პირველის ისტორიული როლი მისთვის უფრო ნათელი და გასაგები გახდა ი. ბ. სტალინის შრომების შესწავლის შედეგად. თავის ავტობიოგრაფიულ წერილში „ჩემი გზა“ ის წერდა: „პეტრეს თემას მე კვლავ დაუბრუნდი 1929 წელს, როდესაც დაეწერე პიესა „На дыбе“, რომელშიც ჯერ კიდევ ვერ გავთავისუფლდი იდეალისტური ტენდენციებისაგან ეპოქის ასახვაში. ეს პიესა მე გადავაბეჭდე“. ამის შემდეგ ა. ტოლსტოი დასძინს: „პეტრეს“ პირველი ვარიანტის დადგმას („На дыбе“) ... რაბი ხიშტებით შეხვდა და ის გადაარჩინა ამხანაგმა სტალინმა, რომელმაც ჯერ კიდევ მაშინ, 1929 წელს, მოგვცა პეტრეს ეპოქის სწორი ისტორიული დახასიათება“.

1929 წელსვე, როდესაც ახალგაზრდა შოლოხოვმა გამოაქვეყნა „წყნარი დონის“ პირველი წიგნები, სტალინმა ერთ-ერთ თავის წერილში უწოდა მას „ჩვენი დროის სახელგანთქმული მწერალი“

და მიუთითა რა ცალკეულ შემთხვევებზე მის რომანში, აღნიშნავს მწერლის შემოქმედებაში უნდა გხვადვდეთ მთავარს, წამყვანს, განსაზღვრელს: „შოლოხოვმა თავის „წყნარ დონში“, — წერდა ი. ბ. სტალინი, — დაუშვა მთელი რიგი ყოვლად უხეში შეცდომები და პირდაპირ არასწორი ცნობები სირცოვზე, პოდტიოლკოვზე, კრივოშლიკოვსა და სხვებზე, მაგრამ განა აქედან ის გამოდის, რომ „წყნარი დონი“ ყოვლად უფარგისი ნაწარმოებია, რომელიც იმის ღირსია, რომ მისი გაყიდვა აიკრძალოს?“

ლიტერატურული ნაწარმოებისადმი ი. ბ. სტალინის მიდგომის ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი თვისება სწორედ ეს არის — უნარი „ნაწარმოების პათოსის“ შემჩნევისა, მასში მთავრის დანახვისა, მეორეხარისხოვანის, შემთხვევითის ამ მთავარისაგან, გადამწყვეტისაგან გამოყოფისა. ასე მაგალითად, 1930 წელს იცავდა რა ა. ბეზიმენსკის ნაწარმოებებს „გასროლას“ და „ჩვენი ცხოვრების დღეს“ რაპელების თავდასხმისაგან, სტალინი სწერდა ამ პიესების ავტორს:

„წავიციოთ „გასროლაც“ და „ჩვენი ცხოვრების დღეც“. ამ ნაწარმოებებში არაფერია არც „წერილობურეთაზელი“ და არც „ანტიპარტიული“. ერთიც და მეორეც, განსაკუთრებით „გასროლა“, დღეისათვის რევოლუციური პროლეტარული ხელოვნების ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს.

მართალია, მათში არის კომკავშირული ავანგარდისმის ზოგიერთი ნაშთი. ამ ნაწარმოებთა წაყითვისას გამოუცდელ მკითხველს ისიც კი შეიძლება ეჩვენოს, რომ პარტია კი არ უსწორებს შეცდომებს ახალგაზრდობას, არამედ პირიქით. მაგრამ ეს ნაკლი როდი შეადგენს ამ ნაწარმოებთა ძირითად ნიშანს, პათოსს. მათი პათოსი იმაში მდგომარეობს, რომ ისინი საკითხს ამხვილებენ ჩვენი აპარატების ნაკლოვანებებზე და შეიცავენ ამ ნაკლოვანებთა გამოსწორების შესაძლებლობის ღრმა რწმენ-

ნას. ეს არის მთავარი „გასროლაშიც“ და „ჩვენი ცხოვრების დღეშიც“. ეს არის მათი ძირითადი ღირსებაც. ეს ღირსება კი ჰარბად ანაზღაურებს და თითქმის სრულებით ჩრდილავს მათს პატარა ნაკლოვანებებს, რომლებიც, მე მგონია, წარსულს ჰბარდება“.

საკითხის გამახვილება ჩვენს ნაკლოვანებებზე და ამ ნაკლოვანებათა გამოსწორების შესაძლებლობის ღრმა რწმენა — ამ შესანიშნავ სიტყვებში გადმოცემულია საბჭოთა ლიტერატურის მებრძოლი, მამხილებელი პათოსის მთავარი თავისებურება: ნაკლოვანებათა გამახვილებული ჩვენების შერწყმა მათი დაძლევის, მოსაპოვის გარდუვალობის ღრმა რწმენასთან, ე. ი. ყველაზე უფრო მკაცრი და ფხიზელი რეალიზმის შერწყმა მაღალ იდეურობასთან, ავტორის მკაფიო და ნათელ იდეურ პოზიციასთან, რაც აძლევს მას შესაძლებლობას დაინახოს განვითარების პერსპექტივა, ან, გორკის სიტყვებით რომ ვთქვათ, შეხედოს წარსულსა და აწმყოს მომავლის სიმაღლიდან.

ამ სიტყვებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ დღეს, როდესაც ჩვენი მწერლები აწარმოებენ ბრძოლას, ერთის მხრივ, „უკონფლიქტობის“ თეორიასთან, ხოლო მეორე მხრივ, ზოგიერთი ლიტერატორის პოზიციასთან, რომლებმაც დავიწყებას მისცეს სოციალისტური რეალიზმის მთავარი პრინციპები და ვითომდა „კონფლიქტების“ ასახვის საფარქვეშ ცდილობენ გაასაღონ უიდეო, ყოველგვარ პერსპექტივას მოკლებული, ცილისმწამებლურა ნაწარმოებები, გამსქვალულნი სეკსისითა და ურწმუნოებით ჩვენი ცხოვრების ნაკლოვანებათა დაძლევის შესაძლებლობის მიმართ. (გავიხსენოთ, მავალითად, ზორინის „სტუმრები“)

არსებითად ასეთივე აზრი და მწიშნელობა ჰქონდა დემიან ბედნის შემოქმედებაში სერიოზული შეცდომებისა და იდეური ჩაყარდნების მკაცრი გაკრიტიკებას ი. ბ. სტალინის მიერ. საერთოდ სტალინის წერილებს დემიან ბედნისა-

დმი უდიდესი პრინციპული მნიშვნელობა აქვს ჩვენი მწერლობისათვის. ი. ბ. სტალინის თხზულებებში, როგორც ცნობილია, გამოქვეყნებულია ორი ასეთი წერილი. პირველ წერილში (1924 წ.) ჩვენ ვხედავთ ი. ბ. სტალინის მეგობრულ ცდას განამტკიცოს ნიჭიერი მწერალი მის მიერ მოპოვებულ სწორ შემოქმედებით პოზიციებზე. „ძალიან კარგია, — სწერს სტალინი დემიან ბედნის, — რომ თქვენ „ხალისიანი განწყობილება“ გქონიათ. „მსოფლიო სეველის“ ფილოსოფია ჩვენი ფილოსოფია არ არის. დღე ისევ დიანონ მიმავლებმა და დრომოქმედებმა. ჩვენი ფილოსოფია საკმაოდ მოხდენილად გადმოსცა ამერიკელმა უიტმანმა: „ჩვენ ცოცხლები ვართ, დღეს ალისფერი ჩვენი სისხლი დაუხარჯავი ძალების ცეცხლით“.

სტალინის ამ სიტყვების მნიშვნელობა, რა თქმა უნდა, სცდება ერთი მწერლისადმი მიმართვის ფარგლებს. ამ სიტყვებში მართლაც გადმოცემულია მთელი ჩვენი ხალხის, რევოლუციური ხალხის, კომუნისმისიკენ მიმავალი ხალხის და მისი ხელოვნების — სოციალისტური რეალიზმის ხელოვნების მთელი შინაგანი პათოსი და ოპტიმისტური სულისკვეთება.

ამავე წერილში მეტად საინტერესოა სტალინის მსჯელობა ადამიანთა „წუთიერ“ და „ხანგრძლივ ინტერესებზე“. იგი ურჩევს მწერალს ყოველთვის ამჯობინოს „წუთიერ ინტერესებს“ „ხანგრძლივი ინტერესები“: „ოპორტუნისტები, არსებითად, სწორედ იმით განსხვავდებიან თავიანთი ანტიპოდებისაგან, რომ პირველი რიგის ინტერესებს მეორე რიგის ინტერესებზე მაღლა აყენებენ. თქმა არ უნდა, თქვენ ოპორტუნისტებს არ მიბაძავენ“.

სტალინი ეხება ამავე წერილში გვაღვების გამო სამელიორაციო ღონისძიებათა ჩატარების საკითხს და გამოსთქვამს ჭეშმარიტად წინასწარმეტყველურ რწმენას, რომ „ეს იქნება ჩვენს სოფლის მეურნეობაში რევოლუციის დასაწყისი“. ეს სიტყვები დაწერილია



1924 წელს მომავლის განჭვრეტის მართლაც რომ ლენინური უნარი უნდა გქონდეს, რომ პირველ სამელიორაციო არხის პროექტში მომავალი სამეურნეო რევოლუციის ჩანასახი დაინახო! სწორედ ასე დაინახა დიდმა ლენინმა გოელროს პროექტში კომუნისმის შუქი, სწორედ ასე დაინახეს ლენინმა „კომუნისტურ შაბათობაში“ და სტალინმა სტახანოვურ მოძრაობაში მომავალი კომუნისტური საზოგადოების ადამიანთა შეგნების პირველი ყლორტები.

გვალვა, რომლის შესახებაც სტალინი წერს დემიან ბედნის, აძლევს მას საბაბს კიდევ ერთი მეტად ღრმა მსჯელობისათვის. სტალინი ლაპარაკობს იმაზე, რომ თუ დაბრკოლებისა და სიძნელის თავიდან აცილება არ მოხერხდა, ჩვენ თვით ეს სიძნელებები და დაბრკოლებები უნდა გამოვიყენოთ ჩვენი ზრდისათვის, ჩვენი ძლიერების განმტკიცებისათვის, რადგან სწორედ სიძნელებებთან ბრძოლაში იქედება და გამოიბრძმდება ყოველივე ახალი, მზარდი: „სანამ მები არ გავარდება, გლეხი პირჯვარს არ გადაიწერსო. გვალვის რისხვა, თურმე, აუცილებელი ყოფილა იმისთვის, რომ უმაღლეს საფეხურზე ავიყვანოთ სოფლის მეურნეობა და სამუდამოდ დავაზღვიოთ ჩვენი ქვეყანა ამინდის შემთხვევითობისაგან. კოლჩაკმა ქვეითი ჯარის შენება გვასწავლა, დენიკინმა — ცხენოსანი ჯარისა, გვალვა კი სოფლის მეურნეობის შენებას გვასწავლის. ასეთია ისტორიის გზები და ამაში არაფერია არაბუნებრივი“. ამ შესანიშნავი, ღრმა ისტორიული ობტიმისმით გამსჭვალული, სიტყვების წარმოთქმა შეეძლო მხოლოდ რევოლუციური ხალხის წარმომადგენელს, მხოლოდ ბოლშევიკური პათოსით გამსჭვალული ხალხის სულისკვეთების გამომხატველს, იმ ხალხისა, რომელსაც მართლაც ჰქონდა უფლება ეთქვა თავის თავზე: „ჩვენ ცოცხლები ვართ, დულს ალისფერი ჩვენი სისხლი დაუხარჯავი ძალების ცეცხლით“.

ი. ბ. სტალინი მეგობრულად ურჩევს

დემიან ბედნის კიდევ უფრო „დრამატიკულ“ შეისწავლოს ცხოვრება, რასაც „შეკვინას“ მაღალმხატვრული ნაწარმოებები: „გირჩევთ მოაწყით თქვენთვის „ბაქოსკენ გასერება“, — ეს საჭიროა... თუ თქვენ ჯერ არ გინახავთ ნავთობის კაბურღილების ტყე, მაშინ „არაფერი არ გინახავთ“. დარწმუნებული ვარ, ბაქო მოგცემთ უმდიდრეს მასალას ისეთი მარგალიტებისათვის, როგორიც არის თქვენი „წიგის საშახური“.

და მართლაც, დემიან ბედნი, ისე როგორც სხვა საბჭოთა მწერლები, ყოველთვის აღწევდა შემოქმედებით გამარჯვებას, როდესაც ცხოვრების ღრმა ცოდნას ეკრძნობოდა და ცხოვრების მიერ მოწოდებულ მასალას სწორი იდეური თვალსაზრისით განსჯებდა. მაგრამ საკმარისი იყო მისთვის ოდნავ მაინც უფლებელეყო სოციალისტური რეალიზმის მეთოდის ეს მთავარი მოთხოვნები, რომ იქვე განეცადა შემოქმედებითი მარცხი. ასე მოხდა ოციანი წლების მიწურულს, როდესაც დემიან ბედნიმ, რაბელეზის მხრივ გუნდრუკის კმეით გაამპარტავებულმა (რამა მთელი საბჭოთა პოეზიის „გადემიანების“ ლოზუნგიც კი წამოაყენა იმ ხანებში), თვითკმაყოფილების გრძნობით აღსავსემ, ზურგი უქცია ცხოვრებას, ზერეღე და განყენებულ განზოგადებებს მიჰყო ხელი, დაკარგა რევოლუციური პერსპექტივა ცხოვრების ნაკლოვანებათა ასახვისას და, არსებითად, ჩვენი ქვეყნის მიმართ უხეშ ცილისწამებამდე დაეშვა ზოგიერთ თავის ნაწარმოებში.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მკაცრად ამხილა და დაგმო დემიან ბედნის შეცდომები. ი. ბ. სტალინმა თავის ცნობილ წერილში (1930 წ.) შემდეგნაირად დაახასიათა მწერლის უხეში შეცდომების არსი: „რამა თქვენი შეცდომების არსი? ეს არსი იმაში მდგომარეობს, რომ სსრკეშირის ცხოვრებისა და ყოფის ნაკლოვანებათა კრიტიკამ, აუცილებელმა და საჭირო კრიტიკამ, რასაც თქვენ თავიდანვე საკმაოდ მარჯვედ და უნარიანად ეწეოდით, ზო-

მაზე მეტად გაგიტაცათ და, გაგიტაცათ რა, იწყო თქვენს ნაწარმოებებში გადაზრდა ცილისწამებად სსრ კავშირის, მისი წარსულის, მისი აწმყოს წინაღმდეგ. ასეთია თქვენი „გამოიღვიძე“ და „დაუზოგავად“. ასეთია თქვენი „კონკია-ელარუნა“. სტალინიმა დაუხატა დემიან ბენდის ჩვენი ქვეყნის დღევანდელი მიღწევების სურათი, აღნიშნა, რომ მთელი მსოფლიო გვიყურებს ჩვენ აღტაცებითა და იმედით, რომ ყველა ქვეყნის რევოლუციურ მუშათა ხელმძღვანელები უდიდესი ყურადღებით სწავლობენ რუსეთის მუშათა კლასის გამოცდილებას, მის წარსულს, ვინაიდან მათ კარგად იციან, რომ რევოლუციური რუსეთის გარდა არსებობდა კიდევ რევოლუციური რუსეთი, რადიშჩევებისა და ჩერნიშევსკების, ელიაზოვებისა და ულიანოვების, ხალტურინებისა და აღქსევეების რუსეთი.

„თქვენ კი? — წერდა სტალინი, — ნაცვლად იმისა, რომ გაიაზროთ ეს უდიდესი პროცესი რევოლუციის ისტორიაში და ამოღდეთ მოწინავე პროლეტარიატის მომღერლის ამოცანების დონემდე, სადაც ლარტაფში ჩაქარგულხართ და, კარამზინის თხზულებებიდან ფრიად მოსაწყენ ციტატებში და „დომოსტროის“ არანაკლებ მოსაწყენ თქმებში ჩაფლული, საქვეყნოდ ღალატებთ, რომ რუსეთი წარსულში სისაძაგლისა და სივერანის ჭურჭელს წარმოადგენდა, რომ ახლანდელი რუსეთი სულ ერთიანად „კონკია-ელარუნას“ წარმოადგენს, რომ „სიზარმავე“ და „მკონარეობა“ თითქმის ეროვნული თვისებაა რუსებისა საერთოდ, — მაშასადამე — რუსი მუშებისაც, რომლებიც მოახდინეს რა ოქტომბრის რევოლუცია, მაინც, რა თქმა უნდა, ისევ რუსებად დარჩნენ. და ამას თქვენ ბოლშევიკურ კრიტიკას უწოდებთ! არა, დიდად პატივცემულო ამხ. დემიან, ეს ბოლშევიკური კრიტიკა როდია, არამედ ცილისწამება ჩვენი ხალხის წინააღმდეგ, სახელის გატეხა

სსრ კავშირისათვის, სახელის გატეხა რუსი პროლეტარიატისათვის.

და თქვენ გინდათ ამის შემდეგ, რომ ცენტრალური კომიტეტი სდუმდეს! ვინ გგონიათ თქვენ ჩვენი ცენტრალური კომიტეტი?

და თქვენ გინდათ, მე ვდუმდე იმის გამო, რომ თქვენ, თურმე, „ბიოგრაფიულ სინაზეს“ გრძობთ ჩემდამი! რა გულუბრყვილო ხართ და რა ნაკლებად იცნობთ თქვენ ბოლშევიკებს...“

როგორც ვხედავთ, სტალინიმა აქ მკაფიო ზღვარი გაავლო კრიტიკასა და ცილისწამებას შორის, ნათლად გვიჩვენა თუ როდის და რა პირობებში რჩება ნაკლოვანებათა კრიტიკა ჭეშმარიტ კრიტიკად და როდის ელის მას საფრთხე ცილისწამებაში გადაზრდისა. გარდა ამ პრინციპული საკითხისა, სტალინის წერილში დიდი მნიშვნელობა აქვს მის მიერ მწერლის მორალური თვისებების დახასიათებას. სტალინი სასტიკად ილაშქრებს მწერლების ყოყოჩობის, ამპარტავენობის, კრიტიკისადმი ავადმყოფური, შეურაცხველი დამოკიდებულის წინააღმდეგ, სხვადასხვა „წერილმანის და უხიაკი ფრაზებით“, მიკიბ-მოკიბული და „გადაკვრით ნათქვამით“ სპეკულატორი თამაშის წინააღმდეგ. ის აღნიშნავს, რომ მხოლოდ მშვიშარებს შეუძლიათ ილაცობონ იმის შესახებ, რომ მათ მიმართ კრიტიკა ვითომდა ნიშნავს იმას, რომ მათ „გარიყვიოთ“ ემუქრებიან, რომ მათ უკვე „ალარ დაბეჭდავენ“ და ა. შ. სტალინის ეს სიტყვები დღესაც მეტად აქტუალურად ეღერენ. ისინი გვეხმარებიან ჩვენ სწორად აღვიქვათ პრინციპული კრიტიკა. და განა არ გვხვდება ჩვენ დღეს მწერალთა რიგებში ისეთი ადამიანები, რომლებიც ავადმყოფურად ლებულობენ ყოველგვარ კრიტიკას, ვარგავენ წონასწორობას, თუ კი მათ ყოველთვის არ მოეფერები (მაშინაც კი, როდესაც ისინი ცდებიან).

მეტად დიდი პრინციპული მნიშვნელობა აქვს ი. ბ. სტალინის წერილს დრამატურგ ბილ-ბელოცერკოვსკისადმი. ამ წერილში სტალინი ილაშქრებს ლიტე-

რატურისადმი ვულგარულ-სოციალიზური საზომებით მიღვამის წინააღმდეგ, „შინაპარტიული“ თერმინოლოგიის ხელოვნების ნაწარმოებებზე გადატანის წინააღმდეგ. „მე არასწორად მიმანია, — წერს სტალინი, — თვით დაყენება საკითხისა „მემარჯვენეთა“ და „მემარცხენეთა“ შესახებ მხატვრულ ლიტერატურაში (და, მაშასადამე, თეატრშიც). ცნება „მემარჯვენე“ თუ „მემარცხენე“ ამჟამად ჩვენს ქვეყანაში პარტიული, უფრო ზუსტად შინაპარტიული ცნებაა... ამიტომ უცნაური იქნებოდა ამ ცნებების შეფარდება ისეთი არაპარტიული და გაცილებით უფრო ფართო დარგისადმი, როგორცაა მხატვრული ლიტერატურა, თეატრი და სხვ.“ „ყველაზე სწორი იქნებოდა, — განაგრძობს სტალინი, — გამოგვეყენებინა მხატვრულ ლიტერატურაში კლასობრივი ხასიათის ცნებები, ანდა ისეთი ცნებებიც კი, როგორც „საბჭოთა“, „ანტი საბჭოთა“, „რევოლუციური“, „ანტი რევოლუციური“ და ა. შ.“.

სტალინის ამ განმარტების მნიშვნელობა კიდევ უფრო ნათელი გახდება, თუ გავიხსენებთ, რომ იმ პერიოდში — ოციან წლებში — მრავალი სხვადასხვა ჯურის ფორმალისტური ლიტერატურული ჯგუფების წარმომადგენლები იყენებდნენ ამ თერმინებს („მემარცხენე“ და „მემარჯვენე“), რაც ზმირად ობიექტურად მათი შემოქმედების კლასობრივი არსის მიჩქმალვის, შენიღბვის ამოცანას ემსახურებოდა.

სტალინი თავის წერილში სწორედ კლასობრივი თვალსაზრისით იხილავს ზოგიერთი ხელოვანის შემოქმედებას. ამ მხრივ მეტად საინტერესოა მის მიერ დრამატურგ ბულგაკოვის პიესების „სირბილისა“ და „ტურბინთა დღეების“ შეფასება.

„სირბილს“ ი. ბ. სტალინი ახასიათებს, როგორც „თეთრგვარდიელთა საქმის გამართლების ან ნახევრად გამართლების ცდას“, აღნიშნავს, რომ ეს პიესა „იმის ცდის გამოვლინებაა, რომ გამოიწვიოს შებრალება, თუ სიმპათია

არა, ანტისაბჭოთა ემიგრანტობის ზოგიერთი ფენის მიმართ“. „სირბილში“ სახით, — წერს სტალინი, — როგორც იგი ამჟამად არის, ანტისაბჭოთა მიუხედავად ამ მკაცრი, პრინციპული შეფასებასა, სტალინი არ არის ამა თუ იმ ნაწარმოების ხელოვნებით „გაკრიტიკებისა“ და „აყრძაღვის“ მომხრე, ის ეძებს შესაძლებლობას პიესის გადასამუშავებლად, იძლევა მითითებებს იმის შესახებ, თუ რა შეიძლება გაკეთდეს, რომ პიესა საბჭოთა მკურებლისათვის მისაღები გახდეს.“... მე არაფერი შექნებოდა იმის საწინააღმდეგო, რომ „სირბილი“ დაიდგას, ბულგაკოვი თავის რვა სიზმარს კიდევ ერთ ან ორ სიზმარს რომ მიუძღებდეს და იქ გამოხატავდეს სსრ კავშირში სამოქალაქო ომის შინაგან სოციალურ მამოძრავებელ ძალებს, რათა მკითხველმა გაიგოს, რომ ყველა ეს, თავისებურად „პატიოსანი“ სერაფიმები და ყოველნაირი პრივატ-ლოცენტები, რუსეთიდან განდევნილნი აღმოჩნდნენ არა ბოლშევიკების ექიანობით, არამედ იმიტომ, რომ ისინი ზურგზე ასხდნენ ხალხს (მიუხედავად თავიანთი „პატიოსნებისა“), რომ ბოლშევიკები, როცა ერეკებოდნენ ექსპლუატაციის ამ „პატიოსან“ მომხრეებს, მუშათა და გლეხთა ნებას ახორციელებდნენ და ამიტომ საესეებით სწორად იქცეოდნენ“. ამ სიტყვებში ბულგაკოვის მცდარი პიესის იდეურ-კომპოზიციური გადაამუშავების მთელი პროგრამაა მოცემული. ეს მით უფრო საინტერესოა, რომ ბულგაკოვის მეორე პიესის „ტურბინთა დღეების“ დადგმისას მოსკოვის სამხატვრო თეატრი სწორედ ამავე მიმართულებით მუშაობდა, ავტორთან ერთად, პიესის გადასაკეთებლად.

„ტურბინთა დღეების“ პირველი, ლიტერატურული ვარიანტი დაახლოვებით იმავე ნაკლოვანებებით ხასიათდებოდა, რომლებიც ი. ბ. სტალინმა „სირბილში“ აღნიშნა. რეჟისორი და თეატრის მკოდნენ. გონწაროვი თავის ცნობილ ნაშრომში „კ. ს. სტანისლავსკის რეჟისო-

რული გაკვეთილები“ წერს: „კ. ს. სტანისლავსკიმ ვ. ლუცკისთან, ი. სულაკოვთან და პ. მარკოვთან ერთად პირველ რიგში უდიდესი მუშაობა ჩაატარა სპექტაკლის დრამატურგიულ კომპოზიციებზე, ბულგაკოვის პიესის გადაკეთებაზე... სტანისლავსკიმ ახლებურად გადაწყვიტა სცენა გიმნაზიაში — თეთრგვარდიელთა გაქცევა და დაღუპვა — როგორც მთავარი, ცენტრალური სცენა პიესაში. ის მოითხოვდა ბულგაკოვისაგან, რომ დაღუპვის წინ, სცენაში „გიმნაზია“, პოლკოვნიკ ალექსიე ტურბინს პირდაპირ და აშკარად ელიარებია თეთრგვარდიელების ბოლშევიკებთან ბრძოლის უაზრობა, უმიზნობა. სტანისლავსკიმ აიძულა ავტორი ხელახლა დაეწერა პიესის უკანასკნელი სურათი, ეგზომ მნიშვნელოვანი სპექტაკლიდან იდეური დასკვნების გამოსატანად. მან მოითხოვა, რომ ამ სურათში ოფიცერ-თეთრგვარდიელთა ჯგუფში მომხდარიყოს ნამდვილი იდეური „გათიშვა“, რომ კაპიტან მიშლავესკის სახეში მყურებელს დაენახა ის რუსი ოფიცერი, რომელიც სწყვეტს კავშირს თეთრგვარდიულ მოძრაობასთან, ცნობს თავის შეცდომებს და აპირებს მომავალში პატიოსან შრომას თავისი ახალი, სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ“.

როგორც ვხედავთ, ის დიდი მუშაობა, რომელიც სტანისლავსკიმ ჩაატარა „ტურბინთა დღეების“ გადასაკეთებლად, დაახლოვებით იმავე მიმართულებით მიმდინარეობდა, რომელიც გამოსაქვივოდა სტალინის შენიშვნებიდან ბულგაკოვის „სირბილის“ მიმართ. სტანისლავსკი, რა თქმა უნდა, არ იცნობდა სტალინის წერილს ბილ-ბელოცერკოვსკისადმი, მაგრამ მან, როგორც სოციალისტური რეალიზმის პოზიციებზე მდგარმა მხატვარმა, სწორი მხატვრული და პოლიტიკური ალღო გამოიჩინა, თეატრის წინაშე მდგარი რთული ამოცანების სრული გაგება გამოამქლავნა. სცენაში „გიმნაზია“ და სპექტაკლის ფინალში სტანისლავსკიმ გვიჩვენა სწორედ, სტალინის სიტყვებით რომ

ვთქვით, „სსრ კავშირში სამარქსელისტომის შინაგანი მამოძრავებელი ძალები“, მკითხველს გააგებინა, რომ „პატიოსანი“ ტურბინები იმითომ დამარცხდნენ, რომ ხალხმა მათ ზურგი შეაქცია, რომ ხალხმა ასე ინება.

სწორედ ამიტომ გახდა შესაძლებელი სამხატვრო თეატრში ბულგაკოვის პიესის წარმატება. სწორედ ამიტომ მისცა ი. ბ. სტალინმა ეგზომ მაღალი შეფასება ამ სპექტაკლს. გავიხსენოთ ეს შეფასება:

„რაც შეეხება თვითონ პიესას „ტურბინთა დღეებს“, იგი არც თუ ისე ცუდია, ვინაიდან სარგებლობას მეტს იძლევა, ვიდრე ზიანს. ნუ დავივიწყებთ, რომ ძირითადი შთაბეჭდილება, რომელიც ამ პიესის მყურებელს რჩება, ბოლშევიკებისათვის ხელსაყრელი შთაბეჭდილებაა: „თუ ტურბინებისთანა ადამიანებიც კი იძულებული არიან იარაღი დაყარონ და ხალხის წინაშე დაემორჩილონ, საბოლოოდ წაგებულად სცნონ თავიანთი საქმე, — ეს იმას ნიშნავს, რომ ბოლშევიკები უძლეველი არიან, მათ, ბოლშევიკებს, ვერაფერს უზამთ“. „ტურბინთა დღეები“ ბოლშევიზმის ყოვლისმძლე ძალის დემონსტრაციაა.

რა თქმა უნდა ავტორს ოდნავაც „არ მიუძღვის ბრალი“ ამ დემონსტრაციაში. მაგრამ ჩვენ რა გვესაქმება ამასთან?”

როგორც ჩვენ დავინახეთ, თუ ბულგაკოვს მართლაც „არ მიუძღოდა ბრალი“, სამაგიეროდ არსებობდა ამ დემონსტრაციის გამომწვევი სხვა მიზეზები და სხვა პირები — დიდი რეჟისორი კ. ს. სტანისლავსკი და სამხატვრო თეატრის კოლექტივი, რომლებიც მტკიცედ იდგნენ სოციალისტური რეალიზმის პოზიციებზე.

„ტურბინთა დღეების“ სცენიური ისტორია იმაზედაც მიგვიბრუნებს, რომ შეუძლებელია მცდარ, რეაქციულ იდეურ საფუძველზე და ცხოვრების ცოდნის გარეშე შეიქმნას ჭეშმარიტად მნიშვნელოვანი მხატვრული ნაწარმოები.

ი. ბ. სტალინი, ისე როგორც ლენინი, ყოველთვის მოითხოვდა ხელოვნების მუშაკებისაგან ცხოვრების სიმართლით ასახვას. „ბოლშევიკურა პარტიის ძალა სწორედ იმაში მდგომარეობს, — წერდა სტალინი, — რომ მას არ ეშინია სიმართლის“. „არ შეიძლება გამოიგონო სახეები და ამბები საკუთარ კაბინეტში მჯდომარემ, — ეუბნებოდა სტალინი კინორეჟისორ გ. ალექსანდროვს. — უნდა აიღოთ ისინი ცხოვრებიდან, — შეისწავლეთ ცხოვრება. ისწავლეთ ცხოვრებისაგან!“

ი. ბ. სტალინი, იბრძოდა რა საბჭოთა ლიტერატურის იდეური სიწმინდისათვის, ამავე დროს ყოველთვის ილაშქრებდა ლიტერატურაში ადმინისტრირების მანკიერი მეთოდის წინააღმდეგ. ის მოუწოდებდა მწერლებს შემოქმედებითი შეჯიბრებისაკენ. „მხოლოდ შეჯიბრების ვითარებაში იქნება შესაძლებელი, — წერდა სტალინი, — მივალწიოთ ჩვენნი პროლეტარული მხატვრული ლიტერატურის ჩამოყალიბებასა და კრისტალიზაციას“.

ი. ბ. სტალინი მზრუნველ და გულისხმიერ დამოკიდებულებას მოითხოვდა მწერლებისადმი. ის ყოველთვის უწევდა ანგარიშს ამა თუ იმ ხელოვანის შემოქმედებით თავისებურებას, მის მხატვრულ ინტერესებს, ის ყოველთვის წინააღმდეგი იყო ამა თუ იმ თემის მწერლისათვის ძალდატანებით თავზე მოხვევისა, ზაზს უსვამდა ხელოვანისათვის თემის ორგანიზაციის აუცილებლობას. ხელოვანისადმი სტალინის მზრუნველ და გულისხმიერ დამოკიდებულებას შესანიშნავ მაგალითზე მოგვითხრობს ცნობილი კინორეჟისორი ა. დოვეჟენკო.

„ამხანაგმა სტალინმა, — მოგვითხრობს ა. დოვეჟენკო, — თვითონ გამომიძახა მე. ეს იყო „აეროგრაფზე“ გაცხარებით მუშაობის პერიოდში, როდესაც მე პირდაპირ წელში ვიყავი მოხრილი უამრავი საგაზეთო წერილების სიმძიმის ქვეშ, რომლებიც „შროსის“ დადგმას ეხებოდნენ, იოსებ ბესარიონის-ძის წინააღმდეგობით რომ უნდა გადაემეღო

ამხანაგ სტალინთან, როგორც იტყვებოდა თათბირი იყო, და მე შევედრე კაბინეტში შესვენების დროს, როდესაც იქ არავინ იყო. ერთი-ორი წუთის შემდეგ შემოვიდა ამხანაგი სტალინი და პირველ რიგში მკითხა, გავიცანი თუ არა ყველა დამსწრენი. და მხოლოდ ჩემი დასატურის შემდეგ დამიწყო დიდი ყურადღებით გამოკითხვა „აეროგრაფზე“ ჩემი მუშაობის შესახებ, ჩემს შემოქმედებით განწყობილებაზე, მეხმარება თუ არა საქმარისად საპაერო ძალების სამმართველო თვითმფრინავების გადაღებისას. ერთი სიტყვით, მე ვიგრძენი, რომ ფილმის დასამთავრებლად ჩემთვის უზრუნველყოფილია ყოველგვარი დახმარება. „მაგრამ ნუთუ მხოლოდ ამისთვის გამომიძახეს?“ — გავიფიქრე მე.

— ახლა კი მე თქვენ გეტყვით, თუ რისთვის გამოგიძახეთ, — მითხრა ამხანაგ სტალინმა. — როდესაც წინა შეხვედრის დროს მე თქვენ გითხარიო „შროსის“ შესახებ, მე ეს გითხარიო მხოლოდ რჩევის სახით. მე უბრალოდ ვფიქრობდი იმის შესახებ, თუ, სავარაუდოდ, რისი გავითება შეგიძლიათ თქვენ უკრაინაში. მაგრამ არც ჩემი სიტყვები, არც საგაზეთო სტატიები თქვენ არავინათვის არ გავალღებულე ბენ. თქვენ თავისუფალი ადამიანი ხართ. გსურთ გააკეთოთ „შროსის“ — გააკეთოთ! მაგრამ თუ თქვენ სხვა გეგმები გაქვთ, — სხვა საქმეა. მე გამოგიძახეთ იმისთვის, რომ თქვენ ეს იცოდეთ.

იოსებ ბესარიონის-ძემ მითხრა მე ეს ჩემად და უკვე ღიმილის გარეშე, მაგრამ რაღაც განსაკუთრებული ყურადღებითა და მზრუნველობით. უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის შრომებით დატვირთულმა, ამხანაგმა სტალინმა, გამონახა დრო, რათა ეფიქრა მხატვარზე, გაცნობოდა მის სულიერ მდგომარეობას, გაენთავისუფლებინა იგი თუნდაც მოჩვენებითი ნაძალადეგობის გრძნობისაგან, მიეცა მისთვის არჩევანის სრული თავისუფლება.

მე ვუთხარი ამხანაგ სტალინს, რომ

მზად ვარ სწორედ „შროსის“ გადაღებისათვის“.

ი. ბ. სტალინი ლიტერატურული ახალგაზრდობის საუკეთესო მეგობარი იყო. ილაშქრებდა რა „ისედაც დაწინაურებული ლიტერატურული „დიდაცების“ დაწინაურების „ბატონაკური ჩვეულების“ წინააღმდეგ, სტალინი აღნიშნავდა:

„ჩვენ ასობით და ათასობით გვყავს ნიჭიერი ახალგაზრდები, რომლებიც მთელი ძალღონით ცდილობენ გზა გაიკაფონ ქვემოდან ზევით, იმისათვის, რომ თავიანთი წვლილი შეიტანონ ჩვენი მშენებლობის საერთო საგანძურში. მაგრამ მათი ცდები ხშირად ამარ ჩრება, ვინაიდან მათ ძალიან ხშირად ახშობს „სახელმძოვვეკილ“ ლიტერატორთა დიდი წარმოდგენა თავიანთ თავზე, ჩვენი ზოგიერთი ორგანიზაციის ბიუროკრატიზმი და უსულგულობა, დასასრულ ტოლების შური (რომელიც ჯერ კიდევ არ გადაქცეულა შეჯიბრებად). ჩვენი ერთ-ერთი ამოცანა ის არის, რომ გავარღვიოთ ეს ყრუ კედელი და გასაქანი მივიცეთ ახალგაზრდა ძალებს, რომელთა სახელი ლეგიონია“.

...სტალინი და საბჭოთა ლიტერატურა. ეს თემა ისევე დაუშრეტელია, როგორც დაუშრეტელია სიბრძნის საგანძური სტალინის მიერ დაწერილ წიგნებში, მის მიერ წარმოთქმულ სიტყვებში; ის ისევე დაუშრეტელია, როგორც დაუშრეტელია წყარო კომუნისტური პარტიის სიბრძნისა, რომელმაც, სტალინისავე სიტყვით, დაბადა და აღ-

ზარდა იგი, უკვდავი ლენინის სიბრძნისა და საბჭოთა მწერლების მარქსისტულადმი, ლენინისადმი, სტალინისადმი სიყვარულისა და მადლიერების გრძობის საუკეთესო გამომქადაგება იქნება — მათ მიერ შექმნილი ახალი და ახალი წიგნები საბჭოთა ხალხზე, წიგნები, რომლებითაც შეძლებს იამაყოს გმირულმა ხალხმა — კომუნისმის მშენებელმა ხალხმა, წიგნები, რომელთა შესახებ ყოველ მწერალს ექნება უფლება გაიმეოროს მაიაკოვსკის სიტყვები:

Грудью  
у витринных  
книжных груд.  
Моя  
фамилия  
в поэтической рубрике  
Радуюсь я —  
это  
мой труд  
Вливается  
в труд  
моей республики.

საბჭოთა მწერლების დიდი მეგობრის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის ბრძნული მითითებები ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე — ძვირფასი წვლილია მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის საგანძურში. ისინი ყოველთვის დარჩებიან შთაგონების წყაროდ საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთათვის. მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის უკვდავ მოძღვრებაზე დაყრდნობით ჩვენი ხალხი მიაღწევს თავისი კულტურის ახალ აყვავებას.



## ნიკო ნიკოლაძის ახლად გამოქვეყნებული წერილები

ნიკო ნიკოლაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მატარებელი ერთ-ერთი შესანიშნავი თავი მიეკუთვნება გერცენის „კოლოკოლი“ ქართული მენამოციანელის თანამშრომლობას, რის შესახებაც მოგვითხრობენ ნიკოლაძის ახლად გამოქვეყნებული წერილები.

ცნობილია, რომ რევოლუციური მოღვაწეობისათვის მეფის მთავრობის მიერ ღვეწილი ახალგაზრდა ნიკო ნიკოლაძე იძულებული შეიქნა რუსეთიდან საზღვარგარეთ წასულიყო. 1864 წლის შემოდგომაზე 21 წლის ნიკოლაძე, როგორც პოლიტიკური ემიგრანტი, ჩავიდა პარიზში.

რუსეთის რევოლუციურ წრეებში საკმაოდ ცნობილი ნიკოლაძის გამოჩენამ პარიზში მიიყვანა საზღვარგარეთ მუთლ ახალგაზრდა რევოლუციონერთა ყურადღება, რადგან მისი სახით „ახალგაზრდა ემიგრაციის“ შესამჩნევი ძალა ემატებოდა. ევროპაში ჩასული ნიკოლაძისადმი არანაკლებ ინტერესს გამოიჩინეს რუსეთის რევოლუციონერთა ძველი თაობის წარმომადგენლებმა, კერძოდ, გერცენმა და ოგარიოვმა, რომლებმაც საგანგებოდ ინახულეს იგი პარიზში და „კოლოკოლი“ თანამშრომლობის თაობაზე დეტალური განხილვა.

საზღვარგარეთ ჩასულ მენამოციანელს პირველად შეხვედრია გერცენი, რომელიც ამის გამო თითქმის ერთ კვირას დარჩენილი პარიზში. სწორედ ამ მოლაპარაკებასთან დაკავშირებულ, დღემდე უცნობ, ფაქტებს გვაცნობენ „ლიტერატურისთვის“ ნასლედსტვის“ 62-ე ტომში (1955 წ.) გამოქვეყნებული წერილები ნიკო ნიკოლაძისა, რომელმაც ამ წერილების გამომხატველს, ცნობილი საბჭოთა ლიტერატურისმცოდნის ა. ზ. ჩერნიაკის დახასიათებით, „გასულ საუკუნის სამოციანობითი რევოლუციური-დემოკრატიული მოძრაობის მონაწილე იყო“<sup>1</sup>.

ნიკოლაძის ეს წერილები ადრე დაცული იყო გერცენისა და ოგარიოვის არქივში „პრადლს კოლექციაში“. 1945 წლამდე იგი პრადლში ინახებოდა. ჩუხოსლოვაკიაში სახალხო დემოკრატიული წყობილების დამყარების შემდეგ ჩუხოსლოვაკიის მთავრობამ იგი საჩუქრად გადასცა

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიას. ამ უკანასკნელმა 1954 წელს ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიისაგან საჩუქრად მიიღო აგრეთვე გერცენისა და ოგარიოვის არქივის ის ნაწილი, რომელიც 1953 წლამდე ქ. სოფიაში ინახებოდა და ამიტომ „სოფიის კოლექციაში“ სახელწოდებით არის ცნობილი.

ნიკოლაძის წერილები, რომელთა სამუდამო დაცვით ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს ვაჩვენოთ 1865 წელს ქართული სამოციანელის „კოლოკოლის“ რედქციაში მისვლისა და იქიდან წასვლის მიზეზებს, „ლიტერატურისთვის“ ნასლედსტვის“ გამოქვეყნებული „პრადლს კოლექციაში“ ავტორგაფის მიხედვით<sup>2</sup>.

როგორც ამ წერილებიდან და სხვა, დღემდე გამოქვეყნებული, საბუთებიდან ჩანს, გერცენი პარიზს 1865 წ. 16 მარტს ჩასულ და ოგარიოვისათვის მიუყვებელი დამირებისამებრ იმ დღესვე შესდგომია ნიკოლაძის ძებნას. მაგრამ, იტყობა, გერცენს ნიკოლაძის ზუსტი მისამართი არ სცოდნია და ამიტომ 17 მარტს მას ოგარიოვი-სათვის მიუწერია: „ნიკოლაძის მისამართი ვერ შევიტყვე. მასსოცხ, რომ არის Rue de la Seine და ნომერიც, ვგონებ, 32. შევეკითხე ურთის (ევენი) ისაკის-ზე — პეტერბურგის სტადენტთა რევოლუციური გამოსვლების მონაწილე ვ. ზ.). მაგრამ მასხუბი ვერ მივიღე. იმავე დღეს, საღამოს, ვიყავი ათ ბინაზე და ვერსად ვერ აღმოვაჩინე“ (XVIII, 58). როგორც ჩანს, ამის შემდეგ ოგარიოვს გერცენისათვის გავუზავნია ნიკოლაძის ზუსტი მისამართი და დაუთვალეობა, რადეც უნდა დაჯდომოდა, ენახა ნიკოლაძე. ამის საპასუხოდ გერცენი 19 მარტს დათარიღებულ ბარათში სწერდა ოგარიოვს: „შენი ბარათი მივიღე; ნიკოლაძისთან წავიღ“ (XVIII, 60). ირკვევა, რომ გერცენი, 20 მარტს წასულა ნიკოლაძისთან და იმავე დღეს შეტყობინებია ოგ-

<sup>1</sup> როგორც ამ ტომის წინასიტყვაობაში ვითხუბლობო, გამოქვეყნებული — „წერილების“ ავტორთა უზრაველობას შეადგენენ — რუსეთის რევოლუციონერებო: ა. ა. და ნ. ა. სერნოსლო-ვევიჩი, ნ. ი. ობრუჩევი, ნ. ი. უტინი, მ. ს. გუ-ლევიჩი, ვ. ი. და ა. ი. კვლსოვებო, ნ. ი. უ-კოვსკი, ვ. ო. კოვალევსკი, მ. ნ. ლავროვი, დ. ი. მენსიოვი, ვ. მ. ოხტროვი, არტურ ბენნი, ნ. ა. ვოჩნოვი, ნ. ი. ნიკოლაძე და სხვ. იხ. „ლიტერატურისთვის“ ნასლედსტვი“ ტ. 62, 1955 წ., გვ. 5.

ნი. ნიკოლაძე — ოგარიოვსა და გერცენს. ი. ზ. ჩერნიაკის წინასიტყვაობა. „ლიტ. ნასლ.“ ტ. 62, გვ. 402.

როივისათვის, რომ: „ნიკოლაძესთან ვიყავი, არ დამბედა და დავენიშნე rendez-vous“ (XVIII, 62). დასასრულ, როგორც იქნა, 21 მარტს გერცენი შეხვედრია ნიკოლაძეს და მასთან მოლაპარაკება უწარმოებია. ამ შეხვედრის გამო გერცენს იმავე დღეს მოუწერია ოგარიოვისათვის: „ნიკოლაძე ვენახე. მის შენგან ახაფერი მიუღია და ამიტომ სერს იცოდეს, სახელდობრ ჩა გაინტერესებს“ (XVIII, 63) I.

გერცენთან შეხვედრისა და მოლაპარაკების შესახებ ავტობიოგრაფიულ ნარკვევში საინტერესო ცნობებს ვაძლავებდეს თვით ნიკო ნიკოლაძე, რომელიც შემდეგნაირად აღწერს მას:

„1864 წლის შემოდგომაზე მე სასულგარაეთო, პარიზში, გამგზავრება მოვახერხე... წლის ბოლოს, ჩემთვის სრულად მოულოდნელად, მე იქ მომხმანა ა. ი. გერცენმა, რომლის გამოჩენამ ლითონური უბნის ვიწრო და გამჟვარტულ ქუჩაზე მდებარე სახლის მანსარდში უღიღესი სენსაცია გამოიწვია. იგივენი ვიწრო ოთახების დიასახლისი, რომელიც იმ დღით წამჩნებდა ბინის ქირის დაგვიანების გამო, [გერცენის] სტუმრობის შემდეგ თვით შეახლა ჩაისათვის საჭირო აღუღებული წყლით. იმ ზამთარს (ე. ი. 1864 წლის ზამთარს. ვ. ზ.) და 1865 წლის გაზაფხულზე გერცენი ყოველთვის მინახულებდა ხოლმე პარიზზე ვაჭლით მგზავრობისას. იმ დროს იგი საცხოვრებლად გადადიოდა ლონდონიდან ენგევში და ამიტომ ხშირად იმყოფებოდა პარიზში (ეს ის თვეები იყო, როდესაც გერცენი ემზადებოდა თავის სტამბის გადატანისათვის ლონდონიდან ენგევში. ვ. ზ.). მაშასადამე, რომ მორიგი სტუმრობისას მას მოჰყვა ენგევი ის[კის-ზე] უტინი, რომელიც შემდგომში [ქურნალ] „ვესტნიკ ევროპის“ გამოჩენილი პუბლიცისტი გახდა. იმ დროს მე გახუთე „სანკტპეტერბურგისკი ვედომოსტისათვის“. (კარნისა)² ვამზადებდი ფელეტონს, მიძღვნილს პრუდიანის გარდაცვალებისა და დაკრძალვისადმი. მან (ე. ი. გერცენმა. ვ. ზ.) ბუერი იცინა ჩემი სამწერლო მანერის გამო. როდესაც მან დაინახა, თუ როგორ ვიყავი გარემოტრეპული თვით პრუდიანისა და პრუდიანის შესახებ არსებული უამრავი ისტორიებით და დარწმუნდა, რომ ყველაფერი ეს წყალობით მქონდა, იქვე მიწინასწარმეტყველა: თუ ყოველთვის ასე ემზადე, მწერლობით ვერავითარ კონებას ვერ შეძენო...“

გერცენმა დამითანხა, რომ მისი „კოლოკოლისათვის“ დამწერია სტატია გლეხთა განთავისუფლებაზე საქართველოში. მე დიდხანს უარზე ვიდგე, მაგრამ... ბოლოს მაინც მძლიანსა სიუყვარულმა და მივეცი სტატია, რო-

მელმაც დიდი აურხაური გამოიწვია ინდონი-დელ პრესაში“ I.

ამრიგად, როგორც გერცენ-ოგარიოვის მიწერ-მოწერა, ისე ნიკოლაძის ეს ავტობიოგრაფიული მასალა ცხადყოფს, რომ გერცენის პირველი შეხვედრა ნ. ნიკოლაძესთან მომხდარა თვით „კოლოკოლის“ რედაქტორების ინიციატივით და ამ შეხვედრის მთავარი მიზანი ყოფილა ახალგაზრდა ქართველი რევოლუციონერის მტკიცედ ჩაბმა ეურნალის მუშაობაში. განსხვავება მათ შორის მხოლოდ იმაშია, რომ გერცენთან პირველი შეხვედრის დროს თვით ნ. ნიკოლაძე 1864 წლის ზამთარს ასახულებს და არა 1865 წლის გაზაფხულს, როგორც ეს სხვა დოკუმენტებიდან ჩანს.

როგორც აღვსანიშნავთ, 1865 წლის 14 მაისით დათარიღებული წერილიდან ჩანს<sup>2</sup>, გერცენის შემდეგ ნიკოლაძეს შეხვედრია ოგარიოვი და მათ ერთად დაუბუხსტებიათ ის თემა-ბე, რომლებზედაც დაწერილი სტატიები ქართულ მესამოცაინელს უნდა მოეწოდებინა „კოლოკოლის“ რედაქციისათვის.

შემოიყვანილი ცნობები ბუნებრივად ზღაპრულ კითხვას: რით უნდა ყოფილიყო გამოწვეული გერცენისა და ოგარიოვის ასეთი განსაკუთრებული ინტერესი ახალგაზრდა ნიკოლაძისადმი? რატომ უნდა ყოფილიყვნენ ისინი მოწოდებულნი, რომ „კოლოკოლის“ მუშაობაში ატკიცებულ ჩაებათ ქართველი მესამოცაინე-ლი<sup>3</sup> ანდა: რატომ დაისვა საკითხი „კოლოკოლის“ მუშაობაში იმ ადამიანის ზეღასლად ჩაბმის შესახებ, რომელიც, მართალია, ჯერჯერობით არა საბოლოოდ გარკვეული, მაგრამ უკუ-ეწვია სწორი მოსახრებების თანახმად, ემიგრაციაში გამგზავრებამდეც უნდა ყოფილიყო ამ ეურნალის თანამშრომელი?

ამ კითხვებზე სწორი პასუხის გასაცემად ჩვენ უავექრებება მოკლე ექსკურსის გაკეთება იმ ურთიერთობის ისტორიიდან, რომელიც სწორედ ნიკოლაძესთან წარმოებულ მოლაპარაკების დროს გერცენსა და ოგარიოვის ჰქონდათ „ახალგაზრდა ემიგრაციის“ წევრებთან.

ასანინიწნავი, რომ, როდესაც გერცენმა და ოგარიოვის „თავისუფალი სტამბა“ და „კოლოკოლის“ გამოცემლობა ლონდონიდან ენგევამდე გადაქონდათ, ამას ისინი იმიტომაც აყუთებდნენ, რომ შეეცადებინათ იმ დროს მყოფი ახალგაზრდა ემიგრაციის წევრების მხრივ დამხმარებისა და თანამშრომლობის დიდი იმედი ჰქონდათ. ეს იმედი „კოლოკოლის“ რედაქტორებს არ გაუმართლდათ იმ ვაგუბრობის გამო, რომელიც იმ ხანებში შექმნა „ახალგაზრდა ემიგრაციისა“

1 ნ. ი. ნიკოლაძე — ოგარიოვისა და გერცენს... „ლტ. ნსლ.“ ტ. 62, გვ. 403.

2 ვ. ფ. კარნისი იყო გახუთე „სანკტპეტერბურგისკი ვედომოსტის“ რედაქტორი. ვ. ზ.

3 ნ. ნიკოლაძის ავტობიოგრაფიული ნარკვევი, მანქანაზე დაწებული. საქართ. სახ. საჯარო ბიბ-კა. საქ. № 15/39.

4 ნ. ი. ნიკოლაძე — ოგარიოვისა და გერცენს, გვ. 406.





და „კოლოკოსი“ რედაქტორებს შორის. ამიტომ, თანამშრომლობისათვის საჭირო საერთო ენის გაზისაძებნად აუცილებელი შეიქნა მოლაპარაკება, მაგრამ მხარეებმა შეთანხმებას ვერ მიაღწიეს, რ. ჯგან „ახალგაზრდა ემიგრაცია“ მოითხოვდა ექრნალის რედაქციის პასუხისმგებლობას ემიგრანტთა კორპორაციის წინაშე და „კოლოკოსისათვის“ საჭირო სახსრების მისთვის გადაცემას, გერცენი კი ამასზე არ თანხმდებოდა იმის გამო, რომ იგი მტკიცედ არ იყო დარწმუნებული „ახალგაზრდა ემიგრაციის“ ლიტერატურულ ძალაში და ზოგიერთი საკითხის გაგებაშიც არ ეთანხმებოდა მას<sup>1</sup>.

დაწყებული მოლაპარაკებებს ჩაშლის შემდეგ „კოლოკოსი“ რედაქტორებსა და „ახალგაზრდა ემიგრაციის“ ზოგიერთ წევრს შორის დამოკიდებულება კიდევ უფრო გამწვავდა. მკლევართა უმრავლესობის აზრით, ამასი დანაშაული ორივე მხარეს მიუძღოდა, მაგრამ კამათის დროს, აშკარად ისინი, მეტ სიფიცებს და უეიდრესობას მინი „ახალგაზრდა ემიგრაციის“ ერთი ნაწილი იჩენდაო, როგორც სათანადო მასალები ცხადყოფენ, კამათში ჩაბმულ ზოგიერთი „ახალგაზრდა“ იმასაც ამტკიცებდა, თითქოს იმ ხანებში „მოელმა ახალთაობამ ზიზღით შეაქცია ზურგი გერცენს“, რადგან „მას არავითარი დედებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა რუსეთის რევოლუციური მოძრაობისათვის“, და ამიტომ მას „ჩერნიშევსკისთანაც“ არაფერი საკითო არ ჰქონია, არა აქვს და არც ექნებაო<sup>2</sup>.

ცნობილია, რომ გერცენის სოციალბოლიტერ მოთხოვნებს, მიუხედავად მათი დემოკრატიზმისა, ზოგჯერ მართლაც ახასიათებდა ერთგვარი რადიკალისტული ილუზიები და მეფის მთავრობის „ეთოლოგინიერებაზე“ დამყარებულო, მაგრამ, საბედნიეროდ, სწრაფლმარმავალა უმღებო. ამიტომ, როგორც ვ. ი. ლენინი ამბობს, „ჩერნიშევსკი, დობროლინოვი, სერნოსალოვეიკი, რომლებიც რევოლუციონერ-ახალგაზრდების მართალნი იყვნენ, როცა უსაფუძვლედ აღნიშნენ გერცენს ამ გადახვევას დემოკრატიზმიდან ლიბერალიზმისაკენ“<sup>3</sup>, თუმცა სამართლიანობა მოითხოვს ვთქვათ, — განაგრძობს ლენინი, — რომ მიუხედავად მთელ ზურგნიისა დემოკრატიზმსა და ლიბერალიზმს შორის, მასში მაინც დემოკრატი იმარჯვებდა<sup>4</sup>.

მიუხედავად გერცენის მსოფლმხედველობის საერთო დემოკრატიული ტენდენციისა, მის პო-

ლიტიურ ხაზში ზოგჯერ, 1861 წლის შემდეგაც იჩენდა ხოლმე თავს ზემოხსენებულ მკრეციობის გადანათებო. ეს კი დიდ უმყოფილუბას იწვევდა იმ „ახალგაზრდა ემიგრანტებში“, რომლებიც ვერ ახერხებდნენ გერცენის ზოგიერთი სუსტი მხარის მიღმა დაენახათ დიდი რევოლუციონერია<sup>1</sup>.

ვინც გერცენისადმი დაიკიდებულებაში ასეთ არაშორსმკვერეტელობას იჩენდა, იგი, ცხადია, „კოლოკოსში“ თანამშრომლობას გურბოდა, მაგრამ, როგორც ვიცით, „ახალგაზრდა ემიგრაციის“ ყველა წევრი ამ აზრისა არ იყო. როგორც ამას „კოლოკოსში“ ნიკოლაძის თანამშრომლობის ფაქტი ცხადყოფს, ჩვენი სამოციანელოც არ ემხრობოდა „ახალგაზრდა ემიგრაციის“ იმ ჯგუფს, რომელსაც არ სურდა „ზოგიერთი სუსტი მხარის მიღმა გერცენის დიდა რევოლუციონერი დაინახა“ და ამიტომაც იმ ხანებში მასთან თანამშრომლობაზე ხელადებით უარყოფელთა მომხრე იგი არ იყო. ფაქტებით დასტურდება, რომ „კოლოკოსის“ რედაქტორებისა და „ახალგაზრდა ემიგრაციის“ ერთ ნაწილს შორის წარმოებული შეჯახებების დროს ნ. ნიკოლაძე მაინც იმ აზრისა რჩებოდა, რომ „მოხუტებთან“ შეთანხმება საჭირო და შესაძლებელი იყო. ამას არ შეეძლო შესახება დედებითი რეაქცია არ გამოეწვია გერცენისა და ოგარიოვის მხრივე და ის ეთუზახაში, რომელსაც ეს ორი დიდი რუსი რევოლუციონერი იჩენდა „კოლოკოსის“ მუშაობას ნიკოლაძის აქტიურად ჩაბმისათვის, ნაწილობრივ ახალგაზრდა ქართველი სამოციანელის ზემოხსენებულ პიზიციითაც უნდა აიხსნას.

გერცენი და ოგარიოვი, ცხადია, დიდ ანგარიშს უწევდნენ იმ ფაქტს, რომ ახალგაზრდა ნ. ნიკოლაძის სახით „კოლოკოსი“ იჩენდა არა მარტო პრწყინვალე ნიჭის რევოლუციონერ-მუხლიც, არამედ გამოჩენილ წევრს იმ „ახალგაზრდა ემიგრაციისა“, რომლის საგრძნობი ნაწილი, როგორც ზემოთ ვთქვით, იმ დროს „კოლოკოსში“ თანამშრომლობის მომხრე არ იყო.

„ლიტერატურნიე ნასელსტვიში“ გამოქვეყნებულ წერილებიდან და „კოლოკოსში“ „რიონელის“ ფსევდონიმით მოათავებული სტატიიდან ირკვევა, რომ გერცენ-ოგარიოვისა და ნიკოლაძის შორის შეთანხმება უნდა მომხდარიყო გარკვეული წინასწარი პირობის საფუძველზე. როგორც ფაქტები მოწმობენ, იმ წინასწარი პირობის თანახმად, ნიკოლაძე უფლებას იტოვებდა თავისუფლად გამოეტყვა ექრნალში თავისი კრიტიკული შეხედულებანი, თუნდაც იგი ზოგჯერ „კოლოკოსის“ რედაქტორების წინააღმდეგაც უოფილყო მიმართული და გასულყო რედაქციიდან იმ შემთხვევაში, თუ გერცენ-ოგა-

<sup>1</sup> ა. ზ. დემენტიევი, ნარკვევები რუსული ექრნალის ტიპის იტორიიდან, 1840 — 1850 წ. წ. 1951 წ. გვ. 495.

<sup>2</sup> იქვე გვ. 494 — 496.

<sup>3</sup> ვ. ი. ლენინი, ობზ., ტ. 18, გამოც. 4, გვ. 16.

<sup>4</sup> ვ. ი. ლენინი, ობზ., ტ. 18, გამოც. 4, გვ. 16.

<sup>1</sup> ნ. ი. უტინი — გერცენსა და ოგარიოვს. პუბლიკაცია ბ. ა. კოზმინისა „ლიტერატ. ნასაედსტვი“, ტ. 62, 1955 წ. გვ. 621.

რიოვის და მის შორის პრინციპული უთანხმოება წამოიჭრებოდა.

„კოლოკოლი“ რედაქტორების ზოგიერთი შეხედულების მიმართ თავისი კრიტიკული მოსაზრებების გამოთქმა [კოლოკოლი] დიდხანს არ დაუყოვნებია. ეს მოხდა „არიონის“ ხელმოწერით დაბეჭდილ მის პირველსავე სტატიამი — („გულბთა განთავისუფლება საქართველოში“), რომლის პოზიტორტი ნაწილი, როგორც ცნობილია, მიძღვნილია სათემო მიწათმფლობელობის აღდგომის გერკენისებური პროპაგანდისადმი. მაგრამ, ვიდრე ნიკოლაძის მიერ ამ სტატიის გამოქვეყნება შეხედულების შევსებად მოხდა, სპორა მის დაწერასთან დაკავშირებულ იმ საინტერესო ფაქტებზე შევსებად, რომლებიც ახლას გამოქვეყნებულ, 1865 წლის 25 აპრილის დღიურიდან, ნიკოლაძის ბარათშია წარმოდგენილი. ამ ბარათით ნიკოლაძე ატყობინებდა ოგარიოვის, რომ გერკენის მიერ მისთვის დაკეთილი სტატიის („გულბთა განთავისუფლება საქართველოში“) დასაწერად სპორტდებოდა 1861 წლის 19 თებერვლის „დებულები“ ტექსტი და ითხოვდა, გაეზავნათ იგი მისთვის, რადგან პარიზში არ იშოვებოდა. ნიკოლაძე აქვე აცნობებდა ოგარიოვის, რომ „დამოუკიდებლად იმისავე, გამოგზავნით თუ არა თქვენ „დებულებას“, სტატიას მაინც მოგაწოდებთ 10 მარსისათვის (1865 წლის, ვ. ზ.), რადგან, გთხოვთ შემატყობინოთ, რამდენ ადგილს დაეთმობთ მის „კოლოკოლიში“<sup>1</sup>. ვადაღის რა ამის შემდეგ პირად საკითხებზე, ნიკოლაძე სწეს დიდ რუს მეგობრებს: ჩემი ბარათის ამ ნაწილის (ე. ი. იმ ნაწილის, რომელიც „კოლოკოლისათვის“ სტატიის დაწერას შეეხებოდა. ვ. ზ.) შემდეგ ვადაღივარ ჩემთვის საარსებო მნიშვნელობის საკითხზე. საქმე ისაა, რომ ამჟამად მე ყოველმხრივ მუხრატებში ვარ მომწყვედული და ცხოვრება მძიკრის. მაინავე დახმარება აღნიშნულს მხოლოდ ამ შემთხვევაში, თუ შევისწავლავი მეტანიკასა და ტექნოლოგიას. რათა გამოვადგე მას ფარიაკში, რომლის ავებას იგი ფიქრების ქუთაისში. ცხადია, ამას მე თანხმობა მივეცი და ბარათი გაეუზავნენ, მაგრამ, ვიდრე ჩემი პასუხი ქუთაისში შეიღწევიდა და პასუხის პასუხად ფულს მივიღებდი, ამას, სულ მერჯე სამი თვე მაინც დასჭირდება, რაც ჩემთვის ერთ საუვერეს უღრას. ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილი იდამანისათვის ხავსზე მოკიდებაც საპატენტებულა და, რადგან ვასპორიდან თავის დასასწრაფლად მე დამრჩენია მხოლოდ ერთადერთი საშუალება, მეც მას მივმართავ, თუმცა იგი მეტად სამწლოა ჩემთვის, რადგან ვეშოშობ, არ დავკარგო თქვენი ჩემდამი კეთილი გაწყობილება... მაგრამ მე არცერთს ვერ დავეყენე, რადგან დარწმუნებულად ვარ, რომ თქვენ ჩემს ბარათს ცუდად არ გაავებთ. მოკლედ: ძიულებული ვარ, თქვენ

ან გერკენს სესხად ვთხოვით ხელმოწერა [ქრენკო] ეს მე საშუალებას მომიცემს ვაღებდე [დუგინოვი] და ავგისტარებ თვით ვავტორი. მაინა კი მაინა ჩემისავე ფულს მივღებ და სამი წლით ევენევი ჩამოვალ“<sup>1</sup>.

6. ნიკოლაძის ეს თხოვნა გერკენსა და ოგარიოვის შეურთლებათ. ამას ჩვენ ვაგებულობთ 1865 წლის 14 მისილ დათარგმნული ბარათიდან, რომელშიაც ნ. ნიკოლაძე სწერდა ოგარიოვის: „... ჩემი სტატიის („გულბთა განთავისუფლება საქართველოში“, ვ. ზ.) გოდმოგზავნა და დავვიბი დამოკიდებომა, რომ თქვენ მიერ გამოგზავნილი „დებულება“ მხოლოდ 9 მარსის მივიღე. სპორა არ არის შენგარდა იმზე, რომ ამ დებულების გადათქმის იერებ ისტანავე შევეუღე ქისტატიის წერას (მაზი ჩვენი, ვ. ზ.). იგი სუსტია, მაგრამ მეტის გაყვება ასეთ მცირე ვადებში არ შეიძლება... თქვენგან 100 ფრანკის მიღებამ ვაპაზარა, მით უმეტეს, რომ ეს ფული გამოგზავნილია საერთო ფონდიდან; არ ვიცი, როგორ უნებრებთ თქვენ ამას, მაგრამ ჩემთვის ეს აშბავი უარესად მნიშვნელოვანია... თუმცა უფრო მნიშვნელოვანია ვიყოლად, როგორ მიღის ამ „კრებულის“ საქმე, რომლის შესახებაც ჩვენ საუბარ გვერნდა პარიზში<sup>2</sup> ვფიქრობ, ცუდი არ იქნებოდა გვეზრუნა მის გამოცემაზე და, თუ ეს შესაძლებელი იქნებოდა, გთხოვდით ყოველგვად დაწერილობით შეგატყობინებნათ ჩემთვის პირველვე ბარათის საშუალებით... მეტისმეტად დამაველებდით, თუ ჩემს სტატიას, „გულბთა განთავისუფლება საქართველოში“, — წარმგზავნებდით მოკლე წინასიტყვაობას. რაც ასე სჭირდება მას...<sup>3</sup> ხშირ არ შეიძლება — ვანგარბობ ნიკოლაძე, — რომ „კოლოკოლი“ შემდგომ ნომერში გამოქვეყნდეს ერთი საინტერესო ახალი ამბავი: მიხეილ ნიკოლაძის ძემ (მეფის ნაცვალმა ჯავახიში, ილქანადრე მეორის ძემ — ვ. ზ.), ამ დღის გზაზე ფულდღებდა, რუსეთი იხსნა: მან აღმოაჩინა საშინელი შეთქმულება ანუ ფარული საზოგადოება სახელწოდებით: „აბაგაზარდა საქართველო და სომხეთი“. სინამდვილეში მთელი ეს ამბავი შეიცავს იმას, რომ თურმე ორი-სამი ვანაზალი და ორი ჯოფილი სტუდენტი თავისუფლად საუბრობ-

<sup>1</sup> ნ. ნ. ნიკოლაძის წერილები ოგარიოვისა და გერკენისადმი, გვ. 404 — 405.

<sup>1</sup> ნ. ნ. ნიკოლაძის წერილები ოგარიოვისა და გერკენისადმი, გვ. 404 — 405.

<sup>2</sup> ეს წერილი 21 წლის ნ. ნიკოლაძემ სულ 4—5 ჯდში დაწერა, რადგან „დებულება“ მან 1865 წ. 9 მაისს მიიღო, ხოლო წერილი, როგორც ავით აღნიშნავს, 14 მაისს გაუგზავნა რედაქციას.

<sup>3</sup> ნიკოლაძე გულისხმობს კრებულს — „პოლიარნაა ზეველას“, რომელშიაც მისი წერილიც უნდა დაბეჭდილიყო.

<sup>4</sup> ნ. ნიკოლაძის ეს სტატია „კოლოკოლი“ დაბეჭდვა ყოველგვარი წინასიტყვაობისა და შენიშვნის გარეშე.

დნენ გლეხთა განთავისუფლებასა და საქართვე-  
ლის დამოუკიდებლობაზე. მათ უეჭველად და-  
სტურდნენ, თუკი დღემდე უკვე ჩამოხრბობილნიც  
არ არიან. პეტერბურგიდან მწერენ, რომ ამ საქ-  
მის გამო იქ მოხსენებით ჩასულა საგანგებოდ  
გავხანული პირი და (ამასთან დაკავშირებით)  
ქართულ სტუდენტთა დამატებების მოვლენ-  
დნო. ამის შემდეგ (10 აპრილის შემდეგ) პე-  
ტერბურგიდან არავითარი წერილი არ მიიღია.  
ხომ არ შეიძლება, რომ ამ ბუხს, რომელიც მი-  
ხეიდ ნიკოლაძის ქვე სპილოდ აქცია, ისევე ბუ-  
ხის ძველი სხვე დაეპრტუნოთ?..

...გართმევეთ მაგრად ზელს  
თქვენი ნ. ნიკოლაძე<sup>1</sup>!

უეჭველია, რომ ნ. ნიკოლაძის ეს ზარათი მე-  
ტად მნიშვნელოვანი დოკუმენტია, რომელიც  
ახალ მასალას გვაძლევს, როგორც თვით ნიკო-  
ლაძის იმდროინდელი რევოლუციური მოღვა-  
წეობის, ისე რუსეთის იმპერიის წიგნით, კერძოდ  
საქართველოში, არსებულ საზოგადოებრივ-პო-  
ლიტიკურ მოძრაობათა დასახასიათებლად.

ამ ზარათიდან ჩანს, რომ ნიკოლაძეს თავისი  
სტატია „კოლოკოლი“ 1865 წლის 14 მაისს  
გაუგზავნია. ჟურნალის მასის ნომერში იგი ვერ  
დაბეჭდილებოდა ტექნიკური მიზეზების გამო. ამ  
თვეში „კოლოკოლი“ მხოლოდ ერთი ნომერი  
გამოიცა (1865 წ. 25 მაისს, № 197) და ნიკო-  
ლაძის სტატიის მიღების მომენტისათვის (რაც  
აღბათ მოსდებოდა არა უადრეს 18—20 მაისს-  
სა) ამ ნომერში გასაშვები მასალა აწყობილიც  
იქნებოდა. გერცენს ისე მოსწონებია ნ. ნიკო-  
ლაძის წერილი, რომ წაითხოვსთსანდა მოუწერია  
ოგარიოვისათვის: „ქართული სტატია ძლიერ  
კარგია“. ამიტომ მისი პირველი ნაწილი დაუ-  
ყოვნებლად დაიბეჭდა 1865 წლის 15 ივნისს  
№ 198-ში, ხოლო მისი დაასრული, იმავე წლის  
1 ივლისს გამოსული ჟურნალის № 199-ში გამო-  
ქვეყნდა.

ცნობილია, რომ ამ მეტრძოდ სტატიაში ნი-  
კოლაძე დაუზოგავად იმართებდა ცარხმის  
„საგლეხო რეფორმას“, როგორც „ცრუგანთო-  
ვისუფლების კომედიას“, პოითხოვდა სათემო  
მფლობელობის შემოღებას და ქართველი ზღ-  
ვის მიერ თავისი მომავალი ბედის რუსეთთან  
დაკავშირებას<sup>2</sup>.

ამის შესაბამისად, ნიკო ნიკოლაძე ხსენებულ  
სტატიაში სასტრკად ილაშქრებდა ევროპის სა-  
ხელმწიფოებთან საქართველოს კავშირის წინა-  
აღმდეგ, რადგან, მისი რწმუნით, ამ შემთხვევა-  
ში „ევროპის სახელმწიფოები დაუყოვნებლივ  
შეუდგებოდნენ საქართველოს „ცივილიზებას“  
აღყარის მგავასად ან მის ექსპლუატირებას

ინდო-ჩინეთის მსგავსად“<sup>3</sup>. აღიარებდნენ რთუ  
სებით სამართლიან და კანონზომიერ  
ლენად ქართველი ზალხის ზბოლის ცარხ-  
მის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ,  
ნიკოლაძე ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ  
მეფის მთავრობის მიერ დამონებულ ზალხთა  
თავისუფლების განზოცილება შესაძლებელი  
გახდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მთელ რუ-  
სეთში გამოიარევეებს ახალი პოლიტიკური და  
სოციალური წყობილების ძირითადი პრინციპე-  
ბა<sup>4</sup>, ე. ა. ხალხთა პოლიტიკური და სოციალური  
თავისუფლების იდეა.

ნიკოლაძის მიერ თავის სტატიაში წამოყენე-  
ბულ ამ დებულებებს საფუძვლი იზიარებდნენ  
„კოლოკოლი“ რედაქტორებიც. მაგრამ, რო-  
გორც ზემოთ აღვნიშნეთ, ახალაზრდა ნიკოლა-  
ძემ თავისი კრიტიკული შეხედულებების თა-  
ვისუფლად გამოთქმის პირობის შესაბამისად,  
ამ წერილში ისეთი აზრებიც წამოაყენა, რომლე-  
ბაც გერცენსა და ოგარიოვის დებულებებს  
უპირისპირდებოდა. ამიტომ იყო, რომ წინა-  
აღმდეგ იმ შეხედულებებსა, რომელსაც იმ დროს  
გერცენი და ოგარიოვი გამოთქამდნენ ევროპის  
სოციალური განვითარების პერსპექტივებზე, ნი-  
კოლაძე წერდა შემოსწავნებულ სტატიაში: „...მო-  
გვიტევონ „კოლოკოლი“ დიდად პატივცემულ-  
მა გამოქვეყნებმა და ჩვენი მთლიანად არ ეი-  
ზიარებთ მათ სასოწრკვეთლებებს ევროპის თა-  
ნამედროვე მოუწესრიგებლობის გამო. წინააღ-  
მდეგ მათი შეხედულებებსა, ჩვენ გვყვამს, რომ ვე-  
როპა მინც თავისას გაიტანს და მიადრეებს სა-  
სტრეულ იდეას“<sup>5</sup>.

ნიკოლაძის ეს აზრი ერთგვარად დაგვიანებუ-  
ლი გამოთხიბილი იყო ჩერნიშევსკის იმ სიტყე-  
ბისა, რომლებითაც ამ უკანასკნელმა გვარის  
დაუხაზებლად მიმართა გერცენს თავის სტა-  
ტიაში „პრობის დაცემის მიზეზთა შესახებ“: „შე-  
ტისმეტად ნაადრევად შეუდგაით თქვენ ზაასს  
ევროპის ზალხთა გახრწნილებაზე, რადგან ისინი  
მხოლოდ ახლა იწყებენ ცხოვრებას“<sup>6</sup>.

1865 წ. 14 მაისის წერილში ჩვენს უკრადლე-  
ბას ბყრობს აგრეთვე ცნობა იმ 100 ფრანკის  
შესახებ, რომელიც გერცენსა და ოგარიოვის გაუ-  
კზანებით ნიკოლაძისათვის „საერთო ფონდიდან“  
და რომელიც გამოეცა უკანასკნელი დაუფარავად  
გამოთქამდა თავის კმაყოფილებას.

ნიკოლაძის წერილის ეს ადგილი თავისთავად  
აღძარავს კითხვას: რას წარმოადგენდა ეს „სა-  
ერთო ფონდი“ და რატომ გამოთქამდა ასეთ  
დიდ კმაყოფილებას ნიკოლაძე იქიდან დახმარე-  
ბის მიღების გამო?

<sup>1</sup> ნ. ნიკოლაძე — ოგარიოვსა და გერცენს.  
„ლიტერ. ნასლედსტვი“, გვ. 406.

<sup>2</sup> ნ. ნიკოლაძე, „გლეხთა განთავისუფლება  
საქართველოში“, ტ. 1, გვ. 174 — 175.

10. „მნათობი“ № 12.

<sup>3</sup> ნ. ნიკოლაძე, „გლეხთა განთავისუფლება  
საქართველოში“, ტ. 1, გვ. 174.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 175.

<sup>5</sup> ნ. გ. ჩერნიშევსკი, თხზ., სრული კრებული,  
1950, ტ. VII, გვ. 666.

„საერთო ფონდი“ გერცენისა და ოგარინის თაოსნობით შეიქმნა 1862 წელს „კოლოკალს“ რედაქციასთან და იგი შედგებოდა იმ შემოწმ-რედაქციასთან, რომლებიც „საერთო რუსულ“ (ე. ი. რევილუციურ. ვ. ზ.) საქმეს ხმარდებოდა. დადგენილი წესის მიხედვით, ამ „ფონდიდან“ დახმარებას ღებულობდნენ რუსეთის ის ემიგრანტები, რომელთაც გარკვეული და თვალსაჩინო დამხმარებები მიუძღოდნენ რევოლუციის წინაშე. ამიტომ, ახალგაზრდა ნიკოლაძისათვის 100 ფრანკის გაგზავნა „საერთო ფონდიდან“, რომელიც იმ დროს, თვით „კოლოკალს“ განცხადებით, გასაქურს განიცილებდა, თავისთავად ნიშნავდა რუსეთის რევოლუციური მოძრაობის წინაშე ქართველი სამოციანელის სავულისხმო დამხმარებების აღიარებას, ხოლო ეს უკვე გასაგებს ზღის ზვეთის ნიკოლაძის სიტყვებს იმის შესახებ, რომ „ჩემთვის ეს ამბავი (ე. ი. „საერთო ფონდიდან“ დახმარებას მიღება ვ. ზ.) უაღრესად მნიშვნელოვანია“.

როგორც დავინახეთ, ამვე წერილში ნიკოლაძე ეხება აგრეთვე კრებულში — „პოლიარნია ენებზე“ თავისი მონაწილეობის საკითხს, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ გვსურს ყურადღება შევიტყუოთ არა მისზე, არამედ იმ ამბებზე, რომელთა შესახებ წერილის ბოლოშია ლაპარაკი.

წერილის ამ ნაწილიდან ჩვენ ვგებულობთ, რომ ემიგრაციაში მყოფი ნ. ნიკოლაძის მშობრობის ადგილი ქონია რუსეთში და საქართველოში ცხოვრობენ რევოლუციურ მოღვაწეებთან, რომლებიც მას დროგამოშვებით აწოდებდნენ სხვადასხვა საჭირო ცნობას, საერთოდ, რუსეთისა და, კერძოდ, საქართველოს ცხოვრებას. ნ. ნიკოლაძის ერთ-ერთი ასეთი „კორესპონდენტი“ ამ დროს კირ. ლოთთქიფანიძეც იყო.

როგორც 1865 წ. 14 მაისს წერილიდან ჩანს, საქართველოდან მიღებულ ერთ-ერთ ასეთ ცნობას წარმოადგენდა ამბავი ახალგაზრდა საქართველოს და სომხეთის<sup>1</sup> საიდუმლო საზოგადოების შესახებ, რომელიც ნიკოლაძეს გამოასყენებელ მასალად გაუგზავნია „კოლოკალს“ რედაქტორებისათვის იმ მიზნით, რომ, როგორც თვით წერს მათ, „საბოლოდ გაბერული ბუნისათვის ბუნისავე სახე დაებრუნებინათ“. ნიკოლაძის მიერ მიწოდებული ცნობა გერცენს მართლაც გამოუყენებია თავისი შენიშვნებისათვის სათაურით — „მიხილეთ და მიხილეთ ნიკოლაძის ამბავი“, რომელიც 1865 წ. 25 მაისს დაიბეჭდა „კოლოკალს“ № 197-ში. ზღმომღვანელობდა რა ნიკოლაძის თხოვნით ამ ამბავის გაბიბრებების შესახებ იმ მიზნით, რომ ამით ერთგვარად შეიკრებულყო „შეთქმულთა“ ბრძოლებს სიმძიმე, გერცენსა და ოგარინებს ეს ცნობა მოთავსებიათ ეურნალის „ნარკეში“. აღსანიშნავია, რომ, დასახული ამოცანის შესამაშისად, სხანებული შენიშვნის საერთო ტონიც სახუმარო — ირონიულია. გამგზავნივე სარკასმით

იხსენიებდა რა თავის წერილში „მიხილეთ ნიკოლაძის ცნობილი ჯალათის. ვ. ზ.“ და „მიხილეთ კატკოვის სახელებს, გერცენი დამცინავად შენიშნავდა, რომ „პირველმა უკვე მიიღო გრადის წოდება, ხოლო მეორის შესახებ მოუთხოვლად მოველით ასეთსავე განკარგულებას“, და იქვე დასძენდა: „მაგრამ რა ეუფოთ ზვენი სამშობლის შესახებ მხსნელს, შესავე მიხილეთ (იგულისხმება მეფის ნაცვლი კავკასიაში, მიხილეთ ნიკოლაძის ძე. ვ. ზ.), რომელიც დაბადებით თავადია და, ისიც, დიდი თავადი. ამას წინათ, მიხილეთ კავკასიამ დიდი უბედურება აიცილია რუსეთსა მან ახალგაზრდა საქართველოსა და ახალგაზრდა სომხეთის“ ფარული საზოგადოების შემქმნელი ორბასამი გიმნაზიელი აღმთაინა და ამის შემდეგ პეტერბურგში კიდევ ვიღაც ქართველი სტუდენტები დაიბარებენ. რა გვეშუქვდები, რომ არა მისი სიდრთიბილ<sup>2</sup>, ირონიულად ამბავებდა წერილს გერცენი, რათა ამით ერთხელ კიდევ ხაზი გაესვა იმისათვის, რომ „აღმოჩენილი შეთქმულება“ მეფის მოთარობის მიერ ხელოვნურად გაბერული ამბავი იყო.

ასეთი იყო ამ „შეთქმულების“ საკითხში „კოლოკალს“ პოზიცია, მაგრამ სულ სხვაგვარად ფიქრობდა ამ ამბავის გამოყენებას თავის ბნელი მიზნებისათვის პიროვეტორი კატკოვი, რომელმაც, „პუნტოვნიკების“ აღმოჩენის გამო, ქართველი და სომეხი ხალხის მიმართ გულგინარი იმსინუაციებით, გინებითა და სიძულელით სავსე მოწინავე წერილი დაბეჭდა ვახუშტი პოსკოცკოე ველომოსტის<sup>3</sup> 1865 წლის 4 სექტემბრის № 194-ში<sup>4</sup>. ეხებოდა-რა ახალგაზრდა საქართველოსა და სომხეთის<sup>5</sup> საიდუმლო საზოგადოების აღმოცენების საკითხს, კატკოვი თავის მოწინავეში იმასაც კი „ამტყცებდა“, რომ ამის მიზეზი თითქმის „საშინაო პოლიტიკაში“ ვიწროსიკვების მიერ „ნაციონალური“ (ე. ი. მონარქისტული) კოლონიზატორული. ვ. ზ.) სულის „შესუსტება“ ყოფილიყო. ცხადია, კატკოვი ირც ასე გულუბრყვილო იყო, რომ ახალგაზრდა საქართველოსა და სომხეთის<sup>6</sup> საიდუმლო საზოგადოების აღმოცენების ფაქტი მართლაც ირონიკურის მხრივ კოლონიზატორული პოლიტიკის თითქმის და „ნაციონალური“ (ე. ი. მონარქისტული) კოლონიზატორული ვ. ზ.) სულის „შესუსტებით“ აიხსნა. ამიტომ მან გარკვეული პროვოკაციული მიზნით ამ მოძრაობის სულისმანდგეველ ამოცანასავე, კერძოდ საქართველოში მეფის მოთარობის მიერ გადმოსახლებული, მემამოხე პოლონელები გამოაცხადა. ამით კატკოვი ცდილობდა საბოლოო რეპრესიებზე გამოეწვია ოგარინე ქართველი და სომეხი მოწინავე ახალ-

<sup>1</sup> გერცენი. მიხილეთ და მიხილეთ ნიკოლაძის ამბავი. „კოლოკალი“, 1865, № 197 („ნარკეში“) გვ. 1619.

<sup>2</sup> ვ. ნ. კატკოვი, „მოსკოვსკი ველომოსტის“ 1865 წლის მოწინავე წერილების კრებულში. მოსკოვი, 1897 წ. გვ. 554 — 555.

გაზრდობის, ისე საქართველოში გადმოსახლებულ პოლონელების წინააღმდეგ და ამრიგად, ერთდროულად „არი კერძო დეპუტატი“. ამ პროკავაციის ვაძლიერების მიზნით კატკოვი თავის მოწინავე წერილში იმასაც ამტკიცებდა, რომ თბილისში მომხდარა 1865 წლის ივნისის გამოკვლევების მინაწილებებს „ჩოხას კალთებზე“ იარაღი უქონლად ამოფარებულ და მთავრობის წინააღმდეგ ტყვეობით ბრძოლას აპირებდნენო.

„კოლოკოლის“ რედაქტორები კარგად გრანობდნენ, რომ კატკოვის ამ გამოლაშქრების უპასუხოდ დატოვება შეუძლებელი იყო და ამ მიზნით ეურნალმა 1865 წლის 15 ნოემბრის № 208-ში გამოქვეყნა წერილი სათაურით, „საქართველოდან“, რომელშიაც კატკოვის ყველა პროკავაციული ფანდი დაუნდობლად გამოიწველებული და შვილებული. ამ წერილის შესახებ „კოლოკოლის“ რედაქცია 1865 წ. 1 ნოემბრის № 207-ში აცხადებდა: „ჩვენ მიერ მიღებული სტატია საქართველოს შესახებ, შემდგომ ნომერში დაიბეჭდება“.

როგორც ვთქვით, ეს სტატია გამოქვეყნდა „კოლოკოლის“ № 208-ში, მაგრამ იგი ხელმოუწერელი იყო. ამიტომ, საკითხი მისი ავტორის ვინაობის შესახებ დიდხანს გაურკვეველი რჩებოდა. პროფ. სიმ. ხუნდაძემ პირველმა მოაწერა მისი ავტორება ნიკო ნიკოლაძეს, მაგრამ, ჩანს, ავი ამაში მტკიცედ დაწინაურებული არ ყოფილა, რადგან ნ. ნიკოლაძის მის მიერვე გამოქვეყნულ თხზულებათა პირველ ტომში ეს ნაშარბობები წიგნის „დამატებაში“ შეტანილია. მიუხედავად ამისა, მეკვდვარის მიერ ხსენებული წერილის ნ. ნიკოლაძის თხზულებათა ტომში შეტანილია მინც იმის დამადასტურებელია, რომ მისი აზრი ავტორის ვინაობის შესახებ ნ. ნიკოლაძის სასარგებლოდ იხრებოდა. რაც შეეხება სხვა საქმეთა მკვლევარებს (მაგ., კლევერსის, ნერნიას და სხვ.), ისინი თუმცა აღნიშნავენ „კოლოკოლი“ ნ. ნიკოლაძის მიერ ხელმოწერილად სტატეების გამოქვეყნების ფაქტს, მაგრამ კონკრეტულად იმის შესახებ, ვთქვანის თუ არა წეჩილი — „საქართველოდან“ ნ. ნიკოლაძის კალმს, თავისი აზრი არ გამოუთქვამთ.

ხსენებული წერილის შინაარსი ცუცხადყოფს, რომ მისი დამწერი ისეთ ვინმე უნდა ყოფილიყო, ვინც შედარებით კარგად იცნობდა ამიერკავკასიის ზალხთა და, კერძოდ, საქართველოს ტოპოგრაფს, ახალგაზრდა საქართველოსა და ახალგაზრდა სომხეთის“ გარშემო დატარებულ და აგრეთვე, 1865 წლის ივნისის ამბებს, ვინც მიწერ-მოწერის საშუალებით საერთოდ რუსეთისა და, კერძოდ, საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობათა კურსში იყოფებოდა და სხ. ვერაობში გასულ ტურსების ემიგრანტებს შორის ასეთი მოღვაწე იმ დროს მხოლოდ ნიკო ნიკოლაძე იყო და ამიტომ წეჩილი — „საქართველოდან“ ჩვენი აზრით, მას ეკუთვნის. ამაში ჩვენ გვარწმუნებს როგორც სტატეაში წამოყენებული საკითხების შინაარსი

და მათი ვადაპრის ხასიათი, აგრეთვე მისი შიკსა და ღებულებათა არგუმენტებში უხედავად ვიდ ნიკოლაძისებური სტილი.

ილაშქრება რა ხსენებული წერილის შესავალშივე კატკოვის იმ ცრუ და სასაცილო ზრალდების წინააღმდეგ, რომლის თანხმად თითქოს ამიერკავკასიის ზალხთა შორის ვრთველი თაკუნსებებისადმი მისწრაფების გამოვლენა უარბზის „ნაციონალური პოლიტიკის (ე. ი. მისი კოლონიზატორული პოლიტიკის, ვ. ზ.) სისუსტის“ შედეგი ყოფილიყოს, ნიკოლაძე დაუზოგავად ამთარახებდა მას შეფის მთავრობის კოლონიზატორულ პოლიტიკას ჩვენი ქვეყნის მიმართ და ნათელყოფდა, რომ ცარიზმი ერთნაირი მტერი იყო როგორც ქართველი, ისე შშრომელი რუსი ზალხბა. ამტკიცებდა რა, რომ ჩვენი ქვეყანა იზარებდა საერთო ზედს რუსეთთან“, ნიკოლაძე საეხებით სწორად ასეცნიდა, რომ ცარიზმით დანაგრედი ვრები თავისუფლებას ეზარებოდნენ მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც მთელს რუსეთში გაიმარჯვებდა პოლიტიკური და სოციალური თავისუფლებისა და სამართლიანობის იდეა.

პაუხად კატკოვის იმ პროკავაციული „ზრალდებისა“, თითქოსდა საქართველოში გადმოსახლებულ პოლონელ პატრიოტთა ზეგავლენის ქვეშ მოქვეული „ახალგაზრდა საქართველოსა და ახალგაზრდა სომხეთის“ წევრები ანტირუსული აზრების მქადაგებელი ყოფილყვნენ, ნიკოლაძე წერდა: „რუსეთის ღირსება ისევე ძვირდასა ჩვენთვის, როგორც რუსებისათვის; ზროლ რაც შეეხება „შოსკოესკო ედომისტის“ მტკიცებას, რომ პოლონეთის აჯანყების დროს ქართველი და სომეხი ახალგაზრდობა გამოხატავდა თანაგრძნობას პოლონელებსადმი, ეს შეიძლებოდა მომხდარიყო მხოლოდ და მხოლოდ სამართლიანობის გრძნობის კარნახით“!

როგორც ვხედავთ, წერილში — „საქართველოდან“ ნ. ნიკოლაძე ძირითადში იშუარებდა იმ აზრებს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობისა და კავშირის შესახებ, რომელზე მან იმავე 1865 წლის ივნის-ივლისში გამოაქვა თავის სტატეაში — „ღლებთა განთავისუფლება საქართველოში“.

უნდა აღნიშნოს, რომ „საქართველოდან“, ნიკოლაძის მიერ „კოლოკოლი“ მოთავსებულ უქანსცნელი წერილი იყო. ეს საუფძველს გეაძლევს ვიფიქროთ, რომ ის ამაგი, რომელმაც „კოლოკოლით“ ნიკოლაძის კავშირის გაწვევტბს შეუწყო ხელი, 1865 წლის ივნის ზაფხულზე ან, უფრო სწორად, შემოდგომამზე უნდა მომხდარიყო, რადგან იმავე 1865 წლის 12 აგვისტოთი დთარღებულ მარტონი გერცენი სწერდა ოგაჩიოვს: „ოგაჩიოვ, გახსოვდეს, რომ შემდგომი ნომრისათვის შე არაფერი არა შექვს. შე ვიხსენი ვენების ყველა (ნომერი) და ახლა აძიქლე შენი თავი და ნიკოლაძე“. გერცენის ეს სიტყვები

<sup>1</sup> ნ. ნიკოლაძე „საქართველოდან“, „კოლოკოლი“, 1865 წ. № 208, გვ. 1707—1708.

ნათლად მიუთითებენ იმაზე, რომ ნ. ნიკოლაძე ამ ხანებში „კოლოკოლის“ რედაქციის არათუ რავითი, არამედ უახლოესი და წამყვანი თანამშრომელიც ყოფილა. მაშ, რას უნდა გამოეწვია მისი წასვლა „კოლოკოლიდან“, რაც, როგორც ვთქვი, 1865 წლის შემოდგომამ მოახდინა?

ამის ნაწილობრივ ახსნას ჩვენ ვმოუძლიბთ ნიკოლაძის მიერ ოჯარიოვისადმი გაგზავნილ, დღემდე უცნობ, ბარათებში, რომლებიც, როგორც ზემოთ ვთქვი, პირველად „ლტერატურ-იურ ნასულესტვის“ პიშმდინარე წლის 62 ტომში გამოქვეყნდა. როგორც ჩერნიაცი აღნიშნავს, ამ „წერილებში საკითხი ეხება მეტად მნიშვნელოვან პრაბლემას — „კოლოკოლისა“ და ორივე მისი რედაქტორის ლიბერალური შედეგებების კრიტიკას. მიწერ-მოწერის ცენტრალური მომენტს წარმოადგენს 1865 წლის მისში გერცენის მიერ გამოქვეყნებული ახალი „წერილი იმპერატორ ალექსანდრე მეორისადმი“, რომელიც მან ტახტის შემეყოლის გარდაცვალების გამო დაწერა. ამ წერილმა კრიტიკა გამოიწვია „ახალგაზრდების“ მრავალი წარმომადგენლის მხრივ; განსაკუთრებით მწვავე და ძლიერი იყო ეს კრიტიკა. ნ. ნიკოლაძის მხრივ<sup>1</sup>, თუმცა ამ ბარათებში, კრიტიკასთან ერთად, ნ. ნიკოლაძე ამყარად გამოთქვამდა თავის ილტაცებს გერცენის იმდროინდელი ცალკეული პუბლიცისტური წერილების მიმართ.

ნიკოლაძის იმ ბარათს, რომელიც შეიცავდა პირველ კრიტიკულ შენიშვნებს გერცენის „წერილის“ მიმართ, ჩვენამდე არ მოუღწევია; მაგრამ მართველ შესამოიხიელსა და ოჯარიოვის შორის წარმოებულ შეშიფრში მიწერ-მოწერად ჩვენ მიანც შესაძლებლობა გვეძლევა, ამომწურავად გავეცნოთ სადავო საკითხების შინაარსს.

გერცენის „წერილი იმპერატორ ალექსანდრე მეორისადმი“, რომლის გამოც შეიცვალა ძველი დამოკიდებულება ნიკოლაძისა და „კოლოკოლის“ რედაქტორებს შორის, 1865 წლის 25 მაისს გამოქვეყნდა ამ ჟურნალის № 197-ში. მისი საკითხისთანავე ნ. ნიკოლაძის პარიზიდან ოჯარიოვისათვის გაუგზავნია ის ბარათი, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ მისი შინაარსი შეგვიძლია დაატლოებით წარმოვიდგინოთ 1865 წლის 12 ივნისით დათარიღებული ბარათის შინაწერის მიხედვით. ამ უკანასკნელიდან ჩანს, რომ ბევრად რამ, რაც გერცენის ზემოხსენებულ „წერილს“ გამო ნიკოლაძეს მიუწერია ოჯარიოვისათვის, პირველი შთაბეჭდილებით უნდა იყოს ნაკარნახევი, „მე ვწერდი“, — კვათხულობთ ამ შინაწერში, — რომ ნუთუ გერცენს ჯერ ისევე არ განსტებია გული მის იმპერატორო

ბით] უ[დიდებულესობაზე]. მართლმწიგნობარ ზაზაშვილი გან მე ვეუენებდი, მაგრამ გერცენის მხრივ მისი მათევისა სრულგებით არ მეჯეროდა<sup>1</sup>. შემდეგ მე აღნიშნავდი, რომ „წერილი“ (ალექსანდრე მეორისადმი, ვ. ზ.) შეუძლია ბერეს აუბნისის გზაკვალი. თქვენ ძალიან კარგად იცით, რამ ახლანდელი ტერიორი დიდხანს ვერ გასტანს რუსეთში და მას მტრავიოები (მტრავიოები—ჯალათი—ვ. ზ.) და კატკოთან ერთად მოელება ბოლო: მაშინ „უმრავლესობა“ (იუტლისისება ლიბერალური „უმრავლესობა“, ვ. ზ.) ყვეტრებას, რომ „რუსეთის აბიეობა“ დიფულტერი რიგზე წავაო“. მართო იმ უბრალო ფაქტმა, რომ ისკანდრემა (გერცენის ფსევდონიმი, ვ. ზ.) წერილი გაუგზავნა მწევესს, შესაძლებელია, ამ უმრავლესობას ასეთი რამ ათქმეოდნის: „თუ კი ისკანდერი, რომელიც ასეთი და ასეთი დაშასტურების ადამიანი, არ იღლება იმედით, თხოვნითა და ლოდინით, ჩვენ, მით უმეტეს, არ გვიმართეს იმპერებოა“. ასეთი აზრები, — მოუთითებს ნიკოლაძე, — არავითარ შემთხვევაში არ შეუწყობს ზელს იმ საზოგადოებრივი თვითმყოფელების გამოფხინებლას, რომლის შეშწალებასაც უნდა ემსახურებოდეს „კოლოკოლი“<sup>2</sup>. ნიკოლაძისადაში გაგზავნილ თავის საპასუხო ბარათში ოჯარიოვი „ცდილა იმას დამტკიცებს, რომ თავისი წერილით გერცენი იბრძოდა „უმრავლესობის“ თანავგრძნობის მოსაპოებლად კემპირიტი სოციალური რვეოლუციისადმი“<sup>3</sup>.

ამ პასუხის პასუხად გაუგზავნა ნიკოლაძემ ოჯარიოვს 1865 წლის 12 ივნისით დათარიღებული ის წერილი, რომლის შინაწერში<sup>4</sup> შინაარსზე ზემოთ შევჭერდი.

ნიკოლაძის 12 ივნისის წერილის ყველაზე დამახასიათებელი მხარე ის, რომ ავტორი მასში ებრძვის „უმრავლესობის“ თანავგრძნობაზე იმედების დაწყობების აბრს. ამატამ მიმართავდა იგი ამ ბარათში „კოლოკოლის“ რედაქტორებს: — თქვენ გუყავდათ სხვაგვარი მკითხველებიც: ენაა ახალგაზრდა თომა, რომელიც გამსჭვალულია საზოგადოებრივი ინტელიგენციისა და თვითმყოფელების ფეცილებული ატკრის აზრით; მიიღეთ მხედველობაში, რომ იგი (ე. ი. ახალგაზრდა თომა, ვ. ზ.) თქვენ დაქმავდილებული არ გუყავდათ... ამ თაობის სრული დაქმავდილებისათვის თავისა ყველა თქვენი ძალებო გაერთიანება და მისი გადატევა იმ უმტრად, რომელიც... თანაბარობიერად უნდა უნაუბედეს გზას ახალგაზრდაობას.

თე, მეტყდრებმა ზოდენი თავისიი მკვარები, უმრავლესობის საბუებას და სხუელზე იმოდენა

<sup>1</sup> ნ. ნ. ნიკოლაძე, ოჯარიოვსა და გერცენს, გვ. 403.

<sup>2</sup> „წერილი“, ნიკოლაძე რომ ამბობს, აქ იგი გულისხმობს 1865 წლის ივნისამდე გაგზავნილი ბარათის შინაარსს.

<sup>1</sup> ეს იმის დამადასტურებელი საბუთია, რომ, მოუხედავად გერცენის ზოგიერთი ლიბერალური შეცდომისა, ახალგაზრდა ნ. ნიკოლაძე მასში ყოველივეს ხედავდა დიდ რვეოლუციონერს.

<sup>2</sup> ნ. ნ. ნიკოლაძე, ოჯარიოვსა და გერცენს, გვ. 410.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 404.



ლაში ტალახია, რომ იგი თქვენ გაიკუთრდებოთ ხელიდან ისევე, როგორც ეს 1863 წელს მოხდა (ნ. ნიკოლაძე გულისხმობს მოლობერალო „ფართო საზოგადოების“ მთავარად მოქმედებას პოლიტიკის 1863 წლის აჯანყებისთან დაკავშირებით, ვ. ზ.). თქვენი ძალა, თუკი ვსტრია იგი იყოლიოთ, ახალგაზრდა თაობაშია დაკავშირებული იგი და თავს ედებ, რომ თქვენ შეგობლიათ დაეყარათ მას, როგორც რჩინის კედელს. ...განა უმჯობესი და უფრო კეთილგონიერი არ იქნებოდა, სრულებით განმორბედილი მას (ე. ი. „უმრავლესობას“, ვ. ზ.), როცა თქვენ ზურგს გიმჯდებოთ ერთგულად, კ ა ნ ა ნ ი ა რ ი მ ვგლობარია — მთელი ახალგაზრდა თაობა, რომელიც მუდამ ასე კეთილშობილია თავის სიმართლებას და მოქმედებაში? ...ახლა თქვენი ჯერია იფიქროთ ამ საკითხებზე...

გულწრფელი პატივისცემით  
ნ. ნიკოლაძე<sup>1</sup>.

ასეთი იყო ენთუზიაზმი, რომელსაც 21 წლის, ახალგაზრდა ნ. ნიკოლაძე იჩენდა „კოლოკოლის“ და მისი რედაქტორების შერჩევანაში რევოლუციურ ახალგაზრდობასთან, კერძოდ, საზღვარგარეთ მყოფ „ახალგაზრდა ემიგრაციასთან“, რომლის წევრიც იყო ჩვენი ქვეყნის მესამეკლასიანი

1865 წლის 12 თვისის ბარათში, რომელიც გერციენის „წერილის“ გამოქვეყნებიდან ორ კვირის შემდეგ დაიწერა, ნიკოლაძე იძლევა „კოლოკოლის“ დახასიათებას. იგი დაწერილია ჩერდება ეურნალის მერყეობაზე, ლიბერალურ ელემენტებთან კავშირზე, მის ილუზიებსა და შეცდომებზე. როგორც ჩერნიაკი შენიშნავს, ნიკოლაძის „ამ წყობის მიხედვით კ ა მ ს ა მ ა რ თ ლ ი ა ნ ი ა (ხაზი ჩვენი, ვ. ზ.), თუმცა ავტორის საერთო დამოკიდებულება 1860—62 წწ. „კოლოკოლისადმი“ აშკარად მიუკერძოებელი და არსებითად არასწორია<sup>2</sup>. ზენს ს შევიძლება პრინციპულად არ დავეთანხმებით ამბ. ჩერნიაკის ამ შეჯავშნებას, მაგრამ საჭიროდ ეთვლით იქვე დავსძინით, რომ, თუ ნიკოლაძე „კოლოკოლის“ საქმიანობის შეფასებაში რაიმე „მოკერძოებას“ იჩენდა, არსებითად იგი იყო ის „მოკერძოება“, რომელსაც „კოლოკოლისადმი“ დამოკიდებულებაში იჩენდა „ახალგაზრდა ემიგრაციის“ ერთი ნაწილი და რომლის გველენის ქვეშ ზოგჯერ მოექცეოდა ხოლმე ჩვენი თანამემამულეც.

ნიკოლაძის ბარათის, საპასუხო ოგარიჟმა 1865 წლის 15 ივლისს „კოლოკოლის“ (№ 200) დაბეჭდვა სტატია საათურით „ისკანდერის წერილის გამო შეფისადმი. წერილი № 21-ს“<sup>3</sup>, რომელშიაც იგი ცდილობს გერციენს მოქმედების გამართლებას ამ მოტივით, რომ „ავტორს (ე. ი.

გერციენს, ვ. ზ.) შეიძლება იმდენი კრიტიკისათვის იხილოს ალბონენისა, სადაც უკუხილავს სიტყვის წყობის შემდეგ სიკვდილით სასჯელს ზურგს შეაქცეოდნენ“<sup>1</sup>.

„კოლოკოლის“ ეს ნომერი ოგარიჟის ნ. ნიკოლაძისათვის პარიზში გაუგზავნია იმ განზრახვით, რომ ამ უკანასკნელს თავისი პასუხი სტატისის საბაზა დაებეჭდა ეურნალში და, ამრიგად, კერძო ბარათში დაწვეული პოლემიკა პრესაში გადაეტანათ. როგორც ეს, ნ. ნიკოლაძის მიერ, 1865 წლის 22 ივლისს ოგარიჟისადმი გაგზავნილი პირადი ბარათიდან ჩანს, ქართული მენამოციანული ამბზე არ დათმობებულა, რადგან ამ შემთხვევაში, მისი აზრით, საჭირო გახდებოდა ზოგ რამეში გაყრტილება იმ მოწინავე ახალგაზრდობისა, რომელსაც, ნიკოლაძის სიტყვით, რეაქციულ პრესაში ისედაც სასტატა სდევნიდა „მელოების ზოგა კატეგორის შეთურობით“.

თუმცა ნ. ნიკოლაძეს პრესაში კამათის გადატანაზე უარი ვაძლევდავით, მაგრამ წამოხრილი საკითხის გარშემო თავისი მისაზრებანი მას მაინც მოლიანად გამოეთქვამს ოგარიჟისადმი გაგზავნილ, 1865 წლის 22 ივლისით დათარიღებულ, ზემოხსენებულ აბათში, რომელშიაც იგი თავის შეგობარს სწერდა: „შე არ შევიძლია პრესის საშუალებით გიპასუხოთ თქვენ, ეს იოც სასტრუქელა ჩემთვის, რადგან კამათი თქვენს სასარგებლოდ დამთავრდებოდა იმის გამო, რომ ჩემთვის ხელსაყრელი ყველა არგუმენტის დასაბუთებას ხელ შევწყვედი. მაგალითად, ზომ ვერ ვიტყვი მე პრესაში, რომ ახალგაზრდობის დიდი ნაწილი გერციენს სათანადოდ განვითარებული არ არის, რომ მას სჭირდება არა მარტო ხელმძღვანელობა, არამედ რჩევა-დასრულება, წაქეზება და ზნობად მუჯღუფენიც კი. ყოველთვე ამის აღიარება იმის მომსახურებელი იქნებოდა, რომ ზენს, ერთი მხრით, საკუთარი ხელით გამოგვეპრა ჩვენთვის ვეღო და, მეორე მხრით, ახალი მოძრაობის მტრებისათვის მიგვეცა დაციენისა და ტკიპისაზრობის სახაზი, მიგვეცა მათთვის იმის შექაძობლობა, რომ ნადაგა გამოცალათ თქვენს კრედიტისათვის, ე. ი. იმ ადამიანთა კრედიტისათვის, რომლებიც ამ მოძრაობის მეთაურები არიან<sup>2</sup>. ამ შემთხვევაში, მელოების ზოგა კატეგორის მეთაურობით, ასე

<sup>1</sup> ნ. ოგარიჟი, ისკანდერის წერილის გამო შეფისადმი, წყ. ხილი № 21-ს, ეურ. „კოლოკოლი“, 1865 წ. № 200, გვ. 1642.

<sup>2</sup> ნიკოლაძის ეს სიტყვები ერთხელ კიდევ ზემდეტად ცხადყოფენ ჩვენი აზრის სისწორეს, რომ აკრიტიკებდა რა „კოლოკოლისა“ და მისი რედაქტორების ცალკეულ შეცდომებს, ახალგაზრდა ნ. ნიკოლაძე ამასთანავე უდიდესი პატივისცემით იყო გამსჭვალული გერციენისა და ოგარიჟისადმი, როგორც რუსეთის რევოლუციური მოძრაობის აღიარებული მეთაურებისადმი.

<sup>1</sup> ნ. ნიკოლაძე — ოგარიჟისა და გერციენს. გვ. 408 — 409.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 404.

<sup>3</sup> № 21 — ნ. ნიკოლაძის ფსევდონიმი იყო.

ტყუილი ახალგაზრდობას: „აბა შეხედეთ, რაოდენ საწყალი წარმოდგენის ირინ თქვენზე თქვენნივე მოთავენი, ის აღმინანები, რომლებიც სახრიობელაზე ასეღას და კატორღადმი გამგზავრებებს გიბრძანებენ“. ექვს ვაჭრეშა, რომ საუცეთესო და ნათელი ბუნების აღმინანები წყარა მიხედვით იმ ტაქიმისსაბოის მიველ უკვანობას, მყარამ რამდენია ისეთები, რომლებსაც სხვაგვარი მოქმედების პირობებში შეეძლოთ ერთგვარი სარგებლობა მოტონათ საქმისათვის, ნაცვლად იმ მტრობისა, რომელიც მათ შეუძლია ამ საქმეს ვაუწიონ პეტროვიყვარობისა და წერილი თავმოყვარობის გამო? ასეთ შემთხვევაში მე საჭიროდ ვედი, შესაძლებლობებ, გამოვიჩინო გერე მოთმინება“<sup>1</sup>.

ასეთი დამოკიდებულება მერე აქვს და თვაროვის ავტორიტეტის დაცვის აუცილებლობისადმი, ნ. ნიკოლაძეს ხელს არ უშლიდა, იმავე დოკუმენტში მთელი სიმკაცრით დაეგმო „კოლოკოლი“ რედაქტორების შემცდარი ნაბოჯი, თუკი ის საზოგადოებრივად სწინაო აღმონღეობდა და ამიტომაც წერდა იგი იმავე ბარათში: „მე რაში მესაქმება, სჯერა თუ არა ისჯანღერს (ე. ი. გერცენს. ვ. ზ.) მეფის აღმინანო ბუნებისა? აქ მთავარია საზოგადოების დარწმუნება იმაში, რომ უკეთესობისაკენ შემობრუნების შემთხვევაში იგი არ შეიძლება დავაღებული იყოს (მეფის) კეთილი ნებისაკენ, რომ ცელიღეობანი ხდება არა შეფიქსი გულდაკეთობის გამო და რომ შემდგომ ცელიღებებს უნდა მოველოდეთ არა ზემოდან, არამედ საზოგადოებრივი თეთმოქმედებისაკენ... მე ვფიქრობ, რომ თუ ყველაფერი ემთო სბროლის მივადდეთ, მაინაც შეიძლება ყველა საკითხი გადაიჭრას საყოველთაო კეთილღეობის სისარგებლოდ... მაგრამ [მაშინ ეს მოხდება] ერთი ან ორი ათასი წლის შემდეგ. ესაღია, მე მომხრე ვარ იმ აზრისა, რომ ისტორიული პროგრესის მსველელობა და განვითარება აუცილებელია, რომ მათ შეუძლიათ ზენი წყევანა ჩვენ მიერ ნავარდღეი მიხენობისაკენ, მაგრამ ეს ოდნავად არ ვამდებს თქვენ და აგრეთვე ყველა უნარიან აღმინანებს, იმის უფლებას, რომ უარი სიქვათ საზოგადოებრივ განვითარებაში მონაწილეობაზე, მით უმეტეს, რომ ან უზარმზარს საქმეში არ იყარგება ყველაზე უმნიშვნელო მოღვაწეობა ყველაზე მცირე გაკეთილებიც კი“<sup>2</sup>.

ნ. ნიკოლაძის ბაიათიდან ჩვენ მიერ ციტირებულთა ეხადგო ურჩიღეობას იპრობს ჩვენნი მესამოკინელის მიერ „კოლ.იკოლი“ არა მარტო ლიბერალური იღუზიგობს კრიტიკის თვალსახრისით.

ბარათის ეს ადგილი დიდი ინტერესის აღმტვრელია, უპირველეს ყოვლისა, იმით, რომ მასში

ნათლადა წარმოდგენილი ნ. ნიკოლაძის მიერ აღწერილი სოციოლოგიური კონცეფცია: მისი მსგავსებულებანი ისტორიულ პროგრესზე და იმ წამყვან ადგილზე, რომელიც ამ პროგრესში აღმინანო რევოლუციური აქტივობას უჭირავს. ამიტომ, ზენიგის სავებები ვასავები ზღვება ნიკოლაძის მიერ იმავე ბარათში გამოქმეული აღტაკება გერცენის „წერილები მოგზავრისადმი“, რომელშიაც ასე ცხადად და მკვეთრად იგრძნობა მისი ავტორის რევოლუციური პათოსი<sup>1</sup>.

ნ. ნიკოლაძის 1865 წლის 22 ივლისით დათარიღებული ბარათი უმკველად ღირსშესანიშნავი დოკუმენტია იმ ურთიერთობის შინაარსის განსარკვევად, რომელიც ერთის მხრით, „კოლოკოლი“ რედაქტორებისა და, მეორე მხრით, ახალგაზრდა ჩვენ თანამემამულის შორის დაიწყო 1865 წლის ვაზაზღუღუღე და გრძელდებოდა იმავე წლის შემოდგომამდე, ე. ი. იმ დრომდე, როდესაც ნ. ნიკოლაძემ პრინციული უთანხმოების გამო ამ ურჩიგმ თანამშრომლობას თავი დაანება. ეს ბარათი ნათელყოფს იმას, რომ მომზდარი განხეუტიღების ერთერთი მიზენი ყოფილა გერცენის „წერილი აღუწინადღე მეორისადმი“, რომლის გამოქვეყნების შემდღე ნ. ნიკოლაძეს თუქცა „კოლოკოლი“ მოთთაქვინათათვის რამდენიმე ხელმოწერილი და ხელმოწერილი სტატია, მაგრამ „გაბზარული“ ურთიერთობის გამართლება მაინც შეუძლებელი გამხდარა. როგორც ჩანს, ასეთ შემდგენს ნ. ნიკოლაძე თავიდანვე მოელოდა, რადგან იმავე ბარათში იგი არწმუნებდა თვარიგებს, რომ „ძირითადი საკითხი, რომელიც შეეხება ისჯანღერის „წერილს“, ჩვენ შორის უკვე საკმაოდ გარკვეულია. ყოველ შემთხვევაში, ასეთია ჩემი შეხედულება“<sup>2</sup>.

როგორც ზემოთ ვთქვით, თვარიგეი მოითხოვდა სადაგო საკითხების პრესის ფურცლებზე განხილვას, მაგრამ ანგარიშგასაწევი მოსაზრებებით 1865 წელს ნ. ნიკოლაძე ამ გამოწვევაზე არ დათანხმდა. სამაგერიოდ, სულ რამდენიმე თვის შემდეგ იგი ამ საკითხებს საკმაოდ მწვავედ შეეხო, 1866 წლის მაისში, გერცენის „თუკისთვალ სტამბაში“ დაბეჭდილ თავის ბროშურაში: „მთავრობა და ახალი თათბა“, რომელშიც, ზოგერთი საბჭოთა მკვლევარის შეხედულებით, გერცენის სტამბის სხვა გამოცემებთან ერთად, იდილი სამასტერი ვაუწია რუსეთის რევოლუციური მოძრაობას“<sup>3</sup>.

ხენებელი ბროშურის გამოცემიდან ორი წლის შემდეგ ნ. ნიკოლაძე ამ „ძველ“ საკითხ-

<sup>1</sup> ნ. ი. ნიკოლაძე, თვარიგება და გერცენს. გვ. 411.  
<sup>2</sup> იქვე, გვ. 411.

<sup>1</sup> ი-ი (გერცენი), წერილები მოგზავრისადმი: „კოლოკოლი“, 1865 წ. №№ 197—203.  
<sup>2</sup> ნ. ი. ნიკოლაძე, თვარიგება და გერცენს... გვ. 412.  
<sup>3</sup> ა. ვ. დემენტიევი, ნარკვევები რუსული თვარიგების ისტორიიდან, 1840—50 წ. წ., 1951 წ., გვ. 434.



ბებს ხელახლად დაუბრუნდა ნ. გ. ჩერნიშევსკის თხზულებათა სრული კრებულის პირველი ტომისათვის წამძღვარებულ ამ წინასიტყვაობაში, რომლის გამო გერცენი სწერდა ოგარიოვსა: „... ჩერნიშევსკისათვის წამძღვარებულ წინასიტყვაობაში ნიკოლაძემ კლანჭები მოგედო“. მაგრამ უფელა ამ ფაქტს ჩვენს წერილში იმეამად ვერ შევხებით იმის გამო, რომ ამის უფლებას არ გვაძლევს თვით ნ. ნიკოლაძის ახლად გამოქვეყნებული წერილების ქრონოლოგიური ჩარჩო. ამასთან, ჩვენ არ შეგვიძლია ხაზგასმით არ იღწინწოთ ერთი მოვლენა, რომელიც ასე შეა-

ფიოდ ივრანოვა ნიკოლაძის წერილებში ოგარიოვისა და გერცენისადმი. ჩვენს შემთხვევაში ზნობთ ქართული მესამოციანელის მიერ ამ წერილებში გამოვლინებულ ღრმა პატივისცემას გერცენის უდიდესი საცაოობრიო დამსახურებისადმი, ამ ადამიანის გმირული თავდადებისადმი, რომელმაც დიდი ლენინის სიტყვებით, „სა-მ-ო-ც-ი-ნ-წ-ლ-ე-ბ-ში... აღმართა რევოლუციის დროსა“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ვ. ა. ლენინი, თხზ. ტ. 18, გამოც. 4, გვ. 18.

ანერო ღმრთი



პოლა ღმრთათიძე როგორც მხატვარი და მოაზროვნე

1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ რეაქცია გამეფდა. ჯალათმა სტოლინმა სახრჩობელებით აავსო ქვეყანა. ბურჟუაზიული და წერილობტრუაზიული ინტელეგენციის საგრძნობ ნაწილში რეაქციამ გამოიწვია დაცემულობის განწყობილება. ძირითადად ამ სისხლიანი რეაქციის პერიოდში იშლება პოლა ღმრთათიძის შემოქმედება. ყოველივე სატყუთესი პოლა ღმრთათიძის შემოქმედებაში დაკავშირებული იყო რევოლუციისთან, ყველა მისი შეცდომა, ნაკლი, სასუსტე კი ხარკი იყო რეაქციის წლებში გამეფებულ დეკადანსიზმში.

პოლას დიდი, კაცობოყვარე გული აქვს. პოლას უყვარს ადამიანი და ამიტომ სძულს ის, ვინც ჩაგრავს და ყველგან ადამიანს. პოლამ იცის, რომ კაპიტალიზმი განიცდის რღვევას, რომ მუშათა კლასი ადრე თუ გვიან დაისამარცხებს კაპიტალიზმს და მაშინ ბოროტებისაგან განათავსდებულა იმეკი ადამიანი — ლაღდ შეუღება ახალ, მშვენიერი ცხოვრების შენებას. პოლა ოცნებობდა იმ დროზე, როცა მას წინ შეხედებოდა სპარსი, ოსმალი, რუსი, ინგლისელი, იაპონელი და იგი მათ „ქმურად, ამხანაგურად“ გადაკაცინდა. როგორც ვთქვით, რეაქციამ თავისი დიდი დამძინია პოლას შემოქმედებას და ამიტომ მის თხუთლებში შეიძლება ზოგჯერ ნახავს ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრებს, განწყობილებებს. მართალია, პოლა ძირითადად ობტუზიტია, ჰუმანიტი და დაუნდობელი მტერი მყუდრეულთა კლასისა, მაგრამ ზანღანს იგი ემდევა სველას, უიმედობას, „მსოფლიო სეფდის“ მგონად გველეინება.

პოლა ხედავს კლასთა გამაფრებულ ბრძოლას, მშრომელთა სიღარიბეს და გაბატონებულ კლასის მტაცებლურ, ფუქსაეატურ, სიცრუით აღსავსე ცხოვრებას. პოლას გული ევსება მუქმეფელებისადმი ზიზღით, შურისძიების გრძნობით. პატრიარს პირით იგი ასე მიმართავს ბურჟუაზიას: „თქვენ ბედნიერი ხართ იმიტომ, რომ გაქურდეთ, გაპარკეთ უბედურნი, თქვენ ტყავი გააძრეთ მეშის, ამიტომ ფულბი გაქვთ თქვენ, ამიტომ ბედნიერი ხართ, ამიტომ თქვენსკენ არის კანონი და სამართალი, მღვდელი და ეკლესია, ამიტომ ძლიერი ხართ თქვენი და! ბედნიერი ხართ თქვენი მაგრამ ზემს სახრჩობელას მე არ გაყსყელი თქვენს ბედნიერებაზე, თქვენ, რო-

მელთაც ბედნიერება ავიშენებიათ სხვის უბედურებაზე...“

მართალია, მ. დუღინავეს აზრით, „შემოქმედების ყოველი მეთოდი“, როგორც ხელოვნების „ობიექტური კანონზომიერების გამოვლენის ისტორიული ფორმა“, აღმოცენდება „შესატყვისი სოციალური ნიადაგის (კლასობრივი ურთიერთობის, ებოქის წამყვანი ტენდენციების) საფუძველზე“ (იქვე), ხოლო ეს, ჩვენი აზრით, იმას ნიშნავს, რომ „კლასობრივი ურთიერთობა, ებოქის წამყვანი ტენდენციები“ ხელოვნებასა და მის მიმოდებს უპირველეს ყოვლისა იდეათა ამა თუ იმ სისტემის, გარკვეული მსოფლმხედველობის სახით განაპირობებენ. მ. დუღინავეს მტკიცებით კი, „შემოქმედების ყოველი მეთოდი“, „კლასობრივი ურთიერთობის, ებოქის წამყვანი ტენდენციების“ ზეგავლენის გარდა, კიდევ ბასათლება „თავისი საკუთარი ობიექტური კანონზომიერებითაც“, თავისი სპეციფიკური „არსითაც“, რომელიც არ არის განსაზღვრული იდეებითა და მსოფლმხედველობით; „რაც შეეხება იმ იდეების სპეციალურ ზუნებას და საერთო ხასიათს, — წერს მ. დუღინავე, — რომლებიც მეთოდთან

არიან დაკავშირებული ამა თუ იმ სახით, ისინი ენუალოდ არ შედიან აღნიშნულ ობიექტურ კანონზომიერების სფეროში“ (იქვე, გვ. 22). თუ როგორი „გამოაუღებელი“ სახით „შედიან“ იდეები მეოთხის „სპეციფიკური ობიექტური კანონზომიერებაში“, ამზეც მ. დუღინავე გარკვეულად არაფერს ამბობს. თუმცა, მისი აზრით, მეოთხის ეს „კანონზომიერება“ ვეუვლინება „სინამდვილის მხატვრული ასახვის კონცეციის (ხელოვანის სინამდვილისადმი შემოქმედებით დამოკიდებულების პრინციპთა) სახით“ (იქვე). მაგრამ ეს „კონცეცია“ თუ „პრინციპები“, თურმე, თავს იჩენენ, მოქმედებენ მსოფლმხედველობისაგან დამოუკიდებლად.

უდავია, რომ, მაგალითად, რეალიზმი მუდამ ძირითადად პროგრესულ მსოფლმხედველობრივ ნიადაგზე აღმოცენებულა. მაგრამ მ. დუღინავეს აზრით ეს ასე არ არის.

მსოფლმხედველობასა და შემოქმედებით მეოთხის შორის, ვითომდა არსებული წინააღმდეგობის უმკვეთესს ნიმუშად მ. დუღინავე-მიიჩნევს ბალზაკისა და ლ. ტოლსტოის შემოქმედებას. ამის დასამტკიცებლად იგი „იმოწმებს“ ენგელსის შეხედულებებს ბალზაკის რეალიზმზე და ლენინის წერილებს ტოლსტოის შემოქმედების შესახებ.

მ. დუღინავეს სურს ბალზაკისა და ტოლსტოის შემოქმედებაში დაანახოს იმის დადასტურება, თითქოს ხელოვნების „სპეციფიკური შემეცნებითი არსი“ იმიტირება თეოთმოყვადი, ხელოვანის მსოფლმხედველობით იდეოლოგიით განუპირობებელი. რომ „იგი (ეს „არსი“, — ე. ი. ჯ.) ელნიდება მამინაც კი, როდესაც ხელოვანი თავისი ძირითადი პოლიტიკური შეხედულებებით რეაქციულ პოზიციებზე დგას ან საერთოდ ვერ გამოხატავს ებოქის მოწინავე ტენდენციებს“ („მნათობი“, 1955 წ. № 9, გვ. 197).

მაგრამ სწორედ აქ ევლიდება სრული სიყვადი მ. დუღინავეს შეცდომათა მთავარი წყარო, მთავარი მიზეზი.

ა. ფადევი ზემოხსენებულ „შენიშვნებში ლიტერატურაზე“ აღნიშნავს, რომ ჩვენი ამჟამად უკვე საუბრით კომპრომენტირებულია და აბსოლუტურად მიუღებელია „აბსტრაქტული თეორეტიზირება ლიტერატურაში“, რომელსაც კონკრეტული ლიტერატურული მასალისაგანა მოწყვეტილი. სამწუხაროდ, ამჟვარი აბსტრაქტული თეორეტიზირების ნიმუშებს გვთავაზობს მ. დუღინავე. ნაცვლად იმისა, რომ კლასიციური და ახალი მწერლობის კონკრეტული ანალიზის საფუძველზე გამოიყვანოს თავისი დასკვნები ლიტერატურის სხვადასხვა საკითხებზე, იგი, პირიქით, თავისი წინასწარი აღებულ, პრინციპულად ყალბ თვალსაზრისს ახევეს თავს არა მხოლოდ ბალზაკსა და ტოლსტოის, არამედ მარქსს — ენგელსსა და ლენინსაც.

მ. დუღინავეს რწმუნებით, კ. მარქსსა და ფ. ენგელსს ბალზაკის შემოქმედება მარნდაა

რეალიზმის მსოფლმხედველობისაგან დამოკიდებული, „თავისთავადი“, „თვითმოყოფილი“ გამოვლენის „ყველაზე ძლიერ და შესანიშნავ“ ნიმუშსა: „მათი (მარქსისა და ენგელსის, — ო. ჯ.) დსკვენით, რეალიზმის შეგვიძნებოთ არის იმდენად დიდი ძალისა და თვითმოყოფადია, რომ იგი თვით ზელოვანის შეხედულებათა მიუხედავადაც კი ვლინდება“ („ლტ. ძიებანი“, IX, გვ. 25), — გვარწმუნებს მ. დედუჩავა, და იმორწმუნებს ენგელსის დებულებას, რომ ისეთი რეალიზმი, როგორც ბალზაკისეული, „ავტორის შეხედულებათა მიუხედავადაც ვლინდება ხოლმე“.

მაგრამ სინამდვილეში (როგორც ეს კარგა ხანია, რაც ბ. რუხოვენი ცხადყო თავის წიგნში „ბალზაკის შემოქმედება“ და ამას წინად ა. ფადეევიც აღნიშნა ზაზანაშვილმა) ბალზაკის რეალიზმის ენგელსისეული დანახათება, პირაქით, ბალზაკის შემოქმედებები მსოფლმხედველობისა და მეთოდის მკაცრ შესაბამისობას ცხადყოფს, — იმას მიუთითებს, რომ ბალზაკის რეალიზმი ისევეა წინააღმდეგობათა შემცველი, როგორც მისი მსოფლმხედველობა.

საქმე ის არის, რომ ენგელსი, ბალზაკის იმ შეხედულებებში, რომელთა მიუხედავად მისი რეალიზმი ვლინდება, მხოლოდ პოლიტიკურ, რეაქციულ-დევტივისტურ შეხედულებებს გულისხმობდა და არა ბალზაკის მთელ მსოფლმხედველობას. თუ ბალზაკი მიუხედავად თავისი პოლიტიკური შეხედულებებისა მაინც „ხედავდა მოკვლის ნამდვილ აღმანიშნებს იქ, სადაც შეიძლება იმ დროს მათი ნახვა“, ეს იყო შედეგი ბალზაკის ჰუმანიზმისა და დემოკრატიზმისა, მისი იდეური კავშირისა საფრანკეთის განმანათლებლური ფილოსოფიის რევოლუციურ ტრადიციებთან, მისი ღრმა სიყვარულისა და თანაგრძობობისა დაბეჩავებელი მშრომელი მასებთანადმი.

თუმცა ზოგჯერ მ. დედუჩავაც ლაპარაკობს ბალზაკის შემოქმედებაში რეალიზმსა და „პოლიტიკურ შეხედულებებს“, „პოლიტიკურ მარქსს“, „პოლიტიკურ მსოფლმხედველობას“ შორის წინააღმდეგობაზე, მაგრამ საქმე ის არის, რომ მ. დედუჩავა ფაქტობრივად ამ პოლიტიკური შეხედულებებით შეზღუდვარგავს ბალზაკის მთელ მსოფლმხედველობას. მწერლის იდეურ სამყაროში იგი ვერაფერს ხედავს პოზიტიურს, ჰიგორესულს, რასაც შეეძლო განეპირობებინა და რამაც კიდევაც განაპირობა მწერლის „შემოქმედების ძირითადი ტენდენციები“, მისი მაღალი რეალიზმი.

კიდევ უფრო შეუწყინარებლად ამახინჯებს მ. დედუჩავა ვ. ი. ლენინის აზრებს ლ. ტოლსტოის შემოქმედების შესახებ, რომელთაც ვრცლად ვხედავთ წარჩლში „ვ. ი. ლენინის თეორიული შეხედულებანი“.

მ. დედუჩავა, ცდილობს რა დანახოს ლ. ტოლსტოის შემოქმედებაში თავისი მკდარი თვალსაზრისის დადსტურება, მიაწერს ვ. ი. ლენინს

ამას, რაც მას არასოდეს არ უთქვამს ტოლსტოის შესახებ. კერძოდ, მ. დედუჩავა იტყობს, რომ თურმე, „...ვ. ლენინი უპიროველს ყოვლისა ხედავს ტოლსტოი-მხატვრისა და ტოლსტოი-მოაზრენის, ანდა თვით ლენინისავე სიტყვებით რომ გადმოვეყო, „მხატვარ ტოლსტოის ნაწარმოებებისა“ და „მოაზროვნე ტოლსტოის შეხედულებების“ ძირითადი ტენდენციების დაბირისპირებას“... (კურსივი მ. დედუჩავასა, — ო. ჯ.). ვ. ი. ლენინის სიტყვები აქ თვითნებურადაა ჩაყვრებული მ. დედუჩავას კონტექსტში. ნამდვილად კი ტოლსტოის შესახებ თავის წერილებს ვ. ი. ლენინი იმ დედაზრზე აგებს, რომ ერთი და იმავე წინააღმდეგობით არის გასაწყველელი ტოლსტოის როგორც შეხედულებები, მსოფლმხედველობა, ისე მხატვრული შემოქმედებაც, რომელშიაც ეს შეხედულებები, ეს მსოფლმხედველობა გამოისახა. კერძოდ, ლენინი აღნიშნავს, რომ „ტოლსტოიმ თავის ნაწარმოებებში გასაოცარი გამოკვეთილობით გამოისახა, — როგორც მხატვარმაც და როგორც მოაზროვნემ და მჭადვეცემლემ — რუსეთის მთელი პირველი რევოლუციის თავისებურებების სწინები, მისი ძალა და მისი სისუსტე“ (ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 16, გვ. 441). შემდეგ, „თუ ჩვენს წინაშე მართლაც დიდი მხატვარია, — წერს ლენინი ტოლსტოის შესახებ, — მას თავის ნაწარმოებებში უნდა აესახა რევოლუციის თუნდაც ზოგიერთი არსებითი მხარე“. ამ სიტყვებიდან არავითარ შემთხვევაში არ გამოიმდინარეობს, თითქმის ლენინის აზრით ტოლსტოიმ მოგვცა რუსეთის რევოლუციის სრული, ბოლომდე თანამიმდევრული რეალისტური სურათი. მ. დედუჩავა კი, მოჰყავს რა ვ. ი. ლენინის ეს სიტყვები, იცხადებს: „და როგორც თვით წერტილის სახელწოდება (ტოლსტოი როგორც რუსეთის რევოლუციის სარკე“, — ო. ჯ.) მიუთითებს, ციტირებული სტრიქონების... ანალიზით, ვ. ლენინი საყვებით ნათეს ხდის, რომ ლ. ტოლსტოი-მხატვარი რევოლუციის არა მარტო ზოგიერთ არსებით მხარეს სახავს, არამედ რევოლუციის კუშმარტ სარკედაც გვევლინება“<sup>1</sup>. სინამდვილეში კი ვ. ი. ლენინი სწორედ იმას ცხადყოფს, რომ თავისი მსოფლმხედველობრივი შეხედულებების შედეგად, როგორც ვლუხობის იდეოლოგმა, ტოლსტოიმ ვერ ასახა რუსული რევოლუციური სინამდვილე სათანადო სისწორით, კუშმარტად რევოლუციურ პერსპექტივაში ვ. ი. ლენინი აღ-

<sup>1</sup> „ლუტერატურული გაზეთი“. 21. I 1955. „შინათბში“ გამოკვეყნებულ სტატიაში მ. დედუჩავა გვაძლევს ვ. ი. ლენინის ზემოთმოცხადებულ დებულებას ამ თავისი „ინტერპრეტაციის“ ასეთ ვარიანტს: „ამასთან, როგორც ცნობილია (?) ლენინი ტოლსტოის შემოქმედებაში ხედავდა რევოლუციის არა მხოლოდ ასეთ ნაწილობრივ ასახვას, არამედ რევოლუციის ნამდვილ სარკეს“ („შინათბი“, 1955, № 9, გვ. 197).



ნიშნავს, რომ ტოლსტოის მოძღვრებასა და შემოქმედებაში „კაპიტალიზმისა და იმ უბედურებათა შილებსა, რასაც ის მასებს აყენებს, შეთავსებულ იყო სავსებით ამათურ დამოკიდებულებასთან იმ მსოფლიო განმათავისუფლებელი ბრძოლისადმი, რომელსაც ხაერთაშორისო სოციალისტური პროლეტარიატი ეწევა“ (ე. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 16, გვ. 441). ამის შესაბამისად, ლენინი მხოლოდ იმ აზრით უწოდებს ტოლსტოის რწმუნეთის რევოლუციის წარცხს, რომ მისი შემოქმედების წინააღმდეგობებში აისახა ამ ვლადიმერ რევოლუციის წინააღმდეგობანი, „მისი ძალა და მისი სისუსტე“.

მ. დუდნიავს დებულება შემოქმედებითი მეთოდის, კერძოდ, რეალიზმის „თავისთავადი გამოვლენისა“ და „იდებვისაგან“ ანუ მსოფლმხედველობისაგან დამოუკიდებელი „შემეცნებითი ძალის“ შესახებ აშკარად ეწინააღმდეგება ხელოვნების ისტორიის ფაქტებს; და ეს, უნდა ითქვას, თვით მ. დუდნიავსთვისაც არ არჩება ბოლომდე შეუმჩნეველი. კერძოდ, იგი იძულებულია აღიაროს, რომ განსხვავებით კრიტიკულ-რეალისტური ხელოვნებისაგან, რომელსაც „იდებულება და მეთოდის შორის“, „აშკარა წინააღმდეგობა, კონფლიქტი“ ახასიათებს ხოლმე, „სოციალისტური რეალიზმის პრინციპებზე დაფუძნებული ხელოვნების სფეროში“ „საწინააღმდეგო გარემოებასთან გვევს საქმე“, — რომ აქ შემოქმედებითი მეთოდი არათუ არ ეწინააღმდეგება „ხელოვნის პოლიტიკურ შეზღუდვებს, საერთოდ მთელ მსოფლმხედველობას“, არამედ „უბრალოდ სუფთად, მისი მსოფლმხედველობრივი საფუძვლიდან გამოიღწეობს“ („ლიტ. ძიებანი“, IX, გვ. 27, 31). მ. დუდნიავს აზრით, ეს გარემოება სოციალისტურ რეალიზმს აქცევს „რეალიზმის განვითარების სრულად ახალი ეტაპის დასაწყისად“, კრიტიკული რეალიზმისაგან „საფუძვლი და მოუკიდებელ სახედ“ (იქვე, გვ. 27, 31). მ. დუდნიავს ეს უკანასკნელი დებულება გამოირჩევა კრიტიკულ რეალიზმსა და სოციალისტურ რეალიზმს შორის ყოველგვარ მემკვიდრეობით კავშირს, რაც კვლავ „რაპპის“ მუდგარინატორულ „თეორიათა“ ვადმიანაშთს წარმოადგენს და უპრყოფილია ჩვენს დღევანდელ ლიტერატურათმცოდნეობაში (იხ. ა. დავიძეს „შენიშვნები ლიტერატურაზე“).

ამრიგად, ნათელია, თუ რაოდენ მცდარია მ. დუდნიავს თვალსაზრისი როგორც ხელოვნების „სპეციფიკური შემეცნებითი არისის“, ისე მსოფლმხედველობისა და შემოქმედებითი მეთოდის ურთიერთობის შესახებ, თანაც, აღსანიშნავია, რომ ამ თვალსაზრისზე აგებს მ. დუდნიავს თავის სხვა ძირითად ესთეტიკურ დებულებებს. კერძოდ, ამ თვალსაზრისის საფუძველზე ცდილობს იგი თავისი უკანასკნელი წერტილის ერთგვარი მთავარი პრობლემის — ხელოვნებაში „ზოგადი და ეპოქისეულის“, ზოგადადამიანე-

რისა და კლასობრივის, უკვდავისა და მოკვდავის საკითხის — გარკვევას, რის გამოც, ცხელია, მან ეს ცდაც ვერ ჩაითულება ნაყოფიერად.



შემოქმედებითი მეთოდის ფორმირებისათვის მსოფლმხედველობის როლის შეუფასებლობა ახასიათებს ჩვენს ზოგიერთ სხვა ლიტერატურისმცოდნესაც, მაგალითად, ა. გაწერელას, ამას ნათლად ადასტურებს რეალიზმის ისტორიისა და თეორიის შესახებ ა. გაწერელას მთელი რიგ ძნელად გასაზიარებელი დებულება.

თერმე შექსპირის „ჰამლეტი“ „ღრმად რეალისტური გაგებით“ ყოფილა ნაჩვენები დეკლარირებული არისტოკრატის სედა და „სრული ნირვანის მოპოვების შეუძლებლობაზე“ (ა. გაწერელია, „ლიტერატურული წერტილები“, 1954, გვ. 26). უკრ-ერთი, ჰამლეტის, შექსპირის ამ ერთ-ერთი უმთავრესი, ღრმად პუნქსისტური სელისკეობით გამსჭარბული გმირის მიწვევა დეგრატირებულ არისტოკრატად წარმოადგენს შექსპიროლოგიაში დიდ ხნის წინათ დასაპირებული თვალსაზრისის განმეორებას. მეორეც, ჰამლეტის გამოცხადება „სრული ნირვანის“ მოპოვებაზე ანუ ყოველგვარი „მეორეი ამოგებისაგან“ თავის დიდწყევითა და სამყაროს „ღვთაებრივ პირველარსებასთან“ შერწყმით სრულ დაწყნარებაზე მეოცნებე ადამიანად მიწვევა სრულად მიუღებელია არა მხოლოდ შექსპირის მსოფლმხედველობის, არამედ საერთოდ რეალისანის ეპოქის იდეოლოგიის თვალსაზრისით. მაგრამ ამას ნუ გამოუდევრებით; ისლა ვიკითხოთ, რითი და როგორ გამოიჩინა შექსპირმა „ღრმა რეალისტური გაგება“, თუკი დეკლარირებულ არისტოკრატ-მისტიკოსი დადებითი გმირის სახით წარმოვიდგინა? ხოლო ჰამლეტი შექსპირის დადებითი გმირი არ არისო, ამას, ვფიქრობთ, ვერ გვეტყვის ა. გაწერელია. ყოველ შემთხვევაში, ზ. ლენინსკის აზრით, „უბედური, მელანქოლიური ჰამლეტი“ „არა მხოლოდ მშვენიერი, არამედ აგრეთვე დიდი“, „ღრმა და ძლევამოსილი სულის“ ადამიანია, რომელიც ამ ქვეყნიერ „სიუაქსისათვის იყო შობილი“.

თერმე ისეთ ღრმად რეალისტურ, ეპოქალურა მნიშვნელობის მქონე ნაწარმოებებში, როგორც არის ლიდრის „რამოს ძმისწული“, გოთიეს „ფაუსტი“ და რიდლინგის „მოგზაურობა“, „რეალიზმი თავის პარტიკულარულ (?) გამაგრებების ზეობაში“ (იქვე, გვ. 20), ხოლო რომანტიზმი, რომელსაც „საერთოდ ახასიათებს გმირის მოქცევა არაბატიკურ ფსიქოლოგიურ გარემოში“, „უფრო შეიავს რეალიზმის ეფემერტებს, ვიდრე კლასიციზმი“ (იქვე), რომელიც წარმოდგენილია ისეთი დიდი რეალისტებით, როგორც, მაგალითად, კორნელი და რასინი, ბოლიერი და ვოლტერი, გუთუ და შილერი.

კიდევ მეტი. ა. გაწერელია ერთი მხრით ამტ-

კაცებს, რომ თორმე „ტიპიურობის ცნების ენგელსისეული განმარტება ამომწურავად გვიხსნისათვის რეალიზმის მეთოდს წინარე სოციალისტურ ხელოვნებასა და ლიტერატურაში. სოციალისტურ რეალიზმში კი აღნიშნული ცნების განმარტება მოთხოვს შეცვლასა და დამატებას, რადგან საბჭოთა მწერლობა მარტოაღენ კი არ გვიხატავს ტიპს და მის ტიპიურ გარემოს, არამედ გვიჩვენებს მათი მომავალი განვითარების ტენდენციებსაც“ (იქვე, გვ. 26); ხოლო, მეორე მხრივ, ა. გაწერელია გვაუწყებს, რომ თორმე „ფრ. ენგელსის ცნობილი განმარტების საფუძველზე აიხსნა რეალიზმის მრავალსაფეხოვანი ისტორიაც: ამჟამად (?) ერთობლივთაგან არის გამოყვანილი ადრინდელი ანუ უთანმიმდევრო რეალიზმი და კლასიკური ანუ თანმიმდევრული რეალიზმი წინასოციალისტურ ხელოვნებასა და ლიტერატურაში“ (იქვე, გვ. 16. ორსავე ციტატაში კურსივი ა. გაწერელიასა—ო. ჯ.) რამდენადაც ვიცით, დღემდე მაქსისტულ-ლენინურ ხელოვნებათმცოდნეობაში უდავო და საყოველთაოდ აღიარებულ შემართებულ იყო და არის მისი, ნეული, რომ ტიპიურის ტიპიურ გარემოცვაში განახიერების ენგელსისეული კონცეფცია საფუძვლად უდევს სოციალისტური რეალიზმის ესთეტიკას და თავისთავად არავითარ „შეცვლასა“ თუ „დამატებას“ არ საჭიროებს; და ასეთ-სავე შემართებულ არის ნვენიშ ალიარებული, რომ ერთადერთი ბოლომდე თანმიმდევრული რეალიზმი არის სოციალისტური რეალიზმი, რომელიც XIX საუკუნის კლასიკური ანუ კრიტიკული რეალიზმისაგან განსხვავდება სწორედ ამ თავისი დამახასიათებელი თვისებით.

თანაც აღსანიშნავია, რომ ამ თავისი დებულებას დასაბუთებისას ა. გაწერელია ვარდებს წინააღმდეგობაში, რომელიც მხოლოდ იმას მოწმობს, რომ რეალიზმზე მისი წარმოდგენა და მსჯელობები ნაცლებად ემყარება ლიტერატურულ-ისტორიული მასალის კონკრეტულ მონაცემებს. თუკი თავისი „ლიტერატურული წერალების“ 26-ე გვერდზე ა. გაწერელია იმას აცხადებს, რომ „წინარე სოციალისტური ხელოვნებისა და ლიტერატურისაგან განსხვავებით მხოლოდ სოციალისტური რეალიზმის მეთოდით შეიარაღებული საბჭოთა მწერლობა გვიჩვენებს „მომავალი განვითარების ტენდენციებსაც“, — 29-ე გვერდზე იგი უცებ წერს: „... დასავლეთის კრიტიკული რეალიზმი მოკლებული იყო სინამდვილის რეკონსტრუქციის პერსპექტივაში ასახვის უნარს. ასეთი გაიჩნდა მხოლოდ რუსულ კლასიკურ რეალიზმში (დამახასიათებელია, რომ ლენინმა ტოლსტოის შემოქმედებას „რუსეთის რევოლუციის საჯაკ“ უწოდა) და ამაში მისი მსოფლიო მნიშვნელობა“. ვფიქრობთ, რომ ა. გაწერელიას ეს მტკიცება აშკარა წინააღმდეგობას შეიცავს. თუკი მთელი „წინარე სოციალისტური“ და, კერძოდ, კრიტიკული რეალიზმი მოკლებულია „მომავალი

განვითარების ტენდენციების“ კრიტიკული რეკონსტრუქციის პერსპექტივაში“ სინამდვილის ასახვის უნარს, მაშინ „რუსული კლასიკური რეალიზმი“, რომელიც ამ უნარით ყოფილა აღქმებული, სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურად უნდა მივიჩნიოთ. ანდა თუკი „რუსულ კლასიკურ რეალიზმს და, კერძოდ, ტოლსტოის შემოქმედებას „წინარე სოციალისტურ“ კრიტიკულ რეალიზმად მივიჩნევთ, — რაც, ვფიქრობთ, დაგვაბლოკებს ტემპორიზებისთანა, — მაშინ ვაუგებარი დაგვჩნდება, თუ როგორ მოხდა, რომ მხოლოდ დასავლეთის კრიტიკული რეალიზმი აღმოჩნდა მოკლებული სინამდვილის რეკონსტრუქციის პერსპექტივაში ასახვის უნარს? აქი საფიქრებელია, რომ XIX საუკუნის დასავლური და რუსულ კლასიკურ რეალიზმს აქვს გარკვეული საერთო კანონზომიერება, ძირითადი ნიშნები, რომლებიც კრიტიკული რეალიზმის სპეციფიკას განსაზღვრავს!

ყოველივე აღნიშნული ბუნებრივად ზადებს კითხვას, თუ როგორ ესმის ა. გაწერელიას რეალიზმის ცნება?

თორმე „ადრინდელი“ (ე. ი. XIX საუკუნემდე) რეალიზმი იმიტომ ყოფილა „უთანმიმდევრო“, რომ „დღედებით ხასიათს (რატომ მარტო დღედებით? ო. ჯ.) ხშირად გამოხატავდა უჩვეული და ფანტასტიკურ სიტუაციებში“ (იქვე, გვ. 26), ხოლო „კლასიკური“ რეალიზმი იმიტომ გამაჩნდა „თანმიმდევრული“, რომ მან „გადაჭარბების სფეროდან განდევნა ადრინდელი რეალიზმის ისეთი ელემენტები, როგორიც იყო, მაგ., გმირის რწმენა აზრდილებისა და დემონებისადმი და სხვ.“, უდავოდ „ყოველგვარი ანაქრონიზმები დროის და ხასიათების სფეროში“ და მკაცრად დაიცვა „ადგილის ლოკალიზაცია“ (იქვე, გვ. 27 — 28); ანუ კრიტიკული რეალიზმის „თანმიმდევრულობა“ იმაში გამოხატულა, რომ მისში „სინამდვილის ასახვის ყველა საშუალება რეალისტურია, ე. ი. ზუსტია“ (იქვე, გვ. 28). აქედან კი ცხადია, რომ რეალიზმის ცნება ა. გაწერელიას ფორმალისტურად ესმის — არა როგორც სათანადო მსოფლმხედველობის ნადავგზე და მის შენაბამისად სინამდვილისადმი ხელოვანის გარკვეული მიმართება და მიდგომა, არამედ, როგორც სინამდვილის გამოახსენის, ხატვის გარკვეულ საშუალებათა, ხერხების კომპლექსი, როგორც ასახვის სტილი, ფორმა და არა მეთოდი.

მართალია, ა. გაწერელია სენობს კრიტიკული რეალიზმის „ისტორიულ შეზღუდულობას“, რომელსაც, აკეთუ მთლად სწორად იმასი ზედავს, რომ ამ რეალიზმს „ისტორიულად აკლდა მონოპენტური სახეების შექმნის უნარი“ და რომ „იგი ეშწყო აღმოჩნდა ფართო მასშტაბის დღედებით ტიპის შექმნის სფეროშიაც“ (იქვე, გვ. 28); მაგრამ ამ „შეზღუდულობას“ მიზეზად იგი კრიტიკული რეალიზმის, როგორც მეთოდის, უთანმიმდევრობას კი არ მიიჩნევს (ძირითოდ, იგი საგანგებოდ, ხაზგასმით წერს — „კრიტიკული რე-

ალიზმი, ვითარცა ისტორიული მეთოდი, სახეობით ჩამოყალიბებული სისტემა და ყველა თავის ნაწილში ლოკურად „დამოკიდებული“, არამედ იმას, რომ თურქულ „თვითონ იბიბეტი“ (ბურჟუაზიული სინამდვილე — ი. გ.) მასთან არ აწვდიდა მეთოდს დადებითი ესთეტიკური იდეალის საჩვენებლად“ (იქვე). ამ უკანასკნელი დებულებების პრინციპული მცდარობა ამკარავდა, რომ სინამდვილე, რომელსაც ასახავს მწერალი, ვარკვეული ფაქტებით ზღვდავს მის შემოქმედებას, მაგრამ ეს არ გვადევნებს იმის უფლებას, რომ უგულვებელყოთ თვით მწერლის მსოფლმხედველობის, იდეური პოზიციის გადამწყვეტი მნიშვნელობა მისი მეთოდის ჩამოყალიბებისათვის. საკმარისია ვთქვათ, თუ რატომია, რომ კრიტიკული რეალიზმი ძირითადად ბურჟუაზიული „ობიექტი“ შემოიფარგლება და დადებით გმირს იშვიათად ეძებს იქ, სადაც ის ყველაზე ნამდვილი სახით არის — ხალხში, რევოლუციური პროლეტარიატში? ესეც არ იყოს, ამ დებულებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ სოციალისტური სინამდვილის მიმართ კრიტიკული რეალიზმი დაკარგავს თავის „ისტორიულ შეზღუდულობას“ და სოციალისტურ რეალიზმად გადაიქცევა, და რომ, პირიქით, ბურჟუაზიული სინამდვილისადმი მიმართული სოციალისტური რეალიზმი კრიტიკულ რეალიზმად უნდა გადავარდეს...

ამვე შედომას უშვებს მ. დუღუჩაევი, რომლის აზრით, კლასიკურ რეალისტურ კომედიამ, „თვით გახატონებული სოციალური წყობის უარყოფითი არსის შედეგად, რეალიზმის ნიშანდობლივი თვისება — ტიპური ხასიათების ტიპურ გარემოში სწორი განსახიერება — ვლინდებოდა ერთი ტენდენციით: უარყოფითი ფერებით ხატავდა დრამატურგი, როგორც ხასიათებს, ისე გარემოს სურათებს, დადებით კი შებდა იშვიათად, ისე მხოლოდ ცალკეული ხასიათის სახით ვლინდება აქაიქ, არაძირითადი მოტივის სახით“ („ლიტერატურული გაზეთი“, 5, XI, 54. „შენიშვნები კომედიის შესახებ“) აქაც ის გარემოებაა, ის კანონზომიერებაა უგულვებელყოფილი რომ ასახვას „ობიექტი“, რომელიც აწვდის ან არ აწვდის ხელოვანს მასალას „დადებითი ესთეტიკური იდეალის საჩვენებლად“, თვით ხელოვანის მსოფლმხედველობით იფარგლება ხოლმე.

როგორც უკვე აღინიშნა, ა. გაწერელიას აზრით, რეალიზმის კლასიკური ენველსიციული განსაზღვრა შეესაბამება კრიტიკული რეალიზმის ხასიათს და, ამდენად, „სოციალისტურ რეალიზმში“ პოიზიციის „შეგნებასა და დამატებას“. ამვე ყალბ თელსაზრისს ადგას მ. დუღუჩაევი რომელსაც, ამვე დროს, გაუბრალოებულად და სქემატურად აქვს წარმოდგენილი კრიტიკული და სოციალისტურ რეალიზმს შორის თვისებრივი სხვაობა, კერძოდ, კრიტიკული რეალიზმის შეზღუდულობა.

მ. დუღუჩაევის აზრით, კრიტიკული რეალიზმის შეზღუდულობა იმაში შედგომარეობს, რომ იგი „ტიპურს წარმოადგენს, როგორც მწერლის სახეს, რაც უკვე მოცემულია ჩამოყალიბებული სახით, რაც ისტორიის ნაწილია, რასაც მწერალი ვხედვით“, რომ მას შეეძლო მხოლოდ „არსებულის სწორი განსახიერება“; სოციალისტური რეალიზმის „საკეიფიერებს შხარტს“ კი ის შეადგენს, რომ მას ძალუქს ავრთვით „მოიპოვოს სწორი განწყობა, კემეარიატ რეალური იყნების წარმოსახვა“ („ლიტ. ძიებანი“, IX, გვ. 34, 36).

ეს დებულება, უკეთეს შემთხვევაში, არსებით დახუცდება მოთხოვნს. უკერ-ერთი, არ არის მართალი, თითქმის კრიტიკული რეალიზმი ასე რბედეს „არსებულის“ სახეობით სრულად და სწორად განსახიერებას: ავი ბალზაკმა მხოლოდ ვიზობდრად ასახა მის დროს არსებული „ზომეალის აღმანიება“ — წერობრეკუნიული რეოლუციონერეზი, ხოლო ლ. ტოლსტოის, როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავს, სახეობით დაუნახვი, ვანუსახიერებელი დერჩა მოიპოვლის კემეარიატი მშენებელი — სოციალისტური რეოლუციური პროლეტარიატი ასე რომ, ამ შხარტში. დუღუჩაევი ამკარად უგულვებელყოფს კრიტიკული რეალიზმის შეზღუდულობას. მაგრამ მოთავს ის არის, რომ საბოლოოდ იგი მიინე ახეილდებს კრიტიკული რეალიზმის შეზღუდულობას, — რითაც ყვეტს მას სოციალისტური რეალიზმისაგან, — რამდენდაც მთლიანად ართმევს კრიტიკულ რეალიზმს „მოიპოვოს სწორად განსახიერების“ უნარს. განა ბალზაკმა არ განსახიერა „მოიპოვოს ნამდვილი აღმანიება იქ, სადაც შეიძლებოდა იმ დროს მათი პონა“? და თუკი ლ. ტოლსტოიმ რეოლუციური პროლეტარიატი ვერ დაინახა, მან ხომ მიინე შეძლო კოლსალური ძალით გამოეხატა ის ძლევაპოსილი აღმფოთება და სიძლეობი ექსპლუატაციის წინააღმდეგ, რომელიც „ზღვა-ხალხში“ — პროლეტარიატის მოიპოვოკავშირეში, გღებობაში დაგროვილიყო!

მ. დუღუჩაევის დებულება, რომ კრიტიკული რეალიზმს ძალუქს მხოლოდ „არსებულის სწორი განსახიერება“, ხოლო სოციალისტურ რეალიზმს „მოიპოვოს სწორი განწყობა“ შეუძლია, არსებითად წარმოადგენს ნარსახეობის ძველი „რაპული“ ფარშელისა, რომლის თანახმადაც, „კრიტიკული რეალიზმს შეუძლია დანიახოს მხოლოდ თავისი იდეალი, ხოლო იმ აბალს, რაც რეალურად იბადება ისტორიაში, იგი ვერ ხედავს, მხოლოდ სოციალისტურ რეალიზმს აქვს ამის დანახვის უნარი“ (ა. დაღუევი, „შენიშვნები ლიტერატურაზე“).

მართალია, სიტყვიერად მ. დუღუჩაევი იმას ამბობს მხოლოდ, რომ კრიტიკული რეალიზმი „სწორად“ ვერ განსახიერება მოიპოვოს; მაგრამ სინამდვილეში იგი კრიტიკულ რეალიზმს საერთოდ ართმევს მოიპოვოს განსახიერების

ენარს, რომელსაც მიიჩნევს სოციალისტური რეა-  
ლიზმის „სპეციფიკურ თვისებად“.

ამას უდავოდ ცხადყოფს მ. დუდუჩავას დე-  
ბუტად რეალიზმის ენგელსისეული განსაზღვრის  
„უკარაობის“, „შეზღუდულობის“ შესახებ.

მ. დუდუჩავას აზრით, ფ. ენგელსის კლასიკუ-  
რი განსაზღვრა, რომ „რეალიზმი გულისხმობს  
გარდა დეტალების სიმართლით გადმოცემისა,  
ტიპურ ვითარებებში ტიპური ხასიათების  
სწორ რეპროდუქციას“, და საერთოდ რეალიზმის  
მარქს-ენგელსისეული თეორია გულისხმობს...  
მხოლოდ „არსებულის“ ანუ იმის გადმოცემას,  
ასახლად, რაც „უკვე მოცემულია“, „ისტორიის  
ნაწილა“. მ. დუდუჩავა აცხადებს, რომ,  
ენგელსის თანახმად, რეალისტური ასახვის მი-  
მართ პრეტენზია აქვს იმას, რაც უკვე მოცემუ-  
ლია, არსებობს, ისტორიის ნაწილია. ეს კი ლო-  
გიკურად (!) იმასაც ნიშნავს, რომ რაც უკრ არ  
ჩამოყალიბებულა, ისტორიის ნაწილი არ არის,  
შეგრამ მოვლენათა განვითარების არსში გამო-  
სკვივის, როგორც განვითარების ტენდენცია, რო-  
გორც ზეალიდული აუცილებლობა, ასეთ უფ-  
ლებამოსილებას მოკლებულა, ტიპურობის  
საზღვრებს ცილდება“ (სლტ. ძიებანი“, IX,  
გვ. 28).


ამას შესწავლისად მ. დუდუჩავა ასკენის,  
თითქოს მარქს-ენგელსისეული გაგება „ტიპუ-  
რობის არსისა“ არ არის „ხაყოველთაო“ (იქვე,  
გვ. 32) და სოციალისტური რეალიზმის ესთეტი-  
კაში „ორგანიულად შედის“ მხოლოდ, როგორც  
ამ ესთეტიკას „ნაწილი“ (იქვე, გვ. 28). — იმდუ-  
ნად, რამდენადაც სოციალისტური რეალიზმიც  
განასახიერებს „არსებულს“; ანუ, სხვა სიტყვით,  
რეალიზმის მარქს-ენგელსისეული თეორია ისე-  
ვეა „შეზღუდული“, მ. დუდუჩავას თქმით, „და-  
კავშირებული გარკვეულ ისტორიულ საზღვრებ-  
თან“, როგორც XIX საუკუნის კრიტიკული რეა-  
ლიზმი; „ეს თეორია, — წერს მ. დუდუჩავა, —  
მოიცავს ისეთ მხარესაც... რომელიც სწო-  
რად გამოხატავს ქ. მარქსისა და ფრ. ენგელსის  
ემოქის რეალიზმის არსს, მაგრამ ამ რეალიზმის  
საუკეთესო მონაცემების სფეროს არ ცილდება“  
(იქვე, გვ. 28 — 29). დასასრულ, რეალიზმის  
მარქს-ენგელსისეული განსაზღვრის ამ „ისტორი-  
ული შეზღუდულობის“ მიზეზს მ. დუდუჩავა  
იმაში ხედავს, რომ, თურმე, „ქ. მარქსი და  
ფრ. ენგელსი რეალიზმის არსის განსაზღვრას  
იძლევიან მათი დროისათვის არსებული რეა-  
ლისტური ლიტერატურის განზოგადების სა-  
ფუძველზე“ (იქვე, გვ. 26) და მოკლებულნი  
არაა ტიპურობის „ფართო“ — სოციალისტურ-  
რი რეალიზმისათვის დამახასიათებელი — გაგე-  
რისათვის აუცილებელ „თეორიულ საფუძე-  
ლებს“; მ. დუდუჩავას აზრით, ტიპურობის ამ-  
გვარა „ფართო გაგებისათვის“ (რომელიც „მომი-  
ვლის განვრცობას“ გულისხმობს „რეალიზმის

არსში“) „თეორიული საფუძველები“ „შეზღუ-  
დულია ფალოსოფიური და პოლიტიკური სწრაფ-  
იებების (თეორიული წინამძღვრების) სახით“ —  
პირველად „მოცემულია გ. ლენინისა და  
ი. სტალინის მოძღვრებაში“ (იქვე, გვ. 35).

მ. დუდუჩავას შიელი ეს „დებულება“ რეა-  
ლიზმის, ტიპურობის მარქს-ენგელსისეული გა-  
გების „შეზღუდულობის“ შესახებ ზელოვნეო-  
დაა მოგონილად.

არაფერი აქვს სინამდვილესთან საერთო  
მ. დუდუჩავას მტკიცებას, თითქოს ტიპური  
ხასიათების ტიპურ გარემოცვაში განსახიერების  
ენგელსისეული განმარტება „მომავლის განვრცო-  
ბის“ აუცილებლობას არ გულისხმობს, „განვი-  
თარების ტენდენციების, როგორც ზეალიდული  
აუცილებლობის“ ჩვენებას გამოორტყავს. აქ  
რეალიზმის ერთ-ერთ უდიდეს გამარჯვებად,  
პოპულა ბალნის ერთ-ერთ უვერზე მჭირფას  
თიხებდა“ ენგელსმა სწორედ ის მიჩნაა, რომ  
ბალნაქი თავის საწვევარ არისტოკრატთა გარ-  
დელად დაეკმასთან და ევლგარული ბურჟუა-  
ზიის გამარჯვებასთან ერთად „მომავლის ადამი-  
ნებსაც ხედავდა“. აქი მარქსმა და ენგელსმა  
ლასალის დრამის — „ფრაკ ლან ზოიენგენის“  
მთავარი ნაყო სწორედ იმაში დაანახეს, რომ აქ  
რეალიზმი რეალურად აჯანყება არა განსახიე-  
რებელი XVI საუკუნის ვერმანელ ვალსთან იმ  
რევოლუციური აჯანყების „აქტურ ფონზე“,  
რომელიც შარტელი პრილოვი იყო XIX საუკუ-  
ნეში როგორც ფეოდალური, ისე ბურჟუაზიული  
ექსპლოატაციის წინააღმდეგ ვერმანელ პრა-  
ლერაიატის ბრძოლისა. და ესეც არ იყო, ვანა  
თავისთავად ცხადი არაა, რომ ტიპურობის ცნე-  
ბაში მარქს-ენგელსი პირველ რიგში სწორედ  
განვითარების, ახალის, მომავლისაკენ მიდრეცი-  
ლის განსახიერების გულისხმობდნენ? ვანა დიო-  
ლექტიკური მატერიალიზმის თანახმად სინამდვი-  
ლისათვის ძველსა და ახალს, წარმავლსა და  
მომავალს შორის განუწყვეტელი უძილიდ არ  
არის ტიპურო? ამის უარყოფა მხოლოდ ერთი  
პირობით თუ შეიძლება, — მ. დუდუჩავას მსგე-  
სად, იმას თუ დაეუწევიან, რომ „რეალიზმის  
არსის განსაზღვრისას“ მარქსი და ენგელსი ისე  
ახდენდნენ „მათი დროისათვის არსებული რეა-  
ლისტური ლიტერატურის განზოგადებას“, რომ  
„შესატყვის ფალოსოფიურ და პოლიტიკურ  
პრინციპებს“, „თეორიულ წინამძღვრებს“ იყვნენ  
მოკლებულნი...

დასკვნა ერთია:  
ჩვენი ლიტერატურული კრიტიკის ფრონტზე  
შემჩნეული ნაკოვანებანი და შეცდომები უნდა  
დაუყოველბლო იქნენ დაძლეულნი, ხოლო ამის  
საუკეთესო საწვადება იქნება ჩვენს ლიტოვნიის-  
მცოდნეთა და ლიტერატურათა წერეთლოვი მონა-  
წილეობით პრინციპული და საქმიანი შემოქმე-  
დებითი დისკუსიის გამართვა.



## ალ. შენგელიას პოეზია

ა. შენგელიას პირველი ლექსი 1938 წელს დაიბეჭდა. მაშინ პოეტს შემოქმედებით გამოცდილება აკლდა. დრომ გაწვლი. პოეტი დაიფიქსა. ცხოვრების ცოდნა შეიძინა, მისი ლექსები ახლა უშუალო და ძლიერია, ისინი გველღვევენ ცხოველი გრძნობებით. „ლიტერატურისათვის“ 1954 წელს „სოვეტსკი პოსტის“ მიერ გამოცემულ ა. შენგელიას ლექსების კრებულს — „ასასეტი“ („განთავის“), „ნათელი წიგნი“ ეწოდა, ხოლო შიგ შეტანილი ლექსების ეტიკა — „ფოლადის ქალაქის ქრონიკები“ ქართული საბჭოთა პოეზიის დიდ მიღწევად აღიარებდა უზრუნველყო ა. შენგელიას გამარჯვება? ჩვენი აზრით, შენგელიას გამარჯვება იხსნება არა მხოლოდ მისი ნიჭით, მხატვრული გემოვნებით და ადლით, არამედ ნათელი მსოფლმხედველობითა და მსოფლშეგრძნებით, ნათელი ესთეტიკური კონცეფციით. თავის ერთ-ერთ წერილში მწერალი გ. ნიკოლაევა საუბრებით საპართიანად ამბობდა: ტალანტი დიდი ძალაა, მაგრამ ტალანტი, რომელიც ეყრდნობა მოწინავე მსოფლმხედველობას ეს ასევე უფრო მეტად ძლიერი ძალაა. ამიტომ თუ ჩვენ, საბჭოთა მწერლებს, წერს ნიკოლაევა, ვერსტის ვიყოთ ადამიანის სულის ნამდვილი ინჟინრები, კომუნისმის აქტიური მშენებლები, უნდა დრმაღ და მტკიცედ დავუფიქლოთ მარქსისტულ-ლენინურ შეცნიერებას, ჩვენი პარტიის მსოფლმხედველობას.

სწორედ პოეტური ნიჭისა და მაღალი გემოვნების შეარწყმებ ცხოვრების ღრმა ცოდნასთან და ნათელ მსოფლმხედველობასთან უზრუნველყო „ფოლადის ქალაქის ქრონიკების“ წარმატება. პოეტს ბიბლავს არა რუსთავის ციხის ნანგრევებში, არამედ ის დიდი და დაუცხროველი საქმიანობა, რომელიც საბჭოთა ადამიანებმა რუსთავის მიდამოებში გაიარეს. „ფოლადის ქალაქის ქრონიკები“ გამსჭვალულია ჩვენი დროის მაღალი სულისკვეთებით.

„ფოლადის ქალაქის ქრონიკებში“ ნახვენებია არა ფოლადის ჩამოსხმის ტექნიკური მხარე, არამედ ბერიშვილის („მეტალურგები“), კორილე უკლებას („მეორე სიტყვა ამხანაგ კირილე უკლებასზე“) და სხვათა ბრძოლა და შემოქმედებითი წვა ახალი ცხოვრების განმტკიცებისათვის. „ფოლადის ქალაქის ქრონიკებში“ მთავარი ადგილი ადამიანს უჭირავს, მასში დღევანდელი რუსთა-

ვი დანახული მომავლის სიმადლიდან, საბჭოთა ადამიანის ბუმბერაზული ბუნება მგზნებარე და წარმატაცი სტრატეგებით არის ნახვენები, — ამ რატომთა „ფოლადის ქალაქის ქრონიკები“ აღიარებული ქართული საბჭოთა პოეზიის მნიშვნელოვან მოვლენად.

ცნობილია, რომ ეს უკვე კიდევ არ არის პოეტი, ვინც მხოლოდ თავისი ვიწრო პირადული განწყობილებების გადმოცემით ემყოფილდება მავალითად, რა იდეურ-მხატვრული ღირსება ექნებოდა ა. შენგელიას „ომგაღაბილ ლექსებს“, რომ იქ გახსნილი არ იყოს ის, რაც მთავარი და არსებითი იყო მთელი საბჭოთა ხალხისათვის სამამული ომის დროს. ომი უმსხვერპლოდ როდი მიმდინარეობს ა. შენგელიას მხოლოდ ამაზე რომ აეგო მთელი მისი მაშინდელი ლექსები, ეს იქნებოდა ცალმხრივობა, მისი ნიჭის შეზღუდულობა. ანუ შემთხვევაში მისგან ნიჭილუბდით, ვიწრო სუბიექტურ ნაწარმოებებს, რასაც, ცხადია, ხალხი არ მიიღებდა, ის ხალხი, რომელიც მტერზე გამარჯვების რწმენა თავიდანვე ძვალ-ბრძოლა ღრმად ჰქონდა გაჟღერა:

განა ცოტა გვიანავს  
მტრის უკარების თარეში? —  
სამამული ბრძოლაში  
ბრძოლის ენით ვიწოდით,  
ჩვენს ბედნიერ მხარეში, —  
ვაკეცების მხარეში,  
დამარცხება უნდოდით?  
გამარჯვება ვიკოდით!

ამ სტრატეგებში გამოთქმული განწყობილება დამახასიათებელი საბჭოთა ადამიანისათვის. ის დამახასიათებელი თვით პოეტისთვისაც, რომელიც მთელი სამამული ომის პერიოდში მგზნებარე უმღერადა საბჭოთა ადამიანების გმირობას და ახლაც მთელი ძალით უმღერის მათ გმირულ ცხოვრებასა და შრომას.

აქ ჩვენ განსაკუთრებით გამოვყოფთ სამამული ომის თემაზე დაწერილ ორ ლექსს „ღვდა და ღვდის გული“ რომლებიც ქართული საბჭოთა პოეზიის საუკეთესო ნიმუშთა რიგებს ეკუთვნის. მათში გულთბილი გრძნობებით გაღმუკებული ყველაფერი, რაც გვირფისთ და უწმინდესია დედამ. რეალისტური ესთეტიკის ძირითადი პრინციპის მხედვეთ, როცა რომანსა თუ მოთხრობაში, პოემასა თუ

ლექსში არ არის სახე, არ არის ხასიათი, არ არის არაფერი ტიპური, მაშინ შეიძლება ამ ნაწარმოებში ვერ იპოვის ვერაფერით ბუნებრივს, სწორად შეინიშნეს, მოხდენილად დაკვირვოს. ეს ელემენტარული ქვეშაობება ერთნაირად ერთდროულად დიდ პოემაზე და პატარა ლექსზე „დედა“ და „დედის გული“ სწორედ ამ მხრივ გამოირჩევიან. ამ ნაწარმოებებში თავისი სრული გამოხატულება პოემა თანამედროვე დედის ტიპობა ხასიათმა. თავისი დედა საშობლოს დანაკარგ წაშლულ შვილს ყველგან უსმის დედის ვამპირვებულ, მტერზე გამარჯვების შთაბეჭებითი ხმა:

შვილო, მაშინ შევი ნიჭა,  
დაცხრილული ტყეებით,  
კიდობნიდან შევ დამემე  
შავად გაიფრიალებს,  
წინაპრები დაკემულან  
მტერებზე შურისძიებით,  
გამარჯვებულ მიგიძლოდეს  
მათი ძვლების ჩხრიალო.

დედის გულს სწეურია, რომ მისი შვილი იყოს საამაუო, ყველას თვალში ამაღლებული. მისი აზრით, ეს მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა ის თავდაპირველად სძლეეს და მათ გულის ფიქარს გაუფიქრავს:

მაშინ, მაშინ, ჩემო ბავშუო,  
ძეძე ამითროლოდება,  
საკეზე ავალ, წითლად ავანს  
წუთით გამოვალეძებ,  
მამაშენიც, იმ საფლავში  
ამბავს რომ ელოდება,  
შორიდანვე შორებდება,  
დედის ამაყ ნაბიჯებს.

აქ ნათლად ჩანს საბჭოთა დედის მდიდარი შინაგანი პუნება, მაღალი შეგნება. აქ ჩვენ ეხვევათ ძლიერსა და თვითმოყვ ხასიათს, შთაბეჭდილ სახეს. ეს იმიტომ, რომ აქ დანახტულია არა ერთი ქართული დედის სურათი, არამედ მოცემულია დედის განზოგადებული სახე.

მხატვრულობის აუცილებელ პირობას ექმველი წარმოადგენს ნაწარმოების იდეურ-მხატვრული მთლიანობა. ჩერნიშევსკი ამბობდა: ეუწადრობა იქნებოდა „ილიადამი“ გვეძებნა მკემბეტი, ვალტერ სკოტის — იაქენსო, პუშკინი — ვოგოლი. ჩერნიშევსკის აზრით, პოეტური იდეა არღვევა, იშლება, როცა ნაწარმოებში შევსეკებს ნაწარმოების იდეისათვის უცხო ელემენტო. რა იქნებოდა, მაგალითად, პუშკინის „ქვის სტუმარი“, — წერს ჩერნიშევსკი, — მოეფიქრებინა გამოხატვა რუსი მემშობლებინა ანდა გამოეძქვა თავისი თანაგრძნობა პეტრე დიდისადმი. მაშინ ქვის სტუმარი მხატვრული თვალსაზრისით არ იქნებოდა საუცხოო მოვლენა. ყველაფერს თავისი ადგილი აქვს, — განაგრძობს ჩერნიშევსკი, —

სამხრეთის სოციალისტური სურათებს — „ქვის სტუმარი“, რუსული ცხოვრების სურათებს — „ქვის გენი ირეინი“, პეტრე დიდის — „მხრისა მხედარი“. ერთი სიტყვით, ამით ჩერნიშევსკი იმას ამბობდა რომ მშვენიერ მხატვრულ ქმნილებად არ შეიძლება ჩაითვალოს ისეთი ნაწარმოები რომელშიც შეტანილია ზედმეტი სცენები, ფიგურები, ისეთი საგნები, რომელთაც დამოკიდებულება არა აქვთ ნაწარმოების იდეასთან. მაგალითად, დარჩებოდა თუ არა ა. შენგულიას პოეზიის მშვენიერად ხალხთა მეგობრობის თემაზე დაწერილი ლექსი „ფარიდა“, რომ შიგნებდებოდათ ამ ლექსის იდეისათვის სრულიად უცხო მოტივებს? რასაკვირველია, არა.

დამეწვიე, ქართულ სიღარბისლით  
დაიხველება შევეგრემანიო, შეთვალავ,  
ეს ვარდებით შენთვის ზარდა მისმა,  
ეს ლურჯამი გულმა შენთვის გათალა  
ერთ ვშვეროდა გლიძემა  
ციხედერ თავსაფარადან,  
ბავებო აგნებობდა  
ვიარსკვლავების ღიღებდა,  
ფარიდა!

როგორც ვხედავთ აქ, და არა მარტო აქ, არამედ მთელ ლექსში გაქვეყნებულ შეხედებით ძირითადი იდეისაგან თვალსაზრისი შემოხვევას. ამ ლექსში რაიმე, რიტმი, ლექსიცა, ერთი სიტყვით, პოეტური ქმნილების ყველა ელემენტი ნაწარმოების დენააზრის პლასტიკურად გადმოცემის აზიანან ემსახურება. არც ერთ საუკუნეში, არც ერთ დროში ხალხთა შორის მძურო მშვეობრული ურთიერთობა ისე ღრმა, ისე მტკიცე, ისე შინაარსიანი არ ყოფილა, როგორც ეს ჩვენს დროშია. ამ ისტორიული სინამდვილის პოეტურ ანარეკლს წარმოადგენენ, აგრეთვე, ლექსები: „ძობობა“, „ზემიტეშინობა“, „წეროლი შირაქიდან ბაქოში“ და სხე.

სამჭოთა პატრიოტიზმის თემას ეხება ლექსები: „სოციალისტი“, „მისთვის ცოცხალ ვარ“, „სამშობლო ჩემი“ და სხე. მნიშვნელოვანი თემი ამ ნაწარმოებებშიც ძლიერ მხატვრულ გამოხატულებას პოულობს. პოეტის ფიქრები თავს დასტრიალებენ თავისუფალ, ავთენტულ სამშობლოს, სადაც ყველაფერი ხალხს ეკუთვნის. აი რა აძლევს პოეტს შთაგონების ძალას. აი რატომ არის მისი სტრიქონები ასე მიმოხილველი და წარმტკიცე. პოეტი თავის პატრიოტულ ლექსებში ხშირად თავის თავზე, თავის „მე“-ზე ლაპარაკობს:

სხე გატაცება მე არ მქონია  
ამ ერთადერთი სიმღერის გარდა, —  
ბავშვობიდანვე გამოამოკლია,  
დამწვა, დამაბრა და შემიყვარდა...  
დედა, დაეღვიარ მე ბედნიერი,  
ამ ზეიად მოეზე რბენა მიმიხდა,



მოვარი ვარ ჩემი ქვეყნის ივრით,  
მზის ამბორითა, ზღვის ამბორითა!

„შეგრამ პოეტის „მე“ აქ, ერთდროულად, არის პოლიტიკა და საზოგადოებრივი. გაციხსნით აგრეთვე ლექსები „პირველი ე.პ.ების გახსენება“ და „ჩემი კომპაგნერი“.

იყო საღამო დაუქუყარი,  
გული შითრთოდა. როგორც ფრინველი,  
რომ წყრიალებდა პატარა ხარის  
და იწყებოდა კრება პირველი.  
მასსუსე კამათი, კილილი აზრთა,  
არ ვიღლებოდით ფიქრში, ზრუნვაში,  
და მე პატარას, მეგობართ შორის,  
მწერდა იმითი ხშირი უღვაში.  
შუადღისას დამთავრდა კრება, —  
დღემდე გულიდან გაუტოვავი;  
მე დავიძინე ბავშვური ძილით,  
რომ გავიღვიძე, — კაცი ვიყავი.

ეს პოეტის ბიოგრაფიის, მისი განვლილი ცხოვრების ერთი მეტად მნიშვნელოვანი ეპიზოდია. რასაც პოეტი ამ ლექსში გადმოგვცემს, აღბეჭდილია თვით მისი საკუთარი გაიცდებით, საკუთარი სულისკვეთებით.

ლექსში „ჩემი კომპაგნერი“ პოეტი, ისეთ განწყობილებას გადმოგვცემს, რომელსაც დიდი სოციალ-დემოკრატული მიზნების მქონე აქვს.

ა. შენგელიას პოეზია თემატიკურად მრავალფეროვანია. პოეტი უმეტეს ახალი ქვეყნის მშენებლებს, აყვავებულ სამშობლოს, საბჭოთა ადამიანების გმირულ შრომასა და ცხოვრებას, უმეტეს ახლის ყლორტებს, რომლებიც მთელი ძალით და სიბალსით იფერხებებიან ჩვენს სამშობლოში. ლექსები „ქარალო ღამე“, „ყანა“, „სიძღვრა სამგორელ ქალიშვილისა“, „მწვემსების დაპრუნება“, „სიძინდის რჩევა“ ეხებიან ახალი საბჭოთა სოფლის ცხოვრებას სხვადასხვა მხარეს. პოეტი ნათელი ფერებით ხატავს ელექტრონის შუქით განათებული სოფლის სიხეს, სიძინდის რჩევის სურათს შემოდგომის წყნარ ღამეში, მოსავლის დღესასწაულს. პოეტი თავის ლექსებში ხელშეისახებად გვიხატავს ახალ სამშობლო სოფელს, ბაღა მკურულ მიდამოებს, უხვ მოსავლიან ველებს:

საღამო სოფელში ყველგან  
ვიზვიებებს სავაზში ცეცხლი.  
მზე ჩადის, ზოლებად ზღვაზე  
დაღერილა ოქრო და ვერცხლი.  
მზე ჩადის, და უჯვე მკრთალი  
მნათობი გამოჩნდა მთებში.  
მთავარა? ქორწილზე იქნება  
ესროლეს ცას ვერცხლის თევში.  
ღამდება, მინდვრად კი ისევ  
მანქანა მთარღვეს ყამარს,  
თითქოს დღის ხაუელი ადგას  
მინდვრებში ანთებულ ღამეს...

მინქანა უგუნებს ისევ,  
ბრდღვიალებს ელექტროთვალა,  
არ ძინავს მინდვრებს და ყანებს  
და ფხიზლობს საქუთთან ქალი...

ამ ლექსის მთავარი ღირსება ისაა, რომ მასში ნათქვამი მოწინავე საბჭოთა ადამიანის გმირული ცხოვრება, მისი სოციალისტური შრომის პათოსით გასხივონებული სახე. ამ ლექსში მკაფიოდ ჩანს, თუ საბჭოთა ადამიანის ძალამ როგორ უცვალა სახე ჩვენს ქვეყანას, სოფელსა და ქალას. საკომუნერნო თემაზე დაწერილი ლექსებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა „სიძღვრა სამგორელი ქალიშვილისა“.

ა. შენგელიას შემოქმედებაში დიდი ადგილი უჭირავს გენიალური ლენინისა და მისი საქმის დიდი განმარტობა. სტალინისადმი მიძღვნილ ლექსებს. ლექსებში — „ლენინს“, „ლენინის ქალაქი“, „სტალინი“, „ხმას ვაძლევ“ უწრდელად განცდაა გადმოცემული:

პირილი არის, სამშობლო ჰყვავის,  
მიწის ყვავილითა ღაღინს ქვეყნის,  
გაზაფხულითი ხარ შენ უკვდავი,  
ძვირფასო ლენინ, დიადო ლენინ  
გაზაფხულია და მზე ბრწყინვალე  
გვათბობს, გვაალებს ღმობლის მგენი,  
ფრთხილად ჩაუვრებთ შენს შექმნიენ  
თვალებს,  
ის უფრო გვათბობს, ძვირფასო ლენინ!

ამ სტიქონებში ჩაქსოვილია ის წრფელი და ეწმინდესი გრძნობა, რომელსაც გულით ატარებს ყველა საბჭოთა ადამიანი.

ა. შენგელია ნახი სულის პოეტი, რაც მის პოეტურ სტილში ვლინდება. ეს ყველაზე უფრო მკვეთრად იგრძნობა მის „წმინდა“ ლირიკულ ლექსებში. ბელინსკი ამბობდა, რომ წმინდა ლირიკულ ლექსშიც ფრაზა, სიტყვა უნდა შეირჩეს აზრისა და გრძნობის გამოსახატავად და არა პირიქით. ლირიკულ ობიექტური სინამდვილის ასახვისა და შეგრძნების ერთ-ერთი საეზობა და ცხოვრების არც ერთ საეზურზე ის არ ყოფილა ცხოვრებისაგან განყენებულად მდგარი, მისგან მოწყვეტილი.

ჩვენში, სოციალისტურ საზოგადოებაში, ხელეწიება და ლიტერატურა, მათ შორის ლირიკა, მძლავრ იდურ იარაღს წარმოადგენს ხალხის მანების კომუნისტრად აღზრდის საქმეში. თუ ამ თვალსაზრისით მივუდგებით ა. შენგელიას ლირიკულ ნაწარმოებებს, შევნიშნავთ, რომ მათში ყოველი ფრაზა, ყოველი სიტყვა მოძებნილია მაღალი აზრებისა და უაღრესად კეთილშობილური გრძნობების გადმოცემად, შთამაგონებელი რეალისტური სურათების შესაქმნელად:

იმ პატარა სოციალისტის ცრემლებს ვფიცავ. იმ თეთრ აკვანს, დედამისის ცისფერ თვალსს, ვფიცავ მიწას, ვაგას გულზე დაყრდნობას, რიგაქვს ვფიცავ, ნისლებში რომ

იფერშქრთალებს;  
თუ ჩემს ზეცას, ჩემს მწვერვალებს  
ცადანროლილს,  
წაუპარა ყორნის ფერი ღამე მძიმედ, —  
ამოგვეადო ხმალი ელვით ანაეროლი,  
ვიარსკვლეებით მოხატული, მოციმციმე.

ამ ლექსის შინაარსის გადმოცემა ძნელია, რადგან იგი უპარესად ლირიკული ქმნილებაა, მაგრამ ის უმთავრესი, რაც ხიბლავს მკითხველს, არა მარტო ლექსის მუსიკალური მხარეა, არა

მარტო გარეგნული სამკაულებია (რქმან მხატვრულიაში პოეტური თქმუბია, არამედ სწავლულია უსახურო სოციალისტის გრძნობა და აზრია.

ა. შენგელიას ლექსების წიგნი შეთველებს პოეტის მაღალ ოსტატობაზე, ბეგრები და რიტმი აქ მარმონიულადია შეხამებული, სიტყვა სრულფასოვანია, და მძლავრად ეღერს. ჩასაკვირვებელია, ა. შენგელიას ლექსებში აზრი, იდეა განსაზღვრავს სიტყვის სიღამახესს, მუსიკალობას, ა. შენგელია ყოველთვის ცდილობს, ყოველი სტრიქონით, ყოველი ლექსით, გამობატოს ჩვენი მრავალფეროვანი და დიდი შინაარსის შემეკელი ცხოვრება.

მ. ჯიჯიაი.

### მონოგრაფია გრიშაშვილის შემოქმედებაზე

არაერთხელ ითქვა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა ლიტერატურის განვითარების გზების შეცნირებულ გაშუქებას, ჩვენი მწერლობის შემოქმედებითი პრაქტიკის შესწავლას, მიღწევათა და ნაკლოვანებათა გააზრებას და გათვალისწინებას. ჩვენი კრიტიკა და ლიტერატურათმცოდნეობა ვალშია როგორც ჩვენი მწერლობის, ისე ფართო საზოგადოების წინაშე. ქვეყნდება საქმაოდ მრავალი წერილი ცალკეულ ლიტერატურულ ნაწარმოებზე, ცალკეულ მწერლებზე, მაგრამ ნაკლებად გვაქვს განმარტებელი თეორიული ნაშრომები, მონოგრაფიები ცალკეული პრობლემებისა თუ მწერლების შესახებ.

ამთი ვითარებაში ყოველი ახალი მონოგრაფიული თხზულების გამოქვეყნებას ყურადღებით უნდა მოვეციკოთ, რადგან მონოგრაფია იძლევა ლიტერატურის საყვანძო საკითხის. თუ მწერლობის შემოქმედების ყოველმხრივი შესწავლის საშუალებას, ცოტად თუ ბევრად სრული სურათის წარმოდგენის შესაძლებლობას.

ასეთი ამოცანა დაუსახავს აკაკი ზინთიბიძეს თავის შრომაში „ი. გრიშაშვილის პოეზია“.

ი. გრიშაშვილი ეყუთენის იმ ჩვენი პოეტების უფროსი თაობას, რომელთა უმრავლესობამ შემოქმედებითი მოღვაწეობა დაიწყო მეოცე საუკუნის დასაწყისში. ამ ხელოვნათა შემოქმედების გზები გადიან უდიდესი მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის პერიოდებზე, რომლებში აღიზინა ღამა სახე-კადობრივი ძებრებით.

გარკვევით უნდა ითქვას, რომ ამ თაობას მწერალთა შემოქმედებას მუდამ ახასიათებდა

ძიება, კაცობრიობის უცუთესი მომადლისაკენ სწრაფვა. ძიების პროცესში ისინი წინააღმდეგობით აღსავსე, ტეხილი გზით მიდიოდნენ. წარსულში ისინი ვერ ასცდნენ უცხოური დეკადენტური ლიტერატურული მიმართულებების გავლენასაც.

როცა ამ პოეტების შემოქმედებითი გზის გაშუქებას ცდილობს კრიტიკაში თუ ლიტერატურათმცოდნე დიდი მუცნიერული სიღინჯითა და ყურადღებით უნდა მოეციკოს ისტორიულ და ლიტერატურულ ფაქტებს.

ამ ხელოვნათა შემოქმედებითი გზის გაშუქებაში ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში და ლიტერატურათმცოდნეობაში დროგამოშვებით თავს იჩინდა ორი უკიდურესობა.

აღრ მათ მიაწერდნენ დეკადენტობას, პესიმიტიზმს, ყურადღებას ამახვილებდნენ რა ამ ცთომილებებზე და რეალშიზმიდან გადახვევებზე, რაც მათ შართლაც ახასიათებდათ წარსულში. ამ ნიშნებს მიიჩნევდნენ გადაწყვეტილ მნიშვნელობის მქონე ასრებთა ნიშნებად. მაგრამ სრულად უყურადღებოდ ჩნებოდა მოქალაქეობრივი მოტივები, ძიებები, ბრძოლის განწყობილება, რაც აგრეთვე ახასიათებდა ამ პოეტების შემოქმედებას.

დროთა განმავლობაში, როცა ეს მწერლები მთლიანად და გარკვევით დაღვინე ხალხის სამსახურში, ჩამოყალიბდნენ, როგორც საბჭოთა ეპოქის მომღერლები. თავი იჩინა შორეუ უკიდურესობამ, თავი იჩინა ასეთმა ტენდენციამ: წარმოადგინონ მათი შემოქმედებითი გზა როგორც სწორხაზობრივი, იმთავითვე განსაზღვრული და ჩამოყალიბებული. თანდათან ნაკლები ყურადღება ექცევა მათ მიერ განვილილ წინააღმდეგობებს, ტეხილ გზას.

აკაკი ზინთიბიძე, ი. გრიშაშვილის პოეზია. სახელგამო, 1955.





ახლა, ცხადია, არ არის საჭირო ისევე ვილაპარაკოთ, მაგალითად, ი. გრიშაშვილის ლექსების წიგნზე — „ოცნების კაცმა“, როგორც ლაბარაკობა თავის დროზე კ. ლომთაძიძე, ან იმაგვარად ვაეკრიტოყო ი. გრიშაშვილის პოეზიის აღზრდელთა ნიმუშები, როგორც ეს ზღეზიბოდა წინათ. ცოცხალი ლიტერატურული პროცესისათვის, ახლის დამკვიდრებასათვის ბრძოლის პერიოდისათვის საგნებში კონსონანოზიური იყო სამკვეთრე. მეტი სიმაჭვილე. ახლა კი საბჭოთა ლიტერატურათმცოდნე, რომელსაც საშუალება აქვს ყველაფერი აწინააღმდეგოს, ყველაფერი გაითავალისწინოს, ვალდებულია ამ მწერალთა შემოქმედების ყველა მოვლენას თავისი ადგილი მიუჩინოს, ყურადღების გაკვეთი არ დატოვოს ის ჯანსაღი, მნიშვნელოვანი, რაც მათ ლირიკას ახასიათებდა. ოღონდ არც ის აქვებოდა სწორი, სათანადოდ არ შეფასებდნენ ის ნეგაციური მხარეები, რომლებიც თან ახლდა ამ მწერალთა შემოქმედებას.

უნდა აღინიშნოს სარედაქციო წიგნის ავტორის სურათი გეგმა ი. გრიშაშვილის შემოქმედების შეფასების დროს.

ა. ხინთიბიძე თავს აღწევს ორივე უკიდურესობას ფაქტებისა და მოვლენების ობიექტური ანალიზის შედეგად გვიხატავს ი. გრიშაშვილის შემოქმედებითი გზის მართებულ სურათს. და ეს უფროდ მთოვრადიანს ღირსებას.

მკვლევარი ყურადღების გაქვემ არ ტოვებს ი. გრიშაშვილის ლირიკის არც ერთ, ცოცხალ თუ ბერძენ, მნიშვნელოვან მხარეს. მოკლე ბიოგრაფიული ცნობების შემდეგ ავტორი განიხილავს ქალაქის ფოლკლორის გავლენას ი. გრიშაშვილის პოეზიაზე მის ადრინდელ პერიოდში, გვიყინებს პოეტის იმდროინდელი ლექსების სოციალურ მატრიცს, გვიხატავს მისი ლირიკის ეროვნულ-საბატრიოტულ თემატიკას, ბოლოს განიხილავს საბატრიოტო ლირიკას.

მთოვრადიანი ყურადღება გამაჩვილებულია მშრომელთა ცხოვრებისა და განწყობილების ამახველ ლექსებზე, რომლებიც რევოლუციური დემოკრატიული პოეზიის გავლენით დაიწერა. ეს ლექსები იმდროინდელ ყურნალ-გაზეთებში იბეჭდებოდნენ და თავისი დროისათვის მნიშვნელობას მოკლებული არ იყვნენ („გობირი“, „ამხანაგებს“, „ღილით განთიადს ვიღვიებ“ და სხვა).

ი. გრიშაშვილის პოეზიის საკანი მაშინ ბრძოლის სულსკვეთებით განსმკვეთელი მუშისა (შეშის სიმღერა, „ტრესლის სიმღერა“).

შემდეგ ავტორი აღნიშნავს, რომ გრიშაშვილის პოეზიაზე უპროფიტიო გავლენა მოახდინა რეაქციის პერიოდმა. მართალია, ამ დროსაც გრიშაშვილის ლირიკაში „ქვედა გოილებს იმედიაწობის ნაყურქალი“, მაგრამ უკვე ვაისმა უმწიფობის ჰანგი; და ეს ძირითადი ვახდა გრიშაშვილის ამ პერიოდის ოქსებისათვის; მთავარი დამახასიათებელი ნიშანი დეკადანსია ი. გრიშაშვილის იმ დროის ლექსებში აღმოჩნდა უარის თქმა მე-

ბრძოლ დემოკრატიულ განწყობილებებზე, ხელოვნებადმოკრები ცხოვრების აქტუალურ მხარეებზე, ხეებისადმი ზურგის შექცევა და ვიწრო ინტიმური თემატიკით ვატყავს.

1917 წელს ი. გრიშაშვილის პოეზიაზე ყველა ახალი ძალით პოეზია გამოხატულება სოციალური უთანასწორობის მოსპობის, მშრომელთა განთავისუფლების იდეამ. პოეტმა აღტაცებით უმღერა მშრომელთა დიდ გამარჯვებას და მიესალმა „ვერპთა ბომონის“ დამხობას („ახალი მარხელითა“, „1917 წელი“).

მაგრამ ცნობილია, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც გრიშაშვილს, ხელს უშლიდა ყალიბი „საბატრიოტული“ წარმოდგენები. ამ პერიოდში გრიშაშვილის პოეზიაში თავი იჩინა ფორმალისტურმა მიდრეკილებამ, არ იყო უფრედებული ინტიმური აპოლიტიკური ტენდენციები. „ი. გრიშაშვილის შემოქმედება მწვავე გამოცდის წინაშე დადგა: შეშლებდა თუ არა პოეტი ზურგი შექცევა ინტიმური-საბატრიოტო აპოლიტიკური ლირიკისათვის და ვპოქის მოთხოვნისგანათა სიმძლავრე დამდგარიყო, თვალი გავსწორებინა მისთვის“.

საბატრიოტო ნაშრომის ავტორი გვიჩვენებს, რომ ი. გრიშაშვილის პოეზიას წინააღმდეგობანი ახასიათებდა დიდხანს, პოეტი თანდათანობით თავისუფლდებოდა მათგან. ა. ხინთიბიძე მიჰყვება ფაქტებს და დამარჯვებულად გვისურათებს საბჭოთა ლიტერატურის პოზიციებზე პოეტის დადგომის გზას.

შემდეგ მკვლევარი გვიჩვენებს სოციალისტური სინამდვილის ასახვას ი. გრიშაშვილის ლირიკაში. განიხილავს პოეტის მრავალფეროვან შემოქმედებას, მისი ლექსების თემატიკას და იღვეურ შინაარსს. ცოცხალი მაგალითებით გვიჩვენებს პოეტს, რომ ი. გრიშაშვილი ქართული საბჭოთა პოეზიის გამოჩენილი წარმომადგენელია.

ჩვენი აზრით, წიგნის წინა სამი თავის მთავარი ნაყოფის არის, რომ ა. ხინთიბიძე გვიხრით ლაპარაკობს პოეტის შემოქმედებისათვის მეთოდურ, ანუ ზღეზიბოებს, როცა მკვლევარი განიხილავს გრიშაშვილის შემოქმედების საბჭოთა პერიოდს — მკვლევარი საჭირო სიღრმით და სიფართოვით არ გვიხრათავებს, როგორც და რა თავისებურებებით ეწინააღმდეგება ჩვენი ლიტერატურისა და ზეღვენების შემოქმედებითი მეთოდი გრიშაშვილის პოეზიაში. პოეტის შემოქმედებითი მეთოდს ნაკლებად გებმა მკვლევარი აგრეთვე წინა პერიოდების განხილვისას.

მთოვრადიანს მეოთხე თავში ა. ხინთიბიძე განიხილავს ი. გრიშაშვილის შემოქმედების მხატვრულ მხარეს.

სამწუხაროდ, ჩვენი ლიტერატურათმცოდნეობაში და კრიტიკაში ნაკლები ყურადღება ექცევა მხატვრული ლიტერატურის ამ საკუთრივ მხარეს. ა. ხინთიბიძეს ამ მხრივაც ბევრი უმრძობია. მაგრამ იმდროს კითხვა: რამდენად მართებულა ასეთი ხასიათის ნაშრომში მხატვრულ-გა-

მომსახველობითი საშუალებების გამოყოფა და ცალკე შესწავლა?

საკითხის ამგვარად შესწავლას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები.

დადებითი ის არის, რომ გამომსახველობითი საშუალებები განხილულია ერთად, კონდენსირებულად, ეს გვიადვილებს პოეტის თავისებურებების გაგებას. უარყოფითი კი ისაა, რომ მხატვრული მხარის განხილვა ხშირად ეთაშენება იდეური და მინაარსობრივი მხარის განხილვას და იქნება თვითმიზნური ანალიზის საშუალება.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ მხატვრული ნაწარმოების გამომსახველობითი საშუალებანი განხილული უნდა იქნეს იდეურ და მინაარსობრივ მხარესთან ერთად, რადგან ფორმა მხოლოდ შინაარსის ფორმა შეიძლება იყოს. ასეთი მიდგომა, ჩვენი აზრით, საშუალებას მოგვცემს დავუკვირდეთ ფორმის ელემენტების (ან მინაარსობრივ მხარის) თავისებურებებს საწინააღმდეგო შინაარსისა და იდეის გამოხატვის შემთხვევაში.

სარეცენზო წიგნის მეოთხე თავში ავტორი ექება ი. გრიშაშვილის ლირიკის მხატვრულ თავისებურებათა მრავალ საკითხს. ეს საკითხებია: პოეტური ლექსიკა, სემანტიკა და სინტაქსი, ლექსების მეტრი, რიტმი და რითმა და სხვ.

ა. ხინთიბიძეს აქ თავი მოუყრია საქაიოდ დიდი მასალისათვის. მაგრამ შეითხებ თავის დასაწყისშივე შეინიშნავს: „ზოგ შემთხვევაში გრიშაშვილის პოეტური ხერხებისა და საშუალებების აღნუსხვისათან გვაქვს საქმე“. ამასთან გარკვევით უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად იგი ვერ აღწევს მხატვრული მხარის, ლექსის გამომსახველობითი საშუალების დაკავშირებას იდეურ-მინაარსობრივ მხარესთან, უფრო სწორად იდეურ-მინაარსობრივი მხარე წყდება მხატვრულ საშუალებებს და განიზიარება იზოლირებულად.

სარეცენზო წიგნის მეოთხე თავის წაკითხვის შემდეგ მკითხველს ასე თუ ისე შეუძლია გაითვალისწინოს გრიშაშვილის პოეტის თავისებურება, მაგრამ, როგორც ამას ა. ხინთიბიძეც დაამატებდალად გვიჩვენებს წიგნის წინა თიკვებში, ი. გრიშაშვილმა ვაგლო წინააღმდეგობებით აღსავსე შემოქმედებითი გზა; ავტორი სამართლიანად მიუთითებს ეტაპებზე ი. გრიშაშვილის შემოქმედებაში და წინააღმდეგობებზე თითო გარკვეული ეტაპის, პერიოდის განმავლო-

ბაში. არ შეიძლება, რომ თვითველს მხატვრულ პოეტის მხატვრულ გამომსახველობითი საშუალებებში არ ყოფილიყო გარკვეული თავისებურებანი, მათი მიგნება კი აუცარლებელი იყო. ესაბი, პოეტი ერთნაირი პოეტური საშუალებებით, ერთნაირი მეტრით, რიტმით, რაც მთავარია, სახეებით არ ჰქმნიდა, ერთი მხარით, სოციალური მოტივების შემცველ მებრძოლი ხასიათის ლექსებს და, მეორე მხრივ. უსაგნო სატრავალი სტროფებს. აქვე უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული ის გარემოება, რომ ი. გრიშაშვილის ლირიკის პოეტური თემატიკის მრავალფეროვნება თავისებურ გამოხატულებას პოელობს აგრეთვე გამომსახველობითი საშუალებების სხვადასხვაობაში.

ი. გრიშაშვილის, როგორც საბჭოთა პოეტის, იდეურ ჩამოყალიბებასთან ერთად, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანი სიახლე და ძვრები შეიმჩნევა მის პოეტურ-გამომსახველობითს საშუალებებში. ავტორი ამ გარემოებას უტრადლებას არ აქცევს.

ამ მომენტის გათვალისწინებლობამ გამოიწვია, კერძოდ, ის, რომ საილუსტრაციო მასალა, იშვიათი გამოჩაყლისის გარდა, მტანდილია ა. გრიშაშვილის ადრინდელი ლექსებიდან. მონოგრაფიის მეოთხე თავში, რომელშიაც ა. გრიშაშვილის პოეზიის მხატვრული მხარეა განხილული, საილუსტრაციო სტროფები საბჭოთა პერიოდის ლექსებიდან აქა-იქ გვხვდება. ეს კი თავის მხრივ, მკითხველს აღუქვამინებს, რომ ი. გრიშაშვილის ადრინდელი ლირიკა მხატვრული თვალსაზრისით გაიცლებით მდლა დგას, ვიდრე მისივე საბჭოთა პერიოდის პოეზია. საერთოდ სარეცენზო წიგნის ავტორს ეჩნევა მიდრეკილება მხატვრული მხარის თვითმიზნური ანალიზისავე.

მიუხედავად აღნიშნული ნაკლოვანებებისა მთლიანად მონოგრაფია მკითხველს საქაოდ ნათელ წარმოადგენას აძლევს ი. გრიშაშვილის შემოქმედებაზე. ამდენად, სარეცენზო ნაშრომი, როგორც ჩვენი პოეტის მხატვრული თავისებურებების შესწავლის ერთ-ერთი პირველი სერიოზული ცდა, ჩვენი აზრით, მისასალმებელია.

ზ. ჩინუა

### ი. პაპასკირის ახალი რომანი

აფხაზი მწერლის ივანე პაპასკირის ახალი რომანი „ერცახუს კალთებთან“ საკოლმეურნეო გლეხობისა და მუშათა კლასის ცხოვრებას ეხება. რომანის ლირსება ისაა, რომ იგი ხალ-

ხთა მეგობრობის სულისკვეთებით გამსჭვალული ნაწარმოებია. ამ აზრის სისწორება დავრწმუნდებით, როდესაც რომანის პერსონაჟების — თამელ მჭანბას, მოსე კოპალიანის, ანთიკას, დავით ნიკოლოზის-ზე შევეცოვის, ჩაგუ ხარაზის, ნიკოლოზ შაფიასა და სხვათა მხატვრულ სხეებს გავეცნობით.

ი. პაპასკირი. ერცახუს კალთებთან. „ლიტერატურული აღმანახი“ № 7 აფხაზეთის გამოცხეხში, 1954.



ნაწარმოების ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟია აფხაზი მშრომელი გლეხი თამელ შქანაბა, რომელსაც კოლმეურნეობას ტოვებს და მალაროში იწყებს მუშაობას. თამელ შქანაბას, წარჩინებულ კოლმეურანეს, შესანიშნავ მეფუტყრეს, ამ დარგში კლარინგული მეთოდების აქტიურ გამტარებელს, შეეძლო თავის სოფელში დარჩენილიყო. დამტკბარიყო სოფლის სიმშენიერით, ახალშერთულ ცოლთან ახლოს ყოფნით, მით უმეტეს, კოლმეურნეობას მასპინძელი ვოწინავე, საქმის ერთგული სპეციალისტები სჭირდებოდა. მაგრამ არა, თამელმა იგრძნო, რომ მისი, როგორც მოწინავე იდეებით აღჭურვილი ადამიანის, ადგილი მალაროში, მუშებთან იყო.

კოლმეურნე გლეხის გარდაქმევა სიმრწველო მუშად დამაჯერებლად და ბუნებრივად აქვს განსაზღვრებული მწერალს. თამელ შქანაბას სახით ჩვენ თვალწინ დგას ცოცხალი, აქტიურად მებრძოლი ადამიანის რეალისტურად დახატული მხატვრული სახე.

თამელში ფსიქოლოგიურად იყო შემზადებული ნიადაგი იმისათვის, რომ იგი მალაროში ამტავებდა. ამ შეგნების შემუშავებაში მას ხელი შეუწყო მისმა იდეურმა მიზანსწრაფებამ, ყველაზე ახალი, ყველაზე პროგრესული, ყველაზე მოწინავე იდეის, კომუნისტური იდეის ცხოველყოფილება ძალზე. თამელ შქანაბა ერთი უბრალო, ჩვეულებრივი ადამიანია. მისი მიზანი ნათელია, მისი გრძნობა — უშუალო და ცხოველი. ეს გრძნობა გაუნელებელი სიბოძით და სიყვარულით არის გამომტკიცებული მის საქმიანობაში.

თამელს დამოკიდებულება ანიცხადში, როგორც საყვარელი ადამიანისადმი, მისძაძია. მათს კოლმურულ ურთიერთობაში ნამდვილად იგრძნობა კომუნისტური მორალის სიდიადე. თამელი ანთიკას უყურებს არა მხოლოდ როგორც ცოლს, არამედ — როგორც მეგობარს, თანამებრძოლს, აზნაბეს, თანატოლს, საზოგადოებისათვის სასარგებლო არსებას. თამელი ანთიკას ხელდავს ისეთ ადამიანს, რომელიც მას კარგად გაუგებს და ხელს შეუწყობს მიზნის მიღწევაში.

ანთიკსა და თამელის პირადულ, ინტიმურ განცდებს და საზოგადოებრივ ინტერესებს შორის გათიშულობა და უფსკრული როდი იგრძნობა. მათს ურთიერთობაში საზოგადოებრივი გრძნობა მუდამ წინა პლანზეა, პირადული და საზოგადოებრივი ერთმანეთს ავსებს, ხოლო საზოგადოებრივი მუდამ წამყვანია. ეს არის სწორედ მათი დამახასიათებელი თვისება.

გონა ღრმად ჩაუვყარდა თამელისა და მისე კოპალიანის მეგობრობას და ურთიერთობას, იგა ნამდვილად დარწმუნდება თამელის კიდევ ერთ დამახასიათებელ თვისებაში: იგი ყველასთან კეთილშობილური, მაღალადამიანური, საზოგადოებრივი ინტერესებით გამსჭვალული, ნათე-

ლი გონების, მხტრალე მეგობრობის ცია. იგი ტიპური გამოსახულებაა სამკობა ხელისუფლების პერიოდში აღზრდილი თაობისა, მისი ბიოგრაფია საბჭოთა ადამიანის ბიოგრაფიაა. ამიტომაცაა, რომ თამელისა და მისეს ურთიერთ დამოკიდებულებაში საერთო იდეალებითა და ინტერესებით გამსჭვალული, გულწრფელი ადამიანების მეგობრობას ვხვდებით, კოლმეურნეობაში, საზოგადოებაში, პარტიის ამოღების ტექნიკის დაუფლებიას; ოჯახში, პირადი საქმეების მოწყობისა და სხვა. თამელის, როგორც პირადი, მშრომელი ადამიანის, ბუნების სრულქმნილად წარმოდგენისათვის დამოწმებულა აქვს უარყოფითი, როგორცაა მისი დამოკიდებულება ერთყოფითი სულისცეცების მატარებელი ადამიანებისადმი?

კოლმეურნეობის საშვეო ნაწილის გამგემ კუხმა კანკარამ შემოდგომაზე, მისაელის თამაზილების დროს, წინასწარი განზრახვით თამელს ზედმეტად მისცა ათი ფუთი სიზინდი, რაც თამელს არ შეუძნენია. გავიდა დრო და კუხმა თამელთან ნახვდა, უთხრა ეს ამბავი და წილი მისხოზავა, ნახვდარი შენ და ნახვდარი მეო. ამ ამბავმა თამელი აღაშფოთა, კუხმას რომ ერთფებით არ გაესწრა ვართო, თავს აფუგუზებული მუგუხალით გაუფლავდა.

როდესაც კუხმა მეორედ მიკითხა თამელს მალაროში და სოხევა, არ გამაზილოო, მაშინ თამელი დარწმუნდა კუხმას დანაშაულში, გასწია სოფლისაკენ, ნახა მირონი (პარტიოგანიცისი მდივანი) და ყველაფერი უამბო. თამელმა სიზინდი დაუბრუნა კოლმეურნეობას. ხალხი ძალიან აღაშფოთა კუხმას საქციელმა. თუ თამელმა მაშინვე არ გამაზილა კუხმა, ეს იმიტომ, რომ თამელი დარწმუნებული არ იყო კუხმას მოქმედებაში, მას არ უნდოდა დაუკრებლად, უსაზუთოდ ემოქმედა.

მუშათა გარდაქმნის პროცესში თამელს დიდი სიმწელები გადაეღობა წინ. თამელს დამარცხება განიცადა პირველ ხანს პარტიის ამოღების ტექნიკის დაუფლების საქმეში და გამოცდილი, ტექნიკის დაუფლებულ ძველ რუს მალაროელ მუშასთან — დავით შეუცოვან შეჯიბრებაში. ყოფილი კოლმეურნე გლეხი, რომელმაც გლეხობი ტანსაცმელი გამოუკვალა, მაგრამ განწყობილება ისევ რველი დარჩა, მალაროში უყებ დაიბნა და გვეგების შესტულების მთელი სიძიმე ფიზიკურ შრომაზე გადაიტანა.

ერთ-ერთ მუშათა კრებაზე, სადაც საწარმოო გვეგების შესტულების საკითხს იხილავდნენ, დავით ნიკოლოზის-ძემ, ამ შესანიშნავმა რუსმა ადამიანმა, დიდმა ისტატმა, რომელიც დონბასთან იქნა გადმოყვანილი ადგოლობრივი მსოფრებლებიდან ახალი მუშათა კადრების აღზრდის საქმეში დასამარტებლად, თამელი მკაცრად, მაგრამ გულწრფელად გააკრიტიკა მის მუშაობაში შემჩნეული ნაკლები მხარების გამო. თამელისათვის ეს მოულოდნელი იყო.

როდესაც თაველი სოფელში შემოხდა, მის შინაგანი ზოლიანობა ახალ-ათება და მის ხასიათში რაიმე წინააღმდეგობას ადგელი არა ჰქონდა. ეს იმიტომ, რომ მისთვის ყველაფერი ნაცნობი იყო — გარემოც, მუშაობის ხასიათი, შეცნობების ცალკეული სახეებიც. მათი განვითარების კანონები და ფორმებიც. მათთან დამოკიდებულების ზერხები და მეოღებიც და იმ ადამიანების ხასიათებიც, რომლებთანაც ის აღმოჩნდა. მაგრამ გამოიკვალა თუ არა მისი ცხოვრება, შრომითი პირობები, დიორღვა თუ არა ეს წლოვით შეგუებული ვითარება, დაირღვა მისი სულიერი მთლიანობა და განწადა მის შინაგან ყოფაში, მის მტკიცე ნებისყოფაში პირველი ზნარი. ეს თაველში პირველად გვეგშვების შეურსრულებლობაში გამოხატა. მართალია, თაველში მიიღო დღევანდელი ნიკოლოზის კრიტიკა, მაგრამ როგორი ნდველი და ზღმა ახლავს ამ მიღებას! საკითხავია, მოხუც რუს ოსტატს რომ არ გაეკრიტიკებია თაველი, ეს უკანასკნელი გამოიწვევდა თუ არა მის შეჯიბრებაში? ჩატომ გამოიწვია თაველში ყველაზე ძლიერი, ყველაზე მოწინავე, ყველაზე გამოცდილი ადამიანი შეჯიბრებაში? შეიძლება იმიტომ, რომ მის სურდა თავისი ძალის გამოცდა, და ინტერესი იმაში იყო, რომ ყველაზე მოწინავე ადამიანთან შეჯიბრებაში ეჩვეოდნა თავისი უპირატესობა? ამ შემთხვევაში საფიქრებელია, რომ მან შეურატყუილად იგრძინა თავი საჯაროდ გაიკეთებათვის და იმიტომ გამოიწვია იგი შეჯიბრებაში.

თაველი მუშაობს თავდადებულად, მთელი შესაძლებლობით, ენერჯის საოცარი დაძაბვით, მაგრამ ჩვეულებრივ წარმას ძლევს ასრულებს, მაშინ როდესაც მისი მეტოქე ყოველდღიურ გვეგშვებს ასორმოცდაათ პროცენტს აქვარტებს. ეს თაველში დიდ სულიერ მღვდლარებას იწვევს. ამ გარემოებას არ შეიძლება ღრმად არ ჩაეფიქრებინა გამოუღებელი შემადარება თაველს ევრენობა დატყუ. სოფელშიც ვაგრო მისი ამბავი, ამან კიდევ უფრო შეაწეხა იგი.

როდესაც თაველში კომეურნეობიდან შადროში წაბოსულა ვადამყვტა, მის ვერ წარმოუღებდა, შრომაში თუ ვინმე გაასრუბდა. თავის თავში მტკიცედ დარწმუნებულს ეგონა, მიეხსაც ზურგზე მიუვიკიდებ და საითკენაც მიბრძანებენ, იქითკენ გადავისკრო, მაგრამ ახლა შეჯიბრებაში რომ მარცხდება, სირცხვილი აწუხებს. სწორედ ამ დროს წამაღდა თაველს თავს შეეცოცო, ხელი მტკიცე გუყარა და ბარტის ზოდზე ჩამოჯდომა სთხოვა.

ღავით ნიკოლოზის-ძემ მთელი რარი საათი დაჰყო თაველთან და ისწავლა, როგორ მიეღწია ნაკლები ენერჯის დახარჯვით დიდი წარმატებისათვის. ამ კეთილშობილი ადამიანის დახმარების შემდეგ თაველის შრომაში გარდატეხა იწვება, თუქვა პირველ ხანებში მაინც ვერ ვაფტოლდა იგი მოხუცს, მაგრამ დიდი წინსვლა დატყუ-შემდეგ დაეთვისებულ ზერხებსა და მეოღის დაუფ-

ლებელმა ახალგაზრდა მუშამ თავის მასწავლებელს კიდევაც გაუსწრო, როგორც ახლა მასწავლებლისწარმეტყველებდა. ეს იყო დიდი ზეიმი როგორც თაველისათვის, ისე მთელი მუშათა კოლმეტყუარისთვის და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალისათვის.

ასეთია თაველ მქანას ცხოვრების გზა, მისი ბიოგრაფია ასეთია აფხაზი მშრომელი ადამიანის, მთიელი ვაყვასი მიერ განვლული შრომისა და ბრძოლის, სწავლისა და ტექნიკის დღევანდელის რთული პრაქესი.

როგორია რომანის სხვა ნაქმედ პირობა შინაგანი სამყარო, მათი იდეალები, მათი მორალური თვისებები, ან როგორი ადგილი უჭირავთ მათ საზოგადოებრივ ცხოვრებაში? ეს ადამიანები რომანის კომპოზიტურ ქსოვილში ბუნებრივად და რეალურად არიან გამოკვეთილ. ამთგან ანთაცა, თაველის მეგობარი, აფხაზი მშრომელი ქალის გამოსახულება.

რუსი ადამიანის შესანიშნავი სახე მოგვეცემა თაველში დავით ნიკოლოზის-ძე შეეცოცის სახით. შეეცოცი მოწინავე მუშა. თაველისადმი ტრთიერობაში ჩვენ შეავიოდ ვგრძენით ამ რუსი ადამიანის მაღალი ბუნება და შიარალი. მოხუცი ოსტატი თაველს როგორც მამა, მეგობარი და როგორც გამოცდილი მასწავლებელი, ისე ეყუარა. შეეცოცმა თაველში აღზარდა მტკიცე, მოწინავე მაღაროელი. მან სხვებთან ერთად გაამარჯუებინა თაველს. შეეცოცი ამ რომანის ერთ-ერთი შესანიშნავად გამოხატული სახეა.

თაველ მქანას ცხოვრებაში, მის წინსვლისა და განვითარებაში დიდი როლი შეასრულეს ნიკოლოზ შადლამ და მოსე კოპალიანმა მოსე კოპალიანი, ვერც თაველისათვის კოლმეტყუენ და შემდეგ მაღაროს მუშა, თაველის ღვიძლ ძმისათვის არის რომანში წარმოდგენილი.

ნიკოლოზ შადლა, პროფესიით ინჟინერი, ბარტის მაღაროს ხელმძღვანელია. მწერალს ამ რიი ადამიანის სახით დაუხატავს ქართველი მოწინავე ადამიანები და მათში ჩაქწოუბნია მაღალი, ადამიანური თვისება, შრომისადმი სიყვარული, პროტესტისაკენ ტლტოლა და ფართო თვალთახედვა. რაც თაველისა, ამ რი ადამიანში უხვდავთ ქართველი მახლის კეთილშობილურ თვისებას — აფხაზი მშრომელი ხალხისადმი ტრადიციულ მეგობრულ, მშურ, დამოკიდებულებას. თუ არა მოსე კოპალიანი და ნიკოლოზ შადლა, შეეცოცო და კუზნეცოცი, თაველი, როგორც აფხაზი ახალგაზრდა, ადგილობრივი კადრი, ძნელად დაწინაურდებოდა. ამ რიმა შესანიშნავი ადამიანია, ერთში როგორც კომეურნემ და მუშამ, მეორეში, ინჟინერმა და მაღაროს ხელმძღვანელმა, თაველი ცხოვრების დიდ გზაზე გამოყვანა ამ საქმეში მათ, როგორც აღნიშნა, დიდად შეუწყო ხელი დავით ნიკოლოზის-ძემ და არკადი თიოდორეს-ძემ. ისინი როგორც თაველს, მირონს, ანთიკას,



ჩაგუს და სხვებს, ისევე შეიღ აფხაზ მოსახლეობას, სოფელში იქნება თუ მდღაროში, ძმურად და მეგობრულად ეკიდებიან და ხელს უწყობენ მათ წრომასა და ბრძოლასში.

გავიხსენოთ ანთიკას დის, ზიმას რომანული ურთოურთობა მოსესთან. რა თბილი, რა მგრანობიერი და რა ადამიანურია ამ ორი არსების, ჭკობიერი მუშისა და აფხაზი მშრომელი ქალიშვილის სოყარული! მათს ფაქიზ გრძნობებში, მათს სოყარულში, რომელიც რომანის მეორე წიგნში აღმათ უფრო გაღრმავდება და გაფართოვდება, იგრძნობა დიდი გულისა და დიდ სულის ადამიანები.

მოსე კობაღიანისა და ნიკოლოზ შავდიას მოქმედებაში ბუნებრივად და ორგანულად არის განსაზიერებული ის თვისება, რომელიც ლენინურ-სტალინურმა ნეკონონალურმა პოლიტიკამ განამტკიცა ჩვენში. აშვეარად, ამ ორი ადამიანის დაბატვა ავტორის ჯანსაღ განწყობილებასზე შეტყვევებს. ეს მომენტი ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რადგან ასე დადებითად და ცოცხლად მოხაზული სახეები არცთუ ბევრია აფხაზურ ლიტერატურაში.

რომანში ეპიზოდურად ჩნდებიან კოლმეურნეობის თავიჯდომარე, ჩაგუ ხარაზია, პარტორგანიზაციის მდივანი შირინი, მიბტუკა გლეზი ადღევაბა, რიკიკის მდივანი, ანთიკას და ზიმას, ერთი რუსი ქალიშვილი და სხვები.

ჩაგუ უარყოფითი ტაბი არ არის, მაგრამ იგი სხვებთან შედარებით ვიწრო პორიზონტის კაცია, იგი თავისი კოლმეურნეობის იქით ვერაფერს ხედავს, მას ჰგონია, რომ თუ რაიმენიმე კოლმეურნე მდღაროში წავიდა სამუშაოდ, მამასადაღმე, კოლმეურნეობის საქმე უკან წავაო.

შირინი ფართო თვალთახედვის კაცია, მაგრამ ეს პერსონაჟი მაინც ეპიზოდური ხასიათისაა,

ისე როგორც დანარჩენები, რომლებიც რომანში უვეალოდ იყარვებიან. ამიტომ მწერლის ამოცანაა, ეს ეპიზოდურად მოხაზული ადამიანები რომანის მეორე წიგნში ზორცშესხმულად იქნენ წარმოდგენილი. მეორე წიგნში ავტორმა უნდა გვაჩვენოს როგორც კოლმეურნეობაში, ისევე მდღაროში მომუშავე ადამიანები მთელი თავიანთი თვისებებითა და ინტერესებით. სირთულე სწორედ ამაში მდგომარეობს, რადგან რომანის სიუჟეტში მოქცეულია ორი ობიექტი — კოლმეურნეობა და მდღარო, გლეხობა და მუშათა კლასი. მათში მომუშავე ადამიანების ცოცხლად გამოსახვა არცთუ იოლი საქმეა.

მიუხედავად ზემოთქმულისა, რომანს ერთი სერიოზული ნაკლი ახასიათებს. ამ ფართო პლანის მხატვრულ ტილოზე გაშლილია თითქმის ყველა დადებითი ადამიანის ცხოვრება — ერთის ვამოცლებით. ეს თავისთავად ცუდი საქმე როდია, მაგრამ ჩვენს სინამდვილეში არიან ისეთი ადამიანებიც, რომლებიც ხელს უშლიან ცხოვრების წინსვლას. რეალისტმა მწერალმა უნდა დაიხაზოს ეს ადამიანები, გაიხაროს ისინი მხატვრულ სახეებში, ადგალი უნდა მიუჩინოს მათ თავის რეალისტურ რომანში, როგორც ვასაკიცხ და დანავაზობ ადამიანებს გარდა ამისა, ცხოვრებაში უფრო მეტი წინააღმდეგობები და კონფლიქტებია, ვინემ ეს გვაჩვენა ავტორმა ამ გარემოებას უფრადლება უნდა მიექცეს რომანის მეორე წიგნში.

ი. პაპასკირმა რომანის — „ერთხელს კალთებში“ სახით, რომელიც მშვენიერი ქართულით უარკმნა ახალგაზრდა პეტმა შირინ ცაკოლიამ, პნიშენლოვანი წველი შეიტანა, როგორც აფხაზურ, ისე ჩვენს დიდ სამქოთა ლიტერატურაში.

ნიკონ წიგნაშა

## წერილი რედაქციის მიხარბ

მიმდინარე წლის იერნალ „მნათობს“ მე-8 ნომერში გამოქვეყნდა გ. მარგველაშვილის რეცენზია სათაურით „წიგნი ვეფხისტყაოსანზე“ რეცენზიის განხილვის ობიექტს წარმოადგენს წიგნი შრომა — „სახისა და ხასიათის პრობლემა ვეფხისტყაოსანში“. ობიექტური, მოუდგომელი განხილვის ნაცვლად რეცენზენტს მიხნად დღესაზღვრის დასახელებული შრომის ვალანდლეა. მგვრამ ჰუმორისტული მოითხოვს არა მარტო ჰუმორის, არამედ გინების დასაბუთებამაც. საბუთის გარეშე სათაყლოა არა მარტო გინება, არამედ თვით ჰუმორიც კი. რომელ ავტორს შეუძლია წარმოიდგინოს თავისი შრომა უნაგვრად, კრიტიკის გარეშე, მგვრამ კრიტიკის მოთაერი, შეიძლება ითქვას ერთადერთი მიხანი ის არის, რომ დაცხმარის ავტორის ნაცლოვანებთა არსის ჩვენებაში. ნაცლოა მხილვების უნდა ოგონობოდეს რეცენზენტის შინაგანი სინაართლე. სინდისის ხმა აიძულებს კრიტიკოსს თავიდან მოიშოროს მისთვის არასასურველი ავტორისადმი გაბორბლება, რომ მოუდგომელი დარჩეს საგნის განხილვას. სამწუხაროდ, ჩემი რეცენზენტის მოქმედება არ ეთანხმება ამ ელემენტარულ მოთხოვნილებას. რომ ეს ასეა, აღსატურებს შემდეგი გარემოება: პირველი. რეცენზენტი დუმოლით უვლის გვერდს „ვეფხისტყაოსანის“ პრობლემატიკას. ამ პრობლემატიკის განხილვის გარეშე შეუძლებელია ჩემი შრომის ავარგონობის განსჯა. თუ რაა მიზეზი ასეთი გვერდის ავლისა, თვით მკითხველმა განსაჯოს; ჩვენ კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ ვინც „ვეფხისტყაოსანის“ ურთულეს პრობლემატიკას არ იცნობს, მისთვის ძნელია ამ საგანზე მსჯელობა; იქნებ რეცენზენტის დუმოლია ამ მიზეზით იხსენება! მაშინ რით უნდა ავსნათ რეცენზენტის გამბედაობა, რომელიც მის შესაძლებლობას აღემატება? მეორე. რეცენზენტი არ იცნობს რუსთველოლოგიას, რომელიც სათავეს შორაული წარსულიდან იწყებს და მეოცე საუკუნეში ჩამოყალიბდა, როგორც მეცნიერების გარკვეული დარგი, რომელსაც აქვს თავისი ცვლევის ზუსტად განსაზღვრული სფერო და მდიდარი საკვლევი ობიექტი. რუსთველოლოგიის დრმა ცოდნის გარეშე შეუძლებელია „ვეფხისტყაოსანის“ პრობლემატიკაში შესვლა, ისიც გვერდნახვეარი რეცენზით. მესამე. ჩემთვის სრულიად გაუგებარია მენტორური ტონი რეცენზენტისა-მენტორური ტონი საერთოდ სახიფათოა ლიტე-

რატურაში. მგვრამ უფრო სახიფათო ხდება მაშინ, როდესაც ამ ტონის ატორი საკითხვის განხილვას ზერელედ ვეილება.

ამ სამმა გარემოებამ გარაბობა რეცენზენტის წერლის ხასიათი და ამით აიხსნება, რომ ჩემი წიგნის განხილვას იგი იწყებს არა ძირითადი პრობლემების, არამედ დამხმარე საკითხების გარჩევით. მგვრამ ამ არაბარბოთ საკითხების განხილვამოც რეცენზენტი ოდნავად არ ამელავენებს სურვილს, რომ ისე გაიგოს სა-რეცენზიო წიგნი გამთქმული აზრი, როგორც ის ნამდვილად არის და არა ისე უკვლამართად, როგორც ეს, სამწუხაროდ, რეცენზიასა წარმოდგენილი. ამასთან ერთად, ელემენტარული ლიტერატურული ეთიკა მოითხოვს ციტირებულ ავტორების ზუსტად გადმოწერას. ასეთი სიზუსტე უკვაგდებს ციტატებიდან სიტყვების ხელოვნურად ამოგდებებს, შრავალწერტილებით გაღამებას, თვითნებურად სიტყვების ჩამატებებს და ავტორის ელემენტარულად შეცვლას რეცენზენტის მიერ. უფრო სამიო ხდება რეცენზენტის მოქმედება, როდესაც ისეთ აზრს აწერს წიგნის ავტორს, რომლის კვლეუ შრომაში არ მოიპოვება.

დაეწყოთ ფაქტებით.

1. რეცენზიის ავტორი წერს: „დ. ბენაშვილი იძლევა მკდარ განმარტებას მშვენიერისას, როგორც იდეისა და ფორმის ადეკვატური ერთიანობისა და აკრიტიკებს ჩერნიშევსკის ცნობილ ფორმულას „прекрасное это жизнь“ (იხ. „მნათობი“, № 8, გვ. 179).

ისმება კითხვა: ჩემ წიგნი შართლა არის თუ არა ჩერნიშევსკის ესთეტიკის ამ ძირითადი დებულების კრიტიკა? მოუდგომელი მკითხველი ჩერნიშევსკის ფორმულის კრიტიკას იქ ვერ იპოვის. ეს მხოლოდ რეცენზენტის ფანტაზიის ნაყოფია. ჩემი წიგნის 239 გვერდზე ვაკრიტიკებ იდეალისტური ესთეტიკის ერთ-ერთ ძირითად დებულებას, რომ „მშვენიერი არის სიცოცხლე“. ეტყობა რეცენზენტი კარგად არ იცნობს ჩერნიშევსკის ესთეტიკას. ამით უნდა აიხსნას მის მიერ ჩერნიშევსკის ფორმულის არასწორი თარგმნა ქართულ ენაზე. ჩერნიშევსკის ესთეტიკის არსი გამოისახა ფორმულაში — „прекрасное — это жизнь“; რაც ქართულად ნიშნავს — „მშვენიერი — ეს თვით ცხოვრება“. რუსული სიტყვის „жизнь“-ის ჩერნიშევსკისებური ინტერპრეტაციის ქართულ შესატყვისი იქნება არა სიტყვა „სიცოცხლე“, არამედ სიტყ-

1 დ. ბენაშვილი „სახისა და ხასიათის პრობლემა ვეფხისტყაოსანში“, 1954 წ. გვ. 312, საზელმწიფო გამოცემლობა.

ვა „ცხოვრება“. ჩერნიშევსკის ესთეტიკის გამოსავალი გზა თვით რეალური ცხოვრებაა. ამით ჩერნიშევსკი ბუნებრივად დღეობდა და მარქსისტულ ესთეტიკას. ამ საფუძველზე ორ ფორმულას შორის („მშვენიერი არის სიკაცხელე“ და „მშვენიერი — ეს თვით ცხოვრება“) არსებითი განსხვავებაა. საკითხავია, ამ სხვაობას განვებ არ ამჩნევს რეცენზენტი, თუ ამ ორი ფორმულის ისტორიას არ იცნობს? შეიძლება ერთი იყოს და მეორეც, მაგრამ რა შედეგია ჩემი შრომა?

2. მაგრამ რეცენზენტი ამით როდი ვმყოფლობდა. ის მიმართავს წიგნიდან იმეჯარ კოტორებს, სადაც ფრაზები დაწვეტილია, რომ ამით აზრს დაეკარგოს მნიშვნელობა იმ სახით, როგორც ეს ავტორს ესმის. „მნათობი“ მე-8 ნომრის 179 გვერდზე ჩემი წიგნიდან მოტანილ კიტატას რეცენზენტმა განვებ მოამორა საკითხის არსის გარკვევისათვის აუცილებელი შემდეგი ადგილი — ს ი კ ც ხ ე ლ მ ხ ო ლ რ მ შ ი ა რ ის მ შ ვ ე ნ ი ე რ ი, რ ო დ ე ს ა ე ი ს ა ლ ს ა ე ს ე მ ა ლ დ ო ი დ ე ლ ე ბ ი თ“. ამ ფრაზის გარეშე მკითხველისათვის გაუგებარი იქნება მიზეზი, რის გამოც რეცენზენტი ჩემთან დღვას იწყება. ჩემ თვის ნებას ვაძლევ მთლიანად მოეკრანო ადგილი, რომელიც რეცენზიაში დამახინჯებულად არის წარმოდგენილი. შე ვერა: „არსებობს აზრი, რომ „მშვენიერი არის სიკაცხელე“. ჯერ ერთი, სიკაცხელე აქ აღებულია ანტიკატივულად და მას კონკრეტული ცნება დაეკრებული აქვს ფორმულაში. ამ გარემოებამ არ შეიძლება არ შექმნას უხეობლობა ასეთი კითხვის დასმას დროს: რაკი „მშვენიერი არის სიკაცხელე“ — შესაძლებელი არის თუ არა მშვენიერი იყოს ცხოველური სიკაცხელე? პასუხი თავისთავად ცხადია. მაშასადამე, სიკაცხელისა და ცოცხალი არსებობის კლასიფიკაცია საჭირო, რათა კონკრეტული შინაარსი მივეთვ მშვენიერების ცნებას. „მშვენიერი არის სიკაცხელე“ — ლოგიკურად უნდა ეხეობდეს ადამიანის სიკაცხელეს; მაგრამ ადამიანის სიკაცხელე აქაც ანტიკატივულად არის წარმოდგენილი, და მას აგრეთვე არა აქვს კონკრეტული ფორმა. სიკაცხელე მხოლოდ მაშინ არის მშვენიერი, როდესაც ის აღსაყვება მაღალი იდე-

ალებით. ავადმყოფი ადამიანის სიკაცხელეს მარჯობა უწოდებს თავისუფლებაში შეზღუდულ სიკაცხელეს. თავისუფლებაში შეზღუდულ სიკაცხელე კი ვერ იქნება მშვენიერი! შინაარსით რაფანა ჰარმონიისადმი საყვებით ვაქვარლია, რადგანაც თვით მისი სულიერი და ფიზიკური ჰარმონიაა დარღვეული ავადმყოფობის გამო. სასიკცდილო სარეცელზე მიკრული კაცის სიკაცხელეც ვერ იქნება მშვენიერი, რადგანაც მას დაეკრებული აქვს თავისუფლება, რომელიც მშვენიერის თავისთავადობას წარმოადგენს. ის, რაც უფლებაზე უფლებულ სიკაცხელეს მოვავრინებს, არ შეიძლება იყოს მშვენიერი. აქედან ცხადია, რომ მშვენიერის ცნება ეხება არა სიკაცხელეს შოგადად, არამედ ჰარმონიისადმი ადამიანის მისწრაფების მაღალი იდეალისა და მისი აღიქვადური ფორმის მთლიანობას სახეში“ (იხ. წიგნი „სახისა და ხასიათის პრობლემა ავეუბისტიკაში“. გვ. 239—240; 1954 წ.).

ამ დებულებას რეცენზენტი „ანადგურებს“ მხოლოდ ერთი ფრაზით. ის წერს: „საკმარისია გავახსენოთ დ. ზენაშვილს პავლე კორჩაგინისა და ალექსი მერესიევის მაგალითი, რომ მთელ მის მსჯელობას საფუძველი პოეზიის“ (იხ. „მნათობი“, № 8, გვ. 179).

ასეთი ილი გზით ცილობს რეცენზენტი საწინააღმდეგო არგუმენტის წამოყენებას. მაგრამ საკითხავია: რეცენზენტის ამ კლდეკვიცილ და ნაჩქარევ არგუმენტში არის თუ არა კეშმარობა? უნდა მოვავრინო რეცენზენტს, რომ ეს არაჰინასათვის კონტრზიის ნიადაგზე დაბრძანება, დამბლის დაყვება და სასიკცდილო სარეცელზე წოლა იყო ტრაგედია და არა სხვათული. მოგხსენება რეცენზენტს ისიც, რომ გატანულმა კორჩაგინმა გადაწყვიტა თავის მოკვლა, რათა განთავსდებულყოფილიყო არაადამიანური ტანჯვისაგან; მაგრამ კონტრზიტრმა ნებისყოფამ სძლია ტყვილებს და თვითმკვლელობის განზრახვა თავის თავში დაატრენა. მაგრამ ვის შეუძლია თქვას, რომ კორჩაგინი თავის ავადმყოფობით ვმე უფლი იყო, რომ მას ჯანმრთელ სიკაცხელეს ავადმყოფი სიკაცხელე ეჩრია, რამ ამ განუკრნებელი სენით ის არ იტანებობდა?

და განა სასიკცდილო სარეცელზე მწოლარე, არაადამიანურ ტანჯვებში მყოფ უსინათლო, დამბლადმკვლელ სიკაცხელეს შეიძლება კაცმა მშვენიერი სიკაცხელე უწოდოს? არა, ეს შეუძლებელია. ჯანმრთელი ადამიანის სიკაცხელეა მშვენიერი და არა მომაცდავის.

3. რეცენზენტი უფრო უხეობულ მდგომარეობაში იფენებს თავს, როდესაც ბრალად მდებებს, თითქოს მე ჰქვსი და იუპიტერი სხვადასხვა ღმერთად მივიღე. არ ვიცი სად ამოიკითხა რეცენზენტმა ეს უხი? ამ აზრს მკითხველი ჩემ წიგნი ვერ იპოვის. ვფიქრობ, რეცენზენტი შეცდომაში შევიყვანა ერთმა ფრაზამ, რომელიც მან ამოგლიჯა საერთო კონტექსტიდან და ყალ-

\* ჩერნიშევსკი წერს: „из определения „прекрасное есть жизнь“ будет следовать, что истинная высочайшая красота есть именно красота встречаемая человеком в мире действительности, а не красота создаваемая искусством“. (Н. Г. Чернышевский, избранные сочинения, том IV, стр. XV 1931 г.) აქ ბჭუნიყიელი ჩანს, რამ ჩერნიშევსკი თავის ფორმულაში გულისხმობდა ცხოვრებას, სინამდვილეს და არა სიკაცხელეს.

ბი განმარტებით წარმოადგინა მკითხველის წინაშე.

ჩვენ ვწერთ: „ვეფხისტყაოსნის“ შესავალ კარგებთან დგან მწუხარე სახის კახეცი, თავისი დაბნეული გოგონებით და ფეხით გრძნობით. მის უკულისშემძლე ბეჭებს ჯერ კიდევ არ დასწოლია ხანდაზმულობის მძიმე ჯვარი; მისი სველით მოცული სახე სიბერის ნაოჭებს არ დაუღარავს, არც თმაში ჰალარა შეგრავია, მაგრამ ამ ახალგაზრდამ გამოსცადა იმდენი ტანჯვა, რამდენიც, რუსთაველის სიტყვით, არც ერთ მოკვდევს არ გამოუცდია. პოემის შესავალში ჩვენ მას შევხვდეთ, როგორც მწუხარე ჩანდს და ფიზიკურად ძლიერ ადამიანს; მაგრამ საკითხავი ის არის, თუ რას ეუბნება ის ჩვენ სულს? რა ემოციებს აღძრავს ეს ჩვენი? რატომ არის იგი ციფრულყოფილი — როგორც გაზაფხული; მსუბუქვარე — როგორც ზაფხული; მღვდლებით მდიდარი — როგორც შემოდგომა; ნაღვლიანი — როგორც ზამთრის მწუხრი? რატომ იცის მან გრძნავა იუბიტირებით და დამწვიდება ძვესივით? აი კითხვები რომლებიც ბუნებრივად აღიძრებიან, როდესაც ტარიელის სასიათზე გვექნება საუბარი (იხ. წიგნი „სახისა და ხსიათის პრობლემა“ ვეფხისტყაოსანში“, გვ. 108). რეცენზენტს ამოკლევილი სახით მოყავს ჩემ მიერ ზეითიმდობრივად აღვილიდან უქანასკნელი ფრაზა და ფრჩხილებში პათეტური ტონით წერს: „მოკვადონით ავტარს, რომ ძვესი და იუბიტერი ერთადიგივე ღმერთია: ძვესი ბერძნულ, ხოლო იუბიტერი რომაულ მითოლოგიაში და მათ ხსიათის სახელი და თვისებებს შორის არაერთიანი განსხვავება არ არსებობს“ (იხ. „მნათობი“, № 8 გვ. 179).

რეცენზენტს, რომ ჩვენი შრომა კი არ ვაღაფერტოვს, ანამდე გულდასმით წაიკითხა, ამ დასკვნამდე არ მივიღო. მისთვის სახელის-შქონე მეცნიერი, რომის სახელმწიფოებრივი წიობილების, კულტურისა და რელიგიის უზრუნველესი მკოდნე პროფ. ე. მოსსენი „რომის ისტორიის“ პირველ ტომში ვკცლად ეხება რა ბერძნული და რომაული რელიგიის ურთიერთობას, სათი ღმერთების მსგავსებისა და განსხვავების საკითხს — მიღის იმ დასკვნამდე, რომ რელიგიურმა წარმოდგენებმა საბერძნეთში და რომში ერთი მეთორისა განე განსხვავებულნი ნაციონალური ფორმა და მინარისი მიიღო (იხ. Ф. Моммсен „Римская история“, том первый, стр. 26, 1887 г.).

ე. მოსსენი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იუბიტერი, რომაელების ნაციონალური წარმოდგენით, ვაქცაკობის განსახიერება იყო (იხ. იგივე შრომა, გვ. 27) ამ ვაქცაკობისა და თავისი მებრძოლი ხსიათის კაპო რომაელების ღმერთთა დღესასწაულის საში იუბიტერს ყველა ღმერთებზე მაღალი მდგომარეობა ევაფო (იხ. იგივე შრომა, გვ. 162).

ცნობილია, რომ მოაწმე ნე რომაელთა წარმოდგენით იუბიტერი ამქვეყნის ელენებოდა

ხან არავეულებრივად ძლიერი ვინის წიკვანის ნუსის სახით და იცავდა ლაციუმელს წყისმცხმისა ყანალებისაგან, ხან კი პრეტელესის სახით, რომელიც ლათინთა კეთილდღეობას მფარველობდა (იხ. Вильгельм Вегер, Рим, стр. 43 1873, г.).

რომაელი ხალხის შეგნებაში იუბიტერი სინონიმი იყო უძლიერესი ვიპრის ცნებასა და მისი გრავინვა ყოველთვის აღძრავდა შიშის გრძნობას რომაელების მტრებში. სწორედ ეს ვარემოება მქონდა მხედველობაში, როდესაც ზატაელებთან ბრძოლაში გასულ მრისხანე ტარიელს აადარებდნენ იუბიტერს. მაგრამ ტარიელს ჰქონდა მეორე, უფრო მიზიდველი მხარე, რომელიც განსაკუთრებით გამოჩნდებოდა ხოლმე მრისხანებადან დამწვიდებაში გადასვლის დროს. რუსთაველი „ვეფხისტყაოსანში“ არაერთხელ აღწერს ტარიელის კეთილშობილ, გულმოწყველ ბუნებას. ეს მხარე ტარიელისა ვე შევადარებ ბერძნების ნაციონალურ ღმერთს — ძვესს. ბერძნულ მითოლოგიაში ცნობილია, რომ ვაქცარებული ძვესის დამწვიდებაში შემდეგ მთლიან ბუნება ხარობდა. მშველი ძვესი სინონიმი იყო დღესასწაულისა (იხ. Ф. Моммсен, იქვე, გვ. 27).

ამრიგად, სხვადასხვა ნაციონალური ელფერის საფუძველზე მითოლოგიაში ერთი ძირიდან შექმნილი ღმერთის ცნება ბერძნულ შეგნებაში განშტოვდა ძვესის, ხოლო რომაელების შეგნებაში იუბიტერის სახით. ამიტომ, სრული უფლება მქონდა, რომ ვანრისებების დროს ტარიელი იუპიტერისათვის შემდეგარჩინა, ხოლო დამწვიდებასისას — ძვესისათვის.

4. რეცენზენტი ბრალსა მდებს, თითქოს მეშინია სადა, უზბალო ენაზე გადმოვიცე აზრები და ამ მოტივით თითქოს მათ (აზრებმა) ეახვედე „მეცნიერული ტერმინოლოგიის ბურჟუსში“ (იხ. მნათობი, № 8, გვ. 179). საილსტრაციოდ რეცენზენტს ჩვენი წიგნიდან მოჰყავს ველადგაპირილი ტარიელის დახასიათების ერთი ადგილი, სახელდობრ შემდეგი: „უზარ მხარ კლდესავით ჩაეშვა იგი ცხოვერების ზღვაში და ჩქარი პროცესით დაიწყო მისი ინდივიდუალის დაშლა“ (გვ. 102). სად არის აქ მეცნიერული ტერმინოლოგია?

1. ულიამ შექსპირი ოტელოს ვანრისებებს ადარებს იუპიტერის გრავინვას. მანაბელს ტრავგეილის ეს ადგილი ინვლისური ენიდან თარგმანილი აქვს შემდეგნაირი სახით:

ო, თქვენც, მშვიდობით, მანქანაო  
სიკვდილის მხანდო,  
რომელთ ყელიდან გადმოქუტხს ხმა სმენად  
საშიში  
როგორც უცედავის იუპიტერის საზარო  
გრავინვი!



ლოგიის ბერუსი? ან რომელი ტერმინია! აქ გავგებარე ქართული მკითხველსათვის? არ ვაქც, გრძნობს თუ არა ჩემი რეცენზენტი, თუ რა უხერხულ მდგომარეობაში ვარდებოდა, როდესაც მის მიერ ციტირებულ ადგილებს ისე უჯღღმართოდ არ იგებს მკითხველი, როგორც მას სურს.

ერთი შენიშვნაც მინდა გავაკეთო რეცენზენტის „შეკრები“ მოთხოვნის გამო ენის სისადავეზე, უბრალოებაზე. როდესაც საკითხი შეეხება რუსთაველის ესთეტიკის ურთულეს პრობლემებს, დებულებების მკაცრ, მენიერულ პუნქტუალობას, ზუსტად განსაზღვრულ ცნებების ენას, იქ შეუძლებელია ზომაზე მეტი პოპულარული სტილი.

5. განსაკუთრებით უხერხულ მდგომარეობაში ვარდებოდა რეცენზენტი, როდესაც ის ტიპისა და ხასიათის პრობლემას არჩევს. რეცენზენტი ვერ ასახვევებს ერთიმეორისაგან ტიპსა და ხასიათს, და არ სურს დიფერენცია, რომ პრობლემის, აქილესის, იოდისონის, პეტრეკელის, ამირანის, ტარიელის სახე — ხასიათებია და არა სახე და — ტიპებია. სამწუხაროდ, აქ არც ადგილი და არც საშუალება იმისათვის, რომ სახე — ხასიათის და სახე — ტიპის საკითხი უფრო ვრცელად განვიხილოთ; მაგრამ ხასიათის ერთ-ერთ დამახასიათებელ თვისებას მინც უნდა შევეხებით, რადგანაც რეცენზენტმა სწორედ ეს თვისება აირჩია თავდასამის ობიექტად. ცნობილია, რომ ტიპებისაგან განსხვავებით, ხასიათები იზადებიან განსაკუთრებული ატრიბუტებით; ის, რაც ხასიათის სიდიადის წყაროს წარმოადგენს, იგივე წყაროა მათი დაღუპვის სათავე. ამის საილუსტრაციოდ წიგნი მოვიტანეთ რამადენიმე მაგალითი. სხვათაშორის, სხვა მაგალითებთან ერთად დავასახელებ ამირანის ხასიათს.

ქართული ნაციონალური მითოლოგიის მიხედვით ამირანი ერთი უძლიერესი გმირი იყო. გზაზე მოპაეალი ამირანი შეხებებდა შავებში ჩაქმულ დედაკაცს, რომელსაც ურბით, რომელშიაც დევები იყვნენ შებმულნი, მიქონდა ცნობილი

გმირის — ამირის გვამი. შავებში ჩაქმულნი დედაკაცმა — ამირის დედამ — სთხოვეს ამირანს პატივსაცემი ამბრისათვის გაესწროებინა დამბლა ჩამოვარდნილი მკლავი, რომელიც სიმძიმის გამო მიწას მთარღვევდა. ამირანმა სცადა ამბრისათვის მკლავის გასწორება, მაგრამ ძალა არ ეყო მოკვალელებს მკლავის ასაწევად. ამირანი მივიდა თავის ნათლია-ღმერთთან და სთხოვა: „ისეთი ძალა მომეცი, რომ არც ერთი გმირი არ დამრჩეს დაუმარცხებელი“. ღმერთმა წადილი შეუსრულა. ამირანმა წააქცია ყველაზე უფრო ცნობილი ფელაგენი. ამის შემდეგ ამირანი კარგავს ზომიერების გრძნობას და ღმერთთან მიიხდომება დავიდეებას. ღმერთი თავისთავს ნებას არ აძლევს რეცენზენტს შეეცადოს ამირანს. იგი აიღებს რკინის პალსს, ჩაასობს მიწაში და უბრძანებს ამირანს — ამიოლის მიწიდან რკინის პალს ამირანმა ვერ შეძლო მისი ამოღება. ვაბრახებულმა ღმერთმა ამ პალსზე მიჯაჭვა ამირანი.

სწორედ ქართული ნაციონალური მითოლოგიის იდეური არსი მამლევდა საბაბს მეთქვა, რომ ამირანი დაიღუბა თავის სიძლიერეზე ვაჯავადებელი წარმოდგენის შედეგად. სამწუხაროდ ჩემი რეცენზენტი ისეთ საკითხებზე დაობს, რომელიც ლიტერატურისმცოდნეობაში დიდი ხანია გადაწყვეტილია. ასეთი მოქმედება რეცენზენტისა იმ ხუცისის ქვეყნს ვაგონებს, რომელიც ნიუტონის გაზადაცვლების ასი წლის თავზე ამტკიცებდა, რომ ნიუტონის მიზიდულობის კანონი ეშმაკმა ჩააგონაო.

6. რეცენზენტის მიერ აზრის გაყვლების ერთ საყუარესო მაგალითს წარმოადგენს იმის მტკიცება, თითქოს მე ჩემს წარმომს ვისაუბრებდე, რომ ნაწარმოების მხატვრობას განსაზღვრავს პარამორფული შეხამება სიტყვითა შორის წინადადებებში და წინადადებებისა აბსტრუქტში და, ამავე დროს, სახისა და ხასიათის შექმნის ძირითად პირობად თითქოს მომზადდეს სიტყვათა კომბინაცია. და ბოლოს, რეცენზენტი ირონიული ღიმილით, თავისივე შეთხზულ და ჩემზე მოწერილი აზრის მიმართ შენიშნავს — „მხოლოდ დიმილი შეუძლია ვაპოიეროს ავტორის მიერ“ აშვარ მტკიცებაში“ (იხ. „შნათობი“, № 8, გვ. 179). წარმოადგინეთ, რეცენზენტი ჩემი წიგნიდან გვერდებსაც კი ასახელებს მკითხველის შექმნილი უსაყვანად. მაგრამ რატომ უღირობს ჩემი რეცენზენტი, რომ მკითხველი ბრძოდ ენობა მის მიერ მოგონილ, უაბ მტკიცებას! მე გულისტკივლით გადავამლე რეცენზენტის მიერ მითითებულ გვერდები (27-ე და 30-ე გვ.) და ათ რა აღმოჩნდა: მე ვწერ ამწერლის მხატვრობის ენას, მის ინდივიდუალურ სტილს განსაკუთრებული მწაშენელობა ენიჭება სახეებისა და ხასიათების თვითდასრულებაში. აქედან დასკვნა: მხატვრობა ენა არის სიტყვიერი ხელოვნების ნაციონალური ფორმა, ისევე, როგორც ფერის მხატვრობაში და ბგერა მუსიკაში ხდება მათ ნა-

<sup>1</sup> რეცენზენტი იწუნებს გამოთქმას — „აქილესის ტერფი“ და მართებულად თვლის გამოთქმას — „აქილესის ქუსლი“. ჯერ-ერთი: ჩემს წიგნიში გამოთქმა „აქილესის ქუსლი“ ანაქორთულ მოქმეს ნახმარი (იხ. გვ. 74), მაგრამ თავისთავად „აქილესის ტერფი“ შეუძლია როდია, თუ ვაჯივთავალსწინებთ მომეროსის „ილიადში“ აქილესის დიდის მოქმედებას, საიდანაც წარმოიშვა თვითონ ეს ცნება. ქართული ენის ბრწყინვალე მკოდნე გერონტი ქიქოძე ზმარობს გამოთქმას „აქილესის ტერფს“ (იხ. ფრ. ენგელის, „ლუდოვ ფეიერბახი და გერმანული კლასიკური ფილოსოფიის დამასრული“; თარგმანი გერონტი ქიქოძის, გვ. 148, 1930 წ.)

ციონალურ ფორმად. თავისთავად მხატვრულა  
 ენა უნდა იყოს პარპონიული, მშვენიერი, კეთილ-  
 ხმოვანი, სასიამოვნო სმენისათვის. დიადი აზრუ-  
 ბის გადმოსაცემად. პარპონიული შეხამება სიტყ-  
 ვათა შორის წინადადებებში და წინადადებებისა  
 აზრსა — მისი მნიშვნელობის მიხედვით, ერთი  
 ძირითადი პირობაა მხატვრული ენისა. მეტაფო-  
 რა, ეპიტეტი, ჰაჰერბოლი, ლქსის ვერსიფიკაცი-  
 ის დასრულებული ვარიაციები მხატვრული ენ-  
 ის სამკურსელს წარმოადგენს (იხ. შრომა „სახისა  
 და ხასიათის პრობლემა „ვეფხისტყაოსანში“, გვ.  
 27, 1954 წ.).

როგორც მკითხველი ხედავს, აქ საკითხი შე-  
 ენება მწერლის ენას და არა წაწარმოების  
 მხატვრულ ფორმას საერთოდ. რაც შე-  
 ენება ჩემს შრომაზე რეცენზენტის მიერ მიითოე-  
 ბულ მეორე ადგილს (30 გვ.), სადაც თითქმის  
 ვამტკიცებდი, რომ სახისა და ხასიათის შექმნა  
 შეიძლება მხოლოდ სიტყვების კომბინაციებით,  
 სწორია შემდეგი: ისიტყვიერი ხელეწიანაში მხატ-  
 ვრულა ენის ლექსიური ფონდი მიღიღებდა  
 ყოველდღიურად ხალხის სალაპარაკო ენიდან  
 შესულ სიტყვიერი მარაგით: მაგრამ კუმშარტი  
 მწერლისათვის ლექსიური ფონდი მინეც უქმი-  
 რია. იმისათვის, რომ ეს უქმარობა მოისხოს, სა-  
 ჯარო სიტყვათა შერთობის ისეთი კომბინაცია,  
 რომელიც სიტყვას ყოველ წინადადებაში ახალ  
 ელვარებას მიანაწებდა. ისე, როგორც სპექტრის  
 შეიდი განსაზღვრული ფერი ხელს არ უშლის  
 ფერწერის ოსტატებს შექმნან ფერების განუაზ-  
 რტვლობა კომბინაციების გზით; ისე, როგორც  
 მუსიკალური გამოს შეიდი ძირითადი ნოტი ხელს  
 არ უშლის გენიალურ მუსიკოსებს შექმნან  
 სიტყვე მუსიკალური ბეგრებისა იმავე კომბინა-  
 ციების გზით; ასევე სიტყვიერი ხელეწიანის ოს-  
 ტატებს განსაზღვრული ლექსიურია ფონდი  
 ხელს როდი უშლის, სიტყვათა კომბინაციებს  
 მეშვეობით, მიღწეონ განსაზღვრელობას“  
 (იხ. „სახისა და ხასიათის პრობლემა „ვეფხის-  
 ტყაოსანში“, გვ. 30).

როგორც მკითხველი ხედავს, აქ ლაპარაკია  
 არა იმაზე, თითქმის მხოლოდ სიტყვათა კომბინა-  
 ციებით შეიძლება სახისა და ხასიათის შექმნა,

როგორც ამის რეცენზენტი ამბობს, არამედ ლექ-  
 ტრატორულ, მხატვრულ ენაზე და ძირითად  
 ლექსიურ ფონდზე.

**სიტყვითა**

7. თუ ამ ფაქტს მიუხედავად რეცენზენტი  
 ზენტის არასაკადრის მოქმედებას იმის გამო,  
 რომ ციტირებული ადგილიდან თვითნებურად  
 ერთი სიტყვას მაგიერ წერს მეორე სიტყვას,  
 მაშინ საკლებით ნათელი გახდება მოტივი, რამაც  
 აიძულა რეცენზენტი ფაქსიფიკაციისათვის მოკ-  
 კიდა ხელი („მეათობის“ მე-8 ნომრის 178-ე  
 გვერდზე წერილის შესამე აზრსა რეცენზენტმა  
 მოტივანი ციტატადან თვითნებურად ამოაცლა  
 ჩემი სიტყვა „პოზიტიური“ და მის მაგიერ ჩა-  
 წერა „პოზიტიური“. რეცენზენტს კარგად ესწავს  
 ამგვარი ფაქსიფიკაციის აზრი).

8. რაც შეეხება „პრიალებას“, თითქმის მე  
 ცალმხრივად მესმის სტალინის იფარებულა მწერ-  
 ლის, როგორც ადამიანის სულის ინფინტრის შე-  
 სახებ, ისეთვე ხასიათისაა, როგორც სხვა ბრალ-  
 ლებებუ და ძლიერ გავს რეცენზენტის სხვა მოქ-  
 შედების ნაყოფს. და ბოლოს, ერთი გარემოების  
 განა გვიინდა გვაყეოთო შენიშვნა. რეცენზენტს  
 არ მოსწონს ჩემი წერის სტილი. ეს კი გემოვნე-  
 ბის საკითხია და, მოდი, მკითხველს დავეტოოთ  
 ამ საკითხის განსჯის უფლება.

ამო ვამთარკებთ უსიამოვნო დავის რეცენ-  
 ზენტთან.

როგორც შესივალში აღნიშნეთ, რეცენზენტი  
 სრულად გვირბნ უჯლის „ვეფხისტყაოსნის“  
 პრობლემატკიას და ძირითად საკანონო საკით-  
 ხებს. რომელთა გარყვევასაც ემსახურება ჩვენი  
 შრომა. ამიტომ, ისე როგორც რეცენზენტი,  
 ჩვენც პასუხში დავკმაყოფილდით არაარსებით  
 საკითხებზე მსჯელობით. ბოლოს ერთი მაინც  
 უნდა ითქვას, როდესაც ამა თუ ამ ავტო-  
 რის შრომაზე, მით უფრო სპეციალურია ხასიათის  
 შრომაზე, რეცენზენტი იწერება, ხაჰერბო არა მხო-  
 ლოდ წიგნის გადაფურცვლა, არაუდ მისი შე-  
 წავლად, არა გაზიანებრების ცდა, არამედ მიუღ-  
 გომელი განსჯა. ეს ერთადერთი სწორი გზაა,  
 კუმშარტიების დასადგენად.

დამირტი ბენაშვილი



## ახალი წიგნები



### სახელმწიფო გამომცემლობა

- ქართლის ცხოვრება — ტექსტი დადგენილი აველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტომი I. გვ. 461, ფასი 33 მან. 50 კაპ.
- ბ. ბრეჯაძე, ი. კაჭარავა, მ. ცერცვაძე — სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალეაგონ-შემკეთებელი ქარხნის მუშათა რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან. გვ. 200, ფასი 5 მან.
- მ. გოცაძე — სოლომონ დოდაშვილი. გვ. 269, ფასი 5 მან. 25 კაპ.
- გ. ზაქარაიძე — ნიკო წიკოლაძის სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი. გვ. 286, ფასი 4 მან. 75 კაპ.
- ი. ბურჯალაძე — რაწი მდგომარეობს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მნიშვნელობა. თარგმანი მ. ფირცხალაშვილისა. გვ. 68, ფასი 55 კაპ.
- იშლისის შრომები — წიგნი. I. გვ. 246, ფასი 9 მან. 90 კაპ.
- კონსტანტინე ლორთქიფანიძე — რჩეული ნაწერები. ტ. I, გვ. 377, ფასი 7 მან. 20 კაპ.
- ნ. ჩერნიშევსკი — რა ვაკეთოთ? თარგმანი ქ. ბაქრაძე-ინგოროვსკი. გვ. 596, ფასი 20 მან.
- ივანე ვაწოვი — დამონებულნი. თარგმანი თედო საზოკიასი. გვ. 536, ფასი 17 მან. 40 კაპ.
- ივეტკი ისაიანი — რჩეული. გვ. 215, ფასი 6 მან.
- მ. ი. მათეშვილი — ფუტკრის დაავადებანი და მათთან ბრძოლა. გვ. 57, ფასი 75 კაპ.
- ნადა ბერძენიშვილი — როგორ ვღებულობთ აბრეშუმის ბარკის უხვ მოსავალს. გვ. 21, ფასი 25 კაპ.
- შაღვა ჰოქუა — სოციალისტური შრომის გმირთა ოჯახი. გვ. 59, ფასი 65 კაპ.
- ი. პობიაშვილი — ღორის სუქების მოწინავე გამოცდლება. გვ. 23, ფასი 25 კაპ.

### საბავშვო

- ა. ს. პუშკინი — საღვთის ზედამხედველი. თარგმანი ვასო გორგაძისა. გვ. 18, ფასი 80 კაპ.
- ი. ჭავჭავაძე — საჩხობელახედ. გვ. 19, ფასი 35 კაპ.
- ნიკო ლომოური — ილი. გვ. 52, ფასი 2 მან. 10 კაპ.
- ნ. გოგოლი — ტარას ბულბა. თარგმანი ივანე და ანა ახალშენიშვილისა. გვ. 138, ფასი 4 მან. 75 კაპ.
- პ. ი. ულიანოვა — ილინის ბავშვობისა და სკოლის წლები. თარგმანი ნ. ნაკაშიძისა. გვ. 29, ფასი 1 მან. 80 კაპ.
- გიორგი შატერაშვილი — მერცხლის ბუდე. გვ. 205, ფასი 7 მან. 40 კაპ.
- რევაზ მარგიაანი — ჩემი მეგობრები. გვ. 218, ფასი 6 მან. 50 კაპ.
- რევაზ ჯაფარიძე — კეთილი იღამიანები. გვ. 78, ფასი 2 მან. 25 კაპ.
- იულიან ტუეში — მხიარული ლექსები. თარგმანი რევაზ მარგიანისა. გვ. 36, ფასი 2 მან. 40 კაპ.
- შაღვა ფორჩხიძე — ძმობილები. გვ. 159, ფასი 2 მან. 80 კაპ.
- თეიმურაზ ჯანაფულაშვილი — კოცონა გორის ციხესთან. გვ. 143, ფასი 3 მან. 50 კაპ.
- ლადო მრეღაშვილი — ზარი სამგორში. გვ. 38, ფასი 1 მან. 45 კაპ.
- ილია სხაბრულოძე — მხიარული ლექსები. გვ. 62, ფასი 3 მან. 70 კაპ.

ფანო 8 ა.

ბიჭი 5.103/193



5 10/102

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-  
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„მნატობი“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ